Roman Miminošvili

VERSIONES IBERICAE OPERIS IOANNIS DAMASCENI "EXPOSITIO ACCURATA FIDEI ORTHODOXAE"

(ab Ephrem Mzire et Arsen Ikalthoeli confectae)

Dissertatio

Roman Miminoshvili

GEORGIAN VERSIONS OF JOHN OF DAMASKUS' "EXPOSITIO FIDEI"

Tbilisi
Logos
2006

რომან მიმინოშვილი

იოანე დამასკელის „ბარდამოცემის“ ქართული თარგმანები

თბილისი
პროგრამა ლოგოსი
2006

მეორე შევსებული გამოცემის
სარედაქციო ჯგუფი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვალერი ასათიანი
თეა დულარიძე
თამარ თარხნიშვილი

ყდის დიზაინი: ირინა სტროგანოვა
დაკაბადონება: ალექსანდრე ჯიქურიძე

Editorial group for the second
supplemented edition: Doctor of Philology
Professor **Valeri Asatiani**
Tea Dularidze
Tamar Tarkhnishvili

Cover Design: **Irina Stroganova**
Layout: **Alexander Jikuridze**

© პროგრამა „ლოგოსი“, 2006
© ზაზა მიმინოშვილი, 2006

ISBN 99940-31-16-3

შინაარსი

რომან მიმინოშვილის ფრინოგრაფიის – „გარდამოცემის“ ძართული თარგმანების მეორე შესწავლილი გამოცემის შესახებ (ვალერი ასათიანი) 11

იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ძართული თარგმანები

შესავალი 14

თავი პირველი
იოანე დამასკელის „გარდამოცემა“ 19
იოანე დამასკელის ცხოერება და შემოქმედება 19
„გარდამოცემის“ ბერძნული დედანი 32
„გარდამოცემის“ წყაროები 34
იოანე დამასკელი ქართულ მწერლობაში 42

თავი მეორე
„გარდამოცემის“ ბერძნულ-ძართული რედაქციები (ტექსტოგრაფიული შედარება) 49
ეფრემი აერცობს ტექსტს 50
არსენი აერცობს 54
ეფრემი აკლებს 56
არსენი აკლებს 57
ეფრემის „შეცდომას“ ასწორებს არსენი 65
არსენი თეით უშეებს „შეცდომას“ 65
ქართული თარგმანები შორდებიან დედანს 68

თავი მესამე
ძართულ თარგმანთა თავისებურებანი 88
ქართულ თარგმანთა სქოლიოები 88
ქართულ თარგმანთა ტერმინოლოგია 106
მთარგმნელობითი მეთოდისათვის 112
„გარდამოცემის“ ქართული რედაქციები და მათი მნიშენელობა 118

იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ეშრემ მცირისა და არსენ იყალთოელის თარგმანები (ტექსტი)
თავი პირველი
- ეითარმედ მიუწდომელ არს ღმერთი და ეითარმედ არა ჯერ-არს ძიებაი და გამოძიებაი არა მოცემულისა ჩუენდა წმიდათა წინაისწარმეტყუელთა, და მოციქულთა და მახარებელთაგან (ეფრემ მცირის თარგმანი)
- ეითარმედ მიუწდომელ არს ღმერთი და ეითარმედ არა ჯერ-არს ძიებაი და გამოწულილეაი არა მოცემულთა ჩუენდა წმიდათა წინაისწარმეტყუელთა, მოციქულთა და მახარებელთა მიერ (არსენ იყალთოელის თარგმანი) 131

თავი მეორე
- თქუმულთათჳს და გამოუთქუმელთა, საცნაურისათჳს და უცნაურისა
- თქუმულთათჳს და გამოუთქუმელთა, უცნაურთა და საცნაურთა 132

თავი მესამე
- გამოჩინებაი, ეითარმედ არს ღმერთი
- გამოჩინებაი, ეითარმედ არს ღმერთი 134

თავი მეოთხე
- თუ რაი არს ღმერთი, ეითარმედ მიუწედომელ არს
- რაი არსობისათჳს ღმრთისა, ეითარმედ მიუწთომელ არს 136

თავი მეხუთე
- გამოჩინებაი, ეითარმედ ერთ არს ღმერთი და არა მრავალნი
- გამოჩინებაი, ეითარმედ ერთი არს ღმერთი და არა მრაეალნი 137

თავი მეექჳსე
- სიტყჳსათჳს ღმრთისა
- სიტყჳსათჳს ღმრთისა 139

თავი მეშვიდე
- სულისა წმიდისათჳს
- სულისა წმიდისათჳს 139

თავი მერვე
- წმიდისა სამებისათჳს
- წმიდისა სამებისათჳს 141

თავი მეცხრე
- რაოდენნი რაი ღმრთისათჳს ითქუმიან
- ღმრთისა ზედა თქუმულთათჳს 152

თავი მეათე
- სალმრთოისა ერთობისა და განთუსებისათუს
- სალმრთოისა შეერთებისა და განთუსებისათუს 154

თავი მეთერთმეტე
- რაოდენნი რაჲ ღმრთისათუს ჴორციელად ითქუმიან
- ჴორციელად ღმრთისა ზედა სათქუმელთათუს 155

თავი მეთორმეტე
- მათე პირთათუს
- მათთუსე 156

თავი მეცამეტე
- ადგილისათუს ღმრთისა და ეითარმედ მხოლოჲ ღმერთი არს გარე-შეუწერელ
- ადგილისათუს ღმრთისა და ეითარმედ მხოლოჲ ღმერთი არს გარეშეუწერელ 157

თავი მეთოთხმეტე
- თუსებანი საღმრთოისა ბუნებისანი
- თუთებანი საღმრთოისა ბუნებისანი 162

თავი მეთხუთმეტე
- საუკუნეთათუს
- საუკუნეთათუს 163

თავი მეთექუსმეტე
- დამბადებელობისათუს 165

თავი მეჩუიდმეტე
- ანგელოზთათუს
- ანგელოსთათუს 165

თავი მეთჳრამეტე
- ეშმაკისა და ეშმაკთათუს
- სატანაისათუს და ეშმაკთა 168

თავი მეცხრამეტე
- ხილულისა დაბადებულისათუს
- ხილულისა დაბადებულისათუს 170

თავი მეოცე
- ციათუს
- ციათუს 170

თავი ოცდამეერთე
- ნათლისათუს და ცეცხლისა და მნათობთა, მზისათუს და მთოვარისა და ეარსკულაეთა
- ნათლისათუს, ცეცხლისა, მნათობთა მზისა და მთოვარისა და ეარსკულაეთა 174

თავი ოცდამეორე
- პაერისათუს და ქართა
- პაერისა და ქართათუს 182

თავი ოცდამესამე
- წყალთათუს
- წყალთათუს 184

თავი ოცდამეოთხე
- ქუეყანისა და ქუეყანისგანთათუს
- ქუეყანისა და მისგანთათუს 186

თავი ოცდამეხუთე
- საიოთხისათუს
- სამოთხისათუს 189

თავი ოცდამეექსე
- კაცისათუს
- კაცისათუს 194

თავი ოცდამეშეიდე
- გულის-სათქუმელთათუს
- გემოთათუს 200

თავი ოცდამერვე
- მწუხარებისათუს
- მწუხარებისათუს 201

თავი ოცდამეცხრე
- შიშისათუს
- შიშისათუს 201

თავი ოცდამეათე
- გულისწყრომისათუს
- გულისწყრომისათუს 201

თავი ოცდამეთერთმეტე
- საოცრებითისათუს
- ოცნებითისათუს 203

თავი ოცდამეთორმეტე
- გრძნობისათჳს
- გრძნობისათჳს 203

თავი ოცდამეცამეტე
- მოგონებითისათჳს
- განმგონებელობითისათჳს 205

თავი ოცდამეთოთხმეტე
- მოჴსენებითისათჳს
- მეჴსიერობითისათჳს 206

თავი ოცდამეთხუთმეტე
- სიტყჳსათჳს მოგონებულისა და სიტყჳსა აღმოთქუმულისა
- შინაგან მდებარისა სიტყჳსა და წარმოჩენილისათჳს 206

თავი ოცდამეთექჳსმეტე
- ენებისათჳს და მოქმედებისა
- ენებისა და მოქმედებისათჳს 207

თავი ოცდამეჱთიდმეტე
- მოქმედებისათჳს
- მოქმედებისათჳს 212

თავი ოცდამეთვრამეტე
- ნებსითისათჳს და უნებლიეთისა
- ნებსითისა და უნებლიეთისათჳს 213

თავი ოცდამეცხრამეტე
- ჩუენ შორის მყოფისათჳს, ესე იგი არს, თუთმფლობელობისა
- ჩუენ ქუეშისა, ესე იგი არს თუთმფლობელობისათჳს 215

თავი მეორმოცე
- ქმნადთათჳს
- ქმნილთათჳს 217

თავი ორმოცდამეერთე
- თუ რომლისა მიზეზისათჳს თუთმფლობელად შეეიქმნენით
- თუ რომლისა მიზეზისათჳს თუთმფლობელად შეეიქმნენით 217

თავი ორმოცდამეორე
- არა ჩუენ შორის მყოფისათჳს
- არა ჩუენ ქუეშეთათჳს 218

თავი ორმოცდამესამე
- განგებულებათათჳს
- წინა-განგებისათჳს 219

თავი ორმოცდამეოთხე
- წინაჱსწარ ცნობისა და წინა-განსაზღერებისათჳს
- წინაჱსწარ ცნობისათჳს და წინაჱსწარ განსაზღერებისა 222

თავი ორმოცდამეხუთე
- საღმრთოჲსა განგებულებისათჳს და ჩუენდა მომართისა წყალობისა და ჩუენისა ცხოენებისათჳს
- საღმრთოჲსა განგებულებისა და ჩუენდა მომართისა სიტკბოებისა და ჩუენისა მაცხოარებისათჳს 225

თავი ორმოცდამეექჳსე
- სახისათჳს მუცლად-ღებისა სიტყჳსა ღმრთისა და საღმრთოჲსა მისთჳს განჴორციელებისა მისისა
- სახისათჳს მუცლად-ღებისა სიტყჳსა ღმრთისა და საღმრთოჲსა განჴორციელებისა მისისა 227

თავი ორმოცდამეშჳიდე
- ორთა ბუნებათათჳს
- ორთა ბუნებათათჳს 228

თავი ორმოცდამერჳე
- სახისათჳს ურთიერთას მიცემისა
- სახისათჳს ურთიერთას მიმცემელობისა 232

თავი ორმოცდამეცხრე
- რიცხუსათჳს ორთა ბუნებათაჲსა
- რიცხუსათჳს ორთა ბუნებათაჲსა 233

თავი ორმოცდამეათე
- ეითარმედ ყოველი საღმრთოჲ ბუნებაჲ ერთისა მის გუამისა მიერ მხოლოდ-შობილისა ძისა სრულებით შეეერთა ყოველსა კაცობრიესა ბუნებასა და არა კერძოჲ – კერძოსა
- ეითარმედ ყოველი საღმრთოჲ ბუნებაჲ ერთისა გუამთა თჳსთაგანისა მიერ შეეერთა ყოველსა კაცობრიესა ბუნებასა და არა კერძოჲ – კერძოსა 235

თავი ორმოცდამეთერთმეტე
- ერთისა მისთჳს გუამისა სიტყჳსა ღმრთისა
- ერთისათჳს გუამისა სიტყჳსა ღმრთისა 238

თაეი ორმოცდამეთორმეტე
- მათდა მიმართ, რომელნი იტყჳან, ეითარმედ რაოდენობად აღიყჳანებიან ბუნებანი ქრისტესნი შეერებითისა, ანუ განსაზღერებულისაგან
- მეტყუელთა მიმართ, ეითარმედ შეერთებულისა ანუ განსაზღერებულისაგან აღიყჳანებიან რაოდენობად ბუნებანი უფლისანი?.....240

თაეი ორმოცდამეცამეტე
- წინა-უანწყობაჲ მათი, რომელნი იტყჳან, ეითარმედ არა არს ბუნებაჲ უგუამოჲ
- ამისსა მიმართ, ეითარმედ არა არს ბუნებაჲ უგუამოჲ, წინა-განწყობაჲ.....241

თაეი ორმოცდამეთოთხმეტე
- სამ-წმიდა არსობისათჳს
- სამ-წმიდაობისათჳს.....242

თაეი ორმოცდამეთხუთმეტე
- სახესა და განუკუეთელსა შინა ხილულისა ბუნებისათჳს და განყოფილებისა და შეერთებისა და განჭორციელებისათჳს და თუ ეითარ გულისჴმა-იყოფების „ერთი ბუნებაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ განჭორციელებული"
- სახესა და განუკუეთელსა შინა ხილულისა ბუნებისათჳს და განყოფილებისათჳს თქუმასა შეერთებისა და განჭორციელებისასა და ეითარ მოიღებეის „ერთი ბუნებაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ განჭორციელებული".....244

თაეი ორმოცდამეთექუსმეტე
- ეითარმედ ღმრთისმშობელ არს წმიდაჲ ქალწული
- ეითარმედ ღმრთისმშობელ არს წმიდაჲ ქალწული.....247

თაეი ორმოცდამეჩუიდმეტე
- თუსებისათჳს ორთა ბუნებათაჲსა
- თუთებისათჳს ორთა ბუნებათაჲსა.....250

თაეი ორმოცდამეთერამეტე
- ნებათათჳს და თუთმფლობელობათა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა
- ნებათა და თუთმფლობელობათათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსთა.....250

თაეი ორმოცდამეცხრამეტე
- მოქმედებათათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა
- უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს შორისთა მოქმედებათათჳს.....258

თაეი მესამოცე
- მათდა მიმართ, რომელნი იტყჳან, ეითარმედ უკუეთუ ორთა ბუნებათა და ორთა მოქმედებათაგან არს კაცი, საჭირო სადმე იყოს ქრისტესთჳს სამთა ბუნებათა და ესოდენთაეე მოქმედებათა თქუმად
- მეტყუელთა მიმართ, ეითარმედ უკუეთუ ორთა ბუნებათა და მოქმედებათაგან არს კაცი, საჭირო არს ქრისტეს ზედა სამთა ბუნებათა და ეგოდენთაეე მოქმედებათა თქუმაჲ.....266

თაეი სამოცდამეერთე
- განღმრთობისათჳს ბუნებისა და ნებისა და ჴორცთა უფლისათა
- განღმრთობისათჳს ბუნებასა და ნებასა ჴორცთა უფლისათასა.....268

თაეი სამოცდამეორე
- მერმეცა ნებათათჳს და თუთმფლობელობათა, გონებათა და მეცნიერებათა და სიბრძნეთა
- მერმეცა ნებათათჳს და თუთმფლობელობათა, გონებათა, და მეცნიერებათა და სიბრძნეთა.....270

თაეი სამოცდამესამე
- ღმერთ-მამაკაცებრისა მოქმედებისათჳს
- ღმერთ-მამაკაცებრისა მოქმედებისათჳს.....274

თაეი სამოცდამეოთხე
- ბუნებითთათჳს და თანაწარუალთა ენებათა
- ბუნებითთა და უგიობელთა ენებათათჳს.....276

თაეი სამოცდამეხუთე
- უმეცრებისათჳს და მონებისა
- უმეცრებისათჳს და მონებისა.....277

თაეი სამოცდამეექუსე
- წარმატებისათჳს
- წარმატებისათჳს.....278

თაეი სამოცდამეშეიდე
- მოშიშებისათჳს
- შიშისათჳს.....279

თაეი სამოცდამერვე
- ლოცეისათჳს უფლისა
- ლოცეისათჳს [უფლისა].....280

თაეი სამოცდამეცხრე
- განკუთნეისათჳს
- განთჳსეისა და განკუთნეისათჳს.....282

თაეი სამოცდამეათე
- ენებისათჳს ჴორცთა უფლისათ[აი]სა და უენებელობისათჳს ღმრთეებისა მისისა
- ენებისათჳს ჴორცთა უფლისა ჩუენისათა და უენებელობისათჳს ღმრთეებისა მისისა.....283

თავი სამოცდამეთერთმეტე
- ეითარმედ განუშორებელად ეგო ღმრთეებაი სიტყჳსაი სიკუდილსა შინა უფლისასა სულისაგან და ჴორცთა და ერთიეე იყო საუფლოი გუამი
- განუშორებელად ეგებისათჳს ღმრთეებასა სიტყჳსასა სულისაგან და ჴორცთა სიკუდილსაცა შინა უფლისასა და ეითარმედ ერთიეე იყო გუამი 284

თავი სამოცდამეთორმეტე
- ხრწნილებისა განყოფილებისათჳს
- ხრწნილებისა და განხრწნილებისათჳს 285

თავი სამოცდამეცამეტე
- ჯოჯოხეთად შთასლეისათჳს
- ჯოჯოხეთად შთასლეისათჳს 286

თავი სამოცდამეთოთხმეტე
- შემდგომად აღდგომისა ქრისტჱსა განგებულებისაჲს
- აღდგომისა შემდგომთაჲს 286

თავი სამოცდამეთხუთმეტე
- მარჯუენით მამისა დაჯდომისათჳს
- მარჯუენით მამისა დაჯდომისათჳს 287

თავი სამოცდამეთექჳსმეტე
- მათდაეე მიმართ, რომელნი იტყჳან ქითხეით, ეითარმედ უკუეთუ ორ-ბუნებაი არს ქრისტე, ნუუკუე აგებულიცა იგი ბუნებაი მისი აუგებელსაეე თანა იმსახურების, ანუ თაყუანის-იცემებისა? ანუ ერთი ოდენ ბუნებაი თაყუანის-იცემების და ერთი თაყუანის-უცემელ არს?
- მეტყუელთა მიმართ: უკუეთუ ორი ბუნებაი არსო ქრისტე, ანუ აგებულსაცა ბუნებასა [მსახურეთ, ეითარცა აგებულისა თაყუანის-მცემელთა, ანუ [ერ]თი ბუნებაი თაყუანის-ცემული თქუთ და ერთი თაყუანის-[უ]ცემელ 287

თავი სამოცდამეჩჳიდმეტე
- თუ რაისათჳს ძე ღმრთისაი განკაცნა და არა მამაი, ანუ სული წმიდაი და თუ რაი წარმართა ძეჱნ განჴორციელებითა თჳსითა?
- რაისათჳს ძე ღმრთისაი განკაცნა და არა მამაი, არცა სული; და თუ რაი წარმართა განჴორციელებითა თჳსითა 288

თავი სამოცდამეთერამეტე
- მათდა მიმართ, რომელნი იკითხეიდენ, ეითარმედ გუამი უფლისაი აგებული არს ანუ აუგებელი?
- მკითხველთა მიმართ, ეითარმედ გუამი ქრისტესი აგებული არს ანუ აუგებელი? 290

თავი სამოცდამეცხრამეტე
- თუ ოდეს ეწოდა ქრისტე
- თუ ოდეს ეწოდა ქრისტე 291

თავი მეოთხმოცე
- მათდა მიმართ, რომელნი იკითხეიდენ, ეითარმედ ორი ბუნებაი შეა-მე-ა წმიდამან ღმრთისმშობელმან, ანუ ორი ბუნებაი დამოეიდა-ა ძელსა?
- მკითხველთა მიმართ – უკუეთუ ორი ბუნებაი შეა წმიდამან ღმრთისმშობელმან, ანუ ორი ბუნებაი დამოეიდა ჯუარსა 292

თავი ოთხმოცდამეერთუ
- თუ ეითარ პირმშოდ იწოდების მხოლოდშობილი ძე ღმრთისაი
- ეითარ პირმშოდ იწოდების მხოლოდშობილი ძე ღმრთისაი 293

თავი ოთხმოცდამეორე
- სარწმუნოებისათჳს და ნათლისღებისა
- სარწმუნოებისა და ნათლისღებისათჳს 295

თავი ოთხმოცდამესამე
- სარწმუნოებისათჳს
- სარწმუნოებისათჳს 299

თავი ოთხმოცდამეოთხე
- საუფლოსა ჯუარისათჳს, რომელსა შინა არს და სარწმუნოებისათჳსცა
- ჯუარისათჳს, რომელსა შინა არს სარწმუნოებისათჳსცა 300

თავი ოთხმოცდამეხუთე
- აღმოსაეალით თაყუანის-ცემისათჳს
- აღმოსაეალით თაყუანისცემისათჳს 303

თავი ოთხმოცდამეექჳსე
- წმიდათა და უხრწნელთა საიდუმლოთათჳს
- წმიდათა და უხრწნელთა საიდუმლოთათჳს უფლისათა 305

თავი ოთხმოცდამეშეიდე
- აღრიცხუეისათჳს ნათესაეთა უფლისათა და წმიდისა ღმრთისმშობელისათა
- ნათესაეთ-მეტყუელებისათჳს უფლისა და წმიდისა ქალწულისა 312

თავი ოთხმოცდამერვე
- წმიდათათჳს და ნაწილთა მათთა პატივისცემისათჳს
- წმიდათა და ნაწილთა მათთა პატივისათჳს 316

თაეი ოთხმოცდამეცხრე
- წმიდათა ხატთათჳს
- ხატთათჳს ... 320

თაეი ოთხმოცდამეათე
- წიგნთათჳს
- წერილისათჳს ... 323

თაეი ოთხმოცდამეთერთმეტე
- ქრისტესთჳს თქუმულთა სიტყუათათჳს
- ქრისტეს ზედათქუმულთათჳს ... 326

თაეი ოთხმოცდამეთორმეტე
- ეითარმედ არა არს მიზეზ ბოროტთა ღმერთი
- ეითარმედ არა არს მიზეზ ბოროტთა ღმერთი ... 333

თაეი ოთხმოცდამეცამეტე
- ეითარმედ არა ორნი დასაბამნი არიან
- არა ყოფისათჳს ორთა დასაბამთაეის ... 335

თაეი ოთხმოცდამეთოთხმეტე
- თუ რაეისათჳს, ეინაითგან წინაითგან უწყოდა ღმერთმან ეიეთიმე ცოდეასა შეთავრდომაე და არღარა შენანებაე, რადღა შექმნა იგინი?
- რაეისათჳს წინაისწარმეცნიერმან ღმერთმან ეიეთისამე მცოდეელობისა და არღარა შენანებელობისათჳს დაჰბადნა იგინი ... 337

თაეი ოთხმოცდამეთხუთმეტე
- შჯულისათჳს ღმრთისა და შჯულისათჳს ცოდეისა
- შჯულისათჳს ღმრთისა და შჯულისა ცოდეისა ... 337

თაეი ოთხმოცდამეთექუსმეტე
- პურიათათჳს და შაბათობისათჳს
- დასამჴობელად პურიათა და შაბათისათჳს ... 339

თაეი ოთხმოცდამეჩეიდმეტე
- ქალწულებისათჳს
- ქალწულებისათჳს ... 342

თაეი ოთხმოცდამეთერამეტე
- წინა-დაცუეთისათჳს
- წინადაცუეთისათჳს ... 345

თაეი ოთხმოცდამეცხრამეტე
- ანტიქრისტესთჳს
- ანტიქრისტესთჳს ... 347

თაეი მეასე
- აღდგომისათჳს მკუდართაისა
- აღდგომისათჳს ... 349

ᲙᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ ... 355

ᲑᲝᲚᲝᲙᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ ... 356

ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲔ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ... 359

ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲔ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ ... 371

ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ ... 375

რომან მიმინოშვილის მონოგრაფიის – „ბარდამოცემის“ ქართული თარგმანების“ მეორე შევსებული გამოცემის შესახებ

თვალსაჩინო ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის – რომან მიმინოშვილის (1928-1998) მრავალმხრივი შემოქმედებითი მემკვიდრეობა თანდათან, ალბათ, მეტად წარმოჩნდება და სათანადოდ დაფასდება. ამ შემთხვევაში დაინტერესებულ მკითხველს საშუალება ეძლევა, გაეცნოს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული მეტად საგულისხმო წიგნის მეორე შევსებულ გამოცემას.

1966 წელს რომან მიმინოშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები“. იგი წერდა: „მეტად საინტერესოა „გარდამოცემის“ ქართული თარგმანების ურთიერთმიმართების საკითხი. ჩვენს გამოკვლევაში, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო თვალნათლივ გამოგვეჩინა ყველა მხარე ამ ურთიერთობისა. საკითხით დაინტერესებულ მკვლევარს რომ საშუალება ჰქონდეს თვალი ადევნოს, თუ როგორ ხდებოდა ამა თუ იმ ფილოსოფიური თუ თეოლოგიური დებულების ჩამოყალიბება, მისი გამოცემა ქართულად; თუ როგორ ეძებდნენ ქართველი მთარგმნელები ბერძნულ ტერმინთა ექვივალენტს, რა გზით მიემართებოდა მათი მეცადინეობა, საჭიროა და აუცილებელიც ეფრემისა და არსენის თარგმანთა ტექსტების გამოცემა პარალელურად. ვერავითარი გამოკვლევა და ლექსიკონი ვერ შეცვლის მათ თვალსაჩინოებას. სამწუხაროდ, რადგანაც ქართულ თარგმანთა ტექსტები (მხედველობაშია ეფრემისა და არსენის ტექსტები — ვ. ა.) ჩვენ ჯერ-ჯერობით ხელნაწერის სახით გვაქვს წარმოდგენილი, გასაგებია, რომ ტექნიკურად შეუძლებელი იყო მათი პარალელური გამოცემა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ პარალელური ტექსტების გამოცემის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ქართულ-ბერძნული დოკუმენტირებული ლექსიკონი, სადაც პარალელურად ასახული იქნება ორივე მთარგმნელის ნაღვაწი“.

უკანასკნელ წლებში განხორციელდა სიმონ ყაუხჩიშვილის დიდი ჩანაფიქრი და წამოწყება: გამოიცა ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, ტომი I, სიმონ ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით, პასუხისმგებელი რედაქტორი ლიანა კვირიკაშილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინისტიკის განყოფილება, თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტთან არსებული საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 2002; II, თბილისი, 2003; III, თბილისი, 2005.

2000 წელს განხორციელდა იოანე დამასკელის ხსენებული თხზულების ძალზე მნიშვნელოვანი გამოცემა (თბილისის სასულიერო აკადემია, მართლმადიდებელ მამათა შრომები, I, წმ. იოახე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა) გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფავამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფავამ. ძეგლი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2000). დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ „ეფრემ მცირის თარგმანი გამოსაცემად მოამზადა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რომან მიმინოშვილმა. სამწუხაროდ, ბ-ნი რომანი ვერ მოესწრო თავისი ნაშრომის გამოქვეყნებას. ეფრემ მცირის სიტყვებს გავიმეორებთ ამ ღირსეული მოღვაწის შესახებ: „ღმერთმან მიეცინ მადლი შრომისა და წარსაგებელისაჲ“ (გვ. 4).

უთუოდ მინდა აღვნიშნო, რომ 1966 წელს გასრულებულ შრომაში რომან მიმინოშვილს გამოსაცემად მომზადებული ჰქონდა როგორც ეფრემ მცირის, ასევე არსენ იყალთოელის თარგმანები და მაშინ, სამწუხაროდ, მეცნიერმა ისინი

მონოგრაფიასთან ერთად ვერ გამოსცა. აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქტორობით დაიბეჭდა მხოლოდ გამოკვლევა (რომან მიმინოშვილი, „გარდამოცემის" ქართული თარგმანები, თბილისი, 1966), ეფრემისა და არსენის ტექსტების გარეშე.

იმის გათვალისწინებით, რომ რომან მიმინოშვილის მონოგრაფია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და, საბედნიეროდ, თანდათან იზრდება საღვთისმეტყველო ლიტერატურით დაინტერესებულთა წრე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მეცნიერის მიერ გაწეული შრომის ადრინდელთან შედარებით სრული სახით გამოქვეყნება.

ამრიგად, მკითხველის წინაშეა რომან მიმინოშვილის მონოგრაფიის მეორე შევსებული გამოცემა ეფრემისა და არსენის ტექსტებითურთ. მონოგრაფია ქვეყნდება პირვანდელი სახით. ბუნებრივია, მასში გამოთქმული ზოგიერთი შეხედულება (მაგალითად, ქართულ თარგმანთა ორიგინალთან მიმართება) კრიტიკულ გააზრებას მოითხოვს და ამ თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა პროფესორ ედიშერ ჭელიძის მიერ მეცნიერული აკრიბიით გამოთქმული მოსაზრებები.

ეს გამოცემა განხორციელდა რომან მიმინოშვილის ოჯახის – მეუღლის – ქ-ნ ლია მახარაძის და შვილების – ბ-ნ ზაზა და ქ-ნ მაია მიმინოშვილების ძალისხმევით.

ამ წიგნის გამოსაცემად მომზადების, განსაკუთრებით პარალელური ტექსტის გამართვის უაღრესად შრომატევად საქმეს „სიწრფოებითა და სიმართლით" მოეკიდნენ რომან მიმინოშვილის უმცროსი კოლეგები – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის თანამშრომლები – ქ-ნი თეა დულარიძე და ქ-ნი თამარ თარხნიშვილი; ქ-ნი დალი ნადიბაიძე, რომელიც გაეცნო გამოსაცემად მომზადებულ ტექსტს და სასარგებლო მოსაზრებები გამოთქვა; ქ-ნი თამარ ბაკურაძე, რომელმაც მოამზადა ამ გამოცემის ინგლისური ნაწილი; გამომცემლობა „ლოგოსის" თანამშრომლები – ბ-ნი გოჩა კევლიშვილი, ბ-ნი დავით მუჯირი, ქ-ნი ირინა სტროგანოვა, ბ-ნი ალექსანდრე ჯიქურიძე.

როგორც თავიდანვე აღვნიშნე, იმედია, ბ-ნი რომან მიმინოშვილის ნიგნები მომავალშიც გამოიცემა. ამ შემთხვევაში კი ნამდვილად მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებელი ხდება მკითხველი ეზიაროს ჩვენგან უდროოდ წასული ღირსეული პიროვნებისა და მეცნიერის ერთ-ერთ გამორჩეულ „ნამუშაკევს", რომელიც „ახარებს შორიელთა და მახლობელთა".

ვალერი ასათიანი

წიგნში განხილულია იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელისეული თარგმანები. ქართული ვერსიები აქამდე არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი. ავტორი ეფრემისა და არსენის ნაშრომთა ურთიერთშედარებისა და ბერძნულ დედანთან შეჯერების საფუძველზე ავლენს ქართული რედაქციების მნიშვნელობას იოანე დამასკელის თხზულების ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გასარკვევად. ქართულ მწერლობას შემოუნახავს „გარდამოცემის“ აქამდე უცნობი რედაქცია, რომელიც თითქმის საუკუნით უსწრებს ამ თხზულების ლათინურ თარგმანს. წიგნში განხილულია ბერძნულ დედანთან და ქართულ თარგმანებთან დაკავშირებული სხვა ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხებიც.

„გარდამოცემის“ ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელისეული თარგმანების პარალელური ტექსტების გამოცემა ავტორს განზრახული აქვს ახლო მომავალში.

რედაქტორი სიმონ ყაუხჩიშვილი
1966 წ.

შესავალი

ძველ ქართულ სასულიერო მწერლობას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს მსოფლიო საქრისტიანო ლიტერატურის ისტორიაში. მრავალფეროვან და მაღალმხატვრულ ორიგინალურ ძეგლებთან ერთად ჩვენი მწერლობა მდიდარია ნათარგმნი ლიტერატურით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არ დარჩენილა სასულიერო (უპირატესად ბერძნულ-ბიზანტიური) მწერლობის არცერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომ ჩვენს სახელოვან წინაპრებს ქართულად არ ეთარგმნათ. მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება ქართული ნათარგმნი მწერლობის მნიშვნელობა. სამართლიანად აღნიშნავდა კ. კეკელიძე, რომ ძნელია ვიპოვოთ ქართულ ენაზე შემორჩენილი რომელიმე ნათარგმნი ძეგლი, რომელიც რაიმე თავისებურებას არ ამჟღავნებდეს დედანთან მიმართებით და მოკლებული იყოს მნიშვნელობას თვით ორიგინალის ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხების გასარკვევად. უფრო მეტიც, თვით ბიბლიური წიგნების თარგმანებშიც იგრძნობა ქართველი მთარგმნელების შემოქმედებითი წვლილი.[1]

ქართულ ენაზე არა ერთი და ორი ისეთი თარგმანებიც შემონახულა, რომელთა დედნები აღარც არსებობს უკვე და ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის ხარვეზებს მხოლოდ ქართული თარგმანები ავსებენ. საკმარისია ამ მხრივ გავიხსენოთ სვიმეონ მეტაფრასტისა და იოანე ქსიფილინოსის თხზულებათა ბედი.[2]

მაგრამ რაც არ უნდა ინტენსიური ყოფილიყო ჩვენი ძველი მწერლების მთარგმნელობითი მოღვაწეობა, არც მატერიალურად და არც მორალურად მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა წარმოედგინათ ხოლმე ერთი და იმავე ძეგლის რამდენიმე თარგმანი. პირიქით, ჩვენი მთარგმნელები ყოველთვის ერიდებოდნენ ახალი თხზულების ხელმეორედ გადმოთარგმნას არა მარტო მაშინ, როცა იცოდნენ, რომ ქართულად უკვე არსებობდა ადრინდელი თარგმანი, არამედ მაშინაც, როცა მათთვის ცნობილი იყო, რომ სხვა რომელიმე მოღვაწე უკვე მუშაობდა ამავე თხზულების თარგმანზე. მათთვის ძვირფასი იყო დრო, რათა ბიზანტიის მჩქეფარე ლიტერატურულ ცხოვრებას არ ჩამორჩენოდნენ, მათთვის საჭირო იყო საწერი მასალის მომჭირნეობაც. ესეც რომ არ იყოს, ხელმეორედ თარგმნა მოითხოვდა ლიტერატურულ შეჯიბრებას წინამორბედ მთარგმნელთან და, უკეთუ ძველი თარგმანი უკვე მიღებული იყო ეკლესიაში, საჭირო იყო მტკიცე საბუთი იმისათვის, რომ იგი უარეყოთ.

არა ერთი და ორი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ ქართველი მთარგმნელები თავს იკავებდნენ თარგმნისაგან იმ შემთხვევაშიც, როცა იცოდნენ, რომ იგივე თხზულება უკვე ნათარგმნი იყო. ამ მხრივ დამახასიათებელია ეფრემ მცირის მიერ ბასილი დიდის ასკეტიკონის თარგმნა. ეფრემ მცირე 12 წელი ელოდებოდა ასკეტიკონის თარგმანს, რომელიც თითქოს მანამდე უნდა ეთარგმნა პროკოპი ხუცესს, მაგრამ რაკი შავ მთაზე ამ თარგმანმა ეეღარ ჩამოაღწია, ანტონ ტბელის ბრძანებით ეფრემი შეუდგა თხზულების თარგმნას. აქვე აღნიშნავს ეფრემი, რომ როცა პროკოპის თარგმანი მოაღწევს, მისი წაიკითხეთ „ვითარცა უხუცესისაჲ, და ესე, ვითარცა უმრწემესისაჲ, და რომელი რაჲმე მუნ ჰმატდეს, გინა აქა, ორთაგანვე უმჯობესი შეიძინეთ; და სხუებისაჲ ნუეე გიკჳრს: რამეთუ თჳთ ბერძულნიცა წიგნნი, ვითარცა ვინ დედაჲ პოვოს, ეგრე გარდაიწერებიან, და თჳთ ორთა წიგნის

---

[1] კ. კეკელიძე წერდა: „იშვიათია ისეთი თხზულება ბიზანტიის ლიტერატურისა, ქართულ მწერლობაში გადმოსული, რომელიც ქართულ თარგმანში რაიმე საყურადღებო ვარიანტს არ იძლეოდეს. ესეც, რასაკვირველია, თავისებური წვლილია, რომელიც ქართულ მწერლობას ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში შეაქვს" (ეტიუდები, III, 7).

[2] K. Кекелидзе, Симеон Метафраст по грузинским источникам, «Труды Киевской Академии», 1910, № 2; მისივე Иоанн Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста, «Христ. Восток», I, 325-347.

საცაეთა სუმეონ წმიდისათა ასკეტიკონნი სხუთა და სხუთა პმატდეს ურთიერთას..."[3] ასეეე ელოდებოდა ეფრემი გრიგოლ საკეირველთმოქმედის ცხოვრების ადრინდელ თარგმანს. მას სცოდნია, რომ გიორგი მთაწმიდელს უკეე ნათარგმნი ჰქონია ეს თხზულება და მანამდის არ მოუკიდია ხელახლა თარგმნისათვის ხელი, სანამ არ დარწმუნებულა, რომ ძველ თარგმანს ვეღარ მიიღებდა.[4]

ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უკანასკნელ როლს არ ასრულებდა კოლეგიალობა, მაგრამ ჩვენი მოღვაწენი ანგარიშს უწეედნენ აგრეთვე იმ მიზეზებსაც, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

მიუხედავად ამისა, შეუძლებელი იყო ქართულ მწერლობას შემორჩენოდა ამა თუ იმ თხზულების მხოლოდ თითო თარგმანი. რა თქმა უნდა, ჩვენში რამდენიმეგზის ითარგმნებოდა ერთი და იგივე ძეგლი და ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ერთი და იმავე ნაწარმოების სხვადასხვა ავტორის მიერ პარალელურად თარგმანსაც.

ერთი და იმავე თხზულების რამდენიმეგზის თარგმნას გარკეული მიზეზები ჰქონდა. შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე ძირითადი მიზეზი:

1. მთავარი მიზეზი, რომელმაც უმრავლეს შემთხვევაში გამოიწეია უკეე ნათარგმნი ძეგლის ხელმეორედ თარგმნა, იყო ის, რომ მთარგმნელს აღარ აკმაყოფილებდა მისი წინამორბედის ნამოღვაწარი. ძველი თარგმანი არ შეესაბამებოდა თანამედროვეობის მოთხოვნილებას. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ არა იდეოლოგიური ხასიათის პრეტენზიებს ადრინდელი თარგმანისადმი, არამედ წმინდა მთარგმნელობით პრინციპებს. ძველი თარგმანი ან შესრულებული იყო თავისუფლად, სცილდებოდა დედანს, ან შესრულებული იყო არა იმ ენიდან, რომელზედაც დაიწერა პირეელწყაროო. ამ მხრივ დამახასიათებელია იმავე ეფრემ მცირის მოღვაწეობა. ეფრემ მცირემ ხელმეორედ თარგმნა გრიგოლ ოშკელის მიერ სომხურიდან ნათარგმნი ერთი სიტყვა გრიგოლ ნაზიანზელისა და ასე იმართლა თავი: „მე სომხურისა წილ ბერძულისაგან კუალად მეორედ ვიიძულე თარგმნად. რამეთუ სომეხისა შვილსა და ბერძნისა შვილისშვილსა, ნუუკუე და არა უეჭველსა, თუთ უეჭვი და საკუთარი შვილი აღვირჩივე".[5]

2. ხელმეორედ თარგმნა ხშირად გამოწვეული იყო იმით, რომ ძველ დროში არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო უნაკლო ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია. მით უმეტეს, რომ ქართული კულტურის კერები გაფანტული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. და ზოგჯერ შავი მთის ან ათონის მოღვაწეებს არ ჰქონდათ ზუსტი ინფორმაცია საქართველოში ან პალესტინაში წარმოებული ლიტერატურული საქმიანობის შესახებ. ამით აიხსნება აგრეთვე თითქმის ერთდროულად ორი ავტორის მიერ ერთი და იმავე თხზულების თარგმნა. მაგალითად, ეფრემ მცირემ და თეოფილე ხუცესმონაზონმა, ერთი და იმავე ლიტერატურული სკოლის მოღვაწეებმა, და ერთხანს თანამოღვაწეებმა, თითქმის ერთდროულად თარგმნეს ამბროსი მედიოლანელის „ცხოვრება", რომელიც სვიმეონ მეტაფრასტის კალამს ეკუთვნოდა.[6]

3. ძველი ქართველი მთარგმნელები, ცხადია, ხელმეორედ თარგმნიდნენ რომელიმე თხზულებას მაშინაც, როცა ძველი თარგმანი მათთვის ხელმიუწედომელი იყო, ან იმდენად იშვიათი, რომ არც იცოდნენ მისი არსებობა.

---

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 39-40; ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 259.
ე. ხინთიბიძის აზრით, პროკოპის თარგმანი უნდა იყოს დაცული სინას № 35 ნუსხაში (ე. ხინთიბიძე, ბასილი კესარიელის "სამოღვაწეო წიგნის" ქართული რედაქციები: „ლიტერატურული ძიებანი", ტ. XIV, 1962, გვ. 204-205).

[4] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 218, ქ. კეკელიძე. Op. cit., 254.

[5] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 227.

[6] რ. მიმინოშვილი, ამბროსი მედიოლანელის „ცხოვრების" ახალი რედაქცია ქართულ მწერლობაში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XXIII, № 6, 1959, გვ. 753-757.

4. ერთსა და იმავე თხზულებას თარგმნიდნენ და, ცხადია, თარგმნიდნენ თუ სხვადასხვა რედაქციით არა, ყოველ შემთხვევაში განსხვავებული სტილითა და იდეოლოგიური საფანელით სხვადასხვა ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლები, სხვადასხვა ფილოსოფიურ-თეოლოგიური მრწამსის მოღვაწენი.

5. ერთი და იგივე თხზულება ქართულად ითარგმნებოდა სხვადასხვა რედაქციით. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რა მიზნით თარგმნიდა ძეგლს ქართველი მოღვაწე. ამიტომაც ეხვდებით შემოკლებულ და სრულ თარგმანებს, სხვადასხვა თხზულებების კომპენდიუმებს (ამ მხრივ დამახასიათებელია ექვთიმე ათონელის მოღვაწეობა).

ეფიქრობთ, ქართველი მოღვაწეების მთარგმნელობითი პრაქტიკის გასათვალისწინებლად კარგი იქნება დავასახელოთ ბერძნულ-ბიზანტიური მწერლობის რამდენიმე ნიმუში, რომელნიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა რედაქციით ითარგმნა ქართულად.

ქართულ მწერლობაში შემონახულა ბასილი კესარიელის შესანიშნავი ეგზეგეტიკური თხზულება „ექუსთა დღეთაჲ“ და მისი ძმისა და ამ თხზულების გამგრძელებლის გრიგოლ ნოსელის ნაწარმოები „კაცისა შესაქმისათჳს“. აღნიშნული თხზულებები ქართულად ორ-ორჯერ ითარგმნა.

უკანასკნელ დრომდე ცნობილი იყო ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲს“ ერთადერთი თარგმანი, რომელიც XI საუკუნის შუა ხანებში შეუსრულებია გიორგი მთაწმიდელს,[7] ხოლო 1960 წელს იერუსალიმის ქართული ხელნაწერების მიკროფილმებში აღმოჩნდა იმავე თხზულების ადრინდელი თარგმანი. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის გამომცემელი მ. კახაძე ფიქრობდა, რომ თარგმანზე დართულ ანდერძში სიტყვები „ღმერთმან იგი პირველნიცა თარგმანნი აჳთხენ[ინ], დიდად ჴელი აღმიპყრესო“ გულისხმობს არა ადრინდელ თარგმანს ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით, არამედ კომენტარს, თარგმანებას.[8] თავის დროზე ეს მოსაზრება კ. კეკელიძემ გაუგებრობად მიიჩნია,[9] ხოლო შემდგომმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა მხცოვანი მეცნიერის ეჭვი. დღეს ამ თხზულების ადრინდელი რედაქციაც გამოცემულია.[10] ამ რედაქციის გამომცემელი ილ. აბულაძე სავსებით სამართლიანად თელის, რომ გიორგი მთაწმიდელი იცნობდა „ექუსთა დღეთაჲს“ ადრინდელ თარგმანს და სარგებლობდა კიდეც იმით. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ გიორგი სინონიმური პარალელისა და ჰენდიადისის შემადგენელ ნაწილად ძველი თარგმანის სიტყვას იყენებდა.[11] ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის (ასქინო ← σχῖνος, კჳრიონი ← ἀκκυών, ჴიპოსი ← γύψ, γυπός) ანალიზს ილ. აბულაძე მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ „ექუსთა დღეთაჲს“ ძველი თარგმანი შესრულებულია არაბული ენიდან,[12] ე. ი. ეფრემ მცირის ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, წარმოადგენს ბასილის თხზულების „შვილისშვილს“. კ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ ძველი, მის დროს ჯერ კიდევ გამოუცემელი თარგმანი „ექუსთა დღეთაჲსა“, შესაძლოა, სომხურიდანაც მომდინარეობდა. „ეს გარემოებაც, — წერს მკვლევარი, — სხვათა შორის აიძულებდა გიორგის ხელმეორედ ეთარგმნა ის“.[13] მასვე სომხურიდან თარგმნილად მიაჩნია გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათჳს“ ადრინდელი

---

[7] ბასილი დიდი, „ექუსთა დღეთაჲ“, გიორგი მთაწმიდელის თარგმანი. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (25)“, თბილისი, 1947.

[8] იქვე, 073.

[9] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1960, გვ. 463.

[10] უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილ. აბულაძემ, თბილისი, 1964.

[11] იქვე, გვ. 15.

[12] ილ. აბულაძე, დასახელებული გამოცემის შესავალი, გვ. 20.

[13] კ. კეკელიძე, Op. cit., გვ. 462.

(გიორგი მთაწმიდელამდელი) თარგმანი, ამაზე აზრს იზიარებენ L. Blake და ლ. მელიქსეთ-ბეგი.[14] ხოლო ილ. აბულაძე თვლის, რომ ეს თარგმანიც შეიძლება არაბულიდანვე მომდინარეობდეს.[15]

როგორც არ უნდა იყოს, ამ ორიგე ეგზეგეტიკური თხზულების ადრინდელი თარგმანები ბასილისა და გრიგოლის ნაწარმოებთა „შვილიშვილებია" და გასაგებია, რომ გიორგი მთაწმიდელმა ხელმეორედ თარგმნა ისინი.[16]

ქართული მწერლობის ისტორიაში ცნობილია იაკობის ჯამისწირვის რამდენიმე რედაქცია. კ. კეკელიძე წერდა: „იაკობის ჯამისწირვა, როგორც ცნობილია, საუკუნეთა განმავლობაში თანდათან იცვლიდა სახეს: იმაში შეჰქონდათ ახალი ლოცვები, ძველებიდან ზოგიერთს აგდებდნენ ხოლმე, რიგი და თანმიმდევრობა ლოცვებისა იცვლებოდა, ტექსტში შეჰქონდათ სხვადასხვა ხასიათის „განგებანი" და ა. შ. ამ პროცესს, ჩანს, თვალყურს ადევნებდნენ ჩვენშიაც და ამიტომ არის, რომ ქართულ ხელნაწერებში შემონახულა ოთხი სხვადასხვა რედაქცია იაკობის ჯამისწირვისა".[17]

ძველ ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაში კურიოზულ შემთხვევებთანაც გვქონდა საქმე, როცა სხვა ენიდან თარგმნიდნენ თხზულებას, რომელიც ოდესღაც ქართულიდან იყო ნათარგმნი ან ორიგინალური, ქართული იყო. მაგალითად, 1899 წელს ნ. მარმა აღმოაჩინა შუშანიკის მარტვილობის მოკლე რედაქცია.[18] ეს რედაქცია, როგორც ფიქრობენ, თარგმნილი უნდა იყოს სომხურიდან 940 წლამდე.[19] იაკობ ცურტაველის ორიგინალური თხზულება სხვა რედაქციით და თარგმნის გზით ხელმეორედ დაუბრუნდა ქართულ მწერლობას!

ამ მხრივ, სხვათა შორის, საინტერესოა აგრეთვე პროკლე დიადოხოსის „კავშირნის" ქართულად თარგმნის ისტორია. ჩვენამდე მოაღწია იოანე პეტრიწის მიერ პროკლე დიადოხოსის თხზულების ბერძნულიდან შესრულებულმა თარგმანმა, რომელსაც ერთვის მთარგმნელის კომენტარები, ძველი ქართული ფილოსოფიის შესანიშნაი ძეგლი.[20] 1248 წელს შუა საუკუნეების ფილოსოფიის ეს ერთერთი უმნიშვნელოვანესი თხზულება ქართულიდან სომხურად თარგმნა სვიმეონ ბერმა.[21] ამ სომხურ თარგმანში გადაეიდა იოანე პეტრიწის კომენტარებიც. 1651 წ. სვიმეონ ეპისკოპოსმა დაწერა „კავშირნის" საკუთარი კომენტარები. 1757 წელს ფილიპე ყაითმაზაშვილმა პროკლეს „კავშირნი" სვიმეონ ეპისკოპოსის კომენტარებითურთ სომხურიდან თარგმნა ქართულად. ამრიგად, ქართულ მწერლობას ხელმეორედ დაუბრუნდა ეს თხზულება, რა თქმა უნდა, დამახინჯებული სახით. ამიტომ გასაგებია ანტონ კათალიკოსის განაჩენი ამ ახალი თარგმანისადმი, რომელიც მას „გარყვნილად" მიაჩნია ვინმე ტერტერას მიერ.[22]

შეიძლებოდა მოგვეყვანა სხვა მაგალითებიც, მაგრამ, ეფიქრობთ, ნათქვამი საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ მიუხედავად ერთგვარი შეზღუდვისა, რომელიც ახასიათებს ძველ ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკას, ერთი და იმავე თხზულების რამდენიმეგზის თარგმნის შემთხვევები არც ისე იშვიათია. მაგრამ

---

[14] იქვე, გვ. 462; აგრეთვე – Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem, par. R. P. Blake, 1924, 89; Л. М. Меликсет-Беков, К истории точных наук в Армении и Грузии, Тифлис, 1930, 192.

[15] ილ. აბულაძე. Op. cit., გვ. 25-26.

[16] "კაცისა შესაქმისათჳს" გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი 1963 წელს მოვამზადეთ გამოსაცემად, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ჯერჯერობით ვერ გამოვაქვეყნეთ.

[17] Op cit., გვ. 581.

[18] Н. Марр, Из поездки на Афон, ЖМНП, Март, 1859.

[19] კ. კეკელიძე, Op.cit., გვ. 119.

[20] თარგმანი და პეტრიწის კომენტარები გამოიცა ორ ტომად: იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევაც დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, 1937, ტ. I, ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევაც და ლექსიკონი დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, 1938 (1940) წ.

[21] ილ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, ენიმკის „მოამბე", III, გვ. 123-134.

[22] კ. კეკელიძე, Op. cit., გვ. 383.

მაინც, როცა ეხედებით რამდენიმე რედაქციას, საჭიროა გავარკეიოთ თუ რა პირობებში და რა მიზეზით ხდებოდა ამა თუ იმ თხზულების ხელმეორედ თარგმნა.

მეტად საინტერესოა იოანე დამასკელის ცნობილი დოგმატიკური თხზულების „გარდამოცემის“ ქართული თარგმანების ისტორია. ქართულ ენაზე იოანე დამასკელის „ცოდნის წყაროს“ (Πηγὴ γνώσεως) ორი ნაწილის თარგმანები გვაქვს სრულად. ეს არის „დიალექტიკა“ და „გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისაჲ“, რომელნიც წარმოადგენენ Πηγή-ს, პირველ და მესამე ნაწილს, ხოლო მეორე ნაწილი – „წვალებათათჳს“ ქართულად არ არის თარგმნილი.

ქართულად შემონახულია „გარდამოცემის“ სამი თარგმანი, სამივე შესრულებულია ბერძნული ენიდან ისეთი შესანიშნავი მთარგმნელების მიერ, როგორნიც იყვნენ ექვთიმე ათონელი, ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი. რამ გამოიწვია ამ თხზულების სამი რედაქციით არსებობა ქართულ ენაზე? ყველა თარგმანი შესრულებულია დედნიდან, ყოველმა შემდგომმა მთარგმნელმა იცოდა, რომ არსებობდა ადრინდელი თარგმანი, ეფრემ მცირე, როგორც ქვემოთ ვნახავთ, აფრთხილებდა კიდეც მკითხველს, ჩემს თარგმანს ექვთიმეს თარგმანში ნუ გაურევთო, არსენმა არამც თუ იცოდა ეფრემის თარგმანის არსებობა, არამედ თვითონაც ეხმარებოდა მუშაობის დროს, ხოლო შემდეგ მაინც მესამედ თარგმნა იგივე თხზულება! აი, ძირითადი საკითხები, რომელთა გამოც „გარდამოცემის“ თარგმნის საკითხს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული მწერლობის ისტორიაში. სხვა ასეთი შემთხვევა ჩვენმა ლიტერატურამ არ იცის! სამართლიანად აღნიშნავს კ. კეკელიძე, რომ ამ საკითხების გასარკვევად „საჭიროა შედარებითი შესწავლა ამ ორი რედაქციისა“[23] (ეფრემის და არსენის თარგმანებისა).

მაგრამ სანამ შევუდგებოდეთ ქართული თარგმანების შესწავლას, საჭიროდ მიგვაჩნია, ზოგადად მაინც, შევეხოთ საკითხს იოანე დამასკელის შემოქმედების, განსაკუთრებით კი ჩვენთვის საინტერესო თხზულების შესახებ.

[23] კ. კეკელიძე, Op. cit., გვ. 297.

თავი პირველი

იოანე დამასკელის „ბარდამოცემა"

იოანე დამასკელის ცხოვრება და შემოქმედება

ცოტა რამ ვიცით ბიზანტიური მწერლობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენლის იოანე დამასკელის ცხოვრებიდან, ცოტა ვიცით და ისიც არა უტყუარი. ძირითადი წყარო იოანე დამასკელის ბიოგრაფიის დასადგენად არის მისი „ცხოვრების" ბერძნული და არაბული რედაქციები. 1897 წელს ა. პაპადოპულო-კერამევსმა პეტერბურგში გამოსცა იოანე დამასკელის „ცხოვრების" ორი ბერძნული ტექსტი,[1] ხოლო ადრინდელი გამოცემა მოთავსებულია Migne-ის Patrologia Graeca-ში[2] (იგი ეკუთვნის იერუსალიმის პატრიარქს იოანეს). გვაქვს აგრეთვე დამასკელის ლათინური Vita, რომელიც თარგმნილია ბერძნულიდან.[3] 1912 წელს Bacha-მ გამოსცა არაბული Vita, რომლის ავტორია მიქაელი.[4] გარდა ამისა, არსებობს სასულიერო მწერლების ცნობებიც იოანე დამასკელის ცხოვრების შესახებ.[5]

მაგრამ მიუხედავად ამისა, მკვლევარები ეჭვის თვალით უყურებენ იოანე დამასკელის ბიოგრაფიის ხან ზოგ წყაროს,[6] ხან ყველას ერთად,[7] ზოგი კი უტყუარად მიიჩნევს მათ,[8] თუმცა ასეთნი ერთეულები არიან.[9]

ბიოგრაფები ზოგადად ასე წარმოგვიდგენენ იოანე დამასკელის ცხოვრებას. იოანეს მამა იბნ სერჯუნი მანსური დამასკოს ხალიფატში დიდი გავლენით სარგებლობდა, იყო ხალიფის მთავარი ლოგოთეტი. თავის მდგომარეობას იგი იყენებდა ქრისტიანობის გასაძლიერებლად. ცდილობდა შვილისათვის მიეცა ქრისტიანული მწერლობის ცოდნა. ამ მიზნით მან ვინმე კოზმას დაუმოწაფა იოანე და მისი ძმობილი კოზმა, შემდგომში მაიუმის ეპისკოპოსი. მამის გარდაცვალების შემდეგ იოანემ ხალიფის კარზე შესცვალა თავისი მშობელი. 726 წელს იმპერატორმა ლეონ ისავრიელმა დაიწყო ბრძოლა ხატების წინააღმდეგ, ხოლო ოთხი წლის შემდეგ ედიქტით აკრძალა კიდეც ისინი. ამან გამოიწვია იოანე დამასკელის ცნობილი პოლემიკური სიტყვები ხატმებრძოლობის წინააღმდეგ. იმპერატორს არ შეეძლო დაესაჯა ხალიფის ქვეშევრდომი იოანე და ამიტომ ხერხს მიმართა: ყალბი წერილი შეადგენინა, რომლითაც თითქოს ააშკარავებდა, რომ იოანე ხალიფატს ღალატობდა და იმპერატორის გულის მოგებას ცდილობდა. ეს, ეითომცდა იოანეს ხელით დაწერილი წერილი, ლეონმა „კეთილმეზობლურად" გაუგზავნა ხალიფას. ხალიფა გულუბრყვილოდ წამოეგო ანკესზე და უბრძანა,

---

[1] Ἀνάλεκτα Ἱεροσολυμιτικῆς σταχυολογίας... ὑπὸ Α. Παπαδοπούλου-Κεραμέως, IV, ἐν Πετρουπόλει, 1987, σ. 270-350, V, 1898, 406-407.

[2] t. 94, col. 430-489.

[3] PG, t. 94, col. 489-500.

[4] Biographie de Saint Jean Damascène. Texte original arabe, Publié pour la première fois par le P. Consantin Bacha. Imprimerie Grecque Melchide de Saint Paul Harissa, 1912; ჯ. კეკელიძის აზრით, ეფრემ მცირეს შეგობრული ურთიერთობა ჰქონია იოანეს ცხოვრების არაბულად აღმწერელ მიქაელ ბერთან და შესაძლოა ამაეე Vita-ს ბერძნულად მთარგმნელ სამუელთანაც, რომლის შრომაც მან ქართულად თარგმნა (К. Кекелидзе, Грузинская версия арабского жития Иоанна Дамаскина, «Хр. Восток», III ,119-126).

[5] PG, t. 94, col. 504-514.

[6] Б. Мелиорванский, Георгий Кипрянин и Иоанн Иерусалимлянин, два малоизвестных борца за православие в VIII веке, СПб, 1901, стр. 96.

[7] Berthold Altaner, Patrologie, Leben, Schriften und Lehre der Kirchenväter, V Auflage, Freiburg, 1958, p. 488.

[8] П. Попов, Иоанн Дамаскин, Краткий очерк, 1915; ალექსი კონსტანტინეს ძე ტოლსტოიმ იოანე დამასკელის ცხოვრებაზე პოემაც კი შექმნა («Иоанн Дамаскин, поэма», журн. «Русская Беседа», 1859, кн. 13, стр. 3-30), ახლახან ი. სიხნელნიკოვმა ჟურნალში «Наука и Религия» (Москва, 1964. № 10, стр. 88-89) გამოაქვეყნა სტატია იოანე დამასკელზე, რომელშიც ათეისტური პოზიციიდან განიხილა დამასკელის „ბიოგრაფიას" ძირითადი მომენტები, როგორც რეალური.

[9] კრიტიკული მიმოხილვა დამასკელის „ბიოგრაფიებისა" იხ. Johannes von Damaskus, von Langen, Gotha, 1879.

რომ „მოღალატისათვის“ მარჯვენა მოეკვეთათ. იოანემ მხურვალე ლოცვით მიმართა ღვთისმშობელს და მოხდა სასწაული. მოკვეთილი მარჯვენა, რომელიც დასამარხად დაუბრუნეს იოანეს, მხარზე მიეწება და გამთელდა! ამის შემდეგ იოანე საბას მონასტერში აღიკეცა, მაგრამ მოსვენება არც აქ ეღირსა, მონასტრის წინამძღვარი მას კარგახანს უკრძალავდა წერას.

იოანეს გარდაცვალების წელი ზუსტად არ არის ცნობილი, ყოველ შემთხვევაში, იგი 754 წელს არ უნდა იყოს ცოცხალი, რადგან ამ წლის საეკლესიო კრებაზე ხატის მებრძოლებმა, როგორც უკვე გარდაცვლილი, შეაჩენეს.[10] არის ცდა მისი გარდაცვალების თარიღის კიდევ უფრო დაზუსტებისა, თითქოს იოანე უნდა გარდაცვლილიყო 749 წლის 4 დეკემბერს.[11]

იოანე დამასკელის ბიოგრაფიიდან უტყუარად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ კოზმა მაიუმელი და იოანე მართლაც მეტად დაახლოებული უნდა ყოფილიყვნენ. იოანემ კოზმას მიუძღვნა თავისი უმნიშვნელოვანესი თხზულება „წყარო ცოდნისა“. მათ სიახლოვეზე მეტყველებს აგრეთვე მათი პოეტური შემოქმედებაც.[12]

1960 წელს ქართველ მეცნიერთა ექსპედიციამ ი. აბაშიძის, ა. შანიძის და გ. წერეთლის შემადგენლობით პალესტინიდან, ჯვრის მონასტრიდან გადმოიღო ფრესკის ფოტოასლი, რომელზედაც გამოხატულია შოთა რუსთაველთან ერთად იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის პორტრეტები. იმის დამტკიცების ცდა, რომ აქ იოანე დამასკელი მაქსიმე აღმსარებლის წინააღმდეგ არის სასულიერო პოეზიის ეტალონის გამომხატველი, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს დამაჯერებელი.[13] მართალია, იოანე დამასკელი ცნობილია როგორც შესანიშნავი პოეტი, მისმა კანონებმა (κανόνες) ერთხანს დაიწყებას მისცეს კიდეც რომანოზ მელოდოსის შესანიშნავი კონტაკიონები, მართალია ისიც, რომ აღფრთოვანებული სვიდა ამბობდა: „იოანეს და კოზმას სასიმღერო კანონები ყოველგვარი შედარების გარეშე არიან და იქნებიან ვიდრე აღსასრულამდე ჩვენი ცხოერებისაო“,[14] მაგრამ ეს მაინც არ გვაძლევს საბუთს დავასკვნათ, რომ იოანეს ავტორიტეტი უპირველესად მისმა სიმღერებმა შეუქმნეს. სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ს. ყაუხჩიშვილი: „იოანე დამასკელი, პირველ ყოელისა, არის დიდი საეკლესიო მოღვაწე; მან ჩამოაყალიბა ის დოგმატიკა, რომელიც საშუალო საუკუნეების მთელ მანძილზე ბატონობდა ბერძნულ-მართლმადიდებლურ ეკლესიაში“.[15]

ასე, რომ თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ჯვრის მონასტრის ფრესკას, მაშინ უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ იოანე დამასკელი და მაქსიმე აღმსარებელი ერთსა და იმავე აზრს გამოხატავენ, პოეტად კი აქ მხოლოდ რუსთაველი იგულისხმება.

იოანე დამასკელი მეტად მრავალმხრივი და ნაყოფიერი მწერალი იყო, მას ეკუთვნის მრავალი დოგმატური, პოლემიკური, ეგზეგეტიკური, ასკეტიკური, ჰომილეტიკური, ჰიმნოგრაფიული თხზულება. დავასახელებთ რამდენიმე მათგანს:

ა) დოგმატიკური: Πηγὴ γνώσεως (წყარო ცოდნისა), Λίβελλος περὶ ὀρθοῦ φρονήματος (წიგნაკი სწორი აზროვნების შესახებ), Περὶ τῆς ἁγίας Τριάδος (წმიდა სამების შესახებ), Περὶ τοῦ τρισαγίου ὕμνου (სამწმიდა ჰიმნის შესახებ), Εἰσαγωγὴ δογμάτων στοιχειώδης (მარტივი შესავალი დოგმატიკისა);

---

[10] ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1963, გვ. 171.

[11] Vailhé, Date de la mort de S. Jean Damascène, Échos d'Orient, 1906, 28-31. ამავე თარიღს კითხვის ნიშნით აღნიშნავს Berthold Altaner-ი (Op. cit., 488).

[12] ს. ყაუხჩიშვილი, loco cit.

[13] პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებ., ტ. I, 1963, გვ. 830, ამ მოსაზრების კრიტიკა იხ. ალ. ბარამიძის რეცენზიაში (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, 1964, გვ. 408).

[14] ს. ყაუხჩიშვილი, Op. cit., გვ. 172.

[15] იქვე, გვ. 171. საინტერესოა ის გარემოება, რომ მე-19 საუკუნეშიც კი აღმოსავლეთისა და დასავლეთის (კათოლიკური) ეკლესიები ცდილობენ იოანე დამასკელის დოგმებს რამენაირად გვერდი აუარონ, რათა ამით დაფარონ ურთიერთ შორის განხეთქილება (Богородский, Ученис Иоанна Дамаскина об исхождении св. Духа, изложенное в связи с тезисами боннской конфедерации, 1879).

ბ) პოლემიკური: Πρὸς τοὺς διαβάλλοντας τὰς ἁγίας εἰκόνας (წმიდა ხატების უარმყოფელთა მიმართ); Πρὸς τὸν ἐπίσκοπον τοῦ Δαραίας τὸν Ἰακωβίτην (დარაიელ იაკობიტ ეპისკოპოსის მიმართ), Κατὰ Μανιχαίων διάλογος (დიალოგი მანიქეველთა წინააღმდეგ), Διάλεξις σαρακηνοῦ καὶ χριστιανοῦ (კამათი სარკინოზსა და ქრისტიანს შორის), Περὶ συνθέτου φύσεως (რთულისათჳს ბუნებისა), Περὶ τῶν ἐν τῷ Χριστῷ δύο θελημάτων (ორთა ნებათათჳს ქრისტესსა), Κατὰ τῆς αἱρέσεως τῶν Νεστοριανῶν (ნესტორიანელების წვალებათა წინააღმდეგ), Διάλεξις Ἰοάννου ὀρθοδόξου πρὸς Μανιχαῖον (იოანე მართლმადიდებლის კამათი მანიქეველებთან), Περὶ πίστεως κατὰ Νεστοριανῶν (ნესტორიანელების წინააღმდეგ რწმენისათჳს);

გ) ასკეტიკური: Περὶ τῶν ἁγίων νηστειῶν (წმიდათა მარხვათათჳს), Περὶ τῶν ὀκτὼ τῆς πονηρίας πνευμάτων (ბოროტების რვათა სულთათჳს), Περὶ ἀρετῶν καὶ κακιῶν (კეთილისა და ბოროტისათჳს);

დ) ჰიმნოგრაფიული: Στιχηρὰ ἀναστάσιμα (სააღდგომო ღღესასწაულებისა), Ἰδιόμελα (სიმღერები მელოდიითურთ); Κανόνες (კანონები).

ცალკე უნდა აღინიშნოს იოანე დამასკელის ერთი თხზულება, რომელსაც ეწოდება Ἱερὰ παράλληλα (წმიდა პარალელები). აქ საღმრთო წერილის მონაცემები შედარებულია ეკლესიის „მამათა“ ნააზრევთან.[16]

გარდა აღნიშნული თხზულებებისა იოანე დამასკელს ეკუთვნის რამდენიმე ჰომილია, მათ შორის, მაგალითად, ქართულად თარგმნილია „ლეღუსათჳს განჴმელისა“.[17] აგრეთვე პაელე მოციქულის ეპისტოლეების ეგზეგეტიკური თხზულება— თარგმანება, რომელიც თუ პერიფრაზირება არა, ყოველ შემთხვევაში მიბაძვა მაინც არის იოანე ოქროპირის, თეოდორიტე კჳრელის და კირილე ალექსანდრიელის ანალოგიური თხზულებებისა. იოანე დამასკელის დოგმატურ და პოლემიკურ თხზულებებში დასმულია ისეთი საკითხები, რომლებიც სისტემატური სახით გადმოცემულია მის მთავარ თხზულებაში – Πηγή-ში, როგორიც არის, მაგალითად, „წმიდისა სამებისათჳს“, „სამწმიდა ჰიმნისათჳს“, „მარტივი შესავალი დოგმატიკისა“, „წმიდა ხატების უარმყოფელთა მიმართ“, „რთულისათჳს ბუნებისა“, „ორთა ნებათათჳს ქრისტესსა“, და სხვა. Πηγὴ γνώσεως-ის შესაქმნელად აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღრექრისტიანული ლიტერატურის გათვალისწინებას. რომ იოანე ასე გულმოდგინედ მუშაობდა საღვთო წერილისა და ეკლესიის მამათა ნააზრევის შესასწავლად, ეს თვალნათლივ ჩანს მის თხზულებაში Ἱερὰ παράλληλα.

იოანე დამასკელს მიეწერება აგრეთვე „ბალაჳარიანის“ ბერძნული რედაქცია, მაგრამ ამ მოსაზრების მომხრენი ბიზანტიურ მწერლობაში X საუკუნემდე ვერაჲთარ ცნობას ვერ პოულობენ „ბალაჳარიანის“ ბერძნულად არსებობის შესახებ. ჩვენამდე მოაღწია ამ თხზულების ბერძნულმა ხელნაწერებმა მხოლოდ XI საუკუნიდან. მიუხედავად ამისა, დღესაც კი იოანე დამასკელის ავტორობას თაგამოდებით იცავს დასავლეთ ეეროპის ზოგიერთი მეცნიერი, განსაკუთრებით კი ცნობილი ბიზანტინოლოგი F. Dölger-ი. 1953 წ. გამოქვეყნებულ გამოკვლეჳას F. Dölger-მა ასეთი სათაური მისცა: „ბერძნული ვარლაამის რომანი იოანე დამასკელის თხზულებაა“.[18] მას ცოტა ჰყავს მომხრენი, მაგრამ მიუხედავად ამისა ჯერ

---

[16] იოანე დამასკელის თხზულებები გამოცემულია Migne-ის Patrologia Graeca-ს 94, 95 და 96 ტომებში. 96-ე ტომში გამოცემულია აგრეთვე „ვარლაამისა და იოსაფატის“ რომანიც, რომელსაც დამასკელს მიაწერდნენ (ამ თხზულების სხვა გამოცემებიც არსებობს). უკანასკნელ ხანებში დამასკელის თხზულებათა სრული კრებულის გამოსაცემად I. Hoeck-ისა და F. Dölger-ის ხელმძღვანელობით გაჩაღდა მუშაობა შვეიცარის ბიზანტინოლოგიურ ინსტიტუტში, ბერნშიაში (F. Dölger, Die Iohannes-Damaskenos-Ausgabe des Byzantinischen Instituts Scheyern, ჟურნ. „Byzantion“, Revue Internationale des Etudes Byzantines, t. XX, Bruxelles, 1950, გვ. 303-14).

[17] ეფრემ მცირის თარგმანი: ქუთ. № 8, 284-289, A 129.

[18] F. Dölger, Der griechische Barlaam-Roman – ein Werk des Iohannes von Damaskos, 1953. Buch – Kunstverlag Ettal, I. Heft.

კიდევ ვხედებით ბერძნული ბალავარიანის გამოცემებს, რომელნიც ავტორად ეჭვით, მაგრამ მაინც იოანე დამასკელს ასახელებენ.[19]

ერთხანს მიყუჩებული დავა იოანე დამასკელის ავტორობის შესახებ ახალი ძალით გაჩაღდა F. Dölger-ის გამოკვლევის გამოქვეყნების შემდეგ. საფუძვლიანი რეცენზიები გამოაქვეყნეს ამ საკითხზე და დიამეტრალურად საწინააღმდეგო დებულებები წამოაყენეს ბელგიელმა ფრანსუა ალკენმა,[20] ინგლისელმა ქართველოლოგმა დევიდ ლანგმა,[21] ბერძენმა მკვლევარმა ვ. ლაურდასმა.[22] აქვე უნდა დაეასახელოთ გამოკვლევები ქართველ მეცნიერთა – ქ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის და ს. ყაუხჩიშვილის.[23] F. Dölger–მა შემდგომშიც რამდენიმე სტატია მიუძღვნა ამავე საკითხს, სადაც ცდილობდა დაეცვა თავისი დებულებები,[24] მაგრამ მან ახალი რაიმე საბუთი თავისი დებულების დასამტკიცებლად ვერ მონახა. მკვლევარები ბერძნული ბალავარიანის შექმნას უკავშირებენ ქუთაისის ათონელის სახელს. ყოველ შემთხვევაში, მეცნიერთა აბსოლუტურ უმრავლესობას გაუგებრობად მიაჩნია ამ თხზულების მიკუთვნება იოანე დამასკელისადმი, ამიტომ, ცხადია, ჩვენ „ბალავარიანს" ვერ განვიხილავთ იოანე დამასკელის შემოქმედების შესწავლის დროს.

იოანე დამასკელის მთავარი თხზულება, რომელმაც მას მსოფლიო ქრისტიანულ მწერლობაში შეურყეველი ავტორიტეტი მოუპოვა და რომელიც საფუძვლად დაედო აღმოსავლურ-ბერძნულ, ანუ მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებას, არის დიდტანიანი დოგმატური ნაწარმოები Πηγὴ γνώσεως, ანუ „წყაროო ცოდნისა". ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ თხზულების სათაური მეტად ზუსტად გამოხატავს წიგნის დანიშნულებას. Πηγή მართლაც იმდროინდელი მეცნიერების თითქმის ყველა დარგის წყაროს წარმოადგენს, დაწყებული ანატომიით და დამთავრებული ასტრონომიით. თვით თხზულების კომპოზიციაც ისეა აგებული, რომ ავტორი მკითხველს თანდათანობით ამზადებს ქრისტიანული დოგმების მისაღებად. ეს ძეგლი შუა საუკუნეების მწერლობის ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს, წყაროს, რომელიც შეუნელებლად მდინარებდა ჩვენი ძველი სახელოვანი მწერლების შემოქმედებაში, წყაროს, რომელსაც ეწაფებოდნენ არა მარტო სასულიერო მხატერული სიტყვის ოსტატები, არამედ საერონიც. დამასკელის თხზულებებს თავის დროზე სწავლობდა შოთა რუსთაველიც და შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენი საამაყო პოეტის ერთადერთი პორტრეტი, რომელიც ჯვრის მონასტრის ფრესკას შემოუნახავს, მოთავსებულია იოანე დამასკელის გამოსახულებასთან ერთად.

„წყაროო ცოდნისა" იწყება მიმართვით კოზმა მაიუმელისადმი. ეს მიმართვა მრავალმხრივ არის საინტერესო, განსაკუთრებით იმით, რომ ავტორი აქ გადმოსცემს თხზულების დანიშნულებას. „პირველ ყოველისა, – წერს დამასკელი, – გადმოვცემ იმას, რაც საუკეთესო აქვთ ელინთა ბრძენებს, რადგან ვიცი, რომ თუ მათ რამე

---

[19] St. John Damascene, Barlaam and Ioasaph, with an english translation by the Rev. G. R. Woodward, M. A. Mus. D., (Sometive scholar of Gonville and Caius college, Cambrige) and H. Mattingly, M. A., London, 1953. აქ ინგლისურ თარგმანთან ერთად გამოცემულია ბერძნული ტექსტიც.

[20] Fr. Halkin, Analecta Bollandiana, tome LXXI, Bruxelles, 1955, გვ. 475-478.

[21] D. M. Lang, St. Euthymius the Georgian and the Barlaam and Ioasaph romance: Bulletin of the School of Oriental and African Studies University of London, 1955, Vol. XVII, part. 2. გვ. 306-325. ქართულად ეს სტატია თარგმნა ალ. გამყრელიძემ („მნათობი", 1956 წ., № 3, გვ. 155-168).

[22] Ἐπετηρὶς Ἑταιρίας Βυζ. Σπουδῶν, 24, 1955.

[23] ქ. კეკელიძე, ბალავარის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში, „ლიტერატურული ძიებანი", ტ. XI, 1958, გვ. 145-172; ამ ნაშრომის ძირითადი დებულებები განმეორებულია მისსავე „ქართული ლიტერატურის ისტორიაში" (ტ. I, 1960, გვ. 187-190); შ. ნუცუბიძე, ქართული ლიტერატურისა და კულტურის საკითხები თანამედროვე დასავლურ მეცნიერებაში, „მნათობი", 1956, № 3, მისივე – К происхождению греческого романа «Варлаам и Иоасаф», Т6. 1956; ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ. 1963, გვ. 206-238.

[24] ჟურნ. Byzant. Zeitschrift, 1955, № 43, გვ. 215, იქვე, 1957 წ., ტ. 50, ნაკ. 2 და სხვ. კრიტიკული მიმოხილვა ლიტერატურისა ამ საკითხზე მოცემულია შ. ნუცუბიძის წიგნში К происхождению греческого романа «Варлаам и Иоасаф» და სტატიაში – „ქართული ლიტერატურისა და კულტურის საკითხები თანამედროვე დასავლურ მეცნიერებაში".

აქეთ კარგი, ეს მადლი ღვთის მიერ მაღლით მინიჭებიათ“ (PG, t. 94, 524), მათი ნააზრევიდან, როგორც ფუტკარი, ამოეწუწნი ჭეშმარიტებას. ამის შემდეგ ვიტყვი მწვალებელთა შესახებ, ხოლო ბოლოს „ღვთის შეწევნით და მეოხებით გადმოვცემ ჭეშმარიტ მოძღვრებას“ (PG. loco cit.). იოანე დამასკელი თავმდაბლურად აუწყებს კოზმას: – აქ ჩემი არა არის-რა, მე მხოლოდ შევკრიბე და გადმოვეცი, რაც ჩემამდე გაუკეთებიათ წმიდა მამებსო (PG, 94, 525).

Πηγή-ს პირველი ნაწილი წარმოადგენს ე. წ. „დიალექტიკას“, რომელსაც ბერძნულ დედანში ეწოდება Κεφάλαια φιλοσοφικά (ფილოსოფიური თავები), მეორე ნაწილს ეწოდება „წვალებათათუს“ (Περὶ αἱρέσεων), ხოლო მესამე, ძირითად ნაწილს, რომელშიც დამასკელი ცდილობს „ჭეშმარიტი მოძღვრების“ გადმოცემას – Ἔκδοσις ἀκριβὴς τῆς ὀρθοδόξου πίστεως (“გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისაჲ“). ამრიგად, „დიალექტიკა“ წარმოადგენს თხზულების ძირითადი ნაწილისათვის – „გარდამოცემისათვის“ ფილოსოფიურ შესავალს, ხოლო „წვალებათათუს“ – ისტორიულ შესავალს, რადგან აქ სხვადასხვა სახის წვალებათა განმარტებების გარდა მოცემულია მათი წარმოშობის ისტორიაც.

განვიხილოთ Πηγή-ს სამივე ნაწილი შინაარსობლივად.

I. დიალექტიკა (PG, t. 94, 525-676). Πηγή-ს ეს ნაწილი დიდად დავალებულია წარმართული ფილოსოფიით, განსაკუთრებით კი არისტოტელეს ონტოლოგიით. ანტიკური ფილოსოფიის მოძღვრებანი ავტორს მოუტანია ქრისტოლოგიურ დოგმათა დასამტკიცებლად. დიდ გავლენას განიცდის დამასკელი ამონიოსისა და აგრეთვე პორფირიოსის Εἰσαγωγή-სი (“შესავალი არისტოტელეს კატეგორიებისა“). არისტოტელეს „კატეგორიები“ დამასკელს გადმოცემული აქვს XXXI-XL თავებში: (“განწვალებაჲ მყოფისა და არსებისაჲ“, „მერმეცა თანამონათესავეთა და თანამოსახეთა, სხუანათესაცა და სხუასახეთა და რიცხუთა განყოფილთათუს“, „რაოდენისათუს და რაოდენობისა“, „რაჲსამე მიმართთათუს“, „ვითარისათუს და ვითარისა“, „ქმნისა და შეხუდომისათუს“, „მდებარეობისათუს“, „სადაჲსათუს“, „ოდესისათუს“, „ქონებისათუს“, „წინააღმდგომთათუს“). ხოლო პორფირიოსის „შესავალს“ ეძღვნება დიალექტიკის IX-XXX თავები: „გუამოენისა და უგუამოჲსათუს“, „არსებისათუს, და ბუნებისა, და ხატოვნებისა განუკუეთელისა, და პირისა და გუამისა“, „განწუალებისათუს“, „ბუნებით უპირველესისათუს“, „განსაზღერებისათუს“, „სახელმოდგამთათუს“, „თანამოსახელეთათუს“, „მრავალსახელთათუს“, „სხუათათუს და სხუასახელთა“, „სახელნართაულთათუს“, „ათთა ნათესაოანთა ნათესავთათუს“, „თანამონათესავეთა და თანამოსახეთა, სხუანათესავთა და სხუასახეთა და რიცხუთა განყოფილთათუს“, „რასაშინაობისათუს“, „არსებისათუს“, „მერმეცა არსებისათუს“, „ბუნებისათუს“, „ხატოვნებისათუს“, „გუამისათუს“, „პირისათუს“, „განუკუეთელისათუს“, „გუამოენისათუს“, „უგუამოჲსათუს“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეკლესიის მიზნებისათვის იოანე დამასკელმა სცადა პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრების სიმფონია. მაგალითად, პლატონი აღიარებდა ორ სულს: გონიერსა და უგუნურს. არისტოტელე – სამს: მზრდელობითს ანუ აღმცნებლობითს, მგრძნობელობითს ანუ ცხოველობითს და გონიერს ანუ კაცობრივს. იოანე დამასკელი მისდევს პლატონის მოძღვრებას და ასხვავებს ადამიანებშიც ორ სულიერ საწყისს ან სულის ძალას (და არა სულს, როგორც პლატონი): გონიერს და უგუნურს, მაგრამ ამაეე დროს, ეყრდნობა რა არისტოტელეს მოსაზრებას, ამტკიცებს, რომ სულს სამი თვისება აქვს: λογιστικόν (გონიერი), θυμικόν (მგრძნობელობითი) და ἐπιθυμητικόν (სურვილობითი). θυμικόν და ἐπιθυμητικόν პლატონის მოძღვრებით არის უგუნური სულის ორი სხვადასხვა თვისება. სამართლიანად აღნიშნავს ამ საკითხის მკვლევარი პანტელეიმონი:

«Что касается душевных сил и способностей, то здесь мы встречаем у Дамаскина довольно сложную и не везде последовательную и ясную классификацию. Это явление объясняется тем, что Иоанн с одной стороны старался следовать принятой отцами платоновской классификации, с другой стороны, личные симпатии отвлекали его к Аристотелю, из которого никто, кажется, из отцов церкви не заимствовал так много, как Дамаскин».[25]

ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს არისტოტელეს გავლენა იგრძნობა მხოლოდ Πηγή-ს ფილოსოფიურ ნაწილში – დიალექტიკაში. თუ ამ შემთხვევაში დამასკელი სარგებლობს წარმართული ფილოსოფიის ცალკეული დებულებით, თხზულების ძირითად ნაწილში – „გარდამოცემაში" იგი უხვად იყენებს არისტოტელეს ლოგიკის ხერხებსაც. აღსანიშნავია, რომ დამასკელი ცდილობს მშრალად კი არ გადმოსცეს ესა თუ ის ქრისტიანული დოგმა, არამედ, სადაც ეს შესაძლებლად მიაჩნია, ცდილობს კიდეც მის დამტკიცებას. ამ მხრივ შეგვიძლია დავასახელოთ ერთი მაგალითი. „გარდამოცემის" მეხუთე თავში იოანე დამასკელი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ღმერთი ერთია და არა მრავალი. მას მოჰყავს ამონაწერები ძველი და ახალი აღთქმიდან მათთვის, ვისაც სწამს „საღმრთო წერილნი": „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან აღმოგიყვანე შენ ქუეყანით ეგუპტით. ამისთჳსცა არა იყვნენ შენდა ღმერთნი სხუანი თჳნიერ ჩემსა" (გამოსლვ. XX, 2), „ისმინე, ისრაჱლ, უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს" (მეორე სჯ., IV, 4), „მე ვარო, – იტყჳს ღმერთი, – პირველი და მეექ ამისსა შემდგომად, და თჳნიერ ჩემსა არა არს ღმერთი" (ისაია, XLI, 4), „პირველ ჩემსა არა იყო სხუა ღმერთ და შემდგომად ჩემსა არა იყოს და თჳნიერ ჩემსა არა არს" (ისაია, XLIII, 10-11), „ესე არს ცხორებაჲ საუკუნოჲ, რათა გიცოდიან შენ მხოლოჲ ჭეშმარიტი ღმერთი" (იოანე, XVII, 3).

მაგრამ დამასკელი გრძნობს, რომ მარტო ეს ციტატები არ არის საბუთი, ამიტომ მიმართავს მათაც, ვისაც არ წამს „საღმრთო წერილნი". თუ ღმერთი მრავალიაო, ამბობს იოანე, საჭიროა მათი დანაწილება, ხოლო განყოფილ-დანაწილებული არ შეიძლება იყოს სრული; რადგან თუ ერთ-ერთ ღმერთთაგანს რაიმე აკლია (იმის გამო, რომ არსებობს მეორე), ან ძალა, ან დრო, ან სივრცე და სხვა, იგი ვერ იქნება ღმერთი. თუ ღმერთი ყოველითურთ სრულია, იგი ერთი უნდა იყოს. ეფრემ მცირის თარგმანში ეკითხულობთ:

„აწ უკუე მრავალთა თუ ვიტყოდით ღმერთთა, საჭიროდ სახილველ იქმნეს განყოფილებაჲ მრავალთა შორის. რამეთუ უკუეთუ არცა ერთი იყოს განყოფილებაჲ მათ შორის, უფროჲსღა ერთი არს და არა მრავალნი. ხოლო უკუეთუ განყოფილებაჲ იყოს მათ შორის, სადა არს სრულებაჲ? რამეთუ გინათუ სახიერებაჲ, გინათუ ძალი, გინა სიბრძნე, გინა ჟამი, გინა ადგილი აკლდეს სრულისაჲ, არა იყოს იგი ღმერთ. ხოლო უკუეთუ ამით ყოველითა სრულ იყვნენ, ერთი სადმე არს და არა მრავალნი. რამეთუ ვითარ დაიცვას გარეშეუწერელობაჲ მრავალთა შორის? რამეთუ სადაცა იყოს ერთი, მუნ ვერღარა იყოს მეორეცა. ანუ ვითარ მრავალთა მიერ იპყრობებოდის სოფელი და არა მყის განიხრწნას და დაიჴსნას, ხედვიდეს რაჲ ბრძოლასა მმართებელთა და მპყრობელთა მისთასა? რამეთუ განყოფილებაჲ წინააღმდგომობასა შემოიყვანებს. ხოლო უკუეთუ თქუას ვინმე, ვითარმედ თითოეული მრავალთა მათ ღმერთთაგანი თჳსსა კერძოსა მთავრობს, ვინ არს, რომელმან განაწესნა და განაჩინნა საზღვარნი მათნი? რამეთუ უფროჲსღა იგი არს ღმერთ. ვინაჲცა ცხად არს, ვითარმედ ერთ არს ღმერთი სრული, გარეშეუწერელი, ყოველთა შემოქმედი, მპყრობელი და მმართებელი ზეშთა სრულებისაჲ და უპირატესი სრულთაჲ (გრიგ. ნაზ. Orat. 29, PG, col. 76). ამას თანა

[25] Пантелеймон. Антропология по творениям Иоанна Дамаскина, журн. Богословский Вестник, 1914, Март, стр. 468-495.

თუთ ბუნებითიცა შჯული უფროჲს შეწყნარებულ ჰყოფს მარტოდ მპყრობელობასა, უფროჲს მთავრობისა ორთაჲსა".[26]

იოანე დამასკელის „დიალექტიკაში" განმარტებულია ის ძირითადი ტერმინები, რომელნიც იხმარებოდა სხვადასხვა დოგმატურ, თუ პოლემიკურ თხზულებაში. მართალია, იოანე დამასკელი იყენებს წარმართულ ფილოსოფიას, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეკლესიის მიზნებისათვის ცელის ანტიკურ ფილოსოფოსთა ტერმინოლოგიას. მაგალითად, იგი უარყოფს სუბსტანციის არისტოტელესეულ დაყოფას „პირველადად" და „მეორადად". პირველადი სუბსტანციის ნაცელად დამასკელი ხმარობს გამოთქმას „იპოსტასს".

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ იოანე დამასკელი იმით ამართლებს წარმართული ფილოსოფიის გამოყენებას, რომ ელინ ფილოსოფოსებს თუ რამ კარგი აქვთ, ღმერთმა მიანიჭა, მე კი ფუტკარივით მინდა ამოვკრიფო მათი ნააზრევიდან ჭეშმარიტებაო. დამასკელის თხზულების ქართველი მთარგმნელი ეფრემ მცირე კიდეე უფრო მოხდენილად და მხატერულად განმარტავს დიალექტიკის დანიშნულებას, ეფრემ მცირის აზრით, დიალექტიკა იძლევა საშუალებას, „ეკლესიის შვილნი" წინ აღუდგნენ „გარეშე ფილოსოფოსთ" და „მათითავე ისრითა" განგმირონ ისინი. ეფრემის სიტყვით, იოანე დამასკელმა თავისი შემოქმედების ნაყოფი „გარდამოცემა" წარმართული ფილოსოფიის ეკლის ღობით დაიცავა: „ეკლოვნებითა მოუზღუდაეს ნაყოფთა შუენიერებაჲ ეენაჴისა ამის თჳსისა".[27]

2. წვალებათათჳს (PG, t. 94, col. 677-780). Πηγή-ს ისტორიული ნაწილი, ან უფრო სწორად, „გარდამოცემის" ისტორიული შესაეალი, რომელშიც გადმოცემულია სხვადასხვა ერესის წარმოშობა და თავისებურება, დიდად დაეალებულია ეპიფანე კვიპრელის პანარიონისაგან. კერძოდ, მისი პირველი ნაწილი, რომელშიც ლაპარაკია 79 სხვადასხვა წვალებაზე, თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ეპიფანეს თხზულებას, შემდგომში დამასკელი მისდევს თეოდორიტე კურელის, ტიმოთე კონსტანტინოპოლელის, სოფრონიოსის, ლეონტი ბიზანტიელისა და სხვათა თხზულებებს. მხოლოდ ის ნაწილი, რომელშიც დამასკელი ეხება მაჰმადიანობას (PG, 764-773) მიაჩნიათ შედარებით ორიგინალურად. დამასკელი გადმოსცემს 103 ერესის ისტორიას და თავისებურებებს. იგი თვლის, რომ წვალებათა წარმომშობი ძირითადი საწყისი ოთხგვარია: ბარბარიზმი, სკვითიზმი, ელინიზმი და იუდაიზმი. ბარბარიზმი წარმოიშვა ადამის დროიდან და გრძელდებოდა ნოეს დრომდე. ბარბარიზმი იმიტომ ეწოდებოდა, რომ მაშინ ადამიანებს არ ჰქონდათ საერთო კანონი, ყველა თავისი კანონით მოქმედებდა. სკვითიზმი მომდინარეობს ნოეს დროიდან ვიდრე ბაბილონის გოდოლის დამხობამდე და შემდგომ რაგაჟას დრომდე. ელინიზმი დაიწყო სერუგის დროს. მისთვის დამახასიათებელი იყო კერპთაყვანისმცემლობა. პირველად გამოხატავდნენ ტირანებს და სასწაულმოქმედებს, ხოლო აბრამის მამის თარას დროიდან თაყვანს სცემდნენ წინაპრებს. ამ რელიგიის პირველი მიმდევარნი იყვნენ ეგვიპტელები, ბაბილონელები, ფრიგიელები და ფინიკიელები. კეკროფსის დროს ეს რელიგია გადაეიდა ელინებში. გაცილებით გვიან შეიქმნა კულტი კრონოსის და რეასი, ზევსის, აპოლონისა და სხვა. ბოლოს ელინიზმი გადაიზარდა მწვალებლობაში, როგორიც არის მოძღვრება პითაგორელთა, სტოიკოსების, პლატონიკებისა და ეპიკურეელებისა. იუდა-

[26] ხელნაწ. ინსტ. A ფონდი, № 24, გვ. 39, r-v. უკანასკნელი წინადადება არ აქვს ნათარგმნი არსენს. ხოლო დედანში იგი ოდნავ განსხვავებულია ეფრემის თარგმანისგანაც: πρὸς δὲ καὶ φυσικὴ ἀνάγκη μονάδα εἶναι διάδος ἀρχήν (ბუნების წესით ერთობა საწყისია ორობისა). ეს არის ψευδედიონისე არეოპაგელის დებულება („საღმრთოთა სახელთათჳს", PG, t. III, col. 820, 841).

[27] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 216.

ი'ხმი დაიწყო აბრამის დროიდან. მისთვის დამახასიათებელია წინადაცვეთა. სახელწოდება მოდის იუდასგან, იაკობის მეოთხე შვილისაგან.

შემდეგ ავტორი განმარტავს ელინთა მწვალებლობას:

ა) პითაგორელნი ანუ პერიპატოელნი. პითაგორა ასწავლიდა, რომ ნება არ მიეცათ მსხვერპლშეწირვისა, ეჭამათ ცოცხალი არსებანი, დაელიათ ღვინო. ამტკიცებდა, რომ მთვარეზე და მის ზემოთ ყოველივე უკვდავია, ქვემოთ კი ყოველივე მოკვდავი, შესაძლებლად მიაჩნდა სულთა გადასახლება ეროი სხეულიდან მეორეში, ცხოველთა სხეულშიც კი. ასწავლიდა ვარჯიშს ხუთი წლის განმავლობაში სიჩუმის დასაცავად. თავის თავს ღმერთად თვლიდა.

ბ) პლატონიკოსები თვლიდნენ, რომ არსებობს ღმერთი, მატერია, ფორმა და სამყარო – სხეულებრივი და შექმნილი. ხოლო სული არ არის შექმნილი, უკვდავია და ღვთაებრივი. მასში სამი ნაწილია: გონებრივი, გრძნობადი და ნებელობითი. პლატონი ასწავლიდა, რომ ცოლები ყველას საერთო ჰყოლოდა და ვისაც ვისთან სურდა ეცხოვრა. შესაძლებლად მიაჩნდა სულის გადასახლება ცხოველებშიც კი. თვლიდა, რომ მრავალი ღმერთი წარმოშობილია ერთისაგან.

გ) სტოიკოსები თვლიან, რომ გრძნობადი სამყარო არის ღმერთი, ხოლო ყოველი არსებული ღმერთის სხეულია, მნათობნი – თვალები. ხორცი იღუპება, ხოლო სულები გადადიან სხეულიდან სხეულში.

დ) ეპიკურელნი ფიქრობენ, რომ ყოველი საგნის საწყისი არის განუყოფელი ნაწილაკი – ატომი. მათი აზრით, ღმერთი არ მართავს სამყაროს.

შემდეგ ავტორი ლაპარაკობს იუდეველთა წრეში წარმოშობილი სამარიტიზმის ოთხ სახეობაზე (გორთინები, სევუები, ესინები, დოსითეველნი). მაგალითად, დოსითეველებზე ავტორი ამბობს, რომ ისინი აღიარებენ მოსეს 5 წიგნს, თავს იკავებენ ცოცხალ არსებათა ჭამისაგან, მუდმივად მარხულობენ, ინახავენ ქალწულობას და სხვა.

იუდეველთ, ავტორის აზრით, შეიდი შეცოდება აქვთ, ესენი არიან კანონისტები, ფარისეველნი, სადუკეველნი, იმერობაპტისტები, ოსინები, ნაზარეველნი, იროდიანები (რომელნიც ქრისტეს ელოდნენ იროდის სახით).

დავასახელებთ კიდევ რამდენიმე ერესს, რომლებზედაც ლაპარაკია ამ თხზულებაში.

ა) კარპოკრატელნი ამტკიცებენ, რომ თუ გინდა ცხოვნდე, ეშმაკების საქმეც უნდა აკეთო და ანგელოსებისაცო.

ბ) ვალენტინელნი უარყოფდნენ ხორცის აღდგომას და ძველ აღთქმას, ქრისტეზე კი ამბობდნენ, რომ მან მოიტანა თავისი გვამი ზეციდან და გაიარა მარიამის სხეულში, როგორც მილში.

გ) მარკიონიტების სახელი წარმოდგება მარკიონიდან, რომელიც ეპისკოპოსი იყო პონტოში. იქ ქალიშვილი გააუპატიურა და რომში გაიქცა. მისი აზრით, არსებობდა სამი საწყისი: კეთილი, სამართლიანი და ბოროტი. ერთმანეთს უპირისპირებდა ძველსა და ახალ აღთქმას. მარკიონიტების აზრით, მონათვლა რამდენჯერმე შეიძლება (ყოველი მორიგი შეცოდების შემდეგ). მონათვლის უფლება აქვთ ქალებსაც.

დ) აპელისელნი აღიარებენ ერთ საწყის ღმერთს, რომელმაც შეჰქმნა მეორე ღმერთი. მეორე ღმერთი ბოროტი გამოდგა და გაბრაზებულმა შეჰქმნა სამყარო.

ე) ადამელნი იმით გამოირჩევიან, რომ ქალები და კაცები ერთად ტიტველნი ლოცულობენ.

ვ) ვალისიელებს ჩვეულებად აქვთ სტუმრების კასტრაცია.

ზ) პაულიკიანელნი ამტკიცებენ, რომ ქრისტე არსებობს მხოლოდ მარიამის მეშვეობით.

თ) მანიქეველნი არიან სპარსელი მანესის მოწაფენი. ისინი ქრისტეს თელიან მოჩვენებად, აღმერთებენ მზეს და მთვარეს, ლოცულობენ ვარსკვლავებზე, ძალებზე და დემონებზე. მათი აზრით, არის მარადარსებული ორი საწყისი – კეთილი და ბოროტი.

თ) არიანელთ ღვთის ძე მიაჩნიათ ქმნილებად, ხოლო სულიწმიდა ქმნილების ქმნილებად. მათი აზრით, ქრისტემ მარიამისაგან მიიღო მხოლოდ ხორცი და არა სული.

ი) ჰელიოტროპიტები ადიდებენ ჰელიოტროპიტულ მცენარეებს (მზესუმზირა) და მათი მოძრაობა მზისკენ მიაჩნიათ რაღაც შინაგანი ძალის გამოვლინებად.

ია) მონოფიზიტების ბელადები არიან: თეოდოსი ალექსანდრიელი, იაკობ სირიელი (იაკობიტები), მათ მოძღვრებასვე იცავენ: სეეროსი, „ანტიოქელთა დამღუპველი", იოანე ტრითეისტი. ამის შემდეგ დამასკელი დაწვრილებით განიხილავს მონოფიზიტთა მოძღვრებას.

ჩვენ აქ არ ჩამოგვითვლია ყველა ერესი, რომელთაც ეხება დამასკელი თავის თხ'ხულებაში, მაგრამ, ვფიქრობთ, დასახელებული მაგალითები საკმარისია Πηγή-ს ამ ნაწილის შინაარსის გასათვალისწინებლად.

3. **Გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისაჲ** (PG, t. 94, col. 789-1228). Πηγή-ს მესამე, ძირითადი ნაწილი მოცულობით თითქმის ორჯერ აღემატება წინა ორ ნაწილს, ერთად აღებულს. იგი შედგება 100 თავისაგან. ახალი დროის გამოცემებში და თარგმანებში შინაარსობლივი თვალსაზრისით ეს თხზულება დაყოფილია 4 წიგნად, მაგრამ ასეთი დაყოფა არ ახასიათებს არცერთ ძველ თარგმანს, არც ლათინურს, არც ქართულს და, რაც მთავარია, მას მხარს არ უჭერს არცერთი ბერძნული ნუსხა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთ ბერძნულ ხელნაწერს (Regius, n. 3445), რომელიც თხზულებას ჰყოფს ორ ნაწილად; Περὶ τῆς θεολογίας და Περὶ τῆς οἰκονομίας.[28] არ არის ეს თხზულება წიგნებად დაყოფილი არც პირველ ბერძნულ გამოცემაში, რომელიც განხორციელდა 1531 წელს.

„გარდამოცემასთან" დაკავშირებულ ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებს ჩვენ, ცხადია, კვლავ დავუბრუნდებით, ამჟამად კი მოკლედ გადმოვცემთ თხზულების შინაარსს.

იოანე დამასკელი აფრთხილებს მკითხველებს, რომ ღმერთი მიუწვდომელია, ამიტომ არ არის საჭირო ამაო ძიება მისი რაობისა და იმის კვლევა, რაც წინასწარ არ არის მოცემული მოციქულთა, მახარებელთა, წინასწარმეტყველთა მიერ. ღმერთმა მათი საშუალებით თვითონვე გამოგვიცხადა, რასაც გავიგებდით ჩვენ და ამიტომ მის მიერ მოცემულ საზღვარს ნუ გარდავხდებითო. შემდეგ აეტორი ამტკიცებს, რომ არსებობს ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო, რომ ღმერთი მხოლოდ ერთია და არა მრავალი. ღმერთი არ არის უსიტყველი, არამედ მას აქვს სიტყვა, მაგრამ არა ჩვენსავით „ჰაერად განბნეადი", არამედ გვამოვანი, ცხოველი და სრული. ასევე სულიწმიდა როდი არის აღმომფშვინვარი ჰაერი, არამედ მამისგან „გამოვალს" და ძისა და სიტყვისა შორის განისვენებს. აეტორი ეხება „წმიდა სამების" საკითხს, საღმრთო ბუნების თვისებებს და სხვა. შემდეგ დამასკელი განმარტავს ბიბლიური კოსმოგონიის საკითხებს, აგრეთვე იძლევა ასტრონომიულ, გეოგრაფიულ და სხვა ხასიათის ცნობებს. ასეთია, მაგალითად,

[28] PG, t. 94, 781-782.

თავები: ნათლისათჳს, და ცეცხლისა, და მნათობთა, მზისათჳს, და მთოვარისა და ვარსკულაჲთა (21), ჰაერისათჳს და ქართა (22), წყალთაჲს (23), ქუეყანისა და ქუეყანისგანთაჲს (24) და სხეა. აქეა, მაგალითად, გადმოცემული მზისა და მთჳარის დაბნელების მიზეზები:

„აწ უკუე მიზეზ მზისა მოკლებისა არს მთოვარისა იგი გუამი, რომელი იგი ვითარცა შუაჲ კედელი რაჲმე უჩრდილობს და არა უტეეებნ მას მოცემად ჩუენდა ნათლისა. რამეთუ რაოდენ-ჟამცა იპოეოს გუამი მთოვარისაჲ დამფარეელად მზისა, ესოდენცა იქმნების მოკლებაჲ იგი მზისაჲ. ხოლო უკუეთუ უმცირეს არს გუამი მთოვარისაჲ მზისასა და ვითარ დაჰფარაეს მას, ესე ნუ გიკჳრს. რამეთუ თჳთ მზე ვიეთმე მიერ თქუმულ არს, ვითარმედ მრაჲალ ნაწილად უფროჲს არს ქუეყანისასა, ხოლო წმიდანი მამანი სწორად ქუეყანისა იტყჳან მას. და ესეეითარსა მას სიდიდითა მრაჲალგჳის ანუ მცირე ღრუბელი, გინა მცირე ბორცჳ ანუ ზღუდე დამფარეელ ექმნის".[29]

აქ საინტერესოა ის გარემოება, რომ იოანე დამასკელი ითჲალისწინებს მისი დროის ასტრონომიულ ცოდნას, მიუხედაჲად იმისა, თუ ვის ეკუთვნის ეს აზრი. რომ მზე დედამიწაზე გაცილებით დიდია, ეს უთქჳამთ „ვიეთმე" ასტრონომებს, ხოლო „წმიდა მამანი" თელიან, რომ ის დედამიწის ტოლია. ამ შემთხეეაში დამასკელი კი არ ეყრდნობა ეკლესიის „მამათა" ავტორიტეტს, არამედ მათ უპირისპირებს ვინმე სხვა ასტრონომებს და არ უარყოფს მათ მოსაზრებას. ეს თავისთავად უკვე პროგრესული მოელენაა მაშინდელ პირობებში.

იოანე დამასკელს, ცხადია, ზეცა სფეროსებურად წარმოედგინა და მის დასახასიათებლად გამოუყენებია მათემატიკის კარგი ცოდნა. კერძოდ, იგი თელის, რომ ცის სფერო 360 გრადუსად იყოფა, რომელთაგან 180 გრადუსი მოდის ცის კამარაზე, დედამიწას რომ თავს ადგას:

„აქუს უკუე ცასა ნაწილები სამას სამეოცი. ზეშთა ქუეყანისასა მას კერძოსა კამარისასა – ნაწილი ასოთხმეოცი და სხუასა მას კერძოსა კამარისა, ქუეშე-კერძო ქუეყანისასა – ნაწილი ასოთხმეოცი".[30]

იოანე დამასკელმა არა თუ ის იცის, რომ მზე დედამიწაზე ბეერად დიდია, არამედ ისიც იცის, რომ დედამიწა მრგუალია და არ უარყოფს ამას, მხოლოდ აღნიშნავს, რომ როგორიც არ უნდა იყოს, იგი ცაზე უფრო მცირეაო:

„ხოლო ეიეთნიმე იტყჳან ქუეყანასა მრგულის სახედ და სხუანი მოთხჳითად. გარნა ყოეელსაეე ზედა, ეითარცა არს, ფრიად რაჲმე უმცროჲს არს იგი ზეცისასა".[31]

საინტერესოა „გარდამოცემის" 26-ე და შემდგომი თავები, სადაც იოანე დამასკელი მსჯელობს ადამიანის ბუნებაზე: „აციისათჳს, გულის-სათქუმელთათჳს, მწუხარებისათჳს, შიშისათჳს, გულისწყრომისათჳს, ოცნებითისათჳს, გრძნობისათჳს, მოგონებითისათჳს, მოჴსენებითისათჳს, სიტყჳსათჳს მოგონებულისა და სიტყჳსა აღმოთქუმულისა, ენებისათჳს და მოქმედებისა, მოქმედებისათჳს, ნებსითისათჳს და უნებლიეთისა და სხეა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ იოანე დამასკელმა კარგად იცის, რომ არა გრძნობის ორგანოები აღიქვამენ გარეშე გაღიზიანებას, არამედ გადასცემენ ხოლმე სიგნალებს ტვინს. ეფრემ მცირის თარგმანში ეკითხულობთ:

„მეოთხე საგრძნობელი არს გემოჲს ხილვაჲ, რომელი ესე ბალღამთა შესაწევნელ იქმნის გრძნობადობითა, ხოლო საცნობელ და ორღანო ამის გრძნობისა არს ენაჲ, ესე იგი არს უმრაელესი კერძოჲ ენისაჲ, რომელ არს ზედა-

[29] ეფრემ მცირის თარგმ. A 24, გვ. 59 r, სვ. II.
[30] Op. cit, 60 r, I.
[31] Op. cit. 62 v, II.

კერძოდ და მწუერვალი მისი, რომელსა ეიეთმე უწოდეს ურანისკონ და ამათ შინა არს ნესტყ შთამომავალი უშინაგანესით თავისაით განვრცელებული, რომელი იგი მოუთხრობს სამთაეროსა თაეისასა".[32]

არსენ იყალთოელის თარგმანში წერია:

„გრძნობაჲ უკუე არს სასმენელიცა... ხოლო ორღანო მისსა არს ტუნით-გამონი იგი ლბილნი ძარღუნი და შემზადებულებაჲ ყურთაჲ", ხოლო ცოტა ქვემოთ ეკითხულობთ უფრო საყურადღებო აზრს: „გრძნობაჲ არს ყნოსაჲცა, რომელი იქმნების ცხურთა მიერ, „რომელნი აღაელენენ ორთქლთა (დედანში: სუნს) ტუნისა მიმართ. ხოლო წიაღ-ჴდების კიდეთა მიმართ წინა-კერძოთა წიაღთა ტუნისა ეზოთაჲსა. ხოლო არს იგი მგრძნობელობითი ორთქლთაჲ".[33]

საინტერესოა „გარდამოცემის" ის ნაწილი, სადაც ავტორი ეხება მისი მოძღვრებისათვის მეტად საჩოთირო საკითხს, კერძოდ, ადამიანის ნებისყოფის თავისუფლების საკითხს. მან კარგად იცის, რომ ადამიანი თვითონ განაგებს საკუთარ მოქმედებას, საკუთარ ნაბიჯს. იგი არ ელოდება გარედან ძალდატანებას, მისი ნებისყოფა ყოველგვარი გარეშე ძალისაგან თავისუფალია, იქცევა ისე, როგორც მას სურს და არა ისე, როგორც ღმერთს ესიამოვნება. დამასკელი გრძნობს, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაუცემლად შეუძლებელია კაცმა ირწმუნოს ღვთის ყოვლისშემძლეობა. თუ ღმერთმა ყოველივე წინასწარ იცის, თუ, რაც სურს, ყველაფერს წინასწარ განაგებს, მაშ, რატომ ხდება, რომ ადამიანები ხშირად სჩადიან ღვთის საწინააღმდეგო საქმეებს? განა ღმერთს უნდა, რომ ადამიანებმა ჩაიდინონ შეცოდება? ღმერთს ეს არ შეიძლება უნდოდეს, რადგან ღმერთი კეთილია, კეთილს კი არ შეიძლება ბოროტი უნდოდეს, მაშ, რატომ არ წარმართავს ღმერთი ადამიანის ნებისყოფას თავისი სურვილისამებრ? იოანე დამასკელი უპასუხებს, რომ ღმერთს სურდა შეექმნა ადამიანი თავის „ხატად", ხოლო ღვთის ხატი უნდა ყოფილიყო სიტყვიერი და გონიერი, თვითმფლობელი და არა პირუტყვი და უგნური. ამიტომ არის, რომ უტყვი ცხოველი არც იქებს და არც იძაგებს, მას არც კეთილს ქმნა შეუძლია, არც ბოროტისა, ხოლო ადამიანი იქებს კიდეც და იძაგებს. რაკი ღმერთმა თავის „ხატად" შეჰქმნა ადამიანი, მისცა კიდეც მას ნებისყოფის თავისუფლება. ასევე შეჰქმნა მან ანგელოსიც. ღმერთი კეთილის საწყისია, ამიტომ ანგელოსთა და კაცთა ბუნება არსებითად კეთილია, მაგრამ ანგელოსმა უღალატა თავის კეთილ ბუნებას და იქცა ეშმაკად. ასევე, როცა ადამიანი ბოროტ საქმეს სჩადის, ღალატობს თავის ბუნებითს თვისებას და მიდრეკება ეშმაკისაკენ. ეფრემ მცირის თარგმანში ეკითხულობთ:

„აწ უკუე პირველი იგი კაცი წულად დაჰბადა დამბადებელმან და მისცა მას საღმრთოჲსა მისგან მადლისა თუსისა და ზიარ თავისა თუსისა ამით ჯერითა შექმნა იგი, რაჟამს ცხოველთა სახელისდებაჲ მას აღმოათქუშია (sic) და, ვითარცა სამონოდ მისსა მოცემულთა ზედა მეუფებრ განმგებელ-ყო, რამეთუ ვინაჲთგან ხატად ღმრთისა სიტყუერად და საცნაურად შეიქმნა იგი, ამისთჳსცა ჯეროვნითა განგებითა ქუეყნისათა მთაერობაჲ ჴელთ უდეა მას ზოგადმან მან ყოველთა დამბადებელმან და მეუფემან".

„ხოლო ვინაჲთგან უწყოდა ყოელისაეე წინაჲსწარ მეცნიერმან ღმერთმან, ვითარმედ გარდამაეალ მცნებისა იქმნების კაცი, ხრწნილებასა შთაეარდების, ამისთჳსცა მისგანვე შექმნა დედალიცა შესაწეენელად მისთჳს" (A 24, 78 v, I-II).

შემდგომ, როცა ადამიანმა ცოდვა ჩაიდინა, ღმერთი მისი სულის სახსნელად განკაცდა, იშვა მარიამისაგან მარადქალწულისა და „ენება კაცობრივი მითვალა". დამასკელი განმარტავს ღვთისმშობლის მიერ ქრისტეს მუცლადღებას, ლაპარა-

[32] იქვე. გვ. 68 v, II, 69r, I.
[33] S - 1463, 71 v, II.

კობს ქრისტეს ორი ბუნების შესახებ, ეკამათება მონოფიზიტებს და ამტკიცებს, რომ თუ ქრისტეს ერთი ბუნება ჰქონდა, იგი უნდა ყოფილიყო ან მხოლოდ ღმერთი ან მხოლოდ კაცი.

„ხოლო იტყოდიან თუ ქრისტესა ერთ ბუნებად, მარტიელად სადმე თქუან იგი და ესრეთ ანუ შიშულად ღმერთად აღიარონ და საოცარ-ყონ განკაცებაჲ მისი, ანუ ლიტონად კაცად ქადაგონ წვალებისაებრ ნისტორისსა. და სადაღა იყოს სრული ღმრთეებითა და კაცებითა?“ (A 24, 81 v, II).

ღმერთის ბუნების შესახებ ლაპარაკია „გარდამოცემის“ შემდეგ თავებში: ორთა ბუნებათათჳს (47), სახისათჳს ურთიერთას მიცემისა (48), რიცხჳსათჳს ორთა ბუნებათაჲსა (49), ეითარმედ ყოველი საღმრთოჲ ბუნებაჲ ერთისა მის გუამისაჲ მიერ მხოლოდ-შობილისა ძისა სრულებით შეერთა ყოველსა კაცობრიესა ბუნებასა და არა კერძოჲ – კერძოსა (50), ერთისა მისთჳს გუამისა სიტყჳსა ღმრთისა (51), მათდა მიმართ, რომელნი იტყჳან, ეითარმედ რაოდენობად აღიყჳანებიან ბუნებანი ქრისტესნი შეკრებითისა, ან განსაზღერებულისაგან (52), წინა-განწყობაჲ მათი, რომელნი იტყჳან, ეითარმედ არა არს ბუნებაჲ უგუამოჲ (53), სამწჳიდა-არსობისათჳს (54), სახესა და განუკუეთელსა შინა ხილულისა ბუნებისათჳს და განყოფილებისა და შეერთებისა და განჭორციელებისათჳს და ეითარ გულისჴმაიყოფების ერთი ბუნებაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ განჭორციელებული (55) და სხჳა.

შემდეგ ავტორი განმარტავს ღმრთისმშობლის მარადქალწულობის საკითხს. წინააღმდეგ ანტიდიკომარიანიტების მწვალებლობისა, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ქრისტეშობის შემდეგ მარიამი ქალწულად აღარ დარჩენილა, არამედ იოსებთან ცხოვრობდაო, დამასკელი ღეთისმშობელს მარადქალწულად თელის. ამაჱე დროს იგი უარყოფს სოლინარის მოძღერებას (Πηγή-ს ნაწილში „წვალებათათჳს“ დამასკელი ამ მწვალებლობას ვალენტინელთა ერესს უწოდებს: PG, 697), რომელიც ამტკიცებდა, რომ ქრისტემ თავისი გუამი ზეციდან მოიტანა და მარიამი გამოიყენა როგორც მილიო:

„არა ზეცით გარდამომღებელი ჴორცთაჲ და ეითარცა სოლინარით, ეგრეთ განმვლელი მის შორის, არამედ თანა-არსთა ჩუენთა ჴორცთა მიმღებელი მისგან“ (A 24, 90 r, I).

ჩვენ აღარ შეეჩერდებით სხჳა დოგმებზე, რომელთაც ავტორი გადმოსცემს 57-76 თავებში, მხოლოდ გამოვყოფთ რამდენიმე შემდგომ თავს, სადაც დამასკელი უპასუხებს ზოგიერთ კითხვას, რომელიც ბუნებრივია, იბადება არა ლოგიკური, არამედ რწმენის ნიადაგზე აგებული ქრისტიანული მოძღერების გაცნობის დროს. აქ საკმარისია მხოლოდ ჩამოვთვალოთ ეს კითხვები, რომელნიც იოანე დამასკელს თავების სათაურში მოუქცევია: მათდაჱე მიმართ, რომელნი იტყჳან კითხვით, ეითარმედ უკუეთუ ორ-ბუნებაჲ არს ქრისტე, ნუუკუე აგებულიცა იგი ბუნებაჲ მისი აუგებელსაჱე თანა იმსახურების, ანუ თაყუანის-იცემებისა? ანუ ერთი ოდენ ბუნებაჲ თაყუანის-იცემების და ერთი თაყუანის-უცემელ არს? (76), თუ რაჲსათჳს ძე ღმრთისაჲ განკაცნა და არა მამაჲ, ანუ სული წმიდაჲ და რაჲ წარჰმართა ძემან განჭორციელებითა თჳსითა (77), მათდა მიმართ, რომელნი იკითხვიდენ, ეითარმედ გუამი უფლისაჲ აგებული არს, ანუ აუგებელი? (78), თუ ოდეს ეწოდა ქრისტე (79), მათდა მიმართ, რომელნი იკითხვიდენ, ეითარმედ ორი ბუნებაჲ შჳა-მე-ა წმიდამან ღმრისმშობელმან, ანუ ორი ბუნებაჲ დამოეკიდა-ა ძელსა? (80) და სხჳა. სანიმუშოდ მოვიყჳანთ მხოლოდ ერთ პასუხს. იოანე დამასკელი ასე ამტკიცებს დოგმას იმის შესახებ, რომ განკაცდა ძე ღმრთისა და არა მამა ან სულიწმიდა:

„მამაჲ მამაჲ არს და არა ძე. ძე ძე არს და არა მამაჲ. სული წმიდაჲ სული წმიდაჲ არს და არა მამა, არცა ძე. რამეთუ თჳთებაჲ შეუცვალებელ არს.

და ვითარ იყოს, თუთება შეირყეოდის თუ და მიმოიცვალებოდის? ამისათუსცა ძე ღმრთისაჲ ძე კაცისა იქმნა, რათა თუთებაჲ უცვალებელად ეგოს, რამეთუ ძე ღმრთისაჲ იყო და ძე კაცისა იქმნა“ (A 24, 108 v, II). თუ განკაცდებოდა მამა, იგი უნდა გამხდარიყო ძე (კაცისა), მაშასადამე, უნდა შეცვლოდა თვისება. ამიტომ ძე ღვთისა იქცა ძედ კაცისაო.

თანდათანობით უახლოვდება იოანე დამასკელი ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად საკითხს, ძირითად მიზანს, იგი გადმოსცემს ნათლისღების საკითხს, ღვთისმშობლის გენეოლოგიას, ხატთა მნიშვნელობის საკითხს, ამტკიცებს, რომ ღმერთი არ არის ბოროტების მიზეზი და რომ მისი განკაცება მოხდა ადამიანთა სულის საცხოვნებლად. თხზულების უკანასკნელი თავია „აღდგომისათუს მკუდართაჲსა“, რომელშიც ავტორი ცდილობს დახატოს სურათი ადამიანთა ხსნისა, რომელიც უფლის ნებით ხდება.

„ამიერვე უკუე ირწმუნე აღდგომისათუსცა მკუდართაჲსა, ვითარმედ საღმრთოჲთა ნებითა და წამის-ყოფითა იქმნების, რომელსა იგი ნებებასაცე თანა აქუს ძალიცა. რამეთუ მის მიერ აღედგებით კუალად სულითა და ჴორც[ით]ა შეერთებულნი, უხრწნელ-ქმნილნი და აღმძურცელნი (sic) ხრწნილებისანი და წარმოდგებით წინაშე საშინელსა მას საყდარსა ქრისტესსა. მაშინ მიეცეს ეშმაკი და მის თანა ძალნი მისნი და კაცი იგი მათი, რომელ არს ანტიქრისტე, უღმრთოთა თანა და ცოდვილთა ცეცხლსა საუკუნესა. არა ნიუთიერსა, ვითარ ესე არს ჩუენ შორის მყოფი ესე ცეცხლი, არამედ ეგევითარსა, ვითარი უწყის ღმერთმან. ხოლო კეთილის მოქმედნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე ანგელოზთა თანა ცხორებასა საუკუნესა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს თანა, ხედვიდენ მას და იხილებოდენ და დაუსრულებელსა შუებასა მოისთულებდენ მის მიერ“ (A 24, 137 v, II).

ამ აზრის გაცხადებას ემსახურება იოანე დამასკელის მთელი „წყაროჲ ცოდნისა“. ფილოსოფიური შესავალი დაწერილია იმისათვის, რომ დააზუსტოს თეოლოგიური ტერმინები ანტიკური ლოგიკის და ფილოსოფიის გამოყენებით, ისტორიული შესავალი დაიწერა იმისათვის, რათა ორთოდოქსალური ქრისტიანული სარწმუნოებისაგან გამოჰყოს ის მრავალი რელიგია და სექტა, რომელიც მის დრომდე არსებობდა მისთვის ცნობილ მსოფლიოს ნაწილში. ხოლო შემდეგ ნაწილში, „გარდამოცემაში“ ავტორი თანდათანობით აეითარებს ქრისტიანულ დოგმებს და მიჰყავს მორწმუნენი ჭეშმარიტებამდე. უნდა ითქვას, რომ კომპოზიციის თვალსაზრისით იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისა“ შუა საუკუნეების ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო თხზულებას წარმოადგენს, რაც შეეხება ლოგიკურ მსჯელობას, ავტორი დასაწყისშივე აცხადებს, რომ არსებობს საკითხები, რომელთა დამტკიცება არ შეიძლება, ისინი მხოლოდ უნდა ვირწმუნოთო.

ისტორიული თვალსაზრისით იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისა“ იყო მნიშვნელოვანი მოვლენა მეცნიერებისა და ლიტერატურის დარგში. პატივი უნდა ვცეთ ჩვენს წინაპრებს, რომელთათვის ეს წიგნი საყვარელი სამაგიდო წიგნი იყო და თუკი გვსურს წარმოდგენა ვიქონიოთ შორეული წარსულის აზროვნების ისტორიაზე, უნდა შევისწავლოთ კიდეც ის წყაროები, რომელთა გათვალისწინებით იქმნებოდა სიტყვაკაზმული მწერლობა. ჩვენს წინაპრებს სწამდათ ასე მოწოდებული სიბრძნე და არ შეგვიძლია ამას ანგარიში არ გაეუწიოთ. ჩვენ ვალდებულნი ვართ გაეითვალისწინოთ „გარდამოცემა“, როგორც ხელის შემწყობი აზროვნების განვითარებისა. უნდა ვიცოდეთ კულტურის ისტორიის ამა თუ იმ მოვლენის როგორც ხელისშემწყობი ისევე ხელისშემშლელი პირობები. ამიტომ ვერ მივიჩნევთ ნორმალურ მოვლენად იმას, რომ ვსწავლობთ ძველ ქართულ მწერლობას, სასულიერო ლიტერატურას ისე, რომ არ ეითვალისწინებთ მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს – იოანე დამასკელის „გარდამოცემას“, რომელიც

სამი შესანიშნავი მთარგმნელის (ექვთიმე ათონელის, ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის) მეშვეობით შემორჩენია ჩვენს მწერლობას. საჭირო და დასაშურებელია ამ შესანიშნავი ძეგლის არა მარტო გამოცემა, არამედ მასთან დაკავშირებული ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხების გამოკვლევაც. თავი რომ დავანებოთ იმ მდიდარ ლექსიკას, მეტად საინტერესო ენობრივ მონაცემებს, რომელნიც დაუცავს ჩვენს ძეგლებს ქართული ენის ისტორიის გასათვალისწინებლად, მდიდარ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას, ძეგლი საინტერესოა, პირველყოველისა, იმით, რომ მასზე იზრდებოდნენ ჩვენი სახელოვანი მწერლები და მისი გაელენა თავს იჩენდა მათ შემოქმედებაშიც.

„გარდამოცემის" ბერძნული დედანი

იოანე დამასკელის „გარდამოცემას" წინ უსწრებდა ქრისტიანული დოგმების სისტემატიზაციის რამდენიმე ცდა. რა თქმა უნდა, იოანე დამასკელი იცნობდა კიდეც ზოგ მათგანს, მაგრამ „გარდამოცემის" წყაროები ამით არ ამოიწურება. ჩვენ ამ საკითხზე ცალკე შეეჩერდებით, ახლა კი აღვნიშნავთ ზოგ ისეთ თხზულებას, რომლებშიც, მართალია, ქრისტიანული დოგმები არ იყო გამოყოფილი ეგზეგეტიკური, ფილოსოფიური, მორალისტური, ისტორიული საკითხებიდან და ხშირად ან მხოლოდ დოგმების ჩამოთვლას, ან მხოლოდ დიდაქტიკას შეიცავდნენ, მაგრამ მაინც ეს ავტორები უნდა ჩაითვალონ იოანე დამასკელის წინამორბედებად. დავასახელებთ ზოგ მათგანს: კლიმენტი ალექსანდრიელის „სტრომატები", ორიგენეს „საწყისთათვის", გრიგოლ ნოსელის „სიტყვები", რომლებშიც განმარტებული იყო „სულიწმიდა", „განკაცება", „ნათლისღება". „ეექარისტია" და სხვა, თეოდორიტეს ხუთი წიგნი მწვალებელთა წინააღმდეგ, ავგუსტინეს De doctrina christiana და De civitate Dei, ფულგენციუსის „რწმენის ან ნამდვილი სარწმუნოების წესების შესახებ" (De fide seu de regula verae fidei), იულიუს აფრიკელის „საღმრთო კანონთა ნაწილებისათვის" (De partibus divinae legis) და სხვანი.[34]

იოანე დამასკელის თხზულებებმა ჩვენამდე მრავალი ნუსხით მოაღწია. F. Dölger-ი ასახელებს 250 ნუსხას, რომელთაც მისი თხზულებები დაუცავთ, აქედან 60 ნუსხა შეიცავს იოანე დამასკელის ძირითად თხზულებას (Hauptwerk) Πηγὴ γνώσεως-ს.[35] Migne-ის გამოცემაში დასახელებულია ნუსხები, რომლებიც დაცულია სხვადასხვა სიძველეთსაცავში: სორბონის, დუბლინის, პარიზის საჯარო ბიბლიოთეკის, ვენეციის მარკოზის ბიბლიოთეკის (Marcian. LXXXIII, pag. 170 et 488, ხელნ. CXXXIX, CCCCXCVIII), ფლორენციის ბიბლიოთეკის (p. 97-9), მილანის ამბროსი მედიოლანელის ბიბლიოთეკის, ვენეციის კონტარინის ბიბლიოთეკის, რომის ბასილის მონასტრისა და კრიპტა ფერატას ლავრის, ვენეციის იულიუს იუსტინიანის ბიბლიოთეკის, ვენეციის მელეციუს ტიპალდის ბიბლიოთეკის, პარიზის, ბრატისლავის, მოსკოვის (სინოდის ბიბლიოთეკა) და სხვა.[36]

იოანე დამასკელის „გარდამოცემა" ადრეულ ხანებშივე ითარგმნა მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ თხზულების ლათინურ თარგმანებს წინ უსწრებს არაბული, ქართული და სლავური თარგმანები.

---

[34] დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. А. Спасский, История догматических движений в эпоху вселенских соборов (в связи с философскими учениями того времени), т. I, Тринитарный вопрос. Изд. второе, 1914; Филарет, Историческое учение об отцах церкви, т. I, СПБ, 1859.

[35] F. Dölger, Die Iohannes-Damaskenos-Ausgabe des Byzantinischen Instituts Scheyern, ჟურნ. „Byzantion–, tome XX, Bruxelles, 1950, გვ. 305.

[36] PG, t. 94, col. 13-14.

არაბულ ენაზე თარგმნილია იოანე დამასკელის თითქმის ყველა თხზულება XI საუკუნეში.[37] უფრო ადრე, X საუკუნე'ში ბულგარეთის ეგსარქოსმა იოანემ სლავურად თარგმნა „გარდამოცემა".[38] ლათინურ თარგმანს წინ უსწრებს აგრეთვე ქართული თარგმანები, რომელთაგან ადრინდელი, ექვთიმესეული თავისუფალი თარგმანი შესრულდა XI საუკუნის პირველ მეოთხედამდე, ყოველ შემთხვევაში, არა უადრეს 975-7 წწ. (როცა ექვთიმემ დაიწყო მთარგმნელობითი მოღვაწეობა) და არა უგვიანეს 1028 წლისა (ექვთიმეს გარდაცვალების წელი).[39]

პირველი ლათინური თარგმანი შესრულდა პაპის ევგენიუს III-ის ბრძანებით, რა თქმა უნდა, არა უგვიანეს 1164 წლისა (როცა გარდაიცვალა მთარგმნელი პეტრე ლომბარდი), უფრო ზუსტად, ევგენიუს III-ის პაპობის დროს (1144-1153). იგი წარმოადგენს „გარდამოცემის" შემოკლებულ თარგმანს. 1512 წელს პარიზში გამოიცა „გარდამოცემის" ლათინური თარგმანი (ბერძნული ტექსტის პირველ გამოცემამდე 19 წლით ადრე). 1535 წელს გამოვიდა ამ თხზულების მეორე გამოცემა, რომელშიც „გარდამოცემა" უკვე ოთხ წიგნად იყო დაყოფილი. ლათინურ გამოცემათაგან შეგვიძლია დავასახელოთ აგრეთვე 1940 წლის გამოცემა, რომელიც ბუდაპეშტში განხორციელდა. ამ გამოცემაში მოხვდა მხოლოდ გარდამოცემის 45-52 თავები.[40] საყურადღებოა გამოცემა იმით, რომ აქ ერთმანეთთან შედარებულია სამი ლათინური თარგმანის სათანადო ადგილები.[41] რაც შეეხება „დიალექტიკის", რობერტ გროსეტესტეს მიერ შესრულებულ ლათინურ თარგმანს. იგი გამოცემული იქნა 1953 წელს.[42]

1531 წელს ვერონაში განხორციელდა De fide orthodoxa–ს, ანუ „გარდამოცემის" ბერძნული ტექსტის პირველი გამოცემა, რომელიც ეკუთვნის დონატუს ვერონელს: Ἰωάννου Δαμασκηνοῦ ἔκδοσις τῆς ὀρθοδόξου πίστεως (Ioannis Damasceni editio orthodoxae fidei), Veronae, MDXXXI. შემდგომი გამოცემის წლებია 1548, 1575, 1577 (ამ წელს იაკობუს ბილიუსმა გამოსცა ტექსტი საკუთარი ლათინური თარგმანითურთ), 1603, 1617 და სხვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1712 წლის პარიზული გამოცემა, რომელიც ეკუთვნის მ. ლეკიენს. მან ორ ტომად გამოსცა იოანე დამასკელის თხზულებათა სრული კრებული, გაითვალისწინა ყველა ძირითადი ბერძნული ხელნაწერი და მოგვცა შესანიშნავი მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი.[43] ამიტომ საესებით ბუნებრივია, რომ ეს გამოცემა დაახლოებით საუკუნე ნახევრის შემდეგ თითქმის უცვლელად გადავიდა Migne-ის Patrologia Graeca–ს სამ ტომში (94, 95, 96).

ხელთ გვქონდა 1859 წელს ათენში გამოცემული „გარდამოცემაც", მაგრამ იგი, სამწუხაროდ, არა თუ უკეთესია, არამედ ბევრად ჩამორჩება ლეკიენის გამოცემას, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იგი არც წარმოადგენს მეცნიერულ-კრიტიკულ ტექსტს, მასში არცერთი ხელნაწერის ვარიანტი არ არის მითითებული.[44]

Migne-ის „პატროლოგიაში" დაბეჭდილი ტექსტი, რომელსაც საფუძვლად დაედო ლეკიენის პუბლიკაცია, დღემდე ითვლება იოანე დამასკელის თხზულებათა საუკეთესო გამოცემად, ყოველ შემთხვევაში, აქ დაბეჭდილი De fide.[45]

---

[37] G. Graf, Die christlich-arabische Literatur, Freiburg im Breisgau. 1905, გვ. 68-69.

[38] Богословие Иоанна Дамаскина, пер. Иоанна ексарха Болгарского, М., 1878.

[39] ქ. კეკელიძე, Op. cit., გვ. 186-187.

[40] Translatio Latina Ioannis Damasceni (De orthodoxa fidei, l. III, c. 1-8), saeculo XII, in Hungaria confecta, scripsit et textum edidit Remegius L. Szigeti, Budapest, 1940.

[41] იქვე, გვ. 22-34.

[42] John Damascene Dialectica, version of Robert Grosseteste, edited by Owen A.Colligan, Louvain - Belgium, Paderborn - Germany, 1953.

[43] Ioannis Damasceni Opera omnia, Opera et studio P. Michaelis Lequien, 1712.

[44] Ἔκδοσις τῆς ὀρθοδόξου πίστεως Ἰοάννου Δαμασκηνοῦ παρὰ Γ. Κορνάρου καὶ Ι. Καλαμαρίδου, ἐν Ἀθήναις 1859.

[45] Berthold Altaner, op. cit., 489.

„გარდამოცემა“ ენციკლოპედიური ხასიათის ნაწარმოებია. მასში გამოყენებულია იოანე დამასკელის დროინდელი და უწინარესი მეცნიერებისა და კულტურის მონაპოვარი. ძირითადად ავტორი, რა თქმა უნდა, ემყარება ეკლესიის მამათა ნააზრევს, მაგრამ გარდა იმისა, რომ ანტიკური ფილოსოფიის გაელენა იგრძნობა მისი მსჯელობისა და არგუმენტაციის ხერხებში, დამასკელი სარგებლობს აგრეთვე „გარეშე ფილოსოფოსთა“ ნააზრევითაც. ასეთი გაელენა „დიალექტიკასთან“ შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც იგრძნობა „გარდამოცემაში“. მაგალითად, არისტოტელეს „ფიზიკის“ გაელენა იგრძნობა „გარდამოცემის“ მე-13 თავში, პლატონის მოსაზრებათა გამოძახილს ვპოულობთ მე-18 და მე-20 თაეებში, ხოლო 23-ე თაეი დაეალებული ჩანს აგრეთვე სტრაბონისაგანაც. მაგრამ დამასკელი არც ასახელებს აქ თავის წყაროებს და არც იმდენად მნიშვნელოვანია მათი გაელენა, რომ შესაძლებელი იყოს ამ საკითხის შედარებითი შესწავლა. რაც შეეხება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს და ბიზანტიის სასულიერო მწერალთა ნაშრომებს, ამ მხრივ თანმხვედრი ადგილები საკმაოდ დიდია. იმდენად დიდი, რომ ზოგ მკვლევარს „გარდამოცემა“ კომპილაციურ ნაშრომად მიაჩნია. მაგრამ ეს არ არის ასე. ჩვენ ეერ გავიზიარებთ თვით იოანე დამასკელის განცხადებასაც, რომ ამ ნაშრომში მისი საკუთარი არა არის რა, იგი მხოლოდ „წმიდა მამათა“ აზრებს გადმოსცემს თითქოს (მიძღვნა კოზმანისადმი). რა თქმა უნდა, „გარდამოცემაში“ მოთხრობილია „წმიდა მამათა“ აზრები, ხშირად ციტატის სახით და ავტორის დასახელებით, უფრო ხშირად კი წყაროს მიუთითებლად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „გარდამოცემა“ დამასკელის ორიგინალურ თხზულებად უნდა ჩაითვალოს თავისი კომპოზიციით, ამა თუ იმ ქრისტოლოგიური თუ მეცნიერული დებულების თავისებური გააზრებით და მთელი თხზულების მიზანდასახულებით. ციტაციის ხერხიც იოანე დამასკელის თხზულებაში თავისებურია, იგი ხშირად ციტატას შეაბრუნებს ხოლმე, ბოლოს ნათქვამს თავში იტყვის, ცელის, მაგალითად, „საღმრთო წერილის“ მუხლთა თანმიმდევრობას და უკვე ეს ფაქტი მეტყველებს იმას, რომ მისი მიზანი ის კი არ არის, რომ სხვათა „წმიდა აზრები“ გადმოსცეს, არამედ თავისი დებულებების დასამტკიცებლად იყენებს ხოლმე მათ.

რომ უფრო ნათელი გახდეს „გარდამოცემის“ წყაროთა ხასიათი და ოდენობა, შეეეცდებით წარმოვადგინოთ მათი სრული ნუსხა.

1. **ძველი აღთქმა.** ავტორი ხშირად მიმართავს ციტატებს ძველი აღთქმიდან, ზოგჯერ მიუთითებს რომელიმე ბიბლიურ ეპიზოდზე, ზოგჯერ კი პოზიტიური მსჯელობის დროს წყაროს მიუთითებლად ახდენს ბიბლიური გამონათქვამის პერიფრაზს. ძველი აღთქმიდან ავტორს გამოყენებული აქვს შესაქმე, გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხუთა, მეორე სჯულის, ისუ ნავესი, მსაჯულთა, მეფეთა პირველი, მესამე და მეოთხე, მაკაბელთა მეორე, იობის, ფსალმუნები, იგავნი სოლომონისნი, ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისი, სიბრძნე ისუ ზირაქის ძისა, ისაიას, იერემიას, ბარუქის, ეზეკიელის, დანიელის, ამოსის, მიქეას, ზაქარიას წიგნები. ბიბლიის ამ წიგნებს იოანე დამასკელი ასეთი ზომით იყენებს:

ა) შესაქმე: თავი I, მუხლი პირველი გამოყენებულია „გარდამოცემის“ 24-ე თავში; ამავე თავის მეორე მუხლი – „გარდამოცემის“ 22, 23, 24, 82 თავებში; მესამე მუხლი – 86 თავში, მეხუთე მუხლი – 21 თავში; მეექვსე მუხლი – 20, 23, 86 თავებში; მეშვიდე მუხლი – 20, 23 თავებში; მერვე მუხლი – 22-ე თავში, მეცხრე მუხლი – 23-ე თავში; მეათე მუხლი იმავე თავში; მეთერთმეტე მუხლი – 86-ე თავში, მეთოთხმეტე მუხლი 21-ე თავში; მეთოთხმეტე-მეთვრამეტე მუხლები – 21-ე თავში; ოცდამეორე მუხლი – 24-ე თავში; ოცდამეოთხე მუხლი – 23-ე თავში;

ოცდამეექვსე მუხლი – 87-ე თავში, ოცდამეექვსე და ოცდამეშვიდე მუხლები – 26, 89 თავებში; ოცდამეშვიდე მუხლი – 97-ე თავში; ოცდამერვე მუხლი – 24 და 97 თავებში; ოცდამეთერთმეტე მუხლი – 18, 59, 93 თავებში. როგორც ეხედაეთ, შესაქმის პირველი თავის დასაწყისი 31 მუხლიდან ციტატები მათზე მითითებით თუ მიუთითებლად გაფანტულია მთელს თხზულებაში.

შესაქმის მეორე თავის მეორე მუხლი გამოყენებულია 96-ე თავში, მეშვიდე მუხლი – 26-ე თავში, მერვე მუხლი – 85-ე თავში, მეცხრე მუხლი – 25 თავში, მეათე მუხლი – 23-ე თავში, მეთერთმეტე მუხლი – 23, 25 თავებში, მეცამეტე და მეთოთხმეტე მუხლები – 23-ე თავში, მეთექვსმეტე მუხლი – 25-ე თავში, მეჩვიდმეტე და ოცდამეხუთე მუხლები – 25-ე თავში, ოცდამეხუთე მუხლი – 97-ე თავში. „გარდამოცემაში“ გამოყენებულია შესაქმის სხვა ადგილებიც: III, I (24 თ.), III, 6-7 (25 თ.), III, 7 (63, 97 თთ.), III, 19 (24, 97 თთ.), III, 21 (45 თ.), III, 24 (85 თ.), IV, I (97 თ), VI, 13 (45 თ), IV, 17 (82 თ.), VII, 1-7 (97 თ.), VII, 17 (82 თ.), VIII, 8-12 (82 თ.), VIII, II (82 თ.), VIII, 16 (97 თ.), VIII, 21 (89), IX, 3-6 (100 თ.), XI, 7 (45 თ.), XII, 3 (89 თ.), XIV, 18 (86 თ.), XV, 5 (98 თ.), XVII, 10 (98 თ.), XVIII, I (45 თ.), XIX, I (45), XLVI, 27 (62), XLII, 31 (84), XLVIII, 14 (84).

ბ) გამოსლეათა: III, 6 (88, 100, 9 თთ.), VII, I (88), XII, 12, 29 (84), XIII, 6 (96 თ.), XIV, 16 (84 თ.), XIV, 16, 21 (77 თ.), XV, 25 (84 თ.), XVII, 6, (84, 88 თთ.), XVII, II, (84 თ.), XIX, 15 (97 თ.), XX, 2, 3 (5 თ.), XXIV, 18 (96 თ.), XXV, 18 (89), XXV, 18 (89), XXV, 40 (89 თ.), XXXIII, 10 (89 თ.), XXXIV, 28 (96 თ.).

გ) ლევიტელთა: XII, 3 (96 თ.), XV, 10 (82 თ.), XVI, 14 (75 თ.), XVI, 26 (82 თ.), XXIII, 27 (96 თ.), XXVI, 12 (88 თ.).

დ) რიცხუთა: II, 3 (85 თ.), VI, 2, 1 (97 თ.), XV, 35 (96 თ.), XVII, 8, 9 (84 თ.), XIX, II (88 თ.), XXI, 9 (84 თ.); XXXVI, 6 (87 თ.).

ე) მეორე სჯულის: IV, 24 (82 თ.), V, 14 (96 თ.), VI, 4 (78 თ.), XXV, 5 (87 თ.), XXV, 9 (97 თ.), XXVIII, 66 (84 თ.), XXXII, 7, (90 თ.).

ვ) ისუ ნავესი: V, 2 (98 თ.), V, 6, 7 (98 თ.), VI (96 თ.).

ვ) მსაჯულთა: XV, 18, 19 (88 თ.).

ზ) მეფეთა პირველი: თავი პირველი – გამოყენებულია „გარდამოცემის“ 87-ე თავში.

თ) მეფეთა მესამე: VI (89 თ.), XVII, 6 (97 თ.), XVII, 19-22 (97 თ.), XVIII, 32 (82 თ.), XIX, 8 (96 თ.).

ი) მეფეთა მეოთხე: მეორე თავის 8, 9 და 11 მუხლები გამოყენებულია „გარდამოცემის“ 97-ე თავში.

ი) წიგნი მაკაბელთა მეორე: მეცხრე თავის მეხუთე მუხლი გამოყენებულია „გარდამოცემის“ მეცხრე თავში.

ია) იობი: I, 1 (48 თ.), I, 12 (43, 48 თთ.), V, 13 (87 თ.), XXVI, 7 (24 თ.), XXXIII, 4 (7 თ.).

იბ) განსაკუთრებით უხვად გამოუყენებია იოანე დამასკელს ფსალმუნები: I, 3 (90 თ.), VI, 1 (97 თ.), VII, 12, (92 თ.), VIII, 4 (21 თ.), XIII, 7 (3 თ.), XV, 10 (72 თ.), XVIII, 1 (20 თ.), XXIII, 2 (24 თ.), XXIII, 7 (91 თ.), XXXII, 6 (7, 86 თთ.), XLIV, 8 (48, 79, 82, 91 თთ.), XLVIII, 9, 10 (88 თ.), XLVIII, 13 (24, 44 თთ.), XLIX, 1 (88 თ.), XLIX, 3 (91 თ.), L, 6 (92 თ.), LI, 10 (87 თ.), LIV, 23 (25 თ.), LXVII, 14 (90), LXVII, 33-34 (85 თ.), LXXIII, 13 (82 თ.), LXXIV, 4 (24 თ.), LXXXII, 4 (58 თ.), LXXXVIII, 36-38 (87 თ.), LXXXIX, 2 (15 თ.); XCV, 11 (20 თ.), CI, 27 (20 თ.), CIII, 2 (20 თ.), CIII, 4 (17 თ.), CIII, 29 (100 თ.), CIII, 30 (7, 100 თთ.), CVI, 20 (7, 92 თთ.), CIX, 4 (76 თ.), CXIII, 3, 5, 4 (20 თ.), CXIII, 24, 23 (20 თ.), CXV, 6 (88 თ.), CXVIII, 89 (7 თ.), CXXXI, 7 (84

თ.), CXXXI, 8, (84 თ.), CXXXI, II (87 თ.), CXXXIV, 6, (8, 43, 86 თთ.), CXXXV, 6 (24 თ.), CXXXVI, 1 (79 თ.), CXXXVIII, 6 (25 თ.), CXLV, 6 (19 თ.), CXLVIII 4, (20 თ.), CXLVIII, 5-6 (20 თ.).

იგ) იგავნი სოლომონისნი: VIII, 22 (91 თ.), XII, 10 (96 თ.), XXII, 28 (1 თავი).

იდ) ეკლესიასტე: I, 10 (45 თ.), XI, 2 (96 თ.).

ივ) სიბრძნე სოლომონისი: I, 13 (42 თ.), II, 23 (77 თ.), III, I (88, 100 თთ.), XIII, 5 (I თ.), XIII, 5 და სხვ. (13 თ.).

ივ) სიბრძნე იესუ ზირაქის ძისა: ოცდამეთხუთმეტე თავის მეათე მუხლი გამოყენებულია „გარდამოცემის" 44-ე თავში.

იზ) ისაია: VI, I (13 თ.), VI, 6 (86 თ.), VI, 9, 10 (92 თ.), VII, 14 (87 თ.), VII, 15-16 (58 თ.), IX, 2 (73 თ.), IX, 6 (91 თ.), XI, I (87 თ.), XXII, 13 (100 თ.), XXVI, 19 (100 თ.), XXIX, II (87 თ.), XXXI, 9 (97 თ.), XL, 5 (62 თ.), XL, 22 (20 თ.), XLIII, 10 (15 თ.), XLIV, 6 (5 თ.), XLV, 7 (92 თ.), LIII, 9 (71 თ.), LXI, I (82 თ.), LXI, 1 (73 თ.), LXII, 2 (91 თ.), LXV, 2 (84 თ.), LXVI, 1 (13 თ.), LXVI, 7 (87 თ.).

ით) იერემია: ოცდამესამე თავის 24-ე მუხლი დამასკელს გამოყენებული აქვს მეოთხე თავში.

ით) ბარუქი: III, 36, 38 (48, 91, 13, 79, 89 თთ.).

კ) ეზეკიელი: XXXVII, 7-8 (100 თ.), XXXVII, 9-10 (100 თ.), XLIV, 2 (87 თ.).

კა) დანიელი: II, 15 (58 თ.), III, 20, 92, 94 (97 თ.), III, 80 (20 თ.), VI, 22 (97 თ.), X, 2, 3 (96 თ.), XI, 37 (99 თ.), XII, 1-3 (100 თ.), XIII, 42 (9, 13, 24, 97 თთ.).

კბ) ამოსი: მესამე თავის მეექვსე მუხლი დამასკელს გამოყენებული აქვს 92-ე თავში.

კგ) მიქეა: პირველი თავის მესამე მუხლი დამასკელს გამოუყენებია 91-ე თავში.

კდ) ზაქარია: III, 8 (85 თ.), IX, 9 (91 თ.).

კე) მალაქია: I, 11 (86 თ.), IV, 2 (73, 85 თთ.), IV, 6 (99 თ.).

2. **ახალი** აღთქმა. ახალი აღთქმის წიგნებიდან იოანე დამასკელს გამოუყენებია შემდეგნი: მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებები, საქმე მოციქულთა, იაკობის ეპისტოლე, ეპისტოლენი პეტრესი პირველი და მეორე, ეპისტოლე იოანესი პირველი, რომაელთადმი, კორინთელთადმი პირველი და მეორე, გალატელთადმი, ეფესელთადმი, ფილიპელთადმი, კოლასელთადმი, თესალონიკელთადმი პირველი და მეორე, ტიმოთესადმი პირველი და მეორე, ებრაელთადმი, გამოცხადება:

ა) მათე: I, 6 15 (87 თ.), I, 18 (87 თ.), I, 21 (46 თ.), I, 23 (87 თ.), I, 25 (87 თ.), III, II (82 თ.), III, 15 (68 თ.), IV, 2 (59 თ.), V, 5 (24 თ.), V, 17 (90, 98 თთ.), VI, 25 (25 თ.), VI, 33 (25 თ.), VII, 6 (86 თ.), VIII, 3 (59, 61 თთ.), VIII, 30 (43 თ.), XI, II (88 თ.), XI, 27 (1 თ.), XII, 5 (96 თ.), XII, 32 (15 თ.), XVI, 16 (82 თ.), XIX, II (97 თ.), XXI, 19, (91 თ.), XXI, 38 (90 თ.), XXII, 32 (100 თ.), XXIV, 14 (99 თ.), XXIV, 24 (99 თ.), XXIV, 27 (85 თ.), XXIV, 30 (84 თ.), XXV, 31 (13 თ.), XXV, 31-46 (100 თ.), XXV, 41 (18 თ.), XXVI, 26, 27, 28 (86 თ.), XXVI, 38 (67 თ.), XXVI, 39 (62, 68 თთ.), XXVII, 3-34 (58 თ.), XXVII, 46 (68, 91 თთ.), XXVIII, 9 (91 თ.), XXVIII, 10 (91 თ.), XXVIII, 19 (8, 82, 91 თთ.), XXVIII, 20 (87, 91 თთ.).

ბ) მარკოზი: V, 13 (18 თ.), VII, 24 (58, 61 თთ.), XII, 25 (100 თ.), XIV, 21 (94 თ.), XIV, 24 (86 თ.), XVI, 6 (84 თ.).

გ) ლუკა: I, 26 (46 თ.), I, 28 (46 თ.), I, 29-31 (46 თ.), I, 34 (46, 86 თთ.), I, 35 (46, 86 თთ.), I, 38 (46 თ.), I, 78 (85 თ.), II, 35 (87 თ.); II, 52 (66, 91 თთ.), III, 6 (62 თ.), III, 24 (87 თ.), IV, 18-19 (73 თ.), VIII, 54 (99 თ.), X, 41-42 (25 თ.), XI, 10 (90 თ.), XII,

50 (82 თ.), XVI, 19 (43 თ.), XX, 34 (15 თ.), XXII, 20 (86 თ.), XXII, 42 (62 თ.), XXIV, 28 (91 თ.), XXIV, 37, 39 (100 თ.), XXIV, 40 (100 თ.), XXIV, 43 (74 თ.).

დ) იოანე: I, 1 (45 თ.), I, 3 (91 თ.), I, 12 (23, 88 თთ.), I, 13 (87 თ.), I, 14 (55 თ.), I, 18 (1, 45 თთ.), I, 29 (71 თ.), II, I (97 თ.), II, 19 (100 თ.), II, 21 (100 თ.), III, 5 (82 თ.), III, 6 (86 თ.), III, 13 (47, 91 თთ.), III, 14 (91 თ.), IV, 14 (90 თ.), IV, 22 (91 თ.), V, 17 (59 თ.), V, 19 (8, 59, 91 თთ.), V, 21 (59 თ.), V, 22 (13 თ.), V, 28-29 (100 თ.), V, 30 (13 თ.), V, 39 (90 თ.), V, 43 (99 თ.), VI, 11 (59 თ.), VI, 46 (3 თ.), VI, 48, 51 (86 თ.), VI, 53, 55, 57 (86 თ.), VI, 57 (91 თ.), VI, 63 (86 თ.), VII, 19 (91 თ.), VIII, 40 (62, 91 თთ.), VIII, 59 (91 თ.), IX, 1 (43 თ.), X, 25 (59 თ.), X, 30 (91 თ.), X, 38 (59 თ.), XI, 34 (91 თ.), XI, 39-44 (100 თ.), XI, 41-42 (68 თ.), XI, 41 (91 თ.), XI, 42 (91 თ.), XI, 43-44 (59 თ.), XII, 27 (67 თ.), XIII, 1 (86 თ.), XIV, 9 (91 თ.), XIV, 10 (91 თ.), XIV, 11 (8 თ.), XIV, 28 (8, 91 თთ.), XV, 14 (88 თ.), XV, 15 (88 თ.), XV, 26 (8 თ.), XVI, 10 (91 თ.), XIV, 27, 28 (91 თ.), XVII, 3 (5 თ.), XVII, 5 (91 თ.), XIX, 28 (58 თ.), XIX, 34 (89 თ.), XX, 17 (81, 91 თთ.), XX, 22 (8 თ.), XX, 27 (100 თ.).

ე) საქმე მოციქულთა: I, 5 (82 თ.), I, 11 (74, 85, 99 თთ.), II, 2-3 (82 თ.), VII, 14-15 (62 თ.), X, 38 (82 თ.).

ვ) ეპისტოლე იაკობისი: I, 17 (88, 90 თთ.), II, 26 (82 თ.).

ზ) ეპისტოლე პეტრესი პირველი: გამოყენებულია III თავის მე-19 მუხლი ("გარდამოცემის" 73-ე თავი).

თ) ეპისტოლე პეტრესი მეორე: „გარდამოცემის" 82-ე თავში გამოყენებულია II, 22.

თ) ეპისტოლე იოანესი პირველი: I, 5 (85 თ.), I, 7 (95 თ.), IV, 3 (99 თ.).

ი) რომაელთადმი: I, 4 (91 თ.), I, 20 (25 თ.), I, 25 (21 თ.), V, 12 (71 თ.), VI, 3 (82, 84 თთ.), VI, 4 (82 თ.), VII, 22 (95 თ.), VII, 23 (95 თ.), VIII, 3 (95 თ.), VIII, 3, 4 (95 თ.), VIII, 9 (8 თ.), VIII, 17 (86, 88 თთ.), VIII, 26 (95 თ.), VIII, 29 (81, 88, 91 თთ.), IX, 19 (43 თ.), IX, 21 (26 თ.), IX, 22 (92 თ.), X, 17 (83 თ.), XI, 8 (92 თ.), XI, 32 (92 თ.), XI, 36, (54, 86 თთ.).

ია) კორინთელთადმი პირველი: I, 18 (84 თ.), I, 23 (84 თ.), I, 24 (8, 84 თთ.), II, 8 (47, 48, 91 თთ.), II, 11 (1 თ.), II, 14, 15 (84 თ.), III, 16 (88 თ.), III, 17 (88 თ.), III, 19 (87 თ.), VI, 19 (88 თ.), VII, 2 (97 თ.), VII, 25 (58 თ.), VIII, 6 (54 თ.), VIII, 7 (90 თ.), X, 1-2 (82 თ.), X, 17 (86 თ.), XI, 2 (89 თ.), XI, 24 (86 თ.), XI, 25, 26 (86 თ.), XI, 29 (86 თ.), XI, 31-32 (86 თ.), XII, 28 (88 თ.), XIII, 10 (96 თ.), XV, 16-17 (100 თ.), XV, 20 (72, 100 თ.), XV, 21 (56 თ.), XV, 28, (91 თ.), XV, 32 (100 თ.), XV, 35 (100 თ.), XV, 36 (75 თ.), XV, 36-38 (100 თ.), XV, 42-44 (100 თ.), XV, 47 (56 თ.), XV, 53 (72, 100 თთ.).

იბ) კორინთელთადმი მეორე: III, 17 (88 თ.), V, 21 (91 თ.), VI, 14 (77 თ.), VI, 16 (88 თ.), XII, 2 (20 თ.), XII, 7 (43 თ.).

იგ) გალატელთადმი: III, 13 (69, 91 თთ.), III, 27 (84 თ.), IV, 3 (96 თ.), IV, 4 (56 თ.), IV, 4-5 (96 თ.), IV, 7 (65, 88, 96 თთ.), V, 3 (98 თ.).

იდ) ეფესელთადმი: II, 6 (50 თ.), III, 14-15 (8 თ.), IV, II (88 თ.), V, 19 (88 თ.).

იე) ეპისტოლე ფილიპ,: II, 6 (45, 91 თთ.), II, 8 (58 თ.), II, 10 (73 თ.), III, 20-21 (100 თ.).

ივ) ეპისტოლე კოლასელთადმი: I, 15 (8, 81 თთ.), I, 17 (12, 25 თთ.), I, 18 (100 თ.), II, 3 (65 თ.), II, 9 (50 თ.), II, 12 (82 თ.).

იზ) ეპისტოლე თესალონიკელთადმი პირველი: IV, 14 (100 თ.), IV, 17 (87 თ.).

იმ) ეპისტოლე თესალონიკელთადმი მეორე: II, 3-4 (99 თ.), II, 3, 8 (99 თ.), II, 8-10 (99 თ.), II, 9 (99 თ.), II, 10-12 (99 თ.), II, 15 (89 თ.).

ით) ტიმოთესადმი პირველი: I, 7 (66 თ.), I, 9 (96 თ.), II, 4 (43 თ.), III, 6 (44 თ.).

ი) ტიმოთესადმი მეორე: II, 20-21 (92 თ.), III, 16 (90 თ.).

კა) ებრაელთადმი: I, 1-2 (90 თ.), I, 2 (8, 15, 48 თთ.), I, 2-3 (91 თ.), I, 3 (8, 91 თთ.), I, 9 (79 თ.), II, 14 (81 თ.), II, 17 (86 თ.), IV, 12 (86 თ.), VI, 4-6 (82 თ.), VII, 14 (46 თ.), VIII, 5 (89 თ.), XI, 1 (83 თ.), XI, 6 (84 თ.), XI, 21 (84 თ.), XI, 37, 38 (88 თ.), XIII, 4 (97 თ.), XIII, 17 (88 თ.).

კბ) გამოცხადება: XI, 3, 7 (99 თ.), XIX, 16 (88 თ.), XXI, 1 (20 თ.).

უხვად იყენებს იოანე დამასკელი ბიზანტიის ლიტერატურის გამოჩენილ მოღვაწეთა თხზულებებს. ხშირად იმოწმებს მათ თავისი დებულების დასამტკიცებლად, ხშირად კი წყაროს მიუთითებლად ეყრდნობა მათ ნააზრევს. „გარდამოცემაში“ იგრძნობა შემდგომ ავტორთა თხზულებების კვალი: გრიგოლ ნაზიანზელის, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის, გრიგოლ ნოსელის, ბასილი დიდის, კირილე ალექსანდრიელის, ათანასე ალექსანდრიელის, მაქსიმე აღმსარებლის, ნემესიოს ემესელის, იოანე ოქროპირის, მეთოდიოს პატარელის, თეოდორიტე კვირელის, ანასტასი სინელის, იუსტინეს, კლიმენტი ალექსანდრიელის, ლეონტი იერუსალიმელის, ლეონ პაპის, პროკლე კონსტანტინოპოლელის, სოფრონიოს იერუსალიმელის, ელოგი ალექსანდრიელის, ანასტასი ანტიოქელის, ფელიქს III ეპისკოპოსის, აგათონი პაპის, ეპიფანე კვიპრელის, კირილე იერუსალიმელის, ასტერი ამასიელის, ირინეოს ლიონელის, ევსტათი ანტიოქელის, ევაგრე სქოლასტიკოსის, ათანასი მცირისა. ეს არის იმ საეკლესიო მოღვაწეთა და სასულიერო მწერლების არასრული სია, რომელთა თხზულებებითაც იოანე დამასკელს უსარგებლია. ამას უნდა დაემატოს აგრეთვე ზოგიერთი საეკლესიო კრების დადგენილებები, როგორიც არის ნიკეისა და ეფესოს (III მსოფლიო) კრებები, რომელთა კვალს ეპოულობთ „გარდამოცემის“ 51-ე თავში, აგრეთვე კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო კრება, რომლის თეზისების ანარეკლი იგრძნობა „გარდამოცემის“ 58-ე, 59-ე და 62-ე თავებში.

ყველაზე ხშირად იოანე დამასკელი მიმართავს გრიგოლ ნაზიანზელის ავტორიტეტს. მისი 26 სხვადასხვა თხზულება გამოუყენებია მას „გარდამოცემაში“, მათ შორის 24 არის გრიგოლ ნაზიანზელის პოლემიკური თუ ჰომილეტიკური სიტყვები. განვაგრძობთ შედარებისათვის დამასკელის წყაროების სრული ნუსხის ჩამოთვლას:

3. გრიგოლ ნაზიანზელი (მისი „სიტყვები“ მოგეყავს Patrologia Graeca-ში გამოქვეყნებული ნუმერაციის მიხედვით): პირველი სიტყვა (დამასკელს გამოუყენებია მე-14 და 50 თავებში), IV, (60 თ.), V (47 თ.), XII (8 და 45 თავებში), XIII (8, 14 თავებში), XIX (8 თ.), XX (8, 66 თთ.), XXIII (8 თ.), XXIV (10, 65 თთ.), XXV (8, 48, 61 თთ.), XXIX (8 თ.), XXXI (8 თ.), XXXII (4, 8 თთ.), XXXIV (1, 2, 3, 4, 8, 13, 17 თავებში), XXXV (5, 8, 15 თთ.), XXXVI, (8, 9, 12, 13, 58, 65, 66, 68, 69, 79, 91 თავებში), XXXVII (2, 7, 8, 10, 11, 13 თავებში), XXXVIII (7, 15, 16, 17, 25, 26, 45, 46, 50 თავებში), XXXIX (8, 54, 61, 77, 82, 91 თავებში), XL (8, 14, 98 თავებში), XLII (15, 16, 25, 26, 46, 54, 61, 68, 71, 86, 96 თავებში), XLIV (7, 13, 15, 82, 96 თავებში), XLV (8, 10 თთ.), XLVII (99 თ.), XLIX (8, 82 თავებში). გრიგოლ ნაზიანზელისავე აპოლინარის საწინააღმდეგოდ დაწერილი თხზულება გამოყენებულია „გარდამოცემის“ 62-ე თავში, ხოლო მისი ეპისტოლე კლედონიოსისადმი – 50, 56, 60 და 62 თავებში.

4. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) ხუთი თხზულების კვალსაც ეხედებით „გარდამოცემაში“, ხშირად დამასკელი თვითონ მიუთითებს წყაროს – „სანატრელმა დიონისემ“ თქვაო. ეს თხზულებები შემდეგია:

ა) საღმრთოთა სახელთათჳს (გამოყენებულია „გარდამოცემის“ 1, 2, 5, 8, 9, 10, 11, 12, 14, 50, 55, 59, 86 თავებში);

ბ) ზეციური იერარქიისათჳს ("გარდამოცემის" XI, XVII თავებში);
გ) საეკლესიო იერარქიისათჳს ("გარდამოცემის" მე-16 თავი);
დ) საიდუმლო ღმრთისმეტყუელებისათჳს ("გარდამოცემის" მე-4 თავი);
ე) ეპისტოლე გაიოჲსადმი IV (59, 63 თავები).

5. გრიგოლ ნოსელი: „გარდამოცემაში" გამოყენებულია მისი რვა თხზულება. უხვად იყენებს დამასკელი გრიგოლ ნოსელის ეგზეგეტიკურ თხზულებას „კაცისა შესაქმისათჳს", როცა ეხება ბიბლიური კოსმოგონიისა და ადამიანის შექმნის საკითხებს, აგრეთვე იყენებს გრიგოლ ნოსელის სხვადასხვა დოგმატურ და პოლემიკურ თხზულებას:
ა) კაცისა შესაქმისათჳს ("გარდამოცემის" 20, 25, 33, 44, 97 თავებში);
ბ) კატეხიზმო ("გარდამოცემის" 5, 6, 7, 18, 45, 86 თავებში);
გ) ეუნომიოსის წინააღმდეგ ("გარდამოცემის" 8, 81 თთ.);
დ) ეპისტოლე აბლაბიოსისადმი ("გარდამოცემის" 8, 10 თთ.);
ე) ანტიერეტიკონი აპოლინარის წინააღმდეგ ("გარდამოცემის" 58, 59 თთ.).
ვ) ბუნებისათჳს და იპოსტასისა ("გარდამოცემის" 59-ე თავი);
ზ) სულისათჳს და აღდგომისა ("გარდამოცემის" მე-100 თავი);
თ) სიტყჳა შობილი უფლისათჳს ("გარდამოცემის" 87-ე თავი);

6. ბასილი დიდი: დამასკელს „გარდამოცემაში" გამოუყენებია მისი ცამეტი თხზულება:
ა) ექუსთა დღეთაჲ ("გარდამოცემის" 20, 21, 23 თთ.);
ბ) ევნომიოსის წინააღმდეგ (8, 13 თთ.);
გ) სულისა წმიდისათჳს (7, 49, 75, 85, 86, 89 თთ.);
დ) ეპისტოლე XLIII (8, 49, 59 თთ.);
ე) სამოთხისათჳს (24, 25 თთ.);
ვ) ქრისტეშობისათჳს (21, 46 თთ.);
ზ) თარგმანება 44-ე ფსალმუნისა ("გარდამოცემის" 58-ე თავი);
თ) თარგმანება ისაიას მე-7 თავისა ("გარდამოცემის" 58 თავი);
ი) ნათლისღებისათჳს ("გარდამოცემის" 82-ე თავი);
ი) 115-ე ფსალმუნის თარგმანება ("გარდამოცემის" 84-ე თავი);
ია) ისაიას XI თავის თარგმანება ("გარდამოცემის" 84-ე თავი);
იბ) რამეთუ ღმერთი არა არს მიზეზი ბოროტისა ("გარდამოცემის" 92-ე თავი);
იგ) შესხმა 40 მოწამეთა ("გარდამოცემის" 88, 89 თთ.).

7. კირილე ალექსანდრიელი: დამასკელს გამოუყენებია მისი რვა თხზულება:
ა) სულისა წმიდისათჳს ანუ „საუნჯე" ("გარდამოცემის" 4, 7, 8, 12, 59, 91 თთ.);
ბ) ნესტორიანელთა წინააღმდეგ ("გარდამოცემის" 56-ე თავი);
გ) აპოლოგეტიკა თეოდორიტეს წინააღმდეგ (46, 52, 55 თთ.);
დ) თარგმანება იოანეს სახარებისა (50, 59, 77 თთ.);
ე) წერილები ეულოგის წინააღმდეგ ("გარდამოცემის" 51-ე თავი);
ვ) მონაზონთადმი ("გარდამოცემის" 46, 56 თთ.);
ზ) წერილი იმპერატორ თეოდოსისა და დედოფლებისადმი (79-ე თ.);
თ) აკაკის, მიტილენის ეპისკოპოსს (თ. 91);

8. ათანასე ალექსანდრიელი: „გარდამოცემაში" ეხედებით მისი ცხრა თხზულების ანარეკლს:
ა) სიტყვები არიანელთა წინააღმდეგ (8, 12 თთ.);
ბ) განჭორციელებისათჳს სიტყჳსა (3, 77 თთ.);

გ) სიტყვები წარმართთა წინააღმდეგ (3, 93 თთ.);
დ) აპოლინარის წინააღმდეგ (26, 76 თთ.);
ე) ქრისტეს მაცხოვარებისათჳს (45, 50, 67, 70 თავები);
ვ) წერილები სერაპიონს (60, 82 თთ.);
ზ) გარდამოცემა სარწმუნოებისა (81-ე თავი);
ჱ) წერილი ადელფისადმი (76-ე თავი);
თ) წინადაცვეთისათჳს და შაბათისა (96, 98 თთ.).

9. მაქსიმე აღმსარებელი: დამასკელს „გარდამოცემაში“ გამოუყენებია მაქსიმე აღმსარებლის ცხრა თხზულება:
ა) ეპისტოლე მარინოსადმი (“გარდამოცემის“ 8, 36 თავები);
ბ) დიალოგი არიანელთა წინააღმდეგ (“გარდამოცემის“ მე-8 თავი);
გ) პასუხები „საღმრთო წერილის“ ბუნდოვან ადგილებზე (25 თ.);
დ) წიგნი სულისა და მისთა მოქმედებათათჳს (“გარდამოცემის“ 26-ე თავი);
ე) დიალოგი პჳროსთან (“გარდამოცემის“ 36, 37, 58, 59, 62, 63, 67 თთ.);
ვ) დოგმატები – მარინოსადმი (“გარდამოცემის“ 63, 69 თთ.);
ზ) ქრისტეს ორთა ნებათათჳს (“გარდამოცემის 59, 61, თთ.);
ჱ) ეპისტოლე იოანესადმი (“გარდამოცემის“ 47-ე თავი);
თ) ეპისტოლე ნიკანდრესადმი (“გარდამოცემის“ 61-ე თავი);

10. ნემესიოს ემესელი: იოანე დამასკელს „გარდამოცემაში“ ჭარბად გამოუყენებია მისი ცნობილი თხზულება – „ბუნებისათჳს კაცისა“ (შდრ. „გარდამოცემის“ 17, 18, 21, 22, 25, 26, 27, 29, 30, 32, 33, 34, 38, 39, 40, 41, 42 და 43-ე თავები).

11. იოანე ოქროპირი: „გარდამოცემაში“ ავტორს გამოუყენებია იოანე ოქროპირის ათი თხზულება, ძირითადად ეგზეგეტიკური ხასიათისა (თარგმანებანი):
ა) თარგმანება იოანეს სახარებისა (“გარდამოცემის“ 27, 68, 86 თთ.);
ბ) თარგმანება ეფესელთადმი ეპისტოლისა (“გარდამოცემის“ 44, 86 თთ.);
გ) თარგმანება ებრაელთადმი ეპისტოლისა (“გარდამოცემის“ მე-20 თავი);
დ) თარგმანება მათეს სახარებისა (“გარდამოცემის“ 68, 82, 86 თთ.);
ე) თარგმანება საქმეთა მოციქულთასა (“გარდამოცემის“ 59-ე თავი);
ვ) თარგმანება წმ. თომასი (“გარდამოცემის“ 59-ე თავი);
ზ) თარგმანება რომაელთადმი ეპისტოლისა (“გარდამოცემის“ 91-ე თავი);
ჱ) თარგმანება თესალონიკელთადმი მეორე ეპისტოლისა (99-ე თავი);
თ) საღმრთოჲსა წერილისათჳს (“გარდამოცემის“ 98-ე თავი);
ი) თუ რომლისა ბოროტისა მიზეზი არს ღმერთი (“გარდამოცემის“ 92-ე თავი).

12. მეთოდიოს პატარელი: დამასკელს გამოუყენებია მისი ორი თხზულება:
ა) ორიგენეს წინააღმდეგ (“გარდამოცემის“ 24, 25, 100 თთ.);
ბ) აღდგომისათჳს (“გარდამოცემის“ 82-ე თავი).

13. თეოდორიტე კეირელი: დამასკელს უსარგებლია მისი თხზულებით „განხილვა ერეტიკულ ზღაპრობათა“, კერძოდ, გამოუყენებია ამ თხზულების მეხუთე წიგნის 23-ე თავი (“გარდამოცემის“ თ. 17).

14. ანასტასი სინელი: დამასკელს გამოუყენებია მისი თხზულება ე. წ. „გზამკვლევი“ (“გარდამოცემის“ 37, 47, 58, 72 თთ.).

15. იუსტინე მოწამე: „გარდამოცემის“ მე-20 თავში გამოყენებულია იუსტინეს თხზულება მანიქეველთა წინააღმდეგ (“კითხვამიგება ელინებისადმი“).

16. კლიმენტი ალექსანდრიელი: „გარდამოცემის“ 37-ე თავში გამოყენებულია ამ ავტორის „სტრომატები“.

17. ლეონტი იერუსალიმელი: დამასკელს გამოუყენებია მისი შემდეგი თხზულებანი:

ა) წიგნი სექტების შესახებ (“გარდამოცემის“ 51, 53, 55, 72 თთ.);

ბ) წიგნები (სამი წიგნი) ნესტორიანელთა და ევტიხიელთა წინააღმდეგ (“გარდამოცემის“ 47, 72 თთ.);

გ) XXX თავი სეეროსის წინააღმდეგ (“გარდამოცემის“ 47-ე თავი);

დ) სეეროსის სილოგიზმების შესახებ (“გარდამოცემის“ 49-ე თავი);

18. ლეონ პაპი: დამასკელს გამოუყენებია მისი ეპისტოლენი (“გარდამოცემის“ 47, 58, 59, 63 თთ.).

19. პროკლე კონსტანტინოპოლელი: დამასკელს გამოუყენებია „გარდამოცემის“ 46 და 47-ე თავებში ამ ავტორის მეორე ეპისტოლე სომეხთადმი „რწმენისათჳს“.

20. სოფრონიოს იერუსალიმელი: „გარდამოცემის“ 62-ე თავში დამასკელს გამოუყენებია სოფრონიოსის წერილი მონოთელიტების წინააღმდეგ.

21. ევლოგი ალექსანდრიელი: მისი მოსაზრებანი მონოფიზიტების წინააღმდეგ დამასკელს გამოუყენებია „გარდამოცემის“ 47-ე თავში.

22. ეპიფანე კვიპრელი: დამასკელს გამოუყენებია მისი სამი თხზულება: ა) ანკორატი ანუ ღუზა, რათა მორწმუნენი არ ირყეოდნენ ყოველგვარი მოძღვრების ქარით (“გარდამოცემის“ 76, 100 თავები); ბ) პანარიონი (“გარდამოცემის“ 96, 100 თთ.); გ) წიგნი ზომისა და წონის ერთეულებზე (“გარდამოცემის“ 90-ე თავი).

23. კირილე იერუსალიმელი: მისი თეოლოგიური მოძღვრებანი დამასკელს გამოუყენებია „გარდამოცემის“ 84, 86, 90, 99-ე თავებში.

24. ასტერი ამასიელი: მისი „საუბარი წმიდა მოწამეებზე“ დამასკელს გამოუყენებია „გარდამოცემის“ 88-ე თავში.

25. ირინეოს ლიონელი: მისი თხზულება „ერესთა წინააღმდეგ“ დამასკელს გამოუყენებია „გარდამოცემის“ 99-ე თავში.

26. ევსტათი ანტიოქელი: „გარდამოცემის“ 87-ე თავში გამოყენებულია მისი თხზულება „მოგონება ექუსთა დღეთა“.

27. ევაგრე სქოლასტიკოს: „გარდამოცემის“ 89-ე თავში დამასკელს გამოუყენებია ევაგრეს საეკლესიო ისტორია.

28. ათანასი მცირე: „გარდამოცემის“ 75, 82 და 84 თავებში გამოყენებულია მისი „კითხვები ანტიოქის მიმართ“.

თავისთავად ცხადია, რომ იოანე დამასკელი დიდად დავალებულია წინამორბედი ბიზანტიური და საერთოდ საქრისტიანო ლიტერატურით. ჩვენ მიერ მოტანილი ცხრილებიდან აშკარად ჩანს, თუ რამდენად დიდია და მნიშვნელოვანი იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ წყაროები, საინტერესოა ის გარემოება, რომ განსაკუთრებული სიმპათიით არის გამსჭვალული იოანე დამასკელი ქრისტიანული პოეზისადმი. ეს იგრძნობა „გარდამოცემაში“ ფსალმუნების ციტაციის დროს და აგ-

რეთვე შესანიშნავი ბიზანტიელი პოეტის გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების, მართალია, ამ შემთხვევაში არა ლექსების, მაგრამ მჭევრმეტყველების შესანიშნაეი ნიმუშების – მისი სიტყვების გამოყენების დროს.

იოანე დამასკელი ქართულ მწერლობაში

იოანე დამასკელის თხზულებები საკმაო სისრულით არის ნათარგმნი ქართულ მწერლობაში. გარდა Πηγή-ს ნაწილებისა, შეგეიძლია დავასახელოთ სხვა ნაწარმოებებიც, რომელნიც ქართველ მოღვაწეებს უთარგმნიათ. იოანე დამასკელის პოეტურ ნაწარმოებთა თარგმანებიდან უნდა აღინიშნოს ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი „საეედრებელნი ლოცვანი" შვიდეულისა და „სადა" დღეებისა სამშაბათიდან შაბათამდე, რომელიც ქართველ მთარგმნელს პროზად შეუსრულებია.[46] გიორგი მთაწმინდელს იოანე დამასკელის ქრისტეშობის იამბიკური საგალობელი უთარგმნია ქართული იამბიკოთი.[47] ექვთიმე ათონელსავე ეკუთვნის გარდა იოანე დამასკელის „წინამძღუარისა", რომელიც კ. კეკელიძის განმარტებით „გარდამოცემის" თავისებურ რედაქციას წარმოადგენს, აგრეთვე „ორისა ბუნებისათჳს ქრისტესსა". [48] ექვთიმეს თარგმანით მოაღწია ჩვენამდე აგრეთვე იოანე დამასკელის ჰომილეტიკურმა თხზულებამ „შობისათჳს წმიდისა ღმრთისმშობელისა".[49] აქვე უნდა აღინიშნოს გიორგი ათონელის თარგმნილი დამასკელის „სიტყუაჲ ღმრთისმეტყუელებისათჳს და შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა",[50] რომელსაც, კ. კეკელიძის სიტყვით, თუმცა ჰომილეტიკური ფორმა აქვს, მაგრამ შეიცავს დოგმატიკურ მსჯელობას. [51] მასვე უთარგმნია იოანე დამასკელის „უწყებათაგან პირველთა დიდითა გამოწულილვითა შეკრებილი საკითხავი ყოელად ქებულისა შობისათჳს უფლისა".[52]

ქართული მწერლობის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი თხზულებანი იოანე დამასკელისა; გარდა Πηγή-სი და დამასკელის Vita-სი,[53] ეფრემ მცირემ თარგმნა იოანე დამასკელის ჰომილეტიკური თხზულებანი: შესუენებულთათჳს,[54] სიტყუა ლეღუსათჳს განხმელისა და იგავისათჳს ვენაჯისა,[55] სიტყუა მეორედ მოსლვისათჳს უფლისა.[56]

ცალკე უნდა აღინიშნოს არსენ იყალთოელის დოგმატიკურ-პოლემიკური კრებული, რომელიც „დოგმატიკონის" სახელით არის ცნობილი.[57] კ. კეკელიძის აზრით, ამ კრებულის შედგენის ინიციატივა ეკუთვნის თვით არსენ იყალთოელს, ასეთი

---

[46] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 595, მისივე Грузинская версия арабского жития Иоанна Дамаскина, Хр. Восток, т. III, вып. 2, გვ. 136.

[47] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 237, 602.

[48] იქვე, 471. ხელნაწერში ამ თხზულებას ასეთი სათაური აქვს: „ქრისტეს შორის ორთა ნებათათჳს და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითთა თუსებათა, გარნა შემოკლებული, და ორთა ბუნებათათჳს და ერთისა გუამისა" (A 205, გვ. 431-448).

[49] ქუთ. მუზ. № 4, 78-81. S - 3648.

[50] ქუთ. მუზ. № 5, 447-457.

[51] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 225.

[52] A 162, ქუთ., № 5; კ. კეკელიძე, Op. cit., 230.

[53] ეფრემ მცირემ თარგმნა დამასკელის Vita-ს ის რედაქცია, რომელიც მიქაელის არაბული თხზულების ბერძნულად თარგმანს წარმოადგენდა, შესრულებულს სამუელ ადანელის მიერ (К. Кекелидзе, Грузинская версия жития Иоанна Дамаскина).

[54] A 129, 162, 180.

[55] ქუთ. მუზ. № 8, 284-289, A 129.

[56] ქუთ. მუზ. № 8, 933-937, A 162, 172, 182.

[57] ჩვენამდე მოაღწია „დოგმატიკონის" მრავალმა ნუსხამ, მაგრამ მათ შორის ყველაზე სრული და სანდო არის S - 1463 ნუსხა.

ხასიათის კრებული ბიზანტიურ მწერლობაში ცნობილი არ არის „და რაც უფრო საყურადღებოა, – განაგრძობს მკვლევარი, – ყველა მისი შემადგენელი სტატია, თუმცა ზოგიერთი მათგანი მანამდეც იყო გადმოღებული, მას თვითონ დამოუკიდებლივ უთარგმნია“.[58] გარდა ჩვენთვის საინტერესო თხზულებისა – „გარდამოცემისა“ და „დიალექტიკისა“ არსენ იყალთოელს უთარგმნია და „დოგმატიკონში“ შეუტანია დამასკელის ორი პოლემიკური თხზულება: „სიტყუაჲ სარწმუნოებისათჳს, დასამჭობელად ნესტორიანთა“ და „სიტყუაჲ დასამჭობელი ნესტორიანთაჲ“, მისივე „სიტყუაჲ დასამჭობელად ღმრთის მოძაგებულისა წვალებისა იაკობთაჲსა“, „ქრისტეს შორის ორთა ნებათათჳს და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითთა თჳსებათა, გარნა შემოკლებული, და ორთა ბუნებათათჳს და ერთისა გუამისა“.[59] „დოგმატიკონში“ არსენს შეუტანია აგრეთვე ნაწყვეტები იოანე დამასკელის Ἱερὰ παράλληλα-დან: „სიტყუანი წმიდათა მამათანი, ესე იგი არს გამოკრებანი წამებათანი“. პეტრიწონის სალიტერატურო სკოლაში XII საუკუნეში უთარგმნიათ იოანე დამასკელის თხზულებები: „სიტყუაჲ წმიდათა ხატთათჳს“, თაჲი მეორე[60] და „სიტყუაჲ სიტყჳს საგებელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმიდათა ხატთა“.[61]

ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართული მწერლობა საკმაოდ კარგად იცნობს იოანე დამასკელის თხზულებებს, ხოლო მისი ძირითადი თხზულება „წყარო ცოდნისა“, მართალია, არასრული სახით, ისტორიული შესაველის გამოკლებით, სამჯერ ითარგმნა ქართულად. მართალია, არსებობს აზრი, რომ ექვთიმე ათონელის მეგობარმა არსენ ნინოწმიდელმაც აგრეთვე თარგმნა იოანე დამასკელის „ღმრთისმეტყველება“,[62] მაგრამ ეს მოსაზრება კ. კეკელიძემ სამართლიანად მიიჩნია გაუგებრობად.[63]

თ. ჟორდანიას აზრით, იოანე დამასკელის ერთი თხზულება „წმიდისა სამებისათჳს“, თითქოს უნდა ეთარგმნოს ექვთიმე გრძელს,[64] მაგრამ ეს არის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ექვთიმე ათონელის „წინამძღუარისა“.[65]

იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“ საშუალო საუკუნეებში ერთ-ერთი სახელმძღვანელო წიგნი იყო როგორც დასავლეთ ევროპაში, ისევე, ცხადია, საქართველოშიც. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ვკითხულობთ საინტერესო ცნობას: პლატონ იოსელიანის მამას ეგნატე მარტყოფელს თურმე მზეჭაბუკ ორბელიანი „ახსნით“ ასწავლიდა ფილოსოფიის კურსს დამასკელის „დიალექტიკისა“ და პროკლეს „კაშირნის“ სახით.[66]

საინტერესოა ის გარემოება, რომ როცა ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელს სომხურიდან გადმოუკეთებია „წიგნი ჭეშმარიტებითისა ღმრთისმეტყველებისა“, უგრძვნია მოსალოდნელი თავდასხმა „მწვალებელთა“ წიგნის გამოყენებისათვის. წინდახედულად ამოფარებია იოანე დამასკელის ავტორიტეტს და წინასიტყვაობაში აღუნიშნავს, რომ იოანე დამასკელიც ხომ ასე იქცეოდა, მწვალებელთა აზრებს ჩვენი ეკლესიის სასარგებლოდ იყენებდაო. ამ თხზულების წინასიტყვაობაში (ქუთ. № 95 ნუსხა) ანტონი ამბობს: „ხოლო თუ მაბრალებდეს ვინ მწვალებელთა წიგნთა

---

[58] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 278.
[59] S - 1463, ფ. 128-138, ქუთ. № 23, 36-52, A 205, 431-448.
[60] A 162, 138-142, ქუთ. № 8, 147-156.
[61] ქუთ. № 8, 156-174, კ. კეკელიძე, Op. cit., გვ. 485.
[62] თეიმურაზ ბატონიშვილის კატალოგში ვკითხულობთ, რომ თითქოს „დოგმატიკა, ღმრთისმეტყველება იოანე დამასკელისა“ თარგმნეს არსენ ნინოწმიდელმა და იოანე გრძელისძემ (ა. ცაგარელი, Сведения, III, 149). კ. კეკელიძის აზრით, თეიმურაზს არსენ იყალთოელის დოგმატიკონი აქვს მხედველობაში, რომელიც მან ვინმე იოანე რატფელის დახმარებით თარგმნა. არსენ ვაჩეს ძე მას არსენ ნინოწმიდელად, ხოლო იოანე რატფელი იოანე გრძელისძედ მიუღია (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 186-7, შენ. 2).
[63] კ. კეკელიძე, Op. cit. გვ. 186-7, შენ. 2.
[64] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 334.
[65] კ. კეკელიძე, ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში, ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“, № 2-3, გვ. 114-120, მისივე ეტიუდები, ტ. VI, მისივე ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1960, გვ. 202, შენ. 2.
[66] კალმასობა, II, გვ. 201. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1960, გვ. 74.

გარდმოცემისათჳს, მაქუს წინა ყოფად მისდა ოქრონეკტარისა იოანე დამასკელისა მიერ გარდმოცემაჲ კატიღორიისა წიგნისა, რამეთუ მანცა იოანე მიიღო წიგნი ესე მათ კაცთაგან, რომელნი არა თანაზმა იყვნენ ჩუენისა ეკლესიისა მოძღურებისა ზედა. კუალადღა თუ მეტყოდეს – წიგნი იგი განკაზმა იოანე დამასკელმან თანაჴმად ჩუენისა ეკლესიისა, მეცა არა წინააღმდგომად, არამედ უფროჲსად თანაჴმად ჩუენისა ეკლესიისა განკაზმულ ვყავ წინამდებარე ესე წიგნი“.[67]

ქვემოთ ცალკე შევეხებით ანტონ კათოლიკოსის დამოკიდებულებას იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართულ თარგმანებთან, მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი ბუნდოვანი შეხედულება, რომელიც მას გამოუთქვამს ამ საკითხზე. კ. კეკელიძე წერს, რომ ანტონ კათოლიკოსი თავის დოგმატურ-პოლემიკურ თხზულებაში „მზამეტყველება“ უხვად სარგებლობდა დამასკელის „გარდამოცემით“, საერთოდ იმ მასალით, რომელიც არსენის „დოგმატიკონში“ გვხვდებაო: „მეტად უხვად სარგებლობს ანტონი ანასტასი სინელის „წინამძღუარით“, იოანე დამასკელის „გარდამოცემით“, კირილე ალექსანდრიელის „საუნჯით“ და ლეონ დიდის, რომის პაპის „ტომოსით“, საზოგადოდ იმ მასალით, რომელიც თავმოყრილია არსენ იყალთოელის „დოღმატიკონში“. აღნიშნული ავტორებიდან მას მთელი გვერდებით მოაქვს ციტატები“.[68] აქედან ნათლად ჩანს, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ანტონი კარგად იცნობს არსენ იყალთოელის კრებულს და კერძოდ „გარდამოცემისა“ და „დიალექტიკის“ არსენისეულ თარგმანს. შეუძლებელია სხვაგვარად ვიფიქროთ. არსენის რედაქცია „გარდამოცემისა“ ხომ 1744 წელს დაიბეჭდა კიდეც მოსკოვში, როცა ანტონი 24 წლის იყო და კათალიკოსად ეკურთხა. მიუხედავად ამისა „ღვთისმეტყველების“ წინასიტყვაობაში ანტონი არც ასახელებს არსენ იყალთოელის თარგმნილ „დიალექტიკას“, არამედ ლაპარაკობს ექვთიმესა და ეფრემის რედაქციებზე. ანტონი თავს ესხმის მთარგმნელებს, რომელთაც სომხურიდან თარგმნეს ადრე უკვე ბერძნულიდან ნათარგმნი თხზულებანი და აღნიშნავს:

„აქუნდა ვიდრემე ქართველთა თარგმანებული ორთაგან გრამატიკოსთა ჩუენთა, ესე იგი სანატრელისა ევთიმისაგან და ეფრემისაგან მცირისა, კატიღორია არისტოტელებრი, ქმნილი გარდმოცემით წმიდისაგან დამასკელისა; ხოლო განსჯისათჳს 49 თავსა შინა და გამოჩინებისათჳს 50 თავსა შინა იტყჳს იგივე დამასკელი“.[69] რა თხზულება უნდა იყოს ეს, თუ არა დამასკელის „დიალექტიკა“? მაგრამ, როგორც ცნობილია, ექვთიმე ათონელს „დიალექტიკა“ კი არ უთარგმნია, არამედ გააკეთა დამასკელის თხზულებების Compendium-ი, ასე რომ გაუგებარი რჩება ანტონის ცნობა იმის შესახებ, თითქოს დამასკელის „კატიღორია არისტოტელებრი“ თარგმნეს არა ეფრემ მცირემ და არსენ იყალთოელმა, არამედ ექვთიმემ და ეფრემმა.

ექვთიმე ათონელის ბიოგრაფიაში და იოანეს ანდერძში აღნიშნულია თხზულება „სარწმუნოებისათჳს“. კ. კეკელიძემ გაარკვია, რომ ეს არის „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა თქუმული სარწმუნოებისათჳს, სიტყჳსგებაჲ უთაოთა მიმართ მწვალებელთა, რომელნი ორთა მათ ბუნებათა ქრისტესთა უარჰყოფენ“.[70] ამ თხზულებას მოკლე შესავალი უძღვის წინ და შემდეგ კი წერია: „დაწყებაჲ წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების წინამძღუ-

---

[67] შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 394.

[68] იქვე, გვ. 379.

[69] „ღვთისმეტყველება“ შემოუნახავს S ფონდის შემდეგ ნუსხებს: 3657 (ნაწ. I), 3658 (ნაწ. II), 3659 (ნაწ. III) და 3660 (ნაწ. IV) შდრ. კ. კეკელიძე, Op. cit., გვ. 383-4.

[70] შემონახულია შემდეგ ნუსხებში: A 200, 240, 853 და სხვა.

არი, თქმული იოანე დამასკელისა". აქედან ირკვევა, რომ „სარწმუნოებისათჳს" და „წინამძღუარი" ერთი და იგივე თხზულება ყოფილა.[71]

კ. კეკელიძემ ამ თხზულების განსამარტავად მოიტანა ეფრემ მცირის სიტყვები მის მიერ თარგმნილი „გარდამოცემის" შესაელიდან. ჩვენც მოვიყვანთ ამ ციტატას:

„რომელსა... მოკლე წინამძღუარი უნდეს წმიდისა მამისა ეფთჳმეს მიერ თარგმანებული, იგი შეიტკბოს, რამეთუ მას მადლითა სულისა წმიდისაჲთა ჴელეწიფებოდა შემატებაჲცა და კლებაჲცა, ხოლო უკუეთუ ახალი ესე სწადდეს გარდაწერად, მას ამასთანა ნუ გაჰრეეს, ნუცა ამას მას თანა... ამას ყოველსა თანა ესეცა საცნაურ იყაენ, ვითარმედ წინამძღუარი სახელად წმიდისა ანასტასი სინელისა თქუმულთათჳს მინახაეს ბერძულსა შინა, ხოლო ამის წიგნისათჳს არასადა თჳნიერ ქართულისა. ამისთჳსცა ესრეთ ჯერ უჩნდინ სიწმიდესა თქუენსა, რათა ვითარ იგი ზედაწარწერილსა ამისსა შინა ითქუმის, გარდამოცემა უწოდეთ წიგნსა ამას, რომელი იგი ბერძულსა შინა ესრეთვე წარწერილ არს, და წინამძღუარი მასვე წმიდისა მამისა ეფთჳმეს თარგმნილსა სახელედებოდენ, რამეთუ თჳთ იგი ამისგანვე გამოკრებილი არს. ხოლო ესრეთ არა უწყი, თუ თჳთ მამასა ეფთჳმეს გამოუკრებია, ანუ ბერძულად ესრეთ უპოვნია".[72]

აქედან ნათლად ჩანს, რომ ექვთიმეს უხვად გამოუყენებია მისთვის ჩვეული მადლი „შემატებისა და კლებისა" და კი არ უთარგმნია „გარდამოცემა", არამედ გადმოუკეთებია. ამიტომ ეფრემი აფრთხილებს მკითხველს, რომ ამ ორი თარგმანის აღრევა არ შეიძლება. ეფრემი გაოცებულია იმით, რომ ექვთიმეს თარგმანში დამასკელის თხზულებას „წინამძღუარი" ეწოდება. ასეთი სათაური მხოლოდ ანასტასი სინელის თხზულებაში მინახავს ბერძნულად, ხოლო დამასკელის თხზულებას მარტო ქართულში აქვს ასეთი სათაური. ამიტომ ეფრემი მოუწოდებს მკითხველს, რომ დამასკელის თხზულების ამ ორ რედაქციას სხვადასხვა სახელი უწოდონ, მის, ეფრემის, თარგმანს „გარდამოცემა", როგორც ბერძნულშია (ἔκδοσις), ხოლო ექვთიმეს რედაქციას – „წინამძღუარი", რადგან მას დამასკელის თხზულებებიდან გამოუკრებია ეს თარგმანიო. ეფრემმა არ იცის „გარდამოცემის" მსგავსი რედაქცია ბერძნულადეც არსებობდა, თუ თვითონ ექვთიმემ შეკრიბა ამ სახით. დაბეჯითებით ძნელია იმის მტკიცება, რომ ასეთი ხასიათის კრებული ექვთიმეს დროს ბერძნულად არ არსებობდაო, მაგრამ დღეს ასეთ რედაქციას ბიზანტიური მწერლობა არ იცნობს და სავსებით დასაშვებია, რომ მისი შემადგენელი თვით ექვთიმე ათონელი ყოფილიყო.

თავისთავად, რა თქმა უნდა, ექვთიმე ათონელის შემოქმედების შესასწავლად მისი „წინამძღუარი" ერთ-ერთი საყურადღებო წყარო იქნება, მაგრამ ჩვენ ამჯერად თავს ვიკავებთ მისი განხილვისაგან, რადგან იგი საკმაოდ შორდება ჩვენს თემას – საკუთრივ იოანე დამასკელის „გარდამოცემას". ექვთიმეს წინამძღვარი 24 (ზოგ ნუსხაში 25) სტატიისაგან შედგება. აქ გარდა „გარდამოცემის" ნაწყვეტებისა, ვხედებით ექსცერპტებს დამასკელის სხვა თხზულებებიდანაც, როგორიც არის „წვალებათათჳს" (Πηγή-ს მეორე ნაწილი), „რთულისათჳს ბუნებისა", „სამწმიდაობისა გალობისა", „წმიდისა სამებისათჳს", Ἱερὰ παράλληλα და სხვა.[73]

იოანე დამასკელის „დიალექტიკისა" და „გარდამოცემის" პირველ მთარგმნელად ქართულ მწერლობაში უნდა ჩაითვალოს ეფრემ მცირე. კ. კეკელიძის აზრით, ეფრემ მცირეს ეს თარგმანი უნდა შეესრულებინა მე-11 საუკუნის ოთხმოციან წლებში, როცა მასთან ერთად შავ მთაზე მოღვაწეობდა აგრეთვე არსენ იყალთოელი.[74] „დიალექტიკის" შესახებ ეფრემ მცირე ამბობს: „ესე ერგასისნი თაენი გარეშეთა

[71] კ. კეკელიძე, Op. cit., გვ. 201-202.
[72] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 216-218.
[73] შდრ. კ. კეკელიძე, Op. cit, გვ. 204.
[74] იქვე, გვ. 259.

წიგნთა და საფილასოფოსა სწაელულებისანი არიან... ენასა ჩუენსა სხუაჲ არარაჲ ოდეს თარგმნილა საფილასოფოსოთა წიგნთაგანიო". ამ სიტყვებს კ. კეკელიძე მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ „იოანე დამასკელის დიალექტიკის გადმოთარგმნით ეფრემმა საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ფილოსოფიური მწერლობის განვითარებას".[75]

ქართული მწერლობის ისტორიის თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ანდერძი, რომელიც ერთვის ეფრემ მცირის თარგმანს:

„ლოცვა ყავთ ქრისტეს მოყუარენო გაბრიელისთჳს, რომლისა ბრძანებითა ითარგმნა წმიდაჲ ესე წიგნი და კეთილთა მოღუაწეთა ჩემთა და განმაძლიერებელთა, ამასთანა მზრდელთაცა და მსახურთა არსენი იყალთოელისა, იოანე და იოანე ხუცესთა, სტეფანესთჳს და კნინისა და უფროჲს ყოველთა ჩემ საწყალობელისა რეცა თარგმნისა ეფრემ მცირისათჳს, რომელსა დიდთა კათოლიკეთა მარხვათა ცოდვათა თჳსთა გლოვაჲ და ქრისტიანეთაცა საერონი ჟამნი უგულებელს მექმნეს შიშითა ამისისა ვერ გასრულების[ა]თა, რომელი სრულ-ყო ღმერთმან ლოცვითა ზემო-ჴსენებულთა ამათ მამათაჲთა".[76]

როგორც ვხედავთ, ეფრემ მცირეს თარგმნის დროს ეხმარებოდნენ სხვა მოღვაწენი, მათ შორის არსენ იყალთოელი, „დიალექტიკისა" და „გარდამოცემის" ხელმეორედ მთარგმნელი. რაში გამოიხატებოდა ეს დახმარება? ჩამოთვლილი პირები, მათ შორის პირველ რიგში არსენი, იყენენ ეფრემის „კეთილი მოღუაწენი", მისი „განმაძლიერებელნი", ამასთან ერთად „მზრდელნი" და „მსახურნი". ეფრემს შიში ჰქონია, რომ ამ საქმეს ვერ მოერეოდა, მაგრამ ჩამოთვლილ „მამათა" ლოცვას უშველია. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ აქ არსენის ღვაწლი მარტო ლოცვით ამოიწურებოდა, მაშინ არ იტყოდა ეფრემი „ჩემთა კეთილთა მოღუაწეთა და განმაძლიერებელთა" და ცალკე კიდევ არ გამოჰყოფდა მათი დახმარების მეორე მხარეს: „ამასთანა მზრდელთაცა და მსახურთაო". ცხადია, ისინი, ან ზოგი მათგანი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, პირველად დასახელებული არსენი, თვით თარგმანის პროცესში ეხმარებოდნენ ეფრემს და არა მხოლოდ ხელს უწყობდნენ მყუდრო ლიტერატურული მუშაობისათვის „მზრდელობით" და „მსახურებით". სხვებთან ერთად, თუ მარტო არა, არსენი უნდა ყოფილიყო მისი „განმაძლიერებელი" არა მხოლოდ მორალურად, არამედ საქმითაც, ლიტერატურული თანამოღვაწეობით. რა თქმა უნდა, ძნელია ზუსტად განისაზღვროს არსენ იყალთოელის დამსახურება ეფრემის რედაქციის შექმნისას, მაგრამ ზოგი რამის გარკვევა მაინც მოხერხდება მათი თარგმანების დეტალური ურთიერთშედარების დროს.

თუ ეფრემის თარგმანი შერულდა XI საუკუნის ოთხმოციან წლებში, არსენის თარგმანი, კ. კეკელიძის აზრით, უნდა შესრულებულიყო მეთერთმეტე საუკუნის გასულს. მას დოგმატიკონის შედგენა უნდა დაეწყო მანგანას მონასტერში და დაესრულებინა საქართველოში.[77] კ. კეკელიძემ სცადა გამოერკვია მიზეზი არსენის მიერ Πηγή-ს ნაწილთა ხელმეორედ თარგმნისა. მკლევარი წერს:

„არისტოტელიზმის აპოლოგეტად საქართველოში გვეელინება არსენ იყალთოელი. არ გასულა ორ თუ სამ ათეულ წელზე მეტი, რაც ეფრემ მცირემ იოანე დამასკელის დიალექტიკა გადმოიღო, ისიც არსენის დახმარებით და იგიეე არსენი თეითონ, ხელმეორედ, თარგმნის ამ დიალექტიკას. რად დასჭირდა ეს იმას? რასაკვირველია ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ექნებოდა, ერთი მხრით, იმ გარემოებას, რომ ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის შრომებისათვის ჩვენში დაკანონდა პეტრიწონული სტილი, რომლითაც ეფრემი არ წერდა და რომელიც დამახასიათებელი შეიქნა არსენისათვის: მეორე მხრით იმასაც, რომ საჭირო აღმოჩნდა უფრო ზუსტი თარგმანი და-

[75] იქვე. გვ. 267.
[76] A 24, 1 7 v, II.
[77] კ. კეკელიძე. Op. cit., გვ. 280.

მასკელის დიალექტიკისა, ვიდრე ეს მოცემული იყო ეფრემ მცირის მიერ, ვინაიდან ეფრემი, როგორც თვითონ ამბობს, თარგმნის პროცესში ყოველთვის ვერ ადიოდა ნამდვილი აკრიბიის სიმაღლეზე. თან ისიცავა ყურადღებაში მისაღები, რომ იოანე დამასკელის ეს შრომა დედანში სხვადასხვა რედაქციით არსებობდა. შეიძლება იყალთოელს არ აკმაყოფილებდა ეფრემის რედაქცია და მან საჭიროდ დაინახა სხვა რედაქციის გადმოღება, ამის გასარკვევად საჭიროა შედარებითი შესწავლა ამ ორი რედაქციისა. მაგრამ მთავარი მიზეზი ამისა უნდა ყოფილიყო ის იდეოლოგიური გარდატეხა, რომელიც არსენის შეგნებაში მომხდარა".[78]

საესებით სამართლიანად აღნიშნავს მკლევარი, რომ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა ორიეე რედაქციის შედარებითი შესწავლა. მაგრამ ამან შეიძლება ზოგიერთი კორექტივი შეიტანოს ადრე გამოთქმულ მოსაზრებაში. ჯერ ერთი, ის, რაც კ. კეკელიძეს ნათქვამი აქვს „დიალექტიკის" შესახებ, ვერ გავრცელდება „გარდამოცემაზე". ამიტომ არისტოტელიზმისაკენ გადახრით თუ შესაძლებელია აიხსნას „დიალექტიკის" ხელმეორედ თარგმნა, ამასვე ვერ ეიტყვით Πηγή-ს არაფილოსოფიურ ნაწილზე – „გარდამოცემაზე". არც ბერძნული დედნის რედაქციათა სხვადასხვაობა გამოდგება „გარდამოცემის" ხელმეორედ თარგმნის საჭიროების ასახსნელად. ბერძნულად არსებობს „დიალექტიკის" ორი რედაქცია, ვრცელი და მოკლე (როგორც ფიქრობენ, ორიეე დამასკელს ეკუთვნის) და არა „გარდამოცემისა". თუ ამ ორი მოსაზრებით არსენმა საჭიროდ ცნო ხელმეორედ ეთარგმნა „დიალექტიკა", რატომღა მოჰკიდა მან ხელი Πηγή-ს მესამე, გაცილებით უფრო დიდ ნაწილს – „გარდამოცემის" ხელმეორედ თარგმნას? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რაკი „დიალექტიკის" თარგმნა უწეედა, ზედ ბარემდა „გარდამოცემაც" მიაყოლა, რომელიც მოცულობით „დიალექტიკას" თითქმის სამჯერ აღემატება?

აქვე ისმის საკითხი ეფრემისა და არსენის თარგმანების პოპულარობის შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ არსენის თარგმანმა ხმარებიდან განდევნა ეფრემის თარგმანი, რადგან ეფრემის თარგმანმა ჩვენამდე მხოლოდ სამი ხელნაწერით მოაღწია, ხოლო არსენისამ მრავალითო.[79] ამ მოსაზრების მთლიანად გაზიარება არ შეიძლება. ჯერ-ერთი, ჩვენამდე მოღწეული ნუსხების სიმცირე-სიმრავლით ეს საკითხი ვერ გადაიჭრება და მეორეც – არსენის თარგმანის უფრო მეტი პოპულარობა არ ნიშნავს ეფრემის თარგმანის განდევნას. როგორც აღვნიშნეთ, არსენის თარგმანი 1744 წელს გამოიცა კიდეც მოსკოვში, აქედან იგი სომხურადაც ითარგმნა,[80] მაგრამ ჩვენ გვაქვს აგრეთვე დაახლოებით იმავე ხანებში, 1751 წელს, გადაწერილი ეფრემისეული თარგმანიც.[81] ერთ-ერთ კრებულში, რომელიც XVII-XIX სს. ნუსხებს შეიცავს, შესულია ეფრემის „გარდამოცემა".[82] ასე, რომ ინტერესი ეფრემის თარგმანისადმი არც ისე შენელებულა, რაც შეეხება არსენის თარგმანს, მართალია, ჩვენამდე მოაღწია მრავალმა ნუსხამ მისი „დოგმატიკონისა",[83] მაგრამ ყველა ნუსხაში რომ არ არის დაცული „გარდამოცემა"? მაგალითად, S 158, S 248, S 258, S 312, S 401 ნუსხები არ იცნობენ „გარდამოცემას". იქნებ ასეთი ნაკლულობა სწორედ ეფრემის თარგმანის არსებობით აიხსნება? აქვე შეიძლებოდა დაგეესვა ასეთი კითხვა: არსენის თარგმანის პოპუ-

---

[78] იქვე, გვ. 297. შ. ნუცუბიძის აზრითაც „დიალექტიკის" ხელმეორედ თარგმნა გაპირობებული იყო იდეოლოგიური მოსაზრებით. კონსერვატორი არსენი ვერ შეურიგდა პროგრესული მოაზროვნის – ეფრემ მცირის თავისუფალ თარგმანს და ამიტომ ხელმეორედ თარგმნა დამასკელის თხზულება: ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, 1958, გვ. 150-152.

[79] იქვე, გვ. 281 და შმდ.

[80] იხ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართული ფილოსოფიური მწერლობის კიდევ ერთი ძეგლის თარგმანი ძველ სომხურზე, ენიმკის „მოამბე" 3, გვ. 111-12; ჯ. რაფავა, იოანე დამასკელის „დიალექტიკის" ქართულ-სომხური ვერსიები, „მაცნე", I, 1965.

[81] A 406.

[82] S - 1358.

[83] A 64, 65, 205, 267, 269, S 158, 401, 248, 312. 1463, ქუთ. № 23, 24, მარტვ. № 17 და სხვა.

ლარობას უფრო იმან ხომ არ შეუწყო ხელი, რომ იგი მოხვდა შესანიშნავ დოგმატიკურ-პოლემიკურ კრებულში „დოგმატიკონში“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად? ეფიქრობთ, ამ გარემოებასაც უნდა გაეწიოს ანგარიში.

ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის თარგმანები „გარდამოცემისა“ აქამდე სათანადოდ შესწავლილი და გამოცემული არ ყოფილა, თუმცა არსებობს არსენის თარგმანის მოსკოვური გამოცემა, რომელსაც ჩვენთვის ხელნაწერის ღირებულება აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს ეფრემის თარგმანის შესავალი, ზანდუკი და ეპისტოლე კოზმასადმი, რომელიც S – 1358 ნუსხის მიხედვით გამოაქვეყნა ს. გორგაძემ.[84] მასვე გამოსაცემად მოუმზადებია, მაგრამ ვეღარ გამოუქვეყნებია „დიალექტიკა“ და ეფრემ მცირის „გარდამოცემის“ ერთი თავი.[85]

[84] "მიმომხილველი". I, ტფილისი, 1926 წ. გვ. 182-192.
[85] ამჟამად ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში: S 1185 და S-1186.

თავი მეორე

„ბარდამოცემის“ ბერძნულ-ქართული რედაქციები (ტექსტობრივი შედარება)

ქართული რედაქციების ტექსტობრივ შედარებას დედანთან ორგვარი მნიშვნელობა ენიჭება. ჯერ ერთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს საჭიროა საკუთრივ ქართული თარგმანების ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გასარკვევად, ქართველ მთარგმნელთა თავისებურებების შესასწავლად, ხოლო მეორე მხრივ, რამდენადაც ქართულ თარგმანებს, სამწუხაროდ, აქამდე არც კი მიქცევია იოანე დამასკელის შემოქმედების შესწავლის დროს ყურადღება, რომელსაც ისინი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სამართლიანად იმსახურებენ, ეფრემისა და არსენის რედაქციების გათვალისწინება გაარკვევს თვით ბერძნულ ტექსტთან დაკავშირებულ საკითხებს. ქართული თარგმანები (პირველ ყოვლისა, ეფრემისეული) უძველესთაგანნი არიან. როგორც ვნახეთ, ეფრემ მცირის თარგმანი მთელი საუკუნით უსწრებს დამასკელის ტექსტისათვის ესოდენ მნიშვნელოვან ლათინურ თარგმანს და უკვე a priori უნდა ვიგულისხმოთ, რომ მას, არსენის თარგმანთან ერთად, უნდა ახასიათებდეს ბევრი ისეთი წაკითხვა, რომელმაც უნდა დააინტერესოს იოანე დამასკელის შემოქმედების მკვლევარი. როგორც ქართულ ნათარგმნ ძეგლთა უმრავლესობა, „ბარდამოცემის“ ქართული ვერსიებიც ორლესულია, მათი შესწავლა ქართული კულტურის ისტორიის კვალსაც გააკვლებს და ბიზანტიური მწერლობის ისტორიის ზოგ ხარვეზსაც გამოაჩენს. ქართული თარგმანების შედარებამ ბერძნულ დედანთან, რომლის საუკეთესო გამოცემად, როგორც აღვნიშნეთ, მინის გამოცემა ითვლება გამოარკვია ზოგი ისეთი თავისებურება, რომელთა განხილვა საჭიროდ მიგვაჩნია, სანამ მათგან ზოგად დასკვნებს გამოვიტანდეთ. აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ შესადარებლად ვიყენებთ ქართული თარგმანების ტექსტს, რომელიც დადგენილია ჩვენ მიერ, მაგრამ დიდი მოცულობის გამო (სათანადო აპარატითურთ – 30 თაბახი) მისი გამოცემა ამჯერადვე ვერ მოხერხდა, ამიტომ მიეუთითებთ ხოლმე იმ ძირითად ნუსხების გვერდებს, რომელნიც საფუძვლად დაედო ჩვენს პუბლიკაციას. ესენია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 24 ნუსხა (ეფრემის თარგმანი) და ამავე ინსტიტუტის S ფონდის № 1463 ნუსხა (არსენის თარგმანი). ხელნაწერთა აღწერილობა და სხვა ტექსტოლოგიური საკითხები განხილული გვექნება ჩვენი პუბლიკაციის წინასიტყვაობაში.

წინასწარ უნდა აღვნიშნოს, რომ ქართული თარგმანების პარალელური შესწავლა საშუალებას იძლევა, გავეცნოთ არა მარტო თითოეული მათგანის თავისებურებებს, არა მხოლოდ მთარგმნელთა დამოკიდებულებას დედანთან, არამედ ზოგ შემთხვევაში წამოჭრის საკითხს იოანე დამასკელის თხზულების რედაქციათა შესახებ. თუ აქამდე ლაპარაკობენ „დიალექტიკის“ ორ (ერცელ და მოკლე) რედაქციაზე, ქართული თარგმანების შედარება დედანთან საშუალებას იძლევა დაისვას საკითხი „ბარდამოცემის“ განსხვავებული რედაქციის შესახებაც.

ქართული თარგმანები, მიუხედავად ბევრი თანმხვედრი ადგილისა, როცა ისინი ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით იმეორებენ ერთურთს, მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგანაც. ჩვენ შევეცდებით, ვაჩვენოთ ეს განსხვავებული და თანმხვედრი ადგილები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ვერსიების ისეთი წაკითხვები, რომელნიც დასტურდება როგორც ეფრემისეულ, ისე არსე-

ნისმიერ თარგმანებში, მაგრამ არ გვხვდება ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ დედან'ში. ამაზე საგანგებოდ გეექნება საუბარი.

ამ თავში ჩვენ არ შევეხებით ქართველ მთარგმნელთა ენობრივ თუ სტილისტურ თავისებურებებს, ამაზე შემდეგ შევჩერდებით, ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს თარგმანთა რედაქციული მიმართება იოანე დამასკელის „გარდამოცემის" ბერძნულ ტექსტთან. სწორედ ამიტომ ქართულ თარგმანებში ტექსტის შემოკლების ან განერცობის დროს ჩვენ გამოვყოფთ ისეთ შემთხვევებს, რომელნიც მიგვანიშნებენ ბერძნული დედნის განსხვავებულ რედაქციაზე.

ქართული თარგმანების დედანთან შედარება ხდებოდა ერთდროულად, ამიტომ მნიშვნელოვანი წაკითხვები ამა თუ იმ თარგმანისა, რომელთა შესახებ საუბარი გვეექნება, შეჯერებული იქნება აგრეთვე მეორე თარგმანთანაც. ამასთან ერთად უფრო სრულ სურათს ქართული თარგმანების ურთიერთ-დამოკიდებულებისა და ბერძნულ დედანთან მათი მიმართებისა წარმოგვიდგენს ქართული ვერსიებისა და მინის გამოცემის მიხედვით შედგენილი ქართულ-ბერძნული დოკუმენტირებული ლექსიკონი და აგრეთვე ბერძნულ სიტყვათა საძიებელი, რომელიც ერთვის ჩვენს პუბლიკაციას.

ეფრემი აერცობს ტექსტს

„გარდამოცემის" მეორე თავში, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ჩვენ, ადამიანები, ღვთაებას მივაწერთ ჩვენთვის ცნობილ და მოკვდავთათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს – ძილს, რისხვას, ხელს, ფეხს და სხვას, არსენის თარგმანში ვკითხულობთ ასეთ ფრაზას:

„ვინაიდაცა მრავალ არიან ღმრთისათჳს კნინ ოდენ გულისჴმისსაყოფელნი და არცა თუ მცირედ გამოთქუმად შესაძლებელნი, არამედ ჩუენ შორისთა ვიიძულებით თქუმად ჩუენსა უზესთაესთა ზედა".[1]

რამდენადმე განსხვავებულია ამ ფრაზის ეფრემისეული თარგმანი: „მრავალი უკუე გულისჴმა-იყოფების ღმრთისათჳს და იცნობების წულილადითა ცნობათა, რომლისაჲ იგი სრულებით გამოთქუმაჲ ვერ შესაძლებელ არს, არამედ ჩუენდა მომართ გარდამოყუანებით ვიიძულებით სიტყუად ჩუენსა უზესთაესთა მათთჳს".[2]

მაგრამ თუ ჩაუკვირდებით, პრინციპულად ეს თარგმანები არც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ეფრემის თარგმანში ხაზგასმულ სიტყვას. დედანში ამ ადგილას წერია: καθ' ὑμᾶς რომელსაც შეესაბამება არსენის „ჩუენ შორისთა" და ეფრემის „ჩუენდა მომართ". მართალია, ეფრემი ამას არ დასჯერებია და უთარგმნია „ჩუენდა მომართ გარდამოყუანებით", მაგრამ ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ტექსტის განერცობად; ეფიქრობთ, პირიქით, თუმც არსენის თარგმანს არა აკლია რა, მაგრამ მაინც ეფრემის თარგმანი ამ შემთხვევაში უფრო ნათელია სწორედ იმ „ზედმეტი" სიტყვის წყალობით. ასეთი შემთხვევები სხვაც არის და ხან ეფრემი, ხან კი არსენი მიმართავს მსგავს ხერხს, მაგრამ ამის მიხედვით გარკვევა იმისა, თუ რა ბერძნული ხელნაწერები ედოთ წინ ქართველ მთარგმნელებს, შეუძლებელია. მაგრამ არის ტექსტის განერცობის სხვა შემთხვევებიც, რომელთაგან ზოგი შეიძლება მთარგმნელის დედნისადმი თავისუფალი დამოკიდებულების მიზეზით იყოს, ზოგი კი უნდა მომდინარეობდეს განსხვავებული ბერძნული ნუსხის წყალობით.

[1] S -1463, 54 r, II.
[2] A 24, 36 v, I.

მესამე თავში, რომელსაც ორივე ქართული თარგმანით ეწოდება „გამოჩინებაჲ, ვითარმედ არს ღმერთი“, ვკითხულობთ:

არსენით:

„ხოლო ჩუენ, რომელთა არცა საკურველებათაჲ, არცა მოძღურებისაჲ მოგუჯებიეს მადლი, რამეთუ ულირს ეყუენით თავნი თუსნი ენებულად სიყუარულითა გემოთაჲთა, მოეედ[ით], მოცემულთაგან ჩუენდა მოწაფეთაგან მადლისათა წარმოეთქუნეთ ამისთჳს შემწყად მომწოდებელთა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა“ (S - 1463, 54 v, II)

ეფრემით:

„ხოლო ჩუენ, რომელთა არცა საკურველებათა, არცა მოძღურებისაჲ მოგუჯებიეს მადლი, რამეთუ ულირს ეყუენით თავნი ჩუენნი ენებულად სიყჳარულითა გემოთაჲთა, მოეედით და მოცემულისა მისგანეე მოძღუართა მიერ სოფლისათა და მოწაფეთა მადლისათა მცირედი რაჲმე ამის ღირსისათჳს ვთქუათ, შემწყედ მოწოდებითა მამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთა“. (A 24, 37 v, I)

როგორც ვხედავთ, ამ ნაწყვეტების დასაწყისი სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ერთმანეთს, რაც, სხვათა შორის, ერთი საბუთია კიდევ იმისა, რომ არსენს არა თუ მონაწილეობა მიუღია ეფრემის თარგმანში, არამედ ხელმეორედ თარგმნის დროს იგი მასში იხედებოდა და სიტყვა-სიტყვით გადმოჰქონდა კიდეც ის წინადადებანი, რომელთაც მოიწონებდა. მაგრამ ამაზე ქვემოთ. ახლა კი აღვნიშნოთ, რომ სიტყვებს — „მოძღუართა მიერ სოფლისათა“, რომელთაც თარგმანში ვხედებით, არ იცნობს დედანი, ყოველ შემთხვევაში, გამოქვეყნებული ტექსტი და მინის გამოცემაში გამოყენებული ხელნაწერები.[3] ამ შემთხვევაშიც შეიძლებოდა გამოგვეთქვა ვარაუდი, რომ ეფრემ მცირემ განაერცო ტექსტი თვითნებურად, აზრის გასაცხოველებლად. მაგრამ ასეთი რამ ნაკლებ მოსალოდნელია, მით უმეტეს, თუ გაეითვალისწინებთ ეფრემის მთარგმნელობით მეთოდს.

მეექვსე თავში, რომელსაც ქართულ თარგმანებში ეწოდება „სიტყუსათჳს“, ეფრემის რედაქციაში ეხვდებით ისეთ განერცობას, როგორიც ჩეეოდა ექვთიმე ათონელს, როცა ცდილობდა დედანში გამოხატული რაიმე აზრი კიდევ უფრო გაეცხოველებინა. მაგრამ ჩვენ, რადგანაც ვიცით ეფრემის დამოკიდებულება დედნისადმი, ამიტომ ამ „შემატებასაც“ ვერ მივაწერთ ქართველ მთარგმნელს. შედარებისათვის მოვიყვანოთ ამონაწერები ეფრემისა და არსენის თარგმანებიდან:

ეფრემი:

„... არაოდეს იყო ღმერთი პირუტყუ, არამედ მარადის აქუს სიტყუაჲ თუსი, მისგან შობილი, არა სიტყუსაებრ ჩუენისა უგუამოჲ, არცა ჰაერად განბნეეადი, არამედ გუამოვანი, ცხოველი და სრული. არა გარეთ მისსა მყოფი, არამედ მარადის მის შორის მყოფი, რამეთუ ვინაიცა განვიდა გარეშე მისსა, რომელსა ყოველიე აღუესიეს!“ (A 24, 39 v, I–II)

არსენი:

„არაოდეს იყო ღმერთი თუნიერ სიტყუსა, არამედ მარადის აქუს თავსა შორის თუსსა სიტყუაჲ მისგან შობილი, არა სიტყუსაებრ ჩუენისა უგუამოჲ და ჰაერად განბნეეადი, არაძედ გუაძოვანი, ცხოველი, სრული. არა გარეშე მისსა მდგომი, არამედ მის შორის მყოფი, რამეთუ სადა იყოს გარეშე მისსა ქმნილი!“ (S - 1463, 55 r, I)

ეფრემის თარგმანში ხაზგასმულ სიტყვებს ვერ ვხედებით ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ დედანში, სხვა მხრივ ორივე თარგმანი ზუსტად გადმოსცემს დედნის შინაარსს. აზრობრივად ეფრემის თარგმანის „მეტსიტყვაობა“ საესებით ლოგიკურია და უფრო მკაფიოს ხდის ავტორის აზრს. მართლაც, სიტყვები — „რომელსა ყოველიე აღუესიეს“ ლოგიკურად გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ სიტყვა არსებობდეს გარეშე ღვთისა. როგორ შეიძლებაო სიტყვა ღმერთის გარეშე იყოს, როცა ღმერთს ყოველიე აღუესია, ყველაფერს მოიცავსო, ამბობს

[3] PG , t. 94, col. 793.

ეფრემის რედაქცია. ასე ლოგიკურად როდია ეს აზრი გამოხატული ჩვენთვის ცნობილ დედანსა და არსენის თარგმანში. ასეთი „შემატება" მოსალოდნელი იყო ექვთიმე ათონელის და, შესაძლოა, გიორგი ათონელის თარგმანშიც, მაგრამ რაკი იგი გეხვედება ეფრემის თარგმანში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენს მთარგმნელს ხელთ ჰქონია ისეთი ბერძნული ნუსხა, რომელიც იცნობდა ამ სიტყვებს.[4]

სხვათა შორის, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამავე ნაწყვეტში ეფრემის ერთი ფრაზა სტილისტურად გაუმართავს არსენს. ეფრემის – „არა გარეთ მისსა მყოფი, არამედ მარადის მის შორის მყოფი" ასე შეუცვლია: „არა გარეშე მისსა მდგომი, არამედ მის შორის მყოფი" და ამით თავი აურიდებია სიტყვათა განმეორებისათვის.

„გარდამოცემის" მერვე თავში ("წმიდისა სამებისათჳს") ქართველი მთარგმნელები ასე გადმოგვცემენ ერთ ადგილს:

ეფრემი:

„გარნა სხუაჲ არს სახე შობისაჲ და სხუა დაბადებისაჲ, რამეთუ შობაჲ არს რათა მისვე არსებისაგან მშობელისა შვას შობილი იგი, ყოველითურთ ერთი ბუნებითა და არსებითა, ხოლო დაბადებაჲ და ქმნაჲ არს, რათა გარეთ და არა თუსისა არსებისაგან მოიღოს ნივთი აღსაგებული და ეგრეთ დაბადოს და ქმნას დაბადებული ყოველითურთ უმსგავსოჲ დამბადებელისაჲ" (A 24, 41 v, I–II)

არსენი:

„რამეთუ შობაჲ უკუე არს არსებისაგან მშობლისა შობილისაჲ და არსებით მსგაჳსისაჲ. ხოლო აგებაჲ და ქმნაჲ გარეთ უკუე, არა თუ არსებისაგან ამგებულისა და მოქმედისა მყოფობად მოყვანებაჲ აგებულისა და ქმნილისაჲ ყოველითურთ უმსგავსოჲსა მისგან" (S - 1463, 57 v, I)

ავტორი განმარტავს შობას და დაბადებას (შექმნას) და განასხვავებს მათ. მაგრამ ეფრემის თარგმანის მიხედვით იგი თითქოს წინასწარ გეაუწყებს, თუ რაზე ექნება ლაპარაკი: „გარნა სხუაჲ არს სახე შობისაჲ და სხუა დაბადებისაჲ", არც არსენის თარგმანში და არც დედანში არ გეხვდება ასეთი ფრაზა.[5] იგი უნდა ყოფილიყო ხელნაწერში, რომლიდანაც თარგმნიდა ეფრემი.

იმავე თავში თავისებურია ეფრემის თარგმანის შემდეგი ადგილი: „და წულილადისა მეტყუელებისათჳს ნუ განმირისხდები, ტკბილო მეუფეო, რომელი ეგე ზეშთა ხარ ყოველისავე თქუმისა და მოგონებისა და ყოველისავე გულისჴმისყოფისა და მიწდომისა, არამედ მწყალობელ ჩუენდა იყავ. ხოლო ქმა არს, რაოდენსა იგი გუასწავებს წმიდაჲ კათოლიკე სამოციქულოჲ ეკლესიაჲ. ესე იგი არს, რომელ გუასწავებს თანად მამასა და მყის მისთანავე ძესა მისსა მხოლოდ შობილსა..." (A 24, 42 r, II – 42 v, I).

არსენის თარგმანში, რომელიც ამ შემთხვევაში ზუსტად მისდევს მინის გამოცემის ტექსტს,[6] ვეითხულობთ:

„არამედ შემნდობელ იყავნ ყოველთა მიერ კერძოჲ და ყოველისა მოგონებისა და მიწთომისა ზესთა მდებარე. ასწავებს უკუე წმიდაჲ კათოლიკე და სამოციქულოჲ ეკლესიაჲ მყის-თანად მამასა და მყისთანად მხოლოდ-შობილსა ძესა მისსა" (S - 1463, 57 v, I).

როგორც ამ ციტატებიდან ჩანს, არსენის თარგმანს, ისევე როგორც დედანს, რაღაც აკლია დასაწყისშივე. მართლაც, რატომ თხოულობს შენდობას ავტორი? ამაზე პასუხს იძლევა ეფრემის რედაქცია: „წულილადისა მეტყველებისათჳს ნუ განმირისხდები, ტკბილო მეუფეო" და თითქოს თავის გასა-

[4] შდრ. PG, t. 94, col. 804.
[5] შდრ. PG, t. 94, col. 812.
[6] შდრ. PG, t. 94, col. 816.

მართლებლად, თუ მონანიების ნიშნად მოსჭრის – „ხოლო ქმა არს, რაოდენსა იგი გუასწავებს წმიდაჲ კათოლიკე სამოციქულოჲ ეკლესიაჲ, ესე იგი არს, რომელ გუასწავებს“ და ა. შ. ხაზგასმული სიტყვები არ არის არც დედანში და არც არსენის თარგმანში, ყოველ შემთხვევაში, ბერძნული ტექსტის გამომცემელნი აქამდე მას არ იცნობენ.

საინტერესოა 64-ე თავის დასაწყისის ეფრემისეული თარგმანი: „ხოლო აღვიარებთ, ვითარმედ ყოველნივე ბუნებითნი და თანაწარუვალნი ენებანი კაცებისა ჩუენისანი მიიხუნა უფალმან თუნიერ ხოლო ცოდვისა“ (A 24, 103 r, II). არსენის თარგმანი ამ ნაწილში ფაქტიურად არ განსხვავდება ეფრემის ტექსტისაგან, თუ არ მიეიღებთ მხედველობაში იმას, რომ ეფრემის „თანა-წარუვალთას“ ნაცვლად მას აქვს „უგიობელნი“, ეს სიტყვები ბერძნული სიტყვის ἀδιάβλητος-ის თარგმანია. ბერძნული სიტყვა ნიშნავს „უნაკლოს“, „უზადოს“, „გაუჭორავს“. მაგრამ აქვე არის თითქოს უმნიშვნელო სხვაობაც. ეფრემს აქეს „ენებანი კაცებისა ჩუენისანი“, ხოლო არსენს – „ენებანი კაცისანი“. (S - 1463, გვ. 87 v, I). დედანში სათანადო ადგილას ვკითხულობთ: πάθη τοῦ ἀνθρώπου ἀνέλαβεν.[7] მაშასადამე, არსენის თარგმანი ზუსტია: „ენებანი კაცისანი მიიხუნა“. იქნებ „კაცებისა ჩუენისანი“ ეფრემის მიერ თავისუფლად თარგმნის შედეგია? არა, თურმე არის ბერძნული ხელნაწერი, რომელიც იცნობს სხვა ვარიანტსაც: πάθη ἡμῶν (ხელნაწერი Regius 2925).[8] მაშ, მოსალოდნელია, რომ თუ იყო ერთ ხელნაწერში „ენება კაცისა“ (πάθη τοῦ ἀνθρώπου), ხოლო მეორეში „ენება ჩუენი“ (πάθη ἡμῶν), ყოფილიყო მესამე ისეთი ხელნაწერიც, სადაც იქნებოდა ორივე ერთად – „ენებანი კაცებისა ჩუენისანი“.

არც არსენის თარგმანში და არც დედანში არ მოიპოვება შემდეგი მსჯელობა, რომელსაც ეხვდებით ეფრემის თარგმანში: „და ამათდაეე შესწორებულად მიუღიეს სახელისდებაჲ დღეთა შჳდეულისათა. კჳრიაკესა უწოდენ მზისად და არს იგი სახე ოქროჲსაჲ, ხოლო ორშაბათსა – მთოვარისად და არს იგი სახე ვერცხლისაჲ, სამშაბათსა – არესდად და არს იგი სახე რკინისაჲ, ოთხშაბათსა – ერმისდად და არს იგი სახე ეკლისაჲ, ხუთშაბათსა – დიოჲსდად და არს იგი სახე ვეცხლ-წყლისაჲ, პარასკეესა – აფროდიტესდად და არს იგი სახე რვალისაჲ, შაბათსა – კრონოსდად და არს იგი სახე ბრპენისაჲ“. – (თავი 21 – „ჩათლისათჳს და ცეცხლისა და მნათობთა, მზისათჳს და მთოვარისა და ვარსკულავთა“, გვ. 57 r, I, შდრ. არსენი – S - 1463, 65 r, აგრეთვე დედანი – col. 889).

„გარდამოცემის“ XXIII თავში (“წყალთათჳს“) ეფრემის თარგმანში ვპოულობთ წინადადებას, რომელიც არ გვხვდება დედანსა და არსენის თარგმანში. ეფრემის მიხედვით მდინარე განგი (“ტანგი“) „გარემოსელის ქუეყანასა ველათისასა, სადა იგი არს ოქროჲ და ქვაჲ კაპოტი (A 24, 61 r II, შდრ. არსენი – S - 1463, 67 v, I და დედანი, col. 904). ვფიქრობთ, ეს წინადადება დეღნიდან უნდა მომდინარეობდეს, ბერძნულიდან უნდა იყოს თარგმნილი.

„გარდამოცემის“ XXX თავს ეფრემის რედაქცია „უშატებს“ შემდეგ მსჯელობას, რომელსაც ვერ ეხვდებით არსენის თარგმანსა და დედანში:

„ზოგად ყოველისა გუამისაჲ არს და ჴმობაჲცა და აღმოფშუნეაჲცა. რამეთუ ესენი ჩუენსა ჴელმწიფებასა შინა არიან, გუენებოს თუ გინა თუ არა გუენებოს ქმნაჲ მათი. ხოლო ბუნებითნი და ცხოველობითნი არიან არა თუთმფლობელობით აღრჩეულნი საქმენი. ბუნებითად უკუე ვიტყჳ მზრდელობასა და აღორძინებასა და თესლოვანებასა. ხოლო ცხოველობითი არს შემკრებლობითი, რამეთუ ესენი

[7] PG, t. 94 col. 1081.
[8] loco cit.

გუენებოს თუ და არა თუ გუენებოს, მოქმედებენ ჩუენ შორის“ (A 24, 68 r, I; შდრ. არსენი – S - 1463, 71 v, I და აგრეთვე PG, t. 94, col. 933).

ამ ნაწყვეტს ბერძნულიდან თარგმნილობა იმით ეტყობა, რომ მასში და კავშირი ორმაგი ფუნქციით გეხედება, კერძოდ – ცა ნაწილაკის მნიშვნელობითაც. ეს კი დამახასიათებელია ბერძნული καί – კავშირისთვის. ასეთია ეფრემის თარგმანში წინადადებები: „ზოგად ყოვლისა გუამისაჲ არს და ჭმობაჲცა და აღმოფშუნვაჲცა“ და „ესენი გუენებოს თუ და არა თუ გუენებოს, მოქმედებენ ჩუენ შორის“. პირველ წინადადებაში, მართალია, თავისთავად არის – ცა ნაწილაკიც (ჭმობაჲცა, აღმოფშუნვაჲცა), მაგრამ მთარგმნელს დაუტოვებია და კავშირიც თავისი მეორადი, ქართულისთვის უხერხული, მაგრამ ინდო-ევროპული ენებისთვის (კერძოდ ბერძნულისთვის) ბუნებრივი მნიშვნელობით. ასევე მეორე წინადადებაშიც და კავშირს – ცა ნაწილაკის მნიშვნელობა აქვს და დღევანდელ ქართულზე ეს ფრაზა ასე გაიმართებოდა: გინდ გვენებოს, გინდა არც გვენებოს...[9]

არსენი აერცობს

უფრო იშვიათად, ვიდრე ეფრემის თარგმანში, არსენის თარგმანშიც ეხედებით ფრაზებს, რომელთაც ვერ ეპოულობთ ბერძნულ დედანში. მაგალითად, არსენის თარგმნით 21-ე თავში, რომელიც შეესაბამება დედნისა და ეფრემის თარგმანის XXII თავს და სათაურად უზის „ჰაერისა და ქართათუს“, ნათქვამია:

„ქარი არს სიმრავლე მჭურვალისა და ჭმელისა აღორთქლებისა, მოძრავისაჲ ქუეყანასა ზედა. ხოლო ქრიან ქარნი აღმოსავალით უკუე საზაფხულოჲთ კეკიაჲ, აღმოსავალით დღეთა გასწორებისაჲთ აპილიოტი, აღმოსავალით საზამთროჲთ ეროსი, და დასავალით საზამთროჲთ ლიფსი, დასავალით დღეთა გასწორებისაჲთ ზეფიროსი, დასავალით საგაზაფხულოჲთ არგესტი, რომელ არს ოლუმპიაჲ და იაპუქსი და ერღასტი. მერმე ნოტოსი და აპარქტიაჲ ურთიერთას წინააღმდგომად ქრიან...“ და ა. შ. (S - 1463, 67 r, I–II).

ხაზგასმული სიტყვები, ე. ი. განსაზღვრება ქარისა, რომელსაც მოსდევს ქართა სახეობების ჩამოთვლა, ბერძნულ დედანში არ გვხვდება.[10] იყო თუ არა ასეთი განსაზღვრება ეფრემის თარგმანში?

ამჟამად ეფრემის თარგმანის უძველეს ნუსხას ძირითად ტექსტში აკლია არა მარტო ეს განსაზღვრება, არამედ თვით ქართა სახეობების ჩამოთვლა (კეკიაჲ, აპილიოტი, ეროსი, ლიფსი, ზეფიროსი, არგესტი, ნოტოსი, აპარქტიაჲ, ბორეასი, ფუნიქსი ანუ ევრო-ნოტოსი, ლიბო-ნოტოსი, ლეეკო-ნოტოსი, თრასკეაჲ...). ეს ნაკლული ადგილი შეუნიშნავს A 24 ნუსხის გადამწერს და აშიაზე გაუტანია პირდაპირ არსენ ვაჩესძის „დოგმატიკონიდან“, კერძოდ S - 1463 ნუსხიდან, იმდენად ზუსტად, რომ ვარიანტული სხვაობაც კი არა გვაქვს და უფრო მეტიც, გადამწერი იმეორებს არსენ იყალთოელის თარგმანში დაშვებულ ერთ შეცდომას, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ასე, რომ ჰქონდა თუ არა თავის დროზე ეს საკმაოდ მოზრდილი აბზაცი ეფრემს ნათარგმნი, ძნელი სათქმელია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ადგილას მის დედანს აკლია 22-ე თავის დასასრული, ამას

[9] ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა არაა იშვიათი. ს. ყაუხჩიშვილი ანალოგიურ შემთხვევებზე წერს: „ბერძნული ენის გაელენა ხშირად იჩენს თავს καί კავშირის მოხმარებაში. ცნობილია, რომ ბერძნული καί ორმხრივია და უდრის „და“ კავშირს და „ცა“ ნაწილაკს, ძალიან ხშირად ეს განსხვავება ჩვენი მთარგმნელის მიერ სწორად არის გაგებული, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ბუნებრივად თავს იჩენს ბერძნულის გაელენა და მთარგმნელი შეუცნობლად გადმოგვცემს მას „და“-თი იქაც, სადაც ეს ქართულისათვის სრულიად ზედმეტია“ (ს. ყაუხჩიშვილი, ხრონოგრაფი გიორგი ამარტოლისაჲ, ნაწილი II, გამოკვლევა, თბ., 1926, გვ. 21).

[10] შდრ. PG, t. 94, col. 900.

გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ, როგორც ვნახეთ, ეს თავი ბოლომდე არც არსენ იყალთოელს უთარგმნია. ყოველ შემთხვევაში, თუ ორსავე ქართველ მთარგმნელს ერთი ჯგუფის ბერძნული ხელნაწერები არ ჰქონდათ ხელთ, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ მათი დედნები ჩვენთვის ცნობილი დედნისგან განსხვავებული რედაქციისა უნდა ყოფილიყო.

კიდევ უფრო საინტერესოა თარგმანის 24-ე თავი „სამოთხისათჳს“, რომელიც შეესაბამება ეფრემის თარგმანისა და თეით დედნის 25-ე თავს. დედანშიც და ეფრემის თარგმანშიც ეს თავი თავდება ფრაზით – „შეუძლებელ არს უხრწნელად გებაჲ გრძნობადისა საჴმელისა მიმღებელთაჲ“ (ეფრემი, A 24, 64 v, II), მაგრამ არსენის თარგმანში ამის შემდეგ ვრცელი მსჯელობა მოდის, რომელიც, როგორც ადრეც შეგეხვდა, A 24 ნუსხის გადამწერს პირდაპირ არსენის თარგმანიდან სიტყვასიტყვით გადაუტანია ეფრემის თარგმანის აშიაზე (A 24, 64 v, 65 r). მოგვყავს ეს ნაწყვეტი მთლიანად:

„ანუთუ ხე ეიდრემე ცხორებისა არს საკუთრებაჲ ღმრთისაჲ, რომლითა იზარდებიან ანგელოზნი, რომლისა მიერ ეგულებოდა მიღებაჲ უხრწნელებისაჲ, რამეთუ გაჴმდა ჩუენ პირველად განურჩეველად დამორჩილებაჲ შჯულისა ღმრთისასა, ვიდრემდის განსრულებულად ანაგებად სათნოებისა მოსლვადმდე და ესრეთ ნიჭად მოღებაჲ ღმრთისა მიერ განმრჩეველობასა კეთილისა და ბოროტისასა, რომელ არს ხე მცნობელი კეთილისა და ბოროტისაჲ, რამეთუ არა უცთომელ იყო ახალ ნერგისათჳს განმრჩეველობაჲ გულის სიტყუათა და წინა-განმსიტყუეელობაჲ, ვინაჲთგან ენებული და გემოთ-მოყვარე აქუნდა ჯერეთ გულის სიტყუაჲ.

აწ უკუე ხედ ვიდრემე ცხორებისად ვიტყჳთ ღმრთისა მიერ მოცემულსა მას მცნებასა, რამეთუ ხე ცხორებისა არს სიმართლე ყოველთა მოქმედთა მისთად და კურთხეულ არს ძელი, რომლისა მიერ დაენერგა სიმართლე, – იტყჳს სალომონ, ხოლო ხე ცნობადისა, განრჩეუაჲ კეთილისა და ბოროტისაჲ. უჴმდა უკუე ადამს განურჩეველისა მორჩილებისა მიერ შეერთებაჲ ღმრთისაჲ და განჰდიდრებაჲ შეერთებითისა განღმრთობისა მიერ ჯამსა, რომელსა შინა სათნო-ყოფაჲ ბუნებით ღმერთსა და ჭეშმარიტისა შემეცნებისა და განმრჩეველობისა ყოველთაჲსაჲ, ხოლო პირველად მუშაკ გამოცდილ-ყოფაჲ უღირდა მას განურჩეველისა მორჩილებისაჲ. ვინაჲცა მცნებაჲ მისცა ღმერთმან არა გემოჲს ხილეად ხესა ცნობადისასა, რომელ არს არა რწმუნებაჲ თჳსისა განმრჩეელობისაჲ, არცა ჭამად ხისა რომლისაგანმე, რომელსა აქუნდეს ბუნებითი მოქმედებაჲ, შემქმნელი მისდა მეცნიერებასა, ცხად არს, ვითარმედ თჳსისა ბუნებისასა. ხოლო მოუჴდა მას რაჲ ბოროტი გუელისა მიერ და პრქუა, ვითარმედ: „იყვნეთ ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა, უკუეთუ ‘ჭაჲთ“. ირწმუნა თჳსისა განმრჩეველობისაჲ და კეთილად აღუჩნდა მას ღმერთ-ყოფაჲ და მეცნიერებაჲ და არა მოუჴსენა, ვითარმედ ჯამსა თჳსსა კეთილ არიან ყოველნი და ვითარმედ არა კეთილ არს კეთილი, არა თუ კეთილად იქმნეს, და ვითარმედ არა ჯერ-არს წინაჲსწარ აღტაცებაჲ მოცემადისაჲ თჳნიერ ჯერ-ჩინებისა მომცემელისა ყოფასაცა და კეთილად ყოფასა. და იხილა, ვითარმედ კეთილ არს ჭამა და განშიშულდა ღმრთისა მიერისა დაწყნარებისაგან და განეხუნეს თუალნი ჭორციელნი და ვნებანი აღიძრნეს და ცნეს, ვითარმედ შიშუელ არიან და სირცხჳლეულ იქმნეს და განიწეალნეს ღმრთისაგან და, ვითარცა ჩჩულნი, მსრსინავ იქმნეს გემოჲსა მიმართ და ექსორია იქმნეს ძელისაგან ცხორებისა და მოკუდავად შეიცავალნეს, რამეთუ გამოცდილებისაგან უწყოდა მტერმან, ვითარმედ საკუთრებითი მახლობელობაჲ ღმრთისაჲ განღმრთობისა და ცხორებისა საუკუნოჲსა მომატყუებელ იქმნების“. (S - 1463, გე. 69 r, II – 69 v, I).

როგორც ვხედავთ, ამ ორ შემთხვევაში, როცა არსენი „აერცობს“ ტექსტს, ეფრემისეულ A 24 ნუსხაში აშიაზე გამოჩნდება შემატებული ადგილები.

ცნობილია, რომ ეფრემ მცირე არ თარგმნიდა ხოლმე შემთხვევით ხელში ჩავარდნილ ბერძნულ ხელნაწერს, იგი ცდილობდა, როცა ეს შესაძლებელი იყო, თავისი დედანი შეეჯერებინა სხვა ბერძნული ხელნაწერებისათვის, გულმოდგინედ ჰკრეფდა საჭირო ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობებს, ჩხრეკდა საჭირო მასალებს სხვადასხვა წიგნთსაცავში, ჩაჰკირკიტებდა თითოეულ სიტყვას და იშველიებდა ლექსიკონებს. ერთი სიტყვით, სანამ თარგმნიდა, ჩაატარებდა ხოლმე შრომატევად მეცნიერულ სამუშაოს. ამ მხრივ, კ. კეკელიძის მართებული შენიშვნით, ეფრემ მცირე იშვიათი მოვლენაა ქართული მწერლობის ისტორიაში.[11] რადგან ეს ასეა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეფრემ მცირის დედანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო უხარისხო და საეჭვო. მიუხედავად ამისა, მას მაინც ჰკლებია ზოგი რამ, რაც შემდგომში არსენის დედანში აღმოჩენილა. იქნებ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ არსენ იყალთოელმა ხელმეორედ თარგმნა „გარდამოცემა“?

84-ე თავში (“ჯუარისათჳს, რომელსა შინა არს სარწმუნოებისათჳსცა“) გვხვდება ასეთი ფრაზა: „პირველისა მამისა ადამის შეცოდებაჲ დაიჭსნა“ (S - 1463, 92 r, II). სათანადო ადგილას დედანში ვკითხულობთ: τοῦ προπάτορος ἁμαρτία (წინაპრის ცოდვა), მაგრამ ბერძნულ ხელნაწერებში (Regii 4, Colb. 1), გვხვდება ვარიანტი – Ἀδὰμ ἁμαρτία (ადამის ცოდვა).[12] ასე რომ, არსენს კი არ გაუშიფრავს სიტყვა προπάτορος, რომელიც ადამს გულისხმობდა, არამედ ადამის მოხსენიება თვით ბერძნული ხელნაწერისთვის იყო დამახასიათებელი.

ეფრემი აკლებს

იშვიათად ეფრემის თარგმანში ვერ ვხვდებით ფრაზებს, რომელნიც უთარგმნია არსენს და გვხვდება დედანში. მაგალითად, მეორე თავში (“თქუმულთათჳს და გამოუთქუმელთა, საცნაურისათჳს და უცნაურისა“) ჩამოთვლილია ღმერთის ეპითეტები, რომელთაგან ეფრემს გამოუტოვებია: გარეშეუცავი (ἀπερινόητος), განუსაზღვრელი (ἀπερίληπτος), გარეშეუსახველი (ἀκατάληπτος).[13] ამავე თავში გვხვდება ასეთი ფრაზა: „და ეითარმედ ერთ არს ღმერთი, ესე იგი არს ერთ-არსება“ (A 24, 36 v, II). იგივე ფრაზა არსენთან ასე იკითხება: „და უწყით და აღიარებთ, ეითარმედ ერთ არს ღმერთი, ესე იგი არს, ერთი არსებაჲ“ (S - 1463, 54 v, I). ხაზგასმული სიტყვები არ გვხვდება ეფრემის თარგმანში, დედანში კი არის: καὶ γινώσκομεν καὶ ὁμολογοῦμεν...[14]

მეოთხე თავში (“თუ რაჲ არს ღმერთი, ეითარმედ მიუწდომელ არს“) ვხვდებით ასეთ ფრაზას: „აწ უკუე ესე საცნაურ არს, ეითარმედ არს ღმერთი, ხოლო თუ რაჲ არს არსებით და ბუნებით, ესე მიუწდომელ არს და ყოვლად უცნაურ. და ეითარმედ უჴორცო არს, რამეთუ ეითარ ჴორც იყოს მიუწდომელი და შეუსაზღვრებელი, გამოუსახველი და შეუხებელი და უხილაჲი, მარტივი და შეუზავებელი?“ (A 24, 38 r, II), იგრძნობა, რომ ფრაზას – „ეითარმედ უჴორცო არს, რამეთუ...“ შუაში რაღაც აკლია. დანაკლისი შეივსება, თუ ამ ადგილას ჩავსვამთ სიტყვებს „ცხად არს“, რომელიც არსენის თარგმანში გვხვდება (S - 1463,

[11] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 254.
[12] PG, t. 94, col. 1129, variae lectiones.
[13] A 24 , 36 v, I, S - 1463, 54 r. II, PG, t. 94, col. 792.
[14] PG, t. 94. col.792.

55 r, I): „ეითარმედ უჴორცო არს, ცხად არს, რამეთუ.“ და ა. შ. მაშინ ჩვენ მიეიღებთ დედნის სრულ თარგმანს: ὅτι μὲν γὰρ ἀσώματον, δῆλον.[15]

მერეე თავში გამოყოფილია ქვესათაური, რომელიც თარგმნილი აქვს არსენს, ხოლო ეფრემს არა: Περὶ τῆς τῶν τριῶν ὑποστάσεων διαιρέσεως· καὶ περὶ τοῦ πράγματος καὶ λόγου καὶ ἐπινοίας[16] (არსენის თარგმანით – „სამთა გუამთა განყოფილებისათჳს, [საქმ]ეთათჳს და სიტყჳსათჳს და გონებისა“, (S – 1463, 59 r, I).

არსენი აკლებს

გაცილებით ხშირია შემთხვევა, როცა არსენს გამოუტოვებია ისეთი ადგილები, რომელნიც ეფრემს უთარგმნია.

თხზულების პირველი თავის დასასრულს ეფრემის თარგმანში ვკითხულობთ ასეთ ფრაზას: „რამეთუ შორს არს შური საღმრთოჲსა მისგან ბუნებისა, ნამდჳლეე უენებელისა და მხოლოდ სახიერისა“. (A 24, 36 r, II). ან არსენს შეუმჩნეველი დარჩენია დედნის ნაწილაკი γε, ან მის დედანში არ იყო იგი, ყოველ შემთხვევაში მას იგი არ უთარგმნია.[17] ხოლო ამ სიტყვას ბერძნულად აქვს ასეთი მნიშვნელობანი: მართლაც, თუმცა, ყოველ შემთხვევაში, მაინც, მხოლოდ, ჭეშმარიტად, სახელდობრ. ჰომეროსის μάλιστά γε ნიშნავს „რა თქმა უნდა“, „რა საკვირველია“.

მეოთხე თავის უკანასკნელი წინადადება καὶ φῶς, ὅτι οὐκ ἔστι σκότος [18] (და [ვამბობთ] სინათლეს და ეგულისხმობთ, რომ არ არის სიბნელე) არსენის თარგმანში არ გვხვდება.[19] სამაგიეროდ იგი უთარგმნია ეფრემს: „ხოლო ნათელი რაჲ ვთქუათ, ცხადჰყოფთ, ეითარმედ ბნელი მის თანა არა არს“ (A 24, 39 r, I).

ამ მხრივ არც მეხუთე თავი წარმოადგენს გამონაკლისს. აქაც უკანასკნელი წინადადება – Πρὸς δὲ καὶ φυσικὴ ἀνάγκη μονάδα εἶναι διάδος ἀρχήν[20] (ბუნებრივი აუცილებლობით ერთიანობა სათავეა ორობისა) ეფრემს ასე უთარგმნია: „ამას თანა თჳთ ბუნებითიცა შჯული უფროჲს შეწყნარებულ-ჰყოფს მარტოდ მჱყრობელობასა, უფროჲს მთავრობისა ორთაჲსა“ (A 24, 39 v, I). ხოლო არსენს ეს წინადადება უთარგმნელად დაუგდია.[21]

მეცხრე თავის („ღმერთსა ზედა თქუმულთათჳს“) დასაწყისის არსენისეული თარგმანი სიტყვა-სიტყვით მისდევს დედანს, ისევე როგორც ეფრემისა, მაგრამ მაინც წინადადება ბოლომოკვეცილია: „ღმერთი უკუე მარტივი არს და [განუზ]აებელი. ხოლო მრავალთა და თ[ით]ო-სახეთაგან შემოკრებული, შეზა[ე]ებული არს. აწ უკუე უკუეთუ აუგებელობასა და დაუსაბაᲛოობასა და უსხეულობასა (ἀσώματον) და უკუდავებასა (ἀθάνατον), საუკუნოებასა (αἰώνιον)... ამის შემდეგ არსენი აკლებს ორ თვისებას – „სიკეთესა“ (ἀγαθόν) და „შემქმნელობასა“ (δημιουργικόν).[22]

იმაეე თავში არსენს გამოუტოვებია ერცელი წინადადება. არსენის თარგმანს – „ღმერთი ცეცხლ განმლეველ არს ყოლისა ბოროტისა, ანუ ხედვისაგან ყოველთაჲსა, რამეთუ შეუცილებელ არს და ზედამხედველ ყოველთა“[23] უნდა მოსდევდეს

[15] PG, t. 94, col. 797.
[16] PG, t. 94, col. 828.
[17] შდრ. PG, t. 94, col. 792.
[18] PG, t. 94, col. 800.
[19] შდრ. S - 1463, გვ. 55 v, II.
[20] PG, t. 94, col. 801.
[21] S - 1463, გვ. 59 v, II.
[22] S - 1463, გვ. 59 v, II; შდრ. PG, t. 94, col. 836.
[23] S - 1463, გვ. 59 v, II.

შემდეგი წინადადება (მოგვყავს ჩვენი თარგმანი): „რადგან იგი ხედავდა ყველა ნივთს მათ ყოფამდე, მარადისობით წარმოიდგენდა გონებაში; ყოველი ნიეთი ღებულობს არსობას განსაზღვრულ დროს, თანახმად მისი მარადის სურვილთან (ნებასთან) შეერთებული (შეთანხმებული) აზრისა, რომელიც არის წინასწარი განსაზღვრა, სახე და გეგმა".[24] ეს წინადადება ეფრემის თარგმანში ასეა წარმოდგენილი: „იგი ხედავს ყოველსა, რამეთუ არა რაჲ დაეფარვის თუალსა მას ყოველთა მხედველსა, რომელმან ყოველივე იხილა პირველ დაბადებადმდე მათდა და პირველ ჟამისა მოიგონა, ესე იგი არს უწინარეს ჟამთა და წელოა განწესებისა და ყოველივე ეგრეთ ქმნა, ვითარცა შეეტყუებოდა ნებასა და განზრახვასა მისსა პირველ ჟამისასა, რომელი იგი იყო წინა განსაზღვრებაჲ და ხატი და სახე წინა-განსაზღვრებისაებრ მისისა თჳსსა ჟამსა აღსრულებული" (A 24, 46 v, I–II). არსენს გამორჩა ეს წინადადება, თუ რაიმე მოსაზრებით გამოტოვა იგი? უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოხდა თვით დედნის მიზეზით, რადგან ცნობილია ბერძნული ხელნაწერები, სადაც ეს წინადადება არ მოიპოვება.[25]

„გარდამოცემის" XV თავში არსენის თარგმანში ეკითხულობთ ასეთ ფრაზას: „ეინაჲცა უწინარეს სოფლის შესაქმისა, ოდეს იგი არცა მზე იყო განმყოფელად, არა იყო განზომილი საუკუნე" (S - 1463, გვ. 62 v, I). მზე არ იყო განმყოფელადო, წერს არსენი, იგულისხმება – განმყოფელად დღისა ღამისაგან. თუ არსენის თარგმანში ეს აზრი მხოლოდ იგულისხმება – დედანშიც და ეფრემის თარგმანშიც პირდაპირ წერია: ἡμέραν ἀπὸ νυκτός.[26]

არსენ იყალთოელის თარგმანში ვერ ვხვდებით მოცულობით თუმც პატარა, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ მე-16 თავს – Περὶ δημιουργίας, რომელსაც ეფრემის თარგმანში ეწოდება „დამბადებელობისათჳს".[27] რაკი არსენის თარგმანში გამორჩენილია მთელი მეთექვსმეტე თავი, ამის გამო შემდგომში კარგახანს არსენის თარგმანის თავების სათვალავი აღარ ემთხვეოდა არც დედნის და არც ეფრემის თარგმანის თავების სათვალავს, იგი ყოველთვის ერთით ჩამორჩება; ეს შეუსაბამობა სწორდება მხოლოდ 81-ე თავის შემდეგ, სადაც დაშვებულია ახალი შეუსაბამობა, ეფრემის თარგმანის ქვეთავი არსენის თარგმანში თავად ქცეულა და თავების სათვალავში შესულა. მაგრამ ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ როგორც არსენის რედაქციის LXXXI თავი („მკითხველთა მიმართ, ვითარმედ შერწყუმულისა ანუ განსაზღვრებულისაგან აღიყვანებიან რაოდენობად ბუნებანი ქრისტესნი"), ისევე მისი შესაბამისი ქვეთავი ეფრემის რედაქციისა ერთ-ერთი წინა თავის განმეორებაა და მეტი არაფერი. ასე რომ, ფაქტობრივად არსენის თარგმანს ერთი თავი აკლია, იგი შეიცავს ნაცვლად ასი თავისა 99-ს.

არსენის თარგმანის XX თავში (დედნის XXI თავი) ვხვდებით ასეთ წინადადებას: „ცეცხლ[ლ]ი არა რაჲ სხუაჲ არს თუნიერ ნათელი" (S - 1463, 65 r, I). ეს წინადადება დედანში გაცილებით ერცელია: სხვა არა არის რა ცეცხლი, თუ არა ნათელი, როგორც ზოგნი ამბობენ, ზოგნი კი [ამბობენ, რომ] მსოფლიო ცეცხლი მდებარეობს ჰაერს ზემოთ, რომელსაც ეთერი ეწოდება. ეფრემის თარგმანშიც ეს წინადადება სრულად არის წარმოდგენილი: „რამეთუ არა რაჲ სხუაჲ არს ცეცხლი თუნიერ ნათლისა, ვითარცა ვიეთმე უთქუამს. ხოლო სხუანი სოფლიოსა ამას ცეცხლსა ჰაერისაგანად იტყჳან, რომელსაცა ეთერ უწოდენ").[28]

არასრულად აქვს თარგმნილი არსენს ამაეე თავის მომდევნო წინადადებაც: „აწ უკუე დასაბამსა ვიდრემე ქმნა ღმერთმან ნათელი, ესე იგი არს, პირველსა დღესა,

[24] PG, t. 94, col. 837.
[25] PG, t. 94, col. 837, Variae Lectiones.
[26] PG, t. 94, col. 864. შდრ. A 24, 51 v, I.
[27] PG, t. 94, col. 864-865. შდრ. A 24, 52 r, I.
[28] PG, t. 94, col. 888; A 24, 56 r, II.

განსაშუენებელად და შესამკობელად“ (S - 1463, 65 r, I). დედანში განმარტებულია, თუ ვის „განსაშუენებელად“ და „შესამკობელად“ შეჰქმნა ღმერთმა ნათელი: „ყოველი ხილული ქმნილებისა“ (πάσης τῆς ὁρατῆς κτίσεως).[29] ეფრემის თარგმანში ეს წინადადება სრულად არის წარმოდგენილი (A 24, 56 r, II).

„გარდამოცემის“ XXI თავში (არსენის თარგმანით – XX თავი), რომლის სათაურია „ნათლისათჳს, ცეცხლისა, მნათობთა, მზისა და მთოვარისა და ვარსკულაეთა“, არსენს გამოუტოვებია მთელი წინადადება, რომელიც უნდა მოსდევდეს მისი თარგმანის შემდეგ ფრაზას: „ნუუკუე და თქუას ეინმე, ეითარმედ ბრძოლათაცა არა მიზეზ, არამედ სასწაულ... „(S - 1463, გე. 66 r, II). დედანში ამის შემდეგ ვკითხულობთ:

Καὶ ἡ ποιότης δὲ τοῦ ἀέρος ποιουμένη[30] ὑπὸ ἡλίου, καὶ σελήνης, καὶ τῶν ἀστέρων ἄλλος καὶ ἄλλως διαφόρους κράσεις, καὶ ἕξεις, καὶ διαθέσεις συνίστησιν. Αἱ δὲ ἕξεις τῶν ἐφ' ἡμῖν· κρατοῦνται γὰρ τῷ λόγῳ, καὶ ἄγονται πρεπόμεναι (და ჰაერის ხარისხი, რომელიც დამოკიდებულია მზისგან, მთვარისა და ვარსკელაებისაგან, განსხვაებულად ჰქმნის განსხვაებულ შეზაებას, ჩვეას და მიდგომას; მაგრამ ჩვეები იმას განეკუთვნებიან, რაც ჩვენს ნებელობაშია, რადგან ემორჩილებიან გონებას და მისი ხელმძღვანელობით იცელებიან).[31] ეფრემს ეს წინადადება ასე უთარგმნია: „და ეითარმედ რომელობაჲ ჰაერისაჲ ჰყოფს მზისა მიერ და მთოვარისა და ვარსკულაეთა თითო-ფერსა შეცვალებასა შეზაებათა და წესთა და ჩუეულებათასა. ხოლო ჩუენ – კაცთანი წესნი, შეზაებანი და ჩვეულებანი სიტყუთ იპყრობებიან და მართებულ იქმნებიან და იქცევიან“ (A 24, გე. 58 V, II).

გარდამოცემის“ XXV თავში (არსენით – XXIV თავი), რომლის სათაურია „სამოთხისათჳს“, ლაპარაკია იმაზე, რომ, როცა ადამმა და ევამ იგემეს ხე ცნობადისა, მაშინღა იგრძნეს, რომ შიშველნი იყუნენ და შერცხვათ. არსენის თარგმანში ვკითხულობთ:

„რომელი ესე შეემთხუა ადამს, რამეთუ იხილა რაჲ გემოჲ, ცნა, რამეთუ შიშულ იყო და გარე-მოსაბლარდნელისა თუსისათჳს იურვოდა. ხოლო უწინარეს გემოჲს ხილვისა შიშუელ იყუნეს ორნივე – ადამცა და ევა და არა ჰრცხუენოდა“ (S - 1463, 68 v, I).[32]

ეფრემის თარგმანში კი წერია:

„რომელი–იგი შეემთხუაცა ადამს, რამეთუ იხილა რაჲ გემოჲ ხისა მის, ეუწყა, ეითარმედ შიშუელ იყო და გარემოიდვა საბლარდნელი, რამეთუ ფურცელი ლეღუსაჲ მიიღო და გარე-მოირტყა. ხოლო პირველ გემოჲს ხილვისა შიშუელ იყუნეს ორნივე – ადამ და ევა და არა ჰრცხუენოდა (A 24, 63 r, II).

ხაზგასმული სიტყვები არ გეხვდება არსენის თარგმანში, მაგრამ არის დედანში: φύλλα γὰρ συκῆς λαβὼν περιεζώσατο.[33]

თხზულების 43-ე თავში (არსენით – 42-ე თავი), რომელსაც სათაურად აქვს „განგებულებათათჳს“ (ეფრემით) ანუ „წინა-განგებისათჳს“ (არსენით) არის ასეთი ფრაზა: „ვით კეთილი, იგი (ღმერთი) წინაგანაგებს, რადგან არ არის კეთილი იგი, ვინც არა წინაგანაგებს“.[34]

ეფრემს ეს ფრაზა უთარგმნია: „ვინაჲთგან უკუე მხოლოჲ ღმერთი არს ბუნებით სახიერ და ბრძენ, ამისთჳსცა ეითარცა სახიერი წინა-განაგებს, რამეთუ რომელი არა წინაგანაგებდეს, იგი არა სახიერ არს (A 24,

[29] PG, t. 94, col. 888.
[30] ამ სიტყვას აქვს ვარიანტი ποιομένου (Colb. I et Regii 12 et cod S. Hil.) PG, t. 94, col. 893, Variae lectiones.
[31] PG, t. 94, col. 893.
[32] შესაქმე, 2, 25.
[33] PG, t. 94, col. 913.
[34] PG, t. 94, col. 964.

77 r, I)“, ხოლო არსენს უთარგმნელად დაუგდია: „მხოლოჲ ღმერთი ოდენ არს ბუნებით სახიერი და ბრძენი...“ (S - 1463, 75 r, II). თუმცა აშკარაა, რომ არსენის თარგმანს აკლია ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები, მაგრამ ამ შემთხვევა'მი დაბეჭითებით იმის თქმა, რომ ეს ნაკლულობა თვით ბერძნული დედნიდან მოდისო, ძნელია. აქ უბრალოდ შეიძლება მთარგმნელის სტილთან გვქონდეს საქმე. არსენი შეიძლებოდა მორიდებოდა განმეორებას. ხოლო დედანშიც და ეფრემის თარგმანშიც ადგილი აქვს ერთგვარ განმეორებას. რომ უფრო ნათელი იყოს ეს ფაქტი, მოგვყავს ორივე ქართული რედაქციიდან უფრო ერცელი ამონაწერები:

ეფრემი:

„მხოლოჲ ღმერთი არს ბუნებით სახიერ და ბრძენ. ამისთუსცა, ვითარცა სახიერი, წინა-განაგებს, რამეთუ რომელი არა წინა განაგებდეს, იგი არა სახიერ არს. რამეთუ კაცნიცა და საცხოვარნი თუსთა შვილთათუს ბუნებით წინა-განაგებენ და რომელიცა არა წინა განაგებდეს, იგიცა იგმობების, ხოლო ვითარცა ბრძენი ყოველსავე უმჯობესად იღუწის არსთათუს“.

არსენი:

„მხოლოჲ ღმერთი ოდენ არს ბუნებით სახიერი და ბრძენი. და რამეთუ კაცნი და პირუტყუნი თუსთა შვილთათუს წინა-განაგებენ ბუნებით და რომელი არა წინა განაგებდეს, ვითარცა არა სახიერი ითქუმის. წინა-განაგებს უკუე ვითარცა სახიერი და უმჯობესისათუს არსთაჲსა მოღუაწე არს, ვითარცა ბრძენი“.

როგორც ვხედავთ, არსენის სტილი ამ შემთხვევაში უფრო ლაპიდარულია და ავტორის ძირითადი აზრი, თუმცა არა სიტყვამიდევნებით და ზედმიწევნით, მაგრამ სწორად არის გადმოცემული. ამიტომაც ეს ფაქტი ქართველი მთარგმნელების დედნების სხვადასხვაობის დასამტკიცებლად არ გამოდგება.

LV თავში (არსენით – LIV თავი), რომლის სათაურია „სახესა და განუკუეთელსა შინა ხილულისა ბუნებისათუს და განყოფილებისათუს თქუმასა შეერთებისა და განჴორციელებისასა და ვითარ მოიღებვის „ერთი ბუნებაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ განჴორციელებული“,[35] ეხვდებით ასეთ მსჯელობას:

„რამეთუ თითოეულისა გუამთაგანისა ზედა დაიწესების სახელი ესე, ვითარმედ ღმერთი, ხოლო ღმრთეებისა თქუმაჲ გუამისა ზედა ვერ ძალ-გჳც. რამეთუ ღმრთეებაჲ მამისათუს ოდენ, ანუ ძისათუს ოდენ, ანუ მხოლოდ სულისა წმიდისათუს ოდენ არა გუასმიეს, რამეთუ „ღმრთეებაჲ“ უკუე ბუნებასა ცხადჰყოფს, ხოლო „მამაჲ“ – გუამსა...“ (S -1463, გვ. 81 r. II).

რომ უფრო ნათელი გაეხადა თავისი მსჯელობა, იოანე დამასკელს მიუმართავს კონკრეტული ანალოგიისათვის: ღმრთეება ბუნებას ნიშნავს, მამა – გვამს, ისევე როგორც კაცება ნიშნავს არსებას და პეტრე – გვამსო.[36] არსენს ეს ანალოგია გამორჩენია, ხოლო ეფრემის თარგმანში ვკითხულობთ:

„ღმრთეებაჲ ბუნებისა საცნაურ-მყოფელ არს, ხოლო მამაჲ ერთსა ოდენ გუამსა სახელ-ედების, ვითარ იგი კაცებაჲ ყოველსა ბუნებასა კაცთასა, ხოლო პეტრე ერთსა ოდენ გუამსა მოასწავებს“ (A 24, 89 v, I–II). უნდა აღინიშნოს, რომ ეფრემის თარგმანი რამდენადმე განერცობილია, კერძოდ, დედანში არ გვხვდება ხაზგასმული სიტყვები.

LIX თავში (არსენით – LVIII თავი), რომლის სათაურია „უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს შორისთა მოქმედებათათუს“, გვხვდება ასეთი ადგილი:

---

[35] „ერთი ბუნებაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ განჴორციელებული“ ციტატაა სახარებიდან. შდრ. იოანე, I, 14.

[36] PG, t. 94 , col. 1028: Θεότης μὲν γάρ τήν φύσιν δηλοῖ τὸ δὲ Πατήρ, τὴν ὑπόστασιν, ὥσπερ καὶ ἄνθρωπότης, τὴν φύσιν, Πέτρος δέ, τὴν ὑπόστασιν.

'Αλλ, εἰ μὲν θείαν, Θεὸν μόνον αὐτὸν γυμνὸν τῆς καθ' ἡμᾶς ἀνθρωπότητος λέξομεν. Εἰ δὲ ἀνθρωπίνην, ψιλὸν αὐτὸν ἄνθρωπον βλασφημήσομεν. Εἰ δὲ οὐδὲ θείαν οὐδὲ ἀνθρωπίνην, οὐδὲ Θεὸν οὐδὲ ἄνθρωπον, οὐδὲ τῷ Πατρί, οὐδὲ ἡμῖν ὁμοούσιον.[37]

ეფრემს ზუსტად უთარგმნია ეს ადგილი: „არამედ უკუეთუ ღმრთეებისაჲ ოდენ ვთქუათ, განშიშულებულად ვიტყჳთ მას ჩუენისაგან კაცებისა. ხოლო უკუეთუ კაცებისაჲ ვთქუათ, ლიტონად სადმე კაცად უწოდთ მას და ჳჰგმობთ. ხოლო უკუეთუ არცა საღმრთოჲ ვთქუათ, არცა კაცობრივი, არცა სადმე ღმერთად ვიტყჳთ მას, არცა კაცად, თანა-არსად მამისა, გინა ჩუენდა" (A 24, 96 v, II).

იგივე როდი ითქმის არსენის თარგმანზე. არსენის რედაქციაში ეს აზრი იმდენად შეკუმშულად არის წარმოდგენილი, რომ მსჯელობა ბუნდოვანიც ხდება:

„არამედ უკუეთუ საღმრთოჲ, ღმერთად ხოლო ვიტყჳთ მას შიშულად ჩუენისა კაცებისაგან. და უკუეთუ არცა საღმრთოჲ, არცა კაცობრივი, ღმერთად, არცა კაცად, არცა ჩუენდა თანა-არსად" (S - 1463, გვ. 84, v. I).

ძნელია ამ შემთხვევაში ლაპარაკი მთარგმნელის თავისებურებაზე, აქ უფრო დედნის თავისებურება ჩანს. როგორც ეტყობა, თვით არსენის დედანს აკლდა ამ ადგილას სიცხადე. მთარგმნელის თავისებურება არ შეიძლება იყოს სათაურის შემოკლებაც. მაგალითად, LXVIII თავს (არსენით – LXVII თავი) ეწოდება Περὶ τῆς τοῦ Κυρίου προσευχῆς.[38] იგი ჯეროვნად უთარგმნია ეფრემს: „ლოცჳსათჳს უფლისა" (A 24, 105 v, I), ხოლო არსენს რად უნდა შეემოკლებინა და დაეწერა მხოლოდ „ლოცვისათჳს" (S - 1463, 88 r, II), უკეთუ მის დედანში არ იქნებოდა მარტოოდენ Περὶ τῆς προσευχῆς?

იმავე თავში, არსენის თარგმანში გამორჩენილია ერთი წინადადება, რომელსაც შეეავსებთ ეფრემის თარგმანიდან (ჩასმულია კავებში):

„...წმიდისა გონებისა მისისა მიერ გზა-მიყოფდა ჩუენ ღმრთისა მიმართ აღსლვასა, [რამეთუ ვითარ იგი ენებანი რაჲ დაითმინნა, მისითა მით ძლევითა ჩუენ გურგუნოსან მყვნა, ამითვე სახითა ილოცვიდაცა] და ჩუენთჳს სრულ-ჰყოფდა ყოველსა სიმართლესა ვითარცა ეტყოდა იოვანეს" და ა. შ.[39]

დედანში ვკითხულობთ:"Ὥσπερ γὰρ τὰ πάθη ὑπέμεινεν, ἡμῖν τὴν κατ' αὐτῶν νίκην βραβεύων, οὕτω καὶ προσεύχεται, ἡμῖν ὁδοποιῶν, ὡς ἔφην, τὴν πρὸς Θεὸν ἀνάβασιν, καὶ ὑπὲρ ἡμῶν πᾶσαν δικαιοσύνην πληρῶν, ὡς ἔφη πρὸς 'Ιωάννην და სხვა.[40]

„გარდამოცემის" LXIX თავს ეწოდება Περὶ οἰκειώσεως, რომელიც ასევეა წარმოდგენილი ეფრემის თარგმანში – „განკუთნვისათჳს", ხოლო არსენის თარგმანში (LXVIII თავი) ეწოდება „განთჳსვისა და განკუთნვისათჳს", მაგრამ არც არსენს გადაუხვევია დედნიდან, მას უბრალოდ ორი სინონიმით უთარგმნია სათაური. „განთჳსვა" და „განკუთხვა" სინონიმებია, როგორც დღევანდელი „მითვისება" და „მიკუთვნება".

ამ თავის დასაწყისში ვკითხულობთ (მოგეყავს ეფრემის თარგმანი): „საჴმარ უკუე არს ცნობად, ვითარმედ ორნი განკუთნვანი არიან: ერთი ბუნებითი და არსებითი და მეორე – თჳსებითი და პირებითი" (A 24, 106 r, I–II). დედანშიც წერია προσωπικὴ καὶ σχετικὴ, არსენის თარგმანში კი არის მხოლოდ „პირებითი".[41]

„გარდამოცემის" LXX თავში (არსენი – LXIX თავი) არსენის თარგმანში ვკითხულობთ: „რამეთუ ვითარცა ბნელი ზედა შემოსლვითა ნათლისაჲთა უჩინო იქმნების, ეგრეთვე ხრწნილებაჲ ცხორების კუეთებითა უჩინო იქმნების და ყოველად ცხორებად შეიცვალების" (S - 1463, 89 r, I). ამ წინადადებას აკლია დაბოლო-

[37] PG, t. 94. col. 1065.
[38] PG, t. 94, col.1089.
[39] S - 1463, გვ. 88 v, I, შდრ. A 24, გვ. 105 v, II.
[40] PG, t. 94. col.1092.
[41] S - 1463, 88 v, II, შდრ. PG, t. 94, col. 1093.

ება: φθορὰ δὲ τῷ φθείραντι (ხოლო დამღუპველს – დაღუპვა).[42] ეფრემ მცირის რედაქციაში ეს წინადადება სრულად არის თარგმნილი: „რამეთუ ვითარცა იგი ბნელი შემოსლვითა ნათლისაჲთა უჩინო იქმნის, ეგრეთვე ხრწნილებაჲ ცხორებისა კუეთებითა განჴდილ განმხრწნელსა მას – განმხრწნელ (A 24, 107 r, I).

LXXII თავში (არსენით – LXXI თავი), რომელსაც სათაურად აქვს Περὶ φθορᾶς καὶ διαφθορᾶς,[43] ანუ არსენის მიხედვით „ხრწნილებისა და განხრწნილებისათჳს",[44] არსენის თარგმანში პირველი წინადადება არასრულად არის თარგმნილი. კაებში მოგვყავს ნაწყვეტი ეფრემის თარგმანიდან:

„ხრწნილებისა სახელი ორსა დაჰნიშნავს. რამეთუ დაჰნიშნაეს [ქაცობრიეთაცა ვნებათა] – შიმშილსა, წყურილსა..." და ა. შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეფრემს ამ თავის სათაური სხვაგვარად აქვს თარგმნილი: „ხრწნილებისა განყოფილებისათჳს", მაგრამ საინტერესოა იქვე შენიშვნა: „ვეისწაენ, თუ ვითარ განიყოფებიან ხრწნილებაჲ და განხრწნილებაჲ". თუ ეს სქოლიო მთარგმნელს არ ეკუთვნის და ბერძნული ხელნაწერიდანვე მოდის (ხოლო ეფრემს, როგორც ვიცით, ჩვეოდა კომენტარების გადმოთარგმნაც, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევდა), მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეფრემ მცირის დედანი უნდა ასახავდეს საქმის ძველ ვითარებას, როცა სათაურად იყო „ხრწნილებისა განყოფილებისათჳს" და მას ახლდა ზემოთ ამოწერილი შენიშვნა. შემდეგ კი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს შენიშვნა, რომელიც უკეთ ასახავდა ამ თავში დასმულ საკითხს, ცვლის პირვანდელ სათაურს და ხელნაწერებში ჩნდება φθορὰ καὶ διαφθορά (ხრწნილება და განხრწნილება). ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდია, რომლის დამტკიცება სხვა საბუთების მოუშველებლად შეუძლებელია.

LXXIV თავის ერთ-ერთი ბოლო წინადადებაც არასრულად უთარგმნია არსენს. მოგვყავს ციტატა არსენის თარგმანიდან, შევსებული ეფრემის თარგმანით, რომელსაც კაებში ვსვამთ:

„რამეთუ უწყის წმიდამან სულმან მისმან, ვითარმედ გუამოვნებით შეერთებულ არს ღმრთისა და სიტყჳსადა და თანა თაყუანისიცემების, ვითარცა ღმრთისა სული [და არა ვითარცა სული ლიტონისა ეისმე]".[45] დედანშიც ამ წინადადებას ერთვის სიტყვები – καὶ οὐχ ὡς ἁπλῶς ψυχή ("და არა ლიტონი სული").[46]

„გარდამოცემის" LXXVII თავში (არსენით – LXXVI თავი) არსენს არასრულად უთარგმნია შემდეგი წინადადება (ვავსებთ ეფრემის თარგმანით) „ძუელსა შინა მცოდველნი იტანჯებოდეს და ჯერეთ ცოდვასაცე მიედევნებოდეს [და ღმერთად მათდა შერაცხილ იყო ცოდეაჲ].[47] დედანში წერია: καὶ Θεὸς αὐτοῖς ἡ ἁμαρτία λελόγιστο...[48]

„გარდამოცემის" LXXXV თავში, რომელსაც ეწოდება „აღმოსავალით თაყუანისცემისათჳს" არსენ იყალთოელს არ უთარგმნია წინადადება – πᾶν γὰρ καλὸν τῷ Θεῷ ἀναθετέον, ἐξ οὗ πᾶν ἀγαθὸν ἀγαθύνεται (ხოლო ყოველი კეთილი უნდა მიეძღვნას ღმერთს, რომლისგანაც უხვად მოედინება ყოველი სიკეთე)[49] მოგვყავს ციტატა არსენის თარგმანიდან:

„რამეთუ ღმრთისად აღიყვანებოდედ თანად ყოველი კეთილი და თუთ იგი აღმოსავალით თაყუანისცემაჲცა, რომლისა მიერ კეთილ იქმნების ყოველი კეთილი"

---

[42] PG, t. 94, col. 1097.
[43] PG, t. 94, 1097.
[44] S - 1463, გვ. 89 r, II; შდრ. ეფრემი – A 24, გვ. 107 r, II, აგრეთვე დედანი - PG, t. 94, col. 1097-1100: Σημαίνει γὰρ τὰ ἀνθρώπινα ταῦτα πάθη...
[45] S - 1463, 89 v, I, შდრ. ეფრემი – A 24, 108 r, I.
[46] PG, t. 94, col. 1104.
[47] არსენი – 1463, გვ. 90, II, ეფრემი – A 24, გვ. 109 v, II.
[48] PG, t. 94, col. 1109.
[49] PG, t. 94, col. 1133.

(S -1463, გვ. 93 r, I). მართალია, არც ეფრემის თარგმანია ამ შემთხვევაში ზუსტი, მაგრამ დედნის მონაცემები აქ უფრო დაცულია:

„ამისთჳსცა მისდა შეწირულ იყავნ აღმოსავალით თაყუანისცემაჲ, რამეთუ ყოველივე კეთილი ღმრთისა-და თანა-ნადებ არს შეწირვად, რომლისა მიერ გამოვალს ყოველივე წყაროჲ კეთილთაჲ“ (A 24, 116 r, I).

„გარდამოცემის“ LXXXVI თავში („წმიდათა და უხრწნელთა საიდუმლოთათჳს უფლისათა“), სადაც ლაპარაკია ღვთისმშობლის მიერ ქრისტეს ჩასახვაზე, ნათქვამია (მოგვყავს არსენის თარგმანი): „ეითარ იყოსო ესე ჩემდა, – იტყოდა წმიდაჲ ქალწული, – ვინაჲთგან მამაკაცი არა ვიცი“. მიუგო მთავარ-ანგელოსმან ეგრეთ: „სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისაჲ გაგრილობდეს შენ“ [50] (S - 1463, გვ. 93, v II).

დედანში წერია მთავარანგელოზის სახელიც: ἀποκρίνεται Γαβριὴλ ὁ ἀρχάγγελος (მიუგო გაბრიელ მთავარანგელოზმა).[51] გაბრიელი დასახელებულია ეფრემის თარგმანშიც. თუ ეს სახელი შემთხვევით არ არის გამორჩენილი „დოგმატიკონის“ უძველეს ნუსხაში, მაშინ იგი გამორჩენილი უნდა ყოფილიყო დედანში, რომელიც ხელთ ჰქონდა არსენს, იქნებ იქაც – შემთხვევით.

„გარდამოცემის“ LXXXVI თავში არსენის თარგმანში ეკითხულობთ: „თჳთ უფალი იტყჳს: ესე არსო ჩემი არა სახე ჴორცისაჲ, არამედ ჴორცი და არა სახე სისხლისაჲ, არამედ სისხლი“. და უწინარეს ამისსა ჰურიათა: „უკუეთუ არა შჭამოთ, ეტყოდა, – ჴორცი ძისა კაცისაჲ, არა გაქუს ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (S - 1463, გვ. 94 r, I). ამ სახარებისეულ ციტატებს (იოანე VI, 53, 55) აკლია სიტყვები καὶ πίητε αὐτοῦ τὸ αἷμα და უნდა იყოს – „უკუეთუ არა შჭამოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ და არა ჰსუათ სისხლი მისი“. ასეა დედანში და ასევე აქვს თარგმნილი ეფრემსაც (A 24, გვ. 118 v, I).

იმავე თავში ვხედებით ასეთ წინადადებას:

ეფრემით:	არსენით:
„ვინაჲთგან ერთისაგან ჰურისა ჩუენ ყოველნი მოვიღებთ და ერთ-ჴორც ქრისტესსა და ერთ სისხლ და ურთიერთას ასოებ ვიქმნებით“ (A 24, 119 v, I).	„რამეთუ ვინაჲთგან ერთისა ჰურისაგან მიმღებელნი ყოველნი ერთ-ჴორც და ერთ სისხლ და ურთიერთას ასოებ ვიქმნებით“ (S 1463, გვ. 94 v, I)

დედანი მხარს უჭერს ეფრემის ვარიანტს: σύσσωμοι Χριστοῦ χρηματίζοντες (თანა-ჴორცად ქრისტესად წოდებულნი. შდრ. ეფეს., III, 6).[52]

არ ეწერა სიტყვა „ქრისტე“ არსენის დედანში, თუ მთარგმნელმა რაიმე კონფესიური მოსაზრებით გვერდი აუარა მას? ამის დაშვება შეუძლებელია, რადგან აქ ლაპარაკია საყოველთაოდ მიღებულ, ორთოდოქსალურ დოგმაზე, საღმრთო ზიარებაზე და არავითარ იდეოლოგიურ გადახრას, გინა არისტოტელიზმისაკენ მიკერძოებას არ შეეძლო ეს გავლენა გამოეწვია. მით უმეტეს, რომ იმავე წინადადების ცოტა ზემოთ არსენი თარგმნის: „ზიარებად სახელიდების და არს ჭეშმარიტად, ვინაჲთგან მის მიერ ზიარ ეექმნებით ჩუენ ქრისტესა და შეეერთებით ჴორცთა და ღმრთეებასა მისსა, ხოლო შეეერთებით და ეეზიარებით ურთიერთასცა მის მიერ“ (S - 1463, 94 v, I).

თავისთავად ცხადია, რომ თარგმანიდან ქრისტეს სახელის ამოვარდნა უნდა იყოს გაპირობებული დედნით, რომელიც არსენს ხელთ ჰქონდა.

---

[50] ციტატა სახარებიდან – ლუკა, I, 34-35.
[51] PG, t. 94, col. 1141.
[52] PG, t. 94, col. 1153.

LXXXVI თავის დასასრული არსენის თარგმანში ბოლომოკვეცილია; მოგვყავს სათანადო ადგილები ორივე ქართული რედაქციიდან:

ეფრემი:

„ამის მიერ ვეზიარებით ღმრთეებასა ქრისტესსა, ესე იგი არს, ჭამითა და სუმითა ამისითა. ხოლო მურმესა მას საუკუნესა არღარა ესრეთ, არამედ მხოლოდ ხედვითა ოდენ მისითა ზიარ მისსა ვიქმნებოდით“ (A – 24, 119 v, II).

არსენი:

„მათ მიერ ვეზიარებით ღმროეებასა ქრისტესსა... ხოლო მაშინ გონიერად მხოლოდ ხედვისა მიერ ოდენ“ (S - 1463, 94 v, I).

დედანში შესაბამის ადგილას ვკითხულობთ: ἀλλ ὅτι νῦν μὲν δι' αὐτῶν μετέχομεν τῆς Χριστοῦ θεότητος, τότε δὲ νοητῶς διὰ μόνης τῆς θέας (PG, t. 94, col. 1153). ეს არის დედანში ამ თავის უკანასკნელი წინადადება, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ ხელნაწერში (Colb. 4730, Regius 2427) არ არის სიტყვა νοητῶς, ხოლო ზოგან (Reg. 2928) იკითხება διὰ μόνης τῆς θείας ἑνώσεως.[53]

როგორც ვხედავთ, ორივე ქართული თარგმანი საკმაოდ დაცილებულია დედანს, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ მინის გამოცემის ტექსტი არ არის ქართული თარგმანების დედანი. რაც შეეხება ხელნაწერს Regius 2928, რომელიც შეიცავს ვარიანტულ წაკითხვას μόνης τῆς θείας ἑνώσεως, იგი გამოძახილს პოულობს ეფრემის თარგმანში – „ხედვითა (νοητῶς) ოდენ მისითა ზიარ მისსა ვიქმნებოდით“.

„გარდამოცემის“ XCI თავში ვკითხულობთ: „... და ლეღუსა მიმართ მისლვაჲ (მათე, XXI, 19) და შეშინებაჲ, ესე იგი არს განშორებაჲ (იოანე, VIII, 59), ანუ ლოცვაჲ (იოანე, XI, 42..).[54] დედნის მიხედვით ამას კიდევ უნდა ემატებოდეს პასაჟი სახარებიდან (ლუკა, XXIV, 28) – προσεποιήσατο πορρώτέρω πορεύεσθαι.[55] ეფრემის თარგმანში ამ ადგილას წერია – „და ლოცვაჲ და რომელ იგი მიზეზ-ყო უშორესად-რე წარსლვაჲ“ (A 24, 127 v, I).

იმავე თავში არასრულად არის ამოწერილი სახარების ციტატა II კორ. V, 21) – „რომელმან არა იცოდა ცოდვაჲ“ (S - 1463, გვ. 98 r, I), უნდა იყოს – „რომელმან იგი არა იცოდა ცოდვაჲ, ცოდვაჲ ჩუენთჳს ქმნა“ (A 24, 127 v, I), როგორც აქვს კიდეც ეფრემს.[56]

ასევე არასრულად არის ამოწერილი იმავე თავში ციტატა მათეს სახარებიდან: „ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა“ (S - 1463, 84 r, I). ამას უნდა მიემატოს დედნის მიხედვით ჩვეულებრივი „და სულისა წმიდისაჲთა“ (καὶ τοῦ ἁγίου Πνεύματος).[57] მაგრამ ირკვევა, რომ არის ბერძნული ხელნაწერები, სწორედ ასე ბოლომოკვეცილი ციტატით.[58]

„გარდამოცემის“ IX თავში არსენს გამოუტოვებია წინადადება: Ὡς δὲ ὁ ἅγιος Διονύσιός φησιν ὁ ἀγαθὸς. Οὐ γὰρ ἔστιν ἐπὶ Θεοῦ εἰπεῖν, πρῶτον τὸ εἶναι, καὶ τότε τὸ ἀγαθόν (PG, t. 94, col. 836). ეფრემს ეს წინადადება ასე უთარგმნია: „წმიდაჲ დიონოსიოს იტყჳს, ეითარმედ სახიერებაჲ არა კმა არს ღმრთისათჳს სათქუმელად, რამეთუ პირველად ამისი ჯერ არს თქუმაჲ, ეითარმედ არს და მერმეღა ეითარმედ სახიერ არს“ (A 24, 46 v).[59]

---

[53] PG, t. 94, col. 1153, Variae lectiones.
[54] არსენის თარგმანი, S - 1463, გვ. 98 r, I.
[55] PG, t. 94, col. 1185.
[56] შდრ. PG, t. 94, col. 1188: ὑπὲρ ἡμῶν ἁμαρτίαν ἐποίησε.
[57] შდრ. მათე, 28, 19-20.
[58] PG, t. 94, col. 1052. Variae lectiones.
[59] შდრ. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერიელის) „საღმრთოთა სახელთათჳს“, თავები II-IV.

იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როცა არსენის თარგმანი ზუსტად გადმოსცემს დედნის შინაარსს, ხოლო ეფრემის თარგმანი შორდება მას, არა მეტნაკლებობის, არამედ განსხვავებული აზრის გამო. ასეთია, მაგალითად, VI თავის დასასრული (“სიტყჳსათჳს ღმრთისა“):

ეფრემი:

„ეგრეთეე არს სიტყჳაჲ ღმრთისაჲ, განყოფილებით თავით თჳსით განიყოფების მისგან, რომლისათჳსცა სრული გუამი არს. ხოლო რამეთუ მამასა აწუენებს თავსა შორის თჳსსა, ეითარ იგი თჳთ იხილეების მამისა თანა, ღმერთი ღმრთისა თანა, ამისთჳსცა ერთ არს ბუნებით მის თანა რამეთუ ეითარ იგი ყოველსაე შინა სრულებაჲ მამისა თანა იხილეების, ეგრეთეე იხილეების მისგან შობილისაცა სიტყჳსა თანა“ (A 24, 39 v, II).

არსენი:

„ეგრეთეე სიტყჳაცა ღმრთისაჲ თჳსაგან ვიდრემე მდგომარეობითა განიყოფვის მისსა მიმართ, რომლისაგან აქუს ყოფაჲ. ხოლო მათითაეე ჩუენებითა თავსა შორის თჳსსა, რომელნი ღმრთისა თანა იხილეებიან, იგივე არს ბუნებით ერთი მის თანა, რამეთუ ვითარცა ყოველსა შინა სრულებაჲ იხილეების მამისა თანა, ეგრეთეე იხილეების მისგან შობილისაცა სიტყჳსა თანა“ (S - 1463, 55 r, I-II).

სათანადო ადგილას დედანში ეკითხულობთ: „ასეეა სიტყჳა – ღმერთი, რამდენადაც არსებობს თავისთავად (τῷ ὑφεστάναι καθ’ ἑαυτόν), განსხვაედება მისგან, ვისგანაც აქვს ჰიპოსტასი (τὴν ὑπόστασιν), რამდენადაც ავლენს თავისთავში იმას, რაც არის ღმერთში; ბუნებით ეროია მასთან რადგანაც, როგორც მამაში ჩანს სრულყოფა ყოველმხრივი, ასეე ჩანს იგივე მისგან დაბადებულ სიტყჳაში“.[60]

ეფრემის თარგმანში დიდი გადახვეა არ არის დედნიდან, მაგრამ მაინც, მაგალითად, ერთი აზრის შემცველი როდია ეს ორი ფრაზა: „რომლისაგან აქუს ყოფაჲ“ (არსენი) და „რომლისათჳსცა სრული გუამი არს“ (ეფრემი), აქედან დედნის აზრს სწორად გადმოსცემს არსენის რედაქცია.

XI თავში, მინის გამოცემაში არის ქეესათაური: Περὶ τῆς τριῶν τῶν ὑποστάσεων διαιρέσεως· καὶ περὶ τοῦ πράγματος καὶ λόγου καὶ ἐπινοίας.[61] არსენს უთარგმნია: „სამთა გუამთა განყოფილებისათჳს, [საქმ]ეთათჳს და სიტყჳსათჳს და გონებისა“ (S - 1463, 58 v, II). ეფრემის თარგმანში ეს ქეეთაეი შესულია, მაგრამ სათაური არ უზის (44 v, II– 45 r, I). ეს ქეესათაური არ ახასიათებს ბერძნულ ხელნაწერებს, იგი ბერძნული ტექსტის გამომცემლებს ერთ-ერთი ხელნაწერიდან აუღიათ.[62]

არსენი თვით უშვებს „შეცდომას“

უფრო ხშირია შემთხვევა, როცა ეფრემის თარგმანი ემთხვევა დედანს, ხოლო არსენისა შორდება.

„გარდამოცემის“ მეორე თავის სათაური – Περὶ ῥητῶν, καὶ ἀπορρήτων, καὶ γνωστῶν, καὶ ἀγνώστων,[63] ეფრემს ზუსტად აქვს თარგმნილი – „თქუმულთათჳს და გამოუთქუმელთა, საცნაურისათჳს და უცნაურისა“ (A 24, 36 v, I), ასეევა არსენის თარგმანშიც – „თქუმულთათჳს და გამოუთქუმელთა, უცნაურთა და საცნაურთა“ (S - 1463, 54 r, II), მაგრამ შეცვლილია სიტყვათა რიგი (უცნაურთა და საცნაურთა). იქნებ ესეც გამოწვეული იყოს განსხვავებული დედნით, რადგან დყღნისა და

[60] PG, t. 94, col. 804.
[61] PG, t. 94, col. 828.
[62] იქვე.
[63] PG, t. 94, col. 792.

ეფრემის თარგმანის სიტყვათა წყობა უფრო ლოგიკურია, შეწყვილებულია სიტყვები მათსავე უარმყოფელ სიტყვებთან. გამოოქმული – გამოუთქმელი, საცნაური – უცნაური...

„გარდამოცემის" LIX თავში (არსენით – LVIII) არსენის თარგმანში ეკითხულობთ ასეთ წინადადებას: „ხოლო ჩუენდა ნუ იყოფინ თანა შეტყუებითა საღმრთოსა მოქმედებასა ვნებად სახელისდებაჲ კაცობრივისა მოძრაობისაჲ. რამეთუ არცა ერთი მყოფობაჲ საყოველთაოდ ითქუმოდენ, გუერდით დადებისა ანუ შეტყუებისა მიერ იცნობების და განისაზღვრების" (S - 1463, 85 r, II).

ეფრემის თარგმანში წერია: „ხოლო ჩუენდა ნუ იყოფინ საღმრთოჲსა მიმართ მოქმედებისა წინა განწყობითა ვნებად სახელის დებაჲ კაცობრივისა აღძრვისაჲ, რამეთუ არავისგან ითქუმის ყოლად გუამი სხუათა თანა-შეტყუებითა, არცა იცნობების ანუ განისაზღვრების გუამი თანა-შეტყუებითა, სხუათა გუამთაჲთა". (A – 24, 98 r, II).

ამ შემთხვევაში არსენის თარგმანი იმდენადვე შორდება დედანს, რამდენადაც ეფრემის თარგმანს, რადგან, სხვა რომ არა იყოს რა, მასში არ არის გამოხატული უარყოფა, უნდა იყოს „არცა იცნობების და განისაზღვრების".[64]

„გარდამოცემის" XIV თავში, სადაც ჩამოთვლილია ღმერთის ეპითეტები, როგორიც არის „უნივთო, სახიერი, უვნებელი" და მისთ., არსენის თარგმანში ეპითეტთა რიგი ოდნავ არეულია მინის გამოცემასა და ეფრემის თარგმანთან შედარებით; მოგვყავს ამონაწერები ორივე თარგმანიდან (ფრჩხილებში ჩასმულია რიგობრივი ნომერი დედნის მიხედვით):

ეფრემი:

(1) აუგებელი, (2) დაუსაბამოჲ, (3) უკუდავი, (4) უსაზღეროჲ, (5) საუკუნოჲ, (6) უნივთოჲ, (7) სახიერი, (8) დამბადებელი, (9) მართალი, (10) განმანათლებელი, (11) უქცეველი, (12) უვნებელი, (13) გარეშეუწერელი, (14) განუყოფელი, (15) შეუსაზღერებელი, (16) უსაზღეროჲ, უჯორცო (17) უხილაჲი, (18) მოუგონებელი, (19) უნაკლულოჲ, (20) თუთ-ხელმწიფე, (21) თუთ-მპყრობელი, (22) ყოველთა მპყრობელი, (23) ცხორების მომცემელი, (24) ყოლისა შემძლებელი, (25) განუსრულებელი ძალითა, (26) წმიდა-მყოფელი და (27) მიმცემელი მადლთაჲ", რომელსა (29) უპყრიეს და აქუს ყოველი და (30) წინა-განაგებს (A 24, 50 v, II).

არსენი:

(1) აუგებელობაჲ, (2) დაუსაბამოებაჲ, (3) უკუდაობაჲ, (4) დაუსრულებელობაჲ, (13) გარეშეუწერელობაჲ, (5) საუკუნეობაჲ (6) უნივთობაჲ, (7) სახიერებაჲ, (8) დამბადებელობითობაჲ, (9) სიმართლე (10) განმანათლებელობაჲ, (11) უქცეველობაჲ, (12) უვნებელობაჲ, (14) დაუტევნელობაჲ, (15) გარე-მოუსაზღერებლობაჲ, (16) განუსაზღერებელობაჲ, (17) თუთსხეულოობაჲ, (17) უხილაჲობაჲ, (18) გარემოუცაობაჲ, (19) უმოქნეობაჲ, (20) თუთ-მპყრობელობაჲ, (21) თუთ-ჴელმწიფე[ბ]აჲ, (22) ყოველისა-მპყრობელობითობაჲ, (23) ცხორებისა მიმცემელობაჲ, (24) ყოლისა შემძლებე[ლ]ობაჲ, (25) ძალ-მიუწოდებელობაჲ, (26) წმიდა-მყოფელობაჲ, (28) გარეშემცველობაჲ და (29) მპყრობელობაჲ ყოველთაჲ და (30) ყოველთა წინაგანმგებელობაჲ" (S - 1463, 62 v, r, II – 62 r, I).

თუნდაც ის ფაქტი, რომ უმრაელეს შემთხვევაში ეპითეტთა რიგი ემთხვევა ორსავე თარგმანში, გვაფიქრებინებს, რომ ცალკეული გადაადგილებანი არ უნდა იყოს შემთხვევითი. როგორც ვხედავთ, არსენის თარგმანში „გარეშეუწერელობა" (ἀπερίγραπτος) გადაადგილებულია. ეპითეტთა სხვადასხვა რაოდენობა და რიგის აღრევა დამახასიათებელი იყო თვით ბერძნული ხელნაწერებისთვის, მაგალითად, ერთ-ერთ ხელნაწერში VI და VII ადგილას მოდის ეპითეტები τὸ ἁπλοῦν (მხოლოდ) და τὸ ἀσύνθετον (მარტივი).[65]

[64] შდრ. PG, t. 94, col. 1061.

[65] PG, t. 94, col. 860, variae lectiones.

„გარდამოცემის“ LXXXI თავში (არსენით – LXXX თავი), რომლის სათაურია „ვითარ პირმშოდ იწოდების მხოლოდ-შობილი ძე ღმრთისაჲ“, ლაპარაკია ღვთაების განკაცებაზე. აეტორს მოუყვანია ციტატა სახარებიდან, რომელშიც ღმერთი იწოდება „პირმშოდ მრავალთა ძმათა შორის“ (რომ. VIII, 29) და განმარტავს მის აზრს. აეტორის აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი ეზიარა ხორცს და სისხლს და ჩვენსავით კაცად იქცა, ხოლო ჩვენ ვიქეცით ღვთის შვილებად ნათლისღების წყალობით. ესე იგი, ამ მსჯელობის მთავარი ღერძი არის ის, რომ ღმერთი იქცა კაცის შვილად (მარიამის მეშვეობით), ხოლო ჩვენ ვიქეცით ღმერთის შვილებად (მამაღმერთისა) და ამიტომაც არის ქრისტე პირმშო „მრავალთა ძმათა შორის“. არსენის თარგმანში კი მსჯელობა ასე არ ვითარდება უბრალოდ იმის გამო, რომ დედნისეული καὶ ἐκ μητρός შეცვლილია სიტყვით „მამისაგან“.

„ხოლო „პირმშოდ მრავალთა ძმათა შორის“. რამეთუ რომელი მხოლოდ შობილ იყო მამისაგან (?), ვინაჲთგან ეზიარა ჴორცითა და სისხლითა მსგავსად ჩუენისა და კაც იქმნა და ვიქმნებით ჩუენცა მის მიერ ძე ღმრთისა, ვითარცა შვილებულნი ნათლისღებისა მიერ“ (S - 1463, 91 r, I).

სწორად აქვს ეს ადგილი ნათარგმნი ეფრემს: „ხოლო „პირმშოდ მრავალთა ძმათა შორის“ ამისთჳს ეწოდების უფალსა, რამეთუ მხოლოდ-შობილ არს დედისაგანცა (καὶ ἐκ μητρός), ვინაჲთგან გუეზიარა ჩუენ ჴორცითა და სისხლითა და მსგავს ჩუენდა კაც იქმნა და ვიქმნენით ჩუენცა მის მიერ ძე ღმრთისა, შვილებისა მადლსა ღირს-ქმულნი ნათლისღებისა მიერ“ (A 24, III r, II).[66]

„გარდამოცემის“ LXXXIX თავში, არსენის თარგმანში ეკითხულობთ: „მემსხუერპლეობდეს უკუე ელენიცა და მემსხუერპლეობდეს ჰურიანიცა, არამედ ელენი ვიდრემე ეშმაკთა, ხოლო ჰურიანი ღმრთისა მიმართ. და განგდებულ უკუე და დასაშჯელ იყო ელენთა იგი მსხუერპლი, ხოლო ჰურიათაჲ კეთილად მითუალულ ღმრთისაგან“ (S - 1463, 96 r, II).

დედანში ხაზგასმული სიტყვის (“ჰურიათაჲ“) ნაცვლად წერია τῶν δικαίων (მართალთანი), ასევე აქვს იგი თარგმნილი ეფრემს (A 24, 123 v, II).[67] მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა მთარგმნელს თავისუფლება გამოეჩინა, დაეწერა ის სიტყვა, რომელიც იგულისხმებოდა დედანშივე და აზრის უფრო მკაფიოდ გადმოსაცემად უკეთესიც კი იყო.

XCXIII თავში, არსენის თარგმანში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა: „რაჟამს უდაბნოს მარტოჲ ისრაჱლი თჳსაგან იქცეოდა ორმეოც წელ, თანა-აღრეული სხუასა ნათესავსა, რაოდენნი უდაბნოს იყვნეს, არა წინა-დაიცჳთეს“ (S - 1463, 101 r, I).

ჯერ-ერთი, ისრაელი თუ მარტო იყო, როგორ იყო თანააღრეული სხვებთან? თუ „მარტოჲ ისრაჱლი“ არ გულისხმობს სხვებთან აღურეელობას და ნიშნავს მხოლოდ მარტო ყოფნას, მაშინ ვინღა არიან „სხუა ნათესავნი, რაოდენნი უდაბნოს იყვნეს?“ ცხადია, ბიბლიის შინაარსიც რომ არ ვიცოდეთ, მაინც არ მოგვეჩვენება ეს წინადადება უნაკლოდ. ისევე როგორც ბიბლიაში, იოანე დამასკელის თხზულებაშიც და ეფრემისეულ თარგმანშიც წერია „არა თანაღრეული“: „ერი – იგი ისრაჱლთაჲ მარტოდ იქცეოდა თჳსგან და არა [თ]ანა აღრეულად სხუასა რომელსამე ნათესავსა...“ (ეფრემი, A 24, 134 r, II). დედანში

[66] შდრ. PG, t. 94, col. 1116.
[67] PG, t. 94, col. 1169.

წერია: οὐ συναναμεμιγμένος.[68] თუ ეს შეცდომა არ არის ქართული ნუსხის lapsus calami, იგი შესაძლოა ბერძენი გადამნუსხველისაგან მომდინარეობდეს.

ქართული თარგმანები შორდებიან დედანს

მეტად ხშირია შემთხვევა, როცა ქართულ თარგმანებში ეხედებით ერთმანეთის იდენტურ, მაგრამ დედნისაგან განსხვავებულ ადგილებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ქართული თარგმანისათვის დედანი ვერ იქნებოდა „გარდამოცემის" ტექსტი იმ სახით, როგორც ის არის გამოცემული Migne-ის Patrologia Graeca-ში.

„გარდამოცემის" პირველ თავში ვხვდებით ასეთ წინადადებას:

ეფრემი:	არსენი:
ყოველი მეცნიერებაჲ ღმრთისა ყოფისაჲ მის მიერ ბუნებით დათესულ არს ყოველთა შორის" (A 24, 36 r, I).	„მეცნიერებაჲ ყოფისა ღმრთისაჲ ბუნებით დათესულ არს ყოველთა შორის" (S -1463, 54 r, I).

დედანში გვაქვს ზმნა ἐγκατασπείρω,[69] რომელიც თავისთავად იქნებ გულისხმობდეს კიდეც სიტყვებს „ყოველთა შორის", რადგან ნიშნავს „შეყვანას", „დათესვას", „გაბნაწილებას", მაგრამ ის ფაქტი, რომ ორივე მთარგმნელმა „საჭიროდ ცნო" ობიექტების დასახელება და დედანს გადაუხვია, გვაფიქრებინებს, რომ მათ ხელთ ჰქონოდათ ისეთი ნუსხა, სადაც ეწერა კიდეც „ყოველთა შორის". ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როცა ქართველი მთარგმნელები იმავე თავში ამატებენ სიტყვას „პირველად".

ეფრემი:	არსენი:
„პირველად სჯულისა მიერ და წინაჲსწარმეტყუელთა, ამისსა შემდგომად მხოლოდშობილისა ძისა მისისა... გამოგუცხადა" (A 24, 36 r, I).	„პირველად შჯულისა მიერ და წინაჲსწარმეტყუელთა და მერმე მხოლოდ-შობილისა ძისა მისისა... გამომიცხადა" (S - 1463, 54 r, I).

რაკი წინადადების მეორე ნახევარში ნათქვამია „ამისსა შემდგომად", თუ „მერმე", მოსალოდნელი იყო დასაწყისში ყოფილიყო სიტყვა „პირველად", მაგრამ დედანში ეს სიტყვა არ გვხვდება.[70]

„გარდამოცემის" მეორე თავში ორსავე ქართველ მთარგმნელს შეუცვლია ღმერთის ეპითეტების რიგი:

ეფრემი:	არსენი:
„ყოველად ძლიერი, ყოველთა დაბადებულთა დამბადებელი" (A 24, 36 v, I).	„ყოველად ძლიერი, ყოველთა აგებულთა დამბადებელი" (S - 1463, 54 r, II).

დედანში არის პირუკუ: πάντων κτισμάτων δημιουργός, παντοδύναμος.[71]

იმავე თავში გვაქვს ასეთი წინადადება:

ეფრემი:	არსენი:
„და ეითარმედ ერთ არს ღმერთი, ესე იგი არს ერთ-არსება და ეითარმედ სამგუამოჲ-	„ეითარმედ ერთ არს ღმერთი, ესე იგი არს ერთი არსებაჲ და ეითარმედ სამთა გუამთა შინა იცნობების და არს: მამისა,

[68] PG, t. 94, col. 1213.
[69] PG, t. 94, col. 789.
[70] იქვე.
[71] PG, t. 94, col. 792.

ნებით იცნობების და არს: მამასა ეიტყჳ, და ძესა და სულსა წმიდასა. და ეითარმედ მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ ყოველითურთ ერთ არიან... (A 24, 36 v, II).

ეიტყჳ, და ძისა და სულისა წმიდისათა. და ეითარმედ მამაჲ, და ძე და სული წმიდაჲ ყოელითაე ერთ არიან... (S - 1463, 54 v, I).

ჩვენ მიერ ხაზგასმულ სიტყვებს დედანში ცვლის ფრაზა – κατὰ πάντα ἔν εἶσι...[72]

რატომ სცნო საჭიროდ ორიეე მთარგმნელმა განზოგადებული გამოთქმა ("ყეელანი") გაეშიფრა და კელავ გაემეორებინა „მამა, ძე და სული წმიდა"? რა თქმა უნდა, აქ მთარგმნელების ინიციატივა არ არის მთავარი, მიზეზი ისევ ბერძნულ დედან'ში უნდა ვეძიოთ, რომელიც ხელთ ჰქონდათ ჩვენს მწიგნობრებს.

იმაეე თავში დედნიდან გადახვეევის კიდეე ერთი მაგალითია, რომელიც უფრო ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ქართველ მთარგმნელთა დედანი განსხვავდებოდა მინის გამოცემისაგან:

ეფრემი:

„ხოლო თუ რაჲ არს არსებაჲ ღმრთისაჲ, ანუ ეითარ არს ყოველთა შინა, და თუ ეითარ არს შობაჲ და გამოსლვაჲ ღმრთისაჲ ღმრთისაგან... (A 24, 37 r, I).

არსენი:

ხოლო თუ რაჲ არს არსებაჲ ღმრთისაჲ, ანუ ეითარ არს ყოველთა შინა, ანუ ეითარ იშვების ღმრთისაგან ღმერთი" (S - 1463, 54 v, I).

ოდნაეი განსხვაეება თუმც არის ეფრემისა და არსენის რედაქციათა შორის (ეფრემს აქვს „შობაჲ და გამოსლვაჲ", არსენს – „იშვების"), მაგრამ მთავარი ის არის, რომ ხაზგასმული სიტყვების კეალი არ ჩანს მინის გამოცემულ ტექსტში.[73] ის მცირედი განსხვაეება, რაც ეფრემისა და არსენის თარგმანებში შეიმჩნევა, გამორიცხავს ამ შემთხვევაში ეფრემის ტექსტის გაელენას არსენის თარგმანზე და მიგვანიშნებს იმას, რომ ქართველ მთარგმნელებს მსგავსი, მინის ტექსტისაგან განსხვაებული ხელნაწერები შეხვედრიათ.

ქართული თარგმანები არ იცნობენ სიტყვებს „სილოგისტური დამტკიცება" (συλλογικὴ ἀπόδειξις), რომელიც ეროვის მეექვსე და მეშვიდე თავების სათაურებს „გარდამოცემის" გამოცემულ ტექსტში. გარდა ამისა, ქართულ თარგმანებში არასრულად არის თარგმნილი VI თავის სათაური: Περὶ τοῦ λόγου καὶ υἱοῦ θεοῦ, συλλογικὴ ἀπόδειξις (სიტყუსათჳს და ძისა ღმრთისა, სილოგისტური დამტკიცება). ამის ნაცელად ქართულ რედაქციებში გვაქვს „სიტყუსათჳს ღმრთისა".[74]

„გარდამოცემის" VIII თავში ("წმიდისა სამებისათჳს"), როგორც აღვნიშნეთ, დედნის მიხედვით და არსენის თარგმანთაც გამოყოფილია ქვესათაური „სამთა გუამთა განყოფილებისათჳს, საქმეთათჳს და სიტყუსათჳს და გონებისა". ეფრემის თარგმანში ტექსტი არ არის გამოყოფილი ქვეთავად, მაგრამ დედნის სიზუსტე სხეა მხრივ დაცულია იმდენადეე, რამდენადაც არსენის მიერ. ქართული თარგმანები ერთმანეთს მხარს უჭერენ და ცილდებიან ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ დედანს. მოგეყავს დედნის ტექსტი (ვიყენებთ არსენის თარგმანს, სანამ ეს შესაძლებელია): „ხოლო სათანადო არს ცნობად, ეითარმედ სხუაჲ არს საქმით სახილეელობაჲ (πράγματα), სხუაჲ სიტყუთ წულილ მომგონებლობით (λόγῳ καὶ ἐπινοίᾳ), ვინაჲთგან ყოეელთა აგებულთა შორის გუამთა განყოფილებაჲ საქმით იხილვების: მართლაც, პეტრე გეესახება პაელესგან განსხვავებულად" (PG, col. 828).

ახლა შეეადაროთ ქართული თარგმანები:

---

[72] იქვე.
[73] იქვე.
[74] A 24, 39 v, I; S - 1463, 55 r, I; შდრ. PG, t. 94, col. 801.

ეფრემი:

ჯერ-არს უკუე ცნობად, ეითარმედ სხუა არს საქმით ხედვაჲ და სხუა არს სიტყჳთ მოგონებაჲ. აწ უკუე ყოველთა აგებულებათა ზედა განყოფილებაჲ გუამთაჲ საქმით იხილების. ხოლო ზოგადობაჲ და შერწყუმაჲ და ერთობაჲ სიტყჳთ განიცდების. რამეთუ გონებით გულისჴმა-ჰჰყოფ, ეითარმედ პეტრე და პაველ მისიე ბუნებისანი არიან..." (A 24, 44 v, II).

არსენი:

„ხოლო სათანადო არს ცნობად, ეითარმედ სხუაჲ არს საქმით სახილველობაჲ და სხუაჲ სიტყჳთ და წულილ მომგონებლობით. ეინაჲთგან ყოველთა ეიდრემე აგებულთა შორის გუამთა უკუე განყოფილებაჲ საქმით იხილვების, ხოლო ზოგადობაჲ და შეერთებულობაჲ და შერწყუმულობაჲ სიტყჳთ და წულილ მომგონებლობით იცნობების, რამეთუ გულისჴმა-ჰჰყოფთ გონებითა, ეითარმედ პეტრე და პაველ მისიე ბუნებისანი არიან..." (S - 1463, 58 v, II).

ხაზგასმული სიტყვები ბერძნულ დედანში არ მოიპოვება.

იმავე მერეე თავის დასასრულს ქართულ თარგმანებში გაპარულია ერთი და იგივე შეცდომა. მოვიყვანთ ამონაწერს ორიეე ქართული თარგმანიდან:

ეფრემი:

„ჯერ-არს უკუე ცნობად, ეითარმედ მამასა არა ეიტყუთ ეიგანადმე არამედ ეიტყუთ მას მამად ძისა. ხოლო ძესა არა ეიტყუთ უმიზეზოდ (sic!), არცა მამად, არამედ ეიტყუთ მას მამისაგანად და ძედ მამისა" (A 24, 46 r, I).

არსენი:

„სათანადო არს ცნობად. ეითარმედ მამასა არა ეიტყუთ მიზეზისაგანად, ხოლო ეიტყუთ მას მამად ძისად. და ძესა არა ეიტყუთ უმიზეზოდ (sic!), არცა მამად, არამედ ეიტყუთ მას მამისაგანად და ძედ მამისა" (S - 1463, 59 v, I).

ბერძნულ დედანში ჩაუხედავად აშკარაა, რომ მსჯელობა არ არის ჯეროვნად გამართული. აქ ლაპარაკია არა ჩვეულებრივ მამაშვილობაზე, არამედ მამა-ღმერთისა და ძე-ღმერთის (ქრისტეს) ურთიერთდამოკიდებულებაზე. მსჯელობა ასე მიმდინარეობს: უნდა ვიცოდეთ, რომ მამას ვერ ეიტყვით ვისგანმე, ან რაიმე მიზეზისაგან წარმოშობილად, არამედ ვთქვით მას მამად ძისა, ხოლო ძეს ვერ ეიტყვით მიზეზად ან მამად, არამედ ეიტყვით მას მამისაგანად და ძედ მამისა. ე. ი. მამა არის მიზეზი ძისა, ხოლო თვით არის უმიზეზო, რადგან არავისგან და არაფრისგან არ წარმოშობილა, არამედ მარადის იყო, არის და იქნება. სხვა ადგილას იგივე იოანე დამასკელი ასე მსჯელობს მამაღმერთზე: „დამბადებელი მათი აუგებელი ეიდრემე ჯერ-არს, რამეთუ, უკუეთუ იგიცა აგებულვე არს. უეჭველად სხუსა ვისგანმე აგებულ არს, ეიდრემდის მივემთხჳნეთ ამგებელსა აუგებელსა. ხოლო აუგებელ რაჲ იყოს დამბადებელი, უეჭველად უქცეველცა არს, რომელი ესე ეინმცა იპოვა სხუაჲ, თჳნიერ ღმრთისა?" (ეფრემის თარგმ., A 24, გვ. 37 v, II). ხოლო ძე ღვთისა არ შეიძლება იყოს უმიზეზო, რადგან მისი მიზეზი არის მამა! მაშასადამე, თქმა იმისა, რომ „ძესა არა ვიტყუთ უმიზეზოდო", რომელიც ორსავე ქართულ თარგმანში გეხვდება, არღვევს მსჯელობის სიმწყობრეს და გეზს ჩვენ მიერ განხილულ წინადადებაში. აქ ხომ ლაპარაკია იმაზე, რომ მამა არის უმიზეზო, ხოლო ძე კი არ არის მიზეზი ან მამა, არამედ მიზეზისაგანი და მამისაგანია. ასეთია მსჯელობის აზრი.

მართლაც, ბერძნულ დედანში წერია: οὐ λέγομεν αἴτιον οὐδὲ πατέρα (არ ვამბობთ მიზეზად და არც მამად).[75]

რამ გამოიწვია ერთგვაროვანი გადახვეევა ქართულ თარგმანებში? თურმე თერთმეტ ბერძნულ ხელნაწერში იკითხება ἀναίτιον.[76] მათგან რომელიღაც ნუსხა

[75] PG, t, 94, col. 832.
[76] PG, t, 94, col. 832. Variae Lectiones.

უნდა ყოფილიყო კიდეც დედანი ქართველი მთარგმნელებისათვის. სამწუხაროდ, ჩვენ იმ ხელნაწერებზე ამჟამად ხელი არ მიგვიწვდება.

„გარდამოცემის" მე-12 თავში დედნისგან განსხვავებით ქართველ მთარგმნელებს მოჰყავთ ღმერთის „ხედმეტი" ეპითეტი: „განსრულებადთა დასაბამ სრულებისა" (ეფრემი) ანუ „სრულ-ყოფადთა სრულთ-მთაერობა" (არსენი).[77]

„გარდამოცემის" XII თავის ბოლოს მინის გამოცემაში გამოქვეყნებულია ქვეთავი — „კλεαე საღმრთოთა სახელთათჳს დაწერილებით" (Ἔτι περὶ θείων ὀνομάτων ἀκριβέστερον, PG, t. 94, col. 845–849), რომელიც არ გვხვდება არცერთ ქართულ თარგმანში. ეს ქვეთავი სამართლიანად მიჩნეულია ინტერპოლაციად, ნაგვიანევ ჩანართად. იგი არ გვხვდება ძველ ხელნაწერებში, თანაც ზოგან ადგილი აქვს შეცვლილი, მაგალითად, ხელნაწერში Regius — 3109 ეს ქვეთავი მოსდევს IV წიგნის IX (ჩვენი პუბლიკაციით 83-ე) თავს, Reg. n. 3451-ში კი II წიგნის — II თავს (ჩვენი პუბლიკაციით — მე-16 თავი).

„გარდამოცემის" XIII თავში, იქ სადაც ლაპარაკია ანგელოსთა შესახებ, ერთერთი მანუსკრიპტის მიხედვით მინის გამოცემაში გამოქვეყნებულია ქვესათაური Περὶ τόπου ἀγγέλου καὶ τῆς ψυχῆς, καὶ περὶ τοῦ ἀπεριγράπτου (ანგელოსის ადგილისა, სულისა და გარეშეუწერელისათჳს), ქართულ თარგმანებში ეს ქვესათაური არ გვხვდება (A 24, 49 r, II; S - 1463, 61 r, II). იმავე თავში იმავე ხელნაწერის მიხედვით მინის გამოცემაში გამოქვეყნებულია ქვესათაური — Συλλογιμαῖα περὶ τοῦ Θεοῦ, καὶ Πατρὸς, καὶ τοῦ Ὑἱοῦ καὶ τοῦ ἁγίου Πνεύματος, καὶ τοῦ Λόγου καὶ Πνεύματος (ნააზრევნი ღმერთზე, და მამაზე, და ძეზე, და სული-წმიდაზე, და სიტყჳსა და სულზე).[78] ეს ქვესათაურიც არ გვხვდება ქართულ თარგმანებში.

საინტერესოა ის გარემოება, რომ „გარდამოცემის" XX თავს (არსენით — XIX თავი), რომელსაც დედანში სათაურად უზის Περὶ οὐρανοῦ (ზეცისათჳს), ქართულ თარგმანებში სხვა სათაური აქვს: „ღმრთისათჳს" (ეფრემი, A 24, 54 v, I), „უფლისათჳს" (არსენი, S - 1463, 64 r, I). ამ თავში მართლაც ლაპარაკია ცის შესახებ, განმარტებულია ტერმინები „ცასა ცათასა", „ვიდრე მესამისა ცისამდე" და სხვ. მაგრამ ამ თავშიც, როგორც ყველგან, ლაპარაკია ღმერთზედაც. მართლაც, ეფრემი თავს ასათაურებს „ღმრთისათჳს" და პირველ წინადადებას იწყებს სიტყვით „ღმერთი": „ღმრთისა „არს გარეშემცველი...". ასევე არსენი თავს ასათაურებს „უფლისათჳს" და პირველ წინადადებასაც იმავე სიტყვით იწყებს — „უფლისაჲ არს გარე-შემცველი..." და ა. შ. რა თქმა უნდა, დედნისაგან ასეთი გამიჯვნის მიზეზიც ისევ ბერძნულ ნუსხაში უნდა ვეძიოთ.

„გარდამოცემის XXI თავში (არსენით — XX) ქართულ თარგმანებში დაშვებულია ერთგვაროვანი შეცდომა. მოგვყავს ამონაწერები:

ეფრემი:

„რამეთუ ეითარ იგი აღაშენო რაჲ ქალაქი უშინაგანეს სხჳსა ქალაქისა, უეჭველად უმცირეს იპოეს უშინაგანესი იგი სიმრგულე მოზღუდეილისაჲ გარეშესა მას სიმრგულესა მოზღუდეილისასა" (A 24, 58 r, II)

არსენი:

„რამეთუ ეითარ იგი უკუეთუ აღაშენო ქალაქი შინაგან სხჳსა ქალაქისა, შინაგანი იგი ქალაქი უმცირესად იპოვების, ეგრეთვე სრბაჲ მთოვარისაჲ, ეითარცა უძუემოესისაჲ უმცირესი არს და მოელის უადრე" (S - 1463, 66 r, I).

[77] A 24, 48 v, I; S - 1463, 60 v, II; შდრ. PG, col. 845.
[78] PG, t. 94, col. 853.

ეს ორი ციტატა რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც გამორიცხავს ურთიერთგაელენას იმ ზომით, რომ ერთი მეორისაგან გადაწერილად მიეიჩნიოთ. მით უმეტეს, საინტერესოა, რომ ორივე მთარგმნელმა ერთი და იგივე შეცდომა დაუშვა. დედანში „ქალაქი“ არც არის ნახსენები, იქ წერია „რკალი“ გინა „წრე“, „წირი“: ὡς γὰρ ἐὰν ποιήσῃς πόλον ἔνδον ἄλλου πόλου, ὁ ἔνδον πόλος μικρότερος εὑρεθήσεται (ისე, როგორც გააკეთო წრე მეორე წრის შიგნით, მაშინ შინაგანი წრე უფრო პატარა აღმოჩნდება).[79]

რას შეიძლებოდა გამოეწვია შეცდომა? ნუთუ იმას, რომ გრაფიკულად πόλος (წრე) და πόλις (ქალაქი) ერთმანეთს ჰგავს? ამ აზრის გაზიარება შესაძლებელი იქნებოდა, იმაზედაც დავთანხმდებოდით, რომ ორივე მთარგმნელმა πόλος πόλις-ად წაიკითხა, მაგრამ ეს სიტყვა ამ წინადადებაში არც ერთხელ გვხედება და არც მარტო სახელობით ბრუნვაში. სამ სხვადასხვა ბრუნვაში მოხვედრილი ეს ორი სიტყვა შეუძლებელია ორ სხვადასხვა მთარგმნელს ერთმანეთში აერიოს. მართლაც, სახელობითში გვაქვს πόλος და πόλις, ბრალდებითში πόλον და πόλιν, ხოლო ნათესაობითში – πόλου და πόλεως, გინათუ πόλεος, ან იონიურ და დორიულ დიალექტზე πόλιος (თუმცა ეს ორი უკანასკნელი ფორმა ბიზანტიური ხანის ბერძნულში არც შეგვხვდებოდა). ასე რომ, genetivus-ში მაინც ამ ორი სიტყვის აღრევა ყოელად წარმოუდგენელია, მით უმეტეს, ორი სხვადასხვა მთარგმნელის მიერ, თუნდაც ისინი ერთ დროს ერთად მოღვაწეობდნენ. ამავე დროს, დაუშვებელია ასეთი შეცდომა მივაწეროთ ბერძნულის ისეთ მცოდნეებს, როგორიც იყვნენ ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი. გვრჩება ერთადერთი გამოსავალი: უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველ მთარგმნელებს ხელთ ჰქონდათ ისეთი რიგის ბერძნული ნუსხები, სადაც ეწერა არა πόλος, არამედ πόλις. ანალოგიისათვის კი ამ კონტექსტში წრის ნაცვლად ქალაქიც გამოდგებოდა.[80]

„გარდამოცემის“ XXII თავში (არსენით – XXI თავი) არის ასეთი წინადადება: „ქარი არის ჰაერის მოძრაობა. ქარი არის ჰაერის დინება და იცვლის სახელს ადგილისდა მიხედვით, საიდანაც იღებს სათაეეს (საიდანაც იწყება)“.[81]

ქართულ თარგმანში ეკითხულობთ:

ეფრემი:

„ხოლო ქარი არს აღძრეაჲ ჰაერისაჲ და ადგილ მისსა არს ჰაერი. და ადგილი თითოეულისა გუამებისა არს გარე-მოელაჲ მისი... (A 24, 60 v, I).

არსენი:

„ხოლო ქარი არს ძრეაჲ ჰაერისაჲ და ადგილი ვიდრემე ჰაერისაჲ არს, რამეთუ ადგილ თითოეულისა სხეულისა არს გარე-შემცველი რაიმე მისი... (S - 1463, 67 r, I).

როგორც ვხედავთ, ქართული თარგმანები ერთნაირად განსხვავდებიან დედნისაგან. მაგრამ იმაეე თავში არის კიდეე უფრო მნიშვნელოვანი განსხვავებანი.

ჯერ-ერთი, წინადადება – „ქარი არს სიმრავლე მჭუერვალისა და ჴმელისა აღორთქლებისა, მოძრავისაჲ ქუეყანასა ზედა“ (არსენი, S - 1463, 67 r, I) სულაც არ არის დედანში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არა თუ ეს წინადადება, არამედ მთელი თავის დასასრული, მოყოლებული ამ წინადადებიდან, არ არის ეფრემის თარგმანის ძირითად ტექსტში, არამედ მოთავსებულია აშიაზე და გადმოწერილია არსენის „დოგმატიკონიდან“ ისევე, როგორც სხვა შემთხვევებშიც ხდებოდა. ასე რომ, ჰქონდა თუ არა თავის დროზე ეს წინადადება ეფრემს ნათარგმნი, ან როგორ ჰქონდა მას ნათარგმნი 22-ე თაეის დასასრული, ამის შესახებ ჩვენ დღეს მსჯელობა არ შეგეიძლია. ამ თაეის დასასრული იმდენად ზუსტად არის

[79] PG, t. 94, col. 892.

[80] ძველ, გალავნებით მოზღუდულ ქალაქებს ხომ წრიული ფორმა ჰქონდათ.

[81] PG, t. 94, col. 900: Ἄνεμος δέ ἐστι κίνησις ἀέρος. Ἡ ἄνεμός ἐστι ῥεῦμα ἀέρος τῆς τῶν τόπων ἐξαλλαγῆς, ὅθεν ῥεῖ, τὰς ἐπωνυμίας ἀμείβων.

გადატანილი არსენის თარგმანიდან, რომ განმეორებულია კიდეც არსენისეული რედაქციის შეცდომა: „ხოლო საშუალ აპარქტიოასა და არგესტოასა – თრასკეაი, რომელ არს კირკიოდ სახელ-დებული სპარსთაგან“ (S - 1463, 67 r, II). სინამდვილეში აქ სპარსელები არაფერ შუაში არ არიან. დედანში წერია περιοίκων (გარშემო მცხოვრებთა, ადგილობრივ მკვიდრთა...), [82] περιοίκων არსენს ამოუკითხავს როგორც περσικῶν, ან, შესაძლოა, ეს შეცდომა მოუვიდა გრაფიკულ ნიადაგზე თვით ბერძნული ხელნაწერის გადამხუსხველს.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ამ თავში დედნიდან გადახვევა. დედანში არ არის არც არსენის თარგმანის უკანასკნელი წინადადება: „ხოლო არიან ყოველნიენი ათორმეტ, რომელთა გარე-მიწერაჲ არს ესე“ (S - 1463, 67 r, II). სამაგიეროდ მინის გამოცემაში გამოყენებულია აბზაცი, რომელიც არ გვხვდება ქართულ თარგმანში:

„ხალხები, რომელნიც ცხოვრობენ დედამიწაზე, შემდეგნი არიან: ევროსთან – ინდოელები, ფინიკსთან (κατὰ Φοίνικα) – შავი ზღვა არის (ἐρυθρὰ θάλασσα) და ეთიოპია, ლიბონოტთან – გარამანტები, რომელნიც სირტის გაღმა ცხოვრობენ, ლიბას ქვეშ – ეთიოპები...“ და ა. შ. ეს გეოგრაფიული ხასიათის ცნობები არ ახასიათებს „გარდამოცემის“ ძველ ნუსხებს და ხელნაწერთა უმრავლესობას.[83]

„გარდამოცემის“ 24-ე თავის წინ მინის გამოცემაში დაბეჭდილია ქვეთავი სათაურით – ზღვათათჳს Περὶ πελαγῶν, ლათ. De maribus, sive aequoribus). აქ არის გადმოცემული გეოგრაფიული ხასიათის ცნობები ზღვათა შესახებ. მაგრამ ეს ნაწყვეტი მიაჩნიათ ნაგვიანევ ჩანართად. თანაც ზოგ ხელნაწერში მას ადგილიც შეცვლილი აქვს, ძველ ხელნაწერებში არ იპოვება.[84] არ უთარგმნიათ იგი არც ქართველ მთარგმნელებს.

„გარდამოცემის“ XXVI თავში ბერძნული ტექსტის გამომცემლებს ზოგი ხელნაწერის მიხედვით გამოუყვიათ ქვესათაური Ὀσαχῶς τό ἀσώματον (რაგინდა-რა უსხეულოთათჳს),[85] ეს ქვესათაური არ უთარგმნიათ ქართველ მთარგმნელებს. იგი უნდა მოსდევდეს ქართულ თარგმანებში დებულებას, რომელიც ავტორს მაქსიმე აღმსარებლის თხზულებიდან „სულისათჳს“[86] აუღია:

„ესე ყოველი მადლით მიუღია სულსა დამბადებელისაგან ბუნებასა შინა თჳსსა, ვინაჲცა ყოფასაევე თანა ესრეთ ვიდრემე ყოფაჲცა მოუღებიეს“ (ეფრემი, A 24, 65 v, II)...~ ამათ ყოველთაჲ ბუნებითად მიმხუმული მადლით დამბადებელისაგან თჳსისა, რომლისაგან ყოფაჲცა და ბუნებით ესრეთ ყოფაჲ მიიღო“ (არსენი, S - 1463, 70 r, II).

იმაეე თავში იმაეე წესით ბერძნული ტექსტის გამომცემელს გამოუყვია კიდევ ერთი ქვესათაური –“ Ὅτι ὁ ἄνθρωπος κοινωνεῖ καὶ ἀψύχοις, καὶ ἀλόγοις, καὶ λογικοῖς“ (იმის შესახებ, რომ ადამიანს აქვს საერთო უსულო საგნებთან, პირუტყვებთან და გონიერებთან.[87] ეს სათაური წინ უნდა უძღოდეს ქართული თარგმანების შემდეგ წინადადებებს – „ჯერ-არს უკუე ცნობად, ვითარმედ კაცი უსულოთაცა ეზიარების და პირუტყუთაცა ცხორებისა თანა-ზიარ არს და სიტყჳერთაცა გულისჴმის-ყოფისა მიმღებელ არს“ (ეფრემი, A 24, 66 r, I)... „საჭმარ არს ცნობად, ვითარმედ კაცი უსულოთაცა ეზიარების და პირუტყუთა ცხორებისა ზიარ არს და სიტყჳერთა თანა-მონაწილე არს გონიერებისა“ (არსენი, S - 1463, 70 r, II–70 v, I). მაგრამ ქართულ თარგმანებში არც ეს ქვესათაური მოიპოვება.

ჩვენ უკვე რამდენიმე ისეთი შემთხვევა განვიხილეთ, როცა დედნის გამოცემულ ტექსტში არის ქვესათაურები, ხოლო ქართულ თარგმანებში არ გვხვდება. ჩვენ

---

[82] PG, t. 94, col. 900.
[83] PG, col. 901.
[84] PG, t. 94, col. 905.
[85] PG, t. 94, col. 925.
[86] PG, t. 91.
[87] PG, t. 94, col. 925.

უკვე მიეუთითეთ ამის მიზეზი და აღნიშნეთ, რომ ტექსტის გამომცემელნი ხელმძღვანელობდნენ ცალკეული ხელნაწერის მონაცემებით, რაც, შესაძლოა, არც ასახავდეს დამასკელის თხზულების ადრინდელ მდგომარეობას და სწორედ ამიტომ არ ასახულა ქართულ თარგმანებში. ეს მოსაზრება სწორია, მაგრამ ვერ ხსნის იმ გარემოებას, თუ რატომ გვხვდება ზოგ ბერძნულ ხელნაწერში ესა თუ ის ქვესათაური და ზოგან არა. უნდა ვიფიქროთ, რომ გადამნუსხველებს ზოგჯერ აშიებიდან გადაჰქონდათ ძველი ბერძნული ხელნაწერის შენიშვნები. ქართულ თარგმანებშიც არა ერთგზის გვხვდება მსგავსი შენიშვნები, მიწერილი ამა თუ იმ დებულებასთან, როგორც არის – „შეისწავე, შუენიერი სამეცნიეროჲ „ (A 24, 65 r. I), „შეისწავე, ვითარმედ ერთბამად იქმნა თანად სული და თანად ჴორცნი“ (იქვე), „შეისწავენ რვანი შემწყამებლობანი“ (A 24, 74 v, I) და სხვა მრავალი. რომელიმე გადამწერს რომ ეს შენიშვნები ქვესათაურად მიეჩნია და ტექსტში შეეტანა, ვთქვათ, „ვითარმედ ერთბამად იქმნა თანად სული და თანად ჴორცნი“, ან „რვათა შემწყამებლობათათჳს“, ქართულ თარგმანებშიც ახალი ქვესათაურები გამოჩნდებოდა. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ აქ გამოთქმულ ვარაუდს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ხშირად ქვესათაური იმეორებს გამოყოფილი ნაწყვეტის პირველსავე სიტყვებს, რაც მოსალოდნელი იყო აშიაზე მიწერილი შენიშვნებისათვის. მართლაც, ნაწყვეტს, რომელიც იწყება წინადადებით – „ჯერ-არს უკუე ცნობად, ვითარმედ კაცი უსულოთაცა ეზიარების და პირუტყუთაცა ცხორებისა თანა-ზიარ არს და სიტყჳერთაცა გულისჴმის-ყოფისა მიმღებელ არს“ მიუდგებოდა აშიაზე ასეთი შენიშვნა: „შეისწავე, ვითარმედ კაცი უსულოთაცა ეზიარების, პირუტყუთაცა და გონიერთა“, შემდეგ კი იგი შეიძლება გადასულიყო სათაურად.

იმავე თაეში არ არის თარგმნილი დედნის ერთი წინადადება – „ხოლო გაყოფა ხდება ერთი ნაღველის განშორებით მეორისაგან, აგრეთვე ფორმად (სახედ) და მასალად დაყოფით“.[88]

ეს წინადადება უნდა მოსდევდეს ქართული თარგმანების შემდეგ ფრაზებს: „ბუნებითნი არიან ვნებანი ესე და უფროჲსღა შემთხუევანი შიმშილისა და წყურილისანი“ (ეფრემი, A 24, 66 r, II)... „რომლისათჳსცა ბუნებითნი ვნებანი არიან შიმშილი და წყურილი“ (არსენი, S - 1463, 70 v, I).

მაგრამ ამავე XXVI თაეის ბოლოს, უფრო სწორად, წინადადების შემდეგ – „ხოლო ეწოდების ზოგადად პირუტყუებრსა მას ნაწილსა სულისასა ვნებითად და ნებებითად“ (ეფრემი, A 24, 66 v, I)... „რომელთა საზოგადი სახელ არს ესე, ვითარმედ პირუტყული – კერძოჲ სულისაჲ, ვნებულებითი და წადიერებითი“ (არსენი, S - 1463, 70 v, II) ქართველ მთარგმნელებს გამოუტოვებიათ ერცელი ნაწყვეტი. მოგვყავს ჩვენი თარგმანი:

„ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ნებელობითი მოძრაობა ეკუთვნის სულის იმ ნაწილს, რომელიც ემორჩილება გონებას. პირიქით, კვების ძალა, შობის ძალა და სისხლის მიმოქცევის ძალა ეკუთვნის სულის იმ ნაწილს, რომელიც გონებას არ ემორჩილება. ზრდის ძალა და შობისა და კვების ძალა იწოდება მზრდელობით ძალად, ხოლო სისხლის მიმოქცევისა – ცხოველობითად. კვების ძალა შედგება ოთხი ძალისაგან: მიმზიდველი ძალა, რომლითაც მიიზიდეის საკვები; დამჭერი ძალა, რომელიც აკავებს საჭმელს და არ დაუშვებს, რომ იგი იმწამსვე აღმოინთხეს, გარდამქმნელი ძალა, რომელიც გარდაქმნის საჭმელს სითხედ; გამომყოფი ძალა, რომელიც ზედმეტს გამოყოფს და გადმოანთხევს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ ძალათაგან, რომელნიც ახასიათებს ცხოველს, ერთნი არიან სულიერნი, სხვანი – მზრდელობითნი, მესამენი – ცხოველობითნი. სული-

[88] PG, t. 94, col. 928: Τομή δὲ, ἡ τῶν χυμῶν ἀπ' ἀλλήλων διαχώρησις, καὶ ὁ εἰς εἶδος καὶ ὕλην μερισμός.

ერი ძალები დამოკიდებულნი არიან ნებისაგან, როგორც, მაგალითად, ნებელობითი მოძრაობანი და გრძნობის უნარი. ნებელობითი მოძრაობა შედგება ადგილიდან ადგილად გადასვლისაგან, მთელი სხეულის მოძრაობისაგან, ბგერისა და სუნთქვის წარმოქმნისაგან, რადგანაც ჩვენგან არის დამოკიდებული ამის ქმნა და არაქმნა. ხოლო მზრდელობითნი და ცხოველობითნი ძალნი ნებისაგან არ არიან დამოკიდებულნი. მზრდელობითნი ძალნი არიან: კვების ძალა, ზრდის ძალა და თესლოვნების ძალა. ცხოველობითი (სიცოცხლის) ძალა არის სისხლის მიმოქცევის ძალა. ეს ძალები მოქმედებენ ასე მაშინ, როცა ჩვენ გვინდა ეს და მაშინაც, როცა ჩვენ არ გვინდა".[89] სამაგიეროდ XXX თავში (არსენით – XXIX), რომელსაც სათაურად უზის „გულისწყრომისათჳს", ქართულ თარგმანებში მოთავსებულია ეს ნაწყვეტი, თუმცა, ერთობ თაეისებური რედაქციით:

ეფრემი:

„ხოლო რომელი არა ირწმუნებს სიტყჳსასა, წესნი მისნი ესე არიან: მზრდელობითი და მშობლობითი და შემოქრებით ცხოველობითი. აწ უკუე მზრდელობითისა ძალნი ოთხ არიან: მიმზიდველობითი, რომელი მიიზიდაეს საზრდელთა, და პყრობითი, რომელი იგი იპყრობნ საზრდელსა და არა უტეენებ მას მყის განბნეეად, და მცვალებლობითი, რომელი იგი სცვალებნ საზრდელთა ბალღამთა მიმართ, და განბნეეითი, რომელი იგი ნამეტნავსა განსავალით განაბნეენ და განსთხეენ. საჴმარ უკუე არს ცნობად, ეითარმედ ცხოველთა ძალთაგანნი რომელნიმე არიან სულისანი და რომელნიმე ბუნებითნი და რომელნიმე ცხოველობითნი. სულისანი უკუე არიან გონებითი აღრჩეაი და გრძნობაი და თუთმფლობელობით ნებებაი, ესე იგი არს, აღძრეაი, ხოლო აღძრეთაგანი მეყსეულთაი ადგილითა-ადგილად სლეაი და მიმოძრეაი ზოგად ყოელისა გუამისაი არს და ჴმობაიცა და აღმოფშუნეაიცა. რამეთუ ესენი ჩუენსა ჴელმწიფებასა შინა არიან, გუენებოს თუ განათუ არა გუენებოს ქმნაი მათი. ხოლო ბუნებითნი და ცხოველობითნი არიან არა თუთმფლობელობით აღრჩეულნი საქმენი. ბუნებითად უკუე ეიტყჳ მზრდელობასა და აღორძიხებასა და თესლოვახებასა, ხოლო ცხოველობითი არს შემკრებლობითი, რამეთუ ესენი გუენებოს თუ და არა თუ გუენებოს, მოქმედებენ ჩუენ შორის" (A 24, 67 v, II-68 r, I).

არსენი:

„ხოლო მისნი, რომელი არა მორჩილ არს სიტყჳსა, არიან მზრდელობითი, და მშობელობითი და მკრთომალეობითი და სახელიდების აღორძინებად ეიდრემე მზრდელობითი და მშობელობითი, ხოლო ცხოველობითად მკრთომალეობითი. და მზრდელობითისა უკუე ძალნი არიან ჳნდ: მომზიდველობითი, რომელი მოიზიდაეს საზრდელსა, და შთამზიდველობითი, რომელი იპყრობს საზრდელსა და არა იტეენებს მას მეყსეულად განჴუმეად, და მცვალებლობითი, რომელი იცვალებს საზრდელსა ბალღამთა მიმართ და განჴუმეელობითი, რომელი განსავალით განსთხეს და განაშრეეს ნამეტნაესა. ხოლო სათანადო არს ცნობად, ეითარმედ ცხოველისაებრთა ძალთაგანნი რომელნიმე არიან სულობითნი და რომელნიმე ბუნებითნი, ხოლო რომელნიმე ცხოველობითნი. და სულობითნი უკუე არიან წინათ-აღმრჩეველობითი, ესე იგი არს, მიმართებითი მოძრაეობაი და გრძნობაი. ხოლო მიმართებითისა მოძრაეობისაი არს ადგილითი-ადგილად მიმოცვალებაი და სხუანი, ეითარ იგი ზემო ეიტყოდეთ" (S - 1463, 71 r, II–71 v, I).

რამ გამოიწვია ამ ნაწყვეტის გადატანა XXVI თაეიდან XXX თაეში? ჩვენ იმაზე აღარ ელაპარაკობთ, რომ ქართულ თარგმანებში ეს, ცხადია, ბერძნული დედნის გაელენით მოხდა. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს, რამდენად ორგანულია XXX თაეისთეის ეს მსჯელობა. თუ ეს ნაწყვეტი შემთხვეეით, მექანიკურად მოუქცევია რომელიმე გადამნუსხველს ერთი თაეიდან მეორე თაეში?

XXX თავში ლაპარაკია გულისწყრომაზე, რომელიც ავტორს მიაჩნია გულში სისხლის ამღერევის შედეგად. არსენის სიტყვა რომ ეიხმაროთ, ამ დროს ხდება

[89] PG, t. 94, col. 928-929.

„ფოფინება“ ნაღელისა, რის გამოც გულისწყრომა იწოდება „ნაღლვად“ (χολή) და – ნაღლიანობად“ (χόλος). გულისწყრომას სამი სახე აქვს: რისხვა, ბორგვა, რომელიც არის „მიმყოვრებული ნაღლვად“ და მესამე – „ბრდღუნად“. გულისწყრომა არის როგორც მეაბჯრე გულისთქმისა. ხოლო როცა გული განეწყობა რაიმე საქმისათვის და ვინმე ხელს შეგეი'შლის, იგი მიჩნეულ იქნება მოძალადედ ჩვენი გულის სიტყვისა. ხოლო რაც არ ემორჩილება სიტყვას, არის მზრდელობითი, მშობლობითი და ცხოველობითი.[90] და ამის შემდეგ უკვე იწყება მსჯელობა, რომელიც ზემოთ ამოვწურეთ. როგორც ვხედავთ, გადასვლა იმ საკითხებზე, რომლებზედაც ლაპარაკია საანალიზო ნაწყვეტში, XXX თავში საესებით ბუნებრივია, ყოველ შემთხვევაში არ იგრძნობა ხელოვნურობა. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ თითქოს ამ მსჯელობისთვის ადგილი მაინც და მაინც XXX თავში უნდა იყოს, არამედ ამით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მთარგმნელებს ხელთ ჰქონდათ ბერძნული ნუსხა, რომელშიც შემთხვევით კი არ იყო გადასმული ფურცლები, არამედ იგი წარმოადგენდა „გარდამოცემის“ სხვა რედაქციას, ამ თვალსაზრისით დიდია ქართული თარგმანების მნიშვნელობა საკუთრივ ბერძნული დედნის ტექსტის დადგენის საქმეში.

იმავე თავში ზოგი რამ განსხვავებულია დედნისაგან, ესეც, ცხადია, გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ქართველ მთარგმნელებს ხელთ ჰქონიათ სხვა რედაქცია, ვიდრე ის, რომელსაც დღეს ვიცნობთ. მაგალითად, ასეთია XXVI თავიდან გადმოტანილი ნაწყვეტის წინამდებარე წინადადება: „რადგან ადამიანთა გონებისათვის, რომელნიც თავიანთ ბუნებრივ უფლებას იცავენ, ასეთი წინაღობა, ცხადია, უნდა მიჩნეულ იქნას უკმაყოფილების მიზეზად“ (PG, t. 94, col. 933). ქართულ თარგმანებში კი ვკითხულობთ:

ეფრემი:

„რამეთუ რაჟამს გულმან გუთქუს საქმისათუს და დაყენებულ ეიქმნით ეისგანმე, გული განეიწყით მისთუს, ეითარმცა მიმძლავრებულ იყო მისგან გულის სიტყუაჲ ჩუენი, რომელმან იგი საჯის ღირსად დრტუნვისა საქმე იგი, რეცა თუ სცეიდეს ბუნებითსა რასმე წესსა თუსსა“ (A 24, 67 v, II).

არსენი:

„რამეთუ რაჟამს გულის-მოქუმელ ეიქმნეთ საქმისა რომლისამე და დაეცადნეთ ეისგანმე, გულ-მოწყე ეიქმნებით მისდა მიმართ, ეითარცა მიმძლავრებულნი, ცხად არს, ეითარმედ გულის სიტყუსა მიერ ღირსად განმწარებისა ბჭობითა მის საქმისაჲთა და მცველთა ზედა ბუნებითისა წესისა თუსისათა“ (S - 1463, 71 r, II).

“გარდამოცემის“ XXXII თავში (არსენით – XXXI), სადაც ჩამოთვლილია გრძნობის სახეობანი და ორგანოები, ქართულ თარგმანებში ცალკეულ პარაგრაფებად არის დაყოფილი თითოეული სახეობა, მიწერილი აქვს სათანადო ციფრები (ა, ბ, გ, დ, ე), ხოლო ეფრემის თარგმანში ყოველი პარაგრაფი სიტყვიერადაც იწყება „პირველითთ“, „მეორით“ და ა. შ., მაგალითად, „ა პირველი საგრძნობელი არს ხედვაჲ“... (A 24, 68 v, I; S -1463, 71 v, I –II). დედანში ასეთი დაყოფა არ გვაქვს.[91]

იმავე თავში, როცა ლაპარაკია გემოს მგრძნობელობაზე და ჩამოთვლილია სიტკბო, სიმჟავე, სიმყურტე და სხვანი, ქართულ თარგმანებში ეხვდებით ასეთ წინადადებასაც: „ხოლო წყალი თაეით თუსით არცა ერთი რაჲ არს ზემოთქუმულთა ამათ რომელობათაგანი, არამედ ეითარისაცა მიწისაგან აღმოდიოდის,

[90] მოგეყვაეს ამ ნაწყვეტის თარგმანი დედნიდან: „არსებობს გულისწყრომის სამი სახე: რისხვა, რომელსაც ბერეთე ეწოდება χολή და χόλος (ბოღმა და შურისგება). რისხვად იწოდება გულისწყრომა დაწყებული და გაღრმავებული. ბორგვად – გულისწყრომა ხანგრძლივი ან ბოროტის დამახსოვრება. (ბერძნულად) ასეთ გულისწყრომას ეწოდება μῆνις სიტყვისაგან μένειν (დარჩენა, ყოფნა) და μνησικακία – სიტყვისაგან μνήμη παραδίδοσθαι (მეხსიერებაში ჩარჩენა). შურისგება არის გულისწყრომა, რომელიც უცდის შემთხვევას შურისგებისათვის, (ბერძნულად) ასეთ გულისწყრომას ეწოდება κότος სიტყვისაგან κεῖσθαι (წოლა)“. PG, t. 94, col. 933.

[91] PG, t. 94, col. 933–936.

ეგეითარიეე გემოჲ არს“ (ეფრემი, A 24, 69 r, I)... „ხოლო წყალი უეითარო არს ამათ ეითარებათაებრ, რამეთუ არცა ერთი აქუს მათგანი“ (არსენი S -1463, 71 v, II). ესე იგი, ქართველი მთარგმნელები წერენ, რომ წყალს არ აქვს არცერთი ამ გემოთაგანი. შეიმჩნევა მათ შორის განსხვავებაც. კერძოდ, ეფრემი წერს, რომ წყალს საკუთარი გემო არა აქვს, არამედ იღებს გემოს იმ მიწისას, რომლიდანაც მოედინებაო. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ცხადია, ქართველი ავტორები კელაეაც ეყრდნობიან დამასკელის თხზულების უცნობ რეაქციას, რადგან ჩვენთეის ცნობილ ტექსტში საერთოდ წყალზე არც არის ლაპარაკი.[92]

საინტერესოა „გარდამოცემის“ XXXIV თავი, რომელსაც ეწოდება Περὶ τοῦ μνημονευτικοῦ (ლათ. De memoria), ხოლო ქართულ თარგმანებში „მოჴსენებითისათჳს“ (ეფრემით) და „მეჴსიერობითისათჳს“ (თავი XXXIII, არსენით).

დედანში ეკითხულობთ (მოგეყავს ჩვენი თარგმანი): „მეხსიერება არის მიზეზი და საუნჯე ხსოვნისა და მოგონებისა. მეხსიერება არის წარმოდგენა, რომელიც დარჩა სულში რაიმე მგრძნობელობითი აღქმისაგან და რაიმე აზრისაგან, რომელმაც ჰპოეა ნამდვილი გამოხატულება, სხეაგეარად რომ ეთქვათ, მეხსიერება არის შენახვა აღქმისა და აზრისა. მართლაც, მგრძნობელობით საგნებს სული აღიქვამს ან გრძნობს ორგანოების მეშვეობით, – და მაშინ წამოიჭრება წარმოდგენა. ხოლო აზროვნებით საგნებს სული აღიქვამს გონებით და მაშინ შეიქმნება გაგება. ამრიგად, როცა სული ინახავს წარმოდგენათა და აზრთა ანაბეჭდს, მაშინ ჩვენ ვამბობთ, რომ მას ახსოვს.[93]

მოგეყავს ქართული თარგმანები:

ეფრემი:

„მოჴსენებითი არს საუნჯე და მიზეზ ჴსენებისა და მოჴსენებისა. რამეთუ ჴსენებაჲ არს ოცნებაჲ დატეეებული გრძნობისა რაჲსაგანმე საქმით საჩინოჲსა, ეითარ იგი პლატონ უწოდის მაცხოვარებად საგრძნობელსა და გულისჴმის-ყოფასა. რამეთუ სული გრძნობადთა უკუე საცნობელითა მოიწუსს, ესე იგი არს, გრძნობს და ექმნების მას ნება, ხოლო საცნაურთა გონებითა იჱყრობს და ექმნების მას გულისჴმის-ყოფა. აწ უკუე რაჲგამს სახეთა მათ, რომელნი იგი ექმნეს ნება და რომელნი ექმნეს გულისჴმისყოფა, აცხოენებდეს თაესა შორის, მას ეწოდების ჴსენება“ (A 24, 69 v, II).

არსენი:

„მეჴსიერობითი არს ჴსენებისა და აღჴსენებისა მიზეზი და საუნჯე. რამეთუ ჴსენებაჲ არს გრძნობისა რაჲსმე და განმგონებელობისაგან დატეეებული ოცნებაჲ, რამეთუ სული გრძნობადთა ეიდრემე საგრძნობელთა მიერ სცნობს, ესე იგი არს, გრძნობს და იქმნების თნება, ხოლო გონერთა – გონებისა მიერ და იქმნების მოგონება. ეინაიცა რაჟამს სახეთა მათთა, რომელნი სთნდეს და რომელნი მოიგონნა, ცხოელად ჰმარხეიდეს, ჴსოენებად ითქუმის“ (S - 1463, 72 r, II).

როგორც ეხედათ, ქართული თარგმანები საკმაოდ განსხვავდებიან დედნისაგან. შედარებით უფრო ახლოს დგას არსენის თარგმანი, თუმცა, მასში სრულად არ არის თარგმნილი ზოგი წინადადება. რაც შეეხება ეფრემის თარგმანს, იგი მოცულობით დედანს აღემატება. რაც მთავარია, მასში არის დაცული მითითება პლატონზე, რომელსაც არ იცნობს ბერძნული „გარდამოცემა“.

XLVII თავის (არსენით XLVI) სათაურის დედანში ერთეის სიტყეები „მონოფიზიტების წინააღმდეგ“, მაგრამ გამომცემელთა შენიშვნით ეს სიტყეები (κατὰ Μονοφυσιτῶν) არც არის ხელნაწერებში: Desunt haec in mss. – ასეთია რედაქციის შენიშვნა: [94] თაეისთაეად ცხადია, ქართული თარგმანებიც არ იცნობენ ასეთ

[92] შდრ. PG, t. 94, col. 936.
[93] PG, t. 94, col. 937–940.
[94] PG, t. 94, col. 992.

სიტყვებს, ქართულ რედაქციებში ამ თავის სათაურია „ორთა ბუნებათათუს“ (A 24, 81 r, II; S -1463, 77 v, I).

„გარდამოცემის“ XLVII თავში (არსენით— XLVI თავი) არის ასეთი წინადადება:

ეფრემი:

„შეუძლებელ არს თქუმად ერთსა ბუნებასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთუს... ამისთუსცა ორთა ბუნებათაგან სრულთა ღმრთეებისა და კაცებისათა ყოფად ვიტყუთ შეერთებასა მას, არა შერწყუმით ანუ შერევნით, ანუ შეზაებით, ეითარცა იგი ღმრთისაგან განშორებულმან დიოსკურე და სეეროს და მათმან ბ[ი]ლწმან შესაკრებელმან თქუას (A 24, 82 r, I–II).

არსენი:

„ამიერ შეუძლებელ არს თქუმაჲ ერთისა ბუნებისაჲ უფლისა ჩუენისა ზედა იესუ ქრისტესა... ამისთუს, რამეთუ ორთა ბუნებათა სრულთაგან ვიტყუთ ქმნასა შეერთებისასა, არცა შერწყუმით ანუ შერევნით, ანუ აღზაებით, ეითარ იგი ღმრთის მოძაგებული დიოსკოროს იტყოდა, სეეროს და მათ თანაჲ შესაკრებელი“ (S -1463, 77 v, II).

ჯერ-ერთი, ორივე ქართულ თარგმანს აკლია დასახელება კიდევ მესამე მწვალებლისა – ეეტიხიოსისა. მაგრამ ეს არ არის მთავარი (თუმცა თავისთავად ესეც მეტყველებს რედაქციულ სხვაობაზე), ეფრემისა და არსენის თარგმანებს აქ აკლია კონკრეტული დასაბუთება პირველ წინადადებაში გამოთქმული დებულებისა, რომ შეუძლებელია ქრისტეზე თქმა ერთბუნებოვნებისა. დედანში ამ აზრს მოსდევს შემდეგი მსჯელობა:

„ესე იგი, არ შეიძლება ითქვას, რომ როგორც ცალკე ადამიანის არსება შედგება სულისაგან და სხეულისაგან, ასევე ქრისტე შედგება ღმრთეებისა და კაცებისაგან. რადგან აქ აღებულია არსება, რომელიც შედის ნათესაეთა შემადგენლობაში, ხოლო ქრისტე არ არის ასეთი არსება, რადგან მას არა აქვს საერთო სახე, რომლისთვისაც შეგვეძლო მიგვეკუთვნებინა იგი“.

თხზულების XLIX-ე თავს (არსენით – XLVIII) სათაურად აქვს „რიცხუსათუს ორთა ბუნებათაჲსა“ (A 24, 83 v, II; S -1463, 78 v, I). დედანში კი სათაურად არის „რიცხუსათუს ბუნებათაჲსა“ (Περὶ ἀριθμοῦ φύσεων, ლათ. De numero naturarum).[95]

„გარდამოცემის“ LI თავს (არსენით – L) სათაურად აქვს ქართულ თარგმანებში – „ერთისა მისთუს გუამისა სიტყუსა ღმრთისა“ (ეფრემი, A 24, 85 v, II), „ერთისათუს გუამისა სიტყუსა ღმრთისა“ (არსენი, S -1463, 79 v, I), ხოლო დედანში – „ერთისათუს შეზაებულისა გუამისა სიტყუსა ღმრთისა“ (Περὶ τῆς μιᾶς τοῦ Θεοῦ λόγου συνθέτου ὑποστάσεως).[96]

„გარდამოცემის“ LIII თავში (არსენით – LII თავი) ჩართულია ქეეთავი „და კუალად მისვე თავისათუს კითხვაჲ მართლმადიდებელისაჲ“, მაგრამ ეს ქეეთავი მოპოვება მხოლოდ არსენის თარგმანს, ხოლო ეფრემის თარგმანში იგი შეტანილია აშიაზე პირდაპირ არსენის თარგმანიდან, როგორც სხვა შემთხვევაში გვქონდა ხოლმე. რომელიღაც რედაქტორს შეუმჩნევია ეფრემის თარგმანში ნაკლული ადგილები და შეუვსია ისინი არსენის თარგმანიდან, ოღონდ შეუტანია აშიებზე. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ეფრემის თარგმანი თავიდანვე კი არ იყო ნაკლული, არამედ რედაქციულად განსხვავდებოდა არსენის თარგმანისაგან. კერძოდ, ამ შემთხვევაში ზემოდასახელებული ქეეთავი, რომელიც ეფრემის თარგმანში მხოლოდ არსენის რედაქციის მეშვეობით მოქცეულა, არ მოიპოვება დღეისათვის ცნობილ ბერძნულ დედანში. ეს ქეეთავი მოსდევს თხზულების 53-ე თავის დასასრულს და რაკი კვალი ბერძნულ დედანში აღარ ჩანს, ამიტომ

[95] PG, t. 94, col. 1000, ლათ. 999.
[96] PG, t. 94, col. 1008, ლათ. De una Dei Verbi composita persona; ibid., col. 1007.

მოგეყავს მთლიანად (მოგეყავს არსენის თარგმანი, ხოლო ეფრემის თარგმანში მოქცეულ ტექსტს, როგორც მის ასლს, უყურადღებოდ ვტოვებთ):

„და კუალად მისცე თავისათჳს კითხვაჲ მართლმადიდებელისაჲ. ორთა შობათა მეტყუელნი ქრისტესთჳს. ესე იგი არს პირველ საუკუნეთასა მას მამისაგან ღმრთეებრსა და უკუანაჲსკნელთა ჟამთასა ქალწულისაგან კაცებრსა გუეტყოდეთ ჩუენ, უკუეთუ არს შობაჲ უგუამოჲ და გარქუათ ჩუენ: უკუეთუ არს ბუნებაჲ უგუამოჲ, რამეთუ საკუთარი შობაჲ არს შემატებაჲ გუამისაჲ იგივეობასა შინა ბუნებისასა. აწ საღმე ეითარცა ერთისა სიტყჳსა ღმრთისა გუამისა მიერ ქმნილთა ორთა შობათა არა ქმნეს მისი შემატებაჲ გუამისაჲ, ეგრეთვე არცა ორთა გუამოენებით შეერთებულთა ბუნებათა შემატებაჲ პირისაჲ მიითუალეს. ვინაჲცა რაჟამს ულონოებდენ ჩუენდა მომართ მეტყუელნი მწვალებელნი, ეითარმედ: არსა ბუნებაჲ უგუამოჲ? ნაცელად ეკითხენ მათ, ეითარმედ: არსა შობაჲ უპიროჲ? რამეთუ სადაცა იქმნას ახალი შობაჲ, მუნ შემატებაჲცა იცნობების პირისაჲ“ (S - 1463, 80 v, I).

„გარდამოცემის“ LV თავში (არსენით – LIV) ქართულ თარგმანებს აკლია ერთი და იგივე სიტყვა:

ეფრემი	არსენი:
„განჯურეებაჲ ცხად-ჰყოფს ცეცხლისა მიმართ შეერთებასა“ (A 24, 89 r, I).	„განცეცხლებაჲ (იგულისხმება „ცხად-ჰყოფს“) – ცეცხლისა მიმართ შეერთებასა (S - 1463, 81 r, I-II).

დედნის მიხედვით უნდა იყოს „განჯურეებაჲ რკინისაჲ“ ან „განცეცხლებაჲ რკინისაჲ“ (ἡ πύρωσις τοῦ σιδήρου), მაგრამ ეს სიტყვა არ არის ძველ ბერძნულ ხელნაწერებში.[97]

„გარდამოცემის“ LVI თავს (არსენით LV) ქართულ თარგმანებში ასეთი სათაური აქვს: „ეითარმედ ღმრთისმშობელ არს წმიდაჲ ქალწული“ (A 24, 89 v, II; S - 1463, 81 v, I). დედნის მიხედვით ამ სათაურს თითქოს უნდა ემატებოდეს სიტყვები „ნესტორიანთა წინააღმდეგ“ (κατὰ Νεστοριανῶν), მაგრამ ესეც უნდა იყოს შემდეგი დროის ჩანართი, როგორიც ჩვენ ადრეც შეგვხვედა.

„გარდამოცემის“ LVIII თავში (არსენით – LVII) გეხვედება ასეთი მსჯელობა:

ეფრემი:	არსენი:
„ხოლო ესე საცნაურ იყავნ, ეითარმედ ცნობისა, გინა მეცნიერებისა, ანუ განსრახვისა სახელი მრავალ-სახე არს და მრავალთა პირთა მომასწავებელ, რამეთუ ოდესმე სწაელასა მოასწავებს, ეითარ იგი საღმრთოჲ მოციქული იტყჳს, ეითარმედ „ქალწულთათჳს ბრძანებაჲ უფლისა მიერ არა მაქუს, ხოლო განზრახვასა მივსცემ“[98] და ოდესმე ზრახვისა, ეითარ იგი წინაჲსწარმეტყუელი დავით იტყოდის, ეითარმედ: „ურსა შენსა ზედა ძმაცუვიდეს, ზაკუვით ზრახეს“[99] ხოლო ოდესმე განნინებისა, ეითარ იგი დანიელ იტყჳს ეისთჳსმე, ეითარ-	ხოლო შესწავებაჲ საქმარ არს, ეითარმედ ჯურ-ჩინებისა სახელი მრავალ-სახე და მრაელისა დამნიშნეულ არს. რამეთუ ოდესმე თანა-სათნო-ყოფასა ცხად-ქყოფს, ეითარცა იტყჳს საღმრთოჲ მოციქული, ეითარმედ „ქალწულთათჳს ბრძანებაჲ უფლისაჲ არა მაქუს, ხოლო ჯურ-ჩინებასა მივსცემ.[98] ხოლო ოდესმე განზრახვასა, ეითარ იგი რაჟამს იტყოდის წინაჲსწარმეტყუელი დავით, ეითარმედ „ურსა შენსა ზედა მოიძმაცუეს ჯურ-ჩინებაჲ“.[99] ხოლო ოდესმე განჩინებასა, ეითარცა იტყჳს დანიელ, ეითარმედ „ეისთჳს გამოჴდა ჯერ-ჩინებაჲ უსა-

[97] PG, t. 94, col. 1024.
[98] I კორინთ., 7, 25.
[99] ფსალმ., 82, 4.

მედ „გამოჴდა განჩინებაჲ ურცხჳნოჲბით“.[100] ხოლო ოდესმე სარწმუნოებისათჳს, ანუ ნებისა ანუ განზრახვისა. და რათა ერთბაშად მარტივად ეთქუა, ოცდარვა სახედ მოიღებეის სახელი ესე, რომელსა ღნომი უწოდიან“ (24, 94 ვ, I).

ხური“.[100] და ოდესმე სარწმუნოებისათჳს ანუ თნებისა ანუ ცნობისა და, შემოკლებულად ითქუმოდედ, დანიშნულთაებრ მოიღებეის სახელი ჯერ-ჩინებისაჲ“ (S - 1463, 83 v, I).

თაცდაპირველად შეეადაროთ თვით ქართული თარგმანები. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად ეს ორი ტექსტი ერთურთს ემთხვევა, მათში მაინც არის მნიშვნელოვანი და საინტერესო განსხვავებანი.

ა) არსენის ერთი ტერმინის – ჯერ-ჩინების სანაცვლოდ ეფრემს სამი სიტყვა შეურჩევია – ცნობა, მეცნიერება, განზრახვა.

ბ) ეფრემის ტერმინს – „სწავლას“ შეესატყვისება არსენის კომპოზიტი „თანასათნო-ყოფა“.

გ) სახარების ციტატაში ეფრემის ტერმინს „განზრახვას“ ცვლის არსენის ტერმინი – „ჯერ-ჩინება“.

დ) ფსალმუნიდან მოტანილ ციტატაში ეფრემის ტერმინს „ზრახვას“ (“ზაკუეით ზრახეს“) ენაცვლება არსენის „ჯერ-ჩინებაჲ“.

ე) ბიბლიის ციტატაში ეფრემის ტერმინს „განჩინებას“ ცვლის კვლავ „ჯერ-ჩინება“ არსენისა.

ვ) და უკანასკნელ, ეფრემის ტერმინს „ღნომი“ ენაცვლება კვლავ არსენის „ჯერ-ჩინება“.

ზ) გარდა ამისა, ეფრემი წერს – „ოცდარვა სახედ“, არსენი კი – „დანიშნულთაებრ“.

რამ გამოიწვია ასეთი გადახვევები, კვლავ სხვადასხვა რედაქციამ, თუ ტექსტის თავისებურმა გაგებამ? დედანში ვკითხულობთ:

Ἰστέον δὲ, ὡς τὸ τῆς γνώμης ὄνομα πολύτροπον καὶ πολυσήμαντόν ἐστι. Ποτὲ μὲν γὰρ δηλοῖ τὴν παραίνεσιν, ὥς φησιν ὁ θεῖος Ἀπόστολος. Περὶ δὲ τῶν παρθένων ἐπιταγὴν Κυρίου οὐκ ἔχω, γνώμην δὲ δίδωμι· ποτὲ δὲ βουλὴν· ὡς ὅταν φησὶν ὁ προφήτης Δαβίδ· Ἐπὶ τὸν Λαόν σου κατεπανουργήσαντο γνώμην· πότε δὲ ψῆφον, ὡς ὁ Δανιήλ· Περὶ τίνος ἐξῆλθεν ἡ γνώμη ἡ ἀναιδὴς αὕτη· ποτὲ δὲ ἐπὶ πίστεως, ἤ δόξης, φρονήματος, καὶ ἁπλῶς εἰπεῖν, κατὰ εἴκοσι ὀκτὼ σημαινόμενα λαμβάνεται τὸ τῆς γνώμης ὄνομα.[101]

როგორც ვხედავთ, არსენი ბერძნულ ტერმინს γνώμη ყველგან თარგმნის „ჯერ-ჩინებად“, ხოლო ეფრემი ხან „ცნობად“, ხან „მეცნიერებად“, ხან „განზრახვად“, ხან „განჩინებად“. სწორედ ამით არის გამოწვეული ძირითადი განსხვავებანი ქართულ თარგმანებს შორის. ეს აიხსნება იმით, რომ თვით ბერძნული ტერმინი არის ერთ-ერთ იმ სიტყვათაგანი, რომელთაც მრავალი მნიშვნელობა ახასიათებს; ასეთ სიტყვათა შესახებ ამბობდა ხოლმე ეფრემი: „ბერძენთა ენაჲ უფსკრულ ღრმა არს და იგივე ერთი სიტყუაჲ მრავალსა პირსა აღიარებსო“.[102] ასეთ შემთხვევაში ეფრემი გულმოდგინედ გამოიძიებდა ბერძნული სიტყვის მნიშვნელობას და „მაშინღა ძლით მოუპოჲს ქართული მსგავსებული სიტყუაჲ“.[103]

რას ნიშნავს ბერძნული სიტყვა ἡ γνώμη? იგი ნიშნავს გონებას, სულს, ეშმაკობას, მახეს, ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობაა – ცოდნა, გაგება; მესამე ძირითადი მნიშვნელობაა – ჭკუა, აზროვნება, გონიერება; მეოთხე მნიშვნელობა:

---

[100] დანიელი, 2, 15.
[101] PG, t. 94, col. 1045.
[102] რ. ბლეიკი, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, „მიმომხილველი“, ტ. I, თბილისი, 1926, გვ. 161.
[103] იქვე.

ასრი, რწმენა (დარწმუნება); მეხუთე მნიშვნელობა – განწყობილება, მიდრეკილება; მეექვსე მნიშვნელობა – მოსაზრება, წინადადება; მეშვიდე მნიშვნელობა – განზრახვა, ფიქრი; მეცხრე მნიშვნელობა – ნება, სურვილი; მეათე მნიშვნელობა – სიბრძნე, სენტენცია, ბრძნული ნათქვამი, ანდაზა, გნომი.

როგორც ეხედათ, ამ სიტყვას აქვს 10 ძირითადი მნიშვნელობა, რომელთაგან ეფრემს გამოუყენებია სამი – განზრახვა, განჩინება და ცოდნა ანუ მეცნიერება.

მთარგმნელს თვითონვე უგრძვნია უხერხულობა, რომ წინადადების სხვადასხვა ადგილას ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობით თარგმნიდა და ამიტომაც იქვე მოუთავსებია ასეთი შენიშვნა:

„ჯერ-ჩინებისა ღნომა. შეისწავე, ვითარმედ ერთსა ამას სიტყუასა, რომელსა ბერძნულად ღნომი უწოდიან, ქართულად ერთი არა რაი მოეპოების, ამისთჳსცა [.....] იგი ბერძულადცა [ცდა]რეაი თარგმანი აქ[უს], ეგრეთვე ქართულად სხუებრ და სხუებრ დასდებენ და იჴმარებენ წმიდანი მამანი ჩუენნი ეფთჳმე და გიორგი მთაწმიდელი, ვითარცა ადგილსა შეეტყუებოდის, რამეთუ ესე მრავალთა სიტყუათა სჭირს ბერძულად. და ესეეითართა მათ სიტყუათა ბერძულად ლექს ჰქჳან და სომხურად ქერაკანი, ხოლო ქართულად არ ვიცი, შემინდეევით“ (A 24, 94 v).

სხვათა შორის, საინტერესოა ის გარემოება, რომ Migne-ის გამოცემის ლათინურ ნაწილში γνώμη უთარგმნელად არის გადატანილი ბერძნულიდან დაწერილობით.[104]

გარდა ამისა, საინტერესოა ამ ნაწყვეტის ბოლო წინადადებაც, სადაც ეფრემი წერს, რომ ოცდარვა სახედ გადმოიცემაო γνώμη, ხოლო არსენი ამბობს, რომ „დანიშნულთაებრ“ მოიღებაო. რატომ არის ეფრემთან დაკონკრეტებული ეს დეტალი, ისევე როგორც დედანში (εἴκοσι ὀκτώ), ხოლო არსენთან არა? როგორც ირკვევა, სხვა ბერძნულ ხელნაწერებში არის ვარიანტები – κατὰ κοινοῦ, κατὰ πολύ.[105] მაშასადამე, კრებითობა (“საყოველთაო“, „მრავალი“) დამახასიათებელი ყოფილა თვით ბერძნული ხელნაწერებისთვის.

„გარდამოცემის“ LIX თავში (არსენით LVIII) არის ასეთი ფრაზა:

ეფრემი:	არსენი:
„უკუეთუ გონებაი მიიღო ღმერთმან... (A 24, 97 r, II).	„უკუეთუ გონებაი მიიღო ქრისტემან... (S - 1463, 84 v, II).

დედანში შესაბამის ადგილას წერია „გონებაი კაცობრიეი“ (νοῦν ἀνθρώπινον).[106]

„გარდამოცემის“ LIX თავში (არსენით – LVIII) ვკითხულობთ:

ეფრემი:	არსენი:
„ხოლო პირებითი არს რაჟამს ვინმე სხუსა პირსა იჩემებდეს სიყუარულისათჳს და თანა-ლმობისა მისისა...“ (A 24, 106 r, II).	„ხოლო პირებითი არს რაჟამს სხუსაი ვინმე შეიმოსოს პირი თჳსებისათჳს, ესე იგი არს სიყუარულისა...“ (S - 1463, 88 v, II).

დედნის შესაბამის ადგილას წერია არა „პირებითი“, არამედ „პირებითი და თჳსებითი“, მაგრამ იქვე აღნიშნულია ვარიანტებში, რომ καὶ σχετικὴ არ იკითხება ხელნაწერთა უმრავლესობაში.[107] მართლაც, ეტყობა, ქართული თარგმანები ბერძნული დედნის ძველ მდგომარეობას ასახავენ.

[104] PG, t. 94, col. 1046.
[105] იქვე, col. 1045-1046, Variae lectiones.
[106] PG, t. 94, col. 1056.
[107] PG, t. 94, col. 1093.

„გარდამოცემის“ 79-ე თავში (არსენით – 78) ვხედებით ასეთ წინადადებას:

ეფრემი:	არსენი:
„ხოლო რაჟამს კაც იქმნა, მაშინ ღმრთებასა თანა ქრისტეცა სახელ ედვა ჴორცთა მათთჳს, რომელ შეისხნა, ვინაჲთგან შეუთქს სახელსა ამას ენებაჲ და სიკუდილი“ (A 24, 110 v, I).	„არცა უკუე სახელი ქრისტესი თუნიერ ჴორცთაჲსა მოიჴსენების, ვინაჲთგან შეუდგს სახელსა ამას ენებაჲ და სიკუდილი“ (S - 1463, 90 v. I).

როგორც ვხედავთ, ქართული თარგმანები ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებიან. თუ შევადარებთ ამ ტექსტებს დედანს, ვნახავთ, რომ ეფრემის რედაქცია მისდევს Migne-ის გამოცემის ტექსტს: ὅτε δὲ γέγονεν ἄνθρωπος, τὸ Χριστὸς ὄνομα διὰ τῆς σαρκὸς προσάγεται, ἐπειδὴ ἀκολουθεῖ τῷ ὀνόματι τὸ πάθος καὶ ὁ θάνατος.[108]

მაგრამ არსენის რედაქციის შესაბამისი ტექსტი ახასიათებს მრავალ ბერძნულ ხელნაწერს „გარდამოცემისა“: ὅτε οὖν τὸ Χριστὸς ὄνομα δίχα τῆς σαρκὸς προσάγεται...[109]

აქედან ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქართული თარგმანების წყარო რედაქციულად განსხვავდებოდა მინის გამოცემის ტექსტისაგან, იგი მაინც სხვადასხვა იყო ეფრემისა და არსენისათვის.

განსაკუთრებით საინტერესოა არსენის თარგმანის LXXX თავი: „მკითხველთა მიმართ, ვითარმედ შერწყუმულისა ანუ განსაზღვრებულისაგან აღიყვანებიან რაოდენობად ბუნებანი უფლისანი“ (S - 1463, 91 r, I) ამ თავის შესაბამისად ეფრემის თარგმანში LXXXI და LXXXII თავებს შუა მოქცეულია თავი, რომელიც მთარგმნელს თავების სათვალაეში არ შეუტანია (“მათდა მიმართ, რომელნი იკითხვიდენ, ვითარმედ შეკრებილისაგან, ანუ განსაზღვრებულისა რაოდენობად აღიყვანებიან ბუნებანი უფლისანი“ (A 24, 111 v, I).

რაკი არსენმა ეფრემისაგან განსხვავებით ეს თავი შეიტანა თავების სათვალაეში, ამით გამოსწორდა დანაკლისი, რომელიც მის თარგმანს ჰქონდა XVI თავის უთარგმნელობით. ამის შემდეგ არსენის თავების სათვალაეი შეესაბამება დედნისა და ეფრემის თარგმანის სათვალაეს. მაგრამ ეს არ არის ამჯერად მთავარი. მთავარი ის არის, რომ ეს თავი არ მოიპოვება ბერძნულ დედანში, მინის გამოცემიდან არც ჩანს, რომ იგი რომელიმე იმ დროისათვის ცნობილ ხელნაწერს ახასიათებდეს. საიდან მოვიდა ეს თავი ქართულ თარგმანებში?

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ეფრემის თარგმანი როდია შევსებული ვინმე რედაქტორის მიერ არსენის თარგმანით, პირიქით, ეფრემს თავის დროზე უთარგმნია ეს თავი და იგი იმდენადვე განსხვავდება მისგან, როგორც სხვა ყველა შემთხვევაში. ჩანს, რომ ეფრემსაც და არსენსაც ხელთ ჰქონიათ ისეთი ნუსხები, სადაც იყო ეს ზედმეტი თავი. ეს თავი ზედმეტია არა იმიტომ, რომ მისი წყალობით ეგოდენ განსხვავდება ქართული თარგმანები დედნისაგან, არამედ იმიტომაც და უპირველესად იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს არც მეტს, არც ნაკლებს, განმეორებას „გარდამოცემის“ LII თავისას (არსენით – LI). განმეორებულია არა თუ თავის ოდენ შინაარსი, არამედ სათაურიც კი: „მათდა მიმართ, რომელნი იტყჳან, ვითარმედ რაოდენობად აღიყვანებიან ბუნებანი ქრისტესნი შეკრებითისა ანუ განსაზღვრებულისაგან“ (A 24, 86 v, II), ან „მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ შეერთებულისა ანუ განსაზღვრებულისაგან აღიყვანებიან რაოდენობად ბუნებანი უფლისანი“ (S - 1463, 80 r, I). მოვიყვანთ ორივე თარგმანის მხოლოდ დასაწყის სტრიქონებს:

[108] PG, t. 94, col. 1113.
[109] PG, t. 94, col. 1113, Variae lectiones.

ეფრემი, თაი 52:

„ხოლო იკითხაეს თუ ვინმე ბუნებათათჳს უფლისათა, ეითარმედ ანუ შეკრებილისაგან ანუ განსაზღერებულისაგან რაოდენობად აღიყუანებიან, მიუგებთ და ეტყჳთ, ეითარმედ ბუნებანი უფლისანი არცა ერთ გუამ არიან, არცა ერთ განცხადება, არცა ერთ ასო, არცა ჴამ, არცა ადგილ, რათა ესრეთ შეკრებიისაგან რაოდენობად აღყუანებულ იქმნენ, რამეთუ ესენი არიან შეკრებითად აღრიცხულნი...“

ეფრემი, უნომრო თაი:

„ბუნებანი ქრისტესნი არცა ერთ გუამ არიან, არცა განცხადება, არცა ასო, არცა ადგილ, არცა ჴამ, რათა რაოდენობად აღყუანებულ იქმნენ, რამეთუ ესენი არიან შეკრებით აღსარიცხუველნი...“

არსენი, თაი 51:

„უკუეთუ ვინმე იკითხაეს უფლისა ბუნებათათჳს, ეითარმედ შეერთებულისა და განსაზღერებულისაგან აღიყუანებიან რაოდენობად? – ეტტყჳთ, ეითარმედ ბუნებანი ქრისტესნი არცა ერთ სხეულეან სიზრქე არიან, არცა ერთ ეპიფანია, არცა ერთ ღრამმ, არცა ჴამ, არცა ადგილ, რათა შეერთებულისაგან რაოდენობად აღიყუანებოდინ. რამეთუ ესე არიან შეერთებულად აღსარიცხუველნი...“

არსენი, თაი 81

„ბუნებანი უფლისანი არცა ერთ სხეულ არიან, არცა ეპიფანია, არცა წარზიდულ, არცა ადგილ, არცა ჴამ, რათა შერწყუმულისაგან რაოდენობად აღიყუანნენ, რამეთუ ესენი არიან შერწყუმით აღსარიცხუველნი...“

თითქმის ასეთივე სურათი იქნება, მთელი თავი რომ გადმოვწეროთ და ერთმანეთს გეერდი-გეერდ მივუყენოთ. რა თქმა უნდა, LII თავი და განმეორებული თაეი ერთმანეთს სიტყჳა-სიტყჳით არ ემთხეევა, თუნდაც იმიტომ, რომ ქართველ მთარგმნელებს თავისივე ნათარგმნი კი არ გადმოუწერიათ, არამედ ეს თაეი დამოუკიდებლად კელავ თარგმნეს, მაგრამ განსხვაეებათა მიზეზი მარტო ეს არ არის. დედანშიც LII თავის ახალი ვარიანტი განსხვაეებული იქნებოდა თავისი წინამორბედისაგან. ძირითადი აზრი თავისა კი მტკიცედ უნდა ყოფილიყო დაცული. საინტერესოა და ჩვენთვის გაუგებარია ის გარემოება, რომ ქართველმა მთარგმნელებმა ან ვერ შეამჩნიეს ეს გარემოება, ან მას ყურადღება არ მიაქციეს. თარგმნით თუმც თარგმნეს, მაგრამ მოსალოდნელი იყო რაიმე კომენტარი მაინც დაერთოთ ტექსტისათეის, მაგრამ ეს მათ არ გაუკეთებიათ. ეფიქრობთ, ეფრემის თარგმანშიც ამ თავის სათეალავში მიუღებლობა მთარგმნელის სიფრთხილეს კი არ მოასწაეებს, არამედ მის დედანში ეს თავი, შესაძლოა, დაუნომრავიც ყოფილიყო. სხვაგვარად დამასკელის თხზულებაში 101 თაეი გამოვიდოდა, ხოლო არსენის თარგმანს რაკი ერთი (მეთექვსმეტე) თაეი აკლდა, მას დანაკლისის შესაესებად ზედმეტი თაეი სათეალავში მიუღია.

„გარდამოცემის“ LXXIV თავში, რომელსაც სათაურად აქვს „საუფლოჲსა ჯუარისათჳს, რომელსა შინა არს და სარწმუნოებისათჳსცა“ (ეფრემი) ან „ჯუარისათჳს, რომელსა შინა არს სარწმუნოებისათჳსცა“ (არსენი), ეკითხულობთ:

ეფრემი:

„...არა ნივთსა ეჰმსახურებთ, არამედ სახესა ოდენ ჯუარისასა და სასწაულსა ძისა კაცისასა, რაჲთუ ეიდრემდის სახე ჯუარისაჲ იყოს, თაყუანის-ეცემთ, ხოლო რაჟამს დაიჴსნას სახისა მისგან ნივთი იგი ჯუარისაჲ, დაღაცათუ ოქროჲ იყოს, ანუ თუალნი პატიოსანნი, მიერითგან არღარა თაყუანის-ეცემთ და ნუმცაღა ეინ თაყუანის-სცემს“ (A 24, 115 v, I).

არსენი:

„...თაყუანის-იცემებოდედ ნიში ჯუარისაჲ, ხოლო ნივთი, რომლისაგან მსგავსებაჲ ჯუარისაჲ შესახულ იყოს, გინა თუ ოქროჲ იყოს ანუ ქუანი პატიოსანნი, შემდგომად სახისა მის, უკუეთუ დაემთხჳოს დაჴსნაჲ, არღარა თაყუანის-ცემულ არს“ (S - 1463, 92 v, II).

ეფრემის თარგმანს არსენის ტექსტთან შედარებით მრაეალსიტყუაობა ახასიათებს, მაგრამ ორიეე ქართული თარგმანი განსხვაედება დედნისაგან იმით, რომ ამ მსჯელობის დასაწყისში დედანში ლაპარაკია არა ჯუარის სახეზე, ან ნიშზე,

არამედ ქრისტეს (τοῦ Χριστοῦ) ნიშზე, სახეზე, ეს არ შეიძლება იყოს შემთხვევითი. ვერც იმას დაეუშვებთ, რომ გადაწერის დროს გრაფიკულ ნიადაგზე აღრეულ იქნა დაქარაგმებული სიტყვები ქ და χ ასოთა მსგავსების გამო, რადგან არ შეიძლებოდა ყოფილიყო ქარაგმა ქ˜სასა, ქ˜ისაჲ ან რაიმე მათი მსგავსი. აქაც უნდა ვივარაუდოთ, რომ ეფრემისა და არსენის წყაროში ნამდვილად ეწერა χვარი. მით უმეტეს, რომ ბერძნულ დედანს აქვს ვარიანტიც τοῦ σταυροῦ.[110]

„გარდამოცემის" LXXXVIII თავში მოტანილია ციტატა იოანეს სახარებიდან – „რაოდენთა შეიწყნარეს იგი, მისცა მათ ჴელმწიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად".[111] ქართულ თარგმანებში არ არის დასახელებული იოანე, არამედ ორგანე წერია – „ვითარცა იტყჳს ღმრთისმეტყუელი მახარებელიო" (A 24, 122 r, I; S -1463, 95 v, I), ხოლო დედანში იოანე დასახელებულია. თუმცა იქვე არის რედაქციის შენიშვნა: „აკლია Ἰωάννης მრავალ ხელნაწერს; მას ურთავს აშიაზე წმ. ჰილარიუსის კოდექსიო".[112]

„გარდამოცემის" LXXXIX თავში მოტანილია ციტატა სახარებიდან. „ხოლო გაქებ თქუენ, ძმანო, რამეთუ გაჴსოვს ყოველი ჩემი და, ვითარცა მოგცენ თქუენ, გიპყრიან მოცემანი" (S - 1463, 96v, II). ოდნავ განსხვაებულად აქვს ეს ციტატა მოტანილი ეფრემს: „გაქებ თქუენ, ძმანო, რამეთუ ყოველივე ჩემი გაჴსოვს და, ვითარ იგი მოგეც თქუენ, ეგრეთ გიპყრიან მოცემული წესნი" (A 24, 124 v, I). მაგრამ ქართულ თარგმანებში მითითებულია, რომ ეს ციტატა ამოღებულია რომაელთა მიმართ ეპისტოლიდან: „და პრომაელთა მიმართ იტყჳს, ვითარმედ" (ეფრემი), „და ჰრომაელთა მიმართ" (არსენი). სინამდვილეში ეს ციტატა არის სახარების სხვა ადგილიდან, კერძოდ, I კორინთელისადმი, თავი მეთერთმეტე, მუხლი მეორე.[113] ბერძნულად გამოცემულ ტექსტში არ ჩანს ეს შეცდომა, იქ წერია πρὸς κορινθίους.[114] შეცდომა, ეტყობა, მომდინარეობს ეფრემისა და არსენის ბერძნული წყაროდან. ქართველ მთარგმნელებს ციტატა არ შეუმოწმებიათ.

„გარდამოცემის" XC თავში, სადაც ლაპარაკია ძველი აღთქმის წიგნებზე, ნაოქვამია, რომ ძველი აღთქმის წიგნები ოცდაორია ებრაული ანბანის შესაბამისად. ამათგან ებრაულ ენაში ხუთი ასო არის მრჩობლი. შემდეგ ჩამოთვლილია ეს ასოები: ქაფ, მემ, სუნ, ფინ, სადი (ეფრემის მიხედვით – A 24, 125 v, I), ანუ ქაფ, მემ, უნ, ფინ და სადი (არსენის მიხედვით – S - 1463, 97 r, I). შესაბამის ადგილას დედანში წერია: Χάφ, Μέμ, Νοῦν, Πέ, Σαδί.[115] მაგრამ იქვეა აღნიშნული რიგი ხელნაწერის მიხედვით ვარიანტი – Πέ-ს ნაცვლად Φίν, ასე რომ, აქაც ქართულ თარგმანებს ბერძნული წყარო უნდა ჰქონოდათ.

„გარდამოცემის" XC თავში მოტანილია ფსალმუნის ციტატა: „ამისთჳს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან" (A 24, 126 v, I; S - 1463, 97 v, I),[116] მაგრამ დედანში მას მოსდევს სიტყვები – ἔλαιον ἀγαλλιάσεως παρὰ τοὺς μετόχους[117] (აღფრთოვანების ზეთისხილი შენს თანამოაზრესთან ერთად). სიტყვა-დაკლებული ციტატა, ეტყობა, იმავე ბერძნული ნუსხებიდან მომდინარეობს, რომელნიც ხელთ ჰქონდათ ჩვენს მთარგმნელებს.

ასევე არასრულად არის ამოწერილი „გარდამოცემის" XCI თავში სახარების ციტატა: „აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა" (A 24, 128 r, II; S - 1463, 98 r,

[110] PG, t. 94, col. 1132, Variae lectiones.
[111] შდრ. იოანე, I, 12.
[112] PG, t. 94, col. 1164, Variae lect: Deest Ἰωάννῃ in multis codd., additum est in marg. cod. S. Hil.
[113] შდრ. I კორინთ., II, 2: ხოლო გაქებ თქუენ, ძმანო, რამეთუ ჩემი ყოველივე გაჴსოვს, და ვითარცა-იგი მიგეც თქუენ მოძღურებაი, იგი შეიკრძალეთ (ახალი აღთქუმაი, თბილისი, 1963, გვ. 417).
[114] PG, t. 94, col. 1173.
[115] PG, t. 94, col. 1184.
[116] ფსალმ., 44, 8.
[117] PG, t. 94, col. 1184.

II).[118] ამას დედნის მიხედვით აკლია დაბოლოება: καὶ Θεόν μου, καὶ Θεὸν ὑμῶν (და ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა).[119]

„გარდამოცემის" უკანასკნელ, მესამე თავში, სადაც ლაპარაკია აღდგომაზე, ნათქვამია:

ეფრემი:	არსენი:
„დაეთესეის ჴორცი მშჳნეიერი, ესე იგი არს ზრქელი და მოკუდავი და „აღდგების ჴორცი სულიერი",[120] ესე იგი არს უქცეველი და უნებებელი, წულილი და თხელი, რამეთუ ამას მოასწავებს სულიერობაჲ... (A 24, 137 r, II).	„დაეთესეის ჴორცი მშჳნეიერი, ესე იგი არს, ზრქელი და მოკუდავი და „აღდგების ჴორცი სულიერი",[120] უქცეველი, უნებებელი, წულილი, რამეთუ ამას ცხადჰყოფს სულიერობაჲ"... (S - 1463, 102 v. I).

ხაზგასმული სიტყვები (უქცეველი, უნებებელი, წულილი, თხელი) ბერძნულ დედანში არ მოიპოვება.[121]

ქართულ თარგმანებში არ არის თარგმნილი დედნის უკანასკნელი წინადადება: αἰνοῦντες αὐτὸν σὺν Πατρὶ καὶ ἁγίῳ Πνεύματι, εἰς τοὺς ἀπείρους αἰῶνας τῶν αἰώνων. Ἀμήν (ადიდებენ მას მამისა და სულისა წმიდისა თანა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!). არის ამ წინადადების სხვა ვარიანტებიც, რაც საუსებით მოსალოდნელია თხზულების დასასრულს. მაგალითად, Reg., 2924-ში იკითხება: Ἐν τῷ Κυρίῳ ἡμῶν, ᾧ πρέπει πᾶσα δόξα, τιμὴ καὶ προσκύνησις, νῦν καὶ ἀεὶ καὶ εἰς τοὺς αἰῶνας τῶν αἰώνων, Ἀμήν. ხოლო Regius 2928-ში არის ვარიანტი – ὅτι αὐτῷ πρέπει δόξα, τιμὴ καὶ προσκύνησις, νῦν καὶ ἀεὶ და ა. შ.[122]

ხოლო იმ ბერძნულ რედაქციას, რომელიც ხელთ ჰქონიათ ეფრემ მცირეს და არსენ იყალთოელს, ეტყობა, საერთოდ არ გააჩნდა ასეთი დასასრული.

* * *

„გარდამოცემის" ბერძნული და ქართული ვერსიების შედარება საშუალებას იძლევა შემდეგი დასკვნების გამოსატანად.

1. ბერძნული დედანი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია Migne-ის გამოცემით, არ არის წყარო ქართული თარგმანებისათვის. ამ გამოცემისაგან რედაქციულად დაშორებულია როგორც ეფრემ მცირის, ისე არსენ იყალთოელის თარგმანები. მაგალითად:

ა) ქართული თარგმანები არ იცნობენ ქვესათაურებს – ა) Περὶ τόπου ἀγγέλου καὶ τῆς ψυχῆς, καὶ περὶ τοῦ ἀπεριγράπτου; ბ) Συλλογισμοῖα περὶ τοῦ Θεοῦ, καὶ Πατρὸς, καὶ τοῦ Υἱοῦ καὶ τοῦ ἁγίου Πνεύματος, καὶ τοῦ Λόγου καὶ Πνεύματος; გ) Ὅσαχῶς τὸ ἀσώματον; დ) Ὅτι ὁ ἄνθρωπος κοινωνεῖ καὶ ἀψύχοις, καὶ ἀλόγοις, καὶ λογικοῖς. ეს ოთხი ქვესათაური, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, გამოცემაში შესულია ზოგი ხელნაწერის მიხედვით და დამასკელის თხზულების ადრინდელ მდგომარეობას არ უნდა ასახავდეს. ისინი უნდა იყოს შესული ტექსტში აშიებზე მიწერილი შენიშვნებიდან. ამ მხრივ ქართული თარგმანები თხზულების ძველ სურათს ასახავენ.

ბ) ქართულ თარგმანებში შეცელილია სათაურები, ზოგჯერ მთლიანად („გარდამოცემის" XX თავი), ხოლო ზოგჯერ ნაწილობრივ XLIX თავი).

[118] იოანე, 20, 17.
[119] PG, t. 94. col. 1189.
[120] I კორინთ., 15, 42-44.
[121] PG, t. 94, col. 1225.
[122] PG, t. 94, col. 1228.

გ) ქართულ თარგმანებში უთარგმნელად დატოვებულია არა მარტო ცალკეული სიტყვები, არამედ მთელი ფრაზები და წინადადებანი, ხოლო არა იშვიათად ორივე მთარგმნელი გვერდს უვლის მოზრდილ აბზაცებს, ხოლო ზოგჯერ ქვეთავსაც (23-ე თავის ბოლოს – Περὶ πελαγῶν).

დ) ქართულ თარგმანებში არასრულად არის ამოწერილი ციტატები საღმრთო წერილიდან, თანაც ორივე მთარგმნელი ყოველთვის ერთნაირად ამოკლებს ციტატას და ერთნაირადვე შორდება დედანს.

ე) ქართულ ვერსიებში ადგილი აქვს შეცვლილი ერთ მოზრდილ ნაწყვეტს, რომელიც ორსავე ქართულ თარგმანში XXVI თავიდან XXX თავში გადასულა.

ვ) ქართული თარგმანების წყაროში მოქცეული ყოფილა ერთი თავი ("მათდა მიმართ, რომელნი იკითხვიდენ, ვითარმედ შეკრებილისაგან, ანუ განსაზღვრებულისა რაოდენობად აღიყვანებიან ბუნებანი ქრისტესნი"), რომელიც მისდევს მინის გამოცემის LXXXI თავს. ეს თავი მხოლოდ ქართულ თარგმანებს შემოუნახავთ. იგი თითქმის განმეორებაა „გარდამოცემის" LI თავისა.

ამრიგად, ჩვენ თამამად შეგვიძლია ეფრემისა და არსენის თარგმანების წყაროს ვუწოდოთ „გარდამოცემის" აქამდე უცნობი რედაქცია. როგორც ცნობილია, მეცნიერებამ დღემდე იცის „დიალექტიკის" ორი რედაქცია – ერცელი და მოკლე (სხვა საკითხავია, რომ თვით ამ რედაქციათა შორის არსებობს ნუსხათა სხვადასხვა ჯგუფი, სადაც თავების რაოდენობაც კი მერყეობს). მაგრამ აქამდე თუ გამოიყოფოდა მხოლოდ ასეთიე ჯგუფები „გარდამოცემისა", არავინ არ ლაპარაკობდა რედაქციებზე. ეს იმიტომ, რომ დღემდე არავის მიუქცევია ყურადღება იოანე დამასკელის ამ შრომის უძველესი, ქართული თარგმანებისათვის. ეფიქრობთ, ჩვენ მიერ მოტანილი საბუთები სავსებით საკმარისია იმის სამტკიცებლად, რომ ჩვენ საქმე გვაქვს „გარდამოცემის" განსხვავებულ რედაქციასთან. მისი მოკლედ დახასიათება ასე შეიძლება:

„გარდამოცემის" სავარაუდო რედაქციაში XX თავს ერქვა Περὶ Κυρίου ან Περὶ Θεοῦ, ხოლო XLIX თავს – Περὶ ἀριθμοῦ δυοῖν φύσεων. მასში არ იყო შესული ჩვენ მიერ აღნიშნული აბზაცები და ქვეთავი Περὶ πελαγῶν, ამ რედაქციისათვის დამახასიათებელი იყო ბოლომოკვეცილი ციტატები საღმრთო წერილიდან, კერძოდ, მოყვანილი იყო ციტატების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ავტორს ესაჭიროებოდა ამა თუ იმ დებულების დასამტკიცებლად (შემდგომში ეტყობა, ეს ციტატები სრულყოფილად წარმოადგინეს). მსჯელობა ნებელობითი მოძრაობის შესახებ ამ რედაქციაში იყო არა XXVI თავში, არამედ XXX თავში. LXXXI თავს მოსდევდა ქვეთავი, რომელშიც განმეორებული იყო LI თავის დებულებები. ეს იყო ამ რედაქციის ყველაზე სუსტი ადგილი, ეტყობა, გამოწვეული ორი არქეტიპი რედაქციის მონაცემთა შერწყმით. ამ რედაქციებში აღნიშნულ თავს ერთგან LI, ხოლო მეორეგან LXXXII ადგილი უნდა სჭეროდა.

2. ეფრემისა და არსენის წყარო, მართალია, იყო ერთი რედაქცია „გარდამოცემისა", მაგრამ არა ერთი ნუსხა, არამედ სხვადასხვა ჯგუფის ორი ნუსხა. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ ურთიერთმსგავსების და ჩვენთვის ცნობილ დედანთან ერთგვარი დამოკიდებულების მიუხედავად, ეფრემისა და არსენის თარგმანები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ა) ეფრემი ავრცობს ტექსტს, ხოლო არსენი მისდევს ჩვენთვის ცნობილ დედანს (თთ. II, III, VI, VIII, LXIV).

ბ) არსენი ავრცობს ტექსტს, ხოლო ეფრემი მიჰყვება დედანს (თთ. XXII, XXV, LXXXIV), ამათგან პირველ ორ შემთხვევაში არსენის თარგმანი A 24 ნუსხის გადამწერს ეფრემის თარგმანის აშიაზე გაუტანია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსენის თარგმანის 24-ე თავი (დედნის XXV თავი), რომელშიც ერცელი მსჯელო-

ბაა ცნობადობის შესახებ. ეს მსჯელობა, არსენის თარგმანის სხვა „ზედმეტ“ ადგილებთან ერთად, დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო საეარაუდო ბერძნული რედაქციისათვის, მაგრამ უნდა ჰკლებოდა ეფრემის ნუსხას. ამჯერად ეს მნიშვნელოვანი მსჯელობა მხოლოდ არსენ იყალთოელის თარგმანს შემოუნახავს.

გ) ეფრემს არ უთარგმნია ადგილები, რომელნიც არსენის თარგმანში გეხედება (თთ. II, IV, VIII).

დ) არსენს უთარგმნელად დაუგდია ადგილები, რომელთაც ვხედებით ეფრემის თარგმანში (თთ. I, IV, V, IX, XV, XVI, XXI, XXV, XLIII, LV, LIX, LXIX, LXXII, LXXIV, LXXVII, LXXXV, LXXXVI და სხვ.).

ე) არსენს განსხვავებულად უთარგმნია ეფრემის ნათარგმნი ადგილები და ამით უფრო დაახლოებია დედანს (თთ. VI და XI).

ვ) არსენს განსხვავებულად უთარგმნია ეფრემის ნათარგნმი ადგილები და ამით უფრო დაშორებია დედანს (თთ. II, XIV, LXXXI, LXXXIX, XCVIII და სხვ.).

ეს მაგალითები, ვფიქრობთ, საესებით საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ეფრემსა და არსენს ხელთ ჰქონდათ თხზულების ორი ისეთი ნუსხა, რომელნიც იმდენად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, რომ მათ თუ სხვადასხვა რედაქციად ვერ ჩაეთვლით, ყოველ შემთხვევაში ხელნაწერთა განსხვავებულ ჯგუფებს უნდა მიეკუთვნოთ, ხოლო ამ დასკვნიდან თავისთავად გამომდინარეობს ახალი დასკვნა, რომელიც გეჭირდება იმ მიზეზის გასარკვევად, თუ რატომ მოჰკიდა არსენ იყალთოელმა ხელი „გარდამოცემის“ ხელმეორედ თარგმნას.

3. ამრიგად, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ არსენ იყალთოელმა, ეფრემ მცირესთან ადრინდელი თანამშრომლობის დროს „გარდამოცემის“ თარგმანში მის მიერ გაწეული შრომის მიუხედავად, ხელმეორედ თარგმნა ეს დიდი თხზულება, არის ის, რომ იმ ახალი ბერძნული ნუსხის მიხედვით, რომელიც არსენს შემდგომში ხელთ ჩავარდნია, ეფრემის თარგმანს ბევრი რამ აკლდა, ზოგიც ზედმეტი იყო, ზოგიც განსხვავებული. არსენს უცდია, შეევსო და გაესწორებინა წინამორბედის შრომა. ამასვე ადასტურებს რომელიღაც რედაქტორის სურვილი, რომელსაც ეფრემის თარგმანში თითქოსდა ნაკლული ადგილები შეუვსია არსენის თარგმანის მიხედვით.

თავი მესამე

ძართულ თარგმანთა თავისებურებანი

ქართულ თარგმანთა სქოლიოები

ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის მთარგმნელობითი მეთოდის გასათვალისწინებლად და დედანთან მათი დამოკიდებულების გასაგებად დიდი მნიშვნელობა აქვს „გარდამოცემის" ქართულ თარგმანებზე დართულ სქოლიოებს. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება მათი მნიშვნელობა. მათი ფასი განუზომელია ძველი ქართული მწერლობის ისტორიისათვისაც. მნიშვნელოვნად ისინი წარმოადგენენ ორიგინალური შემოქმედების ნაყოფს და გვითვალისწინებენ ძველი ქართული ფილოსოფიური და მეცნიერული აზროვნების დონეს. ამიტომ აუცილებელია ამ სქოლიოებზე საგანგებოდ შეჩერება.

„გარდამოცემის" სათაურიდანვე გეხვედება ეფრემ მცირის შენიშვნა: „თარგმანი. გარდამოცემა ეწოდების წიგნსა ამას, რამეთუ არა საკითხავთა სახე აქუს შესავალთანი და დაბოლოებული, არამედ მსგაყს არს გარდაცემულსა მას მწიგნობრისსა, რომელსა შეიქმან ნუსხად და დასდებენ ნიეთად პირად-პირადთა წიგნთა დაწერისა, რათა, ეისთანაცა ეის უნდეს, დაწე[.....]ბდეს ძალსა სიტყუსასა. ეგრეთვე წმიდათა ამას [.....] მოკლე-მოკლედ აღუწერია ყოელისაე მართლმადიდებელთა სარწმუნოებისათუს, რათა ამიერ აქუნდეს მორწმუნეთა ძალი პირად-პირადისა წინააღმდგომთა სიტყუსა გებისაჲ. ამიერ მიიღო" (A 24, 36).[1]

დაბეჯითებით მტკიცება იმისა, რომ ეს სქოლიო აუცილებლად ეფრემს უნდა ეკუთვნოდეს და არ უნდა იყოს მის მიერ ბერძნული სქოლიოდან გადმოთარგმნილი, ძნელდება.

VIII თავში, რომელსაც სათაურად აქვს „წმიდისა სამებისათუს", გეხვედება ეფრემის განმარტება, რომელიც ეხება ბერძნული ხელნაწერების გაფორმებას:

„სადაცა სამებისათუს თქუმული იყოს, ყოველგან შუენის და ზის ბერძნულთა წიგნთა ესე მზის თულის სახე – ნიშანი არა საკითხავთა, არამედ საგალობელთაცა შინა" (A 24, 40 v).

იმავე თავში იოანე დამასკელი მსჯელობს იმის შესახებ, რომ განსხვავებულია შობა და ღეთის მიერ შექმნა. რადგან კაცს არ შეუძლია არარაისგან შეჰქმნას რაიმე, ხოლო ღმერთს ეს ძალუძს. ღმერთი „უვნებლად და თუნიერ თესლისა შობს და არა მოქნე არს ეისამე თანაშემწისა... ხოლო კაცი ყოელითურთ წინაღმდგომად საღმრთოჲსა მის შობისა, შობს ხრწნილებით და დინებით, განმრაელებით და სხუსა გუამსა თანამოქმედებით და მამალსა და დედალსა ბუნებასა შინა შემოიყვანებს, რამეთუ მამაკაცი დედაკაცისა თანა-შემწეობითა მოქნე არს". ამ მსჯელობას განმარტავს ეფრემ მცირის შემდეგი სქოლიო:

„თარგმანი. ნუ დაგიკჳრდების უთესლოობისა თქუმაჲ ღმრთისათუს, ვინაჲთგან სარკინოზთა შორის იყო წმიდაჲ იოანე დამასკელი, ამისთუსცა რასა იგი გუწამებენ, ვითარმედ ენებულად და თესლითა იტყჳთ შობასა ძისასა ღმრთისასა, წმიდაჲ ესე დაჰჭსნის სიცბილსა მათსა და ზედაჲს-ზედა ქადაგებს უვნებელად და უთესლოდ შობასა ძისასა მამისაგან (A 24, 42 r).

[1] უნდა აღინიშნოს, რომ ეფრემის სქოლიოები, მოქცეული აშიის კიდეზე, წერილი ხელითა და ხეული სტრიქონებით დაწერილი, ძნელად იკითხება, ხშირად მელანი გადალეულია, ან აშიის კიდე გაცრეცილია. ამის გამო ზოგან ასოები არ ჩანს. ასეთი ადგილები ჩასმული გეკქს კაეებში.

მეტად საყურადღებოა ეფრემ მცირის სქოლიო იმავე თავში, რომელიც შეეხება ბერძნულ ტერმინებს აგენიტონ-ს (ἀγένητος) და აგენნიტონს (ἀγέννητος). აქ კარგად ჩანს, თუ როგორ იცავდა თარგმანის დროს ეფრემი ენობრივ სიწმინდეს, როგორ ცდილობდა მოეპოვებინა ბერძნული ტერმინის ქართული შესატყვისი და მხოლოდ მაშინ, როცა ეს შეუძლებელი იყო, ბერძნულ ტერმინს უთარგმნელად გადმოიღებდა. ამ შემთხვევაშიც შეუძლებელი იყო ამ ტერმინების უგულებელყოფა, თუმცა მათი მნიშვნელობა ეფრემმა შესანიშნავად იცოდა და არც შესატყვისის ძებნა გაუჭირდებოდა. საქმე ის არის, რომ დედანში მნიშვნელობა ეძლევა ამ ორი სიტყვის ბგერათმსგავსებას. ამიტომაც შენიშნავს ეფრემი:

„თარგმანი. ვინაჲთგან ქართულად არ დაეტეოდა, შემინდევით, სრულად დაგდებასა სიტყჳსასა ბერძულადეე დაწერაჲ ვირჩიე, რამეთუ ბერძნულად მსგავს არიან სიტყუანი ესე „აგენნიტონ“ და „აგენიტონ“ და ორითა ნარითა დაწერილი უშობელსა იტყჳს, ხოლო ერთითა ნარითა დაწერილი – აუგებელსა“ (A 24, 43 r).

ასეევე საინტერესოა ეფრემის სქოლიო „გარდამოცემის“ IX თავში. ეფრემი განმარტავს იოანე დამასკელის შემდეგ მსჯელობას:

„ხოლო შემდგომად და მეორედ უსაკუთრეს სახელ ღმრთისა არს ღმერთი. რომელი იგი ესრეთ ი-სახის-მეტყუელების, რამეთუ სთქუა რა თეონ, ესე იგი არს ღმერთი, ანუ ამით გულისჴმის-ყოფითა იტყჳ, ეითარმედ იგი ხედავს ყოველსა, ანუ ამით გულისჴმის-ყოფითა, ეითარმედ სწუავს, რამეთუ ღმერთი ჩუენი ცეცხლ შემწუელ არს და განმლეველ ყოელისა სიბოროტისა“ (A 24, 46 v, I).

ეს მსჯელობა, ცხადია, ქართველი მკითხველისათვის გაუგებარი იქნებოდა სათანადო განმარტების გარეშე. მართლაც, რაკი ღმერთს თეოს (Θεὸ) ეწოდება, რატომ ნიშნავს ეს იმას, რომ ჩვენ ვგულისხმობთ ყოელისმხედველობას მისას და ცეცხლ-დამწველობას? სხვათა შორის, არსენ იყალთოელს არ უზრუნია ამის გასამარტავად, ხოლო ეფრემს საჭიროდ მიუჩნევია განმარტება:

„თარგმანი“. უწყებაჲ ჯერ არს, ეითარმედ ვინაჲთგან ბერძენთა ენითა აღუწერია წმიდისა იოანე დამასკელისა წიგნი ესე, ამისთჳსცა ბერძულად სახის-მეტყუელებს სიტყუათა ამათ, რამეთუ ბერძულად ღმერთსა თეონე ეწოდების და ხედვასა თეორია, ხოლო ცეცხლსა ეთინ საღრამმატიკოსოჲთა სიტყჳთა. ამისთჳსცა სახელი ღმრთისაჲ, რომელ არს თეონ, მსგავსებისაებრ მათ სიტყუათაჲსა უ-სახის-მეტყუელებია და ხედვისაგან, რომელ არს თეორია, ყოველთა მხედველად უთარგმნია სახელი ღმრთისაჲ და ცეცხლისაგან, რომელ არს ეთინ, ცეცხლად უთქუამს, ეითარმედ „ღმერთი ჩუენი ცეცხლ შემწუელ არს“ (A 24, 46 v).

თავისთავად ცხადია, ქართულ თარგმანში შეუძლებელი იყო ამ სიტყვათა თამაშის ღაცვა ღა უკომენტაროო თარგმანი გაუგებარი ღარჩებოდა.

XII თავთან დართული სქოლიო სხვა მხრივ არის საინტერესო, აქ მთარგმნელი სქოლიოში ქართულ ტერმინს განმარტავს სინონიმით: „ნამდულეობაჲ ჭეშმარიტად გამოითარგმანების“ (A 24, 48 r).

XIII თავში A 24 ნუსხის 50 r გვერდზე არის ხელნაწერისვე ხელით შენიშვნა: „შეისწავე ყოველივე, რაჲცა იმერსა კაპიტონსა (sic!) წერილ არს, ეიდრე დასრულებამდე ამის თავისა ეინცა იკითხვიდეთ ანუ სწერდეთ“. აქ ცხადია, რაზეც არის ლაპარაკი, ხოლო გაუგებარია სიტყვები – „იმერსა კაპიტონსა“. ხომ არ ნიშნავს ეს სიტყვები „იმ თავს“ (ლათ. caput).

XV თავში, რომლის სათაურია „საუკუნეთათუს“, არის ასეთი მსჯელობა:

„საუკუნო სახელ-ედების აწინდელსა ამას საწუთროსა ცხოერებასა და საუკუნო ყოფადსა მას შემდგომად აღდგომისა დაუსრულებელსა ცხორებასა.[2] კუალად

[2] მათე, 12, 32.

საუკუნო ითქუმის არცა ჟამი, არცა ნაწილი ჟამისაჲ, არამედ რომელი იგი ყოფადთა მათ დაუსრულებელთა საუკუნეთა თანა განგრძელდების, ეითარცა ძრეაჲ და განვრცომაჲ წელიწდისაჲ (A 24, 51 r, II – 51 v, I).

ამ დებულებას ეძღვნება ეფრემ მცირის შემდეგი კომენტარი: „დაღაცათუ საუკუნეთა სახელი არა დიად საცნაურ არს ჩუენსა ენასა და ერთი ოდენ გუგონია მერმე იგი საუკუნეჲ, არამედ აწ ისწავე პირველად სამოციქულოჲთა სიტყუთა, ვითარმედ მან თავადმან შექმნა საუკუნენი. და ამისსა შემდგომად „ქრისტე იშვებისსა“ იგი სიტყუაჲ, რომელ იტყჳს, ვითარმედ „საუკუნე არცა ჟამი არს, არცა ნაწილი ჟამისაჲ“ – თანა შეატყუ აწინდელსა ამას საკითხავსა და ცან, ვითარმედ მრავალ სახედ ითქუმის ბერძნულად სახელი საუკუნისაჲ (51 v).

ამ შემთხვევაში ეფრემ მცირეს უთარგმნელად არ დაუგდია ბერძნული სიტყუა ὁ αἰών (gen. αἰῶνος), მაგრამ საჭიროდ მიუჩნევია აღენიშნა, რომ ამ სიტყვას მრავალი მნიშვნელობა ახასიათებს, მართლაც ὁ αἰών ნიშნავს საუკუნეს, სიცოცხლეს, მოდგმას (αἰῶνα ἐς τρίτον – მესამე მოდგმამდე, – ესქილე), შთამომავლობას, ხვედრს, ბედს, დროს, ეპოქას, მარადიულობას და ბოლოს, პინდარესთან ზურგის ტვინსაც კი.

ამაეე თაეში ეფრემი განმარტავს იოანე დამასკელის მიერ მოხსენებულ ორიგენის მწვალებლობას. ტექსტში სწერია:

„შემდგომად მერმისა მის აღდგომისა არღარა დღითა და ღამითა აღირიცხუვოდინ ჟამნი, არამედ იყოს ერთი დღე შეუმწუხრებელი, რაჟამს ბრწყინვიდეს მზე იგი სიმართლისაჲ და განანათლებდეს, ხოლო ცოდვილთათჳს იყოს ღამე განუნათლებელი და ტანჯვაჲ დაუსრულებელი, ვინაჲცა ვითარღა აღირაცხოს ათასი იგი წელი მსგავსად ოროგინეს (sic) სიჩჭურისა“ (A 24, 51 v, II – 52 r, I).

ეფრემის სქოლიოში ასეთ განმარტებას ეკითხულობთ: „თარგმანი. ოროგინეს საცთურსა განაქიქებს, რომელი იგი იტყოდა, ვითარმედ შემდგომად ათასისა წელიწდისა აღსასრული ყოფად არს საუკუნეთა სატანჯველთაჲ. ამისთჳსცა შეიწუენა“ (A 24, 52 r).

ეს რწმენა, რომ საიქიოში სულები ათასი წლის განმავლობაში განიცდიან სატანჯველს, წინააღმდეგ ქრისტიანული რწმენისა, რომლის მიხედვით უცოდველნი სასუფეველში განისვენებენ, ხოლო ცოდვილთა ტანჯვა მარადიულია, მოდის ჯერ კიდევ ბერძნულ-რომაული წარმართული რელიგიიდან. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ვერგილიუსის ცნობილი „ენეიდა“. ამ პოემის VI წიგნში ანქიზეს სული მის სანახავად საიქიოში ჩასულ შვილს – ენეასს უხსნის, რომ ადამიანთა ცოდვილი სულები ათასი წლის მანძილზე ელოდებიან თავიანთ ჯერს, რომ წიაღველონ აქერონტი და ბოლოს მოხვდნენ ნეტართა სავანეში. ათასი წლის შემდეგ სულებს ავიწყდებათ მიწიერი ცხოვრება და ნეტართა სავანეში უკვე ელოდებიან თავიანთ რიგს, რომ კვლავ ამოვიდნენ საიქიოდან და ჩასახლდნენ ახალშობილ ადამიანთა სხეულში:

თავდაპირველად ცას და მიწას, თუ წყლიან ვაკეს,
მთვარის ელვარე გლობუსს, თუნდაც ტიტანის მნათობს
სული უდგას და ჩაღერილი აქვს გონების ძალა,
რაც სიდიადით ამოძრავებს, ტანთან შერთული.
აქედან არის კაცთა მოდგმა, მხეცთა, ფრთოსანთა,
გინა ურჩხულთა, მარმარილოს ზვირთში რომ სრბიან.
თესლს ზეციური, ცეცხლოვანი ძალა თან ახლავს,
თუ მას სხეული არ აწამებს ავისმორბედი
და არ აჩლუნგებს მიწა მხვრელი, თუნდ მოკედავთ გვამი.
ამის შიში აქვთ, მწუხარებენ და უხარიათ,

ცას არ ხედავენ ბრმა ჯურღმულში ჩაკეტილები.
ამიტომ, ოდეს მათ სიცოცხლის სინათლე სტოვებს.
განილტვის არა ყველა ჭირი სხეულებრივი,
არამედ იგი, რაც დიდიხნით მასთან შეზრდილა
საოცარი გზით, კიდევ დიდხანს დარჩება სულში.
ამიტომ ძველი ბოროტების გამო სატანჯველს
დიდხანს იტანენ, უნაყოფო ქარში გაშლილან,
ისე მიჰქრიან... ხოლო ზოგი მტანჯველი
ცოდვის მოსაშორებლად, გასაწმენდად კოცონზე იწვის.
როგორც მამები, ვითმენთ. შემდეგ ელიზიუმის
გაელით ამ ნათელ ველ-მინდერებში ცოტანი ვსუნთქავთ,
სანამდის ერცელი დღე და ჟამთა რკალი შეკრული
არ მოგვაცილებს შეზრდილ ლაქას და სუფთა სახით
აზრს არ დასტოვებს ეთეროვანს და კოცონს მარტივს.
ხოლო სხვებს, ოდეს დროის რკალი ათას წელს შეჰკრავს,
ღმერთი ლეთეევის მდინარესთან მოიყვანს ისევე,
რომ უხსოვარი კელავ იხილონ ცის კაბადონი
და მოისურვონ დაუბრუნდნენ მიწიერ სხეულთ".

(„ენეიდა", წიგნი VI, ტ. 724-751).

ქართული მთარგმნელობითი პრაქტიკისათვის განსაკუთრებით, და ზოგადად კი ძველი ქართული მწერლობის ისტორიისათვის, მეტად მნიშვნელოვანია ეფრემ მცირის სქოლიო „გარდამოცემის" XVII თავში. ამ თავში მოტანილია ციტატა პეტრე იბერიელის (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის) თხზულებიდან. იოანე დამასკელი წერს (მოგვყავს ეფრემის თარგმანი): „წმინდაჲ და დიდებული ღმრთისმეტყუელი დიონოსიოს არიოპაგელი იტყუს მათთჳს ესრეთ: „ყოველი ღმრთის-მეტყუელებაჲ, ესე იგი არს საღმრთოჲ წერილი ზეცისა არსებათა ცხრად უწესს და ამათ საღმრთოჲ მღდელთა სრულმყოფელი სამად განჰყოფს სამებისა შემკულებითა: და პირველ ყოფად უკუე იტყჳს ღმრთისა თანა-მყოფთა მარადის და განკრძალულად და უსაშუელოდ მსახურთა, ექუს ფრთეთა მათ სერაბინთა და მრავალ-თუალთა ქერობინთა და წმიდათა მათ საყდართა, ხოლო მეორედ უფლებათა და ძალთა ჴელმწიფებათა, ხოლო მესამედ და დასასრულისა – მთავრობათა, მთავარ-ანგელოზთა და ანგელოზთა".[3]

აქვე ვკითხულობთ ეფრემის საყურადღებო შენიშვნას:

„ნუ გიკჳრს, უკუეთუ ესე სიტყუანი, დიონოსიოს წიგნისაგან ჩემ მიერვე გადა-წერილნი, სხუებრ ჰპოვნე, რამეთუ მუნ იგი ვერ შეეცვალე, ვინაჲთგან შეუძლებელ იყო, არამედ ვითა ეპოე, ეგრე დაეწერე და აწ ესე ვითა ეპოე, ეგრე დაეწერე, რამეთუ წამებად შემოღებული სიტყუაჲ მრავალგზის მცირედ იცვლების წმიდათა მიერ. ხოლო უსრულესი იგი არს თჳთ დიონოსიოს წიგნისა" (A 24, 53 r).

ამრიგად, ეფრემი გვაფრთხილებს, რომ ნუ გაგვიკვირდება, თუ ეს ციტატა არ ემთხვევა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის, ეფრემის მიერვე თარგმნილ თხზუ-ლებას, რადგან მთარგმნელს არ მიუცია თავისი თავისთვის უფლება, რომ იოანე დამასკელის ტექსტი შეეცვალა და შეესწორებინა. არამედ მას რაც უნახავს დამასკელის ტექსტში, ისე უთარგმნია, ისევე როგორც თავის დროზე ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულების თარგმნის დროს ეფრემი არ ცელიდა დედნის აზრს. ეფრემს არ უკვირს, რომ ციტატა საესებით არ ემთხვევა ფსევდო-დიონისეს თხზულების სათანადო ადგილს, რადგან საბუთად მოტანილი ციტატა ხშირად

[3] A 24, 53 r, II – 53 v, I.

იკუმშება ხოლმეო ("მცირედ იცველების"). უფრო სრულად ეს აზრი წარმოდგენილია დიონისეს წიგნშიო. ასეთია ამ სქოლიოს აზრი. აქედან კი მნიშვნელოვანი დასკვნები გამომდინარეობს:

1) როცა ეფრემი იოანე დამასკელის „გარდამოცემას" თარგმნიდა, მას უკვე ნათარგმნი უნდა ჰქონოდა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულება.

2) ეფრემ მცირე უყურადღებოდ არ ტოვებდა სათარგმნ თხზულებაში მოქცეულ ციტატებს სხვა შრომებიდან, მათ პირდაპირ კი არ თარგმნიდა, არამედ პირველწყაროსთან შეაჯერებდა ხოლმე.

იოანე დამასკელის თხზულებაში მართლაც შეკუმშულად არის წარმოდგენილი ფსევდო-დიონისე არეოპაგელის დებულება და ციტატაც არ არის ზუსტი. ამ საკითხზე ფსევდო-დიონისე მსჯელობს თხზულებაში „ზეცათა მღდელთ-მთავრობისათჳს", კერძოდ, ამ თხზულების VI თავში, რომელსაც სათაურად აქვს „თუ რაჲ არს პირველი იგი ზეცისა არსებათა შემკობილებაჲ, ანუ რაჲ არს საშუჯალი ანუ რაჲ არს დასასრული". მოგვყავს ციტატა ამ თხზულების ეფრემისეული თარგმანიდან:

„ყოველთა მათ ზეცისა არსებათა ღმრთის-მეტყუელებამან ცხრა უწოდა საჩინოებითითა სახელის-დებითა. და ამათ სამობითთა შემკულებათა სამად განჰყოფს საღმროჲ იგი ჩუენი მღდელთ სრულმყოფელი".

„და პირველ ყოფად უკუე იტყჳს მარადის გარემო ღმრთისა მყოფთა და უმახლობელესთა მისთა და პირველ ხჳათასა უსაშუელოდ შეერთებულად მისსა მოცემულთა ჩუენდა სიტყჳსა მიერ. რამეთუ წმიდათა მათ საყდართა და თუალმრავალთა და ფრთე-მრავალთა დასსა, ქერობინ და სერაბინ წოდებულთა ენისა მიერ ებრაელთაჲსა, ყოველთა ზეშთა მყოფად მომცემს ჩუენ წმიდათა სიტყუათა საჩინოებაჲ უსაშუელოჲსა მისთჳს მახლობლად ღმრთისა დამყარებულებისა. და ამას სამობითსა შემკულებასა, ვითარცა ერთსა და თანა-მოდასესა, ნამდჳლვე პირველად მღდელთ-მთავრობად იტყჳს დიდებული წინამძღუარი ჩუენი, რომელთათჳს განაცხადებს, ვითარმედ არაჲინ არს სხუაჲ ულმრთისმხილველესი და პირველთა მათ ღმერთ-მთავრობითთა გამობრწყინვებათა უსაშუელოდ უმახლობელესი. ხოლო მეორე ყოფად იტყჳს ჴელმწიფებათა და უფლებათა და ძალთა საესებასა. და მესამედ უკუანაჲსკნელსა მას ზეცათა მღდელთ-მთავრობასა – ანგელოზთა და მთავარ-ანგელოზთა და ძალთა შემკობილებასა".[4]

როგორც ვხედავთ, „გარდამოცემის" ტექსტში დაცულია ფსევდო-დიონისეს დებულების სიზუსტე, მაგრამ, ცხადია, მისი აზრი წარმოდგენილია შეკუმშულად.

ეფრემ მცირე სხვა ადგილასაც ურთავს სქოლიოს, სადაც კვლავ ფსევდო-დიონისეს თხზულებას იძოწებს. „გარდაძოცების" LXIII თავს სათაურად აქვს „ღმერთ-მამაკაცებრისა მოქმედებისათჳს". ეფრემს საჭიროდ მიუჩნეია, განემარტა ეს სათაური, რადგან ეს თავი თვით იოანე დამასკელს დაუწყია დიონისე არეოპაგელის დამოწმებით: „სანატრელმან დიონოსიოს ახლითა რაჲთმე ღმერთ-მამაკაცებრივითა მოქმედებითა ქმნილად ქადაგა მოქალაქობაჲ ქრისტესი ჩუენ შორის" (A 24, 102 r, II – v, I).

ეფრემ მცირე სქოლიოში წერს:

„თარგმანი. უკუეთუ რადმე დაგიკურდებოდის „ღმერთ-მამაკაცი", უჩუეველობისათჳს ენისა, ესე მას აბრალე, ვის „ნეტარ არს მამაკაცი" „ნეტარ არს კაცად" დაუწერია და არა მაშინვე შუენიერი და უცხოჲ სახელი მოუპოვებია, რაჲთამცა და ჩუეულ ვიყვენით. ხოლო აწ უწყოდე, ვითარმედ ვის ღმერთმან მისცეს წმიდისა

[4] პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა, თბილისი, 1961, გვ. 117–118.

დიონოსიოჲს წიგნისა თარგმნაჲ, მრავალთა უჩუეველთა სიტყუათა სურ[.....] მოპოვნებაჲ, რამეთუ წმიდისა დიონოსის თქუმულნი ყოველნი საწარმართოჲთა სიტყჳთა არიან დასნი. არიან სიტყუანი ესე – ღმერთ-მთავარი და ღმერთ-მამაკაცობაჲ და ყოველსა [თარგმანი] აქუს" (A 24, 102 r).

ეს სქოლიო თავისთავად საინტერესოა იმით, თუ როგორ უდგებოდა ეფრემი ცალკეულ თეოლოგიურ ტერმინებს. ხოლო აქ მოხსენიება დიონისეს წიგნის თარგმანისა არ გულისხმობს იმას, რომ ეფრემს უკეე არ ჰქონდა ნათარგმნი მისი თხზულებანი. ყოველ შემთხვევაში, ამ სქოლიოს არ შეუძლია გამორიცხოს XVII თაეში მოთაესებული სქოლიოს ცნობა იმის შესახებ, რომ ეფრემს უკეე ნათარგმნი ჰქონდა ფსეედო დიონისეს თხზულება, ყოველ შემთხვევაში „ზეციური იერარქიისათვის" მაინც. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ვინც ხელს ჰკიდებს დიონისეს თხზულებათა თარგმანს, მას უხდება ბევრი უჩეულო ტერმინის შემოღებაო. ამას ეფრემი საკუთარი გამოცდილებით ამბობს.

„გარდამოცემაში" ციტატის საკითხს ეხება აგრეთვე ეფრემ მცირის სქოლიო, რომელიც განმარტავს თხზულების მესამე თაეში მოქცეულ ციტატებს საღმრთო წერილიდან (I კორ. XV, 32, შეს. IX, 3, გამოსლე. III, 6, სიბრძნ. III, 1 და სხვ.):

„შეისწაევე ვითარმედ ესე საწინაჲსწარმეტყუელონი სიტყუანი არა უმეცრებით დამიწერიან სხუებრ, არამედ ესრეთ ჵპოენ დედასა შინა" (A 24, 136 r).

ამ სქოლიოდან ნათლად ჩანს, რომ ეფრემ მცირე „სხუებრ" მარტო ციტატების თარგმანით როდი კმაყოფილდებოდა, არამედ პირველწყაროებთან შეაწამებდა ხოლმე მათ. ჭეშმარიტად გასაოცარია ჩვენი სასიქადულო მოღეაწის შრომისუნარიანობა და მეცნიერული კეთილსინდისიერება.

თხზულების XX თაეში არის მსჯელობა დღისა და ღამის შესახებ. აქ იოანე დამასკელი ამბობს, რომ ზოგნი დედამიწას სფეროდ მიიჩნეენ და როცა მის ზედაპირზე დღე არის, მის ქვემოთ ღამე არისო. ხოლო სხეები კი დაეით წინასწარმეტყეელის ნათქეამიდან გამომდინარე, თელიან, რომ დედამიწას აკრავს ცის კამარა, რომელზედაც მნათობნი მოძრაობენო. იოანე დამასკელი არ უარყოფს არცერთ დებულებას, არამედ ამბობს, რომ როგორც არ უნდა იყოს, ცხადია, ეს ყოველივე საღმრთო ბრძანებით შექმნილიაო. რაც შეეხება ქართველ მთარგმნელს, აშკარად იგრძნობა, რომ მისი სიმპათია მთლიანად საღმრთო წერილისაკენ არის. ამას ცხად-მეტყველებს ეფრემის სქოლიო:

„თარგმანი. უსარწმუნოეს არიან ორთა წინაჲსწარმეტყუელთა წამებანი უფროჲს ბევრეულთა ურწმენოთასა" (A 24, 55 r).

იმავე თაეში კელავ ამ მსჯელობას ეხმაურება ეფრემ მცირის შემდეგი სქოლიო:

„შეისწავე, ვითარმედ ყოველივე ზემო-წარმოთქუმული სხუათა მაგიერად და საეჭუად უთქუამს, ხოლო თუთ წმიდაჲ ესე მტკიცედ ამას ოდენ იტყუს, ვითარმედ „გინათუ ესრეთ, გინათუ ეგრეთ" და შემდგომსა მისსა"(A 24, 55 v) .

ამრიგად, ეფრემ მცირეს არ უნდა, რომ მკითხველმა იოანე დამასკელს მიაწეროს ან ერთი ან მეორე მოსაზრება. ამიტომ იგი გეაფრთხილებს – ავტორი მტკიცედ მხოლოდ იმას ამბობს, რომ როგორც არ უნდა იყოს, ყოველივე ღეთის ნებით მოხდაო.

63-ე ფურცლის ორსაეე გეერდზე მოთაესებული ერცელი სქოლიო ეფრემ მცირის ორიგინალურ ნაშრომს არ წარმოადგენს ქართველ მთარგმნელებს იგი ბერძნული მანუსკრიპტის სქოლიოდან უნდა გადმოეთარგმნა, მაგრამ, ეფიქრობთ – არა ეფრემს. ამ სქოლიოს შემდგომ განეიხილაეთ.

XXV თაეში არის სქოლიო, რომელიც განმარტავს ტერმინებს – „გრძნობაჲს" და „საცნაურს":

„გრძნობადად ეწოდების ყოველადეე ხილულსა, ხოლო ოდესმე შესახებელსაცა. ხოლო საცნაური – გონებითა ოდენ ცნობილსა და თუალითა არა ხილულსა. და ოდესმე იშუთ ცხადისაცა საქმისათუს ითქუმის საცნაურებაჲ“ (A 24, 64 r).

„გარდამოცემის“ XXVI თავში A 24 ნუსხის 65 r-ს აშიაზე არის შენიშვნა: „დედასა ესრე ეწერა, შემინდევით, თუ არა მეცა შევატყუ წინა-უკმოობაჲ სიტყუათა...“

სამწუხაროდ, გაურკვეველია, თუ რას გულისხმობს ამ შენიშვნის ავტორი, რა ეწერა დედანში და რატომ მიაჩნია იგი საეჭვოდ ეფრემს.

„გარდამოცემის“ XXX თავში (“გულისწყრომისათუს“) არის ასეთი წინადადება: „ხოლო სახენი გულისწყრომისანი სამ არიან: პირველად რისხეაჲ, რომელსა ეწოდების ნაღლულეა...“.[5]

ეფრემი განმარტავს სიტყვას „ნაღლულეა“:

„საცნაურ იყავნ, ეითარმედ ეითარ იგი ჩუენ წყრომასა კაცისასა განმწარებად უწოდთ, ეგრეთვე ბერძენნი ნაღლულად სახელს-დებენ“ (A 24, 67 v).

XXXVI თავში (“ენებისათუს და მოქმედებისა“) არის ასეთი წინადადება:

„აწ უკუე აღძრეაჲ გულისაჲ, უკუეთუ ნაწლევთაგან იყოს, ბუნებითი არს, ამისთუსცა მოქმედება სახელ-ედების და არს, ხოლო უკუეთუ ნაწევართაგან იყოს, უზომო არს და არა ბუნებით, ამისთუსცა ენებად სახელ-იდების „ (A 24, 70 v, II).

ეფრემ მცირე ამგვარად განმარტავს ამ დებულებას:

„განსაზღერებაჲ. ამისთუს გულისაჲ უკუე ძარღუთა მიერი ვიდრემე მოძრაობაჲ, ეითარცა ბუნებითი, მოქმედებაჲ არს, ხოლო ნესტუთა მიერი, ეითარცა უზომოჲ და არა ბუნებითი, ენებაჲ არს, და არა მოქმედებაჲ (A 24, 70 v).

ამავე თავში 71 r გვერდზე ზედიზედ რამდენიმე სქოლიო გვხვდება. ისინი იმით არიან საყურადღებონი, რომ იძლევიან ტექსტში შესული ტერმინების ვარიანტებს, სინონიმურ სიტყვებს. ამრიგად, ვღებულობთ შემდეგ წყვილებს: ცნობითი-მეცნიერებითი, ნებაჲ-თნებაჲ, აღძრვითი-წადიერებითი. საიდან მოდის ეს სინონიმური წყვილები? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ეფრემის მიერვე შერჩეული წყვილებია, რომელთაგან წყვილისცალები მთარგმნელს ტექსტში შეუტანია, მაგრამ საჭიროდ მიუჩნევია, აშიაზე მოეთავსებინა მათი შესაძლო ექვივალენტი? თუ შევადარებთ ამ ადგილს არსენ იყალთოელის თარგმანს, საინტერესო მოვლენას შევამჩნევთ. არსენ იყალთოელის თარგმანს აშიებზე მსგავსი შენიშვნები არა აქვს, მაგრამ ტექსტში შესულია სწორედ ის მეორე წყვილისცალები, რომელნიც ეფრემის ვერსიაში აშიაზე დარჩენილან: მეცნიერებითნი, თნებაჲ წადიერებითნი (S - 1463, 72 v, II). ნუთუ ეს არის არსენის წვლილი ეფრემის თარგმანში, მისი „თანამოღუაწება“? ეფიქრობთ, ასეთი დასკვნის გამოტანა გაჭირდებოდა. უფრო საგულვებელია, რომ რომელიღაც რედაქტორს, რომელსაც, როგორც ჩანს, ეფრემის თარგმანი არსენის ვერსიისთვის შეუდარებია და, როგორც ვნახეთ, შეუვსია კიდეც იგი არსენის თარგმანის ცალკეული ადგილებით, მიუწერია აშიაზე ის სიტყვები, რომელთაც არსენის თარგმანში შეცვალეს ეფრემის მიერ მიღებული ტერმინები.

ასეთივე უნდა იყოს XXXIX თავში ერთი შენიშვნა. ტექსტში შესულ სიტყვას „იძულებასა“ აშიაზე მიწერილი აქვს „დამთხუეასა“. მართლაც, შესაბამის ადგილას არსენის თარგმანში ეფრემის ტერმინი „იძულება“ შეცვლილია „დამთხუეით“ (შდრ. A 24, 75 r, I და S 1463, 74 v, I).

L თავში არის ასეთი წინადადება:

[5] A 24, 67 v, I.

„და ეგრეთვე განკაცებასა მას შინა ერთისა მის წმიდისა სამებისაგანისა სიტყუსა ღმრთისასა ეიტყჳთ ყოფად, ეითარმედ სრული და ყოველიეე ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ“... (A 24, 84 v, II). ამ წინადადებას ასეთი შენიშვნა ახლავს:

„ერთისა მის გუამისა თუსისა მიერ შეეერთა ყოველსავე კაცობრიესა ბუნებასა და ა[რა კერძოჲ კერ]ძოსა“ (A 24, 84 v). ეს აზრი მომდინარეობს ამავე თავის სათაურიდან: „ეითარმედ ყოველი საღმრთოჲ ბუნებაჲ ერთისა მის გუამისაჲ მიერ მხოლოდ-შობილისა ძისა სრულებით შეეერთა ყოველსა კაცობრიესა ბუნებასა და არა კერძოჲ-კერძოსა“ (A 24, 84 v, I).

L თავს (“ერთისა მისთუს გუამისა სიტყუსა ღმრთისა“) ახლავს სამი სქოლიო. მათ შორის საინტერესოა სქოლიო A 24 ნუსხის 86 v გვერდზე: „ესე ზედა-წარ-წერილისა კითხ[ვა]ჲ საწარმართოთა წიგნთაჲ არს და ეის იგი არა ესწაელნენ, ნუ უკჳრს, თუ ვერ გაიგონოს“. სამწუხაროდ, ამჯერად გაუგებარია, თუ რომელ „ზედა-წარწერილ კითხვას“ ან სქოლიოს გულისხმობს ეს შენიშვნა. A 24 – ნუსხას, ყველაზე ძველს და საუკეთესოს ეფრემის თარგმანის შემცველ ნუსხათა შორის, დღეს აღარ ეტყობა კვალი, რომელსაც ეს შენიშვნა უნდა გამოეწვია.

ამ თავში არის ასეთი წინადადება: „რამეთუ განჴორციელდა რაჲ სიტყუაჲ, არავე იქცა თუსისა უნიეთოებისაგან და ყოვლად განჴორციელებულ არს... გარე-შეუწერელ არს. დამცირდების ჴორციელად და დაკნინდების, ხოლო ღმრთეებით გარე-შეუწერელ არს, რამეთუ არა თანა-განვრცელებულ იქმნეს ჴორცნი მისნი გარე-შეუწერელობასა თანა ღმრთეებისა მისისასა“ (A 24, 86 v, I).

ამ მსჯელობას განმარტავს შემდეგი სქოლიო:

„შეისწაეე სამეცნიეროჲ განსაზღერებაჲ: [შეი]ცან, [რამეთუ] სხეულეან[...]ე [არ]იან არცა ყოველი ეპიფანია, არცა ერთი ღრამმ, არცა ჯამ. ამის თავისა გაგონებისათჳს თ[უ] გსუროდის თავით კერძოთა საფილასაფოსოთა თავთა მეათე-ქუსმეტე თაეი წაიკითხე და გაიგონე ზედა-მიწევნით და მისგან ესეცა ადეილად გაიგე...“ (A 24, 86 v).

სქოლიასტი მიუთითებს „დიალექტიკის“ მეთექვსმეტე თავს, მაგრამ ამ საკითხზე არის საუბარი აგრეთვე „გარდამოცემის“ მომდევნო LII-ე თავში, სადაც ეკითხულობთ:

„ბუნებანი უფლისანი არცა ერთ გუამ არიან, არცა ერთ განცხადება, არცა ერთ ასო, არცა ჯამ, არცა ადგილ...“ (A 24, 86 v, II).

არსებითად აქ იგივე აზრია გამოთქმული, რაც წინა თავის სქოლიოში, მაგრამ საყურადღებოა ის, რომ სქოლიოში გადმოცემული ტერმინები „ეპიფანია“ და „ღრამმ“ არ გეხვედება შემდგომი თავის თარგმანში, ისინი შეცვლილია ქართული ტერმინებით. მაგრამ იქნებ ეფრემი თარგმანში იცავდა ენობრივ პურიზმს, ხოლო სქოლიოში ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა? ეს რომ ასე არ არის, ცხადი გახდება, თუ მოვიტანთ იმავე ნაწყვეტის არსენისეულ თარგმანს: „ბუნებანი ქრისტესნი არცა ერთ სხეულეან სიზრქე არიან, არცა ერთ ეპიფანია, არცა ერთ ღრამმ, არცა ჯამ, არცა ადგილ...“ (S - 1463, 80 r, I).[6]

როგორც ეხედავთ, ეფრემის თარგმანში გამონახულია ქართული ტერმინები: განცხადება (ეპიფანია, ἐπιφάνεια) ასო (ღრამმ, γραμμή), ჯამ (χρόνος), ადგილი (τόπος), ხოლო არსენს ორი ტერმინი – ἐπιφάνεια და γραμμή უთარგმნელად გადმოუღია. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სქოლიოში ეფრემმა ბერძნული ტერმინი იხმარა, ხოლო მომდევნო თავში ტექსტში ქართული ტერმინები შეიტანა, მაგრამ რაკიღა სქოლიო ემთხვევა არსენის თარგმანს და განმეორებუ-

[6] შდრ. დედანი: αἱ τοῦ Κυρίου φύσεις, οὔτε ἐν σώμά εἰσιν, οὔτε μία ἐπιφάνεια, οὔτε μία γραμμή, οὐ χρόνος, οὐ τόπος... PG, t. 94, col. 1013.

ლია არა მარტო „ეპიფანია“ და „ღრამმ“, არამედ ეფრემის „გუამის“ ნაცვლად, რომელსაც იგი სისტემატურად იყენებს σῶμα-ს შესატყვისად, გვაქვს „სხეულეანი“, ხოლო არსენი იმავე ბერძნულ σῶμα-ს სისტემატურად „სხეულად თარგმნის“, უნდა ვიფიქროთ, რომ საანალიზო სქოლიო ეკუთვნის არა ეფრემს, არამედ იმ რომელიღაც რედაქტორს, რომელსაც ხელეწიფებოდა ეფრემის თარგმანის შეესება არსენის ტექსტით. ჩვენ ვნახეთ, რომ ასეთი ოპერაციები არც თუ იშვიათად უწარმოებია რომელიღაც მოღვაწეს არსენის თარგმანის გამოსელის შემდეგ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ სიტყვა, რომლის ამოკითხვა სქოლიოში გაჭირდა და მხოლოდ უკანასკნელი ასო ე იკითხება გარკვევით, უნდა იყოს „სიზრქე“. მაშინ ჩვენ მივიღებთ სინტაგმას – „სხეულეან სიზრქე“ და სქოლიო მით უფრო დაემთხვევა არსენის თარგმანს. ასე რომ, ეფრემის თარგმანში თურმე ყველა სქოლიო როდი უნდა ეკუთვნოდეს ეფრემ მცირეს.

LI თავის დასასრულს ვკითხულობთ ასეთ მსჯელობას:

„საცნაურ იყავნ, ვითარმედ ურთიერთას დატევნასაღა თუ ვიტყუთ უფლისა ბუნებათასა, გარნა უწყოთვე, ვითარმედ საღმრთომან ბუნებამან დაიტია კაცობრივი ბუნებაჲ, რამეთუ იგი ჰმართებდა მას და დაიტევდა, ვითარცა უნდა, ხოლო იგი არა დაიტეოდა მისგან და კუალად ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ მისცემდა ბუნებასა ჴორცთასა დიდებულებისაგან თუსისა, ხოლო თუთ მიუახლებელად ეგო და შეუხებელ იყო ვნებათაგან კაცობრივთა. რომელი ესე უკუეთუ მზესა ზედა ესრეთვე არს, რაოდენ უფროჲს შემოქმედსა ზედა მზისასა და უფალსა“ (A 24, 86 v, I-II). სქოლიოში ასე არის განმარტებული ეს არც თუ ისე ნათელი ანალოგია:

„შეისწავე განსაზღერებაჲ. თარგმანი: უკუეთუ მზე სხუათა მისცემს თუსისა ბრწყინვალებისაგან და თუთ არაეისისა მიიღებს უშუერებისაგან, რაოდენ არა უფროჲს ღმერთმან ყოს ესე“ (A 24, 86 v). მაშასადამე, სქოლიასტის განმარტებით იოანე დამასკელი აქ ამბობს, რომ ღმერთი კაცობრივ ბუნებას აძლევდა თავის დიდებულებას, ხოლო თვით ადამიანური ვნებისაგან ისევე იყო თავისუფალი, როგორც მზე, რომელიც სხივებს აძლევს, თვით სანაცვლოს არაეისაგან არ იღებს. თუკი მზეს ეს შეუძლია, მის შემოქმედს, ღმერთს ხომ უფრო შეეძლებაო!

LIV თავში გვხვდება ასეთი წინადადება:

„ხოლო ერთითა უფლებითა ერთსა მას არსებასა და მეუფებასა ღმერთ-მთავრისა სამებისასა გუაუწყებენ ჩუენ... (A 24, 88 r, I–II). ეფრემს მიუჩნევია, რომ ტერმინი „ღმერთ-მთავრობა“ (θεαρχική) განმარტებას მოითხოვდა. მართლაც, თითქოს ეს ტერმინი უხერხულიც კი ჩანს ქრისტიანული დოგმატიკისათვის, თუ მასში გარკვეული ცნება არ იქნება ჩადებული. θεαρχική შეიძლება მიჩნეულ იქნას პოლითეისტური რელიგიის ტერმინადაც. ამიტომ ეფრემის სქოლიოში ეკითხულობთ:

„თარგმანი. ღმერთ-მთავრობაჲ ითქუმის ზოგად ღმრთისათუს სამითა გუამითა და ერთითა არსებითა ცნობილისა წმიდისა სამებისა, რომელი მთავრობს ღმერთთა ზედა, ესე იგი არს ანგელოზთა და წმიდათა“ (A 24, 88 r).

LV თავში გვხვდება ტერმინი „განუკუეთელი“ (“არა თუსაგან განუკუეთელ და გუამ-ქმნული პირველ გუამი იგი ჴორცთაჲ და ეგრეთღა მიღებული მის მიერ, არამედ თუთ მის შორის მიმღებელი გუამოვნებისაჲ“), რომელიც ასე არის განმარტებული სქოლიოში:

„თარგმანი. საცნაურ იყავნ, ვითარმედ საწარმართოთა სიტყუთა გარეშეთაჲთა განუკუეთელი გუამსა ჰქუან“ (A 24, 88 v).

თვით ამ სათაურშიც გვხვდება იგივე ტერმინი: „სახესა და განუკუეთელსა შინა ხილულისა ბუნებისათუს და განყოფილებისა და შეერთებისა და განჴორცი-

ელებისათჳს და თუ ეითარ გ'ულისჴმა-იყოფების ერთი ბუნებაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ განჴორციელებული".

ბერძნული ზედსართაჲი ἀ-τομος მართლაც განუკვეთელს, გაუყოფელს ნიშნავს, თავის დროზე ეს სიტყვა უწოდეს მატერიის შემადგენელ ნაწილაკსაც, რომელიც განუყოფლად მიაჩნიათ. ეფრემის შენიშვნაშიც მითითებული საწარმართო, გარეშე სიტყვა უნდა გულისხმობდეს სწორედ ატომის ძველბერძნულ, მატერიალისტურ გაგებას, რომელსაც სამყაროს საწყისად ატომი მიაჩნდა. ეს სქოლიო ნათლად გვიჩვენებს ეფრემ მცირის განსწავლულობას „გარეშე, საწარმართო" ფილოსოფიაში.

LVIII თავში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ როცა ქრისტე განკაცდა, იგი, როგორც კაცი, ღმერთს მორჩილებდა: „მორჩილ უკუე ექმნა უფალი მამასა, არა ეითარ ღმერთი იყო, არამედ ეითარ იგი კაცი იყო. რამეთუ, ეითარ იგი ღმერთი არს, არცა მორჩილ არს, არცა ურჩ" (A 24, 93 r, II). ეფრემ მცირე განმარტავს დებულებას, თუ რატომ არ შეიძლება ითქვას ქრისტე-ღმერთზე მორჩილება ან ურჩება. სქოლიოში ვკითხულობთ:

„თარგმანი: „ეითარ არცა მორჩილ არს და არცა ურჩ". გარნა, რამეთუ ერთ არს ნებაჲ მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲ, ხოლო ერთ-ნებათათჳს მორჩილებაჲ და ურჩებაჲ არა ითქუმის. შეისწავე" (93 r).

ამაე თავის დასასრულს ორი სქოლიო ახლავს, რომელთაგან ერთი უცილობლად ეკუთვნის ეფრემს:

„ჯერ-ჩინებისა ღნომა. შეისწავე, ეითარმედ ერთსა ამას სიტყუასა, რომელსა ბერძულად ღნომი უწოდიან, ქართულად ერთი არა რაჲ მოეპოების. ამისთჳსცა [.....] იგი ბერძულადცა [ოცდა]რეაჲ თარგმანი აქ[უს]. ეგრეთვე ქართულად სხუებრ და სხუებრ დასდებენ და იჴმარებენ წმიდანი მამანი ჩუენნი ეფთჳმე და გიორგი მთაწმიდელი, ვითარცა ადგილსა შეეტყუებოდის, რამეთუ ესე მრავალთა სიტყუათა სჭირს ბერძულად. და ესეეითართა მათ სიტყუათა ბერძულად ლექს ჰქუან და სომხურად ქერაკანი, ხოლო ქართულად არ ეიცი, შემინდეეით" (A 24, 94 v). რა თქმა უნდა, ეს სქოლიო მთარგმნელს, ეფრემ მცირეს, უნდა ეკუთვნოდეს. იგი ჩვენ უკვე განვიხილეთ და აქ აღარ გავიმეორებთ.[7]

რაც შეეხება იმაეე გვერდზე მეორე სქოლიოს, იგი ასევე უცილობლად უნდა ეკუთვნოდეს არა ეფრემს, არამედ იმ რედაქტორს, რომელიც არსენის თარგმანის მიხედვით ასწორებდა ეფრემის ნაღვაწს და, საბედნიეროდ, ასეთი ოპერაციების ჩატარებას ხელნაწერის აშიაზე სჯერდებოდა, რედაქტორის სქოლიო შეეხება LVIII თავის დასასრულს:

„და შემოკლებულად ითქუმოდედ, დანიშნულთაებრ მოიღებეის სახელი ჯერ-ჩინებისაჲ" (A 24, 94 v). ეს სქოლიო სხვა არ არის რა, თუ არ პირწმინდად გადმოწერილი წინადადება არსენ იყალთოელის თარგმანიდან, კერძოდ, შესაბამისი LVII თავის ბოლო წინადადება (S - 1463, 83 v, I). „ჯერ-ჩინება", როგორც დედანთან ქართულ თარგმანთა შედარების დროს გაიოვარკეიეთ, არ ახასიათებდა ეფრემის თარგმანს.[8]

LIX თავში გვხვდება სქოლიო, რომელიც განმარტავს ტექსტის შინაარსს. აქ ლაპარაკია ქრისტეს კაცობრივ მოქმედებაზე, შემდგომ აქტორი განარჩევს სულიერ და ხორციელ მოქმედებას და წერს;

„ხოლო მათგან უკუე რომელიმე არს სულისაჲ ოდენ, ხოლო სულ ჴორცთა იჴუმეეს მოქმედად თუსისა მის საქმისა. ხოლო რომელიმე ჴორცთაჲ ოდენ,

---

7 შდრ. ჩვენი გამოკვლევის გვ. 81.

8 იხ. ჩვენი გამოკვლევის გვ. 80.

საცნაურად სულიერ ქმნილთაჲ. ხოლო სხუაჲ იგი შესრულებულ, რამეთუ გონებაჲ წინა-განიხილავს ყოფადსა და ეგრეთღა იქმს მას ჴორცთა მიერ, ვინაჲთგან სული მთავარ არს, ხოლო სამთავრო სულისა არს გონებაჲ და ამის მიერ იჴუმევს ჴორცთა ორღანოდ და იპყრობს მათ და ჰმართებს" (A 24, 95 r, I–II).

სქოლიოში განმარტებულია სიტყვა „შესრულებული": „თარგმანი. შესრულებულ მას ეწოდების, რომელი ზოგად სულისაგან და ჴორცთა და მოქმედებისა სრულ იქმნებოდის" (A 24, 95 r).

LVII თავში გეხვედება ასეთი წინადადება: „...რადმცა სარგებელ იყო ჩუენდა განკაცებაჲ მისი, უკუეთუმცა პირველ ენებული იგი არა ცხოვნებულ იყო და არცა განახლებულ და გაძლიერებულ იყო თანა-შეერთებითა ღმრთისაჲთა?" (A 24, 101 r, I–II). ეფრემი განმარტავს გამოთქმას „პირველ ენებული":

„პირველ ენებულად და უკეთესად კერძოდ ბუნებასა სახელს დებს პირველი ენებულ [. . . . .] ეს მან შეიწყნარა ზრახვაჲ იგი გულისაჲ" (A 24, 101 r). თუმც სქოლიოს ნაწილი არ იკითხება, მაგრამ შინაარსი მაინც გასაგებია. ეფრემის განმარტებით იოანე დამასკელი პირველ ენებულად გულისხმობს ევას (და მასთან ერთად ალბათ ადამსაც), რომელმაც მიიღო გველის რჩევა და ეზიარა ცნობადის ხეს. იქვე განმარტებულია მეზობელი წინადადება: „ამისთჳსცა მიიღო უფალმან სრულებით ყოველიე და უკეთესიცა იგი კერძოჲ კაცთა ბუნებისაჲ, დაცემული სნეულებითა, რათა ყოველსა მას ყოველითურთ ცხორებაჲ მიჰმადლოს" (101 r, II). სქოლიოში ეკითხულობთ:

„ხოლო უკეთესად კერძოდ – რამეთუ სამთავროჲ არს სულისა და მას აქუს ხატებაჲ საუფლოჲ, ცხად არს, ვითარმედ [გარეშეუწერელობითა და უნიეთოებითა (101 r).

ცოტა ქვემოთ ტექსტში მოტანილია ციტატა ძველი აღთქმიდან – „იხილოს ყოველმან ჴორცმან მაცხოვარებაჲ ღმრთისაჲ" (101 v, I).[9] ხოლო სქოლიოში ეფრემი გვაფრთხილებს:

„შეისწავე და ნუ აჰოც (sic) „ჴორცსა", რამეთუ არა ცთომით დაწერილი არს, არამედ ბერძულთა სახარებათაცა და საწინაჲსწარმეტყუელოთა „ჴორცი" სწერია ნაცვ[ლად] „ჴორციელისა" (A 24, 101 v). ზუსტად ასევე აქვს ეს ციტატა თარგმნილი არსენს (S - 1463, 86 v, I). დედანში წერია: Ὄψεται πᾶσα σάρξ τὸ σωτήριον τοῦ Θεοῦ.[10] ასევეა ლათინურ თარგმანშიც: Videbit omnis caro salutare Dei.[11]

LXVII თავში ვხვდებით ასეთ მსჯელობას: „მოშიშებისა სახელსა მრჩობლი გულისჴმის-ყოფაჲ აქუს. რამეთუ ბუნებითი მოშიშებაჲ არს შიში სიკუდილისაჲ, რაჟამს არა ენებოს სულსა განშორებაჲ ჴორცთგან დასაბაჲთგანისა მის თჳსებისა და თანა-ლმობისა, რომელი დაჰნერგა მის შორის დამბადებელმან, ვინაცა ბუნებით ეშინის და ძრწის და იჯმნის სიკუდულისაგან, რომლისა საზღვარ ბუნებით მოშიშებაჲ არს, რეცა შეძრწუნებითისა ძალისა შემკრებელი" (A 24, 104 v, II – 105 r, I).

ეფრემ მცირეს შეუმჩნევია, რომ აქ მსჯელობა არ არის ფორმალურად სათანადოდ გაწყობილი. მართლაც, ავტორი ამბობს, რომ შიში ორგვარიაო, მაგრამ შემდეგ კარგახანს ლაპარაკობს მხოლოდ შიშის ერთ სახეობაზე – ბუნებრივ შიშზე, ამ მსჯელობას A 24 ნუსხის მთელი სეტი უჭირავს, მხოლოდ შემდგომ არის ლაპარაკი შიშის მეორე სახეობაზე, არაბუნებრივ შიშზე. ამიტომ სქოლიოში მთარგმნელი განმარტავს: „შეისწავე განსაზღერებაჲ. ეითარმედ

[9] ესაია, 40, 5.
[10] PG, t. 94, col. 1073.
[11] იქვე, col. 1074.

მრჩობლნი მოშიშებანი ითქუმიან – ბუნებითი და გარეშე ბუნებისაჲ და უფალმან ბუნებითი იგი მიითუალა, ხოლო გარეშე ბუნებისაჲ არა მიითუალა“ (A 24, 105 r).

იოანე დამასკელი მსჯელობს იმის შესახებ, რომ ქრისტემ მიიღო, ვით კაცმა, საჭმელი და სასმელი, მან ნებით „მიითუალა“ ადამიანური ენებანი: „ნეფსითითა ნებებითა მიითუალვიდა ბუნებითთა მათ შემთხუევათა. ვინაჲცა თჳთ შიში იგი და ურეაჲ და მწუხარებაჲ ბუნებითთა და თანა-წარუეალთა ენებათაგანნი არიან და არა ცოდეისა შჯულთა დამოკიდებულ არიან“ (105 r, I– II).

ეფრემ მცირის სქოლიოში ეს აზრი ასეა შემდგომ განვითარებული: „შეისწაევე განსაზღვრებაჲ. ვითარმედ დაღაცათუ ბუნებითად იქმნებოდის ქრისტესა ზედა შემთხუევანი ბუნებითნი, ხოლო არა უჟამოდ და იძულებით, არამედ ნეფსით და ჟამიერად, ოდეს იგი უჴმდა და ჰნებაენ, მაშინ თავს იდებდა მათ“ (A 24, 105 r).

XX თავში არის ასეთი წინადადება: Ἰστέον δὲ ὅτι Θεὸν μὲν σαρκὶ παθόντα φαμέν, θεότητα δὲ σαρκὶ παθοῦσαν, ἢν Θεὸν διὰ σαρκὸς παθόντα, οὐδαμῶς.[12]

ზუსტად აქვს ეს წინადადება ნათარგმნი ეფრემს:

„ხოლო საცნაურ იყაენ, ვითარმედ ღმერთსა ჴორცითა ენებულად ვიტყჳთ, ხოლო ღმრთეებასა – ჴორცითა ენებად, ანუ ღმერთსა ჴორცთა მიერ ენებად არა ვიტყჳთ“ (A 24, 106 v, I). აზრი საკმაოდ ბუნდოვანია. არსენ იყალთოელს ამ ბუნდოვანებისათვის თავი იმით აურიდებია, რომ წინადადების ძირითადი აზრი კი დაუცავს, მაგრამ ფრაზა შედარებით თავისუფლად უთარგმნია: „ხოლო სათანადო არს უწყებად, ვითარმედ ღმერთსა ვიდრემე ჴორცითა ენებულსა ვიტყჳთ, ხოლო ღმრთეებასა ჴორცითა ენებულა[დ] – არასადა“ (S - 1463, 88 v, II).

ეფრემს უცდია ნათელი მოეფინა ამ დებულებისათვის და ასეთი სქოლიო დაურთავს: „ვითარ ღმერთი გუამისა სახელი არს, ხოლო ღმრთეებაჲ ბუნებისაჲ ითქუმის. ხოლო თუ ღმრთეებამან ჴორცითა იენო, ესე არა ითქუმის“ (A 24, 106 v).

LXXII თავს ეფრემის თარგმანში სათაურად აქვს „ხრწნილებისა განყოფილებისათჳს“, ხოლო არსენის ვერსიაში – „ხრწნილებისა და განხრწნილებისათჳს“, რომელსაც შეესაბამება Migne-ის გამოცემის Περὶ φθορᾶς καὶ διαφθορᾶς ანუ ლათინური De corruptione et corruptela.[13]

აქაც, ამ სათაურთანაც, ეგონებ, შეიმჩნევა ეფრემის თარგმანის რედაქტორის ხელი, რადგან სქოლიოში ვკითხულობთ: „შეისწაევენ, თუ ვითარ განიყოფებიან ხრწნილებაჲ და განხრწნილებაჲ“ (A 24, 107 r). მაგრამ დაბეჯითებით ამის მტკიცება ძნელია, შესაძლოა, ეს სქოლიო ეფრემსაც კი ეკუთვნოდეს, რადგან მის მიერ თარგმნილ LXXII თავში ეხედებით როგორც „ხრწნილებას“, ისე „განხრწნილებას“.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ „გარდამოცემის“ VIII თავში მოთავსებული სქოლიო ეფრემ მცირისა, რომელიც ეხებოდა ბერძნულ ტერმინებს „აგენიტონ“ და „აგენნიტონ“. ამავე თხზულების LXXX თავში ავტორი კიდევ ერთხელ უბრუნდება ამ ტერმინებს და ეფრემიც ოდნავ განსხვავებული რედაქციით კვლავ იმეორებს თავის განმარტებას: „თარგმანი. ამათ სიტყუათა ბერძულად დაწერისა მიზეზი ესე არს: რამეთუ ბერძენთა ოდენ ენითა მსგავს არიან სიტყუანი ესე – აგებული და შობილი და აგებულსა გენიტონ ჰქჳან, რაჟამს ერთითა ნ-არითა დაიწეროს, ხოლო რაჟამს ორითა ნ-არითა დაიწეროს, ვითარმედ – გენნიტონ, მაშინ შობილად გამოითარგმანების [. . . . . .] ბერძულად ამათი და [. . . . . .] არცა კუალად სიტყჳსა დაგდებაჲ [. . . . .] უღონო იყო. შემინდევით“ (A 24, 110 v).

[12] PG, t. 94, col. 1094–1096.
[13] PG, t. 94, col. 1097–1098.

სამწუხაროდ, სქოლიო გადარეცხილია და ცუდად იკითხება, მაგრამ მაინც ცხადია, რომ იგი არ განსხვავდება აზრით VIII თავის სქოლიოსაგან.[14]

LXXXVII თავში არის ასეთი წინადადება: „რამეთუ ვითარ იგი თჳნიერ თანა-შეყოფისა ვის სამე ადამი მისგან დაბადებულ იქმნა...“ (A 24, 121 r, II). ამ წინადადებასთან ეხვდებით ეფრემის სქოლიოს (სქოლიოს ნიშანი უზის სიტყვას „ადამი“):

„აქა ნუუკუე და აკ[ლდია]ნცა, ვინ სხუაჲ დამასკელი ჰნახოთ, ეძიეთ ესე ადგილი და იმერიცა [. . . . . .] ადგილი დამიგდია ნუუკუე მუნცა მიგო ყმა [. . . . .] ეგრეთვე დედასა შიგა[ნ] იყო შიშულად დაგდებული. სხუად არა ვიცი. შემინდევით“ (A 24, 121 r).

როგორც ეტყობა, ეფრემის წყაროს, ბერძნულ ნუსხას, სადღაც ამ წინადადებასთან თავისუფალი ადგილი ჰქონდა („იყო შიშულად დაგდებული“), ამიტომ მთარგმნელმა არ იცის აქ რაიმე ტექსტი აკლდა თუ არა, იგი მკითხველს თხოვს, დამასკელის სხვა ნუსხიდან შეავსოს ეს ადგილი. მაგრამ ვერც მისმა უახლოესმა მკითხველმა და თანამოღვაწემ არსენ იყალთოელმა ვერ იპოვა აქ რაიმე ნაკლი და დღესაც დამასკელის თხზულების ხელნაწერებში არ ჩანს, რომ ამ ადგილას რაიმე აკლდეს თხზულებას. ეტყობა, ბერძენმა კალიგრაფმა გამოტოვა ფურცელი, რომელზედაც ცუდად იწერებოდა. ასეთი რამ ძველი მწერლობის პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია.

XC თავში ეფრემს ასე განუმარტავს „ტრაპეზით მსხდომნი“:

„ვეისწაე განსაზღერებაჲ: რამეთუ ტრაპეზით მსხდომ კატალაკთა ეწოდების, რომელ არიან მცვალებელნი დრაკონისანი და მარადის ტაბლაჲ წინა უთქს, ხოლო კატალაკტი მცვალებელად გამოითარგმანების და ტრაპეზით მსხდომი ტაბლით მსხდომად და სახელები ესე ბერძული არს ტრაპეზიცა და კატალაკტიცა“ (A 24, 125 r).

ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეფრემის ერთ სქოლიოს იმავე, XC-ე თავში. ამ თავში ლაპარაკია საღმრთო წერილის წიგნებზე, ძველსა და ახალ აღთქმაზე, ავტორი გადმოსცემს მათ შემადგენლობას. ეზრას წიგნის შესახებ ეფრემის თარგმანში ვკითხულობთ: „ეზრაჲ პირველი და მეორე ერთ წიგნად“ (A 24, 125 v, II). ეფრემი ამ წინადადებას შემდეგ სქოლიოს ურთავს:

„ვეისწაე, რათა რაჲ-ჟამს ეზრაჲ პირველი და მეორე გესმნენ, უწყოდი, ვითარმედ მისივე ერთისა ეზრა ზოროობაბელის წიგნთა იტყჳს პირველად და მეორედ, პირველსა და მეორესა თავსა. ხოლო სხუაჲ იგი ეზრაჲ სუთიელი, რომელ ქართულად არს, არავისგან აღრიცხულ არს წიგნთა თანა და არცა საჩინოდ იპოვების ბერძენთა თანა, ვინაჲცა ნუუკუე დაფარულთაგანი რაჲმე არს და არა საეკლესიოჲ. ამისთჳსცა მრავალთა წმიდათა ესრე სახედვე აღირიცხუვიან წიგნნი და არცა ერთი აჰსენებს სახელსა მისსა. ხოლო ტობისი დაღაცათუ აქა არა მოჰსენებულ არს, პირველად სხუანი მოიჰსენებენცა და აღპრიცხუენ, არა ოცდაორთა თანა, არამედ სტიქარონ უწოდენ, რეცა კიდეგნად რიცხჳსაგან, ვითარ იგი სიბრძნეთაცა სოლომონისსა და ზირაქისსა“ (A 24, 125 v).

ვინ არის ეს „სუთიელი ეზრა?“ რა კავშირი აქვს მას ქართულ მწერლობასთან ერთი მხრით და მეორე მხრით ძველ აღთქმასთან?

ქართულ მწერლობაში ეზრას სახელით რამდენიმე მოღვაწეს ვიცნობთ, მათ შორის ცნობილია X საუკუნეში პალესტინაში მოღვაწე ეზრა მღვდელმონაზონი

[14] შდრ. ჩვენი წიგნის გვ. 89.

და მესეეტე.[15] მაგრამ ჩვენამდე მის თხზულებებს არ მოუღწევია და დანამდვილებით არც ვიცით, რა ხასიათის სამწერლო მოღვაწეობას ეწეოდა იგი. მეორე ეზრა არის X საუკუნის მოღვაწე, ქართველი პიმნოგრაფი, რომლის ერთ საგალობელს (20 იანვრისა) ჩვენამდე მოუღწევია მიქაელ მოდრეკილის ცნობილი პიმნოგრაფიული კრებულის წყალობით. ქ. კეკელიძე ფიქრობს, რომ შესაძლოა ეს მოღვაწე იყოს იგივე „ეზრა, ღირსი, ანჩელი მამამთავარი ეპისკოპოსი, დიდებულთა აზნაურთა დაფანჩულთა შვილი", როგორც იხსენიება იგი გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში". მკვლევარი შენიშნავს: „ცხადია, რომ ეს ეზრა მეათე საუკუნის მწერალია და, მაშასადამე, ის არ არის უღირსი ეზრა, რომელსაც მეთერთმეტე საუკუნეში შეუთხზავს ექვთიმეს მამის, იოანეს, სადიდებელი კანონი".[16] და უკანასკნელ, ქართული მწერლობა იცნობს კიდევ ერთ ეზრას, სწორედ მას, ვისაც იოანე ათონელის სადიდებელი კანონი ეკუთვნის. ქ. კეკელიძე მას „ეზრა მთაწმიდელს" უწოდებს. დაახლოებით იმავე ხანებში მოღვაწეობდა ეზრა ანჩელი, მოხსენიებული „მატიანე ქართლისაში" და სუმბატის „ქრონიკაში", მაგრამ ქ. კეკელიძის აზრით, ეზრა ანჩელი და ეზრა მთაწმიდელი (უღირსი ეზრა) სხვადასხვა პირია.[17] უღირს ეზრას საგალობელი მოთავსებულია 1074 წელს გადაწერილ ცნობილ „ათონის კრებულში".[18] ავტორს გაუმეორებია ექვთიმე ათონელის ბიოგრაფიის ცალკეული ადგილები და ამიტომ ქ. კეკელიძე ასკვნის, რომ მას ეს საგალობელი 1044–1074 წლებში უნდა შეეთხზა.[19] ეზრას საგალობელს ახლავს შემდეგი აკროსტიქი: „იდიდებოდენ აწ მამაჲ იოანე უღირსისა ეზრაჲს მიერ".[20]

რომელი ეზრა შეიძლება იყოს ეფრემ მცირის მიერ მოხსენებული „სუთიელი ეზრა?" როგორც ვხედავთ, ამ სახელით ჩვენთვის ცნობილი მწერლებიდან ორი პიმნოგრაფია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვიცნობთ მათ პოეტურ ნაწარმოებებს, ხოლო სხვათა შესახებ არაფითარი დამატებითი ცნობა არ მოგვეპოვება. ეფრემ მცირის ზემოთ მოყვანილი სქოლიოს მიხედვით, ვინმე ეზრას უნდა ჰქონოდა უშუალო კავშირი ბიბლიასთან, კერძოდ, ძველი აღთქმის წიგნებთან. იგი, შესაძლოა, ყოფილიყო ბიბლიური წიგნების კომენტატორი და დაეწერა რაიმე ეგზეგეტიკური ნაშრომი, ან, შესაძლოა, მას ეკუთვნის რომელიმე აპოკრიფული (დაფარულთაგანი რაჲმე და არა საეკლესიოჲ) თხზულების თარგმანი. როგორც არ უნდა იყოს, „სუთიელი ეზრა" საკმაოდ ჭკვიანი და ცნობილი მწერალი უნდა ყოფილიყო თავის დროზე, რომ ეფრემ მცირეს საჭიროდ მიუჩნევია საგანგებოდ გაეფრთხილებინა მკითხველი – სუთიელი ეზრას ნაშრომს ბიბლიურ წიგნებში ნუ გაურევთო. უფრო მეტიც, ეფრემს ამ აზრის დამტკიცებაც უცდია: სუთიელ ეზრას წიგნი, რომელიც ქართულად არის, არავის არ აღურიცხავს ბიბლიურ წიგნებს შორის და არც ბერძნულად მოიპოვებაო. სამაგიეროდ, დამასკელის თხზულებაში მოუხსენიებელი ზოგიერთი ბიბლიური წიგნი სხვა ავტორთა მიერ შეტანილია ბიბლიური წიგნების ნუსხაშიო. ეს ფაქტი მრავალისმეტყველია. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია „სუთიელ ეზრას" არცერთ ნაშრომს (ასეთი „არასაეკლესიო" თხზულების გადარჩენა ძნელი იყო), მაგრამ ცხადია, რომ თავის დროზე ეს ავტორი გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობდა. შესაძლოა, ეფრემ მცირის მიერ განქიქებული „სუთიელი ეზრა" იყოს იგივე ეზრა მთაწმიდელი, იოანესადმი მიძღვნილი საგალობლის ავტორი, ეფრემის თანამედროვე მოღვაწე, მაგრამ დანამდვილებით ამის თქმა ძნელია.

---

[15] ქ.კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 92.
[16] Op. cit, გვ. 117.
[17] იქვე, გვ. 225.
[18] A 558, 187–201.
[19] ქ.კეკელიძე, op. cit., გვ. 225.
[20] საგალობელი გამოაქვეყნა ს. ყუბანეიშვილმა (კრესტომათია, I, 355–357).

მარტო ამით არ ამოიწურება სქოლიოები, რომელნიც ერთეის ეფრემის თარგმანს. მეტად ხშირია შენიშვნები, რომელნიც მკითხველის ყურადღებას ამახვილებენ თხზულების ამა თუ იმ ადგილზე. ამ შემთხვევაში სწერია ხოლმე „შეისწავე", „განსაზღვრებაჲ" და მისთ. მათ შორის უფრო მნიშვნელოვანნი აქვე მოგეყავს:

„შეისწავე შუენიერი სამეცნიეროჲ" (24, 65 r);

„შეისწავე, ეითარმედ ერთბამად თანად სული და თანად ჴორცნი" (24, 65 r).

„შეისწავენ რეანი შემწამებლობანი: ვინ-ვის, რაჲ-რაჲთა, სადა-ოდეს, ეითარ-რაჲსათჳს (24, 74 v);

„სამეცნიეროჲ შეისწავე განსაზღერებაჲ" (A 24, 84 v).

„შეისწავე, თუ რაოდენნი სახენი არიან ცხოველობისანი" (A 24, 92 r).

„შეისწავე, ეითარმედ ორნი ნებანი არიან ქრისტესნი" (A 24, 106 r).

„შეისწავე, თუ რაჲ არს მსგაესებაჲ ღმრთისაჲ და ხატად მისა დაბადებულებაჲ" A (24, 108 v);

შეისწავე, ეითარმედ აგებულნი არიან ჴორცნი უფლისანი" (A 24, 110 r).

არსენის თარგმანში გაცილებით ნაკლებად არის სქოლიოები. ზოგი მათგანი ეკუთვნის გადამნუსხველს, როგორც მაგალითად, შენიშვნა S - 1463 ნუსხის 58 r გვერდზე: ბუნებითი ინი ჯდა თანსა თანა, მე დავაგდე". თუმცა გაურკვეველია, რომელ სიტყვას გულისხმობს გადამწერი, მაგრამ აშკარაა, რომ იგი გადმოსცემს იმ ნუსხის ორთოგრაფიულ თავისებურებას, რომლიდანაც იწერდა. ასეთივე ხასიათისაა შენიშვნა 74 r გვერდზე, რომელნიც ახლავს სიტყვას „იძულებოდისცა"; გადამწერს მიაჩნია, საესებით სამართლიანადაც, რომ უნდა იყოს „იიძულებოდისცა", მაგრამ ტექსტში ეს სიტყვა ერთი ინით დაუწერია, ხოლო სქოლიოში აღუნიშნავს – „არა ჯდა სხუაჲ ინიო", ე.ი. ხელნაწერში, რომლიდანაც ვიწერდი, ერთი ინი ეწერაო. ასევე, გადამწერისა უნდა იყოს შენიშვნა 101 v გვერდზე, რომელიც ეხება ბიბლიურ სახელს ენოქს: „უნოქ, უნოქ, დედასა ეწერა უნოქ". ბერძნულ დედანში ასეთი ფორმა არ არის ცნობილი და საეჭვოა აქ იგულისხმებოდეს ბერძნული ორიგინალი და ამ შენიშვნის ავტორი გადამწერია, რომლის წყაროში მისდა გასაოცრად იკითხებოდა „უნოქ".[21]

სხვა სქოლიოები არსენ იყალთოელს უნდა ეკუთვნოდეს. მათ შორის ერთგვაროვნად მიგვაჩნია ორი სქოლიო. „გარდამოცემის" XXI (არსენით – XX) თავში, სადაც ჩამოთვლილია ცთომილები – მზე, მთოვარე, ზევს, ერმის, არის, აფროდიტი და კრონოს, სქოლიოში მოთავსებულია მათივე არაბული შესატყვისები, აქ ეკითხულობთ: „კრონოს – ზუჰალი, დია – მუშთარი, არეა – მარიხი, მზე – სამბს, აფროდიტი – ზუჰრა, ერმი – ოტარიდი, მთოვარე – ყამარ" (S - 1463, 45 r). ასევე, თხზულების LXIV (არსენი – LXIII) თავში სიტყვას „ძლევაჲ" აშიაზე აქვს მიწერილი სინონიმი – „მძლეობაჲ" (S - 1463, 87 v).

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია არსენ იყალთოელის ორი ერცელი სქოლიო. „გარდამოცემის" XXI თავში (არსენით – XX) ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მთვარე სინათლეს მზისგან ღებულობს, არა იმიტომ, რომ ღმერთს არ შეეძლო მთვარისათეის მიეჩინა საკუთარი სინათლის წყარო, არამედ იმიტომ, რომ მნათობთა შორის უფროს-უმცროსობა დაედგინა და ჩვენთვისაც ესწავლებინა მორჩილება პირველ ყოვლისა შემოქმედი ღმერთისა და შემდგომად მის მიერ დადგინებულ მთავართა, რომ არ დაგვეწყო დრტვინვა „რაჲსათჳს ისი მთავრობს და მე არა". ამ რეაქციული მსჯელობის შემდეგ იოანე დამასკელი ლაპარაკობს მზის დაბნელების მიზეზზე და აღნიშნავს, რომ ეს მაშინ ხდება, „რაჟამს სხეული

[21] შდრ. PG, t. 94, col. 1217: Ἐνὼχ.

მთოვარისაჲ, ეითარცა შუეა კედელი რაჲმე იქმნას და დაუჩრდილოს და არა უტევოს გარდამოცემად ჩუენდა ნათლისა“ (S - 1463, 66 v, I). აქვე მოცემულია არსენის სქოლიო:

„შეისწავე, ეითარმედ ერთი ხოლო არს ძალი ნათლისაჲ, პირველსა დღესა დაბადებული იგი, რომელი მეოთხესა დღესა, შემდგომად მნათობთა შემზადებისა, მზესა შინა დადვა ღმერთმან ყოველსა და მის მიერ განათლებაჲ განაჩინა მთოვარისა და სხუათა მნათობთაჲ, რათა მორჩილებისა წესი მპყრობელ-ყოს ზეცისათა და ქუეყანისათა შემოქმედმან და მპყრობელმან და წინა-განმგებელმან თანად ყოველთა არსთამან, ვითარცა ცხად-ჰყოფენ საღმრთოთა შინა ფრიადი დიონუსიოს და ჴორცთა თანა გონებითაცა და სიბრძნითა ძმაჲ ბასილისი დიდი გრიგოლი ნოსელი და აწინდელი ესე მამაჲ მნათობი ეკლესიისაჲ, ხოლო გარეშენი ბრძენნი ზოგად ყოველნი“ (S - 1463, 66 v).

აქ არსენი ეხება ბიბლიური კოსმოგონიის საკითხებს და მოწმედ მოიხმობს ავტორიტეტებს — ფსევდო-დიონისე არეოპაგელს (პეტრე იბერიელს) და გრიგოლ ნოსელს, ბასილი კესარიელის ძმას.

ფსევდო-დიონისეს ამ საკითხებზე მართლაც აქვს მსჯელობა თხზულება'ში „საღმრთოჲთა სახელთათუს“, კერძოდ IV თავში, რომლის სათაურია „სახიერებისათუს, ნათლისათუს, კეთილისათუს, ტრფიალებისათუს, განკურვებისათუს, შურისათუს, და ეითარმედ ბოროტი არცა არს, არცა არსისაგან, არცა არსთა შორის“:

„ეგრეთვე სახიერებისა ღმრთისა საჩინოჲ სახე, დიდი ესე და ყოელად ბრწყინვალე და მარადის მნათობი მზე, მრავალ-სასმენელობისაგან ნეშტიღა არს ჴმისა სახიერებისაჲ; და ყოველსავე განანათლებს, რაოდენსა ძალ-უც მიღებაჲ ნათლისა მისისაჲ, და ზეშთა ყოველთა განფენილად აქუს ნათელი თუსი...

და საზომი არს და რიცხუ ჟამთა დღეთაჲსა და ყოელისავე წელიწადთა ჩუენთა მოქცეულისაჲ ხილული ესე ნათელი, რამეთუ თუთ ესე მზე არს ნათელი, დაღაცათუ დასაბამსა მას მაშინ სოფლის შესაქმისასა დაუსახელ იყო... სახიერებაჲ არს, რომლისაგან ყოელი დაიბადა და არს, ვითარცა მიზეზისაგან ყოველთა მომყუანებელისა...

ამითვე საჩინოჲსა ხატისა სახის მსგავსებითა ნათელიცა ესე შემოჰკრებს და მოაქცევს თავისა მომართ თუსისა ყოველთავე მხედველთა მისთა, მოძრაეთა და განათლებადთა და განტფობადთა, ყოველთა მისვე და ერთისა და შარავანდედთა მისთა ბრწყინვალებისა შორის შემოკრებად, ვინაჲცა მზე ეწოდების, რამეთუ ყოველთა მის ქუეშე შემოკრებულ ჰყოფს და შეაერთებს განბნეულებისაგან, და ყოველთა გრძნობადთა მისსა მიმართ სურის ანუ ვითარცა ხელდისათუს, ანუ ეითარცა ძრვისა და განათლებისა და განტფობისათუს და ყოელად მას შინა ჰყრობისათუს სურვიელთა მათ ნათლისათა“... და ა. შ.[22]

მეორე წყარო ამ სქოლიოსი, არსენისაცე თქმით, არის გროგოლ ნოსელის თხზულება. ცნობილ ეგზეგეტიკურ შრომაში „ქაცისა შესაქმისათუს“ გრიგოლ ნოსელი წერს:

„ესრეთ უკუე ყოველივე თუსითა აგებულებითა სრულ იქმნა და თუსსა საზომსა აღიწია და დაესრულნეს საქმედ ცაჲ და ქუეყანაჲ და ყოველნივე ნივთნი შორის მათსა, ვითარცა თქუა მოსე. და შემსგავსებული შუენერებითა თუთოეული მათი შეიმკო. რამეთუ ცაჲ განშუენდა ნათლითა მნათობთაჲთა და ზღუაჲ და პაერი...“ და ა.შ.[23] ამ საკითხზე გრიგოლ ნოსელი მსჯელობს თხზულების პირველ თავში,

---

[22] პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბილისი, 1961, გვ. 32–34.

[23] გიორგი მთაწმიდელის თარგმანი: A 73, 128 v; შდრ. აგრეთვე უწინარესი ქართული თარგმანი ილ. აბულაძის გამოცემით: უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „ქაცისა აგებულებისათუს“, თბ., 1964, გვ. 144. იხ. დედანი: PG, t. 44.

რომელსაც ეწოდება – „რომელსა შინა არს ზოგს რაჲმე სოფლისათჳს ბუნებათა-მეტყუელებაჲ და შემოკლებული მითხრობაჲ პირველ კაცის შესაქმისა დაბადებულთაჲსაჲ“, ხოლო უფრო ერცლად ამაჲე საკითხზე, ცხადია, მსჯელობს ბასილი დიდი – ავტორი „ექუსთა დღეთაჲსა“.

საინტერესოა არსენ იყალთოელის მეორე, გაცილებით ერცელი სქოლიო, რომელიც ერთვის „გარდამოცემის“ XXVI თავს (არსენით – XXV). ამ თავს სათაურად აქვს „კაცისათჳს“. იოანე დამასკელი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ღმერთმა შეჰქმნა გონიერი არსება –კაცი ხატად და მსგავსად ღეთისა. ხატებრიობა ცხად ჰყოფს გონიერებას და თჳითმფლობელობას, ხოლო მსგავსება სათნოებით მიმსგავსებას. ადამიანის დაბადებისთანავე დაიბადა ხორცი და სული ერთდროულად და არა რომელიმე უადრეს და რომელიმე შემდგომად, როგორც ამტკიცებდა ორიგენი. ღმერთმა კაცი შეჰქმნა უბოროტოდ და სათნოდ, „ვითარცა მეორე რაჲმე სოფელი, დიდსა შინა მცირე... მესაიდუმლე საცნაურისაჲ“. აქვე S - 1463 ნუსხის 69 r გვერდზე იწყება სქოლიო, რომელიც მთავრდება 70 r გვერდზე.

„წმიდისა მაქსიმესი. ბოროტ უკუე [. . .] ბუნებასა შინა მდებარეთა [ძალთა დასას]რულისა მიმართ მოქმედებისაჲ არს დაცხრომაჲ და სხუაჲ რაჲთურთიო არარაჲ, ანუ თუ კუალად, ბუნებითთა ძალთა ცთომილი განმრჩეველობაჲ არს სხჳსა მიერ მოძრავი პირუტყულად თუნიერ დასასრულისა მათისა. ხოლო დასასრულად ვიტყჳ მიზეზსა მყოფთასა, რომლისა მიმართ ბუნებით ჰსურის ყოელთა, დაღათუ ჩემებითა დამფარველმან შურისამან ბოროტმან სხჳსა რაჲსმე მყოფთაგანისა მიმართ თუნიერ მიზეზისა მათისა უფროჲს შეცვალა ზაკუით სურეილი და მოძრავობაჲ კაცისაჲ და ამიერ დაჰბადა უმეცრებაჲ მიზეზისაჲ. აწ უკუე ბოროტი არს, ვითარცა პირველ ეთქუ, უმეცრებაჲ კეთილისა მის მიზეზისა მყოფთაჲსაჲ, რომლისა შინაგან იქმნა რაჲ კაცი და ერცლად განახუნა გრძნობანი, საღმრთოჲსა უკუე მეცნიერებისაგან სრულიად დაკლებულ იქმნა, ხოლო აღსავსე ენებულითა მეცნიერებითა გრძნობადთაჲთა, რომელსა მხოლოდ გრძნობადად ოდენ მიიღებდა მსგავსად პირუტყუთა საცხოვართაჲსა კაცი, და პოეა გამოცდილებისა მიერ ხილულისა მის სხეულეანისა ბუნებისა მისისა შემამტკიცებელად მისაღებელობაჲ იგი გრძნობადთაჲ და სამართლად, ვითარცა საცნაურისა სიკეთისა, ესე იგი არს, საღმრთოჲსა შუენიერებისაგან ჭუებული ხილულისა დაბადებულისა ძლით უმეცარ ექმნა ღმერთსა და შემტკიცებისა მიმართ ჭორცთაჲსა საჴმარებისათჳს მისისა ღმერთ-ყო იგი, და ეინაჲთგან თჳთებად აქუნდა ჭორცთა ღმრთად საგონებლისა მიმართ ბუნებითი თუსებაჲ სამართლისა სიტყჳსაებრ შეიყუარა იგი და ყოელითა მოსწრაფებითა მხოლოდ ჭორცთა ძლითისა ოდენ ზრუნვისა და გულსმოდგინებისა ჩუენებითა მსახურ ექმნა დაბადებულსა ნაცვალად დამბადებელისა, რამეთუ ვერვის ძალ-უც სხუებრ მსახურებაჲ დაბადებულისაჲ, არა თუ ყოვლითურთ მზრუნველ იქმნეს ჭორცთასა, ვითარ იგი ვერცა ღმრთისაჲ არა თუ ვინმე სათნოებათა მიერ განიწმიდოს სული, ხოლო ვითარცა ხრწნილების მოქმედისა მსახურებისა ჭორცთაჲსა სრულმყოფელსა კაცსა და მის მიერ [თა]ვის მოყუარე ქმნილსა დაუცხრომელი აქუნდა მოქმედებულად გემოვნებაჲ და ტკივილი მარადის მჭამელსა ხისა მის ურჩებისასა კეთილითა და ბოროტითა ერთბა'შად შერეულისასა, რომლისა გრძნობისა მიერ გამოცდილებით აქუნდა შესამეცნებელობაჲ. და ხედ ცნობადისა თუ ვინმე კეთილისა და ბოროტისა, ხილულისა და აგებულისა ყოფაჲ თქუას, არა სცთეს ჭეშმარიტებისაგან, რამეთუ გემოვნებისა და ტკივილისა შემქმნელი აქუს მისაღებლობაჲ ბუნებით. და კუალად ვინაჲთგან სულიერნიცა სიტყუანი ჰქონან აგებულებასა ხილულთასა მზრდელნი გონებისანი და კუალად ძალი ბუნებითი გრძნობისა უკუე შუებულ-მყოფელი, ხოლო გონებისა გამომზრდელი, ხედ

ცნობადისა კეთილისა და ბოროტისად სახელ-ედეა, რომელსა ცნობაჲ ეიდრემე კეთილისაჲ აქუს განხილულსა სულიერად, ხოლო ცნობაჲ ბოროტისაჲ მიღებულსა ჴორციელად, ვინაჲთგან მოძღუარ ექმნების ენებათა ჴორციელად მიმღებელთა მისთათჳს, ვითარცა დავიწყებისა საღმრთოთაჲსა მომზიდველი მათ ზედა, რომლისათჳსცა ამცნო ღმერთმან კაცთა ჯერეთ დრო-ყოფაჲ მიღებისა მისისაჲ, რათა პირველად, ვითარ იგი უფროჲს სამართალ იყო, მადლით ზიარებისა მიერ მეცნიერ ექმნას მიზეზსა თჳსსა და ეგევითარისა მის ზიარებისა მიერ მადლით მიცემული მისდა უკუდაებაჲ უნებებელობისა და უქცეველობისა მიერ პირეან-ყოს და ვითარცა ღმერთ-ქმნილი განღმრთობითა უნებებელად განიხილვიდეს თავისუფლებით ღმრთისა თანა დაბადებულთა ღმრთისათა და მეცნიერებითა მათითა ამაღლდებოდის, ვითარცა ღმერთი, არა ვითარცა კაცი, მასვე ღმრთისასა მჴონებელი მადლით სიბრძნით ცხობასა არსთასა განსაღმრთობელად გონებისა და შესაცვალებელად გრძნობისა. ესრეთ უკუე თქუა აქა ხისათჳს ყოველთა და შესატყჳსად შესაძლებლისა სახის-მეტყუელებისა მიერ უსაიდუმლოესისა და უაღრესისა სიტყჳსა დამარხჳთა მესაიდუმლოე-ქმნილთათჳს გონებითა, ხოლო ჩუენ მიერ დუმილით პატივის-ცემითა მისითა".

ზუსტად იგიეე სქოლიო, სიტყჳა-სიტყჳით განმეორებული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში უმნიშვნელო ორთოგრაფიული ხასიათის სხეაობას, მოთავსებულია ეფრემ მცირის თარგმანშიც, მხოლოდ არა XXVI თავში, არამედ XXV თავში, რომელსაც ეწოდება „სამოთხისათჳს". სქოლიო მოიცავს 63-ე ფურცლის ორიეე გეერდის აშიებს. რით შეიძლება აიხსნას ეს გარემოება? არსებობს სამი შესაძლებლობა:

1) სქოლიო არ იყო ბერძნულ დედანში. იგი ეკუთვნის ეფრემ მცირის კალამს, ხოლო არსენს გამოუყენებია მზამზარეული ტექსტი.

2) სქოლიო შეღგენილია არსენ იყალთოელის მიერ და ეფრემის თარგმანში გადატანილია ვინმე სავარაუდო რედაქტორის მიერ.

3) სქოლიო იყო ბერძნულ დედანში და თავის დროზე ეფრემის თარგმანში შეიტანა არსენ იყალთოელმა, ხოლო შემდეგ გამოიყენა საკუთარ თარგმანში.

თავიდანვე უნდა გამოირიცხოს ამ საქმეში რედაქტორის ჩარეეა. მართლაც, შეუძლებელია რედაქტორს მივაწეროთ არსენის სქოლიოს გადატანა ეფრემის თარგმანის არა შესაბამის თავში, არამედ სხეაგან. ეფიქრობთ, ეერც იმას დავუშვებთ, რომ რაკიღა არსენის თარგმანი თავნაკლულია, ამიტომ არსენის XXV თავის სქოლიო (დედნისა და ეფრემის მიხედვით – XXV თავი) რედაქტორმა მექანიკურად გადაიტანა XXV თავში და არ გაუწია ანგარიში თავის შინაარსს. ასეთ უყურადღებობას სხეა შემთხვევაში არ იჩენს ჩვენი რედაქტორი. პირიქით, იგი მეტად ფრთხილი და დაკეირვებული ჩანს. როგორც ენახეთ, რედაქტორს ნაწყვეტები არსენის თარგმანიდან გამოყენებული აქვს ყოველთვის შესაბამის ადგილას, თანაც სქოლიოს სახით შეაქვს ტექსტში არა არსენის სქოლიო, არამედ ძირიტადი ტექსტის ნაწილი.

ბერძნულ ხელნაწერებში, რამდენადაც ხელი მიგვიწვდებოდა, ეერ შეენიშნეთ მაქსიმე აღმსარებლის შრომებზე დაფუძნებული სქოლიო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი რომელიღაც ქართველ მთარგმნელს თვით შეუდგენია, მაგრამ სახელდობრ რომელს? როგორც აღვნიშნეთ, გამორიცხულია, რომ არსენის თარგმანიდან გადაეტანათ სქოლიო ეფრემის თარგმანში, ეს სქოლიო თავიდანვე უნდა ჰქონოდა ეფრემ მცირეს. მაგრამ მაშინ ისმის საკითხი: თუ არსენი არ მოერიდა ეფრემის თარგმანზე დართული სქოლიოს უცველელად გამოყენებას, რადგან მას შედგენაში წვლილი ჰქონდა, რატომ იმავე XXV თავს არ დაურთო ეს შენიშვნა? ეფიქრობთ,

უნდა გამოირიცხოს იმის შესაძლებლობაც, რომ საანალიზო სქოლიო რომელიმე ქართველი მთარგმნელის ორიგინალური შრომის ნაყოფად მიეჩნიოთ.

პირველ ყოველისა, უნდა გაირკვეს საკითხი, თუ ეს სქოლიო რომელ თავს უფრო მიუდგება – ოცდამეხუთეს, თუ მომდევნო თავს?

XXV თავში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ღმერთმა შეჰქმნა სამოთხე ნუგეშის და შვების საუნჯედ. ღმერთს არ უნდოდა, ადამიანი ყოფილიყო „მზრუნველი და განმგებელი“ ცხოვრებისა. მაგრამ როცა ადამმა იგემა ხე ცნობადი კეთილისა და ბოროტისა, ამით დასრულდა უენებლობა. საანალიზო სქოლიოში ლაპარაკია კეთილზე და ბოროტზე და ცნობადის ხეზე. ასე რომ, XXV თავში დასაშვებია ასეთი განმარტება. იგივე ითქმის მომდევნო, XXVI თავზე, რომელსაც სათაურად აქვს „კაცისათჳს“. აქაც განაგრძობს მსჯელობას იოანე დამასკელი იმავე საკითხებზე, ამიტომ მსგავსი სქოლიო აქაც შეიძლებოდა მოხვედრილიყო.

ჩვენ ასე გვესახება საკითხის ისტორია: ბერძნულ დედანს, რომელიც ხელთ ჰქონდა ეფრემს, XXV თავში (“სამოთხისათჳს“) ახლდა სქოლიო, სადაც დამოწმებული იყო მაქსიმე აღმსარებელი. ეს სქოლიო გადმოთარგმნა არსენმა, ხოლო ეფრემმა შეიტანა თავის თარგმანში თანამოღვაწის ნაშრომი. შემდგომში არსენმა ხელმეორედ მოჰკიდა ხელი „გარდამოცემის“ თარგმანს, მაგრამ მის დედანში, რომელსაც, როგორც ენახეთ, ერთი თავი საერთოდ აკლდა და XXV თავი, ფაქტობრივად, შეესაბამებოდა XXVI თავს, ეს სქოლიო მოხვედრილი იყო იმ თავში, რომელსაც ეწოდებოდა „კაცისათჳს“. მაშასადამე, სქოლიოს ადგილის შეცვლა თეით ბერძნული ხელნაწერის ბრალი უნდა იყოს. არსენმა ეფრემის რედაქციიდან პირდაპირ გადმოიტანა სქოლიოს საკუთარი თარგმანი.

ქართულ თარგმანთა ტერმინოლოგია

ქართული თარგმანების ურთიერთ-შედარებამ ნათლად წარმოაჩინა მკვეთრი განსხვავება საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიაში. თუ ეფრემის თარგმანში ზოგჯერ ბერძნული ტერმინები ითარგმნებოდა სინონიმური ქართული სიტყვებით, არსენი ცდილობს დედნის ტერმინს ქართული ტერმინი მიუსადაგოს და ამიტომ ერიდება სინონიმების ხმარებას, თუნდაც წინადადებას სტილისტურად აუშნოებდეს სიტყვათა განმეორება. ამავე დროს არსენის ტერმინები აბსტრაქტულნი არიან, ვიდრე ეფრემ მცირისა. არსენ იყალთოელი ტერმინთა აბსტრაქტულობას აღწევს სიტყვათა წარმოების სხვადასხვა ხერხით, როგორიც არის სუფიქსები – ობა და –ება, მოქმედებით, ან ვითარებით ბრუნვაში დაყენებული სახელების ხელმეორედ ბრუნება, კომპოზიტები, ან კიდევ კომბინირებული სიტყვათწარმოება, მაგალითად, სუფიქსით ნაწარმოები ზოგადი სახელის მოქმედებით, ან ვითარებით ბრუნვაში დაყენება და სხვა. მართალია, ეს ხერხები არ არის არც ეფრემის თარგმანისათვის უცხო და განყენებული ტერმინები მასთანაც გეხვედება, მაგრამ სისტემატურ ხასიათს ისინი არსენის თარგმანში უფრო პოულობენ. ბევრი ტერმინი ქართულ თარგმანებში საერთოა, მაგრამ იმდენად ბევრია განსხვავებული, რომ არსენის მიერ „გარდამოცემის“ ხელმეორედ თარგმნის ერთ-ერთი მიზეზი უნდა ვეძიოთ სწორედ თეოლოგიური, ფილოსოფიური თუ საბუნებისმეტყველო ტერმინების შეცვლაში. იმდენად ხშირად მიუჩნევია არსენს საჭიროდ ტერმინთა შეცვლა, რომ მის მიერ ეფრემის თარგმანის სწორებას აზრი არ ჰქონდა, ხელმეორედ თარგმნა სჯობდა.

რომ უფრო ნათელი იყოს ეს დებულება, მოვიყვანთ რამდენიმე დამახასიათებელ ფაქტს.

ბერძნული ტერმინები φαντασία და φάντασμα[24] ეფრემ მცირეს ერთიდაიგივე სიტყვით უთარგმნია: „საოცრებაჲ“ (A 24, 68 r), ხოლო არსენ იყალთოელს სხვადასხვა სიტყვა შეურჩევია, შესაბამისად – „ოცნებაჲ“ და „საოცარი“ (S - 1463, 71 v). ბერძნული θέλημα γνωμικόν[25] ეფრემს უთარგმნია „მეცნიერებითად“ (73 r), ხოლო არსენს – „ჯერ ჩინებითად“ (73 v); εἰμαρμένην[26] ეფრემს უთარგმნია სიტყვით – „იძულებასა“ (75 r), ხოლო არსენს – დამთხუეულსა“ (74 v); γνώμη[27] არსენის თარგმანში ნიშნაეს „ჯერ-ჩინებას“ (83 v), ხოლო ეფრემს ამ სიტყვის შინაარსი სამი სინონიმური სიტყვით გადმოუცია და, ცხადია, ტერმინი, ფაქტობრივად, ვერც მიუღია: „ცნობისა, გინა მეცნიერებისა ანუ განზრახჳსა“ (94 v). საინტერესოა, თუ როგორ თარგმნიან ქართველი მთარგმნელები სიტყვას κτίσις.[28] თუ არსენ იყალთოელის თარგმანში πᾶσα ἡ κτίσις ნიშნავს – „ყოველ აგებულს“, ეფრემის თარგმანში იგი მხოლოდ ნიშნავს „აგებულს“, სამაგიეროდ τὰ κτίσματα არსენს უთარგმნია სიტყვით „აგებულთა“, ხოლო ეფრემ მცირეს – „აგებულებათა“.[29] ბერძნული სიტყვა ἄσχετος[30] ეფრემის თარგმანში ნიშნავს „დაუპყრობელს“ (95 r), ხოლო არსენის თარგმანში – „უთუსოს“ (83 v); τῆς σαρκός[31] ეფრემს უთარგმნია, როგორც „ჴორცთა“ (95 r), ხოლო არსენს – როგორც „კაცებისა“ (84 r). მართალია, არსენის თარგმანი ამ შემთხვევაში არ არის ზედმიწევნითი, მაგრამ ამ ტერმინში იგულისხმება ქრისტეს განკაცება ანუ განხორციელება და მთარგმნელმა საჭიროდ მიიჩნია ბერძნული სიტყვისათვის მიესადაგებინა ქართული ტერმინი, რომელსაც იგი უპირატესობას ანიჭებს თარგმანში; ბერძნული სიტყვა λέξεως[32] არსენს უთარგმნელად გადმოუღია, როგორც ტერმინი (“ლექსისა“, S - 1463, 87 v), ხოლო ეფრემს, თანახმად თავისი მთარგმნელობითი პრინციპებისა, უთარგმნია: „სიტყჳთა“ (A 24, 103 r); ἀδιαβλήτων[33] არსენმა თარგმნა, როგორც „უგიობელთა“ (87 v), ხოლო ეფრემმა – „თანა-წარუვალთა (103 r); საინტერესოა, თუ როგორ თარგმნეს ქართველმა მთარგმნელებმა γένεσις და γέννησις:[34] პირველი სიტყვა არსენს უთარგმნია როგორც „შექმნაჲ“ (90 v), ხოლო ეფრემს – „აგებულებაჲ“ (110 v), ხოლო მეორე სიტყვა არსენს უთარგმნია როგორც „შობაჲ“, ხოლო ეფრემს – „შობილობაჲ“. ასევე არსენისათვის Περὶ Γραφῆς[35] არის „წერილისათჳს“ (96 v), ისევე როგორც Γραφεῖα[36] – წერილები“ (95 r), ხოლო ეფრემისათვის პირველი სიტყვა ნიშნაეს „წიგნთათჳს“ (124 v), ხოლო მეორე – „წიგნებს“ (125 v); და ბოლოს, საინტერესოა, თუ როგორ თარგმნიან ქართველი მთარგმნელები დედნის შემდეგ ფრაზას: Γινώσκομεν ὅτι γάμου ἔκγονοι πάντες βροτοὶ μετὰ τοὺς τοῦ γένους ἀρχηγέτας:[37]

ეფრემი:	არსენი:
„უწყით უკუე, ეითარმედ ყოველნი ჴორციელნი მოკუდაენი ქორწინებისაგან შობილნი არიან (A 24, 133 v).	„ და უწყით, ეითარმეც ქორწილისა შუილს წულ არიან ყოველნი კაცნი, შემდგომნი ნათესაეთ-მთავართანი“ (S - 1463, 100 v).

[24] PG, t. 94, col. 933.
[25] იქვე, 949.
[26] იქვე, 957.
[27] იქვე. 1045.
[28] იქვე, 1048.
[29] A 24, 94 v, S - 1463, 83 v.
[30] PG, t. 94, col. 1048
[31] იქვე. 1053.
[32] იქვე. 1081.
[33] იქვე. 1081.
[34] იქვე. 1113.
[35] იქვე. 1173.
[36] იქვე. 1180.
[37] იქვე. 1209.

სანიმუშოდ მოვიტანთ ზოგიერთ ტერმინს, რომელნიც არსენ იყალთოელს შეუცვლია ახალ თარგმანში. ქვემოთ მოყვანილ ნუსხაში მარცხნივ არსენ იყალთოელის მიერ შემოღებული ტერმინებია, ხოლო მეზობლად – მათი შესატყვისობანი ეფრემ მცირის თარგმანში.[38]

აგება – დაბადება
ადგილითი – ადგილადნი ძრვანი–ადგიდ ადგიდ ძრვანი
აკრა – ფიცხობილი (ზღვის კიდე)
არა-მყოფი – უარსო
არა-მყოფობა – უგუამოება
არა მყოფობისაგან ყოფად (მოსლვა) – არა არსისაგან არსად (მოსლვა)
აღმავსებლობითი – აღმავსებელი
აღმაორძინებლობა – აღმაორძინებელი
აღჴსენება – მოჴსენება
ბუნება – ზიარება (არსენი: „პეტრე და პავლე მისივე ბუნებისანი არიან და ერთი საზოგადო აქუს ბუნებაჲ“, 58 v; ეფრემი: „პეტრე და პავლე მისივე ბუნებისანი არიან და ზოგადი აქუს ზიარებაჲ“, 44 r)
ბჭობა – განსჯა
გამოძიება – გამოცხადება
განათლებადი – განათლდების (ტერმინის ენაცვლება ზმნა)
გან-გულის-სიტყუა – გულის ზრახვა
განვრდომა – დაცემა
განკჳრეება – განკრთომა
განმანათლებელობითი – განმანათლებელი
განმგონებელობითი – მოგონება, მოგონებითი
გან-მდებარე სიტყუა – დადებული სიტყვა
განმზრახველობითი – განზრახვითი
განმსიტყუელობითი – გულისჴმის-ყოფა
განმხილება – ცნობა
განმჴუმეველობითი – განბნევითი
განუზომელი – მიუწდომელი
განუზომელობა – დაუტევნელობა
განუსაზღერელი – შეუსაზღვრელი
განფენა – განვრცომა
განფენილი სამ-კერძო – სამ-კერძო მიმოგანფენილი (იგულისხმება სხეულის სამი განზომილება – სიგრძე, სიერცე და სიღრმე)
გარემო – საქმე
გარე-შესაზღერებული – გარე-შეიცვის (ტერმინის ცვლის ზმნა)
გარე-შეწერადი – გარე-შეწერილი
გარეწარ ტჳნი – კისრით კერძოჲ
გემო – გულის სათქუმელი
გემოვნება – გულის თქუმა
გონიერებით მყოფი – გონიერი
გონიერი – საცნაური
გუარი – წესი
დაუჴსნელი – წარუვალი
ელენნი – წარმართნი

[38] უფრო სრული ნუსხა, სათანადოდ დოკუმენტირებული, წარმოდგენილი იქნება ქართულ-ბერძნულ ლექსიკონში, რომელიც დაერთვის ქართულ თარგმანთა ტექსტებს.

ემეოლიზმოს — ემეოლისმოს
ეპიფანია — განცხადება
ეარსკულაეთ-მეტყუელება — ეარსკულავთ-მრიცხუველობა
ეითარება — რომელობა
ეითარებითი — რომელობათა მიმართი
ენებულებითი — ენებითი
ზეაღმაელობა — აღმართ-მაელობა
ზესთა-არსება — უზეშთაესი არსთაჲ
ზესთა-საესე — ზეშთა საესებისაჲ
ზესთა-ღმერთი — ზეშთა ღმერთთაჲ
თაეით თჳსითობა — თეით-მყოფობა
თანა-გაერცომილი—თანა-განგრძელდებოდა (ზმნა!)
თანა-სათნო-ყოფა — თანა-მოწამება
თესლოვნებითი — თესლის გამოღებისაჲ
თუთება — თუსება, განთუსება
თუთსხეულობა — (ეს სიტყვა არც დედანშია და არც ეფრემს აქვს)
იგიეობა — ერთობა
იგურდიე — სიერცედ
კერძოობითი — კერძო
კომიტი — კუმატი
მეცნიერება — ცნობა
მეჴსიერობითი — მოჴსენებითი
მიმართება — აღძრეა
მიმართებითი — მეყსეული
მიმართებითი მოძრაეობა — მეყსა შინა აღძრეა, მეყსეული აღძრეა
მიმართებითი მოძრაეობაჲ — თჳთ-მფლობელობით ნებებაჲ
მიმდგომი — თჳს-ეყვის (ზმნა!)
მიზეზისგანობა — მიზეზ-ყოფა
მიმოცეალება — ცეალება
მიმცემლობა — მიცემა
მლაშე ბალღამი — თელგმაჲ
მოგონება — გულისჴმის-ყოფა
მომაღლება — მომაღლების ეტლი (ასტრონომიული ტერმინი)
მომრგულებითი — მოქლუნებით შეწყობილი
მოსწრაფება — მოღუაწება
გრგულიე მოელითი მოძრაობაჲ — გარე მოელაჲ სიმრგულისაჲ
მსგაესებისაებრობა — მსგაესება
მსახეელობითი — ხატებითი
მყოფი — აგებული, არსი
მყოფობა — არს-ყოფა
მშობლობითი — მშობლობისაჲ
მძიებლობითი — ძიებითი
მწუეელობითი — შემწუელი
მ'შჯლდოსანი — მემშჯლდე (ზოდის სახელი)
ნება — განზრახეა
ნებება — განზრახეა
ნებსით — გონებით
ნესტუთა მიერი — ნაწევართაგანი

ქამიერი ძრეაჲ და განფუნაჲ – ძრეაჲ და სივრცე წელიწდეული
რაჲ-არსობა – თუ რაჲ არს
სამარადისო – უჟამო
სამარადისოობა – სამარადისო
სამთავროობა – სამთავრო-ყოფა
სამ-კერძო განფენილნი – სამ წყრთა განზომილ
სამწმიდაობა – სამ-წმიდა-არსობა
საქმითი – თუთ-ქმნილი
სახიერება – კეთილი ნება
სახიერი – კეთილი
სიტყჳერებით მყოფი – სიტყჳერი
სმენა – სასმენელნი
სული ძეობისა – სულ შვილებისა
სფერა – სიმრგულე
სფერის ნახევრობა – კერძო კამარისა
სფერის სახეობა – სახედ მომრგულებული, მრგუალ სახე
სწავლითი – სწავლებითი
სხეული – გუამი, ჴორცი
სხეულიანი – ჴორციელი
სხეულიანი ენება – ჴორციელი ენება
სხეულიანობა – გუამი
ტბა – ნავთსაყუდელი
ტანი – გუამი
ტჳნი – უშინაგანესი თავისაჲ
ტჳნიო-გამონი – უშინაგანეს თავისა მყოფნი
ტჳნით-გამონი ძარღუნი – ძარღუნი შუბლისანი
უადეილმოძრავესი – უმალეს მისსა მოძრავ
უაღრესნი – „ვითარ იგი ზეშთა ჰმატდეს უმაღლესობითა დგომისაჲთა“
უგანკრძალულესად-რე – უგანცხადებულესად-რე
უგიობელი (ვნება) – თანაწარუვალი (ვნება)
უდარესი – შემდგომი
უზეაღმავალესი – ზეაღმავალი-რე[39]
უკუდავი – დაუსრულებელი
უმრავალწლესი – მრავალი ნაწილი
უსახო – გამოუსახველი
უსახურება – უღმრთოება
უსიმძიმო – თხელი
უსხეულო – უჴორცო
უქუემოესი – ქუეშე-კერძო
ულონოება – ურვა
უცხრომელი – დაუყენებელი
ფოფინება – თანად აღძრვა
ქმნილი – ქმნადი
ქუე-დაზიდული – ზრქელი
ქუე-დამზიდველი – შთაღმართ მაეალი

[39] ამ მაგალითში არსენის უფროობით ხარისხს, რომელიც უკვე აფიქსებით არის ნაწარმოები, ეთანადება ეფრემის უფროობითიც ხარისხი, მხოლოდ „რე“ ნაწილაკით ნაწარმოები. ამ საკითხზე იხ. ჩვენი გამოკვლევის გვ.115.

ქცეაადი – ქცეაადობაა
ქცეულებაა (მზისა) – ქცევაა (მზისა)
ღამე-დღე – დღე და ღამე (сутки)
ღმერთ-მთავრობა – დასაბამ განღმრთობისა
ღმერთ-მყოფელი – განმღრთობელი
ღმერთ-ქმნილი – განმღრთობილი
ღრამმ – [ეფრემს არა აქუს: არსენი: – „ღრამთა ჰხედავს“, 72 r, ეფრემი – „მდებარესა ხედვენ“, 69 v, (рас?)]
ყოველთა აგებულთა დამბადებელი – ყოელთა დამბადებელთა დამბადებელი (ღმერთი)
ყოელისა ზედა-მხედველი – ყოელისა მხედეელი (ღმერთი)
ყოფად მყოფი – რომელი არს
ყოფა მყოფთაჲსა – არსთა ყოფა
შეზავება – შეზავებულება
შემამეცნებელობითი – მეცნიერებისა
შემთხუევითი – შემთხუევითობა
შემოკრება – პყრობა
შემწყნარებელობითი – შემწყნარებელობა
შენაწევრება – შემოკრება
შესახულება – სახესა შინა (ყოფა)
შეუქმნელი – უშობელი
შეყოფა – შეერთება, ქორწინება
შთამზიდველობითი – პყრობითი
შიში – მოშიშებაჲ
ცხად-მყოფელობა – საცნაურ ჰყოფენ
ძალ-მიუწდომელი – მიუწდომელი ძალითა
ძალი მხედველობითი – ძალი ხედვისაჲ
ძისა მიერ გამოცხადებულობა – ძისა მიერ განცხადნა
ძრვაჲ – მოძრაობაჲ
წადიერება – აღძრეა, ნებება
წადიერებითი – აღძერითი, ნებება, ნებებითი
წარდინებადი – მდინარე
წარუდინებელი – არ-წარმდინარი
წიაღი ტჯნისა ეზოთაჲსა – უშინაგანეს თაეისა
წინა-აღმრჩელობა – აღრჩეეა
წინა აღმრჩელობითი – გონებითი აღრჩევაჲ, თუთ მფლობელი, თუთ გამორჩეითი
წინა-აღრჩეეა – ნება
წინა-განგება – განგებულება
წმიდა-მყოფლობითი – წმიდა-მყოფელი
ხატისაებრიობა – ხატება
ხედეაჲ – სახედეელნი
ჯერ-ჩინება (γνώμη) – „ცნობა, გინა მეცნიერება ანუ განზრახეა“
ჯერ-ჩინებითი – მეცნიერებითი
ჭორცი – გუამი
ჭსოვნება – ჭსენება
ჰაზრეა – იჭეი

ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ არსენ იყალთოელს ხელმეორედ თარგმნას აიძულებდა არა მხოლოდ ის, რომ მისი დედანი რედაქციულად განსხვავდებოდა ეფრემის დედნისაგან, არამედ ფილოსოფიური და მეცნიერული ტერმინოლოგიის გაზრდილი მოთხოვნილება. ეფრემის თარგმანი ამ მხრივაც მოითხოვდა წესრიგში მოყვანას. მაგალითად, არსენისათვის მიუღებელი იყო, ერთი სიტყვით აღენიშნა ღმერთის სხეული (σῶμα) და ადამიანის სხეული, ისიც და ესეც „გუამი“ ყოფილიყო. ეფრემ მცირის თარგმანში მოუწესრიგებელი იყო სხვა ტერმინებიც, სწორედ ამის გამო არსენის „მიმართებით მოძრაობას“ შეესაბამება ეფრემის „მეყსა შინა აღძრვა“, „მეყსეული აღძრვა“, თუთ-მფლობელობით ნებება“. ეფრემის თარგმანში არსენის „წადიერებითს“ შეესატყვისება „აღძრეითი, ნებებითი, ნებება“, ხოლო „წადიერებას“ ისევ „ნებება“ და „აღძრვა“. კიდევ შეიძლებოდა მაგალითების მოტანა, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია, რომ არსენის მიერ „გარდამოცემის“ ხელმეორედ თარგმნის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად „გარდამოცემის“ ტექსტში ტერმინოლოგიის მოწესრიგების სურვილი მივიჩნიოთ.

მთარგმნელობითი მეთოდისათვის

როგორც არ უნდა გაირკვეს რედაქციული სახე ამა თუ იმ ქართული თარგმანისა, იგი მაინც ვერ შეგვიქმნის სრულ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ დამოკიდებულებას იჩენდნენ ჩვენი მთარგმნელები დედნისადმი. ერთი საკითხია ის, რომ მათ განსხვავებული დედნები ჰქონდათ ხელთ, მეორე და იქნებ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია შეუთანხმებლობა ტერმინოლოგიაში, მაგრამ არსებობს მესამე მხარე, რომელიც აუცილებლად უნდა გაირკვეს. გარდა ამ ორი მომენტისა, რომელიც არსენ იყალთოელს აიძულებდა, ეჭვის თვალით შეეხედა თავისი შესანიშნავი წინამორბედისა და ერთ დროს თანამოღვაწის – ეფრემ მცირის ნაშრომისათვის, იყო კიდევ თარგმანის პრინციპები. იქნებ არსენი ეფრემის მთარგმნელობით მეთოდსაც ეჭვის თვალით უყურებდა? იმისათვის, რომ ეს საკითხი შეეისწავლოთ, საჭიროა ქართული ვერსიების ის ადგილები შევადაროთ დედანს, რომელნიც ემთხვევიან Migne-ის გამოცემაში მოთავსებულ ტექსტს. ჩვენი მიზანი ამჯერად ის კი არ უნდა იყოს, რომ გაეარკვიოთ, რამდენად შორდებიან ქართველი მთარგმნელები ჩვენთვის ცნობილ დედანს და ერთმანეთს, არამედ რამდენად უახლოვდებიან. და ამ სიახლეში გამოწვლილეით გაეარკვიოთ ის მიჯნა, რომლის გადალახვა მათ უკვე აღარ სურთ, უფრო დაახლოება აღარ სწადიათ მთარგმნელობითი პრინციპების განსხვავებულობის გამო.

შემთხვევითად ვერ მივიჩნევთ იმ გარემოებას, რომ ბევრგან ქართული თარგმანები სიტყვა-სიტყვით იმეორებენ ერთმანეთს. ავიღოთ მაგალითად, ნაწყვეტი თხზულების პირველი თავიდან:

ეფრემი:

„ხოლო შემდგომად პირველისა მის და ნეტარისა ბუნებისა არაჲის სადა ეუწყა ღმერთი, თჳნიერ მას, რომელსა მანვე გამოუცხადა, არა ხოლო კაცთა, არამედ არცაღა ზეშთა სოფლისათა მათ ძალთა და თუთ მათ ეიტყჳ ქერობინთა და სერაბინთა. გარნა არავე დამიტეენა ჩუენ ღმერთმან სრულიადსა უმეცრებასა შინა, რამეთუ ყოველი მეცნიერებაჲ ღმრთისა ყოფისაჲ მის მიერ ბუნებით დათესულ არს ყო-

არსენი:

„ხოლო შემდგომად პირველისა მის და ნეტარისა ბუნებისა არაჲის ეცნობა ღმერთი არ ოდეს, თჳნიერ რომელსა თუთ გამოუცხადა მან, არა ხოლო კაცთა, არამედ არცაღა ზეშთა სოფლისათა მათ ძალთა და თუთ მათ ეიტყჳ ქერობინთა და სერაბინთა. გარნა არავე დამიტეენა ჩუენ ღმერთმან სრულიადსა უმეცრებასა შინა. რამეთუ მეცნიერებაჲ ყოფისა ღმრთისაჲ ბუნებით დათესულ არს ყოველთა შორის, და თუთ

ეელთა შორის. და თჳთ ესე დაბადებული და ამისი ჰყოობაჲ და მართებაჲ ქადაგებს დიდებულებასა საღმრთოსა. და პირველად სჯულისა მიერ და წინაჲსწარმეტყუელთა, ამისსა შემდგომად მხოლოდ-შობილისა ძისა მისისა, უფლისა, ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მიერ გამოგუცხადა ჩუენ ღმერთმან დატეენად შესაძლებელი ჩუენგან მეცნიერებაჲ მისი" (A 24, 36 r).

იგი დაბადებული და მისი ჰყოობაჲ და მართებაჲ ქადაგებს სიდიდესა საღმრთოსა ბუნებისასა. და პირველად შჯულისა მიერ და წინაჲსწარმეტყუელთა და მერმე მხოლოდ-შობილისა ძისა მისისა, უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, მიმწდომელობისაებრ ჩუენისა, გამომიცხადა ჩუენ მეცნიერებაჲ თჳსი" (S - 1463, 54 r).

იმდენად უმნიშვნელოა ამ ორ თარგმანს შორის განსხვავება, რომ ისინი შეგეძლო ერთი კაცის ნაღვაწად მიგეჩნია. იქნებ ამ შემთხვევაში ასეც იყოს, ეს ნაწყვეტი ეფრემის თარგმანში იქნებ არსენ იყალთოელსაც შეესრულებინოს. ეგების ასეთ შემთხვევებს გულისხმობდა ეფრემ მცირე, როცა არსენის თანამოღვაწეობას აღნიშნავდა? ძნელია დაბეჯითებით ამის დამტკიცება, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ არსენ იყალთოელი შემდგომში უხვად სარგებლობდა ეფრემის რედაქციით, არ ერიდებოდა იქიდან წინადადებათა უცვლელად გადმოტანას, როცა დედანი ამის საშუალებას აძლევდა. შეგვიძლია მოვიტანოთ ამის დამადასტურებელი მაგალითები:

„ხოლო თუ რაჲ არს არსებაჲ ღმრთისაჲ, ანუ თუ ვითარ არს ყოველთა შინა..." (A 24, 37 r, S - 1463, 54 v);

„ხოლო ვინაჲთგან ესოდენ განძლიერდა სიბოროტე ეშმაკისაჲ ბუნებასა ზედა კაცთასა, ვიდრემდის ეიეთნიმე უპირუტყუებრსა და ყოველთა ბოროტთა უბოროტესსა წარწყმედისა მთხრებლსა შთაჴადნა..." (A 24, 37 r, S - 1463, 54 v).

უფრო ხშირია, რა თქმა უნდა, ცალკეული მოკლე ფრაზების იდენტურობის შემთხვევები, ეფრემის წინადადებაში შემაჴალი სიტყვების უცვლელად გადატანა და წინადადების წყობის ოდნაე შეცვლა. ზოგჯერ არსენი, ფაქტობრივად, იმეორებს ეფრემის წინადადებას, მაგრამ ცვლის მიუღებელ ტერმინებს, ანდა დედანთან უფრო დაახლოების მიზნით პირიან ჩამნას მიმღეობად აქცევს.

მაგრამ ეს ფაქტები არამც და არამც არ მეტყველებენ იმას, რომ არსენი მხოლოდ ეფრემის თარგმანს ასწორებდა და დედანთან აჯერებდა. რა თქმა უნდა, არა, არსენმა ხელმეორედ მიჰყო ხელი თარგმანს, მაგრამ ისე კი თარგმნიდა, რომ ხშირად ეფრემის თარგმანში ჩაიხედაედა ხოლმე. სხვაგვარად ვერ აეხსნით მთელი წინადადების განმეორებას. არ შეიძლება შემთხვევით გაიმეოროს ერთმა მთარგმნელმა მეორის წინადადება, თუნდაც დედანი სავსებით განუსხვაებელი ჰქონდეს ხელთ. ასე რომ, თუ აღნიშნულ ფაქტებს მივიღებთ მხედველობაში, უნდა ვაღიაროთ, რომ არსენს უფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდის საწინააღმდეგო არა უნდა ჰქონოდა რა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ორი მთარგმნელის მიდგომა დედნისადმი მაინც რამდენადმე განსხვაებულია, განსხვაებულია, არა მარტო მათი სტილი, რაც თაეისთაეად იგულისხმება, არამედ დამოკიდებულება სათარგმნ მასალასთან.

ავიღოთ, მაგალითად, ბერძნული დედნის შემდეგი ადგილი: Τῶν ἡδονῶν, αἱ μὲν εἰσὶ ψυχικαί, αἱ δὲ σωματικαί. Καὶ ψυχικαὶ μὲν, ὅσαι μόνης εἰσὶ τῆς ψυχῆς αὐτῆς καθ' ἑαυτὴν, ὡς αἱ περὶ τὰ μαθήματα, καὶ τὴν θεωρίαν. Σωματικαὶ δέ, αἱ μετὰ κοινωνίας τῆς ψυχῆς καὶ τοῦ σώματος γινόμεναι, καὶ διὰ τοῦτο σώματι καὶ καλούμεναι, ὅσαι περὶ τροφὰς καὶ συνουσίας καὶ τὰ τοιαῦτα.[40]

[40] PG, t. 94, col. 929.

ქართველი მთარგმნელები ძირითადად მისდევენ ამ ტექსტს, მაგრამ მით უფრო საინტერესოა ის თავისებურებანი, რომელნიც მათ თარგმანებში თავს იჩენს. ქართულ რედაქციაში ეკითხულობთ:

ეფრემი:

„გულის-სათქუმელთაგანნი რომელნიმე სულისანი არიან და რომელნიმე ჴორცთანი. და სულისანი უკუე იგი არიან, რომელნი მხოლოდ სულსა განეკუთნებიან, ვითარ იგი არიან სწავლებითი და ხედვით[ი], ხოლო ჴორცთაგანნი იგი არიან, რომელნი თანა-ზიარებითა სულისაჲთა იქმნებიან ერთბამად სულისაგან და ჴორცთა და ამისთჳს ჴორცად იწოდებიან, რაჟამს საზრდელთაჲ იყოს გულის-თქუმაჲ ანუ თანაყოფისაჲ, ანუ სხუათა ესევითართაჲ (A 24, 66 v).“

არსენი:

„გემოთაგანნი რომელნიმე სულიერნი“ არიან და რომელნიმე ჴორციელნი. და სულიერნი უკუე არიან, მხოლოდ სულისანი ოდენ თუთ მარტოდ თაჳით თუსით, ვითარ იგი რაოდენნი სწაჲლებისნი და ხედვითნი არიან. ხოლო ჴორციელნი ზიარებითა სულისა და ჴორცთაჲთა საქმარნი და ამისთჳს ჴორციელად სახელ-დებულნი, რაოდენნი იყვნიან საზრდელთათჳს და თანაყოფისა ეგეგითართა“. (S - 1463, 70 v).

დედნის τῶν ἡδονῶν (ἡδονή, ἡ) ქართველ მთარგმნელებს ტოლფასოვანი სინონიმებით უთარგმნიათ (“გულის-სათქუმელთაგანნი, გემოთაგანნი“). ბერძნული ზმნა ნიშნავს დაკმაყოფილებას, ტკბობას, კმაყოფილებას. რაც შეეხება სიტყვას ψυχικαί, ამ შემთხვევაში სულისადმი კუთვნილება ქართველ მთარგმნელებს სხვა-დასხვანაირად გამოუხატავთ. ეფრემს – უბრალოდ ნათესაობითი ბრუნვით (“სულისანი“), ხოლო არსენს – მწარმოებელი სუფიქსით – „სულ-იერნ-ი“. რა თქმა უნდა, სწორია ეფრემის ფორმაც, მაგრამ დედნის იდენტურია არსენის ფორმა, რადგან ბერძნული სიტყვისაგან ψυχή სუფიქსით ნაწარმოებ ψυχική-ს მთარგმნელმა ანალოგიურად ნაწარმოები ქართული სიტყვა შეუნაცვლა. ასევე აქვთ თარგმნილი ქართველ მთარგმნელებს სიტყვა σωματικαί (შესაბამისად – „ჴორცთანი“ და „ჴორციელნი“). საინტერესოა მომდევნო წინადადების თარგმანი. სიტყვა-სიტყვით გვექნებოდა: „ხოლო სულიერნი კი, რომელნიც მარტო არიან სულისანი თავით თვისით, როგორც სწავლისათვის და ხედვისათვის“. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართველ მთარგმნელებს აუცდენიათ თაჳიდან ბერძნული სინტაქსის გაელენა, რომელსაც ჩვეულია დამხმარე ზმნის εἰμί ხშირად გვერდის ავლა (ეს საერთოდ ჩვეულებრივი მოელენაა ინდოევროპული ენებისათვის). არსენ იყალთოელს, სადაც კი საჭირო იყო და იგულისხმებოდა, დაურიდებლად გაუმეორებია ზმნა „არიან“: „და სულიერნი უკუე არიან, რაოდენნი არიან მხოლოდ სულისანი ოდენ თუთ მარტოდ თაჳით თუსით, ვითარ იგი რაოდენნი სწაჲლითნი და ხედვითნი არიან“. თუნდაც ეს წინადადება სტილისტურად გამართულად მივიჩნიოთ, ყურადღების გამახვილება „არიან“ -- ზმნაზე წინადადებას დედნისაგან განსხვავებულ ჟღერადობას აძლევს, მიუხედავად იმისა, რომ აზრი არ არის შეცვლილი. უნებურად აქცენტი გადადის არა „სწაჲლითზე“ და „ხედვითზე“ – სულიერ გემოთაგანთა სახეობებზე, არამედ მათ არსებობაზე. ეფრემ მცირე სხვაგვარად მოქცეულა, ლექსიკური მასალით კიდევ უფრო დაშორებია დედანს, მაგრამ ამით აზრი უფრო ნათელი გაუხდია. კერძოდ, მას მოუშველებია მეორე ზმნაც – „განეკუთვნებიან“, თუმცა ამის შესატყვისი ზმნა – ἔχω დედანში არ იყო, მაგრამ იგულისხმებოდა სიტყვებში αὐτῆς καθ ἑαυτήν. მომდევნო წინადადებაში, სადაც ლაპარაკია ხორციელ გემოზე, ეფრემ მცირეს კვლავ მოუშველებია ზმნა „არიან“.

ავიღოთ სხვა მაგალითი. დედანში ეკითხულობთ:

Ἔστι μὲν οὖν κουφότερον καὶ ἀνωφερέστερον στοιχεῖον τὸ πῦρ, ὅπερ δὴ μετὰ τὸν οὐρανὸν εὐθέως τετάχθαι φασί· τοῦτο δὲ λέγουσι τὸν αἰθέρα, μεθ' ὃν κατώτερον τὸν ἀέρα.[41]

ქართველი მთარგმნელები ამ წინადადებას ასე თარგმნიან:

ეფრემი:

„არს უკუე უსუბუქესი და ზეაღმაეალი-რე და უთხელესი ნიეთთაგანი ბუნებაჲ ცეცხლისაჲ, რომელი იგი მყის ცათაეე თანა დასწორებულ არს და მას ეწოდების ეთერ, რომლისა ქუეშე-კერძო განფენილ არს ჰაერი“ (A 24, 54 v).

არსენი:

„არს უკუე უსუბუქესი და უზეაღმაელესი ნიეთთაჲ ცეცხლი, რომლისა მეყსეულად შემდგომად ცისა დაწესებასა იტყუან და მას უწოდენ ეთერად, რომლისა შემდგომად უქუემოეს არს ჰაერი“ (S - 1463, 64 r).

პირველ ყოვლისა, საინტერესოა κοῦφος და ἀνωφερής ზედსართაეების შედარებითი ხარისხის გადმოტანა ქართულად. ჩვენს მთარგმნელებს იგი უფროობითის უ–ეს აფიქსებით გადმოუტანიათ, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, ἀνωφερέστερος ეფრემს უთარგმნია სიტყვით „ზეაღმაეალი-რე“. აქეე ეფრემის თარგმანში ეხედებით კიდეე ერთ ზედსართაეს „უთხელესი“, რომელიც დედანში არ გეაქვს. ამრიგად, იმ სამი ზედსართაეიდან, რომელიც ეფრემის თარგმანში არის, ორის უფროობითი ხარისხი ნაწარმოებია უ–ეს ფორმანტებით, ხოლო ერთი – „რე“ ნაწილაკის მეშეეობით. თაეისთაეად ცხადია, რომ აქ „რე“ ნაწილაკს სხეა მნიშენელობა არ უნდა ჰქონდეს.

ეფრემის თარგმანში შეცვლილია დედნისეული სიტყეა φασί, რომელსაც არსენის ტექსტში შეესატყეისება „იტყუან“. თუ იოანე დამასკელი გადაჭრით თაეის აზრს კი არ ამბობს, არამედ აღნიშნავს „თქმულა“ ასეო, ეფრემი გადაჭრით აცხადებს – „არსო“. უკანასკნელი ფრაზაც არაზუსტად უთარგმნია ეფრემ მცირეს. არსენ იყალთოელის თარგმანი ზუსტია: „რომლისა შემდგომ უქუემოეს არს ჰაერი“ იგი სიტყეა-სიტყეით გადმოსცემს დედნის აზრს, ეფრემის თარგმანშიც განმეორებულია იგივე აზრი, მხოლოდ უფრო თაეისუფლად. კერძოდ, დედანში არ არის ეფრემისეული „განფენილი“, ხოლო ეფრემს არ უთარგმნია დედნისეული ზედსართაეი κατώτερος (უქეემოესი).

მნიშენელოვან თაეისებურებებს იჩენენ ქართული თარგმანები დედნის შემდეგ ნაწყეტთან შედარებით:

Θεότης μὲν γὰρ τὴν φύσιν δηλοῖ· τὸ δὲ Πατήρ, τήν ὑπόστασιν, ὥσπερ καὶ ἀνθρωπότης, τὴν φύσιν, Πέτρος δὲ τὴν ὑπόστασιν· Θεὸς δὲ καὶ τὸ κοινὸν τῆς φύσεως σημαίνει, καὶ ἐφ' ἑκάστης τῶν ὑποστάσεων τάττεται παρωνύμως, ὥσπερ καὶ ἄνθρωπος· Θεὸς γάρ ἐστιν ὁ θείαν ἔχων φύσιν, καὶ ἄνθρωπος ὁ ἀνθρωπίνην· Ἐπὶ πᾶσι τούτοις ἰστέον, ὡς ὁ Πατὴρ καὶ τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον κατ' οὐδένα λόγον τῇ σαρκώσει[42] τοῦ Λόγου κεκοινώνηκεν, εἰ μὴ κατὰ τὰς θεοσημείας, καὶ κατ' εὐδοκίαν καὶ βούλησιν.[43]

ქართულ თარგმანში ეკითხულობთ:

ეფრემი:

„ღმრთეებაჲ ბუნებისა საცნაურ-მყოფელ არს, ხოლო მამაჲ ერთსა ოდენ გუამსა სახელ-ედების, ვითარ იგი კაცებაჲ ყოეელსა ბუნებასა კაცთასა, ხოლო პეტრე – ერთსა ოდენ გუამსა მოასწაეებს. ღმრთეებაჲ უკუე ზოგადისა ბუნებისაჲ არს და თითოეულსა გუამსა არა სახელ-ედების. ხოლო ღმერთი

არსენი:

„ღმერთებაჲ“ უკუე ბუნებასა ცხად-ჰყოფს, ხოლო „მამაჲ“ გუამსა და „ღმერთი“ ეიდრემე საზოგადოობასაცა ბუნებისასა დაჰნიშნავს და თითოეულისა გუამთაგანისაცა ზედა თანა-მოსახელეობით დაიწესების, ვითარ იგი კაცია, რამეთუ ღმერთ არს სალმრთოჲსა ბუნებისა მჭონებელი და კაც –

[41] PG, t. 94, col. 881.
[42] ვარ. τῇ σαρκί.
[43] PG, t. 94, col. 1028.

და ზოგადისა ბუნებისათჳსცა ითქუმის სახელ-ნართაულად, რამეთუ საკუთრად თითოეულისა გუამისა სახელი არს, არამედ მოპოვნებით ზოგად ყოველისა ბუნებისათჳსცა ითქუმის, ვითარ იგი კაცისაცა სახელი. რამეთუ ღმერთ არს, რომელსა ღმრთეებისაჲ აქუნდეს ბუნებაჲ და კაც არს, რომელსა კაცებისაჲ აქუნდეს ბუნებაჲ.

ხოლო ამათ ყოველთა თანა ესეცა მტკიცედ საცნაურ იყავნ, ვითარმედ არა რომლითა სახითა, გინა სიტყჳთა ჴორცშესხმისაჲთა ეზიარნეს ძესა მამაჲ და სული თჳნიერ ნებითა ხოლო და განზრახებითა და საღმრთოთა მათ სასწაულთა აღსრულებითა (A 24, 89v).

კაცობრიებისაჲ.

ამას ყოველსა თანა შესწაებულ იყავნ, ვითარმედ მამაჲ და სული წმიდაჲ არა რომლითა სიტყჳთა ეზიარნეს ჴორცთა სიტყჳსათა თჳნიერ საღმრთოთა სასწაულთა მიერ ოდენ და სათნო-ყოფითა და განზრახებითა" (S - 1463, 81 r-v).

ამ ნაწყვეტის პირველი წინადადება არსენს არასრულად აქვს ნათარგმნი. უნდა ყოფილიყო: „ღმრთეებაჲ" უკუე ბუნებასა ცხად-ჰყოფს, ხოლო „მამაჲ" გუამსა, ვითარ იგი „კაცებაჲ" — ბუნებასა, ხოლო „პეტრე" — გუამსა". ეფრემის თარგმანში ამ წინადადებას არა დაჰკლებია რა, პირიქით, ზოგი რამ შემატებია: „ღმერთეებაჲ" ბუნებისა საცნაურ-მყოფელ არს, ხოლო მამაჲ ერთსა ოდენ გუამსა სახელ-ედების, ვითარ იგი „კაცებაჲ" ყოველსა ბუნებასა კაცთასა, ხოლო „პეტრე" — ერთსა ოდენ გუამსა მოასწავებს". ხაზგასმული სიტყვები არ არის დედანში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეფრემს დედნიდან გადაუხვევია. პირიქით, მას დედანში გამოთქმული აზრი უფრო მკაფიოდ გამოუხატავს. გარდა ამისა, ქართული წინადადება შეუვსია ზმნებით ("სახელ-ედების, მოასწავებს"), რომელნიც დედანში არ იყო, მაგრამ იგულისხმებოდა. ეფრემის წინადადება დედნისაგან იმითაც განსხვავდება, რომ ქართველ მთარგმნელს უფრო აშკარად გაუყვია ზოგადი კერძოობითისაგან. ამიტომ წერს იგი „ყოველსა ბუნებასა" და „ერთსა ოდენ გუამსა". გარდა ამისა, მას საჭიროდ მიუჩნევია ერთმანეთისაგან გაემიჯნა ღვთაებრიენი და კაცობრიენი ბუნება, ამიტომ უთქვამს „ბუნებასა კაცთასაო". ძნელია ახსნა იმისა, თუ რად არის არსენის თარგმანი ამ შემთხვევაში სიტყვა-ნაკლული, რა იქნა წინადადების მეორე ნახევარი, მაგრამ აქ, ეგონებ, მთარგმნელის თავისებურებასთან არ უნდა გვქონდეს საქმე.

რაც შეეხება მომდევნო წინადადებას, აქ ეფრემის თარგმანი კიდევ უფრო სიტყვაუხვია:

„ხოლო ღმერთი და ზოგადისა ბუნებისათჳსცა ითქუმის სახელ-ნართაულად, რამეთუ საკუთრად თითოეულისა გუამისა სახელი არს, არამედ მოპოვნებით ზოგად ყოველისა ბუნებისათჳსცა ითქუმის, ვითარ იგი კაცისაცა სახელი".

ხაზგასმული სიტყვები დედანში არ არის. როგორც ვხედავთ, თარგმანი საკმაოდ თავისუფალია. არსენის ფრაზა „თითოეულისა გუამთაგანისაცა ზედა თანა-მოსახელეობით დაიწესების" თითქმის სიტყვა სიტყვითი თარგმანია ბერძნული ტექსტისა, ეფრემს წინადადების წყობა შეუცვლია, „სახელ-ნართაულობა" (ე. ი. არსენის „თანამოსახელეობა", დედნის παρωνύμως) წინ გადმოუტანია და ამის შემდეგ დასჭირებია დაქვემდებარებული წინადადების შედგენა ("რამეთუ საკუთრად თითოეულისა გუამისა სახელი არს"). მაგრამ მთარგმნელი არც ამით დაკმაყოფილებულა და კვლავ გაუმეორებია წინადადების დასაწყისი: „არამედ მოპოვნებით ზოგად ყოველისა ბუნებისათჳსცა ითქუმის".

საინტერესოა მომდევნო წინადადებაც. აქაც არსენი სიტყვამიდევნებით თარგმნის, ხოლო ეფრემი გაშლილად წარმოგვიდგენს აზრს: „რამეთუ ღმერთ არს, რომელსა ღმრთეებისაჲ აქუნდეს ბუნებაჲ, და კაც არს, რომელსა კაცებისაჲ აქუნდეს ბუნებაჲ“.

ქართველ მთარგმნელს ხელმეორედ დაუწერია „აქუნდეს ბუნებაჲ. სხვაგვარად იქცევა არსენი. ჯერ-ერთი, მას ბერძნული მიმღეობა ἔχων მიმღეობადვე გადმოაქვს („მქონებელი“) და თავისი წინამორბედივით არ აპირიანებს. გარდა ამისა, უკანასკნელი ფრაზა – καὶ ἄνθρωπὸ ὁ ἀνθρωπίνην გადმოულია სიტყვა-სიტყვით: „და კაც – კაცობრივისაჲ“.

რაც შეეხება ამ ნაწყვეტის უკანასკნელ წინადადებას, ეფრემის თარგმანში კვლავ შეცვლილია წინადადების წყობა, ჩამატებულია სიტყვა „მტკიცედ“, ხოლო εὐδοκία თარგმნილია არა „სათნო ყოფად“, როგორც აქვს არსენს, არამედ „ნებად“. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უფრო ზუსტი შესატყვისი მოუნახავს არსენ იყალთოელს.

უკანასკნელ, განვიხილოთ კვლავ ნაწყვეტი:

Καὶ ἐπὶ τῆς πεπυρακτωμένης δὲ μαχαίρας, ὥσπερ αἱ φύσεις σώζονται τοῦ τε πυρὸς καὶ τοῦ σιδήρου, οὕτω καὶ δύο ἐνέργειαι, καὶ τὰ τούτων ἀποτελέσματα.[44]

ქართულ თარგმანებში ამ მსჯელობამ ასეთი გამოხატულება ჰპოვა:

ეფრემი:	არსენი:
„და კუალად სახედ შემოვიღებ განჴურვებულსა რკინასა, ეითარმედ ეითარი იგი მის შორის ბუნებანი ცხოველ არიან ცეცხლისაჲცა და რკინისაჲცა, ეგრეთვე ორთა მოქმედებათა ცხოველობაჲ აქუს გუამსა ორთაგან შეზავებულსა“. (A 24.96 v).	„ხოლო განჴურვებულისა მახჳლისა შორის ეითარცა ბუნებანი დაიცვებიან ცეცხლისა და რკინისაჲ, ეგრეთვე ორნი მოქმედებანი შენასრულებნი მათნი“. (S - 1463, 84 v).

თუ შევადარებთ დედანს არსენის თარგმანს, იგი პირდაპირ ბჭკარედად, სიტყვა-სიტყვით თარგმანად შეგეიძლია გამოვიყენოთ და ისე ეიმსჯელოთ ეფრემის თარგმანზე. ეშვიათია შემთხვევა, რომ არსენის სიტყვის ადგილას დედანში მისიეე შესატყვისი არ იჯდეს. არსენს გადაუსვამს მხოლოდ „შორის“, „ეიტყუთ“ და „ეჰყოფთ“.

რაც შეეხება ეფრემის თარგმანს, ქართველ მწერალს მეტი თავისუფლება გამოუჩენია. ამ მსჯელობის დასაწყისში ეფრემი მკითხველს აფრთხილებს, რომ იგი მიმართავს ანალოგიას: „და კუალად სახედ შემოვიღებ განჴურვებულსა რკინასა“. ეს ფრაზა არ გვხვდება დედანში. ეფრემი დედნისეულ μάχαιρα-საც და σίδηρος-საც თარგმნის „რკინად“. მაშინ, როცა μάχαιρα ნიშნავს მახვილს, სატევარს, სამართებელს, ხოლო σίδηρος ძირითადად რკინას ნიშნავს. ხოლო ანტიკური ეპოქის პოეტები – ჰომეროსი, ევრიპიდე, თეოკრიტე და სხვები მას რკინის იარაღის, კერძოდ, მახვილის მნიშვნელობითაც ხმარობდნენ. ყოველ შემთხვევაში μάχαιρα ზოგჯერ რკინის მნიშვნელობითაც თუ იხმარებოდა, ცხადია, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ზემოთ ამოწერილ ნაწყვეტში ამ ორ სიტყვათაგან ერთი მახვილს უნდა ნიშნავდეს, ხოლო მეორე რკინას. ასე რომ, ამ შემთხვევაში ზუსტია არსენის თარგმანი. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეფრემ მცირეც ამჩნევდა ალბათ ამ განსხვავებას, მაგრამ მას შეეძლო საჭიროდ არ მიეჩნია მახვილის თარგმნა, რადგან, ბოლოსდაბოლოს, მსჯელობისათვის ამას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. დამასკელი მსჯელობს გახურებული

[44] PG, t. 94, col. 1053.

რკინის ორგვარ თვისებაზე – მწველობაზე და კეთაზე და საეალდებულო არ იყო, მას დაესახელებინა, რკინის რა იარაღი ამჟღავნებდა ამ თვისებებს.

არსენ იყალთოელის თარგმანში ზმნას σώζονται (σώζω) შეესატყვისება „დაიცვებიან“, ხოლო ეფრემის თარგმანში – „ცხოველ არიან“. ეს შედარებით თავისუფალი გაგებაა ამ სიტყვისა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ეფრემს თავისუფლად უთარგმნია ფრაზა: Οὗτω καὶ δύο ἐνέργειαι, καὶ τὰ τούτων ἀποτελέσματα. თარგმანში წერია: „ეგრეთვე ორთა მოქმედებათა ცხოველობაჲ აქუს გუამსა ორთაგან შეზაებულსა“; ἀποτέλεσμα (-ατος, τὸ) ნიშნავს „დამთავრებას“, „დასრულებას“, „გამოსავალს“, „შედეგს“, ასევე აქვს იგი ნათარგმნი არსენს – „შენასრულებნი მაონი“ (τὰ τούτων ἀποτελέσματα). ეფრემს კი გადაუხვევია დედნიდან. დამასკელი ლაპარაკობს იმაზე, რომ გახურებულ მახვილში დაცულია ორი ბუნება – ცეცხლისა და რკინისა, ორგვარიევა მისი მოქმედება და ორგვარი შედეგი მოაქვს მას. ხოლო ეფრემის თარგმანში აქცენტი გადატანილია იმაზე, რომ ორგვარი მოქმედება აქვს გვამს, ორგვარად შეზაებულს.

განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ არსენის თარგმანი გაცილებით უფრო ახლოს დგას დედანთან, ვიდრე ეფრემისა. მიუხედავად იმისა, რომ ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდი შორს არის ათონური სკოლის ტრადიციებიდან, მაინც არსენ იყალთოელის თარგმანთან შედარებით მისი თარგმანი თავისუფალი ჩანს, ეტყობა, ესეც უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ არსენ იყალთოელმა ხელმეორედ მოჰკიდა ხელი „გარდამოცემის“ თარგმას. მას მიზნად დაუსახავს, თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოეცა დამასკელის თხზულება.

„გარდამოცემის“ ქართული რედაქციები და მათი მნიშვნელობა

იოანე დამასკელის „გარდამოცემამ“ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართული მწერლობის ისტორიაში. გარდა ამისა, რომ ჩვენამდე მოაღწია ამ თხზულების ორმა ქართულმა თარგმანმა, ხოლო მესამემ – ექვთიმე ათონელის გამოკრებილმა რედაქციამ, „გარდამოცემის“ მნიშვნელოვანი გავლენა განიცადეს ჩვენმა ძველმა მწერლებმა და მოაზროვნეებმა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. საკმარისია ამ მხრივ დავასახელოთ ანტონ კათალიკოსი და განვიხილოთ ამ თვალსაზრისით მისი თუნდაც ერთი ნაწარმოები – „მზამეტყველება“.

„მზამეტყველების“ მესამე წიგნის I თავში ანტონ კათალიკოსს მოჰყავს ციტატა იოანე დამასკელის „გარდამოცემიდან“:

„სწერს უკეე ცისათვის საღმრთოჲ დამასკელი წერილისაგან დიდისა ვასილისა[45] ცასა წელილად ბუნებად სახედ კეამლისა, და იგივე ხექტარი ოქრო წყაროსა ნეტარი დამასკელი იტყვის: „სახელ სდებენო სხვანი წყლებრად, ვითარცა საშუალ წყალთა დამტკიცებულსა, და სხვანიო ოთხად ნივთად ზედ წოდებულთა ასოთაგან, და სხვანი თვინიერ ოთხთასა“.[46]

ეს არის ციტატა „გარდამოცემის“ XX თავიდან, რომელსაც ეფრემის თარგმანში ეწოდება „უფლისათჳს“, დედანში კი, როგორც აღვნიშნეთ, მას სულ სხვა სათაური აქვს (ცისათჳს“ – Περὶ οὐρανοῦ). არსენ იყალთოელის თარგმანში ეკითხულობთ: „ხოლო სხუანი [იტყვიან – რ. მ.] წყლებრად, ვითარცა საშუალ წყალთა დამტკიცებულსა, სხუანი ოთხად ნივთად სახელდებულთა ასოთაგან, ხოლო სხუანი – მეხუთედ სხეულად და სხუად თუნიერ ოთხთასა“ (S - 1463, 64 r, I).

---

[45] იგულისხმება ბასილი დიდის ეგზეგეტიკური ნაშრომი „ექუსთა დღეთაჲ“.

[46] მზამეტყველება ქნილი ანტონი I საქართველოს კათოლიკოზისაგან, პ. კარბელაშვილის (კარბელოვი) რედაქციით, ტფილისი, 1892, გვ. 164.

მართალია, ანტონის თხზულებაში ციტატა ოდნაე შემოკლებულია, მაგრამ მაინც ჩანს, რომ იგი აღებული უნდა იყოს სწორედ არსენის თარგმანიდან, რადგან ეფრემის თარგმანში იგიეე აზრი სხვა ფორმით, სხვა სიტყვით არის გამოხატული: „ხოლო სხუანი წყლოეანად იტყჳან მას, ვითარცა შორის წყალთა მყოფსა, კუალად სხუანი ნივთთაგან შეზაეებულად...“ (A 24, 54 v, II).

მესამე წიგნის VI თავში ანტონ კათალიკოსს აქვს შემდეგი სქოლიო: „მოღებაჲ შარაეანდედისაგან ბრწყინვალისა მზისაგანისა, ესე იგი არს ვითარმედ წყაროსაგან ღმრთაებისა, რომელ არს მამაჲ, რომლისაგან არს ძეცა და სული ყოველად წმიდაჲ, მოვიღებთ მისგან სულსა ყოველად წმიდასა მისსა, ვითარცა იტყვის საღმრთოჲ მოძღვარი დამასკელი თვისისა ღმრთის მეტყველებისა პირეელისა წიგნისა მეათერთმეტესა თავსა შინა“.[47]

უნდა ითქვას, რომ ანტონს სწორად არ მიუთითებია ციტატა. ეს აზრი გამოთქმულია „გარდამოცემის“ არა XI, არამედ X თავში, რომელსაც ეწოდება „საღმრთოჲსა შეერთებისა და განთჳსებისათჳს“: „... მარტიე არს ღმერთი და ვითარმედ ერთი მარტივი მოქმედებაჲ აქუს კეთილი ყოველად ყოველთა შორის მოქმედი შარაეანდედისაებრ მზისა, რომელი იგი ატფობს და მოქმედებს თითოეულსა შორის ბუნებითისა სიმარჯჳსაებრ და მიმღებელობითისა ძალისა“ (S - 1463, 60 r, I). წყარო დამასკელისა ამ შემთხვევაში არის გრიგოლ ნაზიანზელი (სიტყვა 31, 34 და ეპისტოლე ეეაგრესადმი) და ფსეედო-დიონისე არეოპაგელი – „საღმრთოთა სახელთათჳს“, თავი IV.[48]

„მ'სამეტყველების“ იმაეე წიგნის VI თავში ანტონი კვლაე იმოწმებს იოანე დამასკელის „გარდამოცემას“ და მიუთითებს 53-ე თავს (მესამე წიგნის მეცხრე თავს). ანტონი წერს:

„ხოლო არა თუ ლიტონსა რასმე ჴორცსა ემსახურებთ, არამედ საღმრთოსა ბუნებასა თანა-შეარსულსა შეურეველად, ვითარცა იტყვის საღმრთოჲ მოძღვარი იოანე დამასკელი: არა დაბადებულსა ემსახურებთო, რამეთუ არა ვითარცა ლიტონთა ჴორცთა თაყუანის ეცემთ, არამედ ვითარცა ღმრთაებასა თანა შეერთებულთა, და ვითარცა ერთად პირად და ერთად გუამად სიტყვისა ღმრთისა ორთა ბუნებათა მისთა აღყუანებითა“.[49]

ამ შემთხვეეაშიც ციტატა არასწორად არის მითითებული. იგი ამოღებულია არა LIII თავიდან, არამედ LII თავიდან (შეესაბამება, არსენის LI თავს). თითქმის სიტყვა-სიტყვით იგიეე სწერია არსენის თარგმანში:

„არა დაბადებულსა ეჰმსახურებთ, რამეთუ არა ვითარცა ლიტონთა ჴორცთა თაყუანის-ესცემთ, არამედ, ვითარცა ღმრთეებისადა, ვითარცა ერთად პირად და ერთად გუამად სიტყჳსა ღმრთისა, ორთა ბუნებათა მისთა აღყუანებითა“ (S - 1463, 80 r, II). ეფრემის თარგმანი ოდნაე განსხვაებულია არსენის რედაქციისაგან, კერძოდ, გამოყენებულია ტერმინები – „აგებული“ – „დაბადებულის“ ნაცელად, „ქმნული“ ნაცელად „აღყუანებისა“. მაგრამ ის, რაც აკლია არსენის თარგმანს, არის ეფრემის რედაქციაში და ამით ეფრემის თარგმანი ემთხვევა ანტონის ციტატას: „არა აგებულსა ეჰმსახურებთ, რამეთუ არა ვითარცა ჴორცთა თაყუანის-ესცემთ, არამედ ეითარცა ღმრთეებისა-და შეერთებულთა და ვითარცა ერთად პირად

---

[47] „მ'სამეტყველება“, გვ. 287.

[48] ფსეედო-დიონისე წერს: „...რამეთუ ვითარცა ხილული ესე ჩუენგან მზე არა განიზრახავს, არცა წინა-აღირჩევს რასმე, არამედ თუთ ბუნებით განმნათლებელ არს ყოველთა ძალისაებრ მიმღებელთა ნათლისაგან მისისა, ეგრეთვე უზეშთაეს მზისა, თუთ ბუნებითი იგი სახიერებაჲ პირმშოჲსა მის სახისაგან ყოველთა მიმართ განფენისა სახიერებათა თუსთაოსა კნინ-ოდენად წულილად და მცირედ სახედ აზუნებს ხილულსა ამას მზესა ყოველთა ზედა განფენისათჳს შარაეანდედთაესა“. პეტრე იბერიელი, შრომები (ეფრემ მცირის თარგმანი), ს. ენუქაშვილის გამოც. თბ. 1961, გვ. 20-30.

[49] „მ'სამეტყველება“, გვ. 297.

და ერთად გუამად სიტყუსა ღმრთისა ქმნულთა“ (A 24, 87 r, II). მიუხედავად ამისა, ანტონის წყაროდ აქაც არსენის თარგმანი უნდა ჩაითვალოს.

„მზამეტყუელების“ მესამე წიგნის მე-15 თავში ანტონ კათალიკოსი იმოწმებს იოანე დამასკელს და მიუთითებს „გარდამოცემის“ LXXXVI თავს: „საღმრთოჲსა ამის საიდუმლოჲსა დადებაჲ თუალთა და ბაგეთა და შუბლსა თქუა სანატრელმან მოძღუარმან დამასკელმან“. მართლაც, „გარდამოცემის“ LXXXVI თავში წერია: „და დამდებელნი თუალთა ზედა და ბაგეთა და შუბლსა საღმრთოსა ნაკუერცხალსა ვეზიარებოდით“ (S - 1463, 94 r, I).

იქვე ანტონ კათალიკოსი აღარ იმოწმებს დამასკელს, მაგრამ მსჯელობს „განმგონებლობაზე“ და „მეხსიერობაზე“, რაზედაც ლაპარაკია „გარდამოცემის“ XXXIII და XXXIV თავებში. ანტონი წერს:

„ხოლო შუბლთა შეხებაჲ ესე არს, რამეთუ სიტყჳერისა გონებისაგან შესცოდებს კაცი და განმგონებლობაჲ უწყით მყოფი ორღანოსა შინა, რომელ არს ტვინისა წიაღისა საშუალ, და ესე ტვინი არს შინაგან თავისა და მეხსიერებაჲცა უკანა კერძო ტვინისა წიაღისა არს შინაგან...“.[50]

ჯერ-ერთი, ანტონი იმეორებს ოდნავ შეცვლილი სახით არსენ იყალთოელის ტერმინებს –“განმგონებლობითი“ (ანტონს აქვს „განმგონებლობაჲ“, ხოლო ეფრემს –“მოგონებითი“) და „მეჴსიერებითი“ (ანტონს აქვს „მეხსიერობაჲ“, ხოლო ეფრემს –მოჴსენებითი“). გარდა ამისა, არსენის თარგმან'ში ვკითხულობთ: „ორღანო მისსა (განმგონებლობითისა – რ. მ.) არს საშუალი წიაღი ტჳნისაჲ“,[51] ხოლო შემდგომ თავში ამბობს: „ხოლო ორღანო მეჴსიერობითისა არს უკუანა-კერძოჲ წიაღი ტჳნისაჲ“.[52]

აშკარაა, რომ ამ შემთხვევაშიც ანტონის წყარო არის იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ არსენისეული თარგმანი.

„გარდამოცემის“ ქართული რედაქციების დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ეს თხზულება გამხდარა ერთ-ერთი ძირითადი წყარო სულხან-საბა ორბელიანის შესანიშნავი ლექსიკონისა. ამის შესახებ თვით ლექსიკონის შემდგენი გვაუწყებს „სიტყვის კონის“ ანდერძნამაგში: „რომელიცა წერილთა შინა ენახე, გამოვიღე: საღთო წერილთა და ღვთისმეტყუელებათა შინა, რომელიმე ღრმათა ფილასოფოსთა წიგნებთაგან და ღვთისმეტყუელებათა კავშირთა პროკლეს პლატონურითა დიადოხოსთა, არისტოტელისა და პორფირის კათიღორიათაგან გამოვიღე, ნემესიოს და იოანე დამასკელის პლატონური სიტყვის საქცევები აღვწერე, რომელიმე არა მათებრ ღულარჯნილად, არამედ მათვე წმიდათა მამათაგან საადვილო ჱპოე და საადვილონი აღვწერენ, რათა ისწაონ ენა ქართული“.[53]

მართლაც, „სიტყვის კონაში“ საკმაოდ ჩანს „გარდამოცემის“ კვალი. ზოგჯერ ლექსიკოგრაფი უთითებს წყაროს, მაგალითად, სიტყვებთან პერიფრასის და წინააღრჩევა, ხოლო უფრო ხშირად წყაროს მიუთითებლად სარგებლობს იოანე დამასკელის დებულებებით. ჩანს, რომ სულხან-საბა ორბელიანიც, ისევე როგორც ანტონ ბაგრატიონი იყენებდა არსენის რედაქციას. სიტყვასთან „წინააღრჩევა“ მას მითითებული აქვს დამასკელის თხზულების XXXV თავი.[54] მართლაც, არსენის თარგმანის XXXV თავში (რომელიც სინამდვილეში დედნისა და ეფრემის თარგმანის XXXVI თავს შეესაბამება) წერია: „ხოლო ცხოველობითნი, ესე იგი არს წადიერებითნი არიან განზრახვაჲ და წინა-აღრჩევაჲ (S - 1463, 72 v, II).

---

[50] იქვე. გვ. 490.
[51] S - 1463. გვ. 72 r, II.
[52] იქვე.
[53] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციით თბილისი, 1949 წ., გვ. 10.
[54] „სიტყვის კონა“, სვეტი 869.

ეფრემს შესაბამის ადგილას კი უწერია „განზრახვაჲ და აღრჩევაჲ“ (A 24, 71 r, I). საერთოდ ეფრემის თარგმანში არც გეხვდება „წინა-აღრჩევა“.

„სიტყვის კონაში“ აღმოჩნდა რამდენიმე ერცელი სტატია, რომელშიც იგრძნობა დამასკელის „გარდამოცემის“, კერძოდ, არსენისეული თარგმანის გავლენა. ასეთია სტატიები – „ნათესავი“, „ნებსითი“, „საგრძნობელი“, „სიტყუა“, „სული“, „სხეული“, „ქარი“, „ქუეყანა“, „შიში“, „ცა“, „ცეცხლი“, „წყალი“, „ხრწნილება“... განვიხილოთ ზოგი მათგანი.

სტატიაში „ნებსითი“ სულხან-საბას უწერია: „წადიერება, წინააღრჩევა და ჯერ ჩინება ნებათაგანნი არიან“.[55] ეს სამი ტერმინი დამახასიათებელია არსენ იყალთოელის თარგმანისათვის. კერძოდ, ამ საკითხზე იმავე ასპექტში, როგორც ეს სულხან-საბას აქვს, ლაპარაკია არსენის თარგმანის იმავე XXXV თავში. გარდა ამისა, ნებსითზე და უნებლიეთზე სპეციალურად არის ლაპარაკი „გარდამოცემის“ XXXVIII (არსენით XXXVII) თავში, რომელსაც სათაურად აქვს „ნებსითისა და უნებლიეთისათჳს“.

საინტერესოა „სიტყვის კონის“ სტატია – „ქარი“. „გარდამოცემის“ არსენისეულ თარგმანში არის ასეთი ფრაზა: „ქარი არს სიმრაველე მჴურვალისა და ჴმელისა აღორთქლებისა, მოძრაჲსაჲ ქუეყანასა ზედა“ (S - 1463, 67 r, I). როგორც აღვნიშნეთ, ეს ფრაზა არ მოიპოვება ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ დედანში, არც ეფრემს უთარგმნია იგი, ხოლო „სიტყვის კონაში“ ამ ფრაზის ანარეკლს ვპოულობთ: „ქარი არს მზისა და ვარსკულაჲთა მიერ ქუეყანით აღტაცებული სიმჴურვალისა და და სიჴმელისა აღორთქლებაჲ და პაერთა შინა მოძრავი“.[56] ამის შემდეგაც ერთურთს ემთხვევა არსენის თარგმანისა და „სიტყვის კონის“ ცალკეული ფრაზები:

არსენი:	სულხან-საბა
1. ხოლო ქრიან ქარნი...	1. ხოლო ქრიან ქარნი...
2. აღმოსავალით დღეთა გასწორებისაჲთ აპილიოტი...	2. აღმოსაველით დღისა და ღამის გასწორებისაჲთ აპოლიოტი...
3. ევროპისა და ნოტოსისა საშუალ ფუნიქსი...	3. ნოტოისა და ევროპის საშუალ ფინიქსი...
4. საშუალ აპარკტიოჲსა და არგესტოჲსა თრასკეაჲ...	4. აპარკტიასა და არგესტისა საშუალ თრასკესი...

მაგრამ მიუხედავად ამისა, „გარდამოცემის“ და სულხან-საბას ცნობებს შორის მაინც არის მნიშვნელოვანი განსხვავებანი, რაც მიგვანიშნებს, რომ ჩვენს ლექსიკოგრაფს გარდა „გარდამოცემისა“, სხვა უფრო უხვი წყაროც ჰქონდა. სახელდობრ, „გარდამოცემაში“ არ არის დასახელებული: „ნიავი, ჭალიკონი, ხორშაკი, ნიავქარი, საბარული, ეორიაჲ, ტუთონი, თერხუ, ქუსბორიაჲ, არავი, ლეგებემონოსი.[57]

სულხან-საბა ორბელიანის სტატიის „ქუეყანა“ დასაწყისი სიტყვა-სიტყვით ემთხვევა არსენისეულ თარგმანს „გარდამოცემისა“.

არსენი:	სულხან-საბა:
„ქუეყანაჲ ერთი არს ოთხთა ნივთთაგანი, ჴმელი და გრილი, და მძიმე და უძრაჲ, არა მყოფობისაგან ყოფად პირველსა დღესა მოყუანებული ღმრთისაგან“ (S - 1463, 67 v, II).	„ქუეყანა ერთი არს ოთხთა კაე შირთაგანი, ჴმელი და გრილი, მძიმე და უძრაჲ, არა მყოფობისაგან ყოფად პირველსა დღესა მოყუანებული ღუთისაგან“ (“სიტყვის კონა“, სვ. 721).

[55] იქვე. სვ. 483.
[56] იქვე. 703.
[57] იქვე. 704-705.

ერთადაერთი განსხვავება – „ქაშირთაგანი" – „ნივთთაგანის" ნაცვლად, მდგომარეობას ვერ ცვლის. გაცილებით უფრო შორს დგას არსენის წინადადებიდან ეფრემის წინადადება, თუმცა იგიც ამ ნაწყვეტს თარგმნიდა და ასევე ზუსტად უთარგმნია:

„ქუეყანაჲ ერთი არს ოთხთა ნივთთაგანი: ჴმელი და ნოტიაჲ, მძიმე და უძრავი, რომელი იგი არა-არსისაგან არსად დამბადებელისა მიერ პირველსაე დღესა მოყვანებულ იქმნა" (თაეი 24, A 24, გვ. 61 v, II). ეფრემს წინადადების წყობაც შეუცვლია, სხვა ტერმინებიც გამოუნახავს, ხოლო სულხან-საბა ორბელიანს შეუცვლია ერთი ტერმინი. საეჭვო არ უნდა იყოს, რომ „სიტყვის კონის" წყაროს ამ შემთხვევაში წარმოადგენს არსენის თარგმანის XXIII თავი.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა „ცეცხლის" განმარტებისას:

არსენი:

„ცეცხლი ერთი არს ოთხთა ნიეთთაგანი, სუბუქი და უზეაღმაველესი, სხუათაჲ მწუელობითი და განმანათლებელობითი, პირველსა დღესა დაბადებული შემოქმედისა მიერ (S - 1463, 64 v, II – 65 r, I).

სულხან-საბა:

ცეცხლი არს ერთი ოთხთა კაეშირთაგანი, სუბუქი და უზეაღმავალესი სხვათა, მწუელობითი და განმანათლებლობითი, მჭურვალი და ჴმელი, პირველსა დღესა დაბადებული შემოქმედისა მიერ" ("სიტყვის კონა" სვ. 828).

მაგრამ არის ისეთი შემთხვევაც, რომ სულხან-საბა ორბელიანი, მართალია, იყენებს არსენის თარგმანს, მაგრამ თავისებურად დაალაგებს ხოლმე აზრს, რაც უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, მას ადრე იტყვის. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი სტატია „ხრწნილება". მოგვყავს პარალელური ტექსტები:

არსენი:

„ხრწნილებისა სახელი ორსა დაჰნიშნავს. რამეთუ დაჰნიშნაეს შიმშილსა, წყურილსა და შრომასა, სამჭუალთა განწონასა, სიკუდილსა, რომელ არს განყოფაჲ სულისა ჴორცთაგან და ეგეეითართა. ამის უკუე დანიშნეისაებრ ხრწნილად ვიტყუთ ჴორცთა უფლისათა, რამეთუ ნებით მიიხუნა ესე ყოველნი. კუალად დაჰნიშნაეს ხრწნილებაჲ სრულიად დაჴსნასაცა და უჩინოქმნასა ჴორცთასა ნივთთა მიმართ, რომელთაგან შემოკრებულ იყო (S - 1463, 89 r, II).

სულხან-საბა:

„...ხრწნილების სახე ორსა დაჰნიშნავს; დაჰნიშნაეს ხრწნილება სრულიად დაჴსნასაცა და უჩინო ქმნასა ხორცთასა კაეშირთა მიმართ, რომლისაგან შემტკიცებულ იყოს; და კუალად დაჰნიშნავს შიმშილსა, წყურილსა და შრომასა, ჴორცთა შინა რასამე განწონასა, სიკუდილს, რომელ არს სულისა და ჴორცის განყოფა და ეგეეითარი" (სიტყვის კონა", სვ, 910).

როგორც ვხედავთ, გარდა იმისა, რომ ლექსიკოგრაფს ზოგი ფრაზა გადაუადგილებია, მას ამოუღია ლექსიკონისთვის ზედმეტი სიტყვები „ამის უკუე დანიშნეისაებრ ხრწნილად ვიტყუთ ჴორცთა უფლისათა, რამეთუ ნებით მიიხუნა ესე ყოველნი". და რაკი ეს სიტყვები ამოიღო, აღარ ჭირდებოდა ეთქვა „სამშჭუალთა განწონასა", რომელიც ქრისტეს ჯვარზე გაკერის მანიშნებელი იყო, ამიტომ ზოგადად აღნიშნა – „ხორცთა შინა რასამე განწონასა". ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ იყენებდა სულხან-საბა ლექსიკონისათვის სადოკუმენტაციო მასალას. „გარდამოცემაში" განსაზღვრა „ხრწნილებისა" „სამსჭუალთა განწონით" ზღუდაედა ამ სიტყვის უფრო ფართო მნიშვნელობას, ამიტომ შეცვალა იგი ლექსიკოგრაფმა.

ბოლოს მოვიყვანთ კიდევ ერთ ამონაწერს „სიტყვის კონიდან":

„შიში სიში (I იოან., 4. 18), ხოლო შიშიცა განიყოფების ექუსად: მცონარებად, კდემულებად, სირცხჳლად, განკჳრვებად, განცჳრებად და უღონოებად. მცონარება ეიდრემე არს შიში ყოფადისა მოქმედებისა; ხოლო კდემულება შიში მოლოდებითა ძაგებისათა და კეთილ არს ესე ენებაჲ; ხოლო სირცხჳლი შიში

ბილწებისა რასამე საქმესა ზედა და არცა ესე უსასო არს ცხორებისაგან; და განკურვება შიში დიდისა ოცნებისაგან; ეგრეთვე განცუფრება შიში უჩუეულისა საოცისაგან; ხოლო უღონოება შიში განერდომილებისა, რამეთუ შეგეშინის რაჲ ჭუებულ ყოფასა უღონოებითა. ამას ზეითი იოანე დამასკელის წიგნში ეწერა. ხოლო ნემესიოსის წიგნთა განკურვების ნაცულად წყლვა ეწერა, ეინადგან გულნი კაცთანი განკურვებასა რა შთავარდებიან, იწყლვიანცა და უღონოების ნაცულად ზრუნვა ეწერა".[58]

სულხან საბას ციტატა ზუსტად ამოუწერია არსენის შრომიდან. განსხვავება „სიტყვის კონასა" და არსენის თარგმანის 28-ე თავს შორის მხოლოდ ორთოგრაფიაში გამოიხატება,[59] მაშინ როცა ეფრემის თარგმანში შეცვლილია შიშის სახეობათა რიგი, თანაც „უღონოების" ნაცვლად . არის „ურვა", „განცუბრების" ნაცვლად „განკრთომა".[60]

როგორც ვხედავთ, იოანე დამასკელის „გარდამოცემას" მნიშვნელოვანი გაჟღენა მოუხდენია სულხან-საბა ორბელიანისა და ანტონ კათალიკოსის სამწერლო და მეცნიერულ მოღვაწეობაზე. მარტო ეს ფაქტიც ლაპარაკობს იმ დიდ მნიშვნელობასა და პოპულარობაზე, რომელიც მოუხვეჭავს „გარდამოცემის" ქართულ რედაქციას.

უნდა გაეითვალისწინოთ ის გარემოება, რომ არსენის რედაქცია მოხვდა ისეთ შესანიშნავ დოგმატიკურ-პოლემიკურ კრებულში, როგორიც იყო მის მიერვე შედგენილი „დოგმატიკონი". აქ გარდა „გარდამოცემისა" და „დიალექტიკისა", მოთავსებული იყო იმავე დამასკელის სხვა თხზულებანი, კერძოდ, პოლემიკური ხასიათის ორი სიტყვა ნესტორიანთა წინააღმდეგ, სიტყვა იაკობიტთა დასამხობლად, „ქრისტეს შორის ორთა ნებათათუს და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითთა თუსებათა, გარნა შემოკლებული, და ორთა ბუნებათათუს და ერთისა გუამისა", „სიტყუანი წმიდათა მამათანი" ე. ი. Ἱερὰ παράλληλα. გარდა ამისა, „დოგმატიკონში" არსენმა შეიტანა ანასტასი სინელის „წინამძღვარი", კირილე ალექსანდრიელის „საუნჯედან" ნაწყვეტები და „თარგმანებაჲ ათორმეტთა თაეთაჲ", ეპისტოლე სუკენსონის მიმართ, „განკაცებისათუს მხოლოდ-შობილისა", თეოდორე აბუკურას თხზულებები, სხვადასხვა ავტორთა ეპისტოლენი, ნიკიტა სტითატის ნაშრომები, ლეონ პაპის ეპისტოლე ფლაბიანეს მიმართ და სხვა ანონიმი ავტორების თხზულებანი. ასე რომ, „დოგმატიკონის" ხელში აღებით ძველი ქართველი სწავლული ეცნობოდა არა მხოლოდ დამასკელის „ცოდნის წყაროს", არამედ აგრეთვე მის და სხვა ავტორთა მნიშვნელოვან დოგმატიკურ-პოლემიკურ თხზულებებს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მთელი „დოგმატიკონი" და მისი ნაწილი „გარდამოცემა" უფრო პოპულარული ყოფილიყო, ეიდრე ეფრემ მცირის რედაქცია.

ნაშრომის დასწყისში დავსვით საკითხი იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ეფრემის თარგმანის შემდეგ ხელახლა არსენისეული თარგმანის წარმოშობა. ჩვენთვის იმთავითვე გასაგები იყო, რომ ექვთიმე ათონელის თავისუფალი თარგმანი არ აკმაყოფილებდა ეფრემისა და არსენის მოთხოვნილებას და საჭირო იყო ხელმეორედ ეთარგმნათ დამასკელის თხზულება. ჩვენ ისიც ვიცოდით, რომ არსენმა კარგად იცოდა ეფრემის თარგმანის არსებობა და არამც თუ იცოდა, ეხმარებოდა კიდეც მას თარგმანის დროს. მაგრამ მიუხედავად ამისა, არსენმა კვლავ, უკვე მესამედ ქართული მწერლობის ისტორიაში თარგმნა „დიალექტიკა" და „გარდამოცემა". გზადაგზა, ეფიქრობთ, უკვე გაეცით პასუხი იმაზე, თუ რამ

---

58 „სიტყვის კონა", სტ. 805-806.

59 შდრ. S - 1463, 71 r.

60 A 24, 67 r, II 67 v, I. „სიტყვის კონის" ფსიქოლოგიურ ტერმინთა შესახებ იხ. ა. ფრანგიშვილი, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში, 1959, გვ. 115-194.

გამოიწვია ეს, რამ გადაადგმევინა არსენს ასეთი ნაბიჯი. მხოლოდ ახლა საჭირო იქნება თავი მოეუყაროთ ჩვენს დასკვნებს.

1. არსენ იყალთოელმა, როცა დაიწყო დიდტანიანი კრებულის „დოგმატიკონის" შედგენა, საჭიროდ ცნო შეეტანა მასში აგრეთვე იოანე დამასკელის Πηγὴ γνώσεως. ყველა თხზულება, რომელთაც მან მოუყარა თავი „დოგმატიკონში", მის მიერ იყო ნათარგმნი.[61] ან მას ხელი უნდა აეღო ამ თხზულებაზე, ან „დოგმატიკონში" შეეტანა სხვის მიერ თარგმნილი Πηγή, ან თვითონ უნდა ეთარგმნა კელავაც, სხვა გამოსავალი მას არ ჰქონდა. არსენმა აირჩია უკანასკნელი გზა. ამ ნაბიჯს მას სხვა გარემოებაც უკარნახებდა.

2. არსენს ხელთ ჩაუვარდა ბერძნული ნუსხა, თუ თვით გამოიძია, რომელიც რედაქციულად განსხვავდებოდა ეფრემის თარგმანისაგან. მასთან შედარებით ამ ნუსხაში იყო მნიშვნელოვანი მეტნაკლები ადგილები, შეცვლილი იყო თავების თანმიმდევრობა, ერთ ადგილას თავის დაკლების (XVI თავი), ხოლო მეორეგან ახალი თავის გამოჩენის გამო (LXXXI თავის შემდგომ). ეფრემის თარგმანში არ ჩანდა მოზრდილი ნაწყვეტები, რომელთაც თავი ეჩინათ არსენისეულ ნუსხაში. არსენმა, ეტყობა, უკეთესად მიიჩნია ეს ნუსხა „გარდამოცემისა" და ხელი მიჰყო მის თარგმანს.

3. ეფრემ მცირის თარგმანში არსენმა ვერ შენიშნა ტერმინების შემოღების რაიმე სისტემა, არ მოეწონა, რომ ეფრემი ერთსა და იმავე სიტყვას ხშირად სინონიმებით თარგმნიდა და ამით მას ტერმინის ძალას უკარგავდა. ამიტომ საჭირო იყო ამ დიდტანიან ნაშრომში თავიდან ბოლომდე სისტემაში მოეყვანა ტერმინები. ასეთი შრომა ხელახლა უთარგმნელად შეუძლებელი იყო.

4. ეფრემის თარგმანი, გარდა იმისა, რომ რედაქციულად განსხვავდებოდა არსენის თარგმანისაგან და არ იცავდა ტერმინების სიმტკიცეს, იქაც კი, სადაც უახლოვდებოდა დედანს, არსენის აზრით, იჩენდა თავისუფლებას, რადგან ცვლიდა წინადადების წყობას, ბერძნულ მიმღეობებს აპირიანებდა, უზმო წინადადებებში დედანში ნაგულისხმევ ზმნებს სვამდა და სხვა. ერთი სიტყვით, არსენმა აქაც საჭიროდ მიიჩნია დაახლოებოდა დედანს.

ამრიგად, ეს მიზეზი საეჭვოა იმისათვის, რომ უკვე აღარ გვეჭვეენოს მოულოდნელად არსენის თარგმანის წარმოშობა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამავე მიზეზით, როგორც სამართლიანად ფიქრობს ჰ. რაფავა, არსენმა ხელი მოჰკიდა „დიალექტიკის" ხელმეორედ თარგმნას.[62]

მაშასადამე, იოანე დამასკელის Πηγή-ს ნაწილების ხელმეორედ თარგმნის ძირითად მიზეზად ჩვენ უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ მთარგმნელობითი პრინციპები და არ შეგვიძლია ავხსნათ ეს მოვლენა იდეოლოგიური ბრძოლით.

როდის უნდა ეთარგმნათ ეფრემს და არსენს თავიანთი ნაშრომები? კ.კეკელიძე „დოგმატიკონის" პირველი სტატიის, ანასტასი სინელის წინამძღვარზე დართული ანდერძის ცნობაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ არსენს კრებულის შედგენა დაუწყია კონსტანტინოპოლში, მანგანას მონასტერში, არა უადრეს 1042 წლისა, როდესაც გამეფდა ამ მონასტრის ამშენებელი კონსტანტინე მონომახი.[63] მაგრამ მას კიდევ უფრო შორს გადააქვს თარიღი, რადგან „დოგმატიკონში" პეტრიწონიზმი შეიმჩნევაო. ამიტომ იგი ფიქრობს, რომ „დოგმატიკონის" შედგენა არსენს უნდა დაეწყო 1083 წლის შემდგომ (როცა დაარსდა პეტრიწონის მონასტერი) და უნდა დაემთავრებინა საქართველოში, შიომღვიმის მონასტერში. ამის საფუძველს მკვლევარს აძლევს „დოგმატიკონის" ერთი მინაწერი: „არსენისსა მისრული მღვიმეს

[61] კ.კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 278–279.
[62] ჰ. რაფავა, იოანე დამასკელის „დიალექტიკის" ქართულ-სომხური ვერსიები, მაცნე, I, 1965, გვ. 257–279.
[63] კ.კეკელიძე, Op. cit., გვ. 280.

იტყჳს დაეით მეფე: მე მაშინდელი კაცი ვარ, ოდეს არსენი დაროჯიდი ჭამა; მარჯუენესა გუერდსა ზედა წუა, ნოსელსა იკითხვიდა და დღღმატიკონსა აწამებდა და ცჯლისა სოფიაწმიდასა იგიე მარტოჲ იქმოდა".[64]

ეფიქრობთ, სწორი უნდა იყოს ის მოსაზრება, რომ არსენ ვაჩესძემ „დოგმატიკონის" შედგენა საქართველოში დაამთავრა, ისიც საგულვებელია, რომ მას ამ კრებულის შედგენა დაეწყო მეთერთმეტე საუკუნის მიწურულს, მანგანის მონასტერში. კ.კეკელიძე თელის, რომ ეფრემ მცირემ „გარდამოცემა" თარგმნა არსენ იყალთოელის დახმარებით XI საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში.[65] სამწუხაროდ, თარიღების უფრო დაზუსტება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. მხოლოდ უნდა აღინიშნოს ის ერთადერთი ახალი ცნობა, რომელსაც გვაწვდის ეფრემის „გარდამოცემის" სქოლიო და საიდანაც ეგებულობთ, რომ ეფრემ მცირეს „გარდამოცემა" უნდა ეთარგმნა არეოპაგიტიკული წიგნების თარგმნის შემდეგ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეფრემმა არსენის თანამოღვაწეობით თარგმნა დამასკელის Πηγή-ს ნაწილები მეთერთმეტე საუკუნის მიწურულს შაე მთაზე, ხოლო შემდგომ არსენს, თუნდაც მას დაეწყო „გარდამოცემის" თარგმნა მანგანას მონასტერშივე, სადაც საერთოდ დაიწყო „დოგმატიკონის" შედგენა, მაინც დამასკელის ეს შრომა უნდა დაესრულებინა საქართველოში მეთორმეტე საუკუნის დასაწყისისათვის.

„გარდამოცემის" ორივე ქართული ვერსია ქართული მწერლობის ერთ-ერთი უძვირფასესი ნაწილია. ისინი ჩვენს ყურადღებას იმსახურებენ მაღალი მთარგმნელობითი კულტურით, ღრმა მეცნიერული დონით, შესანიშნავი, ხატოვანი სალიტერატურო ენით. ამ ძეგლების გამოცემა საშურია მრავალმხრივ. ისინი დააინტერესებს ქართული ლიტერატურის, ფილოსოფიის ენის ისტორიის მკვლევარებს. ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის თარგმანები სულ რამდენიმე ათეული წლით უსწრებს „ვეფხისტყაოსანს". და არა მარტო „გარდამოცემის" ლექსიკა, არამედ თხზულების თვით შინაარსიც გასათვალისწინებელია რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების დროს, რადგან შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ამ თხზულების ქართულ თარგმანებს, ან მათ შორის უახლესს – არსენისეულს არ იცნობდა შოთა რუსთაველი.

დასასრულს წარმოვადგენთ იმ ძირითადი ვარიანტული წაკითხვების ნუსხას, რომელთაც ვეღარ ვპოულობთ დღეისათვის ცნობილ ბერძნულ დედანში და შემოუნახავთ კი ქართულ თარგმანებს:

[2] E და ვითარმედ მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ ყოველითაე ერთ არიან (36 v).[66]

A და ვითარმედ მამაჲ, და ძე და სული წმიდაჲ ყოველითაე ერთ არიან (54 v).[67]

[2] E და თუ ვითარ არს შობაჲ და გამოსლვაჲ ღმრთისაჲ ღმრთისაგან (37 r).

A ანუ ვითარ იშვების ღმრთისაგან ღმერთი (54 v).

[3] E მოძღუართა მიერ სოფლისათა (37 v).

[6] E რომელსა ყოველივე აღუვსიეს (39 v).

[8] E გარნა სხუაჲ არს სახე შობისაჲ და სხუაჲ დაბადებისაჲ (41 v).

E წულილადისა მეტყუელებისათჳს ნუ განმირისხდები, ტკბილო მეუფეო... კმა არს, რაოდენსა იგი გუასწავებს (42 r–v).

E ხოლო ზოგადობაჲ და შერწყუმაჲ და ერთობაჲ სიტყჳთ განიცდების (44 v)

E ხოლო ზოგადობაჲ და შეერთებულობაჲ და შერწყუმულობაჲ სიტყჳთ და წულილ-მომგონებელობით იცნობების (58 v).

---

[64] იქვე.

[65] იქვე. 259.

[66] კავებში ჩასმულია „გარდამოცემის" თავების სათვალაეი. E ნიშნავს ეფრემის რედაქციას, A – არსენისას, ფრჩხილებში მითითებულია ქართული ნუსხების გვერდები.

[67] დედანში ამ სიტყვებს ცელის ფრაზა – κατὰ πάντα ἓν εἶσι (PG. t. 94. col. 792).

[20] E (თავის სათაური) ღმრთისათჳს (54 v).

A (თავის სათაური) უფლისათჳს

[21] E რამეთუ ვითარ იგი აღაშენო ქალაქი უშინაგანეს სხჳსა ქალაქისა (58 r).

A რამეთუ ვითარ იგი უკუეთუ აღაშენო ქალაქი შინაგან სხჳსა ქალაქისა, შინაგანი იგი ქალაქი ... (66 r).[68]

[21] E და ამათდაეე შესწორებულად მიუღიეს სახელის დებაჲ დღეთა შჳდეულისათა. კჳრიაკესა უწოდენ მზისად და არს იგი სახე ოქროისაჲ, ხოლო ორშაბათსა – მთოვარისად და არს იგი სახე ვეცხლისაჲ, სამშაბათსა – არესდად და არს იგი სახე რკინისაჲ, ოთხშაბათსა – ერმისდად და არს იგი სახე ეკლისაჲ, ხუთშაბათსა – დიოჲსდად და არს იგი სახე ვეცხლ-წყლისაჲ, პარასკევსა – აფროდიტესდად და არს იგი სახე რვალისაჲ, შაბათსა – კრონოჲსდად და არს იგი სახე ბრპენისაჲ (57 r).

[22] A ქარი არს სიმრავლე მჴურვალისა და ჴმელისა აღორთქლებისა, მოძრაჲსაჲ ქუეყანასა ზედა. (67 r).

[25] A ანუ თუ ხე ვიდრემე ცხორებისა არს საკუთრებაჲ ღმრთისაჲ, რომლითა იზარდებიან ანგელოზნი, რომლისა მიერ ეგულებოდა მიღებაჲ უხრწნელებისაჲ, რამეთუ გჳგმდა ჩუენ პირველად განურჩეველად დამორჩილებაჲ შჯულისა ღმრთისასა, ვიდრემდის განსრულებულად ანაგებად სათნოებისა მოსლვადმდე და ესრეთ ნიჭად მოღებაჲ ღმრთისა მიერ განმრჩეველობასა კეთილისა და ბოროტისასა, რომელ არს ხე მცნობელი კეთილისა და ბოროტისაჲ, რამეთუ არა უცთომელ იყო ახალ ნერგისათჳს განმრჩეველობაჲ გულის სიტყუათა და წინა-განმსიტყუეელობაჲ, ვინაითგან ენებული და გემოთ-მოყვარე აქუნდა ჯერეთ გულის სიტყუაჲ.

აწ უკუე ხედ ვიდრემე ცხორებისად ვიტყჳთ ღმრთისა მიერ მოცემულსა მას მცნებასა, რამეთუ ხე ცხორებისა არს სიმართლე ყოველთა მოქმედთა მისთად და კურთხეულ არს ძელი, რომლისა მიერ დაინერგა სიმართლე, – იტყჳს სალომონ. ხოლო ხე ცნობადისა, განრჩევაჲ კეთილისა და ბოროტისაჲ, უკჳმდა უკუე ადამს განურჩეველისა მორჩილებისა მიერ შეერთებაჲ ღმრთისაჲ და განმდიდრებაჲ შეერთებითისა განღმრთობისა მიერ ჭამსა, რომელსა შინა სათნო-ეყომცა ბუნებით ღმერთსა და ჭეშმარიტისა შემეცნებისა და განმრჩეველობისა ყოველთაჲსაჲ, ხოლო პირველად მუშაკ გამოცდილ-ყოფაჲ უღირდა მას განურჩეველისა მორჩილებისაჲ. ვინაჲცა მცნებაჲ მისცა ღმერთმან არა გემოჲს ხილვად ხესა ცნობადისასა, რომელ არს არა რწმუნებაჲ თჳსისა განმრჩეველობისაჲ, არცა ჭამად ხისა რომლისაგანმე, რომელსა აქუნდეს ბუნებითი მოქმედებაჲ, შემჭმნელი მისდა მეცნიერებასა, ცხად არს, ვითარმედ თჳსისა ბუნებისასა. ხოლო მოუჴდა მას რაჲ ბოროტი გუელისა მიერ და ჰრქუა, ვითარმედ: იყჳნეთ ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა, უკუეთუ შჭამოთ". ირწმუნა თჳსისა განმრჩეველობისაჲ და კეთილად აღუჩნდა მას ღმერთ ყოფაჲ და მეცნიერებაჲ და არა მიუჴსენა, ვითარმედ ჭამსა თჳსსა კეთილ არიან ყოველნი და ვითარმედ არა კეთილ არს კეთილი, არა თუ კეთილ იქმნეს და არა ჯერ-არს წინაჲსწარ აღტაცებაჲ მოცემადისაჲ თჳნიერ ჯერ-ჩინებისა მომცემლისა ყოფასაცა და კეთილად ყოფასა. და იხილა, ვითრმედ კეთილ არს ჭამა და განშიშულდა ღმრთისა მიერისა დაწყნარებისაგან და განეხუნეს თუალნი ჭორციელნი და ვნებანი აღიძრნეს და ცნეს, ვითარმედ შიშუელ არიან და სირცხჳლეულ იქმნეს და განიწჳალნეს ღმრთისაგან და, ვითარცა ჩჩულნი, მსრსინაე იქმნეს გემოჲსა მიმართ და ექსორიად იქმნეს ძელისაგან ცხორებისა და მოკუდაეად შეიცვალნეს, რამეთუ გამოცდილე-

[68] დედანში ხაზგასმულ სიტყვათა (ქალაქის) ნაცვლად არის „წრე" გინათუ „რკალი"– πόλος (და არა πόλις – ქალაქი), PG, t. 94. col. 892.

ბისაგან უწყოდა მტერმან, ვითარმედ საკუთრებისი მახლობელობაჲ ღმრთისაჲ განღმრთობისა და ცხორებისა საუკუნოჲსა მომატყუებელ იქმნების“ (69 r–v).

[32] E ხოლო წყალი თაჳთ თჳსით არცა ერთი რაჲ არს ზემოთქუმულთა ამათ რომელობათაგანი, არამედ ვითარისაცა მიწისაგან აღმოდიოდის, ეგეჳთარიეგე გემოჲ არს“ (69 r).

A ხოლო წყალი უჳთარო არს ამათ ვითარებათაებრ, რამეთუ არცა ერთი აქუს მათგანი (71 v).

[33] E გარე-მოჰელის ქუეყანასა ეელათისასა, სადა იგი ოქროჲ და ქვაჲ კაპოტი (61 r).[69]

E ზოგად ყოელისა გუამისაჲ არს და ჴმობაჲცა აღმოფშუნეაჲცა. რამეთუ ესენი ჩუენსა ჴელმწიფებასა შინა არიან, გუენებოს თუ გინათუ არა გუენებოს ქმნაჲ მათი. ხოლო ბუნებითნი და ცხოველობითნი არიან არა თჳთ-მფლობელობით აღრჩეულნი საქმენი. ბუნებითად უკუე ეიტყჳ მზრდელობასა და აღორძინებასა და თესლოვანებასა. ხოლო ცხოველობითი არს შემკრებლობითი, რამეთუ ესენი გუენებოს, თუ და არა თუ გუენებოს, მოქმედებენ ჩუენ შორის“ (68 r).

[34] E ეითარ იგი პლატონ უწოდის (69 v).

[53] A და კუალად მისეე თაეისათჳს კითხეაჲ მართლ-მადიდებელისაჲ. ორთა შობათა მეტყუელნი ქრისტესთჳს, ესე იგი არს პირეელ საუკუნეთასა მას მამისაგან ღმრთეებრსა და უკუანაისკნელთა ჟამთასა ქალწულისაგან კაცებრსა გუეტყოდეთ ჩუენ, უკუეთუ არს შობაჲ უგუამოჲ და გარქუათ ჩუენ: უკუეთუ არს ბუნებაჲ უგუამოჲ, რამეთუ საკუთარი შობაჲ არს შემატებაჲ გუამისაჲ იგივეობასა შინა ბუნებისასა, აწ სადმე ეითარცა ერთისა სიტყჳსა ღმრთისა გუამისა მიერ ქმნილთა ორთა შობათა არა ქმნეს მისი შემატებაჲ გუამისაჲ, ეგრეთვე არცა ორთა გუამოვნებით შეერთებულთა ბუნებათა შემატებაჲ პირისაჲ მიითუალეს. ეინაიცა რაჟამს ულონოებდენ ჩუენდა მომართ მეტყუელნი მწუალებელნი, ვითარმედ: არსა ბუნებაჲ უგუამოჲ? ნაცელად ეკითხენ მათ, ეითარმედ: არსა შობაჲ უპიროჲ? რამეთუ სადაცა იქმნას ახალი შობაჲ, მუნ შემატებაიცა იცნობების პირისაჲ (84 v).

[80] E მათდა მიმართ, რომელნი იკითხჳდენ, ვითარმედ შეკრებილისაგან, ანუ განსაზღერებულისა რაოდენობად აღიყუანებიან ბუნებანი უფლისანი.[70]

ბუნებანი უფლისანი არცა ერთ გუამ არიან, არცა განცხადება, არცა ასო, არცა ადგილ, არცა ჟამ, რათა რაოდენობად აღყუანებულ იქმნენ, რამეთუ ესენი არიან შეკრებით აღსარიცხუელნი. ხოლო შეიერთებიან ბუნებანი უფლისანი შეურეველითა გუამოვნებითა და განიყოფებიან განუყოფელად სიტყჳთა და სახითა განყოფისაჲთა და რომლითა სახითა შეიერთებიან, მითა არა აღირიცხუეიან, რამეთუ არა ვიტყჳთ ორ გუამად ბუნებათა ქრისტესთა, ანუ ორთა გუამთა შინა მყოფად. ხოლო რომლითა სახითა განუყოფელად განიყოფეიან, მითეე აღირიცხუეიან, რამეთუ ორ არიან ბუნებანი იგი სიტყჳთა და სახითა განყოფისაჲთა, რამეთუ შეიერთებიან გუამოვნებით და ურთიერთას დაეტეეიან, რაჟამს შეურეველად შეიერთნენ შეცჳალებისაგან თავისუფლებით, რამეთუ არა მიითუალენ შეცჳალებასა, არამედ თითოეული მათი ჰმარხაჳს ბუნებითსა თუთჳბასა თჳსსა და შემდგომადცა შეერთებისა, რამეთუ აგებული ეგო აგებულად და აუგებელი – აუგებელად. ამისთჳსცა სახითა ოდენ განყოფილებისაჲთა აღირიცხუეიან და გან-

[69] იგულისხმება მდინარე განგი.

[70] ეს ქცეთაეი წარმოადგენს დედნის 52-ე თაეის განმეორებას, მაგრამ ახასიათებს მნიშვნელოვანი ეარიანტული წაკითხვები.

საზღვრებულისაგან რაოდენობად აღიყუანებიან, რამეთუ შეუძლებელ არს აღრიცხუვაჲ მათი, რომელნი არარაჲთ განიყოფებოდინ, ხოლო რომლითა განიყოფებოდინ, მითვე აღირიცხუვიან, ვითარ იგი პეტრე და პაველე სიტყჳთა რაჲ-არსებისაჲთა შემოჰკრიბნე, არცა არიან, არცა ითქუმიან ორ ბუნებად, ხოლო გუამითა განიყოფებიან და ორ გუამად აღირიცხუვიან, ვინაჲცა განყოფილებაჲ არს მიზეზ აღრიცხუვისა (111 v).

А мкитхеелта мимарт, ивитармед шерцкумулиса ану განსაზღვრებულისაგან აღიყვანებიან რაოდენობად ბუნებანი ქრისტესნი.[71]

ბუნებანი უფლისანი არცა ერთ სხეულ არიან, არცა ეპიფანია, არცა წარზიდულ, არცა ადგილ, არცა ჟამ, რათა შერწყუმულისაგან რაოდენობად აღიყუანნენ, რამეთუ ესენი არიან შერწყუმით აღსარიცხუველნი. ხოლო შეიერთებიან ბუნებანი უფლისანი გუამოვნებით შეურევნელად და განიყოფვიან სიტყჳთა და სახითა განყოფისაჲთა განუწვალებელად და რომლითა უკუე სახითა შეიერთებიან, არა აღირიცხუვიან, რამეთუ არა ვიტყჳთ, ვითარმედ ორნი გუამნი არიან ბუნებანი ქრისტესნი, ანუ ორნი გუამოვნებისაებრ. ხოლო რომლითა გუარითა განუწვალებელად განიყოფებიან, აღირიცხუვიან, რამეთუ ორნი არიან ბუნებანი სიტყჳთა და გუარითა განყოფისაჲთა, რამეთუ გუამოვნებით შეერთებულნი და ერთიერთას დატევნულნი შეურევნელად შეიერთებიან ურთიერთასისა მიმართსა გარდაცვალებასა არა მიმთუალველნი, არამედ თჳსისა თითოეულისასა ბუნებითსა განყოფილებასა დამცველნი შემდგომად შეერთებისაცა, რამეთუ აგებული ეგო აგებულად და აუგებელი – აუგებლად.

აწ უკუე მხოლოდ გუარითა ოდენ განყოფილებისაჲთა აღრიცხულნი განსაზღვრებულისაგან აღიყვანებიან რაოდენობად, რამეთუ შეუძლებელ არს აღრიცხუვაჲ არა-რაჲთ განყოფილთაჲ, ხოლო ვითარ იგი განიყოფვიან, ეგრეთ აღირიცხუვიანცა, ვითარცა სახედ პეტრე და პაველე. ვითარ იგი შეიერთებიან, არა აღირიცხუვიან, რამეთუ სიტყჳთა არსებისაჲთა შეერთებულნი ორ ბუნება არა არიან, არცა ითქუმიან, ხოლო გუამითა განყოფილნი ორ-გუამოვნებად ითქუმიან, ვინაჲცა განყოფილებაჲ არს მიზეზ რიცხჳსა (91 r).

[71] ეს თაეი რომელიც 81-ედ არის წარმოდგენილი არსენის თარგმანში, ისევე როგორც ეურემის რედაქციის შესაბამისი ქვეთაეი, იმეორებს დედნის 52-ე თაეის დებულებებს, მხოლოდ შეიცავს საინტერესო ვარიანტულ წაკითხვებს.

იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის თარგმანები

ეფრემ მცირის თარგმანი

36r I

ღირსისა მამისა იოვანე ხუცეს-მონაზონისაჲ
ბარლაამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ

ვითარმედ მიუწდომელ არს ღმერთი და ვითარმედ არა ჴელ-არს ძიებაჲ და გამოძიებაჲ[1] არა მოცემულისა ჩუენდა წმიდათა წინაისწარმეტყუელთა, და მოციქულთა და მახარებელთაგან

/I, V/ თაჲი ა

ღმერთი არასადა ვინ იხილა, მხოლოდ-შობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისა-თა, მან გამოთქუა.[2] ვინაჲცა გამოუთქუმელ არს ღმერთი და მიუწდომელ. რამეთუ არავინ უწყის მამაჲ, გარნა ძემან, არცა ძე, გარნა მამამან,[3] და სულმან წმიდამან ესრეთ იცის ღმრთისაჲ, ვითარცა სულმან კაცისამან უწყის ყოველიე კაცსა შორის მყოფი,[4] ხოლო შემდგომად პირ-ველისა მის და ნეტარისა ბუნებისა არავის სადა ეუწყა ღმერთი, თუნიერ მას, რომელსა მანვე გამოუცხადა, არა ხოლო კაცთა, არამედ არცაღა ზჳშთა სოფლისათა მათ ძალთა და თუთ მათ ჲიტყჳ ქერობინთა და სერაბინთა.

გარნა არაჲე დამიტჳენა ჩუენ ღმერთ-მან სრულიადსა უმეცრებასა შინა. რამეთუ ყოველი მეცნიერებაჲ ღმრთისა ყოფისაჲ მის მიერ ბუნებით დათესულ არს ყოველთა შორის. და თუთ ესე დაბადებული და ამის
36r II ჲსრობაჲ და მართებაჲ ქადაგებს დიდებულე-ბასა საღრმთოჲსა ბუნებისასა. და პირველად სჯულისა მიერ და წინაჲსწარმეტყუელთა, ამისსა შემდგომად მხოლოდ-შობილისა ძისა მისისა, უფლისა, ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მიერ // გამოგუცხადა ჩუენ ღმერთმან დატჳენად შესაძლებელი ჩუენგან მეცნიერებაჲ მისი. აწ უკუე ყოჳ-

---

* გარდამოცემა ეწოდების წიგნსა ამას, რამეთუ საკითხ-აეთა სახე აჳუს შესავალთანი და დაბოლოებული, არამედ მსგაჳს არს გარდაცემულსა მას მწიგნობრი-სასა, რომელსა შეიქმან ნუსხად და დასდებენ ნიეთად პირად-პირადთა წიგნთა დაწერისა, რაჲთა ვისთანაცა ვის უნდეს დაწერა, მიერ მიიღებდეს ძალსა სიტჳისასა. ეგრეთჳე წმიდასა ამას თაეად-თაეად მოკლე-მოკლედ აღუწერია ყოველისაჲე მართლმადიდებელთა სარწმუ-ნოებისათჳს, რაჲთა ამიერ აჳუნდეს მორწმუნეთა ძალი პირად-პირადისა წინააღმდგომთა სიტჳჳს გებისაჲ.

1 ჩჳეულებრივ ძველ ბერძნულ ენაში ზმნა περιεργάζομαι, რომელიც შეესატჳისება თარგმანის სიტჳჳას „გამოძიებაჲ", ნიშნავს „ამაო ძიებას" (შდრ. პლატონი: Σωκράτης περιεργάζεται ζητῶν τὰ τε ὑπὸ γῆς καὶ τὰ ἑπουράνια / სოკრატე ამაოდ იქცევის, თუ რა ხდება მიწის ქვეშ და ზეცაშიც, არსენ იყალთოე-ლის თარგმანში გეაქჳს „გამოწულილეაჲ" (S – 1463, 54r). ჩანს, ბიზანტიურ ხანაში ამ ზმნას ოდნაე შე-უცვლია მნიშვნელობა.

2 იოანე, I, 18.

3 მათე, 11, 27.

4 I კორინთელთა, 2, 11.

არსენ იყალთოელის თარგმანი

ღირსისა მამისა ჩუენისა იოვან მონაზონისაჲ და ხუცისა დამასკელისაჲ
ბარლაამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისაჲ

ვითარმედ მიუწდომელ არს ღმერთი და ვითარმედ არა ჴელ-არს ძიებაჲ და გამოწულილვაჲ[1] არა მოცემულთა ჩუენდა წმიდათა წინაისწარმეტყუელთა, მოციქულთა და მახარებელთა მიერ

/I, V/ თაჲი ა

ღმერთი არავინ იხილა ოდესცა. მხოლოდ-შობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამი-სათა, მან გამოთქუა.[2] გამოუთქუმელ არს უკუე[II] ღმერთი და მიუწდომელ, რამეთუ არავინ უწყის მამაჲ, გარნა ძემან, არცა ძე, გარნა მამამან.[3][III] და სულმან წმიდამან ესრეთ უწყინს ღმრთი-სანი, ვითარცა სულმან კაცისამან უწყინს ნანდეილნი[4] [IV] მის შორისნი.[5] ხოლო შემდგო-მად პირველისა მის და ნეტარისა ბუნებისა არაჲის ეცნობა ღმერთი არაოდეს, თუნიერ რომელსა თუთ გამოუცხადა მან, არა ხოლო კაცთა, არამედ არცაღა ზეშთა სოფლისათა მათ ძალთა[V] და თუთ მათ ჲიტყჳ ქერობინთა და სერაბინთა.

გარნა არაჲე დამიტჳენა ჩუენ ღმერთმან სრულიადსა უმეცრებასა შინა, რამეთუ მეც-ნიერებაჲ ყოფისა ღმრთისაჲ ბუნებით დათე-სულ არს ყოველთა შორის და თუთ იგი დაბადებული და მისი ჰყრობაჲ და მართებაჲ ქადაგებს სიდიდესა საღმრთოჲსა ბუნებისასა. და პირველად სჯულისა მიერ და წინაჲს-წარმეტყუელთა და მერმე მხოლოდ-შობი-ლისა[VI] ძისა მისისა, უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა მიმწდომელობისაებრ ჩუენისა
792 // გამომიცხადა ჩუენ მეცნიერებაჲ თჳსი, რომ-ლისათჳსცა ყოველთაჲე მოცემულთა ჩუენდა შჯულისა მიერ, წინაჲსწარმეტყუელთა და

---

1 იხ. ეურემის თარგმანის სქოლიო 1.

2 იოანე, I, 18.

3 მათე, 11, 27 „არცა ძე, გარნა მამამან" სტრიქონზე ჩაწერილია ზემოდან. დედანში ეს სიტყვები დასტურ-დება.

4 „ნანდეილნი" სტრიქონში ჩამატებულია, დედნის მი-ხედვით ეს სიტყვა საჭიროა.

5 I კორინთელთა, 2, 11.

II გამოწულილება C. III <6. IV არცა თუ გარნა მამამან CD. V ნანდეულნი <B VI რომელთა C. VI +მიერ DM.

ელსავე მოცემულსა ჩუენდა შჯულისა მიერ, წინაჲსწარმეტყუელთა და მოციქულთა და მახარებელთა მიეითუალაჲთ და უწყით და ვჰმსახურებთ და არღარას უმეტესსა მათსა ეუძიებთ, რამეთუ სახიერ არს ღმერთი და ყოველისაჲვე კეთილისა მომნიჭებელ, არა მიმდებელ შურისა ანუ ენებისა რაჲსაჲვე, რამეთუ შორს არს შური საღმრთოჲსა მისგან ბუნებისა, ნამდჳლვე უენებელისა და მხოლოდ სახიერისა. რომელი-იგი, ეითარცა ყოველისაჲვე მეცნიერი, წინაასწჳარ განაგებს უმჯობესსა თითოეულისასა, ამისთჳსცა რომელი შემეტყუებოდა ჩუენ, ცნობად გამოგუცხადა, ხოლო რომელსა ვერ შემძლებელ ეიყჳნით დატეუნად, დაიდუმა. ამას ზედა უკუე ჩუენ განვმტკიცნეთ და ამათ შინა ვეგნეთ, ნუ გარდაეჰკდებით საზღჳართა საუკუნოთა, ნუცა ზეშთა აღეჰკდებით წესთა ღმრთიე მოცემულთა.

მოციქულთა და მახარებელთა შეეიწყნარებთ და უწყინით და პატიჳ-ეს[ცემთ არა რაჲს მიერ კერძო მეძიებელნი რამეთუ სახიერ არს ღმერ- 54r II
თი და ყოველისა კეთილისა მიმნიჭებელ, არა მიმთუალელელ შურისა, ანუ ენებისა რაჲსმე, რამეთუ შორს არს საღმრთოჲსა ბუნებისაგან შური უენებელისა და მხოლოჲსა სახიერისა. ამისთჳს, ეითარცა ყოველისა მეცნიერმან და უმჯობესსა თითოეულისა წინა-განმგებელმან, რომლისაჲ შეგუეტყუებოდა ჩუენ ცნობაჲ, გამოგუცხადა და რომლისა ვერ შემძლებელ ვიყჳენით დატეუნად, დაიდუმა. ესენი ქმა ეიყუნეთ ჩუენ და ამათ შინა ვეგნეთ. ნუ შევცულით საზღვართა საუკუნეთა, ნუცა ზესთა აღეჰკდებით საღმრთოთა მოცემათა.

iv I

/I, 2/ თქუმულთათჳს და გამოუთქუმელთა, საცნაურისათჳს და უცნაურისა

თავი ბ

ჯერ-არს უკუე მნებებელთათჳს თქუმად რასმე ანუ სმენად ღმრთისათჳს, რაჲთა განცხადებულად უწყოდინ, ეითარმედ არცა ყოველი გამოუთქუმელ არს, არცა ყოველი გამოთქუმულ საქმეთა შინა ღმრთის-მეტყუელებისა და განგებულებისათა, არცა ყოველი უცნაურ არს, არცა ყოველი საცნაურ. ხოლო სხუაჲ არს ცნობილი და სხუაჲ არს გამოთქუმული,[1] ეითარ-იგი სხუაჲ არს თქუმაჲ და სხუაჲ არს ცნობაჲ. მრავალი უკუე გულისჴმის იყოფების ღმრთისათჳს და იცნობების წულილადითა ცნობითა, რომლისაჲ-იგი სრულებით გამოთქუმაჲ ვერ შესაძლებელ არს, არამედ ჩუენდა მომართ გარდამოყჳანებით[2] ეიიძულებით სიტყუად ჩუენსა უზეშთაესთა მათთჳს, ეითარ-იგი ღმრთისათჳს ეიტყჳთ ძილსა, რისხვასა და უდებებასა, ჴელთა და ფერჴთა და სხუათა ესევითართა.

და ესე გურწამს და აღეიარებთ, ეითარმედ არს ღმერთი დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი, საუკუნოჲ, უჟამოჲ, აუგებელი, უქცეველი, უცვალებელი, მარტიე, შეუზავებელი, უჴორცოჲ, უხილავი, შეუხებელი, გარეშეუწერელი, 36v II
დაუტეველი, მოუგონებელი, სახიერი, მართალი, ყოველადძლიერი, ყოველთა დაბადებულთა დამბადებელი, ყოველისა მპყრობელი, ყოველისა მხედველი, ყოველთა განმგებელი, ჴელმწიფე და მსაჯული. და ეითარმედ ერთ არს ღმერთი, ესე იგი არს, ერთ-არსება და ეითარმედ სამგუამოენებით იცნობების და არს: მამასა ეიტყუ და ძესა და სულსა წმიდასა. და ეითარმედ მამაჲ და ძე და სული წმიდაჲ ყოველითურთ ერთ

/I, 2/ თქუმულთათჳს და გამოუთქუმელთა, უცნაურთა და საცნაურთა

თავი ბ

უჴმს უკუე ღმრთისათჳს თქუმისა ანუ სმენისა მნებებელსა განცხადებული ცნობაჲ, ეითარმედ არცა ყოველნი გამოუთქუმელ, არცა ყოველნი სათქუმელ არიან ღმრთისმეტყუელებისანიცა და განგებულებისანი, არცა ყოველნი უცნაურ, არცა ყოველნი საცნაურ. ხოლო სხუაჲ არს ცნობილი და სხუაჲ გამოუთქუმელი, ეითარ იგი სხუაჲ არს თქუმაჲ და სხუაჲ არს ცნობაჲ, ვინაჲცა მრავალ არიან ღმრთისათჳს ქნინ ოდენ გულისჴმისაყოფელნი და არცა თუ მცირედ გამოთქუმად შესაძლებელნი; არამედ ჩუენ შორისთა ყიიძულებით თქუმად ჩუენსა უზეშთაესთა ზედა, ეითარ-იგი ღმრთისათჳს ძილსა და რისხვასა და უდებებასა, ჴელთა და ფერჴთა და ეგევითართა.

აწ უკუე არს ღმერთი დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი, საუკუნე და სამარადისოჲ, აუგებელი, უქცეველი, უცვალებელი,[1] მარტიე, შეუზავებელი, უჴორცოჲ, უხილავი, შეუხებელი, გარეშეუწერელი, მიუწთომელი, გარეშეუცავი,[II] განუსაზღერელი,[III] გარეშეუსახელი, სახიერი, მართალი, ყოველად ძლიერი, ყოველთა აგებულთა დამბადებელი, ყოველისა მპყრობელი, ყოველისა ზედა-მხედველი, ყოველთა წინა-გამგებელი, ჴელმწიფე და მსაჯული. და უწყით და აღეიარებთ, ეითარმედ ერთ არს ღმერთი, ესე იგი არს, ერთი არსებაჲ და ეითარმედ სამთა გუამთა შინა იცნობების და არს-მამისა, ეიტყუ, 54v I
და ძისა და სულისა წმიდისათა. და ეითარმედ მამაჲ და ძე და სული წმიდაჲ ყოველითაჲე ერთ არიან, თჳნიერ უშობელობისა და შობი-

[1] ნუსხაში შეცდომით სწერია „გამოუთქუმელი". კონტექსტითაც აშკარაა შეცდომა და დედანშიც გეხედება τὸ ῥητόν (PG, 792).

[2] თარგმანში განვრცობილია დედნისეული καθ' ὑμᾶς: „ჩუენდა მომართ გარდამოყჳანებით".

[1] <B. II გარეშეუსახაე C. გარეშეუსახაე M. III განუსაზღერებელი BDM.

არიან, თჳნიერ უშობელობისა და შობილობისა და გამომაჳალობისა, და ეითარმედ მხოლოდ-შობილი ძე და სიტყუაჲ ღმრთისაჲ და ღმერთი მოწყალებითა წყალობისა თჳსისაჲთა ჩუენისა ცხორებისათჳს სათნო-ყოფითა მამისაჲთა და თანამოქმედებითა სულისა // წმიდისაჲთა უთესლოდ და უხრწნელად მუცლად-ღებულ იქმნა და იშჳა წმიდისაგან ქალწულისა და ღმრთისმშობელისა მარიამისსა, სულისა მიერ წმიდისა და სრულ კაც იქმნა მისგან, და ეითარმედ იგივე და ერთი ღმერთი არს სრული და კაცი სრული ორთა ბუნებათაგან-ღმრთეებისა და კაცებისათა და ორითა ბუნებითა – საცნაურითა, მნებებელითა და მოქმედთა და თჳთმფლობელითა. და რაჲთა მარტიჲად ეთქუა, ეითარმედ სრულებით აქუს მას ორთაჳე მათ საზღჳარი და სიტყუაჲ შემსგავსებული – ღმრთეებისასა ვიტყჳ და კაცებისასა, და
37r I ერთი გუამი შეზაჳებული, რამეთუ მოემშიაცა და მოეწყურა და დაშურა და ჯუარს-ეცუა და სიკუდილისა და დაფლჳისა გამოცდილებაჲ მიითუალა და აღდგა მესამესა დღესა და ზეცად ამაღლდა, ეინაჲ-იგი გარდამოჴდა და ჩუენდა მოიწია, და კუალად უკუანაჲსკნელ მომაჳალ არს, რამეთუ ამას შინა წამებს საღრმოჲო წერილი და ყოველთა წმიდათა კრებულნი.

ხოლო თუ რაჲ არს არსებაჲ ღმრთისაჲ, ანუ ეითარ არს ყოველთა შინა და თუ ეითარ არს შობაჲ და გამოსლვაჲ ღმრთისაჲ ღმრთისაგან,[1] ანუ თუ ეითარ თაჲი თჳსი დაიცარიელა მხოლოდ შობილმან ძემან და ღმერთმან და კაც იქმნა ქალწულებრიჲთა სისხლთაგან და ზეშთა-ბუნებითისა საზღერისა დაებადა, ანუ თუ ეითარ დაულტოლჳელითა ფერჴითა ვიდოდა წყალთა ზედა, ამის ყოელისა ცნობად და თქუმად უღონო ვართ,[2] რამეთუ შეუძლებელ არს უერცელეს განფენაჲ სიტყუსაჲ უუროჲს საღმრთოთა მაო სიტყუათა, ძულისა და ახლისა შჯულისა და აღთქმისა მიერ ჩუენდა ქადაგებულთა და თხრობილთა, არცა-რას უმეტესსა თქუმად, გინა მოგონებად ღმრთისათჳს.

ლობისა და გამომაჳალობისა. და ეითარმედ მხოლოდ-შობილი ძე და სიტყუაჲ ღმრთისაჲ ჴე[შ]მარიტისა და ღმერთი[1] წყალობითა მოწყალებისა თჳსისაჲთა ცხორებისათჳს ჩუენისა სათნო-ყოფითა მამისაჲთა და თანა-მოქმე-
793 დებითა სულისა // წმიდისაჲთა უთესლოდ მუცლადღებული, უხრწნელად იშჳა წმიდისაგან ქალწულისა და ღმრთისმშობელისა მარიამისსა, სულისა მიერ წმიდისა და სრულ კაც-იქმნა მისგან. და ეითარმედ იგივე ღმერთი სრული არს ერთბამად და კაცი სრული არს ერთბამად და კაცი სრული ორთაგან ბუნებათა – ღმრთეებისა და კაცებისათა და ორთა შინა ბუნებათა გონიერთა ნებებათა და მოქმედებათა[ა] და თჳთმფლობელთა და, მარტიჲად ითქუმოდენ, სრულებისა მქონებელთა თუთოეულისა და შესატყჳსთაებრ საზღჳართა და სიტყუათა ღმრთეებისა ვიტყჳ და კაცებისათა, ხოლო ერთი შეზავებული გუამი. და ეითარმედ მოემშია და მოეწყურა, დაშურა და ჯუარს ეცუა და სიკუდილისა და დაფლჳისა გამოცდილებაჲ მიითუალა და აღდგა სამისა დღისაჲ და ზეცად აღიჴადა. ეინაჲ-იგი გარდამოეიდა ჩუენდა და კუალად მოსლვად არს უკუანაჲსკნელ, წამებს საღმრთოჲ წერილი და ყოველი მწყობრი წმიდათაჲ.

ხოლო თუ რაჲ არს არსებაჲ ღმრთისაჲ, ანუ თუ ეითარ არს ყოველთა შინა, ანუ ეითარ იშჳების ღმრთისაგან ღმერთი, ანუ ეითარ გამოვალს,[1] ანუ ეითარ დამაცალიერებელი თაჲისა თჳსისაჲ, მხოლოდ-შობილი ძე და ღმერთი კაც-იქმნა ქალწულებრიჲთა სისხლთაგან სხუებრ, თჳნიერ ბუნებითისა წესისა დაბადებული, ანუ ეითარ დაულტოლჳელითა ფერჴითა ვიდოდა წყალთა ზედა, უმეცარ ვართ[ბ] თქუმად, ვერ ძალ-გუც,[2] ეინაჲთგან არა შესაძლებელ არს თუნიერ ღმრთიე-მიცემით საღმრთოთა სიტყუათა მიერ. ძულისა და ახლისა აღთქუმისათა უწყებულთა ჩუენდა, ესე 54r II
იგი არს, გამოცხადებულთა თქუმად რასმე, ა/ნუ/ რაჲთურთჳით მოგონებად ღმრთისა.

[1] "და თუ ეითარ არს შობაჲ და გამოსლუაჲ ღმრთისაჲ ღმრთისაგან" – დედანში არ არის.
[2] დიონისე არეოპაგელი, საღმრთოთა სახელთათჳის, I.

[1] "ანუ ეითარ იშუების ღმრთისაგან ღმერთი, ანუ ეითარ გამოვალს" დედანში არ ჴეხ:ლება. ეფრემის თარგმანში ეს ფრაზა დასტურდება 37r I.
[2] დიონისე არეოპაგელი, საღმრთოთა სახელთათჳის, I.

[ა] და ღმერთი <BCD. [ბ] ნებებათა და მოქმედებათა <BD. მოქმედებათა C. [ბ] +და BCDM

თავი ბ

37r II რამეთუ არს ღმერთი, ესე არა საეჭუელ არს მათდა, რომელნი შეიწყნარებენ წმიდათა წერილთა-ძუელისა ვიტყჳ და ახლისა აღთქუმისათა, და არცაღა გარეშეთა მათ წარმართთა, გარნა უმრავლესთა, და რამეთუ, ვითარ იგი პირველ ვთქუთ, მეცნიერებაჲ ღმრთისა ყოფისაჲ ბუნებით დათესულ არს ჩუენ შორის.

ხოლო ვინაითგან ესოდენ განძლიერდა სიბოროტე ეშმაკისაჲ ბუნებასა ზედა კაცთასა, ვითარმედ ვიეთნიმე უპირუტყუებრსა და ყოველთა ბოროტთა უბოროტესსა წარწყმედისა მთხრებელსა შთაჯადნა თქუმად, ვითარმედ არა არს ღმერთი, რომელთა უგუნურებისა წარმოსაჩინებელად იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი დაჳთ: „თქუა უგუნურმან გულსა შინა თუსსა: – არა არს ღმერთი.“ [1] გარნა უფლისა მოწაფეთა და მოციქულთა, ყოველად წმიდისა სულისა მიერ განბრძნობილთა და მადლითაჲვე და ძალითა მისითა მოქმედთა, ღმრთისა მიერთა მათ ნიშთა და სასწაულთასა ბადითა საკჳრველებათაჲთა მიემადლა სიღრმით უმეცრებისაჲთ მონადირებაჲ და ნათლად ღმრთის მეცნიერებისა აღმოყჳანებაჲ მათი.

და ეგრეთვე მსგავსად მადლისაცა // და პატივისა მათისა მონაცვალეთა მწყემსთა და მოძღუართა განმანათებელი იგი სუ-
37v I ლისა მადლი /v/ შეიწყნარეს და ძალითა საკჳრველებათაჲთა და სიტყჳთა მადლისაჲთა განანათლებდეს დაბნელებულთა და მოაქცევდეს შეცთომილთა. ხოლო ჩუენ, რომელთა არცა საკჳრველებათა, არცა მოძღურებისაჲ მოგუღებიეს მადლი, რამეთუ უღირს ვყჳენით თაჳნი ჩუენნი ენებულად სიყუარულითა გემოთაჲთა, მოვედით და მოცემულისა მისგანეე მოძღუართა მიერ სოფლისათა[2] და მოწაფეთა მადლისათა მცირედი რაჲმე ამის პირისათჳს ვთქუათ შემწედ მოწოდებითა მამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთა.[3]

ყოველნივე არსთაგანნი ანუ აგებულნი არიან, ანუ აუგებელნი. აწ უკუე აგებულთა მათ უეჭუელად თუს-ეყჳის ქცეულებაჲცა, რამეთუ რომელთა ყოფად ქცეულებისაგან იწყეს, ამათ უეჭუელად თანა ეჳეყას ქცეულებაჲცა ანუ განსწჴადობითა, ანუ ნებისა შეცჳალებითა. ხოლო აუგებელნი შემდგომობისაებრ სიტყჳსა უეჭუელად უქცეველცა არიან. რამეთუ რომელთა ყოფაჲ წინააღმდგომ მათი და ესრეთ ეითამე ყოფისა სიტყუაჲცა წინააღმდგომ არს, ესე იგი არს, განთჳსებულ არს.

37v II ვინმცა უკუე არა გუეწამა, ვითარმედ ყოველნიეე არსნი, რაოდენნი გრძნობასა ჩუენსა შინა არიან, ეიდრე ანგელოზთამდეცა, იქცევიან და იცჳალებიან, მრავალსახედ იძრვიან და

თავი ბ

აწ /უ/კუე ვითარმედ არს ღმერთი, შემწყნარებელთათჳს ეიდრემე[1] წერილისათა, ძუელსა ეიტყჳ და ახალსა აღთქუმასა, არა საეჭუელ არს, არამედ არცა ელლენთაგანთა უმრავლესთა. და რამეთუ, ეითარცა ეთქუთ, მეცნიერებაჲ ღმრთისა ყოფისაჲ ბუნებით დათესულ არს ჩუენ შორის.

ხოლო ვინაითგან ესოდენ განძლიერდა სიბოროტე უკეთურისაჲ ბუნებასა ზედა კაცთასა, ვითარმედ[II] ვიეთნიმე უპირუტყუესსა და ყოველთა უბოროტესსა წარწყმედისა მთხრებელსა შთაჯადნა თქუმითა არა ყოფისა ღმრთისასა, რომელთა უგუნურებისა წარმოსაჩინებელად ღმრთიე-ჰმოვანი დაჳთ იტყოდა: „თქუა უგუნურმან გულსა შინა მისსა: – არა არს ღმერთი“.[I] ხოლო უფლისა მოწაფეთა და მოციქულთა, ყოველად წმიდითა სულითა განბრძნობილთა და ძალითა მისითა და მადლითა მოქმედთა საღმრთოთა სასწაულთასა ბადითა საკჳრველებათაჲთა,[III] ნათლად ღმრთის მეცნიერებისად სიღრმისაგან უმეცრებისა მოინადირნეს და აღმოიყჳანნეს კაცნი.

796 ეგრეთევე მადლისაცა // და პატივისა მონაცვალეთა მწყემსთა და მოძღუართა შეწყნარებითა განმანათლებელსა მადლსა სულისასა ძალითა საკჳრველებათაჲთა და სიტყჳთა მადლისაჲთა დაბნელებულნი განანათლნეს და შეცთომილნი მოაქცინეს. ხოლო ჩუენ, რომელთა არცა საკჳრველებათაჲ, არცა მოძღურებისაჲ მოგუღებიეს მადლი, რამეთუ უღირს ეყჳენით თავნი თუსნი ენებულად სიყუარულითა გემოთაჲთა, მოვედ მოცემულთაგან ჩუენდა მოწაჳეთაგან მადლისათა წარმოვთქუნეთ ამისთჳს, შემწედ მომწოდებელთა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა.[2]

ყოველნი მჳოფნი ანუ აგებულნი არიან, ანუ აუგებელნი, და უკუეთუ – აგებულნი 55r I ეიდრემე, უეჭუელად – ქცეჳადნიცა, რამეთუ ქცეულებ/ისა/გან იწყეს ყოფად, ამათ უეჭუე/ლად/ თანა-აც ქცეჳადობაჲ, ანუ გან/ხ/რწჱითა,[IV] ანუ წინა-აღრჩეჳისა /მ/იერ შეცჳალებითა. ხოლო უკუეთუ – აუგებელნი ჭეშმარიტისა სიტყჳსაებრ – უეჭუელად უქცეველნიცა, რამეთუ რომელთა ყოფაჲ წინააღმდგომ მათი, ეითარ ყოფისა სიტყუაჲცა წინააღმდგომ არს, ესე იგი არს, თჳთებისაჲ.

ვინ უკუე არა უწყის ყოველთავე მჳოფთაჲ, რაოდენნი არიან გრძნობასა ჩუენსა ქუეშე, არამედ ანგელოზთაჲცა ქცეჳადობაჲ და ცჳა-

[1] ფსალმუნნი, 13, 1.
[2] "მოძღუართა მიერ სოფლისათა" – დეფანში არ არის.
[3] გრიგოლ ნაზიანზელი, სიტყჳები, 34.

[1] ფსალმუნნი, 13, 1.
[2] გრიგოლ ნაზიანზელი, სიტყჳები, 34.

[I] ეიდრე BC. [II] ეიდრემდის BM. [III] <B. საკჳრველებისაჲთა M. [IV] განხრწნადთა M.

შეცვალებიან. რამეთუ საცნაურთა. ანგელოზ-
ოა ეიტყუ და სულთა და ეშმაკთა, თუთმფლობ-
ელობით აქუს აღრჩეაი კეთილად წარმატები-
სათჳს, ანუ ქეოილისაგან განჭუებისათჳს, რომ-
ლითა წარემატებიან და მოაკლდებიან. ხოლო
სხუათა შობითა და ხრწნილებითა, აღმატებითა
და მოკლებითა, რომელობად შეცვალებითა და
ადგილითიადგიად ძრეითა აქუს ქცეადობაი
იგი. ეინიაცა ქცეადნი უეჭუელად აგებულნი
არიან და აგებულნი აგებულ ეისგანმე და
დაბადებულ არიან. ხოლო დამბადებელი
მათი აუგებელი ეიდრემე ჯერ-არს, რამეთუ,
უკუეთუ იგიცა აგებულეე არს, უეჭუელად
სხჳსა ეისგანმე აგებულ არს; ეიდრემდის
მიეემთხუნეთ ამგებელსა აუგებელსა. ხოლო
აუგებელი რაი იყოს დამბადებელი, უეჭუელად
უქცეველცა არს, რომელი-ესე ეინმცა იპოეა
სხუაი, თუნიერ ღმრთისა? რამეთუ თუთ ესე
დაბადებულთა შეკრებაი, დაცეაი და მართე-
ბაი მასწავებს ჩუენ, ეითარმედ არს ღმერთი,
რომელმან ესე ყოველი დაჰბადა და უპყრიან
და სცაეს და მარადის წინაჲთეე განაგებს.
38r I რამეთუ ეითარმცა წინააღმდგომნი ესე ბუნე-
ბანი, ცეცხლსა ეიტყუ და წყალსა, პაერსა და
ქუეყანასა, ერთისა სოფლისა აღსრულებად
ურთიერთას შემოკრებეს და დაუჴსნელად ჰგიან,
არათუმცა ყოელისა შემძლებელსა მას ძალსა
შემოეკრიბნეს იგინი და მარადის სცაედა მათ
// დაუჴსნელად?[1]

ეინ განაწჳსნა ზეცისა და ქუეყანისანი,
რაოდენნი არიან პაერსა შინა და რაოდენნი
წყალთა შინა, ხოლო უფროსღა პირველ
ამათსა ცაჲ, და ქუეყანაჲ, და პაერი, და ბუნე-
ბაჲ ცეცხლისა და წყლისაჲ? ეინ შეზაეა
ესენი და განყენა, ეინ არს მძრეელი ამათ
და დამყეანებელ ძრეითა დაუყენებელითა
და დაუყრობელითა, ანუ არა ჴელოეანმან-ა
ამათმან და სიტყუს დამდებელმან ყოელის-
მან, რომლისა მიერ ყოველი იპყრობების და
განეგებეის? ხოლო ეინ არს ჴელოეანი ამათი,
ანუ არა იგი-ა, რომელმან შექმნა ესენი და
არა-რაისგან არსად მოიყეანნა? რამეთუ არა
თუთმყოფობასა მიესცეთ ესეეითარი ძალი? და
დაღათუ თუთმყოფ არიან, ეინ არს განმაწუ-
სებელ მათდა? და განებაეს თუ ესეცა, მიესცეთ,
გარნა ვისიღა იყო პყრობაი, დაცეაი?

38r II არამედ რაითა პირეელსაეე სიტყუასა აღ-
ეიყეანოთ და სიტყუასა დაუმორჩილოთ აღ-
საარებაი სიტყუთ პყრობისა და განგებისა
ყოველთაესაე, რაითა არა თაეით თუსით მყოფ
ეჰგონებდეთ, არამედ სხუსა მიერ დაბადებ-
ულებაი უწყოდით დაბადებულთაე, ხოლო
დამბადებელი იგი ეინ არს სხუაი, თუნიერ
ღმრთისა?[2]

[1] ათანასე ალექსანდრიელი, წარმართთა წინააღმდეგ, PG, t. 25, col. 69-77.

[2] გრიგ. ნაზ., სიტ. 28, PG, t. 36, col. 45-47; ათან. ალექს., განჭორციელებისათჳს სიტყუსა, PG, t. 25, col. 97-100.

ლებადობაი და მრავალ-სახედ მოძრაეობაი
და შეცვალებადობაი, გონიერთა უკუე ანგე-
ლოზთა ეიტყუ და სულთა და ეშმაკთა წინა-
აღმრჩეელობით, წარმატებითა კეთილსა შინა
და სიეილტოლითა ბოროტისაგან წარმართე-
ბული და შემტკიცებული, ხოლო სხუათაჲ
ქმნითა და ხრწნილებითა, აღორძინებითა და
მოკლებითა და ეითარებითა და აგებულითი-
ადგილად მოძრაეობითა ქმნილი შეცვალებაი.
ქცეადნი სადმე არიან მყოფნი უეჭუელად
და აგებულნიცა, და აგებულნი დაბადებულ[I]
ვისგანმე არიან[II] უეჭუელად. ხოლო ჯერ-არს
დამბადებელისა აუგებელ-ყოფაი, რამეთუ უკუ-
ეთუ აგებულ არს იგიცა, უეჭუელად აგებულ
არს ვისგანმე, ეიდრემდის მიეემთხუნეთ ვისმე
აუგებელსა. და აუგებელ რაი იყოს დამბადე-
ბელი, უეჭუელად უქცეველცა არს. ხოლო
ესე სხუაიმცა რაი[III] იყო, გარნა ღმერთი! და
თუთ იგი დაბადებულისა პყრობაი, დაცეაი და
მართებაი გუასწაეებს ჩუენ, ეითარმედ არს
ღმერთი ყოველისაე ამის შემამტკიცებელი
და შემომკრებელი და მცეელი და მარადის
წინა-განმგებელი. რამეთუ ეითარმცა წინა-
აღმდგომნი ბუნებანი, ცეცხლისასა ეიტყუ და
წყლისასა,[IV] პაერისა და[V] მიწისასა, სრულებად
ერთისა სოფლისა შემოკრებუ ურთიერთას 55r II
და დაუჴსნელად ეგნეს.[1] არათუმცა ყოელაე
ძლიერი რაიმე ძალი შეანაწეერებდა მათ და
797 მარადის სცაედა // დაუჴსნელად?

რამეთუ ეინ არს წესიერებაი ზეციერთა
და ქუეყნიერთაჲ, რაოდენნი პაერისანი არიან
და რაოდენნი წყლისანი? ხოლო უფროსღა
უწინარეს ამათსა ქუეყანაჲ[VI] და ჰაერი და
ბუნებაჲ ცეცხლისა და წყლისაჲ, ეინ შეზაეა
ესენი და განყენა, ეინ არს მძრეელი ამათი
და მყეანებელი მოქცეეითა დაუცხრომელითა
და დაუყრობელითა? არა სადმე ჴელოანი-ა
ამათი და სიტყუს დამდებელი ყოელსა შინა,
რომელითა ყოველი განეგებეის და იტკრთუს?
ხოლო ეინ არს ჴელოანი ამათი, ანუ არა
შემოქმედი-ა და ყოფად მომყეანებელი ამათი?
რამეთუ არა თაეით თუსითობასა მიესცეთ
ესეეითარი ძალი? ხოლო იყაენ თაეით თუსით
ქმნულებაი, ვისიღა იყოს განმაწჳსებელობაჲ?
და, უკუეთუ განებაეს, ესეცა მიესცეთ, ვისიღა
იყოს ფარეაი, დაცეაი, რომელთა სიტყუები-
საებრ[VII] შემტკიცდეს[VIII] პირეელითგანეე, ცხად
არს, ეითარმედ სხუსა, თუნიერ თაეით თუსი-
თობისა, ხოლო ესე სხუაიმცა ეინ იყო, გარნა
ღმერთი![2]

[1] ათანასე ალექსანდრიელი, წარმართთა წინააღმდეგ, PG, t. 25, col. 69-77

[2] გრიგ. ნაზ., სიტ. 28, PG, t. 36, col. 45-47; ათან. ალექს., განჭორციელებისათჳს სიტყუსა, PG, t. 25, col. 97-100.

[I] დაბადებულნი M. [II] <M. [III] სხუაიმცა რაი — სხუაი რაიმცა M. [IV] წყლისაჲ BM. [V] <BM. [VI] +და ცაჲ M. [VII] სიუაბრ M. [VIII] შემტკიცნეს BM.

Л, 4/ თუ რაჲ არს ღმერთი, ვითარმედ მიუწვდომელ არს

თავი ღ

აწ უკუე ესე საცნაურ არს, ვითარმედ არს ღმერთი, ხოლო თუ რაჲ არს არსებით და ბუნებით, ესე მიუწვდომლ არს და ყოვლად უცნაურ. და ვითარმედ უჴორცო არს [ცხად არს],[1] რამეთუ ვითარ ჴორც იყოს მიუწდომელი და შეუსაზღვრებელი, გამოუსახველი და შეუხებელი და უხილავი, მარტივი და შეუზავებელი? რამეთუ ვითარ წმიდა არს, უკუეთუ გარეშეწერილ არს და ენებულ და ვითარ უენებელ არს, რომელი-იგი ნივთთა ქუეშე მდებარე არს და მათდა მიმართეე კუალად განილეჱის? რამეთუ შეზავებულებაჲ დასაბამი არს ბრძოლისაჲ, ხოლო ბრძოლაჲ – განყოფისა და განყოფაჲ – დაჴსნისა, ხოლო დაჴსნაჲ ყოელად უცხო არს ღმრთისაგან.[2]

რომელი-ესე ესრეთ თუ იყოს, ვითარღა მტკიცე იყოს ყოველთა ზედა გარდაფენაჲ, და ყოელისავე აღესებაჲ ღმრთისაჲ, სიტყჳსაებრ წერილისა, ვითარმედ „არა ცასა და ქუეყანასა მე (v) აღვავსებაჲ“ – იტყჳს უფალი“.[3] 38v I
რამეთუ შეუძლებელ არს ჴორციელი და ნივთიერი გუამი განყოფად გუამთა შორის, თჳნიერ რაჲთა განიკუეთებოდეს და გაჰკუეთდეს და შეეთხზოდის და წინა-დაიდებჳოდის, ვითარცა რომელი-იგი შეეზაეის ნოტიას და თანა-განერიის.[4]

ხოლო უკუეთუ ვიეთნიმე იტყჳან უნიეთოსა გუამსა, ვითარ-იგი ითქუმის გარეშეთა მათგან ბრძენთა წარმართთაჲსა მეხუთე გუამი, რომელი-ესე შეუძლებელ არს, რაჲთამცა იგიცა მოძრაე იყო მსგაჳსად ცისა, რამეთუ მასცა მეხუთედ გუამად იტყჳან, არამედ ეინ არს მძრეელი მისი, რამეთუ ყოველი მოძრაეი სხჳსა მიერ იძრეის და მერმე სხჳსა მას მძრეელსა ეინღა ძრვიდეს? რომელი-ესე დაულეველ არს, ვიდრემდის მივემთხჳოდით ყოველად უძრაესა რასმე. რამეთუ პირველი იგი მძრეელი უძრაეი ჯერ-არს, ვითარ-იგი შეეტყუების ღმერთსა.

ხოლო მოძრაე თუ იყოს, ვითარ არა ადგილსა შინა წერილ იყოს? ვინაჲცა ცხად არს //, ვითარმედ შეუძრეელ არს ბუნებაჲ საღმრთოჲ, რომელი-იგი უძრაობით[5] ძრაეს ყოველსა.

აწ უკუე უჴორცოდ გულისჴმა იყოფებოდენ ღმერთი. არამედ არცა ესე არს წარმომაჩინებელი არსებისა მისისაჲ, ვითარ-იგი არცა

[1] "ცხად არს" ჩვენი კონიექტურაა. კონტექსტი მოითხოვს ამ სიტყვებს და დედანშიც არის: ὅτι μὲν γὰρ ἀσώματον, δῆλον.
[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 28, PG, t. 36, col. 33.
[3] იერემია, 23, 24.
[4] გრიგ. ნაზ., იქვე, გვ. 36.
[5] დედანში წერია „უძრაობით ძრაეს ყოველთა“ (δι' ἀκινησίας πάντα κινοῦν), ხოლო ეფრემის თარგმანის ნუსხაში იკითხება „მოძრაობით". შეცდომა კონტექსტიდანაც ჩანს.

Л, 4/ რაჲ არსობისათჳს ღმრთისა, ვითარმედ მიუწთომელ არს

თავი ღ

რამეთუ ვითარმედ არს უკუე ღმერთი, ესე ცხად არს, ხოლო თუ რაჲ არს არსებით და ბუნებით, მიუწთომელ არს ყოელითურთ და უცნაურ. და რამეთუ უსხეულო არს, ცხად არს, რამეთუ ვითარ სხეულეან იყოს განუზომელი და განუსაზღვრებელი და უსახოჲ და შეუხებელი და უხილავი და მარტიჲი და შეუზავებელი, ანუ ვითარ ქცევადი და გარეშეწერილი და ენებული იყოს? და კუალად ვითარ იყოს ნივთთაგან შემოკრებული და კუალად მათდაჳ მიმართ დაჴსნადი? რამეთუ შეზავებაჲ დასაბამი არს ბრძოლისაჲ, ხოლო ბრძოლაჲ განწჳალებისაჲ და განწჳალებაჲ დაჴსნისაჲ, ხოლო დაჴსნაჲ ყოელითურთ უცხო არს ღმრთისაჲ.[1]

ანუ ვითარ დაცეულ იქმნეს ყოველთა შორის მკუდრობაჲ და ყოველთა აღმაჳსებელობაჲ ღმრთისაგან, ვითარცა იტყჳს წერილი: „არა ცასა და ქუეყანასა მე აღვაჳსებაჲ“?[1] – იტყჳს ღმერთი“.[2] || რამეთუ შეუძლებელ არს სხეულეანისა სხეულთა შორის მკუდრობაჲ, რაჲთამცა არა განჰკუეთდა და განიკუეთებოდა და თანა შეეთხზოდა და გუერდით დაედებოდა, ვითარ-იგი რაოდენნი ნოტიათა შეერევიან და თანა განეზაებიან.[3] 55v I

ხოლო დაღათუ ვიეთმე თქუან უნიეთოჲ სხეული, ვითარ ელლენთა ბრძენთა მიერ თქუმული მეხუთე სხეული, რომელი შეუძლებელ არს მოძრაჲ იყოს უეჭუელად, ვითარცა ცაჲ, რამეთუ მას იტყჳან მეხუთედ სხეულად. ვინ უკუე არს, რომელი ძრაეს მას, ვინაჲთგან ყოველი მოძრაეი სხჳსა მიერ იძრეის და კუალად იგი ვინ იყოს და ესე დაუსრულებელ არს, ვიდრემდის მივიწინეთ უძრაესა რაჲსმე, რამეთუ უძრაე არს პირეელი მძრეელი, რომელ არს ღმერთი.

გარნა ვითარ არა ადგილსა შინა შეწერილ იყოს მოძრაეი? ვინაჲცა მხოლოჲ // ღმერთი 800 არს უძრაე უძრაობისა მიერ მძრეელი ყოველთაჲ.

ესრეთ უკუე უსხეულოდ გულისჴმა-იყოფებოდედ ღმერთი, არამედ არცა ესე არს არსებისა მისისა წარმომადგინებელი, ვითარ იგი არსცა[III] უშობელი და დაუსაბამოჲ და უცვალებელი და უხრწნელი და რაოდენნი ღმრთისათჳს ანუ ღმრთისად ყოფად ითქუმიან,

[1] გრიგ. ნაზ. სიტ., 28, PG, t. 36, col. 33.
[2] იერემია, 23, 24.
[3] გრიგ. ნაზ., იქვე, გვ. 36.
[I] +ვითარცა CM. [II] უფალი BC. [III] არცა BC.

38v II უშობელობაჲ,[1] რაოდენნი ღმრთისათჳს ანუ ღმრთისა თანა ყოფად ითქუმიან. რამეთუ ესე ყოველი არა რაჲ-არსობასა, არამედ რაჲ არა-არსობასა მოასწაւებს. ხოლო უკმს მნებებელსა გამოთქუმად ეისისამე არსებისა, რაჲთა იგი თქუას, რაჲ-იგი იყოს, არა-რაჲ-იგი არა იყოს.

გარნა ყოველსაცე ზედა შეუძლებელ არს ღმრთისათჳს თქუმად, თუ რაჲ არს არსებაჲ მისი.

ხოლო უსაკუთრეს არს, რაჲთა ყოველთა არსთაგან განყოფითა ეჰყოფდეთ მისთჳს სიტყუასა, რამეთუ არცა ერთი არს იგი არსთაგანი, არა თუ ეითარმცა არა რაჲ იყო, არამედ რამეთუ უზეშთაეს არს ყოველთა არსთა და თჳთ მის ყოფისაცა უზეშთაეს არს. რამეთუ უკუეთუ თჳთ არსთა ბუნებისა ცნობაჲ ზეშთა ბუნებისა არს, უეჭუელად უზეშთაესიცა იგი არსთაჲ ზეშთა არსებისა იყოს, და კუალად წინაუქმო, უსჳშთაესი იგი არსებისაჲ უზეშთაეს ცნობისაცა არს.[2]

მიუწდომელ არს უკუე ღმერთი და ძნიად საცნობელ და ესე ხოლო არს მისი საცნაურმიუწდომელობაჲ და დაუტეველობაჲ. ხოლო რაოდენსა რას ეიტყუთ ღმრთისათჳს, განჩინებით არა თჳთ ბუნებისა, არამედ ბუნებისა საქმეთა ოდენ მაუწყებელ არიან. და სახიერი და მართალი და ბრძენი და სხუაი, რაჲცა რაჲ ესეეითარი სთქუა, არა ბუნებასა იტყჳ ღმრთისასა, არამედ საქმეთა ბუნებისათა.

39r I ხოლო არიან რაიმე ღმრთისათჳს განჩინებით თქუმულნი სიტყუანი, რომელთა ზეშთა აღმატებულისა ძალისა მისისა გამოჩინებაჲ აქუს, ეითარ-იგი ბნელსა ეიტყჳ ღმრთისა თანა, არამედ არა ბნელად გულისჴმა-ეჰყოფთ, გარნა მიუწდომელობად, ეითარმედ არა არს ნათელ, არამედ ზეშთა ყოველთა ნათელთა. ხოლო ნათელი რაჲ ეთქუათ, ცხად-ეჰყოფთ, ეითარმედ ბნელი მის თანა არა არს.

რამეთუ ესენი მისსა არა თუ რაჲ არს და /მჳს წარმოაჩენენ, არამედ რაჲ არა არს, რამეთუ არსებისა ეისისამე[1] თქუმად მნებებელსა რაჲ არს, მისი თქუმაჲ უკმს, არა თუ რაჲ არა არს, გარნა ღმრთისა ზედა, თუ რაჲ არს არსებით, შეუძლებელ არს მისი თქუმაჲ.

და უფროს უსაკუთრეს არს მოკლებისაგან ყოველთაჲსა ყოფაჲ მისთჳს სიტყჳსაჲ, რამეთუ არა რაჲ არს არსთაგან, არა თუ ეითარცა არსი, არამედ ეითარცა ზესთა არსთაჲ და უზესთაესი თჳთ მის ყოფისაჲცა, რამეთუ უკუეთუ არსთანი" არიან მეცნიერებანი ზესთა მეცნიერებათაჲ, უეჭუელად ზესთა არსებისაცა იყოს. და წინა-უკმო ზესთა არსებისაჲ მეცნიერებისაცა უზესთაეს იყოს.[1]

განუზომელ არს უკუე ღმერთი და მიუწთომელ და ესოდენ არს მისი მისაწოომელ – განუზომელობაჲ და მიუწთომელობაჲ. ხოლო რაოდენთა ეიტყუთ ღმრთისათჳს წათქუმით, არა ბუნებასა, არამედ გარემოჲსთა ბუნებათა ცხად-ყოფენ, რამეთუ დაღათუ სახიერი, დაღათუ მართალი, დაღათუ ბრძენი, დაღათუ 55v II რაჲცა რაჲმე სთქუა, არ/ა/ ბუნებასა იტყჳ ღმრთისასა, არამედ გარემოჲ/სთ/ა ბუნებისათა. ხოლო არიან რაჲმე წათქუმით სათქუმელნი ღმრთისათჳს, რომელთა აქუს ძალი ზესთა აღმატებით უკუ-თქუმისაჲ, ეითარ-იგი სიბნელისა მეტყჳულნი ღმრთისათჳს არა ბნელად გულისჴმა-ეჰყოფთ მას, არამედ რამეთუ არა ნათელ არს, არამედ ზესთა ნათლისა.[2]

/I, 5/ გამოჩინებაჲ, ეითარმედ ერთ არს ღმერთი და არა მრავალნი

თავი ე

ეითარმედ ერთ არს ღმერთი და ეითარმედ მიუწდომელ არს არსებაჲ მისი, ჯეროვნად განცხადებულ არს. ხოლო რამეთუ ერთი არს და არა მრავალნი, არცა ესე დაუჯერებელ არს მათდა, რომელთა ჰრწმანდენ ღმრთიესულიერნი წერილნი, რამეთუ იტყუს უფალი დასაბამსა შჯულისდებისასა: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან აღმოგიყუანე შენ ქუეყანით ეგჳპტით. ამისთჳსცა არა იყუენენ შენდა ღმერთნი სხუანი, თჳნიერ ჩემსა"[3] და კუალად იტყუს: „ისმინე ისრაჱლ, უფალი

/I, 5/ გამოჩინებაჲ, ეითარმედ ერთი არს ღმერთი და არა მრავალნი

თავი ე

ეითარმედ არს უკუე ღმერთი, ესე გამოჩინებულ იქმნა და ეითარმედ მიუწთომელ არს არსებაჲ მისი. ხოლო ეითარმედ ერთი არს ღმერთი და არა მრავალნი, მრწმუნებელთათჳს ეიდრემე საღმრთოჲსა წერილისათა არა საეჭუელ არს, რამეთუ იტყუს ღმერთი[III] დასაბამსა შჯულისდებისასა: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყუანე შენ ქუეყანით ეგჳპტით. არა იყუენენ შენდა ღმერთნი სხუანი, თჳნიერ ჩემსა"[1]. და კუალად: „ისმინე, ისრაჱლ,

[1] ეურუმის რედაქციას აკლია გამოთქმები – „დაუსაბამოობაჲ, უცვალებელობაჲ, უხრწნელობაჲ" (καὶ τὸ ἀναλλοίωτον, καὶ τὸ ἄφθαρτον).

[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 28, PG, t. 36, col. 36-37.

[3] გამოსლეათა, 20, 2.

[1] იქვე, გე. 36-37

[2] არ არის თარგმნილი დედნის სიტყვები: καὶ φῶς, ὅτι οὐκ ἔστι σκότος /...და/ ვამბობთ/ სინათლეს და /ეგულისხმობთ/, რომ არ არის სიბნელე/.

[3] გამოსლეათა, 20, 2.

[1] ეისამე C. [II] არსთაგანი C. [III] უფალი BCM.

ღმერთი შენი, უფალი ერთ არს"[1] და ესაიაჲს მიერ წინაასწარმეტყუელისა: „მე ვარო, იტყჳს ღმერთი, – პირველი და მეუე ამისსა შემდგომად, და თუნიერ ჩემსა არა არს ღმერთი,[2] პირველ ჩემსა არა იყო სხუა ღმერთ და შემდგომად ჩემსა არა არს"[3] უფალი წმიდასა // სახარებასა
39r II შინა იტყჳს მამისა მიმართ, ეითარმედ: „ესე არს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ, რაჲთა გიცოდიან შენ მხოლოჲ ჭეშმარიტი ღმერთი".[4]

ხოლო რომელთა არა პრწმენან წმიდანი წერილნი, მაო ესრეთ სიტყუა უგებთ, ეითარმედ საღმრთოჲ ბუნებაჲ სრულ არს და უნაკლულო სახიერებითა და სიბრძნითა, და ძალითა, დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი, საუკუნოჲ, გარეშეუწერელი და, რათა მარტივად ვთქუა, ყოელითურთ სრული.

აწ უკუე მრავალთა თუ ეიტყოდით ღმერთთა, საჭიროდ სახილველ იქმნეს განყოფილებაჲ მრავალთა შორის, რამეთუ უკუეთუ არცა ერთი იყოს განყოფილებაჲ მათ შორის, უფროისცა ერთი არს და არა მრავალნი. ხოლო უკუეთუ განყოფილებაჲ იყოს მათ შორის, სადა არს სრულებაჲ? რამეთუ გინა თუ სახიერებაჲ, გინა ძალი, გინა სიბრძნე, გინა ჟამი, გინა ადგილი აკლდეს სრულისაჲ, არა იყოს იგი ღმერთ. ხოლო უკუეთუ ამით ყოელითა სრულ იყუნენ, ერთი სადმე არს და არა მრავალნი. რამეთუ ეითარ დაიცჳას გარეშეუწერელობაჲ მრავალთა შორის? რამეთუ სადაცა იყოს ერთი, მუნ ვერღარა იყოს მეორეცა.

ანუ ეითარ მრავალთა მიერ იპყრობებოდის
39v I სოფელი და არა მყის განიხრწნას და დაიკჭნას, ხედვიდეს რაჲ ბრძოლასაჲ მმართებელთა და მპყრობელთა მისთასა? რამეოუ განყოფილებაჲ წინააღმდგომობასა შეიმოიყჳანებს.

ხოლო უკუეთუ თქუას ეინმე, ეითარმედ თითოეული მრაალთა მათ ღმერთთაგანი თუსსა კერძოსა მთაერობს, ეინ არს, რომელმან განაწესნა და განაჩინნა საზღჳარნი მათნი? რამეთუ უფროისცა იგი არს ღმერთ. ეინაიცა ცხად არს, ეითარმედ ერთ არს ღმერთი სრული, გარეშეუწერელი, ყოელთა შემოქმედი, მპყრობელი და მმართებელი ზეშთა სრულებისაჲ და უპირატესი სრულთაჲ.[5]

ამას თანა თჳთ ბუნებითიცა შჯული უფროს შეწყნარებულ ჰყოფს მარტოდ მპყრობელობასა, უფროს მთაერობისა ორთაჲსა.[6]

[1] მეორე სჯული, 6, 4.
[2] ესაია, 41, 4.
[3] ესაია, 43, 10-11.
[4] იოანე, 17, 3.
[5] გრიგ. ნაზ., სიტ. 29, PG, t. 36, col. 76.
[6] დიონ. არეოპ., საღმრთ. სახელთ., PG, III, col. 820, 841. დედანში ეს წინადადება ასე არის წარმოდგენილი: πρὸς δὲ καὶ φυσικὴ ἀνάγκη μονάδα εἶναι δυάδος ἀρχήν – ბუნებრიეი აუცილებლობით ერთობა საწყისია ორობისა.

უფალი ღმერთი შენი ღმერთი[1] ერთ არს".[1] და ესაიაჲს მიერ წინაასწარმეტყუელისა: „მე ვარ, – იტყჳს ღმერთი, – პირველი, და მეუე ამისსა შემდგომად, და თუნიერ ჩემსა არა არს ღმერთი.[2] უწინარეს ჩემსა არა იყო სხუა ღმერთი და შემდგომად ჩემსა არა იყოს და თუნიერ ჩემსა არა არს".[3] და უფა-
801 ლი საღმრთოთა // სახარებათა შინა ესრეთ იტყჳს მაშისა მიმართ: „ესე არს ცხორებაჲ საუკუნოჲ, რათა გიცოდიან შენ მხოლოჲ ჭეშმარიტი ღმერთი".[4] ხოლო არა მრწმუნებელთა საღმრთოჲსა წერილისათა ესრეთ სიტყუაჲ უგოთ, ეითარმედ ღმერთი სრული არს და უნაკლულოჲ სახიერებითაცა და სიბრძნითა და ძალითა, დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი, სამარადისოჲ, გარეშეუწერელი, და მარტიულად ითქუმოდედ, ყოელითურთ სრული.

აწ უკუე მრავალთა ეიტყოდეთ ღმერთთა, საჭირო არს განყოფილებისა სახილველობაჲ მრავალთა შორის, რამეთუ უკუეთუ არცა ერთი განყოფილებაჲ იყოს მათ შორის ერთი არს უფროისცა და არა მრავალნი, ხოლო უკუეთუ განყოფილებაჲ იყოს მათ შორის, სადა არს სრულებაჲ? რამეთუ დაღაცუ სახიერებითა, გინა ძალითა, გინა სიბრძნითა, გინა ჟამითა, გინა ადგილითა აკლდეს რაჲმე სრულებასა, 56r I
არა იყოს ღმერთ. ხოლო ყოელითა იგიეებაჲ ერთობასა უფროჲ/ს და არა სიმრავლესა აჩუენებს.

ანუ ეითარ დაცულ იქმნეს მრავალთა შორის /გ/არეშეუწერელობაჲ, რამეთუ სადაცა იყოს ერთი, არღარა სადმე იყოს სხუაჲ, ანუ ეითარ მრავალთა მიერ და[II] მართებულ იქმნეს სოფელი და არა დაიკჭნეს და განიხრწნეს[III] მართებასა შინა სახილველობითა ბრძოლისაჲთა, რამეთუ განყოფილებაჲ წინააღმდგომობასა შეიმოიყვანებს!

ხოლო უკუეთუ ეინმე იტყოდის, ეითარმედ თითოეული მთაერობს კერძოსა ზედა, ეინ არს დამაწესებელი და საზღვართა[IV] დამსხმელი მათი, რამეთუ უფროისცა იგი იყოს ღმერთი? ამისთჳს ერთ არს ღმერთი სრული, გარეშეუწერელი, ყოელისა შემოქმედი, მპყრობელი და მმართებელი, ზესთა სრული და პირველითგან სრული.[5]

[1] მეორე სჯული, 6, 4.
[2] ესაია, 41, 4.
[3] ესაია, 43, 10-11.
[4] იოანე, 17, 3.
[5] გრიგ. ნაზ., სიტ., 29, PG, col. 76. ამის შემდეგ დედანში არის წინადადება: πρὸς δὲ καὶ φυσικὴ ἀνάγκη μονάδα εἶναι δυάδος ἀρχήν /ბუნებრიეი აუცილებლობით ერთობა ორობის საწყისია/. ეს დებულება ეკუთვნის ψευედო-დიონისე არეოპაგელს / საღმრთ. სახელთ., PG, 3, col. 820, 841/.

[I] უფალი BCM. [II] <BM. [III] და არა დაიკჭნეს და განიხრწნეს <B. [IV] საზღვრის CM.

⁄I, 6⁄ სიტყუსათჳს ღმრთისა[1]

თაւი 3

ესე უკუე ერთი და მხოლოი ღმერთი არა უტყჳ არს, არამედ სიტყუაი აქუს, არა უგუამოი წესითა, // არა დაწყებული ყოფად, არცა 804
ოდეს დასრულებადი. რამეთუ არ ოდეს იყო ღმერთი პირუტყუ, არამედ მარადის აქუს სიტყუაი თუსი მისგან შობილი, არა სიტყჳსაებრ ჩუენისა უგუამოი, არცა ჰაერად განბნეული, არამედ გუამოვანი, ცხოველი და სრული. არა
39v II გარეთ მისსა მყოფი, არამედ მარადის მის შორის მყოფი, რამეთუ ეინაიმცა განეიდა გარეშე მისსა, რომელსა ყოველიეე აღუესცეს! რამეთუ ეინაითგან ბუნებაი ჩუენი წუთ ჟამეულ არს და ადეილად დასაწსნელ, ამისათჳს სიტყუაიცა ჩუენი უგუამო არს. ხოლო ღმერთი მარადის არს და ეითარ-იგი სრულ არს, სრული და გუამოვანი აქუს სიტყუაი თუსი, მარადის ყოფილი, მყოფი და ცხოველი და ყოველიეე აქუს, რაოდენი აქუს მშობელსა მისსა. რამეთუ ეითარ-იგი სიტყუაი ჩუენი, გონებისაგან გამოთავალი, არცა ყოელად თუთ იგი არს გონება, არცა ყოველითურთ სხუა არს მისგან, რამეთუ გონებასა უკუე შინა არს, არამედ თუთ სხუაი არს და უფროსღა თუთ მის გონებისა წარმომაჩინებელ არს, და კუალად, არა სხუა არს გონებისაგან კიდე, არამედ ბუნებით ერთ არს მის თანა და გუამითა განთჳსებულ; ეგრეთეე არს სიტყუაი ღმრთისაი, განყოფილებით თაეით თუსით განეყოფების მისგან, რომლისთჳსცა სრული გუამი არს. ხოლო რამეთუ მამასა აჩუენებს თაესა შორის თუსსა, ეითარ-იგი თუთ იხილეების მამისა თანა, ღმერთი ღმრთისა თანა, ამისთჳსცა ერთ არს ბუნებით მის თანა, რამეთუ ეითარ-იგი ყოელსაეე შინა სრულებაი მამისა თანა იხილეების, ეგრეთეე იხილეების მისგან შობილისაცა სიტყჳსა თანა.

⁄I, 7⁄ სულისა წმიდისათჳს

თაւი 8

უკმს უკუე სიტყუასა სულისაცა ქონებაი, რამეთუ ჩუენიცა სიტყუაი არაეე უნაწილო არს
40r I სულისაგან, რომელ არს ყნოსაი და მობერვაი ჰაერისაი. რომელი-ესე უცხო არს ჩუენისაგან არსებისა, არამედ, ეითარ იგი პირეელ ეთქუ, სიწლოისაგან და სითხისა ჰაერისა // იყოსების 805
და აღმოიფშუნების განსამტიცებელად გუამისა. ეინაიცა ჯამსა ჴმა-ყოფისასა ჴმა ექმნების სიტყუასა და თაესა შორის თუსსა მიიღებს ძალსა სიტყჳსასა.

ხოლო ეინაითგან საღმრთოი ბუნებაი მარტიე არს და შეუზაებელ, ამისთჳსცა ყოფაი უკუე სულისა ღმრთისაი კეთილად მსახურებით აღსაარებულ იყაენ, რაითა არა იყოს სიტყუაი ღმრთისაი უნაკლულეენს სიტყუსა

[1] დედანში: სიტყჳსათჳს და ძისა ღმრთისა, სილოგისტური დამტკიცება (περὶ τοῦ λόγου καὶ Υἱοῦ Θεοῦ, συλλογικὴ ἀπόδειξις).

⁄I, 6⁄ სიტყუსათჳს ღმრთისა

თაւი 3

ესე უკუე ერთი და მხოლოი ღმერთი არა უსიტყუელი არს, ხოლო სიტყუაი აქუს, არა უგუამოი გუარითა, // არა დამწყებელი ყო- 804
ფისაი, არცა დასრულებადი, რამეთუ არა ოდეს იყო ღმერთი თუნიერ სიტყჳსა, არამედ მარადის აქუს თაესა შორის თუსსა სიტყუაი მისგან შობილი, არა სიტყჳსაებრ ჩუენისა უგუამოი და ჰაერად განბნეუადი, არამედ გუამოანი, ცხოველი, სრული, არა გარეშე მისსა[1] მდგომი, არამედ მის შორის მყოფი, რამეთუ სადა იყოს გარეშე მისსა ქმნილი? რამეთუ ეინაითგან ბუნებაი ჩუენი უძლური არს და ადეილად დაჴსნადი, ამისთჳს უგუამო არს სიტყუაიცა ჩუენი, ხოლო ღმერთსა, ეითარცა სამარადისოსა და სრულსა, სრული და გუამოანი აქუს სიტყუაი თუსი და მარადის მყოფი და ცხოველი და ყოელთაეე მჭონებელი, რაოდენნი ჰქონან მშობელსა, რამეთუ, ეითარცა გონებისაგან გამოსრული სიტყუაი ჩუენი, არცა ყოელითურთ იგიეე გონებაი არს, არცა ყოელითურთ სხუაი, რამეთუ გონებისაგან ეიდრემე მჭონებელი ყოფისაი სხუაი არს, თუნიერ მისსა და თუთ მის გონებისა მომყუანებელი, არა ყოელად ყოელითურთ სხუაი არს, თუნიერ გონებისა, არამედ ბუნებით ერთად მყოფი მის თანა სხუაი არს ქუეყდმდებარეობით; ეგრეთეე სიტყუაიცა ღმრთისაი თუსაგან ეიდრემე მდგომარეობით 56r II
განიყოფჳის მისსა მიმართ, რომლისაგან აქუს ყოფაი, ხოლო მათითაეე ჩუენებითა თაესა შორის თუსსა, რომელნი ღმრთისა თანა იხილეებიან, იგიეე არს ბუნებით ერთი მის თანა, რამეთუ ეითარცა ყოელსა შინა სრულებაი იხილეების მამისა თანა, ეგრეთეე იხილეების მისგან შობილისაცა სიტყჳსა თანა.

⁄I, 7⁄ სულისა წმიდისათჳს

თაւი 8

ხოლო უკმს[II] სიტყუასა სულისაცა ქონებაი და, რამეთუ[III] ჩუენი სიტყუაი უნაწილო არს სულისაგან, არამედ ჩუენ შორისი[IV] ეიდრემე სული უცხო არს არსებისაგან ჩუენისა, რამეთუ[V] ჰაერისა მოზიდჳა არს და განტეევება, // მომზიდეელი და განმტეეველი შემტკიცებისათჳს ჴორცთაესა, რომელი ჯამსა ჴმა-ყოფისასა ჴმა ექმნების სიტყუასა თაესა შორის თუსსა გამოცხადებითა ძალსა სიტყუსასა, ხოლო საღმრთოსა ბუნებისა შორის მარტივისა და შეუზაეველისა ყოფაი ეიდრემე სულისა ღმრთისაი კეთილად მსახურებით აღსაარებულ[VI] /არს/, რათა არა იყოს სიტყუაი 805

[1] <M. [II] +და CM. [III] +არცა BC. [IV] შორის CM. [V] <CM. [VI] აღსრულებულ C.

ჩუენისა. ხოლო არა კეთილად მსახურება არს უცხოთ ეინაამე გარეთ შემოსრულად საგონებელყოფაი ღმრთისა სულისაი, ეითარ-ესე ჩუენ შორის იხილვების შეზავებულებაი, არამედ ეითარ-იგი სიტყუაი ღმრთისაი რაი გუესმა, არა უგუამოდ, არცა სწაელით მოსრულად, არცა ჴმისაგან შემოღებულად, არცა ჰაერად განბნევადად და დაჴსნადად ჰგონეთ იგი, არამედ არსებით მყოფად, თუთმფლობელად, მოქმედად და ყოელად ძლიერად, ეგრეთვე სულისათუსცა ღმრთისა უეჭველად ეისწოოთ, ეითარმედ თანა-მოწამე არს იგი სიტყუსა და განაცხადებს მოქმედებათა მისთა. ვინაიცა ნუ
40r II გგონიეს იგი ფშუნედ უგუამოდ, რაითა ჩუენ თანა შთამოვამდაბლოთ დიდებულებაი იგი საღმრთოისა მის ბუნებისაი. ნუცაღა მსგავსად სულისა ჩუენისა გულისჴმა-ყჰყოფთ სულსა ღმრთისასა, არამედ ძალად ერთ-არსად და გუამითა განთუსებულად სახილეელად, რომელი მამისაგან გამოვალს და შორის ძისა და სიტყუსა განისუენებს და გამომაცხადებელ არს განზრახუასა მისთა. ხოლო არცა ოდეს მამისაგან განეშორების, რომლისა შორის არს სიტყუაიცა და კუალად სიტყუსაცა შორის არს და თანა-მოწმებად მისსა შემძლებელ არს. არცა უგუამოებასა თავს იდებს, არამედ მსგავსად სიტყუსა იგიცა გუამოვან არს, ცხოველ, თუთმფლობელ, თუთმოძრავ, მოქმედ, ყოელადვე კეთილისა მნებებელ და ყოველსავე ნებასა ზედა თანა-მორებედ ნებებისა აქუს ძალიცა. არცა დასაბამი აქუს, არცა აღსასრული. რამეთუ არაოდეს აკლდა მამასა სიტყუაი, არცა სიტყუასა – სული.

ესრეთ უკუე ერთობითა ბუნებისაებთა მრავალ // ღმრთებისა წარმართთაჲსა საცთური უწინო იქმნების, ხოლო სიტყუსა და სულისა ქადაგებითა ჰურიათ ცთომილებაი დაიჭსნების და ორ-კერძოთაე წვალებათაგან ჩუენ უმჯობესი გამოგუურჩეენ: პურიათა იჭუნეულობისაგან ერთობაი ბუნებისაი და წარმართთა
40v I მრავალ-ღმერთეებისაგან თუთებაი გუამთა განყოფისაი.[1]

ხოლო უკუეთუ წინა-აღგუდგებოდის ჰურიაი სიტყუსა და სულისა შეწყნარებისათუს, საღმრთოისა წერილისა მიერ მხილებული აეღურ-სხმულ იქმნეს. რამეთუ სიტყსათუს იტყუს საღმრთოი დაეით: „უკუე უფალო, სიტყუაი შენი დაადგრების ზეცათა შინა“.[2] და კუალად იტყს: „მიაელინა სიტყუაი მისი და განკურნნა იგინი“,[3] ცხად არს უკუე, ეითარმედ ჴმოვანი სიტყუაი არა მიიელინების, არცა უკუე ჰგიეს.

ღმრთისაი უჴნინეს სიტყუსა ჩუენისა, ხოლო არა კეთილმსახურება არს უცხოსა რასმე და გარეთ შემოსრულსა სულად ღმრთისა გონებაა, ეითარ-ესე ჩუენ შესაზებულთა შორის, არამედ ეითარცა სიტყუსა ღმრთისა არა უგუამოა, არცა სწაელისაგან მოსრული, არცა ჴმისა მიერ წარმოჩინებული, არცა ჰაერად განბნევადი და დაჴსნადი, არამედ არსებიოად შემტკიცებული, წინააღმრჩეელობითი და მოქმედებითი და მისეე ძლიერებისაა, ეგრეთვე სული რაი ღმრთისაი ეისწავეთ თანა-მყოფი სიტყუსაი და გამომაცხადებელი მოქმედებისა მისისაი, არა უგუამოი მშუნეაი გულისჴმა-ყუაეთ, რამეთუ ესრეთ სიმდაბლედ დაიმჭობეის სიდიდე საღმრთოისა ბუნებისაი, უკუეთუ მსგავსებისაებრ სულისა ჩუენისა მისიცა სული გულისჴმა-იყოს, არამედ ძალი არს არსებითი თუთ იგი, თაეით თუსით განთუსებულსა გუამოვნებასა შინა ხილული, მამისაგან გამომაეალი და სიტყუსა[II] თანა განსუენებული და მისი[III] გამომაცხადებელი, არცა ღმრთისაგან, რომლისა შორის არს და სიტყუსაგან,[IV] რომლისა თანა არს, განშორებად შესაძლებელი, არცა არა მყოფობად[V] განბნეული, არამედ მსგაესებისაებრ სიტყუსა თუთ-გუამოვნად მყოფი, ცხოელი, წინააღმრჩეველობითი, თუთ-მოძრაეი, მოქმედებითი, ყოელადეე კეთილისა მნებებელი[VI] და ყოელისა ნებებისა[VII] თანა-მორბედად ნებისა მქონებელი ძალისაი. არცა დასაბამისა 56v I
მჭონებელი,[VIII] არცა დასასრულისაი, რამეთუ არა აელდა ოდესცა მამასა[IX] სიტყუაი, არცა სიტყუასა სული.

ესრეთ ბუნებითითა ეიდრემე ერთობითა
808 მრაეალ // ღმერთი იგი,[X] ელლენთა საცთური უწინო იქმნების, ხოლო სიტყუსა და სულისა შეწყნარებითა ჰურიათაჲ დაირღუეეის სარწმუნოებაი და თითოეულისა წვალებისაგან დაგაშოების უსამჭრესი. ჰურიათა უკუე იჭუნეულობისაგან ერთობაი ბუნებისაი, ხოლო ელლენობისაგან მხოლოდ გუამოენებითი ოდენ განყოფილებაი.[1]

გარნა უკუეთუ იცილებოდის ჰურიაი სიტყუსა და სულისა შეწყნარებასა ზედა, საღმრთოისა წერილისაგან ემხილოს და დაეყოს პირი, რამეთუ სიტყსათუს ეიდრემე ჴმობს დაეით: „უკუე, უფალო, სიტყუაი შენი ჰგიეს ცათა შინა“[2] და კუალად:[I] მოაელინა სიტყუაი თუსი და განკურნნა იგინი“.[3] არამედ სიტყუაი ზრახული არა მოიელინების, არცა უკუე ჰგიეს.

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 31, 38, 41; PG, t. 36, col. 137, 320, 441.
[2] ფსალმ., 118, 89.
[3] ფსალმ., 106, 20.

[I] რამეთუ M. [II] სიტყუს საქმისა C. [III] თანა-განსუენებული და მისი <C რომლისა თანა არს, განშორებად შესაძლებელი – არამედ სიტყუსაგან სმენილობით C. [IV] სიტყუსა M. [V] არა მყოფად M. [VI] ყოელადეე კეთილისა მნებებელი <C. [VII] ნებისა C. [VIII] ძალისაი არცა დასაბამისა მჭონებელი <C. [IX] +ოდესცა CM. [X] <C.

ხოლო სულისათჳს იგიეე დავით იტყჳს: „გამოაელინე სული შენი და დაიბადნენ“.[1] და კუალად იტყჳს: „სიტყჳთა უფლისაათა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისაითა-ყოველი ძალი მათი“.[2] და კუალად იობ იტყჳს: „სულმან საღმრთომან შემქმნა მე, სულმან ყოელისა მპყრობელისამან მასწაა მე“.[3] აწ უკუე სული გამოელინებული და მოქმედი, დამამტკიცებელი და მპყრობელი არა ორთქლი არს დაჴსნადი, ვითარცა იგი არცა ჴორციელი ასოი არს პირი ღმრთისაჲ, არამედ ორნიე იგი ღმრთიე-შუენიერად გულისჴმა-იყოფებოდენ.

/I, 8/ წმიდისა სამებისათჳს*

თავი ი

გურწამს უკუე ერთისა მიმართ ღმრთისა, ერთისა დასაბამისა დაუსაბამოისა, აუგებელისა, უშობელისა, წარუვალისა და დაუსრულებელისა, საუკუნოჲსა, მიუწდომელისა და გარეშეუწერელისა, უსაზღეროჲსა, უზომოჲსა ძალითა, მარტიეისა, შეუზაებელისა, უჴორციოსა, არა-წარმდინარისა, უენებელისა, უქცეველისა, უცვალებელისა, უსაზღეროჲსა, რომელი-იგი არს წყაროჲ სახიერებისა და სიმართლისაჲ, ნათელი, საცნაური, შეუხებელი ძალი, არცა ერთითა საზომითა ცნობილი, ხოლო მხოლოდ თჳსითა ოდენ განზრახვითა განზომილი, რამეთუ ყოველი, რაოდენი ჰნებაჳს, ძალ-უც, და არს შემოქმედ ყოველთა დაბადებულთა, ხილულთა და უხილავთა, შემომკრებელ და შემცველ ყოველთა, წინა-განმგებელ ყოველთა, ყოველთა მპყრობელ და მთაჲარ და მეუფე დაუსრულებელითა და უკუდაჲითა მეუფებითა, რომელსა არა ერთი რაჲ აქუს წინა-აღმდგომი, ყოველსაე აღავსებს და იგი არცა ერთისა რაჲსაგან შეიცჳნის, არამედ უფროჲსღა ყოველნიე მას უყრიან და შეუცჳიან, და იპყრობს და ჰმართებს. უხრწნელად ყოველთა არსებათა შეეზაების და მათ ყოველთაგან შეუზაებელ არს და ყოველსაე არსებასა თანა დარჩების, ვითარცა ზეშთა არსებისაჲ და ვითარცა უმაlr 1 ლესი არსთაჲ: ზეშთა ღმერთთაჲ, ზეშთა სახიერი, ზეშთა საესებისაჲ, განმყოფელი ყოველთაე მთაერობათა და წესთა და ყოელისაე მთაერობისა და წესისა ზეშთა აღმაღლებული, ზეშთა არსებისა და ცხოერებისა, სიტყჳსა და მოგონებისაჲ, თუთ ნათელ, თუთ სახიერება, თუთ არსება, თუთ ცხორება, ვითარმცა არა სხჳსა შორის აქუნდა ყოფაჲ, არცა ერთისა რაჲს რაოდენთაგანისა, რამეთუ თუთ წყაროჲ არს არსთა ყოფისაჲ და ცხოველთა ცხოერებისაჲ და სიტყუა მიმღებელთა სიტჳსათა, ყოველთაე

ხოლო სულისათჳს იგიეე დავით: „გამოაელინო სული შენი და დაიბადნენ“.[1] და კუალად: „სიტყჳთა უფლისაათა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისაითა ყოველი ძალი მათი“.[2] და იობ: „სული საღმრთოჲ, რომელმან შემქმნა მე და სამშუნელი ყოელისა მპყრობელისაჲ, რომელი მიპყრობს მე“.[3] ვინაცა სული მოელინებული და შემოქმედი და დამამტკიცებელი და მპყრობელი არა ორთქლი არს დაჴსნადი/sic/, ვითარ იგი არცა სხეულეანი ასოჲ არს პირი ღმრთისაჲ, არამედ ორნიე ღმრთიე შუენიერად გულისჴმა იყოფებოდედ.

/I, 8/ წმიდისა სამებისათჳს

თავი ი

გურწამს უკუე ერთისა მიმართ ღმრთისა, ერთისა დასაბამისა დაუსაბამოჲსა, აუგებელისა, შეუქმნელისა, დაუჴსნელისა და უკუდავისა, საუკუნოჲსა, უსაზომოჲსა, გარეშეუზღერელისა," ძალ-განუზომელისა, მარტიეისა, შეუზაებელისა, უსხეულოჲსა, წარუდინებელისა, უენებელისა, უქცეველისა, უცვალებელისა, უხილავისა, რომელი წყაროჲ არს სახიერებისა და სიმართლისაჲ, ნათელი, საცნაური, მიუახლებელი ძალი, არა რომლისა საზომისაგან ცნობილი, არამედ მხოლოდ თჳსისა ოდენ ნებითა განზომილი, რამეთუ ყოველი, რაოდენი ჰნებაჳს ძალ-უც; ყოველთა აგებულთა, ხილულთა და უხილავთა შემოქ- 56v II მედი, ყოველთა მპყრობელი და მფლობელი და მ/უფე/ დაუსრულებელითა და უკუ/და/-ეითა მეუფებითა, არა რაჲს წინ/ა/აღმდგომობისა მჭონებელი, ყოველთა /ა/ღმაესებელი, არცა ერთისა რაჲსგან გარეშეცეული, არამედ უფროჲსღა თუთ გარეშემცველი თანად ყოველთაჲ, და მპყრობელი და წინაჲსწარ-მპყრობელი, უხრწნელად ყოველთა არსებათა ზედა შემაეალი და ყოველთა მიერ კერძოჲ და ყოელისა არსებისა აღმატებული, ვითარცა ზესთა არსებისაჲ და ზესთა მყოფთაჲსა მყოფი, ზესთა ღმერთი, ზესთა სახიერი, ზესთა საესე, ყოველთა მთაერობათა და წესთა განმჩინებელი და ყოელისა მთაერობისა და წესისა ზესთა დამტკიცებული, ზესთა არსებისა და ცხორებისა და სიტყჳსა და მოგონებისაჲ, თუთ ნათელი და თუთ სახიერებაჲ, თუთ ცხორებაჲ, თუთ არსებაჲ, ვითარცა არა სხჳსა მიერ მჭონებელი ყოფისაჲ, ეითარ-იგი რაოდენნი არიან სხუანი, ხოლო იგი წყაროჲ არს ყოფისა მყოფთაჲსაჲ, ცხოველთა ცხორებისაჲ, მჭონებელთა სი-

---

* სადაცა სამებისათჳს თქუმულ იყოს, ყოველგან შუენის და ზის ბერძულთა წიგნთა ესე მზის თულის სახე-ნიშანი არა საკითხაეთა, არამედ საგალობელთაცა შინა.

1 ფსალმ., 103, 30.

2 ფსალმ., 32, 6.

3 იობი, 33, 4.

1 ფსალმ., 103, 30.

2 ფსალმ., 32, 6.

3 იობი, 33, 4

[1] მართლისაა C. "გარეშეუსაზღერებელისა BCM.

// მიზეზ ყოელისა კეთილისა და ყოველსაე 809
მეცნიერ მათსა პირველ შობადმდე მათდა.

ერთ-არსება, ერთ-ღმრთეება, ერთ-ძალ, ერთ-
ნება, ერთ-მოქმედება, ერთ-ჴელმწიფება, ერთ-
უფლება, ერთ-მეუფება სამითა სრულითა გუა-
მითა ცნობილ და თაყუანის-ცემულ, ერთითა
თაყუანისცემითა რწმუნებულ და მსახურებულ
ყოელისაგანეე სიტყუერისა აგებულებისა.
შეურევნელად შეერთებულ და განუყოფე-
ლად განყოფილ, რომელი-ესე უსაკჳრეელს
არს, მამად და ძედ და სულად წმიდად,
რომელთა მიმართ ნათელ-გჳღებიეს. რამეთუ
ესრეთ ამცნო უფალმან წმიდათა მოციქულთა
ნათლის-ცემად წარსლვაე: „ნათელ-სცემდით
41r II მათო სახელითა მამისაითა და ძისაითა და
სულისა წმიდისაითა“.[1] ესე იგი არს, ვითარმედ
ერთისა მიმართ მამისა, ყოელთა მიზეზისა
და დასაბამისა, არავისგან შობილისა, რამეთუ
იგი მხოლოჲ არს უმიზეზოჲ და უშობელი,
ყოელთა უკუე დამბადებელი, ხოლო ერთისა
ოდენ მამაჲ ბუნებით, მხოლოდ-შობილისა ძისა
მისისა, უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა
ჩუენისა იესუ ქრისტესი და გამომაელინებელისა
ყოელად წმიდისა სულისაჲ.

და ერთისა მიმართ ძისა ღმრთისა, მხოლოდ-
შობილისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა,
რომელი-იგი მამისაგან იშუა უწინარეს ყოე-
ლთა საუკუნეთა, ნათელი – ნათლისაგან,
ღმერთი ჭეშმარიტი – ღმრთისაგან ჭეშმარი-
ტისა შობილი და არა ქმნული, თანა-არსი
მამისაჲ, რომლისაგან ყოელი შეიქმნა.

რამეთუ ეთქუათ რაჲ – „უწინარეს ყოელთა
საუკუნეთა“,// გამოვაჩინებთ, ვითარმედ უკუამო 812
არს და დაუსაბამო შობაჲ იგი მისი. რამეთუ
არა თუ არა-არსებისაგან არსად მოვიდა ძე
ღმრთისაჲ, ბრწყინჳალებაჲ დიდებისაჲ და ხატი
მამულისა გუამოვნებისაჲ,[2] ცხოველი სიბრძნე
და ძალი, სიტყუაჲ გუამოვანი, არსებითი და
ცხოველი და სრული ხატი ღმრთისა უხილაჲ-
ისაჲ, არამედ მარადის იყო მამისა თანა და
მის შორის საუკუნოდ და დაუსაბამოდ მისგან
შობილი. რამეთუ მამაჲ თუნიერ ძისა არა იწო-
41v I დების მამად,[3] ხოლო იყო თუ ჟამი, ოდეს არა
ესუა ძე, არცაღა იგი მამა იყო, და უკუეთუ
ამისდა შემდგომად ესუა, ამისსა შემდგომადცა
იქმნა მამაჲ. და იქცა არა მამა ყოფისაგან
მამა-ყოფად, რომელი-ესე ყოელისაეე გმობისა
უძჳრეს არს, რამეთუ შეუძლებელ არს თქუმად

[1] მათე, 28, 19.
[2] ებრაელთა, 1, 3.
[3] დედანში ეს წინადადება სხუა ადგილას გეხედება. სათანადო ადგილი სიტყუა-სიტყუით ასე გადმოიცემა: „რამეთუ მამა არასოდეს არ იარსებებდა, უკეთუ არ იყო ძე, არამედ – ერთად მამა, ერთად ძე, მისგან შობილი, რამეთუ მამა უძეოდ არ იწოდებოდა მამად; თუკი არსებობდა ოდესმე უძეოდ, არ იქნებოდა მამა, თუ შემდგომ ეყოლა შვილი, მაშინ გახდა მამა, (ის) ვინც წინათ არ იყო მამა და შეიცვალა იმით, რომ არ იყო მამა და გახდა. ასეთი აზრი ყოველგვარ გმობაზე უარესია“ და ა.შ. (PG, col. 812).

ტყუსათა სიტყუსაჲ, ყოველთათუს // მიზეზი
ყოველთა კეთილთაჲ, მეცნიერი ყოველთაჲ
პირველ ყოფად მოსლვისა მათისა.

ერთი არსებაჲ, ერთი ღმრთეებაჲ, ერთი
ძალი, ერთი ნებაჲ, ერთი მოქმედებაჲ, ერთი
დასაბამი, ერთი ჴელმწიფებაჲ, ერთი უფლებაჲ,
ერთი მეუფებაჲ, სამთა სრულთა გუამოვნებათა
შინა ცნობილი და მსახურებული ყოველისა
სიტყუერისა აგებულისა მიერ, შეურევნელად
შეერთებულთა და განუშორებელად გან-
ყოფილთა, რომელ-ესე საკჳრეელ არს, რომელთა
მიმართ ნათელ გჳღებისცა,[1] რამეთუ ესრეთ
ამცნო უფალმან ნათლის-ცემად მოციქულთა:[II]
„ნათელ-სცემდით[III] მათო“[IV] – მეტყუეელმან, –
სახელისა მიმართ მამისა და ძისა და წმი-
დისა სულისა“.[IV] ერთისა მიმართ მამისა,
ყოელთა დასაბამისა და მიზეზისა, არავისგან
შობილისა, არამედ მხოლოჲსა უმიზეზოჲსა და
უშობელისა, ყოველთა ეიდრემე[VI] შემოქმედისა
და ერთისა ხოლო ბუნებით მამისა, მხოლოდ-
შობილისა ძისა მისისა, უფლისა და ღმრთისა
და მაცხოვარისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა და
გამომაელინებელისა ყოველად წმიდისა სულისა
და ჳრთ/ისა ძისა ღმრთისა მხოლოდ-შო-
ბილისა, უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა,[VII]
რომელი იშუა მამისაგან უწინარეს ყოელთა 57r I
საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი
ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილ
და არა ქმნული, თანა-არსი მამისაჲ, რომლისა
მიერ ყოელნი შეიქმნნეს.

ხოლო უწინარესობასა[VIII] ყოელთა საუკუნე-
თასა რაჲ[IX] ვიტყოდეთ, // ეაჩუენებთ, ეითარმედ
უჟამო და დაუსაბამო არს შობაჲ მისი, რამეთუ
არა თუ არა-მყოფობისაგან მყოფად[X] მოყუა-
ნებულ იქმნა ძე ღმრთისაჲ, ბრწყინჳალებაჲ
დიდებისაჲ და ხატი მამულისა გუამოვნები-
საჲ,[2] ცხოველი სიბრძნე და ძალი, გუამოანი[XI]
სიტყუაჲ, არსებითი და სრული და ცხოველი
ხატი უხილაჲისა ღმრთისაჲ. არამედ მარადის
იყო მამისა თანა და მის შორის სამარადისოდ
და დაუსაბამოდ მისგან შობილი, რამეთუ არა
იყო არაოდეს მამაჲ, ოდეს არა იყო ძე, არამედ
მეყსეულად – მამაჲ, მეყსეულად – ძე მისგან
შობილი, რამეთუ მამაჲ თუნიერ ძისა არა იწო-
დების მამად, ხოლო უკუეთუ იყო, ოდეს /არა/
აქუნდა ძე, არცა იყო მამა, და უკუეთუ ამისსა
შემდგომად ესუა ძე, ამისსა შემდგომადღა იქმნა
მამა, არა მამა ყოფილი უწინარეს ამისსა. და
იქცა, არა მამა ყოფისაგან მამა ქმნისა მიმართ,
რომელი-ესე უძჳრესი არს ყოელისა გმობისაჲ,

[1] მათე, 28, 19
[2] ებრაელთა, 1, 3.

[I] გჳღებიეს რა BCM. [II] ნათლის-ცემად მოციქულთა M. [III] ნათელსცემდითო BM. [IV] <BCM. [V] სულისათა BCM. [VI] ეიდრე B. [VII] და გამომაელინებელისა ყოველად წმიდისა სულისა და ერთისა ძისა ღმრთისა მხოლოდ შობილისა, უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა <BC. [VIII] +რაჲ BCM. [IX] <BC. [X] მყოფობად M. [XI] გუამოვანი BCM.

ღმერთი, თუნიერ ბუნებითისა მშობლობისა, ხოლო მშობელობა არს, რათა მისგანვე თუსისა არსებისა შეას, მსგავსი თუსი ბუნებით.[1]

ეინაიცა ძისა შობისათუს შუად მდგომელობისა ჟამთაღსა თქუმაი უშჯულება არს, ანუ შემდგომად მამისა ყოფად ყოფაი იგი ძისაი. რამეთუ თუთ მისვე მამისა ბუნებისაგან ეიტყჳთ შობასა ძისასა და უკუეთუ არა დასაბამითგან მიესცეთ ძესა თანა-ყოფაი მამისაი და შობილობაი მისგან, ქცეულობაი შემოეყუანოთ გუამსა ზედა მამისასა, ეითარმედ პირველ არა იყო მამაი და უკუანაჲსკნელ იქმნა მამა.

ხოლო დაბადებულნი დაღაცათუ უკუანაჲსკნელ შეიქმნეს, გარნა არა ღმრთისა არსებისაგან, არამედ არა-არსისაგან არსად მოყუანებულ იქმნეს ნებითა და ძალითა მისითა, ეინაიცა დაბადებისათუს მათისა არცა ერთი ქცევადობაი შემოეალს ბუნებასა ზედა ღმრთისასა. გარნა სხუაი არს სახე შობისაი და სხუა / დაბადებისაი,[2] რამეთუ შობაი არს, 41v II
რათა მისვე არსებისაგან მშობელისა შეას შობილი იგი, ყოელითურთ ერთი ბუნებითა და არსებითა. ხოლო დაბადებაი და ქმნაი არს, რაჲთა გარეთ და არა თუსისა არსებისაგან მოიღოს ნიეთი აღსაგებელი და ეგრეთ დაჰბადოს და ქმნას დაბადებული, ყოელითურთ უმსგავსოი დამბადებელისაი.[3]

// ამისთუსცა მხოლოჲსა მის უცვალებელისა და უქცეველისა და უნებელისა და მარადის ერთსა ზედა მყოფისა ღმრთისა და შობაიცა და დაბადებაიცა უნებელ არიან და არა მდინარე და, რომელი-იგი უნებელ არს ბუნებით, ვითარცა მარტიჲსა და შეუზაეებელსა, არაოდეს შეემთხჳა თავს-დებაი ენებისა და ქცეულებისაი, არცა შობასა, არცა დაბადებისა, არცა მოქცნე იქმნა ვისსამე თანა-შემწისა შობისათუს, გინა დაბადებისა. არამედ შობაი იგი დაუსაბომოდ მშობელისა და უჟამოდ მოქმედისა ბუნებისა საქმე არს, რაჲთა მისვე ბუნებისაგან თუსისა შეას და არა თუ ქმნას. რაჲთა არა ქცევადობაი შეემთხჳოს მშობელსა მას უკუანაჲსკნელ შობითა ძისაჲთა და რაჲთა არა იყოს ღმერთი პირველი და ღმერთი შემდგომი, გინა შემატებაი რაიმე მიითუალოს.

ხოლო დაბადებაი ნებებისა ღმრთისა საქმე არს და არა თანა-დაუსაბამო არს ღმრთისა, 42r I
რამეთუ არცა არს არა-არსისაგან არსად მოყუანებული იგი თანა-დაუსაბამო და თანა-უჟამო მარადის მყოფისა მის.

აწ უკუე ეითარ-იგი არა მსგაესებითი არს ქმნაი კაცისა და ღმრთისაი, რამეთუ კაცი ეერარას მოიყუანებს არა-არსისაგან არსად, არამედ რასაცა იქმს, წინამდებარისა ნიეთისაგან იქმს, არა მხოლოდ ნებებითა ოდენ, არამედ წინაჲთევე რამეთუ შეუძლებელ არს თქუმაი ღმრთისაი ჴუებულად ბუნებითისა მშობლობისაგან, ხოლო მშობლობაი მისგან, ესე იგი არს, მისისა არსებისგან შობს მსგაესსა მისსა ბუნებით.[1]

ეინაიცა შობასა ზედა ძისასა უღმრთოება არს თქუმაი შუაჲ-მდგომელობასა ჟამისასა ანუ შემდგომად მამისა მოგონებაი მყოფობასა ძისასა. რამეთუ მისგან, ესე იგი არს, მამულისა ბუნებისაგან ეიტყჳთ ძისა შობასა და არა თუ დასაბამითგანვე მიესცეთ მამისა თანა ყოფაი მისგან შობილსა ძესა, ქცეულებასა შემოეილებთ მამისა გუამოვნებისასა, ეითარმედ არა მყოფი მამად უკუანაჲსკნელ იქმნა მამა, რამეთუ აგებული ყოველი დაღაცათუ ამისსა შემდგომად იქმნა, გარნა არა არსებისაგან ღმრთისა, არამედ არა-მყოფობისაგან მყოფობად განზრახჳითა და ძალითა მისითა[1] მოვიდა. და
არა შეეხების ქცეულებაი საღმრთოსა ბუნე- 57r II
ბასა, რამეთუ შობაი უკუე არს არსებისაგან მშობელისა შობაი შობილისაი და არსებით მსგაესისაი. ხოლო აგებაი და ქმნაი, გარეთ უკუე,[II] არა თუ არსებისაგან ამგებელისა და მოქმედისა მყოფობად[III] მოყუანებაი აგებულისა და ქმნულისაი ყოელითურთ უმსგაესოისაი მისგან.

// რომლისათჳსცა მხოლოჲსა უნებელისა და აუგებელისა და უცვალებელისა და უქცეველისა და სამარადისოდ ეგრეთეე მყოფისა ღმრთისა ზედა შობაიცა უნებელად ითქუმის და დაბადებაიცა, რამეთუ რომელი ბუნებით უნებელი და წარუდინებელი არს, ეითარცა მარტიჲი და შეუზაეებელი, არა მოუგიეს თავს-დებაი ენებისა, ანუ დინებისაი, არცა შობასა შინა, არცა ამგებელობასა, არცა თანამოქმედებისა რაისმე მოქცნე არს; არამედ შობაი ეიდრემე დაუსაბამოი და სამარადისოი საქმე არს ბუნებისაჲ, წარმოჩინებული არსებისაგან მისისა, რათა არა შეემთხჳოს ქცეულებაი მშობელსა და რათა არა ღმერთი პირველი და ღმერთი შემდგომი იყოს და შემატებაი მიითუალოს. ხოლო აგებაი ღმრთისა ნებებისა[IV] საქმე და არა თანა-სამარადისო არს ღმრთისა, ეინაი[V] არა შესაძლებელ არს არა-მყოფობისა[VI] მყოფობად მოსრულისაი თანა-სამარადისო-ყოფაი დაუსაბამოისა და მარადის მყოფისაი, რამეთუ ეითარ-იგი არა ერთ სახედ მოქმედებენ კაცი და ღმერთი, რამეთუ კაცი უკუე ეერა-რას მოიყუანებს არა-არსისაგან არსად, არამედ რასაცა იქმს, წინა-მდებარისა ნიეთისაგან იქმს არა მნებებელი ხოლო,[VII] არამედ წინაგანმგონებელიცა და გონებასა შინა დამსახელი ქმნადისაი. ამისსა შემდ-

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 29, 30; კირილე ალექსანდრიელი, საუნჯე, 4-5.
[2] ეს წინადადება დედანში არ არის.
[3] გრიგ. ნაზ., სიტ., 20.

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 29, 30; კირილე ალექსანდრიელი, საუნჯე, 4-5.
[I] თუსითა M. [II] +და B. [III] მყოფად BCM. [IV] ნებისა BM. [V] ეინაიცა M. [VI] მყოფობისაგან M. [VII] <M.

მოგონებითა და გონებასა შინა გამოსახვითა ყოფადისაჲთა, ამისსა შემდგომად მოქმედებითა ჴელთაჲთა და თავს-დებითა შრომისა და დაშრომისაჲთა. მრავალგზის უკუე ჴუებულცა იქმნის, რაჟამს ვერ ეგრეთ ქმნის, ეითარ-იგი მოეგონის ჴელოვნებითა. ხოლო ღმერთი ნებებითა ოდენ მარტოდ არა-არსისაგან არსად მომყვანებელ იქმნა ყოვლისა. ეგრეთვე არა მსგავს არს შობაჲ ღმრთისა და კაცისაჲ. რამეთუ ღმერთი ეითარ-იგი უჟამო არს და დაუსაბამო, უვნებელ და არა მდინარე, უპორცო და მხოლოდ დაუსრულებელ, ეგრეთვე უჟამოდ და დაუსაბამოდ, უვნებელად და თუნიერ თესლისა შობს და არა მოქუნე არს ვისსამე თანაშემწისა, და არცა დასაბამი აქუს მიუწდომელსა მას
42r II შობასა მისსა, არცა აღსასრული.

დაუსაბამოებასა უკუე ეიტყჳ უქცეველობისათჳს, ხოლო უთესლობასა უვნებელობისა და უპორცოებისათჳს. ხოლო თუნიერ თანაშემწისა – უპორცოებისათჳსვე და კუალად ამისთჳსცა, ვითარმედ ერთ არს მხოლოჲ ღმერთი, არაჲსი მოქუნე სიტყჳსაჲ. ხოლო დაუსრულებელობასა – დაუსაბამოებისათჳს და უჟამოობისა და დაუსრულებელობისა და მარადის ერთსა ზედა ყოფისა, რამეთუ დაუსაბამოჲ დაუსრულებელცა არს. ხოლო მადლით მიმღებელი დაუსრულებელობისაჲ არა ყოველად დაუსაბამოჲ არს, ვითარ-იგი არი[ა]ნ ანგელოზნი.[1]

// შობს უკუე მარადის მყოფი ღმერთი 816
სიტყუასა თჳსსა სრულად, დაუსაბამოდ და დაუსრულებლად, რაჲთა არა ჟამთა ქუეშე მშობელ იპოჳოს ღმერთი, რომელსა-იგი უზეშთაეს გუამთასა აქუს ბუნებაჲ და გუამოენებაჲ. ხოლო კაცი ყოველითურთ წინა-აღმდგომად სალმრთოჲსა მის შობისა შობს, ხრწნილებით და დინებით, განმრაელებით და სხჳსა გუამსა თანა მოქმედებით და მამალსა და დედალსა ბუნებასა შინა შემოიყვანებს, რამეთუ მამაკაცი დედაკაცისა თანა-შემწეობისა მოქუნე არს.*

და წულილადისა მეტყუელებისათჳს ნუ განმირისხდები, ტკბილო მეუფეო, რომელი-
42v I ეგე ზეშთა ხარ ყოველისაჲვე თქუმისა და მოგონებისა და ყოვლისაჲვე გულის-ჴმისყოფისა და მიწდომისა, არამედ მწყალობელ ჩუენდა იყავ![2]

ხოლო კმა არს, რაოდენსა იგი გუასწაებს წმიდაჲ კათოლიკე სამოციქულოჲ ეკლესიაჲ.[3] ესე იგი არს, რომელ გუასწაებს თანად მამასა

* **თარგმანი.** ნუ დაგიკრძების უთესლოობისა თქუმაჲ ღმრთისათჳს, ვინაჲთგან სარკინოზთა შორის იყო წმიდაჲ იოანე დამასკელი, ამისთჳსცა რასა იგი გუწამებენ, ვითარმედ ენებულად და თესლითა იტყჳთ შობასა ძისა ღმრთისასა, წმიდაჲ ესე დაჰპსნის სიცბილსა მათსა და ზედაის-ზედა ქადაგებს უვნებელად და უთესლოდ შობასა ძისა მამისაგან.

[1] გრიგ. ნაზ., სიტ. 20, 29; კირილე ალექს., საუნჯე, 5, 6, 7, 16, 18.

[2] ეს წინადადება განსხვაებდება არსენ იყალთოელის თარგმანისგანაც და შორდება აგრეთვე დედანს.

[3] ეს წინადადება არ გეხედება დედანში.

გომად მუშაკობისა ჴელთაჲსა მჭუმეველი და შრომისა და ჭირისა თავს-იდებელი მრავალგზის ჴუებულიცა ვერ ეგრეთ ქმნითა, ეითარ იგი ენების სრულ-ყოფაჲ მისი. ხოლო ღმერთმან მხოლოდ ნებებით ოდენ არა-არსისაგან არსებად მოიყვანნა ყოველნი. ეგრეთვე არცა მსგაჲსად შობენ ღმერთი და კაცი, რამეთუ ღმერთი ეიდრემე, ეითარცა უჟამოჲ და დაუსაბამოჲ და უვნებელი და წარუდინებელი და უსხეულოჲ და მხოლოჲ დაუსრულებელი, უჟამოდ და დაუსაბამოდ და უვნებელად და უდინებელად შობს დ[ა] თუნიერ შეყოფისა და არცა დასაბამი აქუს მიუწდომელსა შობასა მისსა, არცა დასასრული.

და დაუსაბამოდ – უკუე უქცეველობისა- 57v I
თჳს, ხოლო უდინებელად" – უვნებელობისათჳს და უსხეულოობისა'" და თუნიერ შეყოფისა – უსხეულოობისათჳსვე კუალად და რამეთუ მხოლოდ ერთი ოდენ ღმერთი – უმოქუნოჲ სხჳსაჲ. და დაუსრულებელად და დაუცხრომელად – დაუსაბამოობისათჳს და უჟამოობისა და დაუსრულებელობისა და მარადის ეგრეთვე ყოფისა, რამეთუ დაუსაბამოჲ დაუსრულებელცა არს. ხოლო მადლით მიმღებული დაუსრულებელობისაჲ არა უეჭუელად დაუსაბამო არს, ვითარ-იგი ანგელოსნი.[1]

// აწ უკუე შობს მარადის მყოფი ღმერთი
თავისა თუსისა სიტყუასა სრულსა დაუსაბამოდ და დაუსრულებელად, რათა არა ჟამსა შინა მშობელ იყოს ღმერთი, რომელსა ჟამისა[iv] უზესთაესი აქუს ბუნებაჲცა და ყოფაჲ. ხოლო კაცი, ცხად არს, ეითარმედ წინა-აღმდგომად შობს, ეითარცა ქმნის და ხრწნილებისა და დინებისა და განმრავლებისა მიმდგომი და სხეულეანთა ჯორცთა მქონებელი და მამლისა და დედლისა ბუნებასა შინა მომგებელი, ეინაჲთგან მოქუნე არს მამალი შეწევნასა დედლისასა.[v] არამედ შემნდობელ იყავნ ყოველთა მიერ კერძოჲ და ყოვლისა მოგონებისა და მიწთომისა ზესთა მდებარე.

ასწაებს უკუე წმიდაჲ კათოლიკე და სამოციქულოჲ ეკლესიაჲ მყის თანად მამასა და მყის თანად მხოლოდშობილსა ძესა მისსა, შობილსა მისგან უჟამოდ და უდინებელად და უვნებელად და მიუწთომელად, ეითარ-იგი უწყის მხოლომან ყოველთა ღმერთმან. რა-

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 20, 29; კირილე ალექს., საუნჯე, 5, 6, 7, 16, 18.

[i] <M. [ii] დაუსრულებელად BM. [iii] უსხეულობისა M. [iv] ჟამსა M. [v] +მამისა და ძისათჳს თაჲი თ M.

და მყის მისთანავე ძესა მისსა მხოლოდ-შობილსა უკამოდ და უენებელად, მიუწდომელად და გამოუთქუმელად, ეითარ-იგი მან მხოლომან უწყის ყოველთა ღმერთმან.

რამეთუ ეითარ-იგი არიან თანად ცეცხლი და მყის-თანად ნათელი და არა პირველ არს ცეცხლი და ეგრეთღა შეუთქს ნათელი, არამედ ზოგად და ერთბამად, და ეითარ-იგი ნათელი მარადის ცეცხლისაგან იშობების და მარადის მის თანა არს და არაოდეს განეშორების, ეგრეთვე ძე, ეინაჲთგან მამისაგან იშვა, არაოდეს განშორებულ არს, არამედ მარადის მის თანა არს. გარნა ნათელსა მას, ცეცხლისაგან შობილსა და მარადის მის თანა მყოფსა, არა აქუს თუსაგან გუამი განყოფილი ცეცხლისა მისგან, ეითარ-იგი არს რომელობაჲ ბუნებითი ცეცხლისაჲ.

ხოლო ძესა ღმრთისასა, მხოლოდ-შობილად მამისაგან შობილსა განუშორებელობასა მას შინა და განუყოფელობასა და მარადის მამისა
42v II შორის ყოფასა აქუსე თუსი გუამი განთუსებულად მამისაგან.[1]

სიტყუად უკუე და ბრწყინვალებად ითქუმის, რამეთუ არა ვისითა მიახლებითა უვნებელად და უუამოდ, უქცეველად და განუშორებელად იშვა მამისაგან. ხოლო ძედ და ხატად მამულისა გუამოვნებისა, სრულებისა და მის თანა სწორისა არსებისა და ყოველითურთ მამისა მსგაესებისათჳს, თუნიერ ხოლო უშობელობისა.

ხოლო მხოლოდ-შობილად, რამეთუ არა მსგაეს არს სხჳსა ეისსამე შობასა შობაჲ იგი ძისა ღმრთისაჲ, რამეთუ არცაღა არს სხუაჲ ძე ღმრთისაჲ. და, დაღაცათუ სული წმიდაჲცა მამისაგან გამოეალს, გარნა არა შობით, არამედ გამოსლეით, რომელი-ესე სხუა სახე არს და იგიცა უცნაურ და მიუწდომელ, მსგავსად შობისა მის ძისა. ვინაჲცა, // რაოდენიცა აქუს მამასა, ყოველივე ძისაჲ არს, თუნიერ ხოლო 817
უშობელობისა, რომელი-ესე არა მოასწაეებს არცა პატივისა, არცა სახისა განყოფილებასა, არამედ სახესა გუამოენებისასა. ეითარ-იგი ადამ უშობელ არს, რამეთუ დაბადებული იყო ღმრთისაჲ და სეით – შობილი, რამეთუ ძე იყო ადამისი, და ეეა გუერდისაგან ადამისისა
43r I გამოსრული, რამეთუ არა შობილ იყო მისგან. და არა განიყოფებიან ბუნებითა ურთიერთას, რამეთუ კაცნი არიან, გარნა ხოლო სახითა ოდენ გუამოენებისაჲთა.[2]

ხოლო ჯერ არს ცნობად, ეითარმედ სახელი ესე უშობელობისაჲ, ოდესმე ესრეთ ითქუმის, ეითარმედ აგენიტონ და ოდესმე აგენნიტონ და ორთაე (sic) ამათ სახელთა მიერ ძალი ერთისა მის სიტყჳსაჲ განიყოფების. რამეთუ ოდეს ერთითა ნარითა დაიწეროს, ეითარმედ

[1] გრიგ. ნოსელი, ეენომიოსის წინააღმდეგ, წ. I; კირილე ალექს., საუნჯე, 5.

[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 25, 29, 30, 31, 39; ათან. ალექს., გარდამოც. სარწმუნ., PG, t. 25, col. 200-208.

მეთუ ეითარცა მყის თანად ცეცხლი და მყის თანად მის მიერი ნათელი და არა პირველად ცეცხლი და[1] ამისსა შემდგომდა ნათელი, არამედ მყის თანად.

და ეითარცა ცეცხლისაგან შობილი ნათელი, მარადის მის თანა არს არასადა განშორებული მისგან, ეგრეთვე[II] ძეცა მამისაგან იშვების არასადა განყოფილი მისგან, არამედ მარად მის შორის მყოფი. გარნა ცეცხლისაგან შობილსა ეიდრემე ნათელსა განუშორებელად მის შორის მყოფსა, არა აქუს თჳსი გუამი თუნიერ ცეცხლისა, რამეთუ ბუნებითი ეითარებაჲ არს ცეცხლისაჲ.

ხოლო ძესა ღმრთისასა მხოლოდშობილსა და მამისაგან შობილსა, განუშორებელად და 57v II
განუყოფელად მის შორის მყოფსა, /ს/მარადისოდ აქუს თჳსი გუამი, /თ/ნ/იჳ/რ მამისა გუამოვნებისა.[1]

ეინაჲ/ც/ა სიტყუად და ბრწყინვალებად ითქუმის ამისთჳს, რამეთუ თუნიერ შეყოფისა და უენებელად და უუამოდ და უდინებელად და განუშორებელად შობილ არს მამისაგან.[III] ხოლო ძედ და ხატად მამულისა გუამოვნებისად, რამეთუ სრული არს და გუამოანი და ყოველითურთ მსგაესი მამისაჲ, თუნიერ ხოლო უშობელობისა.

ხოლო მხოლოდშობილად, რამეთუ მხოლოი მხოლოჲსა მამისაგან მხოლოდ იშვა და რამეთუ არცა ემსგაესების სხუაჲ შობაჲ შობასა ძისა ღმრთისასა, არცა აწ სხუაჲ ძე ღმრთისაჲ. რამეთუ დაღათუ სული წმიდაჲცა მამისაგან გამოვალს, გარნა არა შობითი, არამედ გამოსლეით, სხუაჲ სახე მყოფობისაჲ, ეგრეთვე უცნაური და მიუწთომელი, ეითარ-იგი შობაჲცა ძისაჲ. ამისთჳს ყოველნი,// რაოდენნი პქონან მამასა, მისნი არიან, თუნიერ უშობელობისა, რომელი არა არსებისა განყოფილებასა დაჰნიშნავს, არცა პატივისასა, არამედ სახესა მყოფობისასა. ეითარ-იგი ადამ უშობელი იყო, რამეთუ[IV] ქმნული იყო ღმრთისაჲ და სეით – შობილი, რამეთუ ძე იყო მამისი და ეეა გუერდისაგან ადამისისა გამოსრული, რამეთუ არა ი'შეა იგი და არა განიყოფეენან ურთიერთას ბუნებითა, რამეთუ კაცნი არიან, არამედ სახითა ხოლო მყოფობისაჲთა.[2]

საჭმარ უკუე არს ცნობად, ეითარმედ აგენიტონ ერთითა ნარითა დაწერილი აუგებელსა, ესე იგი არს, არა ქმნულსა დაჰნიშნავს, ხოლო აგენნიტონ, ორითა ნარითა დაწერილი, ცხად-

[1] გრიგორ ნოსელი, ეენომიოსის წინააღმდეგ, წ. I, კირილე ალექს., საუნჯე, 5.

[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 25-31; ათან. ალექს., გარდამოც. სარწ., PG, t. 25, col. 200-208.

[1] და მყის თანად მის მიერი ნათელი და არა პირველად ცეცხლი და <BM. [II] ესრეთვე M. [III] მისგან BM. [IV] არამედ M.

– „აგენიტონ“ აუგებელსა მოასწავებს, ესე იგი არს, არა შექმნულსა. ხოლო ოდეს ორითა ნარითა დაიწეროს, ვითარმედ – „აგენიტონ“, მაშინ უშობელსა მოასწავებს.* აწ უკუე მოსწავებისაებრ პირველისა მის სიტყუსა განიყოფების არსებაჲ არსებისაგან, რამეთუ სხუა არს აუგებელი არსებაჲ, ესე იგი არს, შეუქმნელი, რომელი ერთითა ნარითა დაიწერების. და თუ სხუა არს შობილი მეორისაებრ მოსწავებისა, რომელი ორითა ნარითა დაიწერების, და ამით სახითა არა ჰმატს, არცა განიყოფების არსებაჲ არსებისაგან. რამეთუ უეჭუელად ყოველი პირველი გუამი ცხოველთაჲ უშობელ არს, არამედ არა აუგებელ[ი]ა, რამეთუ აღგებულ
3r II იქმნნეს და დაიბადნეს ღმრთისა მიერ სიტყუთა მისითა თანა-არსითა. ხოლო არა იშვნესცა, ვინაჲთგან არა იყო სხუაჲ ერთ სახე მათგანი, რომელისაგანმცა შობილ იყუნეს.

აწ უკუე პირეელ შესწავებულითა მით სახითა, რომელ არს აგენიტონ, ეზიარებიან ურთიერთას სამნიე ზეშთა ღმრთეებისანი, რამეთუ ერთ და აუგებელ არიან. ხოლო მეორითა შესწავებითა, ორთა ნართა მიერ დაწერილისა მის უშობელობისაჲთა, რომელს არს აგენნიტონ, არღარა ერთ არიან, რამეთუ მხოლოდ მამაჲ ოდენ არს უშობელ, რამეთუ არა სხუსა მიერ არს, არამედ თჳთ გუამოვან არს. და მხოლოდ ძე ოდენ შობილ არს, რამეთუ მისე მამულისა არსებისაგან დაუსაბამოდ და უჟამოდ იშვა. და მხოლოდ სული წმიდაჲ ოდენ გამომაეალ არს მისე მამულისა არსებისაგან არღარა // შობით, 820
არამედ გამოსლვით, რამეთუ ამას გუასწავებს ჩუენ საღმრთოჲ წერილი, ხოლო სახე შობისა მის და გამოსლეისაჲ მიუწდომელ არს.[1]

და ესეცა საცნაურ იყავენ, ვითარმედ თუთ ესეცა სახელი მამობისა და ძეობისა და გამოსრულობისაჲ არა ჩუენ მიერ სახელ ედვა ნეტარსა მას ღმრთეებასა, არამედ უფროსსდა წინაუკმო, მის მიერ ჩუენ მოგუეცემის, ეი-
43v I თარცა იტყუს სამრთოჲ მოციქული, ვითარმედ: „ამისთჳს მოვიდრეკ მუხლთა ჩემთა მამისა მიმართ, რომლისა მიერ ყოველნი მამობანი სახელდებულ იქმნნეს ზეცათა შინა და ქუეყანასა ზედა“.[2]

ხოლო ვიტყოდით თუ მამასა დასაბამად ძისა და უფროჲსად,[3] არა გამოვაჩინებთ მას უპირატესად ძისა ჟამითა ანუ ბუნებითა, რამეთუ მან მის მიერ შექმნნა საუკუნენი[4] და არცა რას სხუასა ვიტყუთ მამისასა, ვითარცა

* **თარგმანი**. ვინაჲთგან ქართულად არ დაეტეოდა, შემინდვით, სრულად დაგდებასა სიტყუასა ბერძულადე დაწერაჲ ვირჩიე, რამეთუ ბერძულად მსგაეს არიან სიტყუანი ესე – აგენნიტონ და აგენიტონ და ორითა ნარითა დაწერილი უშობელსა იტყჳს, ხოლო ერთითა ნარითა დაწერილი – აუგებელსა.

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 29, კორილე ალექს., საუნჯე, I.

[2] ეფესელთადმი 3, 14, 15, კორილე ალექს., საუნჯე, I, დიონ. არეოპ., საღმრთ. სახელთ., I.

[3] იოანე, 14, 28.

[4] ებრ., I, 2.

ჰყოფს არა შობილსა. აწ უკუე პირეელისა მის დანიშნეისაებრ განეყოფის არსებაჲ არსებასა, რამეთუ სხუაჲ არსებაჲ არს აუგებელი, ესე იგი არს, აგენიტონ მარტოთა ნარითა და სხუაჲ გენიტონ, რომელ არს აგებული. ხოლო მეორისა დანიშნეისაებრ არა განეყოფის არსებაჲ არსებასა, რამეთუ ყოველ სახისა ცხოველისა პირველი გუამი უშობელი არს, არამედ არა აუგებელი, რამეთუ აღეგნეს დამბადებელისა მიერ სიტყუთა მისითა მოყჳანებულნი მყოფობად და არა იშენეს, ვინაჲთგან არა იყო უწინარეს მათსა სხუაჲ თანა-მოსახე მათი, რომლისაგანმცა შობილ იყუნეს.

ესრეთ უკუე პირეელისა ვიდრემე დანიშნეი- 58r I
საებრ ეზიარებიან ურთიერთ/ას/ სამნიე წმიდისა ღმრთეებისა ზესთა ღმერთთანი გუამნი, რამეთუ თანა-არსნი და აუგებელ/ნი/ არიან. ხოლო მეორისა დანიშნეისაებრ /არ/ასადა, რამეთუ მხოლოჲ მამაჲ ოდენ არს უშობელ და რამეთუ არა სხჳსა გუამოვნებისაგან არს ყოფაჲ მისი. და მხოლოჲ ძე – ოდენ შობილ, რამეთუ მამულისა არსებისაგან იშვა უჟამოდ და დაუსაბამოდ. და მხოლოჲ სული ოდენ წმიდაჲ – გამოსრულ არსებისაგან მამისა არა შობით, არამედ გამოსლეით. // ამისსა უკუე ესრეთ მასწავალელობასა საღმრთოჲსა წერილისასა, ხოლო სახესა საღმრთოჲსა შობისა და გამოსლეისასა მიუწოთმელად დადგრომილობასა.[1]

ამისიცა შესწავებაჲ საკმარ არს, ვითარმედ არა ჩუენგან დაესხნეს ნეტარსა ღმრთეებასა მამობისა და ძეობისა და გამომაეალობისა ესე სახელნი, არამედ წინა-უკმო მის მიერ მოგუეცნეს ჩუენ, ვითარცა იტყუს საღმრთოჲ მოციქული: „ამისთჳს მოვიდრეკ მუხლთა ჩემთა მამისა მიმართ, რომლისაგან ყოველნი მამობანი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა სახელ-დებულ არიან“.[2]

ხოლო დაღათუ ვიტყუთ მამასა დასაბამად ძისა და უფროჲსად მისსა,[3] არა უპირველესობასა მისსა ძისაგან ჟამითა ანუ ბუნებითა გამოვაჩინებთ, რამეთუ მის მიერ შექმნნა საუკუნენი,[4] არცა სხუთა,[1] რაჲთ, თუნიერ მიზეზითა ხოლო, ესე იგი არს, რამეთუ მამისაგან იშვა და არა მამაჲ – ძისაგან. და[11] რამეთუ მამაჲ მიზეზი არს ძისაჲ ბუნებითი, ვითარ-იგი არა

[1] კორილე ალექს., საუნჯე, I; გრიგ. ნაზ., სიტ., 29.

[2] ეფესელთადმი 3, 14, 15; კორილე ალექს., საუნჯე, I, დიონ. არეოპ., საღმრთ. სახელთ., I.

[3] იოანე, 14, 28.

[4] ებრ., I, 2.

[1] სიტყუთა მ. " <M.

უზეშთაეს იყო ძისასა თუნიერ მიზეზისა ხოლო. ესე იგი არს, ეითარმედ ძე მამისაგან იშვა, და არა მამაი ძისაგან და ეითარმედ მამაი ბუნებით მიზეზ არს ძისა, ეითარცა იგი არა ცეცხლსა ნათლისაგან ეიტყუთ გამომავალად, არამედ ნათელსა ცეცხლისაგან.

ამისთუსცა რაჟამს გუესმას დასაბამად და უმეტესად ძისად მამაი, უფროსობაი იგი მიზეზობისათუს გულისჴმა-ეყოთ. და ეითარიგი არა ეიტყუთ სხუსა არსებისაგან ცეცხლსა და სხუსაგან ნათელსა, ეგრეთე არაენი თქუს სხუსა არსებისაგანად მამაი და სხუსა არსებისაგანად ძე, არამედ ერთისა და მისგანეე.

და ეითარ-იგი ეიტყუთ, ეითარმედ მისგან გამომავალისა მის ნათლისაგან ჩანს ცეცხლი და არა დავსდებთ ორღანოდ მსახურ-ცეცხლისა-ყოფად მისგან გამომავალსა მას
43v II ნათელსა, არამედ უფროსსა ბუნებითად ძალად ცეცხლისა უწოდთ მას, ეგრეთეე მამისათუს ეიტყუთ, ეითარმედ ყოველსავე, რაოდენსა იქმს, მხოლოდ-შობილისა // ძისა თუსისა მიერ იქმს. არა ეითარცა ორღანოთსა რაითმე მსახურითა, არამედ ბუნებით მის თანა ერთითა და თუთ-გუამოენითა ძალითა. და ეითარ-იგი ეიტყოდით, ეითარმედ ცეცხლი ნათობს და კუალად ეთქუთ, ეითარმედ ცეცხლისაგან გამომავალი ნათელი ნათობს, ეგრეთეე ყოველსა, რაოდენსა იქმს მამაი, მას ძე ეგრეთეე მსგავსად იქმს.[1] არამედ ნათელსა არა აქუს თუსი გუამი თუსაგან ცეცხლისაგან განთუსებული, ხოლო ძესა აქუსცა სრულებაი თუსისა გუამისაი და განუშორებელსცა არს მამულისაგან გუამოენებისა, ეითარ-იგი პირეელ ეთქუ. რამეთუ შეუძლებელ არს დაბადებულთა შორის პოვნად შეუცვალებელი რაი ხატი, რომელიმცა სრულებით თავსა შორის თუსსა გუჩუენებდა სრულებითსა სახესა ყოველად წმიდისა სამებისასა, რამეთუ აგებული და შეზაეებული, მდინარე და ქცეეადი, გარეშეწერილი და სახესა შინა მყოფი და განხწნადი, ეითარ განცხადებულად საცნაურ პყოფდეს ამათ ყოველთაგან შეუხებელსა და უზეშთაესსა არსებისასა არსებასა ღმრთისასა. რამეთუ ყოველი დაბადებული უმრაელესითა ზემო თქუმულთა ამათ ენებათაგანითა
44r I შეპყრობილ არს და ყოველი ბუნებაი არსთაი ზოგად ხრწნილებისა თანა-მდებ არიან.[2]

ხოლო ჩუენ ეგრეთეე გურწამს ერთისა მიმართ სულისა წმიდისა, უფლისა და ცხოველს-მყოფელისა, რომელი-იგი მამისაგან გამოეალს და ძისა შორის განისუენებს და მამისა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების, ეითარცა თანა-არსი და თანასამარადისოი, სული ღმრთისაი, წრფყელი მთავრობისაი, წყაროი ცხორებისა და სიწმიდისაი, ღმერთი, რომელი მამისა თანა არს და აღიარების აუგებელი, აღსაეხე დამდაბლებელობით, ყოველისაგან ცეცხლისა ეიტყუთ გამოსლვასა, არამედ უფროსსა ცეცხლისაგან – ნათლისასა.

ეინაიცა რაჟამს გუესმეს დასაბამად და უფროისად ძისად მამაი, მიზეზობაი გულისჴმა-ეყოთ და ეითარცა არა ეიტყუთ სხუსა არსებისად ცეცხლსა და სხუსად ნათელსა, ეგრეთ არა შესაძლებელ არს თქუმად სხუსა არსებისაგანად მამაი და სხუსა არსებისად ძე, არამედ ერთისა და მისდაგეე.

და ეითარცა ეიტყუთ მისგან გამომავალითა ნათლითა ჩენასა ცეცხლისასა და არა დაესდებთ, ეითარმედ მსახურებრიეი ორღანოი არს ცეცხლისაი მისგან გამომავალი ნათელი, არამედ უფროსსა ბუნებითად[*] ძალად მისსა, ეგრეთეე ეიტყუთ მამისათუს ყოველთა, 58r II
821 რაოდენთა იქმს მხოლოდშობილი // ძისა მისისა მიერ ქმნასა არა ეითარცა მსახურებრიესა ორღანოსა მიერ, არამედ ეითარცა ბუნებითისა და გუამოვანისა ძალისა მიერ. და ეითარცა ეიტყუთ მნაოობად ცეცხლსა და კუალად ეიტყუთ მნაოობად ნათელსა ცეცხლისასა, ეგრეთეე ყოველთა, რაოდენთა იქმს მამაი, მსგაესადეე იქმს ძეცა.[1] გარნა ნათელსა ეიდრემე არა მოუგიეს თუსი გუამი ცეცხლისაგან კიდე, ხოლო ძე სრული გუამი არს და განუშორებელი არს მამულისა გუამოენებისაგან, ეითარცა ზემო გამოვაჩინეთ, რამეთუ შეუძლებელ არს პოენად აგებულთა შორის, რომელიმცა უცეალებელად აჩუენებდა თავსა შორის თუსსა სახესა სამებისა წმიდისა მაგალითთასა, რამეთუ აგებულმან და შეზაეებულმან და წარდინებადმან, და ქცეეადმან და გარეშეწერადმან და შესახულებისა მქონებელმან და განხრწნადმან, ეითარ განცხადებულად წარმოადგინოს ამათ ყოველთაგან განშორებული ზესთა არსებისაი საღმრთოი არსებაი? ხოლო ყოველი აგებული, ცხად არს, ეითარმედ უმრაელესთა ამათგანთა თანამდებ არს და თუსისა ბუნებისაებრ ხრწნილებისა მიმდგომ არს ყოველი.[2] [1]

ეგრეთეე გურწამს ერთისა სულისა წმიდისა მიმართცა უფლისა და ცხოველს მყოფელისა, რომელი მამისაგან გამოვალს და ძისა შორის განისუენებს და მამისა და ძისა თანა თაყუანის-იცემებს და თანა[*] იდიდების, ეითარცა თანა-არსი და თანა-სამარადისოი სული ღმრთისაი და წრფელი, მთავრებრიეი, წყაროი

[*] ა'შიაზე მიუწერიათ და შემდეგ წაუშლიათ ბუნებითი. ინი ჯდა თანსა თანა, მე დავაგდე.

[1] იოანე, 5, 19.

[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 22, 31 და 37.

[1] იოანე, 5, 19.

[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 22, 31, 37.

[1] +სულისა წმიდისათჳს /თავი/ ი M. [#] < M.

ლისა მპყობელი, ყოელისა მოქმედი, ყოელად ძლიერი, მიუწდომელი ძალითა, მეუფე ყოელისა აგებულებისაჲ, არა უფლებული, განმაღმრთობელი, არა განღმრთობილი, აღმავსებელი, არა აღვსებული, მიმცემელი, არა მიმღებელი, წმიდა-მყოფელი, არა წმიდა-ყოფადი, ნუგეშინის მცემელი და მიმთუალველი ყოველთა ეედრებათაჲ, ყოელითურთ მსგავსი მამისა და ძისაჲ, მამისაგან გამომავალი და ძისა მიერ მოცემული და განფენილი და აღმავსებელი ყოველთა დაბადებულთაჲ, რომელი თავისა მიერ თუსისა დაჰბადებს და არს-ჰყოფს ყოელთა და წმიდა-ჰყოფს და იპყრობს. ხოლო აქუს თუსაგან გუამი სრული და ჰგიესე
44r II განუყოფელად და განუშორებელად მამისაგან და ძისა და ყოველიე აქუს, რაოდენი აქუს მამასა და ძესა, თუნიერ უშობელობისა და შობილობისა.

რამეთუ მამაჲ უმიზეზო არს და უშობელ, ვინათგან არავისგან არს, არამედ თავით თუსით აქუს ყოფაჲ და ვითარ-იგი მან უწყის ეგრეთ ყოფაჲ, უფროჲსღა თუთ იგი არს დასაბამ და მიზეზ სხუათა ყოფისა და ბუნებით ვითარ-ყოფისა ყოველთაჲსა. ხოლო ძე მამისაგან შობილ // არს და სული წმიდაჲცა მისგანვე 824
არს, არა შობილ, არამედ გამოსრულ.

ვინაჲცა ჩუენ ესრეთ გუსწაჳიეს, ვითარმედ არს განყოფილებაჲ შობისა მის და გამოსლეისაჲ, ხოლო თუ რაჲ არს სახე იგი განყოფილებისაჲ, ესე არასადა.

და ესეცა მტკიცედ უწყით, ვითარმედ მყისთანად და მამისაგან შობასავე თანა ძისისა იქმნა გამოსლეაჲ იგი სულისა წმიდისაჲ.[1]

ყოველიე უკუე, რაოდენი აქუს ძესა და სულსა, მამისაგან აქუს, და – თუთ ყოფაჲცა, და მამაჲ თუ არა იყოს, არცა ძე არს, არცა სული, და უკუეთუ მამასა არა რაჲ აქუს, არცა ძესა აქუს, არცა სულსა, და ყოფითა მამისაჲთა, ესე იგი არს, იყოს რაჲ მამაჲ, არიან ძეცა და სული და მაჲისაგან აქუს სული ძესა. და რაჲთა შემოკლებულად ვთქუა, ყოველიე რაჲ აქუს მამასა, მისგანვე აქუს ძესაცა, თუნიერ უშობელობისა და გამოსლეისა, რამეთუ უშობელობითა და შობილობითა და გამოსლეითა
44v I განიყოფების არა არსებაჲ და ბუნებაჲ, არამედ გუამოვნებითი თუთებაჲ გუამთა სამგუამოვნისა წმიდისა სამებისათაჲ. ხოლო ხატებითა თითოეულისა გუამისაჲთა განუყოფელ არს განყოფაჲ მათი.

ხოლო ვიტყუთ, ვითარმედ თითოეულსა სამთაგანსა სრული გუამოვნებაჲ აქუს.[2] ამისთჳს, რაჲთა არა ერთი სამთაგანი უსრულ იყოს და არცა ჩუენ სამთა უსრულთაგან ერთი სრული

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 31, 20.
[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 25, ეპისტოლე ეეაგრესადმი.

ცხოვრებისა და სიწმიდისაჲ, ღმერთი მყოფი მამისა თანა და ძისა თანა[1] და აღსაარებული მის თანა. აუგებელი, საეს, დამბადებელი, ყოელისა მპყრობელი, ყოელისა მოქმედი, ყოელად ძლიერი, ძალ-მიუწომელი, ყოელისა აგებულისა მეუფე, არა თუთ სამეუფო ქმნილი, აღმავსებელი, არა აღვსებული, ღმერთ-მყოფელი, და არა ღმერთ-ქმნილი, ზიარ-მყოფელ, არა ზიარებული, წმიდა-მყოფელი, არა წმიდა-ქმნული, ნუგეშინის-მცემელი, ვითარცა ყოველთა ეედრებისა მიმთუალველი, ყოელითურთ მსგაესი მამისა და ძისაჲ, მამისაგან გამომავალი და ძისა მიერ მოცემული და მისაღებელი ყოელისა აგებულისა მიერ და თავისა მიერ თუსისა აღმგებელი და არს-მყოფელი თანად ყოველთაჲ და წმიდა-მყოფელი, დამცველი, გუამოანი, ესე იგი არს, განთჳსებულსა გუამოვნებასა შინა 58v I
მყოფი, განუყოფელი და განუშორებელი მამისა და ძისაჲ და ყოველთაე მქონებელი, რაოდენნი ჰქონან მამასა და ძესა, თუნიერ უშობელობისა და შობილობისა.

რამეთუ მამაჲ უკუე უმიზეზო არს და უშობელ, რამეთუ არავისგან არს, არცა ვისგან აქუს ყოფაჲ, არცა რაჲ სხუათაგანი, რაოდენნი ჰქონან. უფროჲსღა იგი არს დასაბამი და მიზეზი ყოფისაცა და ვითარ-ყოფისა ყოველთაჲსა ბუნებით. ხოლო ძე მამისაგან შობილ // არს. და სული წმიდაჲ იგიცა უკუე მამისაგანეე, გარნა არა შობით, არამედ გამოსლევით.

და ვითარმედ არს რაჲმე განყოფილებაჲ შობისა და გამოსლეისაჲ, გუსწაჳიეს, ხოლო თუ რაჲ არს გუარი განყოფილებისაჲ არა-საჲა. და მყის-თანად ძისაცა შობაჲ მამისაგან და სულისაცა წმიდისა გამოსლეაჲ გურწამს.[1]

ეინაჲცა ყოველნიე, რაოდენნი ჰქონან ძესა და სულსა, მამისაგან ჰქონან და თუთ იგი ყოფაჲცა. და არათუმცა იყო მამაჲ, არცამცა ძე იყო, არცა სული. და არათუმცა მამასა აქუნდა რაჲმე, არცამცა ძესა აქუნდა, არცა სულსა. და მამისა მიერ, ესე იგი არს, მყოფობისა მიერ მამისა არიან ძე და სული და ყოველნი, რაოდენნი ჰქონან, მამისა მიერ ჰქონან იგინი, თუნიერ უშობელობისა და შობილობისა და გამომავალობისა. რამეთუ ამით გუამოვნებითითა თუთებითა ხოლო განეყოფვიან ურთიერთას სამნი იგი წმიდანი გუამნი და არა არსებითა და რამეთუ მსახეელობითითა თუითებითა გუამოვნებათა თჳსთაჲთა განიყოფვიან.[2]

და ვიტყუთ თითოეულისა სამთაგანისათჳს სრულისა გუამისა ქონებასა, რაჲთა არა სამთა

[1] იოანე დამასკელი აღიარებს: ვიცით, რომ შობასა და გამოსვლას შორის განსხვავებაა, მაგრამ რაში მდგომარეობს იგი, არ ვიცით. შდრ. გრიგ. ნაზ., სიტ., 31, 20.
[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 25.
[1] და ძისა თანა <ВМС.

შეზავებული ბუნებაი შეეისწავოთ. არამედ სამთა სრულთა გუამთაგან ერთი მარტიეი არსებაი უწყოდით ზეშთა სრულებისაი და უპირატესი სრულთაი. რამეთუ უსრულთაგან იქმნების შეზავებაი // და არა სრულთაგან. ვინაიცა არცა ეიტყუთ, ეითარმედ სახე გუამთაგან არს, არამედ – გუამთა შინა. ხოლო უსრულად უწოდთ, რომელი–იგი ვერ ცხოველ–ჰყოფდეს სახესა მისგან სრულ ქმნილთა მათ საქმეთასა. რამეთუ ქვაი და ძელი და რკინაი თითოეული თაეით თუსით სრულ არს ბუნებისაებრ თუსისა, ხოლო მათგან აღშენებადისა მის სახლისა სრულ–მყოფელად უსრულ არს თითოეული მათი, რამეთუ არცა ერთი მათგანი იქმნების მარტოდ სახლ.[1]

825

44v II

აწ უკუე სრულად ეიტყუთ თითოეულსა სამგუამო – ენებისასა, რაითა არა შეზავებულებაი ეჰგონოთ საღრთოსა მის ბუნებისაი, რამეთუ შეზავებულებაი განწვალებისა დასაბამ არს. და კუალად ურთიერთას შემოვჰკრებთ სამგუამოენებასა, რაითა არა სიმრაველე ღმერთთაი შემოვიყვანოთ. და ესრეთ დავიცავთ სამთა გუამთა მიერ შეუზაებელობასა და შეურეენელობასა, ხოლო ერთ–არსებად და ერთ–ბუნებად შემოკრებითა გუამთაითა ერთობასა ნებისა და მოქმედებისა და ძლიერებისასა. და რაითა ესრეთ ეთქუა, ერთსა განუყოფელსა // ღმერთსა ყოფად ეიცნობთ, რამეთუ ერთ ღმრთეება არს ღმერთი და სიტყუაი და სული მისი.[2]

828

ჯერ-არს უკუე ცნობად, ეითარმედ სხუა არს საქმით ხედვაი და სხუა არს სიტყუთ მოგონებაი. აწ უკუე ყოველთა აგებულებათა ზედა განყოფილებაი გუამთაი საქმით იხილვების. ხოლო ზოგადობაი და შერწყუმაი და ერთობაი სიტყუთ განიცდების. რამეთუ გონებით გულისჴმა-ეჰყოფ, ეითარმედ პეტრე და პაველე მისვე ბუნებისანი არიან და ზოგადი აქუს ზიარებაი, რამეთუ თითოეული მათი არს ცხოველ სიტყუა და მოკუდაე და თითოეული ჭორც არს სულიერ, სულ სიტყუერ და საცნაურ.

ესე უკუე ზოგადი ბუნებაი სიტყუთ სახილველ არს, რამეთუ არცა გუამნი ერთად არიან

45r I

ურთიერთას, ეინაითგან თითოეული მათი

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 23, 20.

[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 20, 28, 40. ამ წინადადების შემდეგ ბერძნული დედნის გამოცემაში ზოგიერთი ნუსხის მიხედვით გამოყოფილია ქვესათაური: Περὶ τῆς τῶν τριῶν ὑποστάσεων διαρέσεως· καὶ περὶ τοῦ πράγματος καὶ λογοῦ καὶ ἐπιστίας. ეფრემის თარგმანში ასეთი ქვესათაური არ გეხვდება, არსენის თარგმანში კი არის: „სამთა გუამთა განყოფილებისათჳს. (სამწმეთათჳს და სიტყუსათჳს და გონებისა" (S – 1463, 59v II).

უსრულთაგან ერთი სრული შეზავებული ბუნებაი შეეისწავოთ, არამედ სამთა სრულთა გუამთა შინა ერთი მარტიეი არსებაი, ზესთა სრული და პირველითგან სრული. რამეთუ ყოველი უსრულთაგან შემოკრებული უეჭველად შეზაებული არს, // ხოლო სრულთა გუამთაგან შეუძლებელ არს შეზაებისა ქმნაი, რომლისათჳს არცა ეიტყუთ სახესა გუამთაგან, არამედ გუამთა შინა. ხოლო უსრულობასა 58v მათთჳს ეიტყუთ, რომელნი ვერ განმასრულ/ებელ/ იყუნენ სახესა მათგან შესრულ/ყ/ბულისა საქმისასა, რამეთუ ქვაი ეიდრემე და ძელი და რკინისაი თითოეული თაეით თუსით სრული არს თუსისა ბუნებისაებრ, ხოლო მათგან შესრულებულისა სახლისა მიმართ უსრულ არს თითოეული მათი, ვინაითგან არცა ერთი მათგანი არს თაეით თუსით სახლ.[1]

აწ უკუე სრულთა ეიტყუთ გუამთა, რათა არა შეზავებულებაი გულისჴმა-ეყოთ საღმრთოსა ბუნებისა ზედა, რამეთუ შეზაებაი დასაბამი არს განყოფისაი. და კუალად ერთმანერთისა შორის მყოფად ეიტყუთ სამთავე გუამთა, რათა არა სიმრაველე და დასი ღმერთთაი შემოეიყვანოთ და სამებისა მიერ ვიდრემე გუამთაისა შეურეენელობაი და შეუზაებელობაი, ხოლო თანა-არსობისა მიერ და ერთმანერთისა შორის მყოფობისა გუამთაისა და ნებისა და მოქმედებისა და ძალისა და ჭეშმწიფებისა და მოძრაეობისა და,[1] რაოა ესრეთ ეთქუა, იგივეობისა განუწვალებელობაი და ერთობაი // ღმრთეებისაი გუესწაების, რამეთუ 828 ნამდჳლეე ერთ არს ღმერთი და სიტყუაი და სული მისი.[2]

სამთა გუამთა განყოფილებისათჳს /ნივთ/ თათჳს და სიტყუსათჳს და გონებისა/[a]

ხოლო სათანადო არს ცნობად, ეითარმედ სხუაი არს საქმით სახილველობაი და სხუაი – სიტყუთ და წულილ მომგონებელობით. ვინაითგან[III] ყოველთა ეიდრემე აებულთა შორის გუამთა უკუე განყოფილებაი საქმით იხილების, ხოლო ზოგადობაი და შეერთებულობაი და შერწყმულობაი სიტყუთ წულილ მომგონებელობით იცნობების,[3] რამეთუ გულისჴმა-ეჰყოფთ გონებითა, ეითარმედ პეტრე და პაველე მისიე ბუნებისანი არიან და ერთი საზოგადოი აქუს ბუნებაი, რამეთუ თითოეული მათი ცხოველი არს სიტყუერი, მოკუდავი და თითოეული ჭორცი არს სულიერი, სული სიტყუერი, და გონიერი, ესე უკუე ზოგადი ბუნებაი სიტყუთ ხოლო სახილველი არს და არცა გუამნი ერთმანერთისა შორის 59r I არიან, /არამე/დ თუსისაგან[IV] და განთუსებით, ესე იგი არს, თუთ თაეით თუსით განშორებით

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 23, 20.

[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 20, 28, 40.

[3] „ხოლო ზოგადობაი და შეერთებულობაი" და ა.შ. დედანში არა გეხვდება.

[I] <M. [II] +თაეი ია. [III] ეინაიცა CM. [IV] თუსაგან CM.

სხუასა და სხუასა ადგილსა განყოფილ არიან და თუს-თუს და მრავალი რაი აქუს ერთსა საკუთრად განმყოფელი მისი მეორისაგან, ადგილითა სიშორე და ჟამითა განყოფილებაი და ცნობითა სხუა-სახეობაი და ძალითა და სახითა, რომელ არს შესახედაი და წესითა აგებულებითა და პატივითა, ჴელოვნებითა და სხუთა ხატოვნებითითა თუთებითა, ხოლო უფროჲს ყოველისა, რამეთუ არა ერთბამად, არამედ განყოფილად არიან ერთი-ერთისაგან, ამისთუსცა ორნი და სამნი მრავალ კაცად სახელ-იდებიან,[1] რამეთუ ესე ყოველთაე აგებულთა ზედა იხილვების.

ხოლო წმიდისა და ზეშთა არსებისა და ყოველთა აღმატებულისა, მიუწდომელისა სამებისა საქმე ყოვლითურთ წინდა-უკმო არს კაცობრიეთა საქმეთაჲსა, რამეთუ მუნ ზოგადობაი და ერთობაი საქმით იცნობების ზოგად დაუსაბამოობითა და დაუსრულებელობითა, ერთობითა არსებისა და მოქმედებისა და ნებისაჲთა და ზოგად მობერვითა მეცნიერებისაჲთა. და იგიეობითა ჴელმწიფებისა და ძა-
45r II ლისა და სახიერებისაჲთა და ერთითა გამოკრთოლვითა ბრწყინვალებისაჲთა. რომელთაჲ ერთ არს არსებაჲ, ერთ ძალი, ერთ სახიერებაჲ, ერთ ნებაჲ, ერთ მოქმედებაჲ, ერთ ჴელმწიფებაჲ, ერთ და იგივე. არა სამ, მსგავს ურთიერთას, არამედ ერთ და იგივე არს მოქმედებაჲ სამთაჲვე გუამთაჲ. რამეთუ ერთი თითოეული სამთაგანისაჲ მეორისა თანა არს, არა უდარეს, ვიდრეღა თავისა თუსისა თანა, ესე იგი არს, ეითარმედ ყოელითურთ ერთ არიან მამაჲ და ძე, სული წმიდაჲ, თუნიერ უშობელობისა და შობილობისა და გამომავალობისა. ხოლო გულისჴმის-ყოფაჲ თქუმულთაჲ ამათ ესე არს, ეითარმედ ერთი ღმერთი უწყით მხოლოსა შინა განყოფილებასა მამობისა და ძეობისა და გამომავალობისასა, მიზეზობისა და მიზეზ-ყოფისასა. და სრულებითა გუამოენებისა, ესე იგი არს, თუთებისაჲთა განყოფასა მათსა გულისჴმა-ჰყოფთ: რამეთუ ეერცა ადგილითა ჩუენ სახედ განყოფილებასა // ეიტყუთ გარ- 829
ეშეუწერელისა ღმრთეებისასა, რამეთუ ზოგად ურთიერთას არიან გუამნი იგი, არა შერევენით, არამედ მახლობელობით, სიტყჳსაებრ უფლისა, ეითარ-იგი — „მე მამისა თანაო, — იტყჳს, და მამაჲ ჩემ თანა".[2]

45v I ხოლო არცა ნებისაჲ არს განყოფილებაჲ, არცა ცნობისა, არცა მოქმედებისაჲ, არცა სიტყჳსა რაჲსმე, რაოდენნი შობენ ჩუენ შორის ყოველითურთსა და საქმითსა განყოფილებასა. ამისთუსცა არცა სამად ღმერთად ეიტყუთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, არამედ

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 31.
[2] იოანე, 14, 11.

/მ/დგომარე არა თითოეული მათი, მრა/ვ/ალთა[I] მქონებელი სხუათაგან განწუალებულთა მისთაჲ და რამეთუ ადგილითაცა განყოფილ არიან და ჟამითა განთჳსულ და ნებითა განნაწილებულ და ძალითა და შესახედაჲთა ესე იგი არს, ნაკუთითა და ანაგებითა და შეზავებითა და პატივითა და ჴელოვნებისა ეითარებითა და ყოელითაეე დამსახელობითითა" თუთებითა, ხოლო უფროჲს არა ერთმანერთისა შორის, არამედ განთჳსებულად ყოფითა. რომლისათჳსცა ორნი და სამნი და მრავალნი კაცნი ითქუმიან.[II] და ესე ყოელისაეე აგებულისა ზედა სახილველ არს ესრეთ.

ხოლო წმიდისა და ზესთა არსებისა და ყოველთა მიერ კერძოჲსა და მიუწთომელისა სამებისა ზედა წინა-უკმო, რამეთუ მუნ საზოგადოჲ ეიდრემე და ერთი საქმით იხილვების და თანა-სამარადისოობითა და იგიეობითა არსებისა და მოქმედებისა და ნებისა და სათნო-ყოფისაჲთა, ჴელმწიფებისა და ძალისა და სახიერებისა იგიეობაჲ, არა თქუა, ეითარმედ მსგავსებაჲ, არამედ იგიეობაჲ და ერთი გამოკლთოლეაჲ მოძრაობისაჲ, რამეთუ ერთი არს არსებაჲ, ერთი ძალი, ერთი ნებაჲ, ერთი მოქმედებაჲ, ერთი ჴელმწიფებაჲ, ერთი და იგივე. არა სამნი,[IV] მსგავსნი ურთიერთას, არამედ ერთი და იგიე მოძრავობაჲ სამთაჲვე გუამოენებათაჲ, რამეთუ თითოეული მათგანი მყოფ არს სხუა[V] შორის არა უდარეს, ვიდრე თავისა თუსისა შორის, ესე იგი არს, ეითარმედ ყოელითაეე ერთ არიან მამაჲ და ძე და სული წმიდაჲ თუნიერ უშობელობისა და შობილობისა და გამომავალობისა. ხოლო განწუალებულებაჲ[VI] წულილ მოგონებით, რამეთუ ერთი ღმერთი უწყით და მხოლოდ თუთებათა შინა ხოლო მამობისა და ძეობისა და გამომავალობისათა მიზეზობითა და მიზეზ- 59r II
ისგანობითა და სრულებითა გუამოენებისაჲთა, ესე იგი არს, გუარისთა მყოფობისაჲთა განყოფილებასა გულისჴმა-ჰყოფთ, რამეთუ არცა ადგილობითისა სიშორისაჲ, ეითარ-იგი ჩუენ ზედა // ძალ-გუც თქუმაჲ,[VII] გარეშეუწერელისა ღმრთეებისა ზედა არა ძალ-გუც თქუმაჲ. რამეთუ ერთმანერთისა შორის არიან გუამნი, არა ეითარმცა შეირეოდეს, არამედ ეითარმცა ურთიერთას დაიტეოდეს სიტყჳსაებრ უფლისა, ეითარმედ; „მე მამისა შორის და მამა ჩემ შორის".[2]

არცა ნებისა განყოფილებაჲ არს, ანუ სათნო-ყოფისა, ანუ მოქმედებისა, ანუ ძალისა, ანუ სხუსა რაჲსმე, რომელთა მიერ საქმითი და ყოელითურთ განწუალებაჲ იშუების ჩუენ შორის, რომლისათჳს არცა სამთა ღმერთ-

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 31.
[2] იოანე, 14, 11.

[I] მრავლის CM. [II] დამსახელობითა M. [III] არიან. E. [IV] <CM. [V] სიტყუსა C. [VI] განწუალებაჲ CM. [VII] +ხოლო M.

უფროისღა ერთ ღმერთად ექადაგებთ წმიდასა სამებასა, რამეთუ ერთისა მის მიზეზისა მიმართ, რომელ არს მამაჲ, აღეიყვანებთ ძესა და სულსა არა შერევენით, არცა შერწყმით (sic) წვალებისაებრ საბელიოზისსა, რამეთუ შეიერთებიან, ვითარცა პირველ ვთქუთ, არა რაჲთა შეიძინენ ურთიერთას, არამედ რაჲთა მახლობელ იყუნენ და კუალად დაიცვენ ურთიერთას განყოფასა თუნიერ ყოელისა შერწყმისა (sic) და შერევნისა. ხოლო არაჲე განიყოფებიან, არცა არსებით განიკუეთებიან წვალებისაებრ არიოზისსა. არამედ, რაჲთა შემოკლებულად ვთქუა, ვითარმედ განუყოფელად განიყოფვის ღმრთეებაჲ და ვითარცა სამნი მზენი, ურთიერთას მახლობელნი და მარადის განუშორებელნი, ერთსა გამოაელინებენ ნათელთა შეზავებასა და შეერთებასა.[1]

რამეთუ რაჟამს ღმრთეებისა მიმართ მიეხედნეთ და პირეელისა მის მიზეზისა და
45v II ერთ-მთაჲრობისა და, რაჲთა ესრეთ ვთქუა, ერთისა მის ღმრთეებისა ნებისა და მოქმედებისა, არსებისა და ძალისა და უფლებისა იგიეებასა, ერთ ღმერთებაჲ მეოცნების ჩუენ. ხოლო რაჟამს უწულილესად-რე განვიცდიდეთ, რომელთა შინა არს ღმრთეებაჲ, ანუ, უსაკუთრესად ვთქუა, რაჲ-იგი არს ღმრთეებაჲ და პირეელისა მის მიზეზისა მათგანთა უჟამოთა და განუყოფელთა ერთითა დაბადებითა უწყი, ვითარმედ ესე იგი არიან გუამნი სამგუამოვნებით თაყუანისცემულნი. ეინაჲცა ერთ არს მამაჲ, მამაჲ დაუსაბამოჲ, ესე იგი არს, უმიზეზოჲ, რამეთუ არავისგან არს. და ერთ არს ძე, ძე არა დაუსაბამოჲ, არცა უმიზეზოჲ, რამეთუ მამისაგან შობილ არს. ხოლო უკუეთუ ჯამითა ეძიებ დასაბამსა, დაუსაბამოჲცა, რამეთუ შემოქმედი ჯამთაჲ არა ჯამთა ქუეშე არს. და ერთ არს სული წმიდაჲ, სული გამომავალი უკუე მამისაგან, ხოლო არა შობით ძისაებრ, არამედ გამოსლვით. არცა მამაჲ განეშორა უშობელობასა შობითა ძისაჲთა, არცა ძე შობილობასა, რამეთუ უშობელისაგან იშვა, რომელი ესე ეითარ ეგების. არცა
46r I სული წმიდაჲ შეიცვალების მამად, ანუ ძედ, რამეთუ მამისაგან გამოსრულ არს და რამეთუ ღმერთ არს. რამეთუ თუთებანი შეუცვალებელ არიან, ანუ ეითარ იყუნენ თუთება // შეძრეო- 832
დინ თუ და მიმოიცვალებოდინ? რამეთუ ძე არა საკუთრად მამაჲ არს, რამეთუ ერთ არს საკუთრებით სახელ-დებული მამად. და მამაჲ არა საკუთრად ძე არს, რამეთუ ერთ არს ძე მამისაგან შობილი და ერთ სული წმიდაჲ მამისაგან გამომავალი.[2]

[1] გრიგ. ნაზ., სიტ. 20, 31, 39 და 40; ბასილი დიდი, ეპისტ. 43; დიონ. არეოპ., საღმრთ. სახელთ., 2.
[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 20, 31, 39.

თა ვიტყუთ – მამასა[I] და ძესა და სულსა წმიდასა, არამედ უფროისღა-ერთსა ღმერთსა, წმიდასა სამებასა ერთისა მიმართ მიზეზისა აღყვანებითა ძისა და სულისაჲთა, არა შერწყუმითა, არცა თანა-განლევითა საბელიოზის შერევნისაებრ, რამეთუ შეიერთებიან, ვითარცა ეთქუთ, არა ეითარმცა შეირწყუმოდეს, არამედ ვითარმცა ურთიერთას დაიტეოდეს და ურთიერთასისა[II] შორის ყოფისაჲ[III] მჭნებელ იყვნეს, თუნიერ ყოელისა შერწყუმისა და შერევნისა. არცა განყოფითა, ანუ არსებისა განკუეთითა, არიოზის განწვალებისაებრ, რამეთუ განუკურძობელ არს განკერძოებულთა შორის, უკუეთუ ჯერ-არს შემოკლებულად თქუმაჲ, ღმრთეებაჲ და ვითარცა სამთა მზეთა შინა მახლობელთა ურთიერთას და განუშორებელად მყოფთა ერთისა ნათლისა შეზავებაჲ და შეერთებაჲ.[I]

აწ უკუე რაჟამს ღმრთეებისა მიმართ მიეიხილოთ და პირეელისა მიზეზისა და ერთმთაჲრობისა და ერთისა და მისეე ღმრთეებისა, რათა ესრეთ ვთქუა, მოძრაობისა და განზრახვისა და არსებისა და ძალისა და მოქმედებისა და უფლებისა იგიეობასა მოეხედნე. ერთი არს ოცნებული ჩუენდა.[III] ხოლო რაჟამს მათდა მიმართ, რომელთა შინა არს ღმრთეებაჲ, ანუ თუ, უსაჟეთესად ითქუმოდენ, რომელთაჲ არს ღმრთეებაჲ და ღმრთისა მის მიზეზისაგან უჟამოდ მისგან მყოფთა და სწორ პატიოებით 59v
და განუშორებელად, ესე იგი არს, გუამთა სამნი არიან თაყუანისცემულნი: ერთი მამაჲ, მამაჲ და დაუსაბამოჲ, რომელ არს უმიზეზოჲ, რამეთუ არავისგან არს; ერთი ძე, ძე და არა დაუსაბამოჲ, რამეთუ მამისაგან არს, ხოლო უკუეთუ ჯამისაგან მიიღებ დასაბამსა, დაუსაბამოჲცა, რამეთუ შემოქმედი ჯამთაჲ არა-ჯამის ქუეშე, ერთი სული წმიდაჲ, სული გამომავალი ეიდრემე მამისაგან, ხოლო არა ძეებრ,[IV] არამედ გამოსლეით,[V] არცა მამისა განშორებითა უშობელობისაგან ამით, რამეთუ იშვა,[VI] არცა[VII] შობილობისაგან, რამეთუ – მამისაგან უშობელისა, რამეთუ ეითარცა არცა სულისა მამად ანუ ძედ შეცვალებითა,[VIII] რამეთუ გამომავალ არს და რამეთუ ღმერთ არს, რამეთუ თუთებაჲ უმოძრაჲო არს, ანუ ეითარ ეგოს თუთებაჲ // მოძრაჲი და მიმომრდომე? რამეთუ უკუეთუ ძე არს, არა მამაჲ არს საკუთრად, რამეთუ ერთი არს საკუთრად მამაჲ. და უკუეთუ მამაჲ არს, არა საკუთრად ძე არს, რამეთუ ერთი არს საკუთრად ძე და ერთი სული წმიდაჲ.[2]

[I] შეისწავე.
[1] გრიგ. ნაზ., სიტ. 20, 31, 39, 40: დიონ. არეოპ., საღმრთ. სახელთ., 2.
[2] გრიგ ნაზ., სიტ., 20, 31, 39.
[I] რომლისათუს არცა სამთა ღმერთთა ვიტყუთ მამასა – ღმერთთა ვიტყუთ მამასა, რომლისათუს არცა სამთა M. ღმრთისათუს ვიტყუთ მამასა, რომლისათუს არცა სამთა C. [II] ურთიერთარს CM. [III] ჩემდა M. [IV] +შობით C. [V] გამოელენით C. [VI] შვა M. [VII] +ძისაჲთა M. [VIII] არცა მამისა განშორებითა და ა. შ. <C.

ჯერ-არს უკუე ცნობად, ვითარმედ მამასა არა ვიტყუთ ვისგანადმე, არამედ ვიტყუთ მას მამად ძისა. ხოლო ძესა არა ვიტყუთ უმიზეზოდ, არცა მამად, არამედ ვიტყუთ მას მამისაგანად და ძედ მამისა.

ხოლო სულსა წმიდასა მამისაგანად ვიტყუთ, და სულად მამისა სახელ-ვსდებთ. ხოლო ძისაგან გამომავალად სულსა არა // ვიტყუთ, 833
არამედ სულად ძისა სახელ-ვსდებთ. რამეთუ „რომელსა სული ქრისტესი არა აქუსო“ [1] – იტყუს საღმრთოი მოციქული და რამეთუ ძისა მიერ განცხადნა სული და განგუეყო ჩუენ, ამას აღვიარებთ, რამეთუ შეჰბერა მოწაფეთა და ჰრქუა: „მიიღეთ სული წმიდაჲ“.[2] ვითარცა იგი მზისაგან არს შარავანდედი და ბრწყინვალებაჲ, რამეთუ იგი არს წყაროჲ შარავანდედისა
46r II მის და ბრწყინვალებისა. ხოლო შარავანდედის მიერ მოგუეცემის ჩუენ ბრწყინვალებაჲ იგი, და იგი არს, რომელი განმანათლებს ჩუენ და მიითუალავს ჩუენ მიერ. ხოლო ძესა არცა ძედ სულისად ვიტყუთ, არცა სულისაგანად.[3]

/I, 9/ რაოდენნი რაჲ ღმრთისათჳს ითქუმიან

თავი თ

საღმრთოჲ ბუნებაჲ მარტიჲ არს და შეუზავებელი. ხოლო მრავალთაგან და თითოსახეთა ბუნებათა შემოკრებული იგი არს შეზავებულ. // აწ უკუე ჩუენ, უკუეთუ აუგებელობასა და დაუსაბამოებასა და უჴორცოებასა და უკუდავებასა და საუკუნეობასა და სახიერებასა და დამბადებელობასა და სხუათა ესეითართა სიტყუათა არსებითად განყოფილებად ვიტყოდით ღმრთისა, ესოდენთა თანა-(მ)ოყიდულთაგან არღარა მარტიე იყოს, არამედ შეზაებულ, რომელი-ესე უკუანაჲსკნელი დასასრული არს უღმრთოებათაჲ. ვინაჲცა ჯერ-არს თითოეულსა ღმრთისათჳს თქუმულთაგანსა ესრეთ მითუალეაჲ, ვითარმედ არა არსებასა მისსა მოასწავებენ თუ რაჲ არს, არამედ რაჲ არა არს, მას საცნაურ ჰყოფენ, ანუ თუ თჳსებასა რასმე აღსრულებადთა რათმე
46v I საქმეთა მიმართ, ანუ თუ რაჲ თჳს ეყვის ბუნებასა, გინა მოქმედებასა მისსა. ხოლო ეჰგონებ, ვითარმედ ყოველთაჲვე სახელთა, რაოდენნი ღმრთისათჳს ითქუმიან, ესე უსაკუთრეს არს, ვითარმედ რომელი არს. ვითარ იგი თუთ თავადმან გამოუცხადა მოსეს მთასა ზედა და ჰრქუა: „არქუ ძეთა ისრაჱლისათა ვითარმედ რომელ იგი არს, მან მომაველინა მე“.[4] რამეთუ ყოველივე ყოფაჲ თავსა შორის თჳსსა შემოკრებულად აქუს, ვითარცა უფსკრული რაიმე არსებისაჲ, მიუწდომელი და უსაზღეროჲ, რამეთუ ვითარცა წმიდაჲ დიონოსიოს იტყუს,

[1] რომაელთადმი, 8, 3.
[2] იოანე, 20, 22.
[3] გრიგ. ნაზ., სიტ., 31.
[4] გამოსლე., 3, 14.

სათანადო არს ცნობად, ვითარმედ მამასა არა ვიტყუთ მი'ზე'ხისაგანად, ხოლო ვიტყუთ მას მამად ძისად. და ძესა არა ვიტყუთ უმი'ზეზოდ,[1] არცა მამად, არამედ ვიტყუთ მას მამისაგანად[1] და ძედ მამისა.

ხოლო სულსა წმიდასა მამისაგანცა[1] ვიტყუთ და სულად მამისად სახელ-ვსდებთ, ხოლო ძისაგან არა // ვიტყუთ სულსა, გარნა სულად ძისად სახელ-ვსდებთ, რამეთუ „უკუეთუ ეისმე სული ქრისტესი არა აქუსო“,[2] – იტყუს საღმრთოი მოციქული და ძისა მიერ გამოცხადებულობასა და ჩუენდა მოცემულობასა აღვიარებთ, რამეთუ შეჰბერა და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა; „მიიღეთ სული წმიდაჲ“,[3] რამეთუ ეითარ-იგი მზისაგან არს[II] შარავანდედიცა და ბრწყინვალებაჲ, რამეთუ იგი არს წყაროჲ შარავანდედისა და ბრწყინვალებისაჲ, ხოლო შარავანდედისა მიერ მოგუეფინების ჩუენ ბრწყინვალებაჲ და იგი არს განმანათლებელი ჩუენი და მიღებული ჩუენგან. ხოლო ძესა არცა სულისად ვიტყუთ, არცა 59v II
სულისაგანად.[4]

/I, 9/ ღმრთისა ზედა თქუმულთათჳს

თავი თ

ღმერთი უკუე მარტივი არს და /განუზ/ავებელი, ხოლო მრავალთა და თ/ით/ო სახეთაგან შემოკრებული შე'ზა/ვ/ებული არს. // აწ უკუე
836 უკუეთუ აუგებელობასა და დაუსაბამოობასა და უსხეულობასა და უკუდავობასა და საუკუნეობასა[3] და ეგეეითართა არსებითად განყოფილებად ვიტყოდით ღმრთისა ზედა, ესოდენთაგან შემოკრებული არა მარტიე იყოს, არამედ შეზავებული, რომელი-ესე უკუანაჲსკნელისა უსახურებისაჲ არს. ამისთჳს საჭმარ არს თითოეულისა ღმრთისა ზედა თქუმულთაგანისა არა რაჲ იგი არს არსებით, მისსა წარმომაჩინებელად საგონებელ-ყოფაჲ, არამედ რაჲ არა არს, მისი ცხად-მყოფელობაჲ, ანუ თჳსებისა რაჲსმე წინააღმდგომ განყოფილთაგანისა რაჲსმე მიმართ, რომელ არიან მიმდგომნი ბუნებისანი ანუ მოქმედებისაჲ. აწ უკუე უსაკუთრესად ყოველთაჲვე ღმრთისა ზედა სათქუმელთა სახელთად საგონებელ არს ყოფად მყოფი, ვითარცა თუთ იგი მთასა ზედა მოსესდა გამოჩინებული იტყუს: „არქუ ძეთა ისრაჱლისათა, ვითარმედ მყოფმან მომაველინა მე“,[4] რამეთუ ყოველივე თავსა შორის თჳსსა შეკრებულად აქუს ყოფაჲ, ვითარცა

[1] დედანში წერია „მიზეზად“: οὐ λέγομεν αἴτιον οὐδὲ πατέρα..., მაგრამ ზოგ მანუსკრიპტში დადასტურებულია წაკითხვა ἀναίτιον.
[2] რომაელთადმი, 8, 3.
[3] იოანე, 20, 22.
[4] გრიგ. ნაზ., სიტ., 31.
[5] გამოცხადებული დედნისეული ἀγαθόν /სიკეთესა, სახიერებასა, /ბჱɯoსῠგικόν/ შემქმნელობასა და დამბადებელობასა/.
[6] გამოსლ., 3, 14.

[I] მამისაგან M. [II] არიან M.

ეითარმედ სახიერებაჲ არა ქმა არს ღმრთისათჳს სათქუმელად, რამეთუ პირველად ამისი ჯერ-არს თქუმაჲ, ეითარმედ არს და მერმეღა ეითარმედ სახიერ არს.[1]

ხოლო შემდგომად და მეორედ უსაკუთრეს სახელ // ღმრთისა არს ღმერთი. რომელი-იგი ესრეთ ი-სახის-მეტყუელებს, რამეთუ სთქუა რაჲ თეონ, ესე იგი არს ღმერთი, ანუ ამით გულისჴმის-ყოფითა იტყჳ, ეითარმედ იგი ხედაჲს[2] ყოველსა, ანუ ამით გულისჴმისყოფითა, ეითარმედ სწუავს,[3] რამეთუ ღმერთი ჩუენი ცეცხლ შემწუველ არს და განმლეველ ყოველისა სიბოროტისა, და უფროჲსღა, ეითარ იგი პირველ ეთქუ, იგი ხედაჲს[4] ყოველსა,* რამეთუ არა რაჲ დაეფარვის თუალსა მას ყოველთა მხედველსა, რომელმან ყოველიე იხილა პირ-
46v II ველ დაბადებამდე მათდა და პირველ ჟამისა მოიგონნა, ესე იგი არს, უწინარეს ჟამთა და წელთა განწესებისა და ყოველიე ეგრეთ ქმნა, ეითარცა შეეტყუებოდა ნებასა და განზრახვასა მისსა პირველ ჟამისასა, რომელი-იგი იყო წინა-განსაზღერებაჲ და ხატი და სახე წინა-განსაზღერებისაებრ მისისა თჳსსა ჟამსა აღსრულებული.

აწ უკუე ესე ცხად არს, ეითარმედ სახელთა შინა ღმრთისათა არსი უპირატეს და უსაკუთრეს არს, რაჲთა პირველად უეჭველად ყოფაჲ მისი იქადაგებოდის, ეითარმედ არს. და ამისსა შემდგომად თუ რაჲ არს, ეითარმედ ღმერთი მხედველი და მოქმედი ყოველთა დაბადებისა და მპყრობელობისაჲ.

ვინაჲცა პირველი იგი სახელი, რომელ არს არსი, ყოფისაჲ არს და მეორე ესე მოქმედებისაჲ, ეითარმედ ღმერთი არს. ხოლო დაუსაბამოჲ და უხრწნელი, უშობელი და აუგებელი, უჴოროცოჲ და უხილაჲი და სხუანი ესეეითარნი, თუ რაჲ არა არს, მას საცნაურ-ჰყოფენ, ეითარმედ არაოდეს იწყო ყოფად, არცა განიხრწნების, არცა აღეგების, არცა ჴორც არს, არცა იხილების.

ხოლო სახიერი და მართალი და წმიდაჲ და სხუანი ესეეითარნი სახელნი მისნი ბუნებასა შეუდგან და არა თჳთ მას არსებასა წარმოაჩინებენ. ხოლო უფალი და მეუფე
47r I თჳსებასა ნაცვალად წინა-მოსწაევებათასა საცნაურ-ჰყოფენ, რამეთუ რომელი უფლებდეს, უფსკრული რაჲსმე არსებისაჲ, მიუწთომელი და უსაზღუროჲ.[1]

ხოლო მეორედ ღმერთი სახელ-ედების,
837 // რომელ არს თეოს, რომელი ესე ანუ ხედვისა და გარე-შეცისაგან ითქუმის თანად ყოველთაჲსა, ანუ ნთებისა, ესე იგი არს, წუხისაგან, რამეთუ ღმერთი ცეცხლ განმლეველ არს ყოველისა ბოროტისა, ანუ ხედვისაგან ყოველთაჲსა, რამეთუ შეუცილებელ არს და ზედა-მხედველ ყოველთა.[2]

ვინაჲცა პირველი იგი სახელი მისი მყოფობისა წარმომაჩინებელ არს და არა თუ რაჲ არს, ხოლო მეორე მოქმედებისა. ხოლო დაუსაბამოჲ და უხრწნელი და შეუქმნელი, რომელ არს აუგებელი და უსხეულოჲ და უხილაჲი და ეგეეითარნი რაჲ არა არს, მას ცხად-ჰყოფენ, ესე იგი არს, ეითარმედ არა უწყიეს 60r I
ყოფად, არცა განიხრწნების, არცა აგებულ არს, არცა /ს/ხეულეან არს, არცა იხილების, ხოლო სახიერი და მართალი და ნეტარი და ეგეეითარნი მოდგამ არიან ბუნებისა და არა თჳთ მას არსებასა ცხად-ჰყოფენ. ხოლო უფალი მეუფე და ეგეეითარნი თჳსებასა[1] წარმოაჩინენ წინა-უკმო განყოფილთა მიმართ,

---

* **თარგმანი.** უწყებაჲ ჯერ-არს, ეითარმედ ვინაჲთგან ბერძენთა ენითა აღუწერია წმიდასა იოანე დამასკელსა წიგნი ესე, ამისთჳსცა ბერძულად სახის-მეტყუელებს სიტყუათა ამათ, რამეთუ ბერძულად ღმერთსა თჳთნე ეწოდების და ხედჳსა თჳთრაჲ, ხოლო ცეცხლსა ჳთიან საღრამატიკოსოთა სიტყუთა, ამისთჳსცა სახელი ღმრთისაჲ, რომელ არს თეონ, მსგაესებისაებრ მათ სიტყუათაჲსა უ-სახის-მეტყუელებია და ხედეისაგან, რომელ არს თეორია, ყოველთა მხედველად უთარგმნია სახელი ღმრთისაჲ და ცეცხლისაგან, რომელ არს ჳთიან, ცეცხლად უთქუამს, ეითარმედ „ღმერთი ჩუენი ცეცხლ შემწუველ არს".

1 დიონ. არეოპ., „სალმრთოთა სახელთათჳს", 4.

2 θέειν.

3 αἴθειν.

4 θεᾶσθαι.

---

1 დედანში წერია ამის შემდეგ: „წმიდა დიონისე კი ამბობს, კეთილიო /ბ ἀγαθός/, რადგან ღმერთზე არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ჯერ არსებობდა და შემდეგ გახდა კეთილი: Ὡς δὲ ὁ ἅγιος Διονύσιος φησιν, ὁ ἀγαθός. Οὐ γὰρ ἔστιν ἐπὶ Θεοῦ εἰπεῖν, πρώτον τὸ εἶναι, καὶ τότε τὸ ἀγαθόν.

2 ეს აღგილი არ არის სრულად თარგმნილი. დედანში დამატებით გვაქვს: „რადგან იგი ხედავდა ყველა ნიჭის მათს ყოფამდე, მარადისობით წარმოიდგენდა გონება'ში. ყოველი ნიეთი ღებულობს არსობას განსაზღერულ დროს, თანახმად მის მარადიულ სურვილთან /ნებასთან/ შეერთებული აზრისა, რომელიც არის წინასწარ განსაზღერა, სახე და გეგმა." თუმცა, იქვე ტექსტის გამომცემელნი შენიშნავენ, რომ ზოგ მანუსკრიპტში ეს აღგილი არ არის დაღასტურებული.

1 თუთებასა M.

უფალ სახელ-იდების და რომელი მეუფებდეს, მეუფე ეწოდების და დამბადებელსა – დამბადებელ და მწყემსსა – მწყემს, ვინაცა ყოველნიე ესევითარნი სიტყუანი ზოგადად მოიღებეოდენ ყოელისა ღმრთეებისათუს და იგიეედ და მარტივად და განუყოფელად და შეერთებულად.[1]

რამეთუ საუფლოთად იოქუმის უფალი და სამეყოოად მეფე, დაბადებულთად დამბადებელი და სამწყსოთად[1] მწყემსი.[1]

/I, 10/ საღმრთოჲსა ერთობისა და განუყუსებისათუს

თავი ი

განოუსებულობაჲ უკუე საღმრთოთა სახელთაჲ არს: მაჰაჲ, და ძე და სული. და მიზეზი და მიზეზისაგანნი და უშობელი და შობილი და გამომავალი, რომელნი-ესე არა არსებისანი არიან მაუწყებელნი, არამედ ურთიერთას თუსებისა და გუამოვნებისა სახისანი.

// რამეთუ ჩუენ ესე უწყით და ამათ მიერ საღმრთოდ არსებად ჴელ-აყრობილ და ძლუანებულ ვიქმნებით და არა თუთ მას თავადსა არსებასა ღმრთისასა მეცნიერ ვიქმნებით, არამედ არსებითნი საქმენი მისნი გუეუწყებიან. ვითარ-იგი რაჟამს ეცანთ, ვითარმედ სული უჴოროცო არს და აღურიცხუელ და გამოუსახელ, არცა ამით გუცნობია სრული არსებაჲ სულისაჲ. არცა სისპეტაკე და სიშაჲე წარმოაჩინებს არსებასა ჯორცთა 47r II აგებულებისასა, არამედ აგებულებისა-თანათა სახელთაგანი არს.

ხოლო ჭეშმარიტი სიტყუაჲ ამას გუასწაებს, ვითარმედ ვითარ-იგი მარტიე არს ბუნებაჲ სალმრთოჲ, ეგრეთვე მარტიეი და ერთი აქუს მოქმედებაჲ, ესე იგი არს, სახიერებაჲ და ამას ყოველთა ზედა მოქმედებს მსგაესად მზისა შარაჳანდედისა, რომელი-იგი ყოველთაჲე განატჳობს და თითოეულსა შორის მსგაესად ბუნებითისა საჴმარებისა და ძალისა შემწყნარებელობისა მოქმედებს, რამეთუ ესეევითარი მოქმედებაჲ მიუღიეს მას დამბადებელისა ღმრთისაგან.

აწ უკუე სიტყუაჲ იგი სახიერებისაჲ ზოგად ერთობით არს ერთ ღმრთეებისა სამებისაჲ.

// ხოლო განთუსებულ არს სიტყუაჲ საღმრთოჲსა განგებულებისა და კაცთმოყუარებით ქმნილისა მის სიტყჳსა განჭორციელებისაჲ, რამეთუ ამას არცა მამაჲ ზიარებულ არს არა რომლითა სახითა, არცა სული, თუნიერ ხოლო თანა-სანთო-ყოფითა და გამოუთქუმელითა საკჳრეელთ-მოქმედებითა, რაოდენთა იქმოდა ჩუენითა მით ჯორცითა შემოსილი იგი სიტყუაჲ ღმრთისაჲ, ვითარცა უცეალებელი ღმერთი და ძე ღმრთისაჲ.[2]

/I, 10/ საღმრთოჲსა შეერთებისა და განუყუსებისათუს[II]

თავი ი

აწ უკუე ყოველნიე ესე საზოგადოდ მოიღებეოდედ ყოელისაჲე ღმრთეებისა ზედა და მარტიეად და განუეჩერძოებელად და შეერთებულად. ხოლო განყოფილად მამობაჲ და ძობაჲ და სულობაჲ და უმიზეზობაჲ და მიზეზისაგანობაჲ და უშობელობაჲ და შობილობაჲ და გამომავალობაჲ. რომელნი-ესე არა თუ არსებასა წარმოაჩენენ, არამედ ურთიერთასსა თუსებასა[III] და გუარსა მყოფობისასა.

840 // ამათნი უკუე მეცნიერნი და ამათგან საღმრთოჲსა არსებისა მიმართ ჴელ-აყრობილნი არა თუთ მას არსებასა მიესწუებით, არამედ გარემოჲსა არსებისათა, ვითარ-იგი არცა უკუეთუ მეცნიერ ვიქმნენთ, ვითარმედ სული უსხეულო არს და ურაოდენო და დაუსახელ, ეგერა არსებაჲცა გუცნობიეს მისი, არცა სხეულისაჲ უკუეთუ ვიცათ, ვითარმედ თეთრი არს ანუ შაე, არამედ გარემოჲსნი არსებისანი.

ხოლო ჭეშმარიტი სიტყუაჲ ასწავებს, ვითარმედ მარტიე არს ღმერთი და ვითარმედ ერთი მარტიეი მოქმედებაჲ აქუს ყოელად, ყოველთა შორის მოქმედი შარაჳანდედისაებრ მზისა, რომელი ყოველთა ატყობს და მოქმედებს თითოეულსა შორის ბუნებითისა სიმარჯუსაებრ და მიმღებელობითისა ძალისა.

841 // ხოლო განყოფილ არიან რაოდენნი იგი არიან საღმრთოჲსა და კაცთმოყუარისა სიტყჳსა ღმრთისა განჭორციელებისანი, რამეთუ ამათ შინა არცა მამაჲ, არცა სული არა რომლითა სიტყუთა ზიარებულ არიან, თუნიერ თანა-სათნო-ყოფისა[IV] და გამოუთქუმელისა საკჳრეელთმოქმედებისაებრ, რომელსა 60r II ჰყოფდა ჩუენებრ კაც-ქმნილი ღმერთი – სი-

[1] დიონ. არეოპ., საღმრთ. სახელთ., 5.

[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 34, 31 და ეპისტოლე ევაგრესადმი; დიონ. არეოპ., საღმრთ. სახელთ., 2.

[1] დიონ. არეოპ., საღმრთ. სახელთ., 5.

[I] სამწყსოსად M. [II] ღმრთისა ზედა თქუმულთათეის თავი იგ C. [III] თუთებასა CM. [IV] სათნო-ყოფისა CM.

/I, 1V/ რაოდენნი რაჲ ღმრთისათჳს ჴორციელად ითქუმიან

თაჳი ია

ვინაჲთგან უკუე მრავალსა ეჰპოებთ წმიდათა წერილთა შინა ჴორციელად რასმე სახის-მეტყუელებით თქუმულსა ღმრთისათჳს,
47v I უწყებაჲ ჯერ-არს, ეითარმედ ეითარ-იგი ვართ ჩუენ კაცნი, სიზრჭითა ამით ჴორცთაჲთა შემოსილნი, სხუებრ შეუძლებელ არს ჩუენდა საღმრთოთა მათ და მაღალთა და უნიჲთოთა მოქმედებათა საღმრთოჲსა ბუნებისათა მოგონებად ანუ თქუმად, უკუეთუ არა ეიჴუმინეთ ხატნი და იგაჲნი და სახენი ჩუენისაჲვე ამის სიზრჭისაგან შემოღებულნი.

ამისთჳსცა ეიტყჳთ, ეითარმედ რაოდენი რაჲ თქუმულ არს ღმრთისათჳს ჴორციელად, ყოველიეე სახის-მეტყუელებით თქუმულ არს. ხოლო აქუს რაჲმე თითოეულსა მათ სიტყუათაგანსა მაღალი გულისჴმის-ყოფაჲ, რამეთუ საღმრთოჲ ბუნებაჲ მარტიე არს და გამოუსახველ,[1] ვინაჲცა თუალნი რაჲ და სახედველნი და წამნი ღმრთისანი გუესმნენ ყოველთა მხედველობისა ძალად და დაუფარველისა ყოველისა მცნობელობისა მისისა სახედ გულისჴმა-ეყენეთ, ვინაჲთგან ჩუენ შორის ამათ საგრძნობელთა მიერ იქმნების უსრულესი მეცნიერებაჲ და გულ-სავსებაჲ საქმეთაჲ.

ხოლო ყურად და სასმენელად მწყალობელობაჲ და მსმენელობაჲ ედრებათა ჩუენთაჲ
47v II უწყოდით, რამეთუ ჩუენ ედრებათა ქმნილთა ვისგანმე ამითვე საგრძნობელითა ლმობიერ ეექმნებით და უმოსწრაფესად მიუპყრობთ მათ. ხოლო პირად და ჴმად გამოცხადებასა განზრახვისა მისისასა უწოდთ, რამეთუ ჩუენ განზრახუათა გულისათა პირისა მიერ და ჴმისა გამოვაცხადებთ. ხოლო საჭმელად და სასუმლად ჩუენსა მისისა მიმართ ნებისა მიყენებასა ეწოდების, რამეთუ ჩუენ გრძნობადობითა სასისა მიერთა გემოჲს ხილეათაჲთა აღმოეიცებთ საჭიროსა მას საზრდელსა ბუნებისასა. ხოლო საყნოსლად უწოდთ მითუალჳსა ჩუენისა მისსა მიმართ ერთგულებისა და გულსმოდგინებისასა. რამეთუ ჩუენ ესე საცნობელი გუემნების შემომკრებელ სულნელებისა.

ხოლო პირად საქმითსა მას სახელ-ესდებთ გამოჩინებასა ძლიერებისა მისისასა, რამეთუ ჩუენი საჩინოებაჲ პირისა მიერ და შესახედავისა იქმნების.

[1] დიონ. არეოპ., საღმრთ. სახელთ., I, ზეც. იერარქ., 15; გრიგ. ნაზ., სიტ., 31.

ტყუაჲ, ეითარცა უცვალებელი ღმერთი და ძე ღმრთისაჲ.[1]

/I, 1V/ ჴორციელად ღმრთისა ზედა სათქუმელთათჳს[1]

თაჳი ია

ხოლო ვინაჲთგან მრავალთა ეჰპოებთ საღმრთოსა წერილსა შინა იგავით ჴორციელად თქუმულთა ღმრთისათჳს, შესწავებაჲ საკმარ არს, ეითარმედ ჩუენგან, რომელნი კაცნი ვართ სიზრჭითა ჴორცთაჲთა გარე-მოცულნი, საღმრთოთა და მაღალთა და უნიჲთოთა მოქმედებათა ღმრთეებისათა გულისჴმის-ყოფაჲ ანუ თქუმაჲ ულონო არს, არა თუ ეიჴუმინეთ სახენი და იგაჲნი და მაგალითნი ჩუენ შორისნი.

აწ უკუე რაოდენნიცა უჴორციელესად ითქუმიან ღმრთისათჳს, იგავით თქუმულნი არიან, ხოლო ჰქონან უმაღლესნი რაჲმე მოგონებანი, რამეთუ მარტიე არს ღმერთი და დაუსახველ.[2] ვინაჲცა ჩუენ თუალად ღმრთისად და წამად და სახედველად ყოველთა ზედა მხედველობითი ძალი და შეუცილებელობაჲ ცნობისა მისისაჲ გულისჴმა-ეყაჲთ,[3] ვინაჲთგან ჩუენ შორის ამის გრძნობისა მიერ შეიქმნების უსრულესი მეცნიერებაჲ და გულსავსებაჲ.

ხოლო სასმენელად და ყურად მლხინებელობითი მისი და ედრებათა ჩუენთა მიმთუალველობითი და რამეთუ ამის საგრძნობელისა მიერ ლმობიერ ეექმნებით ჩუენდა მომართ უსაკუთრესობით მიყოფითა მათდა ყურისაჲთა; ხოლო პირად და ზრახად გამომაჩინებელობითი განზრახვისა მისისაჲ, ვინაჲთგან პირისა და ზრახჳსა მიერ წარმოეაჩინებთ ჩუენ გულისა შინაგანთა მოგონებათა. ხოლო საჭმელად და სასუმლად ნებისა მისისა შედგომასა ჩუენსა და რამეთუ ჩუენცა გემოჲს მხილველობითისა გრძნობისა მიერ აღეიცებთ საჭიროსა[4] წადიერებასა ბუნებისასა. ხოლო საყნოსელად მიმთუალველობითსა მისდა მიმართ ჩუენისა მოსწრაფებისა და გულსმოდგინებისასა, ვინაჲთგან ამის საგრძნობელისა მიერ შემოვალს ჩუენ შორის შეწყნარებაჲ სულნელებისაჲ. ხოლო შესახედავად – საქმეთა მიერი ჩუენებაჲ, გამოჩინებაჲ მისი, ვინაჲთგან შესახედაჲისაგან იქმნების ჩუენიცა გამოჩინებაჲ.

[1] გრიგ. ნაზ., სიტ. 34,31; ეპისტოლე ევაგრესადმი; დიონ., არეოპ., საღმრთ. სახელ., 2.

[2] დიონ. არეოპ., საღმრთ. სახელთ., I; ზეც. იერარქ., 15; გრიგ. ნაზ., სიტ., 31.

[3] თქმულთაჳს C. [4] გულისხმა-ყაყოთ CM. [4] საჭიროთა M.

ხოლო ჴელად – დაუცადებელობასა // მოქ- 844
მედებისა მისისასა, რამეთუ ჩუენ საჴმარებასა
და უფროსღა უპატიოსნესთა საქმეთა მოქ-
მედებასა ჴელ[ი]ა მიერ წარვიმართებთ.

ხოლო მარჯუენედ – უმჯობესისა მიმართ
მიმყვანებელსა შეწევნასა მისსა, რამეთუ ჩუენ
48r I უსახოენესად და უპატიოსნესად და უმრავ-
ლესისა ძალისა საქმარებელად მარჯუენასა
ეიჴუმეეთ.

ხოლო განხილვად – უწულილადესსა მას
ზედა-მიწევნითსა და ფარულთა ცნობასა და
გამოცხადებასა. რამეთუ ჩუენ შორის ეერა-რას
ეინ შეუძლებს დაფარვად, უკუეთუ განიხილოს
მეორისაგან.

ხოლო ფერჴად და სლვად – მალიადსა
მას მისლვასა და მიწევნასა მისსა ანუ შეს-
აწევნელად მეედრებელთა ანუ მისაგებელად
მტუერთა ანუ სხჳსა რაიმე საქმისა და მოქ-
მედებისა წარმოსაჩინებელად, რამეთუ ჩუენ
ფერჴთა ჴუმეითა აღვასრულებთ ესეითართა
საქმეთა.

ხოლო ფიცად – უცვალებელობასა გან-
ზრახვისა მისისასა, რამეთუ ჩუენ ფიცით
დაუმტკიცებთ ურთიერთას აღთქუმათა.

ხოლო რისხვად და გულისწყრომად – ბო-
როტებასა ზედა ჩუენსა ქმნილსა მას გარე-
მიქცეასა და არა სათნო-ყოფასა მისსა, რა-
მეთუ ჩუენ მოეიძულებთ და განურისხდებით
წინა-აღმდგომთა ნებისა ჩუენისათა.

ხოლო დაეიწყებად და ძილად და პრუ-
ლად დროებასა მტერთა მისაგებელისასა,
48r II დაყოენებასა ჩუეულებისაებრთა მათ თჳსთა
მიერთა შეწევნისასა. და რაჲთა მარტიად
ეთქუა, ეითარმედ ერთბამად ყოეელსაე ჴორ-
ციელად ღმრთისათჳს თქუმულსა დაფარული
რაიმე ძალი აქუს, რომელი-იგი ჩუენ მიერთა
სიტყუათაგან სახის მოღებითა გუასწაეებს
უზეშთაესთა ჩუენისა მიწდომისათა.

ხოლო უკუეთუ ჴორციელად რაიმე მოსლეი-
სათჳს სიტყჳსა ღმრთისა ითქუმოდის, იგი
ჭეშმარიტ არს და ცხად, რამეთუ მან ყოვე-
ლიე ქაცთა ბუნებისაჲ მიითუალა ჩუენისა
ცხორებისათჳს, სული გონიერი და ჴორცნი
და ყოელნიე თჳსებანი ქაცობრივისა ბუნები-
სანი თანა-წარუეალთაე თანა ენებათა ბუ-
ნებითთა.[1]

/I, 12/ მათჱ პირთათჳს

თაეი იბ

ესე უკუე გუსწაეიეს ჩუენ სიტყჳსაგან
წმიდათა წერილთაჲსა, ვითარცა იტყჳს საღ-
მრთოჲ დიონოსი არიოპაგელი, ეითარმედ:
ღმერთი ყოელთა მიზეზ და დასაბამ არს.
ნამდულეეთა* არსება, ცხოელთა ცხორება,
სიტყჳერთა სიტყჳა, გონიერთა გონება და გან-

ხოლო ჴელად – დაუყჳენებელობაჲ // 60v I
მოქმედებისა მისისაჲ. და რამეთუ ჩუენცა
საჴმართა და უფროსღა პატიოსანთა საქმეთა
თჳსთა მიერ ემოქმედებთ ჴელთა.

ხოლო მარჯუენედ – საკუთართა თჳსთა
მიმართი შეწევნაჲ მისი, ვინაჲთგან ჩუენცა
უმეტეს სათანადოთა და უფროს[ა] პატიოსანთა
და უაღრესისა ძალისა მოქენეთა ზედა მარ-
ჯუენესა ეიჴუმეეთ;

ხოლო განმხილველობად – ზედა-მიწევნითი
მისი და ფრიად წულილთა და დაფარულთა
განმხილებაჲ და გამოძიებაჲ, ეინაჲთგან ჩუენ
შორისცა ეერ ძალ-უც გამოკულეეით განხი-
ლულთა დაფარეაჲ რაჲსმე თავისა თჳსისა
შორის.

ხოლო ფერჴად და სლვად – შეწევნისა
მიმართ მოქენეთაჲსა ანუ შურისგებისა მტერ-
თაჲსა ანუ სხჳსა რაჲსმე საქმისა მიმართ
მიწევნაჲ[1] და გამოსლეაჲ, ვინაჲთგან ჩუენცა
ჴუმეითა ფერჴთაჲთა სრულ-ჰყოფთა მიწევ-
ნასა ვინაჲე.

ხოლო ფიცითა უქცეელობაჲ განზრახჳსა
მისისაჲ და რამეთუ ჩუენცა ფიცითა დაეამ-
ტკიცებთ ურთიერთასთა აღთქუმათა.

ხოლო რისხვაჲ და გულისწყრომაჲ სი-
ბოროტისა მიმარსა მჴსინეარებასა და გარე-
მიქცეასა ცხად-ჰყოფს და რამეთუ ჩუენცა,
მოძულენი ნებისა ჩუენისა[ᴴ] წინააღმდგომთანი,
განვრისხნებით.

ხოლო დავიწყებაჲ და ძილი და ჰრული
დროებასა მტერთა მიმართისა შურისძიებისასა
და მიმყოვრებასა თჳსთა მიმართ ჩუეულები-
საებრისა შეწევნისასა ვარმოაჩინებს. და
შემოკლებულად ითქუმოდენ, ყოველთაე
ჴორციელად თქუმულთა ღმრთისა ზედა და-
ფარული რაიმე ძალი მოაქუს, რომელი ჩუენ
შორისთაგან გუასწაეებს ჩუენსა უზესთა-
ესთათჳს არა თუ ჴორციელისა მის სიტყჳსა
ღმრთისა მოსლეისათჳს ითქუმოდენ, რამეთუ
მან ყოველნიე ქაცისანი მიიხუნა ცხორები-
სათჳს ჩუენისა: სული გონიერი და ჴორცნი და
თუთებანი კაცობრიესა ბუნებისანი ბუნებითთა
თანა და უგიობელთა ენებათა.[1]

/I, 12/ მათჱსე

თაეი იბ

ესენი უკუე გუეს[ა]წაეებიან საღმრთოთა
სიტყუათა მიერ, ეითარცა იტყჳს დიდი დი- 60v II
ონჳსიოს არიოპაგელი, ეითარმედ: „ღმერთი
ყოელთაე მიზეზ არს და დასაბამ მყოფთა,
არსება ცხოელთა, ცხორ[ე]ბა, სიტყჳერებით
მყოფთა სიტყჳა, გ[ო]ნიერებით მყოფთა გონება,

* ნამდულეებაჲ ჭეშმარიტად გამოითარგმანების.

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 31.

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 31.

[ᴴ] მიწევნასა C. || ჩუენისანი <C.

ერდომილთა მისგან აღმოწოდება და აღდგომა, ხოლო ბუნებით განხრწნილთა განახლება და ხატოვნება, და შერყეულთა ძრვითა რაითმე არა წმიდებისაითა დამამტკიცებელ წმიდა,
48v I და მდგომარეთა უცთომელობა, და მისსა მიმართ მიმაეალთა გზა და ჭელის აღმპყრობელ და აღმადგინებელ.[1] შევსძინო ესეცა, ეითარმედ, მის მიერ შექმნულთა მამა, რამეთუ უსაკუთრესად ჩუენი მამაი არს ღმერთი, რომელნი არა-არსისაგან არსად მოგუყვანნა, ეიდრეცა მათი, რომელნი-იგი მისგან შობილ და გამოსრულ იქმნნეს და ყოფისა მიმღებელ იქმნნეს და, კუალად, რომელნი შეუდგენ მას და იმწყსებოდინ მისგან, მწყემს მათდა არს. განსრულებადთა დასაბამ სრულებისა[2] // და განღმრთობადთა დასაბამ განღმრთობისა. დამამშუდებელ განყოფილთა და განმამარტებელ მარტიეთა. ყოელისაეე დასაბამისა ზეშთა არსებისაი და ზეშთა დასაბამისაი დასაბამი. და დაფარულთა თუსისა ცნობისათა კეთილად განუყოფს მსგაესად დატეენისა და შეტყუებისა თითოეულისა.[3]

დაერდომილთა[1] ეიდრემე მისგან აღმოწოდება და აღდგომა, ხოლო განხრწნელთა ბუნებათა განახლება და ხატოვნება უპატიოთა რაითმე ძრვითა, შერყეულთა სიმტკიცე პატიოსან და მისსა მიმართ აღმაეალთა გზა განმზადებულ, ჭელის აპყრობა".[1] ხოლო შევსძინო ესეცა, ეითარმედ მის მიერ შექმნულთა მამა, რამეთუ უსაკუთრესად ჩუენი მამაი არს ღმერთი, რომელნი არა-მყოფობისაგან ყოფად მომიყვანნა, ეიდრეცა მათი, რომელთა-იგი შობაი და გამოსლეაი და ყოფაი მიიღეს[II] მისგან. შედგომილთა მისთა და მწყსილთა მის მიერ მწყემს. განაათლებადთა ბრწყინეალება, სრულ-ყოფადთა სრულ-მთავრობა,[2] // განღმრთობადთა
845 ღმერთ-მთაერობა,[III] განყოფილთა მშუდობა და განმარტეებულთა სიმარტიე და შეერთებულთა ერთობა,[IV] ყოელისა დასაბამისა, ზესთა არსებისა და ზესთა დასაბამისაი დასაბამ, და დაფარულისა, ესე იგი არს, მეცნიერებისა მისისა საზომისაებრ და მიზომისა თითოეულისა სახიერებით მიმცემელ.[3]

/I, 13/ ადგილისათჳს ღმრთისა და ჳითარმედ მხოლოი ღმერთი არს გარე-შეუწერელ[4]

თაჳი იბ

ადგილ ჴორციელთა არს დასასრული გარე-შემცველისაი, რომლითა შეიცავს შემცველი შეცულეთა, ეითარ-იგი ჰაერი გარეშეიცაეს მას
48v II რომელსამე გუამსა, ხოლო არა ყოელითურთი იგი // ჰაერი ადგილი არს გარე-შეცულისა გუამისაი, არამედ დასასრული ხოლო გარე-შემცველისა მის ჰაერისაი, რომელი მეიხებოდეს გარეშეცულსა მას გუამსა. ხოლო ესე უეჴულ არს, ეითარმედ გარე-შემცველი არა არს გარე-შეცულსა შინა. ხოლო არს საცნაურიცა ადგილი, რომელსა შ[ინ]ა გულისჴმაიყოფების და არს საცნაური და უჴორცოი ბუნებაი, სადა-იგი დგას და მოქმედებს და არა ჴორციელად გარე-შეიცეის, არამედ საცნაურად, რამეთუ არცაღა აქუს სახე, რაითამცა ჴორციელად შეიწერა და შეიხო.

აწ უკუე ღმერთი უნიეთო არს და გარეშეუწერელ, ამისთჳსცა არა არს ადგილსა შინა, რამეთუ იგი თაეადი თაეისა თუსისა ადგილ

/I, 13/ ადგილისათჳს ღმრთისა და ჳითარმედ მხოლოი ღმერთი არს გარეშეუწერელ

თაჳი იბ

ადგილი არს სხეულეანი დასასრული გარე-შემცველისაი, რომლითა იგი გარე-შეიცეის გარე-შეცეული, ეითარ-იგი ჰაერსა გარე-შეუცაეს იგი რომელიმე სხეული,[V] არამედ არა
852 ყოელი გარე-შეცეული[VI] // ჰაერი ადგილი არს გარე-შეცეულისა სხეულისაი, არამედ დასასრული გარე-შემცველისა ჰაერისაი, რომელი შეეხების გარე-შეცეულსა სხეულსა, ხოლო უეჴულად გარე-შემცველი არა არს გარე-შეცეულსა შინა. ხოლო არს გონიერიცა ადგილი, სადა-იგი გულისჴმა-იყოფების და არს გონიერებითი და უსხეულოი ბუნებაი, სადა იგი მყოფ არს და მოქმედებს და არა სხეულეანად გარე-შეიცეის, არამედ გონიერად, რამეთუ არა აქუს დასახელებითი ნა,[VII]თი, 61r I რათა სხეულეანად გარე-შეწეროს.

აწ უკუე ღმერთი, ეითარცა უნი/ეთ/ოი მყოფი, გარეშეუწერელი ადგილსა /შინა/ არა არს, რამეთუ თუთ არს ადგილ თაეისა თუსისა,[VIII] რომელი ყოელთა აღაესებს და ზესთა ყოელთასა არს და მას უპყრიან ყოველნი.

---

1 დიონ. არეოპ., საღმრთ. სახელთ., I.

2 "განსრულებადთა დასაბამ სრულებისა" – დედანში არ გეხედება.

3 ათან. ალექს., არიანელთა წინააღმდეგ, II.

4 ამ თაეს დედნის გამოცემაში უძღეის ქეეთაეი, რომელსაც ეწოდება „ქცლაე საღმრთოთა სახელთაეის გამოწეელილეით (Ἐπ περὶ θείων ὀνομάτων ἀκριβέστερον, PG, col. 845-849). ეს ქეეთაეი არცერთ ქართულ თარგმანში არ გეხედება, როგორც გამოცემლის შენიშენებიდანაც ჩანს, იგი არ ახასიათებს დამასკელის თხზულების ძეელ ხელნაწერებსაც და თანაც მისი ადგილი იმ ნუსხებშიც, რომელშიც გეხედება, მერყეობს სხეადასხეა თაეებს შორის, მაგალითად, Reg. 3109-ში იგი IV წიგნის IX თაეს მოსდეეს, ხოლო Reg. 3451-ში II წიგნის II თაეს.

1 დიონ. არეოპ., საღმრთ. სახელთ., I.

2 „სრულ-ყოფადთა სრულთ-მთაერობა" დედანში არა გეხედება.

3 ათან. ალექს., მე-2 სიტყეა არიანელთა წინააღმდეგ.

I განერდომილთა CM. II <C. III განღმრთობადთა ღმერთ-მთაერობა <C. IV შეერთება C. V +არამედ არა ყოელი სხეული C. VI გარე-შემცეელი M. VII +არამედ არა ყოველი სხეული C.

არს, ყოველთა აღმავსებელი იგი, და ზეშთა ყოველთასა არს და მას შეუცვან ყოველნი.

ხოლო გესმოდის რაჲ მისი ადგილსა შინა ყოფაჲ და ითქუმოდის რაჲ ადგილი ღმრთისაჲ, ცხად არს, ვითარმედ მას ეწოდების ადგილ მისსა, რომელსაცა შინა მოქმედებაჲ მისი განცხადნებოდის, რამეთუ იგი თავადი შეურევნელად მკჳდრ არს ყოველთა შინა და ყოველთა მისცემს თუსისა მოქმედებისაგან მსგაესად სიმარჯჳსა თითოეულისა და ვითარიცა ვის აქუნდეს ჴელოვნებაჲ და ძალი შემწყნარებელი. ესე იგი არს, რომელ ვიტყუ
49r I ბუნებითსა და გონებით აღრჩევითსა გაწმედილობასა. რამეთუ უწმიდეს ნივთიერთას[ა] არს უნივთოჲ და სათნოჲ ცხორებაჲ, ბოროტისა შეულღვილთასა.

აწ უკუე, ვითარ-იგი პირველ ვთქუ. ადგიდ ღმრთისა ითქუმის, რომელიცა უფროჲს მიმღებელ იყოს ქველის მოქმედებათა და მადლთა მისთა. ამისთჳსცა ცანი საყდარ მისსა არიან, რამეთუ ზეცათა შინა არიან ანგელოზნი, რომელნი ჰყოფენ ნებასა მისსა და მარადის ადიდებენ მას და მას ეწოდების განსასუენებელ ნებისა მისისა, სადა-იგი არა რაჲ იქმნების წინა-აღმდგომი ნებისა მისისაჲ. და ქუეყანაჲ კუარცხბერკი არს ფერჴთა მისთა, რამეთუ მას შინა განჴორციელდა სიტყუაჲ და იქცეოდა კაცთა შორის, რამეთუ ფერჴ სიტყჳსა ღმრთისა თითო-სახედ სახელედების წმიდათა მათ ჴორცთა მისთა. ხოლო ეკლესიაიცა (sic) ადგილ ღმრთისა ითქუმის, რამეთუ ჩუენ იგი განგჳუნავს ადგილად დიდების-მეტყუელებისა ღმრთისა, ვითარცა ტაძარი მისი, რომელსა შინა მისსა მიმართთა შევსწირავთ ვედრებათა.

და ეგრეთვე მსგავსად ყოველნი ადგილნი, რომელთაცა შინა საცნაურ იქმნა მოქმედებაჲ ღმრთისაჲ, გინა თუ განჴორციელებითა, გინა თუ თუნიერ ჴორცთაჲსა, მხოლოდ საკჳრველთ-
49r II მოქმედებითა იგინიცა ადგილ ღმრთისა ითქუმიან.[1]

ხოლო ესე საცნაურ იყავნ, ვითარმედ საღმრთოჲ ბუნებაჲ განუყოფელ არს და ყოველად ყოველითურთ ყოველგან მყოფ არს და არა კერძო კერძოდ და ნაწილებად განიყოფვის მსგაესად ჴორცთაჲსა, არამედ ყოველად ყოველსა შინა და ყოველად ზეშთა ყოველთა.[2]

ხოლო ითქუმის ადგილსა შინა მყოფად და ითქუმის ადგილი ღმრთისაჲ, სადა-იგი ცხად იქმნეს მოქმედებაჲ მისი. რამეთუ იგი ეიდრემე ყოველთაგან შეურევნელად განაგებს და ყოველთა გარდასცემს თუსისა მოქმედებისაებრ,[I] სიმარჯჳსაებრ მიმღებელისა და შემწყნარებელობითისა ძალისა. ვიტყუ უკუე ბუნებითისა და აღრჩეითისა სიწმიდისა, რამეთუ უწმიდეს არიან უნივთონი ნივთიერთასა და სათნოებითნი სიბოროტისა თანა შეულღვილთასა.

ვინაჲცა ითქუმის ადგილად ღმრთისა უფროჲს მიმღებელი მოქმედებისა და მადლისა მისისაჲ. ამისთჳს[II] ცაჲ[III] საყდარი არს მისი, რამეთუ მას შინა არიან მყოფელნი ნებისა მისისანი ანგელოზნი და მარადის მადიდებელნი მისნი, რამეთუ ესე არს განსუენებაჲ მისი. და ქუეყანაჲ კუარცხბეკი[IV] ფერჴთა მისთაჲ, რამეთუ მას შინა ჴორციით თანა-იქცეოდა კაცთა და რამეთუ ფერჴად[V] წმიდანი ჴორცნი მისნი მრავალგან[VI] იწოდებიან. ითქუმის ეკლესიაიცა ადგილად ღმრთისა, რამეთუ სადიდებელად მისსა, ვითარცა ტაძარი რაჲმე, განვაჩინეთ ესე, რომელსა შინა სრულ-ჰყოფთ მისსა მიმართთა[VII] ვედრებათაცა.

ეგრეთვე და ადგილნი, რომელთა შინა გინა თუ ჴორცითა და გინა თუ თუნიერ ჴორცთაჲსა ცხად-ქმნილ არიან მოქმედებანი მისნი, ადგილად ღმრთისად იოქუმიან.[1]

ხოლო სათანადო არს ცნობად, ვითარმედ განუნაწილებელ არს ღმერთი და ღმერთი ყოველითურთ ყოველგან არს და არა კერძოჲ კერძოთა შინა სხეულეანად განყოფილი, არამედ ყოველი ყოველსა შინა და ყოველი ზესთა ყოველისა.[2 VIII]

---

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 28; გრიგ. ნოს., სულისათჳს და აღდგომისა.

[2] ამის შემდეგ მინის გამოცემაში გამოქვეყნებულია ქეცსათაური ზოგი ბერძნული ხელნაწერის მიხედეით: Περὶ τόπου ἀγγέλου καὶ τῆς ψυχῆς, καὶ περὶ τοῦ ἀπερι γράπτου /ანგელოზის სახელისათჳს და სულისა და გარეშეუწერელისათჳს/. არცერთ ქართველ მთარგმნელს ეს ქეცსათაური არ უთარგმნია.

[I] მოქმედებისაგან C. [II] ამისთჳსცა C. [III] <C. [IV] კუარცხლბეკი M. [V] +ღმრთისა CM. [VI] მრავალგზის CM. [VII] მისსა მიმართთა – მიერთა C. [VIII] +ადგილისათჳს ანგელოზისა და სულისა და შეწერისათჳს გონიერთა თავი იზ CM.

// ხოლო ანგელოზი ჴორციელად უკუე ადგილსა შინა არა გარე-შეიცვების, ეითარმცა გარე-მოისახეოდა და შეისწავებოდა, გარნა ეგრეთცა ითქუმისეე ადგილსა შინა ყოფაი მისი მუნ ყოფითა საცნაურად და მოქმედებითა მსგაესად ბუნებისა თჳსისა. და სხუაგან არღარა ყოფაი, არამედ მუნეე საცნაურად გარე-შეწერაი, სადაცა იგი მოქმედებდეს, რამეთუ არა ძალ-უც მას სხუათა და სხუათა ადგილთა მოქმედებაი, ვინაითგან ანგელოზი მოსწრაფებითა ბუნებისაითა და განმზადებულებითა, ესე იგი არს, მალიად მიწევნითა მოქმედებს თითოეულთა ადგილთა. ხოლო ღმერთი მარადის ყოველგან არს და ზეშთა ყოველთასა არს და ყოველთა შორის თითო-სახედ მოქმედებს მითეე და ერთითა მარტიჲითა მოქმედებითა.

ხოლო სული თანა შეკრულ არს ჴორცთა, ეოველი – ყოველსა და არა ზოგი – ზოგსა და არა გარე-შეიცვის მათგან, არამედ გარე-შეიცაეს მათ, ეითარცა ცეცხლი რკინასა და მის
49v I შორის მყოფობით მოქმედებს მოქმედებათა.

ხოლო გარე-შეიწერების ადგილისაგან ანუ ჳამისა, ანუ დაკლებისაგან საქმეთა მის შორის მიღებულთაჲსა, ხოლო არცა ერთითა რაჲთ მათგანითა გარე-შეიცვის და ესე არს ზოგსრე გარე-შეწერილობაი მისი.

ხოლო კუალად გარე-შეუწერელ მხოლოჲ ღმერთი არს დაუსაბამოჲ და დაუსრულებელი და ყოელისაეე გარე-შემცველი და არცა ერთითა რაჲთ მოკლებითა გარე-შეცეული, ვინაითგან იგი მხოლოჲ არს მიუწდომელ და უსაზღვრო, არაეისგან ცნობილ, გარნა თუთ მხოლოდ მხედველ და მცნობელ თაეისა თჳსისა. ხოლო ანგელოზი და ჳამითაცა გარე-შეიწერების, რამეთუ იწყო ყოფად და ადგილითაცა. დაღაცათუ საცნაურ არს მიწდომითა," ეითარ-იგი პირველ ეთქუ. და ურთიერთას თუთ იგიეე ანგელოზნი მეცნიერ არიან ეითარებასა ბუნებისა თჳსისასა. და დამბადებელის მიერ მიიღებენ სრულებასა. ხოლო გუამი ,აცთანი დასაბამიერცა არიან და დასრულებად ადგილსა შინა და მოკლებასა.[1]

რამეთუ მხოლოდ უქცეველ და ყოელითურთ
49v II უცვალებელ მხოლოჲ ღმერთი არს, რომელმანიგი ყოელისაეე წინაესწარ ცნობითა წინა-განაჩინა ყოელიეე ჩუენ შორის და არ ჩუენ შო-

853 // ხოლო აწ[I] ანგელოზი სხეულეანად[II] უკუე ადგილსა შინა არა შეიცვის გარე, ეითარმცა შეისახეოდა და ნაკუეთი დაეხებოდა, გარნა ითქუმისეე /მ/ყოფად ადგილსა შინა მუნ სადმე 61r II მყოფობისათჳს გონიერად და მოქმედებისათჳს ბუნებისაებრ თჳსისა და არა ყოფისათჳს სხუაგან სადმე, არამედ მუნ გონიერად გარე-შეწერილობისათჳს, სადაცა მოქმედებდეს, რამეთუ მხოლოჲსა ღმრთისაჲ ოდენ არს მასეე და ერთსა ჳამსა ყოველგან მოქმედებაი. რამეთუ ანგელოსი ვიდრემე სიმალითა[III] ბუნებისაითა და მზად, ესე იგი არს, მალიად მიმომავალობითა მოქმედებს თითო-სახეთა ადგილთა შინა, ხოლო ღმერთი, ყოველგან მყოფი, და ზესთა ყოელისა მყოფი, მასეე და ერთსა ჳამსა ყოველგან და თითო სახედ მოქმედებს ერთსა და მარტიჲსა მოქმედებასა.

ხოლო სული თანა შეკრულ არს ჴორცთადა, ყოეული ყოელისადა და არა კერძოჲ კერძოჲსადა. და არა გარე-შეცეულ არს მისგან, არამედ გარე-შეუცაეს იგი, ვითარცა ცეცხლსა – რკინაჲ, და მის შორის მყოფი მოქმედებს მოქმედებათა თჳსთა.

და გარეშეწერილ[IV] არს ჳამითა და ადგილითა და მიწთომითა გარეშეცეული, ხოლო გარეშეუწერელ არა ძალითა ამათგანითა, გარე-შესაზღვრებული.

გარეშეუწერელ უკუე არს[V] ღმერთი დაუსაბამო და დაუსრულებელ და ყოელთაეე გარე-შემცველ, ხოლო თუთ არცა ერთითა მიწთომითა გარე-შეცეულ, რამეთუ მხოლოჲ არს მიუწთომელი და უსაზღუროჲ, არცა ერთისა ეისგან ცნობილი, მხოლოდ თუთ ოდენ მხილეელი თაეისა თჳსისაჲ. ხოლო ანგელოზი ჳამითაცა გარეშეწერების, რამეთუ იწყო ყოფად ადგილითაცა, დაღაცათ გონიერად, ეითარცა პირეელ ეიტყოდეთ, და მიწთომითა,[VI] რამეთუ უწყიან ურთიერთასი ბუნებაჲ და დამბადებელისა მიერ განისაზღვრებიან სრულიად. ხოლო სხეულნი დასაბამითა და დასასრულითა და სხეულეანთა ადგილითა და მიწთომითა.[I]

უქცეველ ვიდრემე არს ღმერთი[VII] ყოელითურთ[VIII] და უცვალებელ, რამეთუ ყოელნი არა ჩუენ ქეშენი წინაესწარ ცნობითა თჳსითა

---

* თარგმანი. ამას ადგილსა საცნაურებაჲ მალიად მიწევნისა ნაცვლად დადებულ არს.

[1] გრიგ. ნაზ. სიტ., 41. ამის შემდეგ ბერძნული დედნის გამოცემაში გეხედება კეშესათაური – „ნააზრევნი ღმერთზე, და მაძაზე, და ძეზე, და სული-წმინდაზე, და სიტყვასა და სულზე" (Συλλογιμαῖα περὶ τοῦ Θεοῦ, καὶ Πατρός, καὶ τοῦ Υἱοῦ καὶ τοῦ ἁγίου Πνεύματος, καὶ Λόγου καὶ Πνεύματος), რომელიც არცერთ ქართულ თარგმანში არ გეხედება.

I <C. II სხეულეანად C. III სიმალლისა C. IV გარეშეწერელი C. V +მხოლოჲ CM. VI მიწთომილთა C. VII +შეკრებისათჳს ღმრთისა და მაძისა და ძისა და სულისა წმიდისა და სიტყუსა და სულისა თაეი იმ CM. VIII +სრული CM.

რის მყოფი და წინა-განუსაზღვრა თითოეულსა წესი და ჟამი და ადგილი შემსგავსებული თუსი. და ამით სახითა მამაჲ არავის სჯის, რამეთუ ყოელისა შჯული მოსცა ძესა,[1] რაჲთა ერთი იყოს ბჭობაჲ სამთაჲვე – მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲ. გარნა ამით მხოლოდ განუკუთნა მამამან ძესა, რაჲთა ძე, ეითარცა კაცი განჴორციელებული გარდამოჴდეს და დაჯდეს საყდართა დიდებისათა, რამეთუ გარდამოსლვაჲ და დაჯდომაჲ ჴორცთ[ა] ოდენ თჳს ეყვის გარე-შეწერილთა და შჯიდეს ყოველსა სოფელსა სიმართლით.

ხოლო ღმერთი ყოველსაცე აღემატების და ზეშთა ექმნების არა ადგილითა, არამედ ბუნებითა, ვინაჲთგან ჩუენ შორის მყოფი ესე ცნობაჲ და სიბრძნე და განზრახვაჲ, ეითარცა შემთხუევითი რაჲმე, მომაჳალ და წარმაჳალ არს. ხოლო არა ღმრთისაჲცა, რამეთუ მის შორის არა რაჲ იხილების მომავალი და წარმაჳალი, რომელი-იგი უქცეველ და უცჳალებელ არს და არა უჴმს შემთხუეითი რაჲმე, რამეთუ ყოველივე კეთილი მოუკლებელად და დაუწყებელად და სამარადისოდ აქუს // არსებასა 856
50r I ღმრთისასა და რომელსა მარადის სუროდის მისსა, იგი ხედავს მას, რამეთუ ღმერთი ყოჳელთა შორის არს, ვინაჲთგან ჴეშმარიტი იგი არსი ზეშთა არს ყოველთა არსთა და არა რაჲ არს არსთაგანი, რომელსა არა ჴეშმარიტისა მის არსისა შორის აქუს არს-ყოფაჲ, რამეთუ ყოველთა მპყრობელ არს ღმერთი, რომელსა ბუნებით ყოველნი უპყრიან. ხოლო წმიდანი იგი ჴორცნი მისნი სიტყუათა ღმრთისათა გუამოვნებით შეიერთნა ჩუენგან და შეურევნელად შეეზაჲა ჩუენსა ამას აგებულებასა.

არამედ ვერ ვინ იხილაჲს მამასა, თუნიერ ძე და სული.[2] ხოლო ზრახვა და სიბრძნე და ძალ მამისა არს ძე.

არამედ ესე ცხად იყავნ, ეითარმედ არად საჭმარ არს ღმრთისათჳს თქუმაჲ რომელობისაჲ, რაჲთა არა შეზაევებულად ეიტყოდით მას ჴელმწიფებისაგან და რომელობისა.

ხოლო ძე მამისაგან არს და ყოველივე, რაოდენი აქუს, მისგან აქუს,[3] ვინაჲცა ამისთჳს ვერა რას შემძლებელ არს თავით თუსით ყოფად, რამეთუ არა აქუს მას მოქმედებაჲ რაჲმე თუსაგან განყოფილი მამისაგან.* [4]

ხოლო რამეთუ ბუნებით უხილაე არს ღმერთი და ხილულ იქმნების მოქმედებათა მიერ, ესე უწყებულ არს ჩუენდა სოფლის დაბადები-
50r II საგან და პყრობისა და განგებისა მისისა.[5]

წინა-განაჲსაზღურნა თითოეული შემსგავსებისაებრ ჟამისა და ადგილისა თუსისა, რომლისაჲ სიტყჳსაებრ მამაჲ არა შჯის არავის, არამედ ყოველი საშჯელი მიცემულ არს ძისადა.* [1]

რამეთუ უშჯიეს მამასა, ცხად არს, ეითარმედ ძე, ეითარცა ღმერთი და სული წმიდაჲ, ხოლო 61v I
თუთ იგი ძე, ეითარცა კაცი, სხულეანად მოეიდეს[II] და დაჯდეს საყდარსა ზედა დიდებისასა, რამეთუ სხეულეანისა გარეშეწერილობისაჲ არს გარდამოსლვაჲ და დაჯდომაჲ. და განსაჯოს ყოველი ქუეყანაჲ სიმართლით.

ყოველიეე შორს არს ღმრთისაგან არა ადგილითა, არამედ ბუნებითა, რამეთუ ჩუენ შორისი ცნობაჲ და სიბრძნე და განზრახვაჲ, ეითარცა ანაგები, შეემთხუევის და კუალად მიჰრიდებს, გარნა /არა/ ღმრთისაცა ზედა[2] ესრეთჳ, რამეთუ მის ზედა არა რაჲ იქმნების და უჩინო იქმნების, რამეთუ უცვალებელი არს და უქცეველი და არა ჯერ-არს შემთხუევითისა თქუმაჲ მას ზედა. სახიერებაჲ მარადის თანა-მორბედად აქუს // არსებასა ღმრთი- 856
სასა. რომელსა გული უთქუმიდეს მარადის ღმრთისა, იგი ჰხედაჳს მას. ყოველსა შინა არს ღმერთი, რამეთუ მყოფისაჲ შეყოფილ არიან მყოფნი და არა არს რაჲსამე ყოფაჲ, არა თუ მყოფისა შორის აქუნდეს მყოფობაჲ, რამეთუ ყოველთადა ვიდრემე შეზაევებულ არს ღმერთი, ეითარცა მჭირველი[III] ბუნებისაჲ, ხოლო წმიდათა ჴორცთა მისთა ღმრთისაჲ სიტყუაჲ გუამოვნებით შეეერთა და შეეზაჲა შეურევნელად თბესა ჩუენსა.*

ეერვინ იხილაჳს მამასა, თუნიერ ძე და სული.[3] რამეთუ განზრახვაჲ და სიბრძნე და ძალი მამისაჲ ძე არს.

და რამეთუ არა საჭმარ არს ღმრთისა ზედა თქუმაჲ ეითარებათა, რათა არა შეზაევებულად ეთქუათ იგი არსებისაგან და ეითარებათა.

ძე მამისაგან არს და ყოველნი, რაოდენნი ჰქონან,[4] რომლისათჳს არა ძალ-უც ქმნად თაეით თუსით არა რას, რამეთუ არა აქუს თუსაგან მოქმედებაჲ თუნიერ მამისა.[5]

რამეთუ ბუნებით უხილავი ღმერთი მოქმედებათა მიერ სახილელ იქმნების სოფლისა პყრობისა და მართებისაგან ცნობილი.[6]

---

* შეისწავეე ყოველიეე, რაჲცა იშერსა კაპიტონსა (sic!) წერილ არს, ვიდრე დასრულებამდე ამის თაეისა, ეინცა იკითხეოდეთ ანუ სწერდეთ.

[1] იოანე, 5, 22.
[2] იოანე, 6, 46.
[3] იოანე, 5, 30.
[4] გრიგ. ნაზ., სიტ., 30.
[5] სიბრძნ., 13, 5.

* მოგონებისაჲ.

[1] იოანე, 5, 22.
[2] დედანში: οὐ μὴν ἐπὶ θεοῦ.
[3] იოანე, 6, 46.
[4] იოანე, 5, 30.
[5] გრიგ. ნაზ., სიტ., 30.
[6] სიბრძნ., 13, 5.

I მოცემულ M. C. II გარდამოვიდეს C. III მაჭირვებელი C.

ხოლო ხატ მამისა არს ძე და ძისა-სული. ეინაიცა ქრისტემან დაიმკუდროს რაჲ კაცისა თანა, მისცემს მას ხატებასა მისსა.

ღმერთ არს უკუე სული წმიდაჲ შორის უ'შობელისა და შობილისა // და ძისა მიერ 857
შე[ე]ერთების მამასა. სულ ღმრთისა ითქუმის სულ ქრისტესსა, გონება ქრისტესსა, სულ უფლისა, თჳთ უფალ,[1] სულ შეილებისა, ჭეშმარიტებისა, აზნაურებისა, სიბრძნისა, რამეთუ ამათ ყოველთა დამბადებელ არს, არსებით ყოველთა აღმავსებელ არს, ყოველთა შემცველ, არსებით აღმავსებელ სოფლისა და ძალითა განუშორებელ სოფლისაგან.

ხატი მამისაჲ არს ძე და ძისაჲ სული წმიდაჲ, რომლისათჳსცა ქრისტე დამკუდრებული კაცისა[1] შორის მისცემს მას ხატისაებრობასა.[1]

ღმერთ არს სული წმიდაჲ, საშუალი უშობელისა და შობილისაჲ და ძისა მიერ შეყოფილი მამისაჲ. სულად ღმრთისა ითქუმის, სულად ქრისტესსა, გონებად ქრისტესსა, სულად უფლისა, თჳთ უფალ, სულად ძეობისად, ჭეშმარიტებისად, აზნაურებისად,[2] სიბრძნისად და რამეთუ მოქმედებით არს ამათ ყოველთაჲ, ყოველთაჲ არსებისა აღმავსებელი, ყოველთა მჰყრობელი აღმავსებელობითი სოფლისა და 61v1
არსებისაჲ, განუშ/ორე/ბელი სოფლისაჲ ძალითა.

დაუსაბამოებისათჳს ღმრთისა

ღმერთი არს დაუსაბამო არსება და უქცეველ და უცვალებელ, დამბადებელი არსთაჲ, კეთილად მსახურითა სუნიდისითა თაყუანისცემული.

ღმერთი და მამაჲ, რომელი-იგი მარადის უ'შობელ არს და არაეისაგან შობილ, რომელმან-იგი შეა ძე თანა-დაუსაბამოჲ და თანა-სამარადისოჲ.

ღმერთ არს ძეცა, რომელი-იგი მარადის მამისა თანა იყო უჟამოდ და უენებელად და განშორებულად მდინარეობისაგან და ხრწნილებისა წესთა და მარადის დაუკლებელი განუშორებელად ჰგიეს მამისაგან, ეითარცა
50v1 ღმერთი — ღმრთისაგან.

სული წმიდაჲ არს ძალი წმიდა-მყოფელი, გუამოეანი და განუყოფელად მამისაგან გამომეაული და ძისა შორის განსუენებელი, 857
თანა-არსი მამისა და ძისაჲ.

სიტყუა უკუე არს, რომელი არსებით მარადის მამისა თანა არს. კუალად სიტყუა არს ბუნებითიცა იგი აღძრვაჲ ბუნებისაჲ, რომლითა აღიძრების და გულისჴმა-ჰყოფს და მოიგონებს, ეინაიცა ნათელი და ბრწყინვალებაჲ მის შორის არს. და კუალად სიტყუაჲ არს დადებული და ჴმოანი, მეტყუელი გულსა შინა. და კუალად სიტყუაჲ არს ქადაგი გულისჴმის-ყოფისაჲ.

აწ უკუე სიტყუაჲ ღმრთისაჲ არსებითი არს და გუამოვნებითი. ხოლო სხუანი იგი სამნი სიტყუანი ძალნი არიან სულისანი არა თუსაგან განთჳსებულსა გუამოვნებასა შინა სახილველ. რომელთაგანი პირველი იგი ბუნებით გონებისა ნაშობ არს და მარადის ბუნებით ირწყჳს მისგან. ხოლო მეორე იგი დადებითად ითქუმის, ხოლო მესამე ჴმოვანად.

ღმერთი არს /ს/ამარადისოჲ და უცვალებელი არს/ობა/ჲ,[III] დამბადებელობითი მყოფთაჲ, კეთილ მსახურითა თაყუანისცემითა თაყუანისცემული.

ღმერთი და მამაჲ მარადის მყოფი, უშობელი, ეითარცა არაეისგან შობილი, ხოლო მშობელი ძისა თანა-სამარადისოსაჲ.

ღმერთი არს ძეცა, მარადის მყოფი მამისა თანა უჟამოდ და სამარადისოდ და თუნიერ დინებისა და უენებელად და განუშორებელად შობილი მისგან.

ღმერთი არს სული წმიდაჲცა, ძალი წმიდა-მყოფელობითი, თუთ გუამოანი, განუშორებელად მამისაგან გამომაეალი და // ძისა თანა განსუ- 857
ენებული,[IV] თანა-არსი მამისა და ძისაჲ.

სიტყუაჲ არს მარადის არსებითად მყოფი მამისა თანა. კუალად სიტყუაჲ არს ბუნებითიცა ძრვაჲ გონებისაჲ, რომელითაჲ იძრების და იგონებს[V] და გულის-სიტყუერობს, ეითარცა ნათელი რაიმე[2] ბრწყინვალებაჲ მისი. კუალად სიტყუაჲ არს შინაგან მდებარე, გულსა შინა ზრახული. და კუალად სიტყუაჲ არს ანგელოზი მოგონებისაჲ.[3]

აწ უკუე ღმერთი სიტყუაჲ არსებითი არს და გუამოანი, ხოლო სხუანი სამნი სიტყუანი ძალნი არიან სულისანი, არა განთჳსებულსა გუამსა შინა ხილულნი, რომელთაჲ პირველი ეიდრემე ბუნებითი ნაშობი არს გონებისაჲ, სამარადისოდ წყარო ქმნილი მისგან ბუნებითად. ხოლო მეორე ითქუმის შინაგან მდებარედ, და მესამე იგი ჴმოანად.

---

1 Αὐτοκύριος.

1 ბასილი დიდი, ეენ. წინ., წ. 5.

2 აშიაზე მიმატებულია „მყოფი", მაგრამ ეს სიტყუა დედანში არ დასტურდება.

3 ეს სიტყუა დაწერილია მეორე წაშლილი სიტყუის ნაცვლად, რომელიც მელნის სქელი ხაზების ქვეშ მაინც იკითხება: „გონიერი". ეგეეე სიტყუა დადასტურებულია არსენის თარგმანის სხვა ნუსხებშიც.

I კაცთა CM. C. II აზნაურებისაჲ CM. III არსებისა CM. IV ძისა თანა განსუენებული <C. V იგონებს M.

სული მრავალ სახედ გულისჴმა-იყოფების, პირეელად – სული წმიდაჲ და კუალად სულ ეწოდების საქმეთაცა და ძალთა სულისა წმიდისათა. და კუალად სულ არს ანგელოზიცა სახიერი. და სულ არის ეშმაკიცა. და სულ არს სულიცა კაცისაჲ. და არს ოდესმე // რომელ 860
50v II გონებასაცა სულად სახელ-ედების. სულ ეწოდების ქარსაცა და სულ ჰაერსაცა.

სული გულისჴმა-იყოფების მრავალ სახედ: სული წმიდაჲ; ხოლო ითქუმიან ძალნიცა სულისა წმიდისანი სულად; სული[1] ანგელოსი სახიერი; სული ეშმაკიცა, სული კაცობრიეიცა. ხოლო არს ოდესმე //, რომელ გონებაცა სულად ითქუმის. სული ქარისაჲ, სული ჰაერიცა."

/I, 14/ თუსებანი საღმრთოჲსა ბუნებისანი

თავი იდ

აუგებელი, დაუსაბამოჲ, უკუდავი, უსაზღვროჲ, საუკუნოჲ, უნიეთოჲ, სახიერი, დამბადებელი, მართალი, განმანათლებელი, უქცეველი, უნებებელი, გარეშეუწუერელი, განუყოფელი, შეუსაზღერებელი, უსაზღვროჲ, უჴორცო, უხილაე, მოუგონებელი, უნაკლულოჲ, თჳთ-ჭელმწიფე, თჳთ-მპყრობელი, ყოველთა მპყრობელი, ცხორების მომცემელი, ყოველისა შემძლებელი, განუზომელი ძალითა, წმიდა-მყოფელი და მიმცემელი მადლთაჲ, რომელსა უპყრიეს და აქუს ყოველი და ყოველსავე წინა-განაგებს. ესე ყოველი და ესეეითარნი ყოველნი ბუნებითად ჰქონან არა სხჳთ ეინაჲ მოღებით, არამედ თჳთ სხუათა-და მიცემით, რამეთუ ყოველსავე კეთილსა უხუად მისცემს ქმნულთა თჳსთა მსგავსად ყოელისავე შეძლებისა და ძალისა შემწყნარებელობისა.

რომელსა-იგი მხოლად აქუს მახლობელობაჲ გუამთა თჳთებისა და შეურევნელობისაჲ, და ბუნებისა და ძალისა ერთობისაჲ, რამეთუ
5Ir I მარადის ზოგად არიან გუამნი იგი განუშორებელად და იმარხენ თჳთებათა და თჳსთა შეურევნელად და მახლობელობათა განუშორებელად. არა ეითარმცა შეირეოდეს, არამედ ეითარმცა ერთი ერთისა შორის იცნობებოდეს, ძე – მამისა და სულისა შორის და სული – მამისა და ძისა შორის, და მამაჲ – ძისა და სულისა შორის, რამეთუ არცა ერთი იქმნების შერევნაჲ, ანუ შერწყუმაჲ, ანუ შეზავებაჲ მათი ურთიერთას. არამედ ერთ არს მოქმედებაჲ მათი და ერთი სიმაღლე და გამოკრთოლებაჲ ბრწყინვალებისაჲ, და ერთ ყოველივე საქმესა მათთაჲსე, რომელი-ესე აგებულთა ბუნებასა შინა ხილვად შეუძლებელ არს.[1]

ხოლო საღმრთოჲ იგი ბრწყინვალებაჲ და მოქმედებაჲ ერთ არს და მარტივ, განუყოფელ და სახიერ სახითა, რომელი-იგი განყოფილთა შორის თითო-სახე იქმნების. და ყოველთა განუყოფს ერთობისა მისგან თჳსისა ბუნებითისა. რაჟამს სიმარტივე იგი მისი განუყოფელად განუყოს განყოფილთა მათ, და განყოფილნი იგი თჳსისა მიმართ მარტივობისა შემოკრიბნეს და მოაქცინეს. რამეთუ ყოველთა მისსა მიმართ სურის და მის

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 3, 22, 40.

სული გულისჴმა-იყოფების მრავალ სახედ: სული წმიდაჲ; ხოლო ითქუმიან ძალნიცა სულისა წმიდისანი სულად; სული[1] ანგელოსი სახიერი; სული ეშმაკიცა, სული კაცობრიეიცა. ხოლო არს ოდესმე //, რომელ გონებაცა სულად ითქუმის. სული ქარისაჲ, სული ჰაერიცა."

/I, 14/ თუთებანი საღმრთოჲსა ბუნებისანი

თავი იდ

აუგებელობაჲ, დაუსაბამობაჲ, უკუდაობაჲ, დაუსრულებელობაჲ, გარეშეუწერელობაჲ, საუკუნობაჲ, უნიეთოობაჲ, სახიერებაჲ, დამბადებელობითობაჲ, სიმართლე, განმანათლებელობაჲ, უქცეველობაჲ,[III] უნებებელობაჲ,[IV] დაუტევნელობაჲ, გარე-მოუსაზღერებელობაჲ, განუსაზღერებელობაჲ, უსხეულოობაჲ,[1] უხილავობაჲ, გარე-მოუცავობაჲ, უმოქენებობაჲ, თუთმპყრობელობაჲ, 62v I
თუთ-ჭელმწიფებაჲ, ყოელისა მპყრობელობითობაჲ, ცხ/ორ/ებისა მიმცემელობაჲ, ყოელისა შემძლებელობაჲ, ძალ-მიუწთომელობაჲ, წმიდა-მყოფელობაჲ, გარე-შემცველობაჲ და მპყრობელობაჲ ყოველთაჲ და ყოელთა წინა-განმგებელობაჲ – ესე ყოველნი და ესეეითარნი ბუნებით ჰქონან მას არა სხჳთ ეინაჲმე მიმხუმელსა ამათსა, არამედ თუთ მიმცემელსა ყოელისა კეთილისასა დაბადებულთა თჳსთასა შემწყნარებელობითისაებრ ძალისა თითოეულისა მათისა.

და ურთიერთასისა შორის დამტკიცებაჲ და დამყარებაჲ გუამთაჲ, რამეთუ განუშორებელნი და განუჭრელნი არიან ესენი ურთიერთას, შეურევნელად მჭონებელნი ურთიერთასისა დატევნისანი, არა ეითარმცა თანა განილეოდეს ანუ თანა შეირეოდეს, არამედ ეითარმცა ურთიერთას მჭონებელ იყვნეს. რამეთუ ძე მამისა შორის არს და სულისა და სული მამისა შორის და ძისა, და მამაჲ ძისა შორის და სულისა, არცა ერთისა თანა განლეეისა, ანუ შერწყუმისა, ანუ შერევნისა ქმნითა. და ერთობითა და იგივეობითა მოძრაეობისაითა, რამეთუ ერთი არს გამოკლთოლვაჲ და ერთი მოძრაეობაჲ სამთაე გუამთაჲ, რომელი-ესე აგებულისა ბუნებისა ზედა ხილვად შეუძლებელ არს.[2]

და რამუთუ საღმრთოჲ გამობრწყინვებაჲ და მოქმედებაჲ ერთი არს და მარტივი და განუყოფელ და სახიერ სახითა, რომელი-იგი განყოფილთა შორის თითო ფერ-ქმნილი და თჳსისა ბუნებისა შემამტკიცებელობათა განმყოფელი, ყოველთაჲ ჰგიეს მარტივად განმრაველებული ეიდრემე განკერძოებულთა შორის განუკერძოებელად და სიმარტივისა

[1] დედან'ში არ დასტურდება.
[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 3, 22, 40.
[I] +სული M. [II] პაერისაცა C. [III] <C. [IV] <C.

შორის აქუს ყოფაჲ და გუამოვან-ყოფაჲ. და იგი მისცემს ყოველთა ყოფასა, ვითარცა უკმს ბუნებასა თითოეულისასა, რამეთუ იგი არს ყოფაჲ მყოფთაჲ და ცხორებაჲ ცხოველთაჲ და ნამდჳლე სიტყჳერობაჲ სიტყჳერთაჲ და ჭეშმარიტი საცნაურებაჲ საცნაურთაჲ. ხოლო
51r II თუთ იგი თავადი, ზეშთა გონებისა და სიტყჳსა არს უზეშთაეს ცხორებისა და არსებისა[1] და ყოველთა თანა არს შეურეველად და მას ვერცა ერთი რაჲ შეიცაყს.

ამას თანა და მარტივითა მეცნიერებითა უწყნის ყოველნი და ყოველთა მარტივად ხედაჲს საღმრთოჲთა მით და ყოველთა მხედველითა და უნივთოჲთა თუალითა თუსითა, მდგომთა და წარსრულთა და ყოფადთა პირველ ყოფადმდე მათდა. ხოლო არს იგი უცოდველ და მიმტეებელ ცოდვათა და შემძლებელ ცხორებად. რამეთუ ყოველივე, რაჲცა ენებოს,
// ძალ-უც, ხოლო არა ყოველივე, რაოდენი 861
ძალ-უც, ჰნებაჲს, რამეთუ ძალ-უც მყის წარწყმედაჲ და არა არს-ყოფაჲ სოფლისაჲ, არამედ არა ჰნებაჲს.[2]

15 /II, 1/ საუკუნეთათჳს[3]

თაჲი იე

მან თავადმან შექმნა საუკუნენი, რომელი-იგი არს პირველ საუკუნეთაჲ, რომლისა მიმართ იტყჳს საღმრთოჲ დაჲით, ვითარმედ: „საუკუნითგან და ვიდრე უკუნისამდე შენ ხარ“[4] და საღმრთოჲ მოციქული შესძინებს, ვითარმედ: „რომლისა მიერ შექმნა საუკუნენი“.[5]

საკმარ არს უკუე უწყებად, ვითარმედ საუკუნოჲსა სახელი მრავალსა რას მოჰასწავებელ არს და მრავალ-სახედ გულისჴმა-იყოფების, რამეთუ საუკუნოჲ ეწოდების თითოეულისა კაცთაგანისა ცხორებასა.[6] და კუალად საუკუნო ითქუმიან ჟამნი ათასისა წელიწადისანი.
კუალად საუკუნო სახელ-ედების აწინდელსა
51v I ამას საწუთროსა ცხორებასა და საუკუნო ყოფადსა მას, შემდგომად აღდგომისა, დაუსრულებელსა ცხორებასა.[7] და კუალად საუკუნო

მიმართ თუსისა შემკრებელი[1] და მიმაქცეველი განკურძოებულთაჲ, რამეთუ ყოველთა მისსა ჰსურის და მის შორის აქუს ყოფაჲ, და იგი არს ყოველთა მყოფობაჲ, ვითარცა აქუს ბუნებისა მიმცემელობაჲ და იგი არს მყოფთა ყოფაჲ, და ცხოველთა ცხორებაჲ და
სიტყჳერებით მყოფთა სიტყუაჲ და გონიერე- 62r
ბით მყოფთა გონებაჲ, თუთ ზესთა სიტყჳსა და გონებისა მყოფი და ზესთა ცხორებისა და ზესთა არსებისა.[2] მერმეცა ყოველთა განაგებს შეურეველად, ხოლო თუთ განეგების არაჲისგან.[II]

მერმეცა უწყნის ყოველნი მარტივითა მეცნიერებითა და საღმრთოჲთა და ყოველთა ზედა მხედველითა და უნივთოჲთა თუალითა თუსითა მარტივად ჰხედაჲს ყოველთა, აწ მყოფთაცა გარდასრულთა და ყოფადთა პირველ ქმნისა მათისა. უცოდველ არს და მიმტეებელ ცოდვათა და მაცხოერებელ და, ვითარმედ ყოველნი ვიდრემე, რაოდენნი ჰნებაჲნ, // შემძლებელ არს მათი, ხოლო არა
რაოდენთა შემძლებელ არს, ჰნებაჲს, რამეთუ ძალ-უც უწინო-ყოფაჲ სოფლისაჲ, გარნა არა ჰნებაჲს.[2]

15 /II, 1/ საუკუნეთათჳს[III]

თაჲი იე

ამან შექმნნა საუკუნენი, რომელი იყო უწინარეს საუკუნეთა და რომლისა მიმართ საღმრთოჲ დაჲით იტყოდა, ვითარმედ: „საუკუნითგან შენ ხარ[3] და მოციქული: „რომლისა მიერ საუკუნენიცა შექმნა“.[4]

საკმარ ვიდრემე არს ცნობად, ვითარმედ მრავალისა დამნიშნველ არს საუკუნოჲსა სახელი, რამეთუ მრავალსა რას შეისწავებს, რამეთუ საუკუნოდ ითქუმის თითოეულისა მყოფთაგანისა ცხორებაჲ.[5] კუალად ითქუმის საუკუნედ ათასეულთა წელიწადთა ჟამი. კუალად საუკუნედ ითქუმის ყოველი ესე აწინდელი ცხორებაჲ. და საუკუნედ შემდგომად აღდგომისა ყოფადი იგი დაუსრულებელი.[6] ითქუმის კუალად საუკუნედ არა ჟამი, არცა კერძოჲ რამე ჟამისაჲ, მოქცეულითა და სრბითა მზისაჲთა განზომილი, რომელ არს დღეთა და ღამეთაგან შემოკრებული, არამედ თანაგანგერცობილი სამარადისოთაჲ,[IV] ვითარცა

---

* დაღაცათუ საუკუნეთა სახელი არა დიად საცნაურ არს ჩუენსა ენასა და ერთი ოდენ გუგონია მერმე იგი საუკუნეი (sic), არამედ აწ ისწავე პირველად სამოციქულოთა სიტყჳთა, ვითარმედ მან თავადმან შექმნნა საუკუნენი. და ამისსა შემდგომად „ქრისტე ი'ესუებისსა“ იგი სიტყუაჲ, რომელ იტყჳს, ვითარმედ „საუკუნე არცა ჟამი არს, არცა ნაწილი ჟამისაჲ“ – თანა-შეატყუ აწინდელსა ამას საკითხავსა და ცან, ვითარმედ მრავალ სახედ ითქუმის ბერძულად სახელი საუკუნისაჲ.

[1] დიონ. არეოპ., საღმრთ. სახელთ., 5.
[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 40.
[3] Migne-ის გამოცემაში აქედან იწყება მეორე წიგნი, მაგრამ თხზულების ბერძნული ხელნაწერები მხარს არ უჭერენ ასეთ დაყოფას.
[4] ფსალმ., 89, 2.
[5] ებრ., 1, 2.
[6] მათე, 12, 32; ლუკა, 20, 35.

[1] დიონ. არეოპ., საღმრთ. სახელთ., 5.
[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 40.
[3] ფსალმ., 89, 2.
[4] ებრ., 1, 2.
[5] დედანშია „კაცთა ცხორება“: τῶν ἀνθρώπων ζωή.
[6] მათე, 12, 32; ლუკა, 20, 35.

[I] შემძლებელი C. [II] მერმეცა ყოველთა განაგებს შეურეველად, ხოლო თუთ განეგების არაჲისგან <C. [III] +წიგნი ბ C. [IV] სამარადისო C.

ითქუმის არცა ჭამი, არცა ნაწილი ჭამისაი, არამედ რომელი იგი ყოფადთა მათ დაუსრულებელთა საუკუნოთა თანა განგრძელდების, ეითარცა ძრეაი და განვრცომაი წელიწადისაი. რამეთუ რაი-იგი არს ჭამთა ქუეშე მყოფთათუს ჭამი ყოველი და წელიწადი, აგრეთვე უკუდაჲთა მათთუს საუკუნოჲ.

აწ უკუე შუდ ათასეულთაცა ამათ ამის საწუთროჲსათა შუდ საუკუნე სახელ-ედების, რომელნი-იგი არიან ჭამნი დაწყებულნი მრავალთაგან, ვინაითგან ცაი და ქუეყანაი დაიბადნეს ვიდრე ზოგადისადმდე აცა-ლასასრულისა // და გუამთა აღდგომისა. რამეთუ კერძოჲ აღსასრული არს სიკუდილი კაცად კაცადისაჲ,[1] ხოლო ზოგებითი აღსასრული არს სრულიადი იგი მოსრულებაი, რომელსა შინა ეგულების ყოფად ზოგადსა კაცთა გუამებისა აღდგომასა. ხოლო მერვე საუკუნოჲ არს ყოფადი იგი მერმე საუკუნოჲ ცხორებაჲ.

გარნა ესე საცნაურ იყავნ, ვითარმედ პირველ სოფლისა დაბადებისა, ოდეს იგი არცა მზე იყო განმყოფელად დღისა ღამისაგან, არა იყო ჯერეთ საუკუნოჲ განზომილი, არამედ უდა- 51v II
მოთა მათ თანა განგრძელდებოდა, ეითარცა ძრეაი და სიერცე წელიწდეული. და ამის წესისაებრ ერთი საუკუნე არს, ეითარ იგი ეიტყოდით, ეითარმედ „ღმერთო საუკუნეო". და კუალად შევსძინებდ[ით] ეითარმედ „პირველ საუკუნეთაჲცა", რამეთუ თუთ ესე საუკუნენი მისნი დაბადებულნი არიან, რამეთუ მხოლოჲ დაუსაბამოჲ ღმერთი არს და იგი არს დამბადებელი ყოველთა საუკუნეთაჲცა და ყოველთა არსთაჲ. ხოლო ღმერთი რაჲ ეთქუა, საცნაურ არს, ეითარმედ მამასა ეიტყჳ და მხოლოდ-შობილსა ძესა მისსა, უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა და სულსა მისსა წმიდასა, ერთსა ღმერთსა ჩუენსა.[2]

ხოლო ითქუმიან საუკუნენი საუკუნეთანი ამისთუს, რამეთუ შუდთა საუკუნეთა ამის საწუთროჲსათა მრავალნი საუკუნენი ჰქონან, ესე იგი არიან თითოეულისა კაცისა დღენი ცხორებისანი. და კუალად საუკუნე ერთი ყოველთა საუკუნეთა შემკრებელი არს. და საუკუნედ საუკუნეთა ითქუმიან აწინდელი და ყოფადი. ხოლო საუკუნოჲ ცხორებაჲ და საუკუნოჲ ტანჯვაჲ დაუსრულებელობასა ყოფადისა მის საუკუნოჲსასა მოასწავებენ, რამეთუ შემდგომად მერმისა მის აღდგომისა არღარა დღითა და ღამითა აღირიცხუენდნენ ჭამნი, არამედ იყოს ერთი დღე შეუმწუხრებელი, 52r I
რაჟამს ბრწყინვიდეს მზე იგი სიმართლისაჲ და განანათლებდეს. ხოლო ცოდვილთათუს იყოს ღამე განუნათლებელი და ტანჯვაჲ დაუსრულებელი, ეინაიცა ეითარღა აღირაცხოს

ჭამიერი რაიმე ძრეაჲ და განფუნაი, რამეთუ რაჲ იგი არს ჭამის ქუეშეთათუს ჭამი, იგიეე სამარადისოთათუს არს საუკუნე.

ითქუმიან უკუე შუდნი საუკუნენი ამის სოფლისანი, ესე იგი არს, ცისა და ქუეყანისა დაბადებითგან, ვიდრე ზოგადისა აღსასრულისა კაცთაჲსა // და აღდგომისამდე. რამეთუ
864 არს ვიდრემე კერძოობითიცა აღსასრული სიკუდილი კაცად-კაცადისაი,[1] ხოლო არს საზოგადოჲცა და ყოველითურთი აღსასრული, ოდეს ეგულების ქმნაი საზოგადოსა აღდგომასა კაცთასა, ხოლო მერეე საუკუნე არს 62v I
მერმე იგი.

ვინაიცა უწინარეს სოფლის შესაქმისა, ოდეს იგი არცა მზე იყო განმყოფელად,[2] არა იყო განზომილი საუკუნე. არამედ თანა-განერცომილი სამარადისოთაჲ, ეითარცა ჭამიერი რაიმე ძრეაი და განფუნაი. და ამის უკუე სიტყჳსაებრ ერთი საუკუნე არს, რომლისაებრ ითქუმის ღმერთი საუკუნე, არამედ პირელ საუკუნეთაცა, რამეთუ თუთ იგი საუკუნეცა მას შეუქმნიეს, რამეთუ მხოლოჲ ღმერთი არს დაუსაბამოჲ, ხოლო სხუანი ყოველნი მას შეუქმნიან – საუკუნენი და ყოველნი მყოფნი, ხოლო ღმერთი, რაჲ ვთქუა, ცხად არს, ეითარმედ მამასა ეიტყჳ და მხოლოდ-შობილსა ძესა მისსა, უფალსა[1] ჩუენსა იესუ ქრისტესა და სულსა მისსა წმიდასა, ერთსა ღმერთსა ჩუენსა.[3]

ხოლო ითქუმიან საუკუნენი საუკუნეთანი, რომლისა სიტყჳსაებრ აწინდელისა ამის სოფლისა შუდნი საუკუნენი მრავალთა საუკუნეთა, ესე იგი არს, ცხორებათა კაცთასა გარე-შეიცვენ. და საუკუნე ერთი ყოველთა საუკუნეთა არს გარე-შემწჳრელი. და საუკუნედ საუკუნოჲსა ითქუმის აწინდელი და ყოფადი. ხოლო საუკუნე ცხორებაჲ და საუკუნე ტანჯვაჲ დაუსრულებელობასა ცხად-ჰყოფს ყოფადისასა, რამეთუ არცა შემდგომად აღდგომისა დღითა და ღამითა აღირაცხოს ჭამი, არამედ იყოს უფროსღა ერთი დღე დაუმწუხრებელი, ოდეს იგი მზე სიმართლისაჲ მართალთა ზედა ჰაეროვნებით ბრწყინვიდეს, ხოლო ცოდვილთათუს ღამე იყოს უნათლოჲ, დაუსრულებელი. აწ უკუე ვითარ ორიგენიანისა კუალად გებისა ათასთა წელიწადთაჲ იგი აღირაცხოს ჭამი?

[1] დედანში: ὁ ἑκάστου θάνατος (სიკუდილი ყოველთა).
[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 29, 38, 41, 45; PG, t. 36, col. 77, 320...

[1] დედანშია „სიკუდილი ყოველთა: ὁ ἑκάστου θάνατος.
[2] დედანშია „განმყოფელად დღისა ღამისაგან"
[3] გრიგ. ნაზ., სიტ., 29, 38, PG, 36, col. 77, 320.

[1] ღმერთსა M.

ათასი იგი წელი მსგავსად ოროგინეს სიჩქარისა.[1]

აწ უკუე ესე მტკიცედ უწყ[ოდით], ეითარმედ ყოველთა მათ ზემოთქუმულთა საუკუნეთა ერთ ჰყვის დამბადებელი, ესე იგი არს, ღმერთი, რომელმან ყოველნი ყოვლით-კერძო დაჰბადნა და იგი მხოლოჲ არს უპირატესი ყოველთა საუკუნეთაჲ.

ყოველთავე უკუე საუკუნეთა ერთი შემოქმედი არს ღმერთი, რომელმან დაჰბადნა თანად ყოველნი და რომელი იყო წინა საუკუნეთა.

16 /II, 2/ დამბადებელობისათჳს

თაჲი იე

ვინაჲთგან უკუე სახიერმან და ზეშთასახიერმან ღმერთმან არა ქმა იყო თჳსი ოდენ ხედვაჲ, არამედ გარდამეტებულებითა სახიერებისაჲთა სათნო იყო ქმნაჲ რათამე მიმღებელთა ქველისმოქმედებისა მისისათაჲ, რაჲთა ქველ-ყოფილ იქმნენ მისგან, ამისთჳსცა არა-არსისაგან // არსად მოიყვანნა და დაჰბადნა ყოველნი უხილაჲნი და ხილულნი და ხილულისაგან და უხილავისა შემზადებული კაცი. ხოლო, დაჰბადა რაჲ, მოიგონნა და მოგონებაჲ იგი იყო სიტყჳთა აღსრულებული და სულითა სრულ-ქმნილი.[1] 865

17 /II, 3/ ანგელოზთათჳს

თაჲი იზ

იგი თავადი არს შემოქმედი და დამბადებელი ანგელოზთაჲ, რომელმან არა-არსისაგან
52r II არსად მოიყვანნა იგინი და ხატად თჳსად დაჰბადნა ბუნებით უჴორცოდ და ეითარცა სული ანუ ცეცხლი, ეგრეთ უნიეთოდ, ეითარცა იტყჳს მათთჳს წინაჲსწარმეტყუელი დაჲთ: „რომელმან შექმნაჲ ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა".[2] ვინაჲცა სიმჴურვალე და სიმახჳლე და მოსწრაფებაჲ მათი სურვილისა მიმართ და მსახურებისა ღმრთისა გამოსახა. ამას თანა და აღმართ-მავალობაცა მათი და ყოველისა ნიეთიერისა მოგონებისაგან თავისუფლებაჲ გუჴადაგა.[3]

აწ უკუე ანგელოზი არს არსებაჲ საცნაური, მარადის მოძრაჲი, თუთ-ჴელმწიფე, უჴორცოჲ, მსახური ღმრთისაჲ, მადლით მიმღებელი უკუდაჲებისაჲ ბუნებასა შინა თჳსსა, რომლისაჲ სახე არსებისაჲ, და განსაზღჳრებაჲ მისი მხოლოდ მხოლომან უწყის დამბადებელმან მისმან. // უჴორცოდ უკუე და უნიეთოდ ითჳქმის ჩუენ 868
თანა თუ ჰყოფდეს თანა-შეტყუებასა, ხოლო რომელიცა თანა შეეტყუას ღმერთსა, მხოლოსა მას შეუტყუებელსა და უსწოროსა, ზრქელ

ანგელოზნი ვიდრემე არს არსებაჲ გონიერი, მარადის მოძრაჲი, თუთ ჴელმწიფე, უსხეულოჲ, მსახური ღმრთისაჲ, მადლით მიმღებელი ბუნებასა შინა უკუდაჲებისაჲ, რომლისა არსებაჲ და სახე და საზღჳარი მხოლომან უწყის დამბადებელმან. // ხოლო უსხეულოდ და უნიეთოდ ითქუმის იგი ჩუენდა მომართ, რამეთუ ყოველივე ღმერთსა თანა-შეტყუებული მხოლოსა თანა-შეუტყუებელსა ზრქელად და ნიეთიერად იპოების, რამეთუ ნამდჳლე მხოლოჲ ღმერთი არს უნიეთო და უსხეულო. აწ

---

* **თარგმანი**. ოროგინეს საცთურსა განაქიქებს, რომელი-იგი იტყოდა, ეითარმედ შემდგომად ათასისა წელიწდისა აღსასრული ყოფად არს საუკუნეთა სატანჯველთაჲ. ამისთჳსცა 'მეიწუნა.

1 გრიგ. ნაზ., სიტ., 38, 45; დიონ. არეოპ., საეკლ. იერარქ., 4; PG, t. III, col. 177.

2 ფსალმ., 103, 4.

3 გრიგ. ნაზ., სიტ., 38, 45.

1 დედნის მიხედვით ეს არის მე-17 თავი, მაგრამ არ უთარგმნია ამის უწინარესი, მე-16 თაჲი -"დამბადებელობისათჳს /Περὶ δημιουργίας/.

2 ფსალმ., 103, 4.

3 გრიგ. ნაზ., სიტ., 38, 45.

და ნივთიერ იპოეოს, ვინაათგან ჰეშმარიტად უნივთო და უჴორცო მხოლოჲ ღმერთი არს.

ხოლო ანგელოზი[1] არს ბუნებაჲ სიტყუერი, საცნაური და თუთ-ჴელმწიფე. ქცეულად გონებით, ესე იგი არს, თუთმფლობელობით, რამეთუ
52v I ყოველი აგებული ქცეულად იცა არს. და მხოლოდ უქცეველ აუგებელი ოდენ არს. და ყოველი სიტყუერი თუთმფლობელ არს, რაჲთა, ვითარცა სიტყუერი და საცნაური, თუთ-ჴელმწიფე იყოს, ხოლო ვითარცა აგებულსა და ქცეულსა, აქუნდეს ჴელმწიფებაჲ დადგრომადება და წარმართებად კეთილსა შინა და ქცეულად უდარესისა მიმართ.

ხოლო ანგელოზი შეუწყნარებელ არს სინანულისა, რამეთუ უჴორცო არს. და კაცი უძლურებისათჳს ჯორცთაჲსა მიემთხჳა სინანულსა.[2] უკუდაჲებაჲ უკუე აქუს ანგელოზსა არა ბუნებით, არამედ მადლით, რამეთუ ყოველი დაწყებული დასრულებადიცა არს ბუნებით და მხოლოჲ ღმერთი ოდენ არს სამარადისო და უფროჲსღა ზეშთა სამარადისოობისა, ვინაათგან არა ჯამთა ქუეშე, არამედ ზეშთა ჯამთასა არს დამბადებელი ჯამთაჲ. ხოლო ანგელოზნი არიან ნათელ მეორე, საცნაურ, პირეელისა ნათლისაგან მჭონებელ განაათლებისა, არა მოქმნე ენისა და სასმენელთა, არამედ თუნიერ ჴმოჲანისა სიტყჳსა // მიმცემელ ურთიერთას
869 მოგონებათა და განზრახჳათა.

სიტყჳთა უკუე დაბადებულ არიან ყოველნი ანგელოზნი და სულითა წმიდითა სრულ-ქმნულ სიწმიდესა ზედა, ამისთჳსცა შეტყუები-
52v II საებრ პატივისა და წესისა და განათლებისა მიიღებენ მადლსაცა.[3]

ხოლო არიან გარეშეწერილ, რამეთუ რაჟამს იყუნენ ზეცათა შინა, არა არიან იგინი ქუეყანასა ზედა და ქუეყანად რაჲ მოიელინნენ ღმრთისა მიერ, არღარა ჰგიან ზეცათა შინა. ხოლო არა გარე-შეისაზღერებიან კედელთაგან და ბჭეთა, კლიტეთა და ბეჭედთა, რამეთუ შეუსაზღერებელ არიან. ესე იგი არს, რომელ ეიტყუ შეუსაზღერებელად, ეითარმედ არა ეითარნი-იგი არიან, ეგეჳთარადეუ ეჩუენებიან ღირსთა, რომელთაჲ ღმერთმან ინებოს გამოცხადებაჲ მათი, არამედ შეცვალებითა სახისაჲთა, ეითარ იგი ძალ-ედეას მხედველთა მათ ხილვად, რამეთუ უსაზღეროობაჲ საკუთრად მხოლოჲსა ღმრთისაჲ არს, მხოლოჲსა მისა უებელისაჲ, რომლისა მიერ ყოველნიე მის მიერ აგებულნი შეისაზღერებიან.

ხოლო ანგელოზთა თუთ სიწმიდეცა იგი გარეშეთ მოგებულად აქუს მადლითა სულისა წმიდისაჲთა და ძალითა საღმრთოჲთა წინაჲსწარმეტყუელებენ. არა იჴუმჳენ ქორწინებასა, რამეთუ უკუდაე არიან, და, ეითარ იგი საცნაურ არიან, ეგრეთეე საცნაურთა ადგილთა მკჳდრ

[1] დედანში არ არის სიტყჳა „ანგელოზი".
[2] ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა, I, PG, t. 40, col. 521.
[3] გრიგ. ნაზ., სიტ., 34.

აწ უკუე ელლენნი ვიდრემე ვარსკულავთა 893
ამათ // და მზისა და მთოვარისა აღმოსლვისა და დასლვისა და შემოკუეებისაგან იტყუან განგებასა ყოველთაეე ჩუენთასა, რამეთუ ამისთჳს არს ვარსკულავთ-მეტყუელებისა ჴელოვნებაჲ. ხოლო ჩუენ ვიტყუთ,[V] ვითარმედ სასწაულნი უკუე მათგან იქმნებიან წუმისა და უწყბრობისა, სიგრილისა და სიცხისაჲ, სინოტიისა და სიჴმელისა და ქართა და ეგეეითართანი, ხოლო ჩუენთა საქმეთანი არა სადა, რამეთუ ჩუენ, თუთ-მფლობელად შექმნილნი დამბადებელისაგან, თუთ ვართ უფალ საქმეთა ჩუენთა, რამეთუ უკუეთუ მოქცეევისაგან ვარსკულავთაჲსა ვიქმთ

[1] ზოდთა სახელებს თან სდევს სათანადო ნიშნებიც.

[2] დედაწში „ქალაქის“ ნაცელად გეაქვს πόλος /წრეკრკალი/.

[I] ღრიანკალი M. [II] ათორმეტთა M. [III] უმოსწრაფლეს M. [IV] უადრეს M. [V] +ვიტყუთ M.

ჩუენი, იძულებით სადმე ეიქმთ, რასაცა ეიქმთ. ხოლო იძულებით ქმნული არცა სიბოროტე არს, არცა სათნოებაჲ, ხოლო უკუეთუ არცა სათნოებაჲ, არცა სიბოროტე მოგუგიეს, არცა სადმე ქებათა და გურგუნთა, არცა ძაგებათა და ტანჯეთა ვიყვნეთ ღირს.

და ესრეთ იპოოს ღმერთი უსამართლო რომელთამე კეთილთა და სხუათა ჭირთა განყოფისათუს. კუალად ამას თანა არცაღა სადმე განგებასა ჰყოფდეს ღმერთი, არცაღა ჰმართებდეს თუსთა დაბადებულთა და მერმე თუთ სიტყუერობაჲცა ესე ნამეტნაჲად ჩუენდა მოცემულ იყოს, უკუეთუ იძულებით იპყრობების და მართებულ იქმნების ყოველი. რამეთუ უკუეთუ არცა ერთისა საქმისა უფალ ვართ, ნამეტნავ არს განზრახვაჲ ჩუენი და უკუეთუ
58v II განზრახვაჲ ნამეტნაე არს, თუთ სიტყუერობაჲცა ესე ნამეტნავ არს. რამეთუ სიტყუერობაჲ უეჭუელად ამისთუს მოგუეცა, რაითა განეიზრახეიდეთ. ვინაჲცა ცხად არს და მტკიცე, ეითარმედ ყოველი სიტყუერი თუთმფლობელ არს,[1] ამისთუსცა ეიტყუთ წინა-აღმდგომთა მიმართ, ვითარმედ არა არიან ვარსკულავენი არცა ერთისა რაჲს საქმეთაგანისა მიზეზ, არცა ყოფისა ყოფადთაჲსა, გინა განხრწნისა განხრწნადთაჲსა. ხოლო არიან იგინი სასწაულ წუმათა და ჰაერთა შეცვალებისა. ნუუკუე და ესეცა ვინმე თქუას, ეითარმედ ბრძოლისაცა არა მიზეზ, არამედ სასწაულ და მომასწავებელ არიან. და ეითარმედ რომელობაჲ ჰაერისაჲ ჰყოფს მზისა მიერ და მთოვარისა და ვარსკულავთა თითო ფერსა შეცვალებასა შეზავებათა და წესთა და ჩუეულებათასა. ხოლო ჩუენ კაცთანი წესნი, შეზავებანი და ჩუეულებანი სიტყუთ იპყრობებიან და მართებულ იქმნებიან და იქცევიან.

მრაველ-გზის უკუე ჰყოფენ კუმატნიცა მოსწაევებასა რასმე მეფეთა სიკუდილისასა, რომელნი-იგი არა დასაბამთაგან შექმნულთა ვარსკულავეთაგანნი არიან, არამედ საღმრთოითა რაჲთმე // ბრძანებითა მას ჟამსა 896
ვარსკულავად შეიქმნებიან და კუალად დაიჴსნებიან. ვინაჲთგან ჟამსა მას უფლისა
59r I განჴორციელებისა და საცხორებელად ჩუენდა კაცთ-მოყუარებით გარდამოსელისასა მოგუთა მიმართ განჩინებული იგი ვარსკულავი, არავე დასაბამთგან დაბადებულთა ვარსკულავთაგანი იყო, რომელი-ესე ცხად-ყო ოდესმე ალმოსავალით დასავალად და ოდესმე ჩრდილოჲთ სამხრად მაეალობამან მისმან, ოდესმე სლვითა და ოდესმე დადგომითა, რომელი-ესე არა თუს-ეყუის ბუნებასა გინა წესსა ვარსკულავეთასა.[2]

[1] ბასილი დიდი, ექუსთა დღ., 6.
[2] ბასილი დიდი, სიტყუა შობისათუს.

ყოველსავე, საჭიროდ სადმე ეიქმთ, რათაცა ეიქმთ, ხოლო საჭიროდ ქმნილნი არცა სათნოებაჲ არს, არცა სიბოროტე. ხოლო უკუეთუ არცა სათნოებაჲ, არცა სიბოროტე მოგუგიეს, არცა ქებისა და გურგუნთა, არცა გიობისა და სატანჯველთა ვართ ღირსნი.

ხოლო იპოვოს ღმერთიცა უსამართლოდ რომელთამე უკუე კეთილთა, ხოლო რომელთამე ჭირთა მიცემითა. არამედ არცა მართებასა, არცა წინა-განგებასა დაბადებულთა თუსთასა ჰყოფს, უკუეთუ საჭიროებით იყვანებიან და იქმნებიან ყოველნი და სიტყუერობაჲცა ნამეტავ იყოს ჩუენ შორის, რამეთუ ნამეტნავად[1] განეიზრახაეთ არცა ერთისა საქმისა უფალნი, ხოლო სიტყუერობაჲ ეუჭუელად განზრახეისათუს მოცემულ არს ჩუენდა, რომლისათუს ყოველი სიტყუერი თუთმფლობელცა არს.[1] ხოლო ჩუენ ეიტყუთ, ეითარმედ არა რომ-
66r II ლისა ქმნილთაგანისა არიან იგინი მიზეზ, არცა ქმნისა ქმნილთაჲსა, არცა ხრწნილებისა განხრწნილთაჲსა, არამედ ფრიადღაᵘ სასწაულ წუმათა და ჰაერთა შეცვალებისა, ნუუკუე და თქუას ვინმე, ეითარმედ ბრძოლათაცა არა მიზეზ, არამედ სასწაულ.[2]

ხოლო შეიქმნებიან მრაველგზის კომიტნიცა სასწაულად რადმე მეფეთა სიკუდილისა, რომელნიᵘᵎ არა არიან პირველითგანეე დაბადებულთა ვარსკულავეთაგანნი, არამედ საღმრთოითა // ბრძანებითა მას ოდენ ჟამსა შეიქმნებიან და კუალად დაიჴსნებიან, ვინაჲთგან საუფლოსაცა ,აცთმოყუარესა და საცხორებელსაᵛ ჩუენთჳს ჯორციელსა შობასა მოგუთაჲა გამოჩინებული ვარსკულაეი არა დასაბამსაეე შექმნილთა ვარსკულავეთაგანᵛ იყო. დაᵛᵎ ესე ცხად არს ოდესმე უკუე ალმოსავალით დასავალად სლეისაგან, ხოლო ოდესმე სამხრით ჩრდილოდ და ოდესმე მიფარეისა, ხოლო ოდესმე გამოჩინებისაგან,

[1] ბასილი დიდი, ექუსთა დღ., 6; ნემეს., ეშეს., ბუნ. კაცისა.
[2] დედანში ამას მოსდევს მსჯელობა პაერის ხარისხის შესახებ. იხ. ჩვენი გამოკვლევის გვ. 59; შდრ. ეფრემის თარგმ. 58v II.

[ნამეტაეად M. ᵘ უფროსღა M. ᵘᵎ რომელ M. ᵛ საცხორებელსა M. ᵛ ვარსკულაეთაგანი M. ᵛᵎ <M

ჯერ-არს უკუე ცნობად, ვითარმედ მზის მიერ მიიღებს მთოვარე სინათლესა. არა თუ ვითარმცა ულონო იყო ღმერთი მიცემად მისსა თუსაგანსა ნათელსა, არამედ რაჲთა წესი და ჩუეულებაჲ დაუდგას დაბადებულთა მთავარ და სამთაერო-ყოფისათჳს. და რაჲთა ჩუენცა განვისწაულნეთ ზიარებად ურთიერთას და მიცემად და მოღებად და მორჩილებად პირეველად უკუე შემოქმედისა და დამბადებელისა მეუფისა ღმრთისა, ამისსა შემდგომად მის მიერ დადგინებულთა მთავართა. და რაჲთა არა განვიკითხვიდეთ, ვითარმედ რაჲსათჳს ესე ვინმე მთაერობს და მე არა. არამედ რაჲთა მივითუალჳიდეთ ყოველსაცე ღმრთისა მიერ ჩუენდა დაწესებულსა.

ხოლო მოაკლდების მზესა და მთოვარესა სამხილებელად მათდა, რომელნი-იგი დაბადებულსა თაყუანის-სცემდენ ნაცვალად დამბადებელისა,[1] რაჲთა განაქიქოს უგუნურებაჲ მათი და ასწაოს, ვითარმედ ქცეულნი არიან და შეცვალებადნი, რამეთუ ყოველი ქცეულ[ი] არა ღმერთ არს. ხოლო ყოველი განხრწნადი ბუნებისაებრ თჳსისა ქცეადიცა არს. 59r II

აწ უკუე მიზეზ მოკლებისა არს მთოვარისა იგი გუამი, რომელი-იგი, ვითარცა შუა-კედელი რაჲმე, უჩრდილობს და არა უტეჳებ მას მოცემად ჩუენდა ნათლისა. რამეთუ რაოდენ-ჟამსცა იპოვოს გუამი მთოვარისაჲ დამფარველად მზისა, ესოდენცა იქმნების მოკლებაჲ იგი მზისაჲ. ხოლო უკუეთუ უმცირეს არს გუამი მთოვარისაჲ მზისასა და ვითარ დაჰფარავს მას, ესე ნუ გიკჳრს, რამეთუ თუთ მზე ვიეთმე მიერ თქუმულ არს, ვითარმედ მრავალ-ნაწილად უფროს არს ქუეყანისასა, ხოლო წმიდანი მამანი სწორად ქუეყანისა იტყჳან მას. და ესევითარსა მას სიდიდითა მრაჲალგზის ანუ მცირე ღრუბელი, გინა მცირე ბორცუ ანუ ზღუდე დამფარველ ექმნის.

[1] რომ., I, 25.

რომელი-ესე არა[1] ვარსკულაჲთა ბუნებისაჲ" არს, ანუ წესისაჲ.[1]

ხოლო საქმარ არს ცნობად, ვითარმედ მზისაგან განათლდების მთოვარე, არა თუ ვითარცა ულონო იყო ღმერთი მიცემად მისსა განთჳსებულსა ნათელსა, არამედ რათა გუარი და წესი დადეას დაბადებულთა შინა მთაერობისა და სამთაეროობისაჲ, და განვისწაულნეთ ჩუენცა ზიარ-ყოფად ურთიერთას და გარდამცემელ-ყოფად და მორჩილ-ყოფად[III] პირეველად უკუე შემოქმედისა და დამბადებელისა და მეუფისა ღმრთისა, ამისსა შემდგომად მის მიერ დადგინებულთა მთავართა და არა განკითხვით დრტჳნვად, ვითარმედ რაჲსათჳს ისი მთაერობს, ხოლო მე არა, არამედ მითუალჳად ყოველთაჳე ღმრთისა მიერთა მადლობით და გულ-კეთილობით.

ხოლო მოაკლდების ოდესმე მზესა და მთოვარესა სამხილებელად უგუნურებისა მათისა, რომელნი თაყუანის-სცემენ დაბადებულსა ნაცვალად დამბადებელისა[2] და სასწაელელად, ვითარმედ ქცევაჲ/ნი არიან და ცვალებადნი, ხოლო ყოველი ქცევადი არა ღმერთ არს, რამეთუ ბუნებისაებრ თჳსისა განხრწნადი არს ყოველი ქცევადი.

ხოლო მოაკლდების მზესა ვიდრემე, რაჟამს სხეული მთოვარისაჲ, ვითარცა შუა[IV] კედელი რაჲმე იქმნას და დაუჩრდილოს და არა უტეჳოს[V] გარდამცემად ჩუენდა ნათლისა. და 66v I რაოდენცა იპოვოს სხეული მთოვარისაჲ დამფარველად მზისა, ეგოდენცა იქმნების მოკლებაჲ. ხოლო უკუეთუ უმცირეს არს სხეული მთოვარისაჲ, ნუ გიკჳრს და რამეთუ მზეცა ვიეთგანმე უმრავალ წილესად ითქუების ქუეყანისად, ხოლო მამათაგან – სწორად ქუეყანისად და მრავალგზის მცირე ღრუბელი დაჰფარაეს მას, ანუ მცირე ბორცუ, ანუ ზღუდე.

[1] ბასილი დიდი, შობისათჳს. M გამოცემაში ამის შემდეგ ჩართულია; „შეისწაეე, ვითარმედ ერთი ხოლო არს ძალი ნათლისა, პირეელსა დღესა დაბადებული იგი, რომელი მჳოთხეს დღესა, შემდგომად მნათობთა შემზადებისა, მზესა შინა დადგა ღმერთმან ყოველი ყოველსა და მის მიერ გახალებაჲ გამორნდა მთოვარისა და სხუათა მნათობთა, რათა მორჩილებისა წესი მჰყრობელ-ყოს ზეცისათა და ქუეყანისათა შემოქმედმან და მჰყრობელმან და წინა-განმგებელმან თანად ყოველთა არსთამან, ვითარცა ცხად-ჰყოფენ საღმრთოთა შინა ფრიადი დიონოსიოს და ჭორცთა თანა გონებითაცა და სიბრძნითა ძმაჲ ბასილისი დიდი გრიგოლი ნოსელი და აწინდელი ესე შამა მნათობი ეკლესიისა, ხოლო გარეშენი ბრძენნი ზოგად ყოველნი". იქვე ახლაეს რედაქციის შენიშვნა; „ეს აქიდამ კაეამდის სხჳის ნათარგმნია, სხოლიოა. ნაპირზე არ დაეტყოდა, ამისთჳის 'მიგ დაესწერეთ" (გე. 88). ეს არის არსენის თარგმანის სქოლიო – „შეისწაენი", რომელიც მოთავსებულია ძირითადი ნუსხის 66r გვერდზე და არა სხეისი თარგმანი, როგორც მოსკოეური გამოცემის რედაქცია მიუწნეია. რაც შეეხება ბერძნულ დედანს, იქ ასეთი რამ არ სწერია.

[2] რომ., I, 25.

[3] <M "+არა M. [III] და მორჩილ-ყოფად <M. [IV] შუა M. [V] უტეოს M.

ხოლო მოკლებაჲ მთოვარისაჲ იქმნების
მაჩრდილობისაგან ქუეყანისა, რამეთუ
რაჟამს იყოს მთოვარე ათხუთმეტისაჲ და
იპოვოს წინა-აღმდგომად მისსა საწერტელი
მწუერვალსა მისსა და დახუდეს მზე ქუეშე
59v I ქუეყანისა, ხოლო მთოვარე ზედა-კერძო ქუე-
ყანისა, მაჩრდილობელ ექმნების ქუეყანაჲ და
არა უტეევებს, რაჲთა მისწუთეს ნათელი მზი-
საჲ განმანათლებელად მთოვარესა, მას ჟამსა
იქმნების მოკლებაჲ მთოვარისაჲ.

საჷმარ უკუე არს ცნობად, ვითარმედ სრუ-
ლი დაიბადა მთოვარე დამბადებელისაგან,
ესე იგი არს, ათხუთმეტისა დღისაჲ, რამეთუ
ჯერ-იყო უნაკლულოჲსა წარმოდგინებაჲ მისი.
ხოლო დაიბადა მეოთხესა დღესა, ვინაჲცა
წინა უსწრო მზესა ათერთმეტითა დღითა,
რამეთუ მეოთხითგან ვიდრე მეათხუთმეტედ-
მდე ათერთმეტი დღე არს, რომლისათჳსცა
რაჲ წელ // ათორმეტთა თუეთა მთოვარისათა 897
ათერთმეტი დღე აკლს ათორმეტთაგან თუეთა
მზისათა, რამეთუ ათორმეტთა თუეთა მზისათა
ჰქონან დღენი სამას სამეოცდა ხუთნი და
მეოთხედი დღისაჲ, რომლისათჳს მეოთხედი
იგი ყოველსა შინა მოქცევასა წელიწდისასა
შეიქმს დღესა ერთსა, რომელსა ეწოდების
ნაკი და წელიწდისა მის დღენი არიან სა-
მას სამეოცდა ექუსნი. ხოლო მთოვარისა წე-
ლიწადთა სამას ორმეოცდა ათოთხმეტნი
ჰქონან დღენი, რამეთუ მთოვარე ვინაითგან
59v II იშუას, ესე იგი არს, ვინაითგან განახლდეს,
აღორძნდების ვიდრემდის იქმნას ათოთხმეტთა
დღეთად და ნახევრად მეოთხედისა. დაიწყებს
მოკლებად ვიდრე დღემდე ოცდაცხრად და
ნახევრად და სრულიად იქმნების უნათლო
და კუალად შეერთებითა მზისაითა აღ-
მოიშვების და განახლდების და ჴსენებასა
მოგუართუამს ჩუენისა აღდგომისასა. და ყოე-
ლსა მოქცევ[ა]სა წელიწდისასა ათერთმეტსა
დღესა უკუ-მოუზღაეს მზესა. ვინაჲ ყოელისა
მოქცევ[ა]სა სამთა წელიწადთასა შეძინებაჲ
მეათცამეტისა თთჳსაჲ იქმნების მეტობაჲ,
რაჲ-იგი სამთა თერთმეტეულთაჲ შემოკრებულ.
და მესამე იგი წელიწადი ათცამეტად თუედ
აღირაცხების და თუესა მას ებრაელთა მიერ
ემეოლისმოს' სახელ-ედების.

აწ უკუე ესე ცხად არს, ვითარმედ შეზავე-
ბულნი არიან მზე და მთოვარე და ვარსკუ-
ლავნი ბუნებისაებრ მათისა, ხოლო თუ რაჲ
არს ბუნებაჲ და არსებაჲ მათი, ესე არა უწყით.
გარნა ვიეთნიმე იტყჳან, ვითარმედ ცეცხლი
თჳნიერ სხჳსა რაჲსმე ნივთისა უჩინო არს,
ვინაჲცა დაივსების და უჩინო იქმნების. ხოლო
სხჳათა თქუეს, ვითარმედ დაივსოს რაჲ, პაერად
შეიცვალების.[1] ჯერ-არს უწყებად, ვითარმედ
60r I ზოდოვანი მომრგულებაჲ ელმად მოძრავი არს
და განიყოფების ათორმეტთა მიმართ ნაწილთა
ცისათა, რომელთა ზოდ უწოდიან. ხოლო

ხოლო მთოვარისა მოკლებაჲ აჩრდილისაგან
ქუეყანისა იქმნების, რაჟამს იყოს მთოვარე
ათხუთმეტისა და იპოვოს წინა-აღმდგომად
კიდესა მისსა საწერტელი და მზე უკუე ქუე-
შეთ ქუეყნისა, ხოლო მთოვარე ზედაით იყოს
ქუეყნისა. რამეთუ აჩრდილსა შეიქმს ქუეყანაჲ
და არა მისწუთების მზეებრი ნათელი განსა-
ნათლებელად' მთოვარისა და ამიერ იქმნების
მოკლებაჲ მთოვარისაჲ.

ხოლო სათანადო არს ცნობად, ვითარმედ
სრული შეიქმნა მთოვარე დამბადებელისაგან,
ესე იგი არს, ათხუთმეტისაჲ, რამეთუ გან-
სრულებულისაჲ შუენოდა წარმოდგინებაჲ,
ხოლო მეოთხესა დღესა აღეგო, ვითარცა
ვთქუთ, წინა-უსწრო ვიდრემე მზესა ათერ/თ/
მეტითა დღითა, რამეთუ მეოთხით დღითგან
ვიდრემე ათხუთმეტადმდე ათერთმეტნი არიან,
რომლისათჳსცა წლითა-წლად // ათორმეტთა
თთუეთა მთოვარისათა ათერთმეტნი დღენი
აკლიან ათორმეტთაგან თთუეთა მზისათა,
რომელთა აქუს სამას სამეოცდა ხუთი დღე
ოთხთა თანა ჯამთა, რომლისათჳსცა შეერთები-
თა ოთხთა მათ ოთხჳულთათა ოთხსა წელი-
წადსა შინა ერთი დღე სრული იქმნების,"
რომელსა ნაკად სახელ-ედების და სამას სა-
მეოცდა ექუსნი დღენი ჰქონან მას წელიწადსა.
ხოლო წელიწადი მთოვარისაჲ შემოკრებების
დღეთაგან სამას სამეოცდა ათოთხმეტთა,
ხოლო მთოვარე ვინაითგან იშუას, ესე იგი
არს, განახლდეს, აღორძნდების, ვიდრემდის შე-
იქმნას დღეთა ათოთხმეტთა და ნახევრისაჲ
და მეოთხედისაჲ, დაიწყებს მოკლებად ვიდრე
დღეთა ოცდა ცხრათა და ნახევრისამდე
და სრულიად იქმნების განუთალებელ. და
კუალად შეყოფითა მზისაითა იშუების და
ეანახლდების მომღებელი მოსაჴსენებელსა
ჩუენისა აღდგომისასა, ვინაჲცა თითოეულსა
წელიწადსა ათერთმეტთა დღეთა უკუნ-სცემს
მზესა და სამთა უკუე წელიწადთა შინა
ებრაელთა მიერ ემეოლიზმოსად სახელ-დე- 66v II
ბული იქმნების და წელი/წადი/ იგი იპოების"
თთუეთა ათცამეტთაჲ შემატებითა ათერთ-
მეტთა დღეთაჲთა.

ხოლო ცხად არს, ვითარმედ შეზავებულნი
არიან მზეცა და მთოვარე და ვარსკულავნი
და ბუნებისაებრ თჳსისა ხრწნილებისა თანამ-
დებ არიან, ხოლო ბუნებაჲ მათი არა უწყით,
რამეთუ ვიეთნიმე იტყჳან, ვითარმედ ცეცხლ
უჩინო არს თჳნიერ რომლისამე ნივთისა, რომ-
ლისათჳსცა, დაშრტეს რაჲ, უჩინო იქმნების,
ხოლო რომელნიმე დაშრეტილისასა პაერად
იტყჳან შეცვალებასა მისსა.[1] ხოლო ზოდიანი
იგი მომრგულებაჲ[IV] ელმად იძრების, განყოფილი
ნაწილად ათორმეტად, რომელნი სახელ-იდებიან

---

* შეისწავე.

[1] ნემეს. ემეს., ბუნ. კაცისა, 5.

[1] ნემეს. ემეს., ბუნ. კაცისა, 5.

[I] განმანათლებელად M. [II] რომლისათჳსცა შეერთებითა და ა. შ. <M. [III] იპოვების M. [IV] მომრგულებაჲ M.

ზოდსა მას აქუს ათეულობაჲ გონებისაჲ და ოცდაათეულობაჲ ნაწილთაჲ. ხოლო ნაწილთა მათ ჰქონან მწულილნი სამეოცნი.

აქუს უკუე ცასა ნაწილები სამას საშეოცი. ზეშთა ქუეყანისასა მას კერძოსა კამარისასა ნაწილი ასოთხმეოცი და სხუასა მას კერძოსა კამარისა ქუეშე კერძო ქუეყანისასა ნაწილი ასოთხმეოცი.

ხოლო სახელნი მაცთურთანი ესე არიან: ეერძი და ღრიანკალი სახლ არეოხასა, კუროჲ და სასწორი აფროდიტისი, მარჩბიჲი და ქალწული ერმისნი, კირჩხიბი მთოვარისაჲ, ლომი მზისა, მემშულდე და თევზი დიოჲსნი, თხის რქაჲ და წყლის საქანელი კრონოჲსნი.

ხოლო მომაღლებისა ეტლ ესე არიან: ვერძი მზისა, კუროჲ მთოვარისა, კირჩხიბი დიოჲსი, ქალწული არესი, სასწორი კრონოჲსი, თხის რქაჲ ერმისი, თევზი აფროდიტესი.

ხოლო სახის ცვალებანი მთოვარისანი ესე არიან: კრებაჲ რაჟამს იქმნეს ნაწილსა მას, სადა იყოს მზე, რაჟამს განეყოს მზესა შობს ნაწილთა ათხუთმეტთა და რაჟამს
60r 11 აღმოსავალს გამოჩნდეს,[1] თუს სახილავთა ორთა. ხოლო ოდეს განეყოს, იქმს ნაწილთა სამეოცთა. განკუეთაჲ ორი რაჟამს განიყოს, იქმს ნაწილთა ოთხმეოცდაათთა. და ერთბამად შეკრებაჲ ორი რაჟამს განიყოს, იქმს ნაწილთა ასოცთა. და კუალად მოყუას მთოვარე და მოყუას მნათობი, რაჟამს განიყუნენ, იქმენ ნაწილთა ასორმეოცდაათთა და ყოველად მთოვარე რაჟამს განიყოს, იქმს ნაწილთა ასოთხმეოცთა. ხოლო ორად ეტჩყუთ პირველად აღორძინებასა და მეორედ მოკლებასა, რამეთუ ორთა შინა // დღეთა იცვლის მთოვარე 900
თითოეულსა ცხოველთაგანსა.

22 /II, 8/ ჰაერისათჳს და ქართა

თავი კბ

ჰაერი არს ნიეთი წულილი, ნოტიაჲ და მჴურვალე, ცეცხლისასა უმძიმესი, ხოლო ქუეყანისა და მიწისასა უსუბუქესი. მიზეზი აღმოფშუნებისა და ჴმისა განტეებისაჲ. უფერული, ესე იგი არს, ეითარმედ ბუნებითად არა მოუგიეს ფერი. ორ-სახე, ორ-სახილავი, რამეთუ ნათლისა შემწყნარებელ არს და ბნელისა და სამთა საგრძნობელთა ჩუენთა მსახურ, რამეთუ მის მიერ ეხედავთ და ვისმენთ და ვიყნოსთ. შემწყნარებელ არს სიცხისა და სიგრილისაჲ, სიჴმელისა და ნოტიობისაჲ. და
60v 1 მის მიერ იქმნებიან ყოველნივე ადგიდ-ადგიდ ძრვანი: ზედა ქუე, მარჯუენ და მარცხნ, გარე და შინა, წინა და უკუანა და გარე-მოვლაჲ სიმრგულისაჲ. არა მოუგიეს ნათელი თჳსი, არამედ მზისაგან და მთოვარისა, ვარსკულავთა და ცეცხლისა მიერ განათლდების. და ესე არს სიტყუაჲ იგი, რომელ თქუა წერილმან,

[1] ტექსტში გეხვდება „მაცდურთა" ნიშნები.

ზოდებად. ხოლო თითოეულსა ზოდსა ჰქონან ეზოჲს მოძღუარნი სამნი, ნაწილნი ოცდაათნი, ხოლო თითოს ნაწილსა ჰქონან მწულილნი სამეოცნი, ზესთა ქუეყანისა ნახევარ სფერსა ნაწილნი ასოთხმეოცნი და ქუეშეთ ქუეყანისა – ასოთხმეოცნი.

ხოლო სახელნი ცთომილთანი არიან: ეერძი უკუე და ღრიანკალი[I] არეოხისნი, კუროჲ და სასწორი აფროდიტისნი, მარჩბიჲი და ქალწული ერმისნი, კირჩხიბი მთოვარისაჲ, ლომი მზისაჲ, მშულდოსანი და თევზი დიაჲსნი, თხის რქა და წყლის[II] საქანელი კრონოჲსნი, ხოლო მომაღლებაჲ მზისაჲ – ვერძი, მთოვარისაჲ – კუროჲ, დიოჲსი – კირჩხიბი, არეოჲსი – ქალწული, კრონოჲსი – სასწორი, ერმისი – თხის რქაჲ, თევზნი – აფროდიტისნი.

სახენი მთოვარისანი და შეკრებაჲ.[1] რაჟამს იქმნეს მთოვარე ნაწილსა[III] მას შინა, რომელსა შინა[IV] იყოს მზე, იშეებს, რაჟამს განეშოროს მზესა ნაწილითა ათხუთმეტითა, აღმოსჴვების, რაჟამს გამოჩნდეს მანგლის სახედ ორგზის, რაჟამს განეშოროს ნაწილითა სამეოცითა, ორგან კუეთილობს ორგზის. რაჟამს განეშოროს ნაწილითა ოთხმეოცდაათითა – ორკერძოეე ღურკნობს ორგზის. რაჟამს განეშოროს ნაწილითა ასოცითა, სავსე მთოვარე და ნათელ-სავსე არს ორგზის, რაჟამს განეშოროს ნაწილითა ასორმეოცდაათითა. ხოლო ყოველად მთოვარე არს, განეშოროს რაჲ ნაწილითა 67r I
ასოთხმეოცითა. ხოლო ორგზისობაჲ ეთქუთ ერთი აღორძინებისაჲ და ერთი მოკლებისაჲ. და ორთა დღეთა და ნახევრისა მიერ // წარ-
პელის[V] მთოვარე თითოეულსა ზოდსა.

22 /II, 8/ ჰაერისა[VI] და ქართათჳს[VII]

თავი კა

ჰაერი არს ნიეთი წულილი, ნოტიაჲ და ჴმელი, ცეცხლისასა უკუე უმძიმესი, ხოლო ქუეყანისა და წყალთასა უსუბუქესი, აღმოშუნვისა და ჴმა-ყოფისა მიზეზი, უფერული, ესე იგი არს, ბუნებისაგან არა მომგებული ფერისაჲ, ორ-სახე, ორ-საჩინოჲ, რამეთუ ნათლისა არს შემწყნარებელ და ბნელისა, და მსახურ სამთა გრძნობათა ჩუენთა, რამეთუ მის მიერ ჴხედავთ და გუესმის და ვიყნოსთ, შემწყნარებელი სიცხისა და სიგრილისაჲ, სიჴმელისა და სინოტიისაჲ, რომლისანი არიან ყოველნი ადგილითი-ადგილადნი ძრვანი: ზემო, ქუემო, გარე, შინა, მარჯუნით, მარცხნით და მრგულივე მოვლითი[VIII] მოძრაობაჲ. შინაგან არა მჴნებელი ნათლისაჲ, არამედ მზისაგან და მთოვარისა და ვარსკულავთა და ცეცხლისა განათლებადი

[1] დედანშიც გამოყოფილია ეს ქვესათაური, M გამოცემაში და მისგან მომდინარე ნუსხებში – არა.

[I] ღრიაკალი M. [II] <M. [III] ანწილსა M. [IV] <M. [V] წპარელის M. [VI] ჰაერისათჳს M. [VII] და ქართათჳს <M. [VIII] მოელით M.

ეითარმედ „ბნელი იყო ზედა უფსკრულთა“[1] რამეთუ ენება მას ჩუენებად, ეითარმედ არა თავით თჳსით აქუს ჰაერსა ნათელი, არამედ სხუაჲ რაჲმე არს არსებაჲ ნათლისაჲ.

ხოლო ქარი არს აღძრეაჲ ჰაერისაჲ და ადგილ მისსა არს ჰაერი. და ადგილი თითოეულისა გუამებისა არს გარე-მოელაჲ მისი, რამეთუ რასა სხუასა შეუცვან გუამნი, თუნიერ ჰაერისა.

ხოლო არიან ადგილნი თითო-სახენი, რომელთაგან იქმნების აღძრეაჲ ჰაერისაჲ, რომელთაგან მოუღიეს ქართაცა სახელისდებაჲ. და ყოველნივე იგი ათორმეტ არიან.

ხოლო იტყჳან ჰაერსა ანუ დაჳანებისაგან ცეცხლისა ყოფად, ანუ ორთქლად წყლისა გამტფრისა.

არს უკუე ჰაერი ბუნებითა თჳსითა მჴურვალ, ხოლო განგრილდების, მეზობელ რაჲ იქმნას წყლისა და ქუეყანისა, ეინაჲცა ქუემო კერძოჲ მისი გრილ არს და ზენაჲ კერძი მჴურვალე.[2] ქარი არს სიმრავლე მჴურვალისა და ჴმელისა აღორთქლებისა, მოძრაჲისაჲ ქუეყანასა ზედა.[3] ხოლო ქრიან ქარნი აღმოსავალით უკუე საზაფხულოთ კეკიაი, აღმოსავალით დღეთა გასწორებისათ აპილიოტი, აღმოსავალით საზამთროთ ევროსი და დასავალით საზამთროთ ლიფსი, დასავალით დღეთა გასწორებისათ ზეფიროსი, დასავალით საგაზაფხულოთ არგესტი, რომელ არს ულუმპიაი, და იაპჳქსი და ერღასტი, მერმე ნოტოსი და აპარკტიაჲ ურთიერთას წინა-აღმდგომად ქრიან, და ესრეთ საშუალ აპარკტიოჲსა და კეკიოჲსა – ბორეასი, ხოლო ევროსისა და ნოტოსისა საშუალ – ფუნიქსი, რომელსაიგი ევრო-ნოტოსად უწესენ. ხოლო საშუალ ნოტოსისა და ლიეაჲსა – ლიეო-ნოტოსი და ლეეკო-ნოტოსი, ხოლო საშუალ აპარაკტიოჲსა და არგესტოჲსა – თრასკეაი, რომელ არს კირკიო[დ] სახელ-დებული იგი სპარსთაგან.[4] ხოლო არიან ყოველნივე ათორმეტ, რომელთა გარე-მოწერაჲ ესე არს.[5]

და ესე არს, რომლისათჳს იტყჳს წერილი, ეითარმედ „ბნელი იყო ზედა უფსკრულთა“,[1] მნებებელი გამოჩინებად, არამედ არა შინაგან თჳსსა მოუგიეს ჰაერსა ნათელი, არამედ სხუაჲ რაჲმე არს არსებაჲ ნათლისაჲ.

ხოლო ქარი არს ძრეაჲ ჰაერისაჲ, და ადგილი ეიდრემე ჰაერისაჲ არს, რამეთუ ადგილ თითოეულისა სხეულისა არს გარე-შემცეელი რაჲმე მისი, ხოლო რასა სხუასა გარე-შეუცავნ სხეულნი, თუნიერ ჰაერისა?

ხოლო არიან ადგილნი თითო სახენი, სადაჲთ-იგი იქმნების ძრეაჲ ჰაერისაჲ, რომელთაგან ჰქონან ქართაცა სახელის-დებანი. ხოლო ყოველნივე არიან ათორმეტ.

არამედ იტყჳან ჰაერისათჳს, ეითარმედ დაშრეტილი ცეცხლი არს ანუ ორთქლი განმტფრისა წყლისაჲ.

არს[I] უკუე ჰაერი თჳსისა ეიდრემე ბუნებისაებრ მჴურვალე, ხოლო განგრილდების მეზობელ ქმნითა წყლისა და მიწისაჲთა, ვიდრემდის ქუენანი ეიდრემე კერძონი მისნი გრილ არიან, ხოლო ზენანი – მჴურვალე.[2] ქარი არს სიმრავლე მჴურვალისა[II] და ჴმელისა აღორთქლებისა, მოძრაჲისაჲ ქუეყანასა ზედა.[3] [III] ხოლო ქრიან 67r II
ქარნი აღმოსავალით უკუე საზაფხულოთ კეკიაი, აღმოსავალით დღეთა განსწორებისაჲთ აპილიოტი, აღმოსავალით საზამთროთ ეროსი და დასავალით საზამთროთ ლიფსი, დასავალით დღეთა განსწორებისაჲთ ზეფიროსი, დასავალით საგაზაფხულოთ არგესტი, რომელ არს ოლჳმპიაი და იაპჳქსი და ერღასტი. მერმე ნოტოსი და აპარკტიაჲ ურთიერთას წინააღმდგომად ქრიან. და ესრეთ საშუალ აპარკტიოჲსა[IV] და კეკიოჲსა – ბორეასი. ხოლო ევროსისა და ნოტოსისა საშუალი – ფუნიქსი, რომელსა-იგი ევრო-ნოტოსად უწესენ. ხოლო საშუალ ნოტოსისა და ლიეაჲსა – ლიეო-ნოტოსი და ლეეკო-ნოტოსი. ხოლო საშუალ აპარკტიოჲსა და არგესტოჲსა თრასკეაი,[V] რომელ არს კირკიოდ სახელ-დებული სპარსთაგან.[4] ხოლო[VI] არიან ყოველნივე ათორმეტ, რომელთა გარე-მიწერაჲ[VII] არს ესე...[5]

---

* ზ-ქარის შე-ნ ღ-ნ (ტექსტისაგან განსხვაებული ხელით).

[1] შეს., I, 2.

[2] ამ სიტყჳის შემდეგ თაჳის ბოლომდე ტექსტი გატანილია აშიაზე და არ ეკუთვნის ეურემ მცირეს, ეს ნაწყჳეტი არსენის თარგმანიდან შემდგომში გადმოუტანიათ ეფრემის ტექსტის აშიაზე.

[3] ეს წინადადება არ არის დედანში.

[4] დედანშია περιοίκων (გარშემო მცხოვრებთა, ადგილობრივ მკვიდრთა).

[5] ეს წინადადება არ არის დედანში, სამაგიეროდ იქ გვხვდება ერცელი პერიოდი, რომლის კვალი ქართულ თარგმანებში არ ჩანს.

[I] შეს., I, 2.

[II] ნემეს. ემეს., ბუნ. კაცისა, 5. <M.

[III] "ქარი არს სიმრავლე" და ა. შ. არ დასტურდება დედანში.

[IV] დედანშია: περιοίκων /გარშემო მცხოვრებთა, ადგილობრივ მკვიდრთა/ და არა περσικῶν. იხ. ჩვენი გამოკვლევის გვ. 73.

[V] ამ წინადადების ნაცვლად დედანში არის გეოგრაფიული ხასიათის ცნობები: „დედამიწაზე შემდეგი ხალხები ცხოვრობენ: ეთიოპთან – ინდოელები, ფინიკიასთან /κατὰ Φοίνικα/ მდებარეობს შეწამული ზღვა /ἐρυθρὰ θάλασσα/ და ეთიოპია; ლიბიონოსტორთან – გარამანტები, რომელნიც სირტის გაღმა მოსახლეობენ, ლიბას ქვემოთ – ეთიოპები–“ და ა. შ., მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ცნობები არ იყო დამახასიათებელი „გარდამოცემის“ ძველ მანუსკრიპტებისათვის.

[I] აწ M. [II] სიმრავლე მჴურვალისა – სიმჴურვალისა M. [III] ქარისათჳს თაჳი თ M. [IV] აპარკიოსა M. [V] თრასკეას M. [VI] და M. [VII] გარე-შოწერაჲ M.

თავი კბ

60v II და წყალიცა ერთი არს ოთხთა ნივთთაგანი, შუენიერი ქმნულთა შინა ღმრთისათა. არს უკუე წყალი ნელ, ნოტია და გრილ, მძიმე და შთაღმართ მავალ და ადვილად დასათხეველ, რამეთუ ამას მოიკსენებს საღმრთოი წერილი, ვითარმედ: „ბნელი იყო ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისაი იქცეოდა ზედა წყალთა“.[1] ცხად არს უკუე, ვითარმედ უფსკრული სხუაი არა-რაი არს, თუნიერ შეკრებაი წყლისა ფრიადისაი, რომლისა სიღრმე მიუწდომელ იყოს კაცთაგან.

რამეთუ დასაბამსა წყალი მომდინარე იყო პირსა ზედა ყოველსა ქუეყანისასა. ვინაიცა პირველად შექმნა ღმერთმან სამყაროი, განმაშორებელად შორის წყალთა,რომელნი არიან ზედა-კერძო სამყაროისა, და შორის წყალთა, რომელნი არიან ქუეშე-კერძო სამყაროისა, რამეთუ შორის უფსკრულისა და წყალთა დამყარება იქმნა ბრძანებითა სამეუფოითა.[2] ამისთჳსცა თქუა ღმერთმან და იქმნა სამყარო. ხოლო რაჲსათჳს ზენა-კერძო სა[მყარ]ოსა წყალნი დაადგი[ნნა], ცხად არს, ვითარმედ შემწუელობისათჳს მზისა და მჴურვალებისათჳს ეთერისა, რამეთუ მყის სამყაროსავე თანა ეთერი განფენილ არს. და მზე მთოვარითურთ და ვარსკულაებით სამყაროსა შინა არიან და უკუეთუმცა არა იყო ზედა-კერძო
61r I სამყაროისა წყალი, და-მცა-იწუა სიმჴურვალისაგან მათისა სამყაროი.

ამისსა შემდომად უბრძანა ღმერთმან „შეკრებაი წყალთაი შესაკრებელსა ერთსა“,[3] შესაკრებელად უკუე ერთად თქუმითა, არა ამას საცნაურ-ჰყოფს, ვითარმედ ერთსა ადგილსა შეკრბეს იგინი, რამეთუ აჰა ამისსა შემდგომად იტყჳს, ვითარმედ „შესაკრებელსა მას წყალთასა უწოდა ზღუებ“,[4] არამედ ესე საცნაურ-ყო, ვითარმედ თუსად-თუსად, განყოფილად ქუეყანისაგან, იქმნა შეკრებაი იგი წყალთაი, // ვინაიცა „შეკრბეს რაჲ წყალნი შესაკრებელსა მათსა, მყის გამოჩნდა ჴმელი“[5] და ამისთჳს ორთა ზღუათა შეუცავს ეგჳპტე, რამეთუ შორის ორთა მათ ზღუათა შეკრიბნა ღმერთმან მრავალნი უფსკრულნი და მთანი და ჭალაკნი და ველნი და ნაჲსადგურნი და წიაღნი თითო-სახენი და ზღუს კიდენი მოლბობილნი და ფიცხობილნი, მოთხობილნი და დაღრმობილნი. მოლბობილად უკუე უწოდთ ქუშროვანთა და ფიცხობილად – კლდოვანთა, მოთხობილად, სადა კიდე თხელ იყოს და დაღრმობილად, სადა მყის კიდესაე სიღრმე დაიწყებოდის. ამათდაე მსგავს არს აღ-
61r II მოსავალისა იგი უფსკრული,რომელსა ჰინდურ

[1] შეს., I,2.
[2] შეს., I, 7.
[3] შეს., I, 10.
[4] შეს., I, 10.
[5] შეს., I, 9.

თავი კბ

წყალიცა ერთი არს ოთხთა ნივთთაგანი, კეთილად დაბადებული ღმრთისაი. წყალი[1] არს ნივთი ნოტიაი და გრილი, მძიმე და ქუე-დამზიდველი და ადვილად დასათხეველი, რომელსა მოიკსენებს საღმრთოი წერილი, იტყოდის რა: „და ბნელი იყო ზედა უფსკრულისა და სული ღმრთისაი იქცეოდა ზედა წყლისა“.[1] რამეთუ უფსკრული არა რაჲ სხუაი არს, თუნიერ ფრიადისა წყლისა, რომლისა დასასრული მიუწჳომელ იყოს კაცთაგან.

აწ უკუე დასაბამსა ეიდრემე წყალი მოსდიოდა ყოველსა ქუეყანასა ზედა. და პირველად უკუე შექმნა ღმერთმან სამყაროი განყოფილად[II] „შორის წყალსა ზედა-კერძო სამყაროისასა,[III] რამეთუ საშუალ უფსკრულისა წყალთაჲსა დაემყარა იგი“[2] ბრძანებითა სამეუფოითა, რომლისათჳსცა სამყაროისა ქმნაი თქუა ღმერთმან და იქმნა. ხოლო რაჲსათჳს ზედა-კერძო სამყაროი წყალი დააფუძნა ღმერთმან? – მზისა და ეთერისა ყოველად მჴურვალისა შემწუელობისათჳს,რამეთუ მყის შემდგომად სამყაროისა ეთერი განფენილ არს, და მზე მთოვარისა თანა ვარსკულაება სამყაროსა შინა არიან. და არა თუმცა მდებარე იყო ზედა-კერძო მისსა წყალი, და-მცა-იწუა სამყაროი მჴურვალებისაგან.

ამისსა შემდგომად უბრძანა ღმერთმან წყალთა „შეკრებაი შესაკრებელსა ერთსა“,[3] ხოლო შესაკრებელისა ერთისა თქუმაი არა ცხად- 67v I
ჰყოფს ერთსა ადგილსა[IV] შეკრებასა მათსა? რამეთუ, აჰა, ეგერა შემდგომად მისსა იტყჳს: „და შესაკრებელსა წყალთასა უწოდა ზღუებ“.[4] არამედ გათუსებულად ქეყანისაგან ერთბამად შეკრებაი წყალთაი წარმოაჩინა სიტყუამან: // “შეკრბეს უკუე წყალნი შესაკრებელსა
904 მათსა და გამოჩნდა ჴმელი“.[5] ამიერ ორნი ზღუანი გარე-შემცველნი ეგჳპტისანი, რამეთუ საშუალ ორთა ზღუათა მდებარე არს იგი, შეიქმნნეს თითო სახენი უფსკრულნი მთათა და ჭალაკთა და ველთა და ნაჲსაყუდელთა მქონებელნი და თითო სახეთა წიაღთა გარეშემცველნი[V] ზღჳს პირთა და აკრათანი, რამეთუ ზღუს პირად უკუე ქუშრობი ითქუმის, ხოლო აკრად კლდოანი და მყის ღრმაი, რომელსა სიღრმე მოაქუნდეს მეყსეულად დაწყებასავე თანა. ეგრეთვე აღმოსაელურიცა იგი, რომელსა ჰინდოეთისად სახელ-ედების,

[1] შეს., I,2.
[2] შეს., I, 7.
[3] შეს., I,10.
[4] იქვე.
[5] შეს., I,9.

[I] <M. [II] განმყოფელად M. [III] +და წყალსა ქუეშე-კერძო სამყაროისასა M [IV] +შინა M. [V] გარე-შემცველი M.

ეწოდების და ჩრდილოეთისაჲ, რომელსა კასპია სახელ-ედების და ამათგანეე შეკრების ნაეთ-საყუდლები.

არს უკუე უკიანოსი, ეითარცა მდინარე რაჲმე გარე-მომველელი ყოულისა ქუეყანისაჲ, რომლისათჳს მეტყუელად მგონიეს მე საღმრთოჲ წერილი, ეითარმედ „მდინარე გამოვიდოდა სამოთხით“,[1] კეთილი სარწყაედ და ტკბილი სასუამად, ვინაჲცა მიანიჭოს რაჲ წყალი თუსი ზღუათა და დაიყოენოს მათ შორის, მწარე იქმნების მრავალ-ეამ შეუძრეელ[ად] დგომითა, რაჟამს მარადის მზე და სიფონნი აღმოიწრედდენ უწულილესსა მისსა, ვინაჲ-იგი იქმნების შეკრებაჲ ღრუბელთაჲ, რომელთა შინა განთესეითა დატკბების წყალი იგი წუმისაჲ.

ესეეე უკიანოსი ოთხად თავად, ესე იგი არს, ოთხად მდინარედ განიყოფვის, სახელი პირველისაჲ მის ფისონ,[2] რომელ არს ჰინდოეთს და მათ მიერ ტანგ (sic) ეწოდების და გარემოჰველის ქუეყანასა ეელათისასა, სადა-იგი არს ოქროჲ და ქვაჲ კაპოტი. და სახელი მეორისაჲ მის არს გიონ,[3] ესე იგი არს, ნილოსი, რომელი-იგი შთამოეალს ჰინდოეთით ეგჳპტეს და სახელი მესამისაჲ მის არს ტიგრისი[4] და სახელი მეოთხისაჲ მის არს ეეფრატი.[5]

არიან უკუე სხუანიცა მრაეალნი და დიდნი მდინარენი, რომელთაგანნი რომელნიმე ზღუასა
61v I შესხდიან, ხოლო რომელნიმე ქუეყანასაეე შთაინთქმიან ეინაჲცა ყოეელი ქუეყანაჲ ქუეშე კერძო რეცა ნაკადულოვანად დაჲებული არს და ვითარცა ნესტუნი რაჲმე ჰქონან, რომელთა მიერ ზღუთ უკ-მოიზიდავს წყალსა და მიერ აღმოაცენებს წყაროებსა, ვინაჲცა რომელობისაებრ ქუეყანისა იქმნების ვითარებაჲცა წყაროთა წყლებისაჲ. რამეთუ განითესების და განიყოფების წყალი ზღუსაჲ ქუეშე-კერძო ქუეყანისა და ესრეთ დაატკბობს მას ქუეყანაჲ. ხოლო ვითარიცა იყოს მიწაჲ ადგილისაჲ მის, რომელსა წყაროჲ აღმოდიოდის, მწარე, გინა ტკბილ, ეგეეითარიცა ყოფად არს წყალი მიერ აღმომდინარე, ხოლო განჴურეებაჲ წყლისაჲ მაშინ იქმნების, რაჟამს შეიწრდეს და მძლავრ გამოდიოდის, ამისთჳსცა თუთ ბუნებითად იქმნების აღმოცენებაჲ ტფილთა წყალთაჲ.[6]

ესრეთ უკუე ბრძანებითა საღმრთოჲთა დასაბამსაეე იქმნა ქუეყანასა შინა // ღელეები 905
და მთხრებლები, რათა „შეკრბენ წყალნი შესაკრებელსა მათსა“[7] და უბრძანა ღმერთმან წყალთა გამოღებად სამშუნეელი ცხოველი[8] რაჲსათჳსმე, გარნა ამისთჳს, ვინაჲთგან ეგულებოდა უკუანაჲსკნელთა ჟამთა წყლითა და სულითა, რომელი დასაბამსა იქცეოდა მათ

[1] შეს., 2, 10.
[2] შეს., 2, 11.
[3] შეს., 2, 13.
[4] შეს., 2, 14.
[5] იქვე.
[6] ბასილი დიდი, ექუსთა დღ., 4.
[7] შეს., 1, 9.
[8] შეს., 1, 20.

და ჩრდილოჲსაჲ, რომელსა უწოდენ კასპიად. ხოლო ტბანიცა ამიერეე შემოკრბეს.[1]

არს უკუე ოკეანოჲ ეიდრემე, ეითარცა მდინარე რაჲმე, გარე-მომცველი ყოლისა ქუეყანისაჲ, რომლისათჳს იტყოდა, ეითარ მე ეგონებ, საღმრთოჲ წერილი, ეითარმედ: „მდინარე გამოეალს სამოთხით“,[2] სასუამისა და ტკბილისა წყლისა მჭონებელი, ესე მიანიჭებს წყალსა ზღუათა, რომელსა დაეყოენოს რაჲ, ზღუათა შინა დადგეს უძრავად, მწარე იქმნების, მზისა და სიფონთა მიერ მარადის აღწობებითა უწულილესისაეთა, სადაეთ-იგი ღრუბელნიცა შენიეთდებიან და წუმანი იქმნებიან დაწურეისა[3] მიერ დატკბობითა წყლისაეთა.

ესე ოთხთა დასაბამთა,[4] ესე იგი არს, ოთხთა მდინარეთა მიმართ განიყოფვის: სახელი ერთისაჲ ფისონ,[5] რომელსა ღანგის სახელ-ედების ჰინდურად.[III] და სახელი სხჳსაჲ გეონ,[6] ესე იგი არს, ეთიოპიაეთ ეგჳპტედ შთამომაეალი ნილისი.[IV] და სახელი მესამისაჲ ტიგრისი,[7] ხოლო მეოთხისაჲ ეეფრატი.[8]

არიან უკუე სხუანიცა მრაეალნი და დიდნი მდინარენი, რომელთაგანნი რომელნიმე ზღუასა შთააასხმენ, ხოლო რომელნიმე ქუეყანასა შინა[V] განილეეიან. ეინაჲცა ყოეელი ქუეყანაჲ ნესუტოანი არს და სოროანი და, ეითარცა ძარღუთაჲ რაჲთამე მჭონებელი მათი, რომელთა მიერ ზღუთ მომზიდეელი წყალთაჲ აღმოაცენებს წყაროთა.

და ეითარებისაებრ მიწისა იქმნებიან წყალ- 67v
ნიცა წყაროთანი, რამეთუ დაიწურვის და დათ/ხ/ელდების მიწისა მიერ წყალი ზღუსაჲ და ეგრეთ დატკბების. ხოლო უკუეთუ ადგილი, სადაეთ იგი წყაროჲ აღმოდიოდეს, მწარე იყოს, ანუ მარილიანი, ქუეყანასა მისებრი[VI] აღმოეცენების წყალიცა. ხოლო შეიწრდეს რაჲ მრაეალგზის წყალი და იძულებით აღმოდიოდეს, განტყების. ამიერ არიან თუთ ტფილად აღმომდინარენი წყალნი.[9]

აწ უკუე საღმრთოჲთა ბრძანებითა // მთხრებლნი იქმნნეს ქუეყანასა შინა და ესრეთ „შესაკრებელსა მათთა შეკრბეს წყალნი“.[I] ამიერ იქმნნეს მთანიცა. და პირეელად უკუე წყალთა უბრძანა ღმერთმან გამოღებაჲ სულისა ცხოველისაჲ,[9] ვინაჲთგან ეგულებოდა

[1] შეს., 2, 10.
[2] შეს., 2, 10.
[3] შეს., 2, 11.
[4] შეს., 2, 13.
[5] შეს., 2, 14.
[6] იქვე.
[7] ბას. დიდ., ექუსთა დღ., 4.
[8] შეს., 1, 9.
[9] შეს., 1, 20.

[I] შემოკრბების M. [II] წურვისა M. [III] პინდოურად M. [IV] ნილოსი M. [V] <M. [VI] მისებრ <M.

ზედა,[1] განახლებაი კაცთაი, რამეთუ ამას ეს-
61v II რეთ იტყუს წმიდაი და საკრველი ბასილი,
ვითარმედ ამის მიზეზისათუს ებრძანა წყალთა
გამოღებაი სამშუნველთა ცხოველთაი დიდთა
და მცირეთა, მჭვცთა და ეეშაპთა, თეუზთაი
და რაოდენნი რაი ცურვენ წყალთა შინა და
მფრინველთა ფრთოვანთაი.[2] აწ უკუე საცნაურ
არს, ვითარმედ მფრინველთა მიერ შეიერთე-
ბიან წყალნი და ქუეყანაი და ჰაერი, რამეთუ
წყალთაგან იყუნეს მფრინველნი და ქუეყანასა
ზედა იქცეევიან და ჰაერსა შინა ფრინვენ.

კეთილ უკუე არს წყალი, ფრიად საჭმარ
და განმბანებელ ბიწთა, არა ხოლო ჴორცთასა,
არამედ სულისასაცა. უკუეთუ ოდენ იქმნას მას
ზედა გარდამოსლვაი სულისა წმიდისაი.

წყლისა მიერ და პირველითგან წყალთა ზედა
შექცევისა სულისა წმიდისა განახლებაი
კაცისაი. რამეთუ ესრეთ[1] იტყუს საღმრთოი
ბასილი: და გამოიხუნა ცხოველნი მცირენი
და დიდნი, მხეცნი და ეეშაპნი, და თეუზნი,
მაეალნი წყალთა შინა და მფრინველნი
ფრთოანნი. ვინაიცა[II] მფრინველთა მიერ შეი-
ყვანეს მაშინ წყალი და ქუეყანაი და ჰაერი.
რამეთუ წყალთაგან უკუე იქმნეს იგინი და
ქუეყანასა ზედა იქცეოდეს და ჰაერთა შინა
ფრინეიდეს.

ხოლო კეთილი ნივთი არს წყალი და საჭ-
მარებაჲ-მრავალი და განმწმედელი ბიწთაი არა
ხოლო ჴორციელთა, არამედ სულიერთაცა,
უკუეთუ მიიღოს მადლი სულისაი.[1]

24 /II, 10/ ქუეყანისა და ქუეყანისგანთათჳს[1] 908

თაჳი კდ

ქუეყანაი ერთი არს ოთხთა ნივთთაგანი,
ჴმელი და ნოტიაი, მძიმე და უძრავი, რომელი-
იგი არა-არსისაგან არსად დამბადებელისა
მიერ პირველსავე დღესა მოყუანებულ იქმნა,
ვითარცა გესჱის წერილისაი – „დასაბამადო,
– იტყჳს, – ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაი“.[2]
რომლისა-იგი დაფუძნებაი და დამყარებაი
ერვინ კაცთაგანმან შეუძლო გამოთქუმად,
რამეთუ ვიეთმე თქუეს წყალთა ზედა და-
ფუძნებაი და დამყარებაი მისი, ვითარცა იტყჳს
საკრველი დაჳით, ვითარმედ „რომელმან
დააფუძნა ქუეყანაი წყალთა ზედა“[3] და სხუ-
62r I ათა თქუეს ჰაერსა ზედა. ხოლო სხუამან
თქუა, ვითარმედ, „რომელმან დაამყარა ქუე-
ყანაი არა-რასა ზედა“.[4] და კუალად ღმრთის
გამომეტყუელი დაჳით, ვითარცა პირითა
დამბადებელისაჲთა, ესრეთ იტყჳს, ვითარმედ
– „მე დაჳამყარენ სუეტნი მისნი“.[5] ცხად არს,
ვითარმედ ძალსა მპყრობელობისასა სუეტად
უწოდს. ხოლო „ზღუასა ზედა დაფუძნებითა“[6]

24 /II, 10/ ქუეყანისა და მისგანთათჳს[III]

თაჳი კბ

ქუეყანაჲ ერთი არს ოთხთა ნივთთაგანი,
ჴმელი და გრილი და მძიმე და უძრაჲ,
არა-მყოფობისაგან ყოფად პირველსა დღესა
მოყუანებული ღმრთისაგან, რამეთუ დასაბამსა
იტყუს: „ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ“,[2]
რომლისა სიმყარესა და სიმტკიცესა[IV] ვერვინ
კაცთაგანი შემძლებელ არს გამოთქუმად, რა-
მეთუ რომელნიმე უკუე წყალთა ზედა იტყუან
დამყარებასა მისსა, ვითარცა ჴმობს საღმრთოი
დაჳით, ვითარმედ: „რომელმან დაამყარა ქუ-
ეყანაი წყალთა ზედა“,[3] ხოლო რომელნიმე –
ჰაერსა ზედა. ხოლო სხუაი იტყუს: „რომელმან
დააფუძნა ქუეყანაჲ არა რასა ზედა“.[4] და
კუალად საღმრთოი დაჳით, ვითარცა პირისა-
გან დამბადებელისა, იტყუს: „მე დაჳამტკიცენ
სუეტნი მისნი“[5] – შემამტკიცებელობითისა
ძალისა მისისა სუეტად სახელის-მდებელი.
ხოლო „ზღუათა ზედა დაფუძნებაი მისი“[6]
ცხად-ჰყოფს ყოელით-კერძო ქუეყანისაჲთ
გარე-მოდინებასა წყალთა ბუნებისასა. 68r I

[1] შეს., I, 2.
[2] ბასილი დიდი, ექუსთა დღ., 8.
[3] ამ თაჳის წინ ბერძნული ტექსტის გამოცემა'ში მო-
ქცეულია ქეეთაჳი ზღეათათჳს (περὶ πελαγῶν, ლათ.
De maribus, sive aequoribus, PG, col. 905), რომელ'შიც
გადმოცემულია გეოგრაფიული ხასიათის ცნობები.
როგორც ჩანს, ეს პარაგრაფი ინტერპოლაცია უნდა
იყოს, რომელიც ზოგიერთ ბერძნულ ხელნაწერში
გამოჩენილა. არ იყო იგი დადასტურებული არც
იმ ხელნაწერებში, რომელნიც საფუძლად დაედო
ლეკიენის გამოცემას, მაგრამ, მიუხედაჲად ამისა,
ბერძნული ტექსტის გამომცემლებს იგი მაინც შეუ-
ტანიათ ძირითად ტექსტ'ში. უნდა აღინიშნოს ისიც,
რომ, როგორც რედაქციის შენი'შენიდან ჩანს (PG,
col. 905), ამ ნაწყვეტს იმ ხელნაწერებ'შიც, სადაც იგი
დადასტურებულია, მყარი ადგილი არ ჰქონია და
სხეადასხეა თაეთან გეხედებოდა. ქართული თარგ-
მანების მიერ ამ ნაწყვეტის უგულებელყოფა (იგი არც
არსენს უთარგმნია) კიდეე უფრო გეარწმუნებს, რომ
Περὶ πελαγῶν არ უნდა იყოს აეთენტური ტექსტი.
[4] შეს., I, 1.
[5] ფსალმ., 85, 6.
[6] იობი, 26, 7.
[7] ფსალმ., 74, 4.
[8] ფსალმ., 23, 2.

[1] ბასილი დიდი, ექუსთა დღ., 8. ამ თაეს დედან'ში
მოსდევს პარაგრაფი Περὶ πελαγῶν /ზღეათათჳს/, რო-
მელიც არა თუ არცერთ ქართულ თარგმან'ში არა
გეხედება, არამედ ბერძნული გამოცემის რედაქციის
შენიშენით არ იყო არც ძეელ ბერძნულ ხელნაწერებ-
ში, იმ ნუსხაშიაც კი, რომელიც საფუძლად დასდებია
ჯერ ლეკიენის, ხოლო შემდგომ მინის გამოცემას. იმ
ხელნაწერებ'შიც, სადაც ეს ქეეთაი გეხედება, ჩანს,
მას მყარი ადგილი არ ჰქონია და ზოგ ნუსხაში
სხეა თაეთან მოხეედრილა. ეს გარემოება, ცხადია,
არ ლაპარაკობს ამ პარაგრაფის აეთენტურობის
სასარგებლოდ.
[2] შეს., I, 1.
[3] ფსალმ., 85, 6.
[4] იობი, 26, 7.
[5] ფსალმ., 74, 4.
[6] ფსალმ., 23, 2.

[I] <M. [II] ეინაი M. [III] მისთაგანთათჳს M. [IV] სიმყარესა და სიმტკიცესა DM.

ამას ცხად-ჰყოფს, ეითარმედ ყოელით-კერძო მოუცავს ქუეყანაი ბუნებასა ყოელთასა.

აწ უკუე გინა თუ თავით თუსით დგომასა ანუ პაერსა, გინა თუ წყალთა ზედა ვიტყოდით დაფუძნებასა ქუეყანისასა და გინა თუ არარასა ზედა მიესცეთ დაფუძნებაა, ჯერ-არს, რათა არა ოდეს განვეყენნეთ კეთილად მსახურსა გულის სიტყუსა, არამედ რაითა აღვიარებდეთ, ეითარმედ ყოველივე ერთბამად უპყრიეს და შეუცაეს ძალსა დამბადებელისასა.

რამეთუ დასაბამსა, ეითარ-იგი იტყჳს საღმრთოი წერილი, „წყალთაგან დაიფყარეოდა ქუეყანაი და იყო განუმზადებელ",[1] ესე იგი არს, შეუმკობელ. ხოლო ბრძანა რაა ღმერთმან და იქმნნეს საუნჯენი წყალთანი და მაშინღა განისაზღჳრნეს მთანი და ბრძანებითა საღმრთოთა ქუეყანამან მიიღო სამკაული თუსი და განშუენდა თითო-ფერითა მწუანვილითა და სიმრაელითა ნერგთაითა, რომელთა-იგი მისცა ბრძანებამან საღმრთომან ძალი აღორძინებისა
62r II და მზრდელობისა და თესლის გამოღებისაი, რომელ არს შობაი მსგაესისაი.

და მითუე ბრძანებითა დამბადებელისაითა შემოკრბა ყოელი ნათესაჳი ცხოველთა, ქუეწარმაეალთა და მჴეცთა და პირუტყუთაი, ყოველივე ჯამიერად საჴმრად კაცისა. ეინაიცა ამათგანი რომელნიმე არიან საჴმელ, ეითარ-იგი ირემი და ცხოვარი და ქურციკი და სხუანი ესევითარნი. ხოლო რომელნიმე სამსახურებელად, ეითარ-იგი არიან აქლემნი, ზროხანი, ცხენნი და კაჭრაულნი და სხუანი ესევითარნი, ხოლო რომელნიმე საშუებელად თუალთა და განსაცხრომელად, ეითარ-იგი არს ციდა-მტკაველი და მფრინველთაგანნი შაშუ და ჩხიკუ.

ხოლო ნერგთაგან და მწუანვილთა რომელნიმე ნაყოფიერებად და საჴმელად და რომელნიმე სულნელებად და ყუაჲილოვნად საშუებელად ჩუენდა მონიჭებულ არიან, ეითარ-იგი არს ვარდი და სხუანი ესევითარნი.

ხოლო რომელნიმე საკურნებელად სენთა. რამეთუ არა რაჲ არს ცხოველთა და ნერგთაგანი, რომელი არა მოქმედებად რადმე საჴმრისა რაისმე კაცთაისა დაუბადებიეს დაბადებელსა. რამეთუ რომელმან-იგი პირველ-ყოფადმდე ყოველთა[2] უწყის ყოველი, უწყოდა, ეითარმედ ეგულების კაცსა თუთ-მფლობელობისა მიერ გარდასლეაი მცნებისაი და შთაერდომაი სრწნილებასა, ამისთჳსცა წინაითუე ჯამიერად
62v I საჴმრად მისსა მოუმზადა ყოველი, რაოდენი რაჲ არს სამყაროსაი, რაოდენი ქუეყანისაი და რაოდენი წყალთა შინა.

// რამეთუ პირველ გარდასლეისა ყოველივე ესე სამთაერო და მონა იყო კაცისა, ეინაითგან მთაერად დაედგინა იგი ღმერთსა ყოელისაეე, რაოდენი არს ქუეყანასა ზედა და წყალთა შინა. ვინაიცა გულიცა ჩუეულ იყო თანა-

[1] შეს., I, 2.
[2] დან., I3 42.

აწ უკუე გინა /თ/უ თავისა თუსისა ზედა, გინა თუ პაერსა ზედა, გი/ნა/ წყალთა ზედა, გინა არარასა ზედა მიესცეთ მას დამყარებაი, ჯერ-არს, რათა არა განვეყენნეთ კეთილად მსახურთა გულის სიტყუათა, არამედ ერთბამად ყოველთასაცე ძალითა დამბადებელისაითა აღეიარებდეთ მართებასა და პყრობასა.

ვინაიცა დასაბამსა ვიდრემე, ეითარცა[1] იტყჳს წერილი,— „წყალთაგან დაფარულ და განუმზადებელ",[1] ესე იგი არს, შეუმკობელ იყო, ხოლო ბრძანებითა ღმრთისაითა შესაკრებელნი წყალთანი შეიქმნნეს და მაშინ მთანი გამოჩნდეს. მაშინ საღმრთოთა ბრძანებითა სამკაული თუსი მიიღო ყოელით-კერძოთა მწუანვილთა და ნერგთა მიერ განშუენებულმან, რომელთა შორის დადეა ბრძანებამან საღმრთომან ძალი აღორძინებითი და მზრდელობითი და თესლოვნებითი, ესე იგი არს, მსგაესისა მშობელობითი.

ხოლო გამოიღო ბრძანებითა დამბადებელისაითა ყოველი ნათესაჳი ცხოველთაი, ქუეწარმაეალთა და მჴეცთა და მფრინველთაი. ყოველნი უკუე ჯამიერად საჴმრად კაცისა. არამედ[II] მათგანნი[III] რომელნიმე საჴამადდ, ეითარ-იგი ირემნი, ცხოვარნი, ქურციკნი და ეგევითარნი, ხოლო რომელნიმე სამსახურად, ეითარ-იგი აქლემნი, ზროხანი, ცხენნი, ეირნი და ეგევითარნი. ხოლო რომელნიმე განსაცხრომელად, ეითარ-იგი მაიმუნნი და მფრინველთაგანნი ჩხიკუნი, ბაბღანი და ეგევითარნი და ნერგთაცა და მდელოთაგანნი, რომელნიმე ნაყოფიერნი და ჰამონი, ხოლო რომელნიმე სულნელნი და ყუაჲილოანნი,[IV] საშუებელად ჩუენდა მოცემულნი, ეითარ-იგი ვარდი და ეგევითარნი.

ხოლო რომელნიმე საკურნებელად სნეულებათა, რამეთუ არა არს არცა ცხოველი, არცა 68r
ნერგი, რომელსა შინა არა დადეა დამბადებელმან მოქმედებაი რაიმე საჴმარი საჴმარებისა მიმართ კაცთაისა, რამეთუ უწინარეს ქმნისა მათისა[2] მეცნიერმან ყოველთამან უწყოდა, ეითარმედ ეგულების კაცსა თუთმფლობელობითა გარდამეაეალ-ყოფაი და ხრწნილებისა თანამდებ-ყოფაი და ყოველნიე ჯამიერად საჴმრად მისსა სამყაროსაცა შინა და ქუეყანასა და წყალთა დაბადნა.

909 // და უწინარეს ვიდრემე გარდასლჳისა ყოველნიე ჴელის ქუეშე იყუნეს კაცისა, რამეთუ მთაერად დაადგინა იგი ღმერთმან ყოელთაეე ქუეყანისა და წყლისა შინათა.

[1] შეს., I, 2.
[2] დან., I3, 42.
[I] <M. [II] <M. [III] ამათგანნი M. [IV] ყუაჲილოვანნი M.

ქცევად კაცისა და უფროს სხუათასა თანა-
ექცევინ მას და მიეალნ მისსა ძრვითა შუა-
ნიერითა და შემთხუევითა სახარულევანითა,
ვინაცა მის მიერ ბოროტი იგი განზრახეაჲ
პირველთა მათ მამათა მიუთხრა დასაბამმან
მან ბოროტთამან. და ქუეყანაიცა თავით თუსით
მოიღებდა ნაყოფთა საკმრად კაცისად დამო-
ნებულთა მათ ცხოველთა და არცა წყმაი იყო
ქუეყანასა ზედა, არცა თოვლი.

ხოლო შემდგომად მცნებისა გარდასლეისა,
რაჟამს იგი „ებაძეა კაცი პირუტყუთა უგუნურ-
თა და მიემსგავსა მათ“ [1] და პირუტყულსა გუ-
ლის-თქუმასა სამთაეროდ მოუმზადა სიტყჳერი
იგი გონებაი თუსი და უსმ იქმნა სამეუფოჲსა
მის მცნებისა, მიერთაგან განდგა ღმრთიე
დადგინებულსა მას მთავარსა სამთაეროჲ მის-
სა მიცემული იგი ბუნებაი დაბადებულთაჲ.[2]

62v II არამედ არცაღა ან უკმარ არს საკმარებაჲ
იგი მკეცთაჲ, რომელი-იგი მაშინებნ ჩუენ და
მეცნიერებად და წოდებად დამბადებელისა
მიმიყვანებს ჩუენ. და კუალად ეკალი იგიცა
შემდგომად მცნებისა გარდასლეისა აღმოჴდა
ქუეყანასა ზედა, განჩინებისაებრ უფლისა,
რომლისა თანა შეექუსა საკმარებაჲცა იგი
ვარდისაჲ, ხოლო თუთ ეკალი იგი მომაკსენებს
ჩუენ მცნებისა გარდამავალობასა, რომლისთჳს
ებრძანა ქუეყანასა ეკლისა და კუროჲსთ-
ვისა აღმოცენებაჲ ჩუენი.[3] და რამეთუ ესე
ყოველი ესრეთ არს, სარწმუნო იყავნ და
შემდგომისაგანცა სიტყჳსა საუფლოჲსა, რომ-
ელი-იგი საქმით აღსრულებულ არს, ეითარმედ
„აღორძნდით და განმრაელდით და აღავსეთ
ქუეყანაჲ“.[4]

ხოლო ეიეთნიმე იტყჳან ქუეყანასა მრგუ-
ლის სახედ და სხუანი მოთხეითად. გარნა
ყოველსაე ზედა, ეითარიცა არს, ფრიად რაჲმე
უმცროჲს არს იგი ზეცისასა, რამეთუ, ეითარცა
წამი რაჲმე, დამოკიდებული არს მისდა. და
იგიცა წარმაეალ არს და იცჳალების. ხოლო
ნეტარ არს, რომელი ღირს იქმნას მკჳდრობად
ქუეყანასა ძას მ̃შ̃ჲდთასა,[5] რაჲეთუ ქუეყანაჲ
იგი, რომელი დამკჳდრებად უც წმიდათა,
უკუდაე და დაუსრულებელ არს. ვის-მე უკუე
ღირსებით დაუკჳრდეს მიუწდომელი იგი და
63r I გამოუთქუმელი სიბრძნე დამბადებელისაჲ.
ანუ ვინ-მე მიაგოს შემსგავსებული მადლობაჲ
მომცემელსა ესოდენთა კეთილთასა.

ხოლო გუელიცა თანა-მქცევ[1] იყო კაცისა
უფროჲს სხუათასა,[II] მოუკდებოდის მას და
სახარულევანთა მოძრაჲობათა[III] მიერ რეცა
თუ ეძრახებოდის. რომლისათჳსცა ყოველად
ბოროტი იგი განზრახეაჲ მის მიერ მიუთხრა
პირველთა მამათა ბოროტთა დასაბამმან ეშ-
მაკმან. და ქუეყანაიცა თჳთ თაჲით თუსით
აღმოაცენებდა ნაყოფთა, რომელნი საკმარ
იყუნეს მორჩილთა მისთა ცხოველთა და არცა
წყმაი იყო ქუეყანასა ზედა, არცა ზამთარი.

ხოლო შემდგომად გარდასლეისა, რაჟამს
„ებაძეა პირუტყუთა უგუნურთა და მიემსგავსა
მათ“[1] და მთავარ-ყო თავსა შორის თჳსსა
პირუტყჳ[IV] გულისთქუმა სიტყჳერსა გონებასა
ზედა[V] ურჩ-ქმნილმან სამეუფოჲსა მცნები-
სამან, ზედა აღუდგა დამბადებელისა მიერ
ჴელთ-დასხმულსა მთავარსა სამთაეროჲ მისი
დაბადებული და დაესაჯა ოფლითა მშრო-
მელ-ყოფაჲ ქვეყანისა, რომლისაგან მოღებულ
იყო.[2]

არამედ არცა აწ უკმარ არს საკმარე-
ბაჲ მკეცთაჲ, ეითარცა შიშის დამდებელი
და მეცნიერებად და ხიდად შემოქმედისა
ღმრთისა მომყვანებელი. და ეკალნიცა შემ-
დგომად გარდასლეისა გამოიხუნა ქუეყანა-
მან განჩინებისაებრ უფლისა, რომლისა თანა
შეეუღლა საშუებელ ვარდისაჲ, ეითარცა
ჴსენებად გარდასლვისა მომყვანებელი ჩუენი,
რომლისა ძლით ეკალთ და კუროჲს თავთა
აღმოცენებად ჩუენდა დაისაჯა ქუეყანაჲ. და
ეითარმედ ესრეთ მტკიცე არიან ესენი, გურ-
წამს ვიდრე[VI] მოაქამდე მოქმედებითა მათ
შორის საუფლოჲსა სიტყჳსაჲთა, რომელი თქუა:
„აღორძნდით და განმრაელდით და განაესეთ
ქუეყანაჲ.[3]

ხოლო ეიეთნიმე სფერის სახეობასა იტყჳან
ქუეყანისასა და სხუანი კაცის სასეობასა.[4]
ხოლო უკნისეს და ყოელად უმცირეს არს
ცისა ეითარცა წერტილი რაჲმე საშუალ
მისსა დამოკიდებული, გარნა იგიცა წარეალს
და შეიცცელების. ხოლო ნეტარ არს იგი,
რომელმან დაიმკჳდროს ქუეყანაჲ მ̃შ̃ჲდთაჲ,[5]
რამეთუ ყოფადსა საუკუნესა შემწყნარებელი
იგი წმიდაჲ ქუეყანაჲ უკუდაე არს. ვის-მე უკუე
ღირსებით დაუკჳრდეს მიუწოომელი იგი და
გამოუთქუმელი სიბრძნე დამბადებელისაჲ, ანუ
ეინ ჯეროანი შეწიროს მადლობაჲ ესოდენთა
კეთილთა მომცემელისა მიმართ?!

[1] ფსალმ., 48, 13.
[2] შეს., 3, 9.
[3] შეს., 3, 18.
[4] შეს., 1, 22, 28.
[5] მათე, 5, 4.

[1] ფსალმ., 48, 13.
[2] შეს., 3, 9.
[3] შეს., 1, 22, 28.
[4] დეფ.: σφαιροειδῆ δὲ τινὲς φασι τὴν γῆν, ἕτεροι δὲ κω νοειδῆ /ზოგნი იტყჳან სფერის სახეობას ქეყნისა, ხოლო სხუანი კონუსის სახეობას.
[5] მათე, 5, 4.

[I] თანა-მქცევი MH. [II] სხუათა M. [III] მოძრაობათა M. [IV] ბოროტი MG. [V] შინა CM. [VI] ეითარმედ M.

25 /II, 11/სამოთხისათუს

თავი კე

// ვინათგან უკუე ეგულებოდა ღმერთსა უხილაეისაგან და ხილულისა დაბადებულისა დაბადებაი კაცისაი ხატად თუსად და მსგავსებად და, ვითარცა მეფისა რაჲსმე და მთავრისა ქუეყნისაჲსა, მას შინა დადგინებაი მისი. ვინაჲცა ესევითარსა მას კაცსა უჴმდა წინა-განმზადებაი საეანისაი, რომელსა შინა ქცეულითა აქუნდეს სანატრელი და ყოელად საწადელი ცხორებაი, ესე იგი იყო საღმრთოი სამოთხე, რომელი-იგი ღმრთისა ჴელითა დასხმულ იქმნა ედემს საუნჯედ ყოელისა სიხარულისაა და მხიარულებისა, // რამეთუ ედემი საშუებელად გამოითარგმანების, რომელი-იგი არს აღმოსავალს უმაღლეს ყოელისა ქუეყანისა, კეთილად შეზაებული სიწლოსთა ჰაერისაითა და განწმედილად ბრწყინეალე, აღსაესე ნერგითა მარადის აღუუაებულითა და სულნელებითა აღსაესითა და გარდაცემული ნათელითა, რომლისაი იგი სიკეთე ზე'მთა აღემატების ყოველთაეე სახილველთა და საგრძნობელთა და უფროჱს არს გონებათა, ნამდჱლეე შემსგავსებული ადგილად
63r II საღმრთოდ და ღირსი განსასუენებელი ცხად ღმრთისა დაბადებულისაი, რომელსა შინა არარაი პირუტყუთაგანი იქცეოდა, გარნა ხოლო კაცი ჴელითა ღმრთისაითა დაბადებული.[1]

ხოლო შორის სამოთხისა მის დაჴერგა ღმერთმან ხე იგი ცხორებისაი და ხე იგი ცნობადისაი. რამეთუ ცნობადობითა მისითა ანუ გამოცდილებასა მისცემდა და წარმოაჩინებდა ურჩებასა და მორჩილებასა კაცისასა. ამისთუსცა ეწოდა მას ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისაი. ანუ თუ ძალსა მისცემდა მეცნიერებისასა მიმღებელთა და მჴამელთა მისთა ცნობად თუსისა ბუნებისა, რომელიესე კეთილ იყო სრულთათუს, ხოლო ბოროტ უსრულთათუს. ეითარ-იგი მტკიცე საზრდელი ჯერეთ სძისა მოქნეთათუს.*

[1] გრიგ. ნოსელი, ,აცისა შესაქმ., 2.

* **მაქსიმეზსი.** ბოროტი უკუე ბუნებასა შინა მდებარეთა ძალთაი დასასრულისა მიმართისა მოქმედებისაი არს დაცხრომაი და სხუაი რაჲთურთით არა რაი. ანუ თუ კუალად ბუნებითთა ძალთა ცთომილი განმრჩეველობა არა სხუსა მიერ მოძრაეი პირუტყულად თუნიერ დასასრულისა მათისა, ხოლო დასასრულად ეტყუა მიზეზსა მყოფთასა, რომლისა მიმართ ბუნებითი ჰსურის ყოელთა, დაღათუ ჩემებითა დამუარელმან შურისამან ბოროტმან სიტყუსა რასმე [2] ყოფთაგანისა მიჩართ, თუნიერ მიზეზისა მათისა, უფროს შეცეალა ზაკული სურეილი და მოძრაობაი კაცისაი და ამიერ დაბადა უმეცრებაი მიზეზისაი. აწ უკუე ბოროტი არს, ეითარცა პირველ ეთქუ, უმეცრებაი კეთილისა მიზეზისა მყოფთასაი, რომლისა შინაგან იქმნა რაი კაცი და ერცელად განახუნა გრძნობანი, საღმრთოსა უკუე მეცნიერებისაგან სრულიად დაკლებულ იქმნა, ხოლო აღსაესე – ენებულითა მეცნიერებითა გრძნობადთაითა, რომელთა მხოლოდ გრძნობადად ოდენ მიიღებდა მსგავსად პირუტყუთა საცხოეართაჲსა კაცი. და პოა გამოცდილებისა და ხილულისა მის სხეულებისა ბუნებისა მისისა

25 /II, 11/ სამოთხისათუს

თავი კდ

912 // ვინაჲთგან უკუე ენება ღმერთსა ხილულისა და უხილაეისა აგებულებისაგან დაბადებაი კაცისაი მსგავსებისაებრ და ხატებისა თუსისა, რათა ვითარცა მეუე ვინმე და მთავარი ყოელისა ქუეყანისაჲ და მის შორისთაი დაადგინოს იგი, ვითარცა სამეფოსა რასმე შინა, რომელსა შინა ქცეულითა სანატრელი 68v
და ყოელად[1] საწადელი აქუნდეს ცხორებაი. ესე იგი იყო დიდებული სამოთხე, ჴელითა ღმრთისაითა მოსხმული[II] ედემს, ყოელისა ნუგეშინისცემისა და შეებისა საუნჯე.[III] // რამეთუ
913 ედემი შეებად ითარგმანების. აღმოსავალით კერძო, უმაღლეს ყოელისა ქუეყანისა მდებარე, კეთილად შეზაებული და ჰაერითა წულილითა და წმიდითა განბრწყინებული, ნერგთა მიერ, მარადის ყუაეილოანთა,[IV] ეარჯოანი,[V] სულნელებითა აღსაესე, ნათლითა გარდაცემული, ზესთა აღმატებული სიკეთისა ყოელისა გრძნობადისა ხილეისა და მოგონებისასა. ნამდჱლეე საღმრთოი ადგილი და ღირსი საყოფელი ხატებად საღმრთოდ დაბადებულისაი მის, რომელსა შინა არა რაი პირუტყუთაგანი იქცეოდა, არამედ მხოლოდ კაცი ოდენ, დაბადებული ჴელითა ღმრთისაითა.[1]

ამის უკუე სამოთხისა შორის ხე ცხორებისაი და ხე ცნობადისაი დაჴერგნა ღმერთმან. ხე ეიდრემე ცნობადისაი შესამეცნებელად რადმე და გამოსაცდელად და საუწყებელად მორჩილებასა და ურჩებასა კაცისასა, რომლისათუსცა ხედ მცნობელობისა კეთილისა[VI] და ბოროტისად სახელ-ედების, ანუ რამეთუ შემამეცნებელობითსა ძალსა თუსისა ბუნებისასა მისცემდა მჴუმეეულთა თუსთა, რომელი-ესე კეთილ ეიდრემე – სრულთათუს, ხოლო ბოროტ იყო ჯერეთ[VII] უსრულთათუს და გრძნობითა უუძღებესთარე, ეითარცა მტკიცე საზრდელი, ჯერეთ მოქნეთათუს სძისათა.

[1] გრიგ. ნოსელი, კაცისა შესაქმ., 2.

[I] +ყოელად A. [II] დასხმული M. [III] საუკუნე MH. [IV] ყუაეილოანთა. [V] ეარჯოანი M. [VI] კეთილისად M. [VII] ჯერე CM.

რამეთუ არა ენება დამბადებელსა ჩუენსა ღმერთსა ზრუნვათა და შფოთთა შემთხუევაი ჩუენი,[1] არცა რაითა მზრუნველ და განმგებელ ვიყუნეთ ცხორებისა ჩუენისა. რომელი-იგი შეემთხუაცა ადამს, რამეთუ იხილა რაი გემოი ხისა მის, ეუწყა, ვითარმედ შიშუელ იყო და გარე-მოიდეა საბლარდნელი, რამეთუ ფურცელი ლელუსაი მიიღო და გარე-მოირტყა.

ხოლო პირველ გემოის ხილვისა შიშუელ იყუნეს ორნიე – ადამ და ევა და არა პრცხუენოდა.[2]

შემამტკიცებელად მისაღებელობაი იგი გრძნობადთაი და სამართლად, ვითარცა საცნაურისა სიკეთისა, ესე იგი არს, სალმრთოისა შუენიერებისა განკუებელი ხილულისა დაბადებულისა ძლით უმეცარ ექმნა ღმერთსა და შემტკიცებისა მიმართ ჴორცთაისა საქმარებისათუს მისისა ღმერთ-ყო იგი და, ეინათგან თუთებად აქუნდა ჴორცთა ღმრთად საგონებელისა მიმართ ბუნებითი თუსებაი, სამართლისა სიტყუსაებრ შეიყუარა იგი და ყოელითა მოსწრაფებითა მხოლოდ ჴორცთა ძლითისა ოდენ ზრუნვისა და გულსმოდგინებისა ჩუენებითა მსახურ ექმნა დაბადებულსა ნაცელად დამბადებელისა. რამეთუ ვერეს ძალ-უც სხუებრ მსახურებაი დაბადებულისაი, არა თუ ყოველითურთ მზრუნველ იქმნეს ჴორცთასა, ეითარ-იგი ერცა ღმრთისაი, არა თუ ეინმე სათნოებათა მიერ განიწმიდოს სული. ხოლო ეითარცა ხრწნილების მოქმედისა მსახურებისა ჴორცთაისა სრულმყოფელსა კაცსა და მის მიერ თაჳის მოყუარე-ქმნულსა დაუცხრომელი აქუნდა მოქმედებულად გემოვნებაი და ტკიეილი მარადის მჴამელსა ხისა მის ურჩებისასა, კეთილითა და ბოროტითა ერთბამად შერეულისასა, რომელსა გრძნობისა მიერ გამოცდილებითა აქუნდა შესამეცნებელობაი. და უკუეთუ ეინმე ხელ ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა, ხილულისა, აგებულისა ყოფაი თქუას, არა სცთეს ჭეშმარიტებისაგან, რამეთუ გემოვნებისა და ტკიეილისა შემქმნელი აქუს მისაღებელობაი ბუნებით და კუალად ვინაითგან სულიერნიცა სიტყუანი აქონან აგებულებასა ხილულთასა, მზრდელნი გონებისანი და კუალად ძალი ბუნებითი გრძნობისაი უკუე შუებულ-ყოფელ. ხოლო გონებისა გამომზრდელი ხედ ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა [ს]ხელ-ედეა, რომელსა ცნობაი ეიდრემე კეთილისაი აქუს განხილულსა სულიერად, ხოლო ცნობაი ჭეშმარიტისაი მიღებულსა ჴორციელად, ვინაითგან მოძღუარ ექმნების ენებათა ჴორციელად მიმღებელთა მისთა თანა, ვითარცა დავიწყებისა.. მომზი(63 v)დეელი მათ ზედა, რომლისათუსცა ამცნო ღმერთმან კაცთა ჯერეთ დროყოფაი მიღებისა მისისაი, რაითა პირველად, ვითარ-იგი უფროს მისსა მართალ იყო, მადლითა ზიარებისა მიერ მეცნიერ ექმნას მიზეზსა თუსსა და ეგეითარისა მის ზიარებისა მიერ მადლით მიცემული მისდა უკუდაებაი უნებელობისა და უძლეელობისა მიერ პირეან-ყოს და, ეითარცა ღმერთ-ქმნილი, განლმრთობით [დ]ა უნებელად განიხილეიდეს თაჳისუნებით ღმრთისა თანა დაბადებულთა [—] და მეცნიერებითა მათითა ამაღლდებოდის, ეითარცა ღმერთი, არა ეითარცა კაცი მასეე ღმრთისასა მჭონებელი მადლით, სიბრძნით ცნობასა არსთასა განსაღმრთობელად გონებისა და შესაცვალებელად გრძნობისა. ესრეთ უკუე ითქუა აქა ხისათუს ყოველთა და შესატყუსად შესაძლებელისა სახის-მეტყუელებისა მიერ უსაიდუმლოესისა და უაღრესისა სიტყუსა დამარხვითა მესაიდუმლოე-ქმნილთათუს ბუნებითა, ხოლო ჩუენ მიერ დუმილით [ს]იტყუს-ცემითა მისითა.

[1] შდრ. ლუკა, 10, 41.

[2] შეს., 2, 25.

რამეთუ არა ეგულებოდა დამბადებელსა ჩუენსა ღმერთსა, რაითამცა მზრუნველ და მრაველისათუს მიმომსტუანა-ყოფილ[1] ვიყუენით, არცა მოსურნე და თუთ წინა-განმგებელ ცხორებისა თუსისა, რომელი-ესე შეემთხუა ადამს, რამეთუ იხილა რაი გემოი, ცნა, რამეთუ შიშუელ იყო და გარემოსაბლარდნელისა თუსისათუს იურვოდა.[1]

ხოლო უწინარეს გემოის ხილვისა შიშუელ იყუნეს ორნივე – ადამცა და ევა და არა პრცხუენოდა.[2]

[1] აქ აკლია –"ფურცელი ლელუსაი მიიღო და გარე-მოირტყა /φύλλα γὰρ συκῆς λαβὼν περιεζώσατο/, შდრ. ეფრემი, 63r II.

[2] შეს., 2, 25.

[1] მიმომსტუნაე M.

რამეთუ ესოდენ უენებელთაჲ ენება ღმერ-
63v I თსა ყოფაჲ ჩუენი, ვინაჲთგან ესე არს დასას-
რული უენებელობისაჲ, რაჲთა ში'უელ იყოს
და არა პრცხუენოდის. ამას თანა და უზ-
რუნველთაჲცა ჩუენი უნდა, რაჲთა ერთი
ოდენ // საქმე გუაქუნდეს ანგელოზთაჲ
– დაუდუმებელად ქებაჲ დამბადებელისაჲ და
მისთა ხელგითა შუებაჲ და მისდა მიტეებაჲ
ზრუნეისაჲ, რომელი-ესე წინაასწარმეტყუე-
ლისა მიერ აღმოთქუა ჩუენდა მიმართ: „მიუ-
თუთმფლობელობისათჳს თქუმულსა სიტყუასა, ესე იგი არს, ჩუენსა ჴელმწიფებასა შინა ქონებულისათჳს მეტყუელებასა პირველად საძიებელად ესე აქუს, უკუეთუ ჩუენ შორის-ძი არსა? რამეთუ მრავალნი ამას ზედა წინა-აღმდგომებდიან. ხოლო მეორედ – თუ რაი არს ჩუენსა ჴელმწიფებასა შინა, ანუ თუ რაისა ჴელმწიფე ეართ. მესამედ – გამოძიებაი მიზეზისა, თუ რაისათჳს თუთმფლობელად შემჭმნა ჩუენ შემოქმედმან ჩუენმან ღმერთმან.

აწ უკუე განვაწესეთ რაი პირველი, პირველად პირველისა მისთჳს ეთქუათ და გამოვაჩინოთ, ვითარმედ არიან რაიმე ჩუენსა ჴელმ-
75r I წიფებასა შინა საქმენი თუთ წინა-აღმდგამთაცა მიერ აღსაარებულნი, // ამისთჳსცა ვიტყუთ 957 ესრეთ, ვითარმედ ბრძენნი იგი წარმართთანი ყოფადთაგანისა ყოელისა ანუ ღმერთსა იტყუან მიზეზად, ანუ საჭიროსა, ანუ იძულებასა,* ანუ ბუნებასა, ანუ ბედსა, ანუ თუთ-ყოფასა. რამეთუ ღმრთისა საქმე არიან არსებად და განგებაი, ხოლო საჭიროსა, რაითა მარადის იგიეე და ერთი აქუნდეს ძრვაი, ხოლო იძულებითისა, რომელი იძულებით და მძლავრებით იქმნებოდის, რამეთუ ესეცა საჭიროსა თანაეე არს. ხოლო ბუნებისანი არიან შობაი და აღზრდაი და განხრწნაი, ნერგნი და ცხოველნი. ხოლო ბედისანი არიან იშუთნი რაიმე და მოულოდებელნი. რამეთუ ესრეთ განასაზღერებენ ბედსა

39 /II, 25/ ჩუენ ქუეშისა, ესე იგი არს თუთმფლობელობისათჳს

თაეი ლე

თუთმფლობელობისა ძლითსა სიტყუასა, ესე იგი არს, ჩუენ ქუეშისასა აქუს უკუე[1] პირველად საძიებელად ესე, უკუეთუ არს ჩუენ[II] ქუეშე, რამეთუ მრაეალნი წინა-აღუდგებოდეს ამას. მეორედ – თუ რანი არიან ჩუენ ქუეშენი და რაითაი გუაქუს ჴელმწიფებაი, მესამედ – 74v I გამოძიებაი მიზეზსა, რომლისათჳს თუთმფლობელად შემჭმნა ჩუენ დამბადებელმან ჩუენმან ღმერთმან.

აწ უკუე დამწყებელნი პირველისათჳს პირველად ეიტყოდით გამომაჩინებელნი ამისნი, ვითარმედ არიან რაიმე ჩუენ ქუეშენი, ხოლო ეიტყოდით მათ მიერ აღსაარებულთაგან და ეიწყოთ ესრეთ. // ქმნულთაგანთა ყოელთა ანუ ღმერთსა იტყუან ძიზეზად, ანუ საჭიროობასა, ანუ დამთხუეასა, ანუ ბუნებასა, ანუ ბედსა, ანუ თაეით თუსითობასა. არამედ ღმრთისა ვიდრემე საქმე/ნი/ არიან არსებაი და წინა-განგებაი. ხოლო საჭიროობისა – მარადის ერთსა ზედა მყოფთაგანთა მოძრაობაი. ხოლო დამთხუეისა რათა საჭიროდ სრულ იქმნებოდინ მისმიერნი, რამეთუ იგიცა საჭიროობისაა არს. ხოლო ბუნებისა – ქმნაი, აღორძინებაი, ხრწნილებაი, ნერგნი და ცხოველნი. ხოლო ბედისა – იშუთნი და მოულოდებელნი, რამეთუ განასაზღერებენ ბედსა, ვითარმედ თანად მოსლეაი და შემოკრებაი არს ორთა

---

* დამთხუეასა.

[1] იქვე. გე. 720-721.

[2] იქვე, გე. 732.

[1] იქვე, 30, PG, 720-721.

[2] იქვე, 33, PG, 732.

[II] <M. " რაი ჩუენ M.

თანა-შთამოვრდომითა და ერთად შემოკრებითა ორთა მიზეზთაითა, რომელთა-იგი წინა-განრჩევისაგან მიეღის დასაბამი, ხოლო არა წინა-განრჩევისა მისებრ მიეღის აღსასრულიცა, არამედ წინა-აღმდგომად. ეითარ-იგი თხრინ ვინმე საფლავსა და მიემთხჳის პოვნასა საფასისასა. აწ უკუე არცა რომელმან იგი დადვა ადგილსა მას საფასე, ამისთჳს დადვა, რაჲთამცა სხუამან იპოვა იგი, არცა რომელმან იგი იპოვა, ამისთჳს თხრიდა, რაჲთა იპოვოს საფასე. არამედ პირველმან მან ამისთჳს დაჰფლა, რაჲთა ოდესცა უნდეს, კუალად აღიღოს
75r II იგი. ხოლო მეორემან ამისთჳს თხარა, რაჲთა საფლა[ე]ი აღმოჰკუეთოს, არამედ შორის შთამოვარდა სხუაჲ რაიმე, თუნიერ მისსა, რაჲ იგი ეგულებოდა ორთაევე. ხოლო თჳთ-მყოფად უწოდენ მშუნიერთა ანუ პირუტყუთა ძრვასა, რამეთუ თუნიერ ბუნებისა და ჴელოვნებისა ქმნილად სახელ-სდებენ მას.

აწ უკუე ეის ამათგანსა შეჲამსგავსნეთ საქმენი კაცისანი, ვინაჲცა უკუეთუ არა კაცი არს მიზეზ და დასაბამ საქმეთა თჳსთა, შეუძლებელეე არს, რაჲთამცა ღმერთსა მივაჩემენით ბილწნი და უსამართლონი საქმენი. და ეერცა საჭიროსა მივაჩემნეთ, რამეთუ არა მარადის მასვე და ერთსა ზედა არიან. ეერცა იძულებასა, რამეთუ იძულებითიცა იგი საჭიროსავე მსგავს არს. არცა ბუნებასა, რამეთუ ბუნებისა საქმენი არიან ცხოველნი და ნერგნი. ეერცა ბედსა, რამეთუ არა იშუთ და მოულოდებელ არიან საქმენი კაცთანი. არცა თჳთ-ყოფასა, რამეთუ უსულოთა და პირუტყუთა საქმისათჳს თქუეს მათ თჳთ-მყოფობაჲ.

აწ უკუე თჳთ მათე წინა-აღმდგომთა სიტყჳსა თანა მოწადებითა დაუშთინეთ კაცსა თავით თჳსით მნებებელობაჲ და ეგრეთ მოქმედებაჲ საქმეთაჲ, რაჲთა დასაბამ და თჳთმფლობელ
75v I იყოს საქმეთა თჳსთა ზედა.[1]

ხოლო უკუეთუ არცა ერთისა რაჲს საქმისა დასაბამ არს კაცი, ჩამეტნაჲად სადმე აქუს განზრახვაჲ, რამეთუ რაჲსათჳსცა იქმაროს განზრა[ხვა]ჲ, ვინაჲთგან არცა ერთისა რაჲს საქმისა უფალ არს, რამეთუ ყოველი განზრახვაჲ საქმისათჳს საჴმარ არს. ხოლო უკუეთუ უშუენიერესსა ამას და უპატიოსნესსა კაცისა ტალანტთასა უქმრად ვინმე გამოაჩინებდეს, ესე უწესოებათა ყოველთა უძჳრეს არს. რამეთუ უკუეთუ განიზრახავს, უეჭუელად საქმისათჳს განიზრახავს, ვინაჲთგან ყოველი განზრახვაჲ საქმისათჳს არს და მოქმედებისა.

მიზეზთაჲ, რომელთა წინა-აღრჩევისაგან აქუს დასაბამი, რომელნი სხუად რადმე შესრულდებოდინ გარეშე მისსა, ეითარ იქმნებოდინ, ეითარ-იგი არს, აღმომთხრელისაგან საფლაჲისა პოენაჲ საუნჯისაჲ, რამეთუ არცა დამბადებელმან საუნჯისამან ამისთჳს დადჳა, რათა პოეოს მან, არცა მპოენელი ამისთჳს თხრიდა, რათა პოეოს[1] საუნჯე, არამედ მან ეიდრემე,[II] ოდეს უნდეს, აღმოიღოს, ხოლო ამან, რათა საფლავი შეჰმზადოს, ხოლო საშუალ შემოვიდა სხუაჲ რაიმე გარეშე მისსა, რომლისა მიმართ იყო საზრი ორთაევე. ხოლო თაჲით თჳსითობისა უსულოთა, ანუ უსიტყუელთა შემთხუეუანი, თუნიერ ბუნებისა და ჴელოვნებისა, რამეთუ ესრეთ იტყჳან იგინი.

აწ სადმე ამათდა მიმართ აღჲიყუანნეთ კაცისა ძლითნი, უკუეთუ არს კაცი მიზეზ და დასაბამ საქმეთა, რამეთუ არა სამართალ არს ღმრთისა ზედა წარწერაჲ საქმეთა ბილწთა და უსამართლოთაჲ, არცა საჭიროობასა, რამეთუ არა მარადის ერთსა ზედა მყოფობაგანი არს, არცა დამთხუეუასა, რამეთუ არა მოსავალთაგანად, არამედ საჭიროთა თანად იტყჳან დამთხუეულსათა, არცა ბუნებასა, რამეთუ ბუნებისა საქმე არიან ცხოველნი და ნერგნი, არცა ბედსა, რამეთუ არა იშუთნი და მოულოდებელნი არიან საქმენი კაცთანი, არცა თაჲით თჳსითობასა, რამეთუ უსულოდ, ანუ უსიტყუელად იტყჳან შემთხუეულთა თაჲით თჳსითისათა. დაუშთების უკუე, რათა თჳთ იგი მოქმედი და წარმმართველი საქმისაჲ კაცი დასაბამ თჳსთა საქმეთა და თჳთმფლობელი იყოს.[1]

მერმეცა უკუეთუ არცა ერთისა საქმისა უფალ არს კაცი, ნამეტნავად[III] აქუს განმზრახველობაჲ, რამეთუ რაჲსა მიმართ იქმაროს 74v II
განზ/რახვაჲ არცა ერთისა უფალმან საქმისამან, რამეთუ ყოველი განზრახვაჲ საქმისათჳს არს, ხოლო ურჩეულესისა და უპატიოსნესისა კაცთა შორისთა ნიჭთაჲსა ნამეტნავად გამოჩინებაჲ ფრიადისა უგუნურებისაჲ არს, ვინაჲცა უკუეთუ განიზრახავს, საქმისათჳს განიზრახავს, რამეთუ ყოველი განზრახვაჲ საქმისათჳს არს და საქმის ძლით.

[1] ნემს. ემს., ბუნ. კაცისა, 39, PG, 761-764.

[1] იქვე, 39, PG, 761-764.

[1] პოოს M. [II] +რათა M. [III] ნამეტაჲად M.

40 /II, 26/ ქმნადთათჳს

თაჱი ჲ

ქმნადთაგანნი რომელნიმე ჩუენ შორის არიან და რომელნიმე არა ჩუენ შორის. ჩუენ შორის უკუე იგი არიან, რომლისა ჩუენ თუთ-ჴელმწიფე ეიყუნეთ ქმნად და არა ქმნად. ესე იგი არს, ეითარმედ ყოველიეე, რაოდენი ნეჳსით ექმნათ, იგიცა ჩუენ შორის არს, რა-
მეთუ არამცა ნეჳსით ქმნა // ეწოდებოდა, 960
უკუეთუმცა ქმნაჲ მისი არა ჩუენ შორის იყო. და რაჲთა შემოკრებულად ეთქუა, ეითარმედ ყოველი, რომელსა შეუთქს ქებაჲ ანუ ძაგე-
ბაჲ და რომლისათჳს წინა-დაწესებულ არს
75v II ბრძანებაჲ და შჯული, იგი ყოველი ჩუენსა ჴელმწიფებასა შინა არს. ხოლო საკუთრად ჩუენ შორის არიან ყოველნი სულიერნი საქ-მენი და რომელთათჳსცა განიზრახვაჲთ, ხოლო განზრახეაჲ სწორებითისა მომლოდე არს, ესე იგი არს, ეითარმედ ამასცა რასმე შემძლებელ ეართ და კუალად წინა-აღმდგომსაცა ამისსა. ხოლო განრჩევასა მათსა პყოფს გონებაჲ ჩუენი და ესე არს დასაბამი საქმეთა ქმნისაჲ.

აწ უკუე ესე არიან ჩუენ შორის, რაოდენნი სწორად მოსალოდებელ არიან, ეითარ-იგი არიან აღირვაჲ და არა აღძრეაჲ, მიდგენებაჲ და არა მიდგენებაჲ, ნებებაჲ არა საჭიროთაჲ რათმე და არა ნებებაჲ, ტკუებილი და არა ტკუებილი, მიცემაჲ და არა მიცემაჲ, სიხარული, რომელთა ზედა ჯერ იყოს და არა სიხა-რული და ეგრეთვე რომელთა ზედა არა ჯერ იყოს. ესე და რაოდენნი არიან ესეეითარნი, და რომელთა შინა არიან სათნოებისა და უკეთურებისა კერძონი, ამათ ზედა ეართ თუთ-მფლობელ და კუალად ეგრეთვე სწორებით მოსალოდებელ არს ჩუენ მიერ შეწყნარებაჲ და არა შეწყნარებაჲ ჴელოენებათაჲ, გინა თუ დაეისწაელენეთ, ანუ თუ არა დაეისწაელენეთ იგინი.

ხოლო ესე საჴმარ არს ცნობად, ეითარმედ
76r I აღრჩეეაჲ უკუე საქმეთაჲ მარადის ჩუენ შო-რის არს, ესე იგი არს, ჩუენსა ჴელმწიფებასა შინა, ხოლო ქმნად საქმეთა მრაჲალჭაის დაყენებულ ეიქმნებით სახითა რაითამე განგე-ბულებათაჲთა.

41 /II, 27/ თუ რომლისა მიზეზისათჳს თუთმფლობელად შეეიქმნენით

თაჱი მაჲ

ეიტყუთ უკუე მყის სიტყუერებასაე თანა-შე-ქსულად თუთმფლობელობასა, რამეთუ ყოველი შექმნული ქცეეადიცა არს, რამეთუ რომელთაჲ დასაბამი ქმნისაჲ ქცეულებისაგან დაწყებულ იქმნა, საჭირო არს მათდა ქცეად ყოფაჲცა. ხოლო ქცეულებაჲ არს არა-არსისაგან არსად მოსლეაჲ და წინა-მდებარისა ნიეთისაგან სხუა სახეჲ-ყოფაჲ.

40 /II, 26/ ქმნილთათჳს

თაჱი ლთ

ქმნილთაგანნი რომელნიმე უკუე ჩუენ ქუეშე არიან, ხოლო რომელნიმე არა ჩუენ ქუეშე. და ჩუენ ქუეშე ეიდრემე არიან, რომელთა ჩუენ ეართ თუთმფლობელ ქმნისა და არა ქმნისა მათისა, ესე იგი არიან ყოველნი ნებისით ქმნილნი ჩუენ მიერ, // რამეთუ არ-
ამცა ნებისთ ითქუმოდა ქმნაჲ საქმისაჲ, არა თუმცა ჩუენ ქუეშე იყო იგი, და მარტივად ითქუმოდეც, რომელთაცა შეუძჳს გიობაჲ ანუ ქებაჲ და რომელთა ზედა არს ბრძანებაჲ და[1] შჯული. ხოლო საკუთრად ჩუენ ქუეშე არიან სულიერნი ყოველნი და რომელთათჳს განეიზრახაეთ, ხოლო განზრახვაჲ სწორებით მოსაეალთაჲ არს, ხოლო სწორებით მოსაეალი არს, რომლისაჲ თუთ მისიცა ძალ-გუეძეას ქმნაჲ და წინა-აღმდგომისაცა მისისაჲ, ხოლო გამორჩეესა მათსა ჰყოფს გონებაჲ ჩუენი და ესე არს დასაბამი საქმეთაჲ.

და არიან უკუე [ჩუენ] ქუეშენი სწორებით მოსაეალნი ესე, ეითარ-იგი ძრეაჲ და არა ძრეაჲ, ტკუილი და არა ტკუილი, მიმართებაჲ და არა მიმართებაჲ, წადიერებაჲ საჭიროთაჲ და არა წადიერებაჲ, მიცემაჲ და არა მიცემაჲ, სიხარული, რომელთა ზედა ჯერ-იყოს და არა სიხარული, ეგრეთვე რომელთა ზედა არა ჯერ-იყოს და რაოდენი არიან ეგეეითარნი, რომელთა შინა არიან სათნოებისაცა და უკეთურებისა საქმენი, რამეთუ ამათნი ეართ თუთმფლობელნი. ხოლო სწორებით მოსაეალ-თაგანნი არიან ჴელოენებანიცა, რამეთუ ჩუენ ქუეშე არს ჴელ-ყოფაჲ, რომლისაჲ გუენებოს და არა ჴელ-ყოფაჲ.

საჴმარ უკუე არს ცნობად, ეითარმედ გა-მორჩეეაჲ ეიდრემე საქმეთაჲ მარადის ჩუენ ქუეშე არს, ხოლო ქმნად დაეიყენებით მრაჲალ-გზის სახითა რაიმე წინა-განგებისაებთა.

41 /II, 27/ თუ რომლისა[2] მიზეზისათჳს თუთმფლობელად შეეიქმნენით

თაჱი ჲ

აწ უკუე ეიტყუთ, ეითარმედ მყის სიტყუერო-ბასა თანა შემოეალს თუთმფლობელობაჲ, რამეთუ ყოველი აგებული ქცეეადიცა არს, რამეთუ რომელთა დასაბამი აგებულები-საჲ ქცეესაგან მიიღებს, საჭირო არს, რათა ქცეედნი იყვნენ იგინი. ხოლო ქცეულებაჲ არს არა მყოფობისაგან მყოფობად მოსლეაჲ და რათა წინა-მდებარისა ნიეთისაგან სხუად

[1] ანუ M. [2] +რომლისა D.

აწ უკუე უსულონი და პირუტყუნი იქცეჳიან პირველ თქუმულისაებრ შეცვალებისა გუამთაჲსა. ხოლო სიტყჳერნი იქცეჳიან წინაგამორჩეჳითა გონებისაჲთა. რამეთუ სიტყჳერისა შორის რომელიმე არს ხედვითი და რომელიმე საქმითი; ხედვითად უკუე ვიტყჳ გონებითსა ქონებასა წურთისასა, ვითარ-იგი არს, ხოლო საქმითად განზრახჳითსა, რომელი-იგი განუჩინებენ მოქმედთა მართალსა სიტყუასა. ვინაჲცა ეწოდების ხედვითსა მას გონება, ხოლო საქმითსა სიტყუა და ხედვითსა მას სიბრძნე, ხოლო საქმითსა ცნობა. აწ უკუე ყოველი, რომელი განიზრახვიდეს, ესრეთ განიზრახაჲს
76r II საქმეთათჳს, ვითარცა თაესა შორის თჳსსა მჴონებელი აღრჩეჳისაჲ, რაჲთა უსირტჱესად განჩინებული აღირჩიოს განზრახჳისა მისგან და, აღირჩიოს რაჲ, ქმნას. ხოლო უკუეთუ ამას ესეეითარსა კაცსა საჭიროობისაგან რაჲსამე მიეღოს სიტყჳერი თუთმფლობელობაჲ,[1] მიერითგან არღარა იყოს სიტყჳერ, რამეთუ ანუ არა იყოს სიტყჳერ, ანუ იყოს თუ სიტყჳერ, უფალ და თუთმფლობელ არს საქმეთა.[2]

ვინაჲცა პირუ[ტ]ყუნი არა არიან თუთმფლობე[ლ], [რამეთუ] ბუნებისა მიერ იყჳანებიან, უფროჲსესეც იყჳანებენ ბუნებასა. ამისოჳსცა არცა წინა-აღუდგებიან ბუნებითსა აღძრეასა, არამედ მყის აღძრვასაჲე თანა მიედეენებიან საქმედცა, // ხოლო კაცი ვინაჲთგან სიტყჳერ
961 არს, ამისთჳსცა იყჳანებს უფროს და ჰმართებს ბუნებასა, ვიდრეცა თუთ ყჳანებულ იქმნების მის მიერ, ვინაჲცა აღიძრას რაჲ ნებებად რაჲსამე, ჴელმწიფებაჲ აქუს აღურ-სხმადცა და აღსრულებად ნებებისა მის. ვინაჲცა პირუტყუნი არცა იქებიან, არცა იძაგებიან, ხოლო კაცი იქების[3] და იძაგებისცა.

საჳმარ უკუე არს ცნობად, ვითარმედ ანგელოზნიცა, ვინაჲთგან სიტყჳერ არიან, ამისთჳს თუთმფლობელ არიან, ვითარცა აგებულნი და ქცეულნი. და ესე ცხად-ყო ეშმაკმან, რომელი-იგი კეთილად შეიქმნა დამბადებელისა მიერ;
76v I ხოლო თუთმფლობელობით ბოროტის მომპოვებელ იქმნა, მის თანა განდგომილთა მათ ძალთა თანა, რომელ არიან ეშმაკნი, ხოლო სხუანი იგი ანგელოზთა წესნი დადგრომილ იქმნნეს კეთილსა შინა.

42 /II, 28/ არა ჩუენ შორის მყოფისათჳს

თავი მბ

ხოლო არა ჩუენ შორის მყოფთა რომელთამე ჩუენ მიერ ჰქონან დასაბამნი, ესე იგი არიან, მიზეზნი, ვითარ-იგი არს მისაგებელი საქმეთაჲ აწინდელსა ამას საწუთროსა და ყოფადსა მას საუკუნესა. ხოლო სხუაჲ ყოველი განზრახვითა საღმრთოჲთა სრულ იქმნების. რამეთუ შობაჲ უეჭველად ღმრთისაგან მოგუეცა, ხოლო

[1] ნუსხაშია „თუთმფლობელობაჲ“.
[2] ნემეს. ეშეს., ბუნ. კაცისა, 41, PG, 773-776.
[3] ნუსხაშია: „იქებისა“.

რადმე იქმნეს. ვინაჲცა უსულონი უკუე და უსიტყუელნი ქცეულ იქმნებიან პირველ თქუ- 75r I
მულთა მათ სხეულ/ე/ანთა შეცვალებათაებრ, ხოლო სიტყჳერნი წინა-აღრჩეჳათაებრ, რამეთუ სიტყჳერისაჲ რომელიმე არს ხედვითი, ხოლო რომელიმე საქმითი. და ხედვითი ვიდრემე არს გონებითი მიწოთმაჲ, ვითარ ყოფისა მყოფთაჲსაჲ. ხოლო საქმითი არს განმზრახველობითი, რომელ არს განმსაზღერებელი საქმეთაჲ მართლითა სიტყჳთა. და სახელ-სდებენ მხედველობითსა უკუე გონებად, ხოლო საქმითსა სიტყუად და მხედველობითსა ვიდრემე სიბრძნედ, ხოლო საქმითსა ცნობად. რომლისათჳსცა ყოველი განმზრახველი ვითარცა მას ზედა მყოფობისა[1] გამორჩევასა საქმეთასა განიზრახჳის, რათა განზრახვისა მიერ ურჩეულესად დადებული გამოირჩიოს და გამორჩეულ ქმნას. ხოლო, უკუეთუ ესრეთ არს ესე, საჭიროდ შემოუკრბების სიტყჳერსა თუთმფლობელობაჲ, რამეთუ ანუ არა სიტყჳერი არს, ანუ სიტყჳერი თუ არს, უფალცა არს საქმეთაჲ და თუთმფლობელი.[1]

ვინაჲცა პირუტყუნი არა თუთმფლობელ არიან, რამეთუ იყჳანებიან უფროსსა ბუნებისა მიერ, ვიდრე იყჳანებენ, რომლისათჳს ეერცა წინა-აღუდგებიან ბუნებითსა წადიერებასა, არამედ მყის მოწადნიერებასა რაჲსმე თანა მიიმართებენ საქმისა მიმართ. // ხოლო კაცი, ვითარცა სიტყჳერი, იყჳანებს უფროს, ვიდრე იყჳანების ბუნებისაგან, ამისთჳს, წადიერ იქმნეს რაჲ სანებურისა რაჲსმე მიმართ, ჴელმწიფებაჲ აქუს წინააღდგომად წადიერებისა ანუ შემდგომად მისსა, რომლისათჳსცა პირუტყუნი არცა იქებიან, არცა იძაგებიან, ხოლო კაცი იქებისცა და იძაგებისცა.

სათანადო არს ცნობად, ვითარმედ ანგელოსნიცა, ვითარცა სიტყჳერნი, თუთმფლობელ არიან და, ვითარცა აგებულნი, ქცეულნიცა, და ესე ცხად-ყო ეშმაკმან, კეთილად ვიდრემე დაბადებულმან შემოქმედისა მიერ, ხოლო თუთმფლობელობით მომპოვნებულ სიბოროტისა ქმნილმან. და მისთანათა მათ განდგომილებითა ძალთა, რომელ არიან ეშმაკნი, ხოლო სხუათა მათ ანგელოზებრთა დასთა დადგომითა კეთილსა შინა.

42 /II, 28/ არა ჩუენ ქუეშეთათჳს

თავი მა

ხოლო არა ჩუენ ქუეშეთა რომელთამე უკუე ჩუენგან ჰქონან დასაბამნი, რომელ არიან მიზეზნი, ცხად არს, ვითარმედ მოსაგებელნი საქმეთა ჩუენთანი აწინდელსაცა და ყოფადსა საუკუნესა. ხოლო სხუანი ყოველნი საღმრთოსა ნებისა მიერ სრულ იქმნებიან, რამეთუ ქმნაჲ ვიდრემე ყოველთაჲ ღმრთისაგან არს, ხოლო ხრწნილებაჲ სიბოროტისათჳს ჩუენისა

[1] იქვე, 41, PG, 773-776.
[1] მყოფობით M.

ხრწნილებაჲ ჩუენმან სიბოროტემან შემოიყუანა სატანჯველად და სარგებელად ჩუენდა. რამეთუ „ღმერთმან სიკუდილი არა შექმნა, არცა იხარებს იგი წარწყმედასა ზედა ცხოველთასა“,[1] არამედ კაცისა მიერ შემოჴდა სიკუდილი, ესე იგი არს, გარდასლვისა მისგან ადამისისა, და ეგრეთვე მსგავსად ყოველნი ტანჯვანი.

ხოლო სხუაჲ ყოველივე ღმერთსა განეკუთნების, რამეთუ შობაჲ ჩუენი და შექმნაჲ დამბადებელობისა მისისა ძალისაგან არს, რომელმან ყოველივე არა-რაისაგან არსად მოიყუანა და მართებაჲ და პყრობაჲ, წინა-განგებაჲ და დაცვაჲ ჩუენი წინა-განმგებელობისა
76v II მისისა ძალისაჲ არს. და კუალად მიმთხუევაჲ კეთილთა საუკუნეთაჲ სახიერებისა მისისაჲ არს მათთჳს, რომელთა დაიცვან ბუნებითი იგი ხატებაჲ, რომლისათჳს დავიბადენით. ხოლო ეინაითგან ვიეთნიმე წინა-აღდგომით მეტყუელებენ ძალისათჳს განგებულებათაჲსა, ეოქუათ უკუე მცირედი რაიმე განგებულებათათჳსცა.

შემოვიდა სატანჯველადცა და სარგებელად, რამეთუ „ღმრთმან სიკუდილი არა შექმნა, 75r II არცა იხარებს წარწყმედასა ზედა სიცოცხლისა მქონებელთასა“,[1] არამედ უფროსღა კაცისა მიერ იქმნა სიკუდილი, ესე იგი არს, გარდასლვითა ადამისითა, ეგრეთვე სხუანიცა იგი ტანჯვანი.

ხოლო სხუანი ყოველნი ღმერთსა მიეჩემებოდედ, რამეთუ ქმნაჲ უკუე ჩუენი დამბადებელობითისა ძალისა მისისაჲ არს, და მიმყოერებულად გებაჲ – შემომკრებელობითისა და მპყრობელობითისა ძალისა მისისაჲ. და მართებაჲ და მაცხოვარებაჲ – წინაგანმგებელობითისა ძალისა მისისაჲ. და სა'შუებელი საუკუნეთა კეთილთაჲ – სახიერებისა მისისაჲ დამცველთათჳს ბუნებითისათჳს, რომლისათჳსცა დავიბადენით. ხოლო ეინაითგან წინა-აღუდგებიან ვიეთნიმე წინა-განგებისა, ეოქუა მცირედი წინა-განგებისათჳსცა.

43 /II, 29/ განგებულებათათჳს

964

43 /II, 29/ წინა-განგებისათჳს

თავი დგ

განგებულებაჲ უკუე არს ღმრთისა მიერი იგი მოღუაწებაჲ არსთაჲ. და კუალად განგებულება არს განზრახუა ღმრთისაჲ, რომლისაგან ყოველნი არსნი შემსგაყებულსა და ჯეროვანსა მართებასა მიიღებენ. ხოლო უკუეთუ განზრახუაჲ ღმრთისაჲ არს განგებულება, ყოველად საჭირო არს, რაჲთა ყოველივე განგებულებით ქმნილი სიმართლისა სიტყუსაებრ შეწყნარებულ იქმნეს, ვითარმედ კეთილად და ღმრთიე-შუენიერად იქმნების და ვერ ეგების სხუებრ უმჯობესად ქმნაჲ მისი. რამეთუ ესე ცხად არს, ეითარმედ იგიეე და ერთ არს შემოქმედიცა და განმგებელიცა, ეინაითგან შეუტყუებელ და არა მიმდგომ არს, ეითარმცა სხუაჲ იყო დამბადებელი და სხუაჲ განმგებელი არსთაჲ. რომელი-ესე უეჭუელად უძლურებაჲ არს მათ ორთაჲეე, ეითარმცა ერთი იგი დაბადებასა ოდენ და მეორე განგებასა შემძლებელ იყუენს. ამისთჳსცა აღვიარებთ, ეი-
77r I თარმედ ღმერთი მხოლოჲ არს დამბადებელ და წინა-განმგებელ ყოვლისა. და ძალ დამბადებელობისა და განმგებელობისა მისისა კეთილი იგი ნებაჲ მისი არს. რამეთუ „რაოდენი უნდა, უფალმან ქმნა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“[2] და ნებასა მისსა ეურეინ წინააღუდგა. ინება ქმნაჲ ყოელისაჲ, და იქმნნეს, ჰნებავს პყრობაჲ სოფლისაჲ და იპყრობებეს, და ყოველივე, რაოდენი რაჲ ჰნებაეს, იქმნებიან.[3]

ხოლო რამეთუ წინა-განაგებს და რამეთუ კეთილად წინა-განაგებს, ენებოს თუ ვისიმე, მართლად ესრეთ გულისჴმა-ყოს. ეინაითგან

თავი მბ

წინა-განგებაჲ უკუე არს ღმრთისა მიერი იგი არსთა მიმართი მოსწრაფებაჲ. და კუალად წინა-განგებაჲ არს განზრახუაჲ ღმრთისაჲ, რომლითა ყოველნი მყოფნი შესამსგავსსა მართებასა მიიღებენ, ხოლო უკუეთუ ღმრთისა განზრახუაჲ არს განგებაჲ, ყოველითურთ საჭირო არს, რაჲთა წინა-განგებისა მიერ ქმნილნი ყოველნი სამართლისა სიტყუსაებრ ყოველად კეთილად და ღმრთიე-შუენიერად იქმნებოდნეს და სრულიადისა უმჯობეს ქმნისათჳს. საჭირო არს, რაჲთა ერთი და იგიეე იყოს შემოქმედიცა მყოფთაჲ და წინა-გამგებელი მათი, რამეთუ არა შემსგაყებულ, არცა ჯეროან არს, რაჲთა სხუაჲ იყოს შემოქმედი მყოფთაჲ და სხუაჲ წინა-განმგებელი მათი, რამეთუ ესრეთ უძლურებასა შინა იყუენ ორნიეე უეჭუელად, ერთი უკუე შემოქმედებისასა, ხოლო მეორე წინა-განმგებელობისასა. ეინაჲცა ღმერთი ვიდრემე არს შემოქმედიცა და წინა-განმგებელი, ხოლო შემოქმედებითი ძალი მისი და მპყრობელობითი და წინა-განმგებელობითი სახიერებაჲ[1] მისი, არს, რამეთუ „ყოველნი, რაოდენნი ინება უფალმან, ქმნნა“[2] და ნებასა მისსა ეურეინ წინა-აღუდგა.[II] ინება, რაჲთა იქმნენ[III] ყოველნი და იქმნნეს, ჰნებავს შემტკიცებაჲ სოფლისაჲ და შემტკიცებულ არს და ყოველნი რაოდენნი ჰნებაენ, იქმნებიან.[3]

ხოლო ეითარმედ წინა-განაგებს და ეითარმედ კეთილად წინა-განაგებს, კეთილად

[1] სიბრძნ., I, 13.
[2] ფსალმ., 134, 6.
[3] ნემეს. ემეს., ბუნ. კაცისა, 42-43, PG, 780-793.

[1] სიბრძნ., I, 13.
[2] ფსალმ., 134, 6.
[3] ნემეს. ემეს., ბუნ. კაცისა, 42-43, PG, 780-793.

[I] სახიერი ნებაჲ M. [II] წინა-აღუდგების M. [III] იქმნეს M.

უკუე მხოლოი ღმერთი არს ბუნებით სახიერ
და ბრძენ, ამისთუსცა, ვითარცა სახიერი,
წინა-განაგებს, რამეთუ რომელი არა წინა-
განაგებდეს, იგი არა სახიერ არს. რამეთუ
კაცნიცა და საცხოვარნი თუსთა შვილთათუს
ბუნებით წინა-განაგებენ და რომელცა არა
წინა-განაგებდეს, იგიცა იგმობვის. ხოლო ეი-
თარცა ბრძენი, ყოველსაე უმჯობესად იღუწის
არსთათუს.[1] ვინაიცა, უჴმს განკრძალულებით
მხედველთა ყოვლისაე დაკურებაი, ყოველისაე
ქებაი, ყოველისავე განგებულებათა საქმისაი
გამოუძიებელად მითუალეაი, დაღაცათუ მრა-
ვალთა ეიეთმე უსამართლო უჩნდეს იგი უც-
77r II ნაურებისაგან და მიუწდომელობისა ღმრთისა
განგებულებათაისა, რამეთუ გულის სიტყუანი
ჩუენნი და საქმენი და ყოფ[ა]ნი ყოველნი
მან მხოლომან უწყინის.

ხოლო ყოველსაე მას ეიტყჳ, რომელი არა
ჩუენსა ჴელმწიფებასა შინა არს, რამეთუ ჩუენ
შორის მყოფი არა განგებულებათაი არს, არა-
მედ ჩუენისა ჴელმწიფებისაი.

// ხოლო განგებულებათაგანი რომელიმე
სათნო-ყოფითი არს და რომელიმე შენდო-
ბითი. განგებულებანი უკუე არს, რაოდენი
რაი უცილებელად კეთილ იყოს. ხოლო შენ-
დობითი არს მიშუებითი, რამეთუ მიუშუებს
მრავალგზის მართალთაცა შთავრდომად
განსაცდელთა, რაჲთა მათ შორის დაფარული
იგი სათნოებაი სხუათა უჩუენოს, ეითარ-იგი
იქმნა იობს ზედა. კუალად ოდესმე მიუშუებს
უჯეროჲსა რაისმე ქმნად, რაჲთა საქმითა მით
უჯეროდ საგონებელითა დიდი რაამე და საკუ-
რველი წარჲმართოს, ეითარ-იგი იყო ჯუარითა
ცხორებაი კაცთაი.

კუალად სხუთაცა სახითა მიუშუებს წმი-
დათა შემთხუევად ბოროტთა, რაჲთა არა
მართლისა გულის სიტყუსაგან დაეცნენ, ანუ
მიცემულისა მისთუს მათდა ძალისა და
მადლისა ამპარტავნებასა შთავარდენ, ეითარ-
იგი იყო პაელე, რომელსა ესმა: ქმა არს შენდა
მადლი ჩემი!

77v I კუალად დატეებულ ეინმე იქმნის განსას-
წაელელად სხუათა, რაჲთა მისითა მიხედინოს
სხუახი [გახ]ისწაელხეს, ეითარ-იგი იყო ლაზ-
არეს ზედა და მდიდრისა მის, რამეთუ ეიხ-
ილნეთ რაი ეიეთნიმე სალმობათა და ვნებათა
შინა, ბუნებით მოწყალე ვექმნებით.

კუალად დატეებულ ეინმე იქმნის სხუსა
განგებისათუს და არა თუსისა, გინა მშობელთა
ცოდვისათუს, ეითარ იყო შობითგან ბრმაი იგი,
არამედ სადიდებელად ძისა ღმრთისა, კუალად
მიშუებულ იქმნის ეინმე ვნებად საშურვებე-
ლად ღმრთისა, რაჲთა განდიდებითა ვნებათა
მათ ტანჯულისათაჲთა უცონელ იქმნეს სხუანი
თავს დებად ვნებათა და ტანჯეათა, სასოებითა
მოსაგებელთა დიდებულებისაჲთა და გულის-
თქუმითა ყოფადთა მათ კეთილთაჲთა, ეითარ-
იგი იქმნა წმიდათა მოწამეთა ზედა.

[1] იქქე, თ. 44, გვ. 813.

ეინმე განიხილოს ესრეთ, მხოლოი ღმერთი
ოდენ არს ბუნებით სახიერი და ბრძენი.[1] და
რამეთუ კაცნი და პირუტყუნი თუსთა შეილთ-
ათუს წინა-განაგებენ ბუნებით და რომელი
არა წინა-განაგებდეს, ეითარცა არა სახიერი
ითქუმის. წინა-განაგებს უკუე, ეითარცა სახი-
ერი და უმჯობესისათუს არსთაჲსა მოღუაწე
არს, ეითარცა ბრძენი.[2] ეინაიცა უჴმს მრწმუ- 75v I
ნებელთა ამათთა ყოველთათუს განკურებაი,
ყოველთა ქებაი, ყოველთა გამოუწულილეველად
მითუალეაი საქმეთა წინა-განგებისათაი, და-
ღათუ უსამართლოდ აღუჩნდებოდინ მრავალთა
უცნაურებისათუს და მიუწთომელობისა ჩუენ-
გან საღმრთოთა წინა-განგებათაჲსა, და გულის
სიტყუათა ჩუენთა და საქმეთა და ყოფადთა
მხოლოდ მისდა ოდენ საცნაურებისათუს.

ხოლო ყოველთა ეიტყუ არა ჩუენ ქუეშეთა,
რამეთუ ჩუენ ქუეშენი არა წინა-განგებულები-
სანი არიან, არამედ ჩუენისა თუთმფლობელო-
ბისანი.

965 // ხოლო წინა-განგებულებისანი რომელნიმე
სათნო-ყოფი/თ/ნი[1] არიან და რომელნიმე შენ-
დობითნი. და სათნო-ყოფითნი ეიდრემე არიან,
რაოდენნი უცილობელად კეთილ არიან. ხოლო
შენდობითნი, ეითარ-იგი შეუნდობეს მართალ-
საცა მრავალგზის შთავრდომაჲ განსაცდელთა,
რათა მის შორის დაფარული სათნოებაჲ
უჩუენოს სხუათა, ეითარცა-იგი იობს ზედა.
და კუალად შეუნდობს ქმნად უჯეროთაგანსა
რასმე, რათა უჯეროდ საგონებელისა მის
საქმისა მიერ დიდი რაამე და საკურველი
წარემართოს, ეითარ-იგი ჯუარისა მიერ მაც-
ხოვარებაჲ კაცთაჲ. მერმეცა სხუთა სახითა
შეუნდობს ღირსთაგანსა ეისმე ბოროტად
ენებად, რათა არა მართლისა სუნდისისაგან
განვარდეს, ანუ მიცემულისა მისდა ძალისაგან
და მადლისა ამპარტავანებისა მიერ დაეცეს,
ეითარ-იგი პაელეს.

დატეობილ[2] იქმნების ეინმე უამ რაოდენმე
განსამართებელად სხუათა, რათა მისდა
მიმართ ხედეითა განისწაელნენ სხუანი, ეი-
თარ-იგი ლაზარეს ზედა მდიდრისა. რამეთუ
ეჰხედეიდით რაჲ ეიეთსამე ენებულებასა, შეგ-
უელმის ეიეთმე ბუნებითად.

დატეობილ იქმნების ეინმე სადიდებლად
სხუსა არა თუსისა ანუ მშობელთა ცოდვი-
სათუს, ეითარცა ბუნებითგან ბრმაი იგი სადი-
დებელად ძისა კაცისა. კუალად შენდობილ
იქმნების ეინმე ენებად საშურვებელად სხუ-
ათა, რათა განდიდნეს დიდებაი ენებულისაი
და ადეილად შესაკადრებელ იქმნეს ენებაჲ
სხუათათუს სასოებითა მერმისა დიდებისათუს

[1] დედანში ამას ერთეის: „ეით კეთილი, წინა-განაგებს, რადგან არ არის კეთილი ის, ეინც არა წინა-განაგებ-დეს".

[2] ნემს. ეს., ბუნ., კაცისა, 44, PG, 813.

[1] სათნო-ყოფილნი M. [2] დატეებულ M.

კუალად დატევებულ იქმნის ეინმე ოდესმე შოაერდომად ბილწსა რასმე საქმესა, განმართებისათუს სხუსა რაიმე უძურესისა ენებისა. ეითარ-იგი იყეის ეინმე სათნოებათა წარმართებასა ზედა აღზუავებული, რომელსა მიუშუს ღმერთმან შთაერდომად სიძეჳსა, რაითა დაცემისა მისგან მოეიდეს გრძნობად თუსისა უძლურებისა და დამდაბლდეს და მოუჴდეს და აღუვაროს უფალსა.[1]

77v II // ხოლო საჴმარ არს ცნობად, ეითარმედ აღრჩევაი საქმეთაი ჩუენ შორის არს. ხოლო სრულებაი კეთილთა საქმეთაი თანა-მოქმედებითა ღმრთისაჲთა არს, რომელი-იგი სამართლად შეუწევის აღმრჩეველთა კეთილისა საქმისათა, რომელნი ოდენ იპოვნენ მართალ სუნიდისითა წინაასწარ-მცნობელობისაებრ მისისა.[2] ხოლო დატევებისა სახენი ორ არიან, რამეთუ არს დატევებაი განგებულებითი და განსასწაელელი, და არს დატევებაი სრულიად განწირვითი. განგებულებითი უკუე და განსასწაელელი, ანუ განსამართლებელად და საცხორებელად და სადიდებელად ენებულისა მის იქმნების, ანუ საშურეებელად და აღსაბაძეებელად სხუათა, ანუ სადიდებელად ღმრთისა. ხოლო სრულიად განწირვითი დატევებაი არს, რაჟამს ღმერთმან ყოველიე საცხორებელად ჩუენდა ქმნას და ეგრეთცა უგრძნობელად და უკურნებელად და უფროსღა უგლიმად დაშთეს კაცი თუსისა უკეთურებისაგან, მაშინ განწირვით მიეცემის სრულიადსა წარწყმედასა, ეითარცა იუდა. გურიდოს ჩუენ ღმერთმან და წყალობით გაჴსნნეს ესეეითარისა მის დატევებისაგან.

ხოლო ესეცა ჯერ-არს ცნობად, ეითარმედ მრავალ არიან სახენი ღმრთისა განგებულებათანი, რომელნი-იგი არა ხოლო სიტყუთ გამოსათარგმანებელად, არამედ გონებითა და
78r I სატეენელადცა შეუძლებელ არიან. გარნა ესემცა უწყით, ეითარმედ ყოველნიე შესაწუხებელნი შემთხუეანი მადლობით შემწყნარებელთა ცხორებისა მიმართ მიიყვანებენ და ერთბამად ყოველთაე სარგებელისა მომატყუებელ არიან.

და ამისიცა უწყებაი ჯერ-არს, ეითარმედ ღმერთსა, ყოელისაე წინაასწარ განმგებელსა,
// ყოელთაე ჰნებაეს ცხორებაი და სასუ- 969
ფეელისა მისისა მიმთხუეად, რამეთუ არა ტანჯეისათუს შემჭმნა ჩუენ, არამედ მიმდებელად კაცთ-მოყუარებისა და სახიერებისა მისისა, ეითარცა სახიერ არს. ხოლო ცოდეილთაი ჰნებაეს ტანჯეად, ეითარცა მართალსა.

და გულისოქუმითა ყოფადთა კეთილთაჲ,[1] ეი- 75v
თარ-იგი მოწამეთა ზე. დატევებულ" იქმნ/ების ეინმე, იყეის ოდესმე ბილწთა საქმეთა შთაააყრდომელად, რათა განთაეისუფლდეს სხუსა უძერესისა ენებისაგან, ეითარ-იგი იყეის ეინმე აღზუავებული სათნოებათა ზედა წარმათებათა თუსთა, რომელსა მიუშუს ღმრთმან დაცემად სიძეითა, რათა დაცემისა მის მიერ გულის-ჴმის-ყოფად უძლურებისა თუსისა მოსრული დამდაბლდეს და მიუჴდეს[III] და აღუვაროს უფალსა.[1]

// ხოლო შესწავებაი საჴმარ არს, ეითარმედ 968
აღრჩევაი ეიდრემე საქმეთაი ჩუენ ზედა არს, ხოლო სრულებაი კეთილთაი უკუე შეწევნასა ღმრთისასა, რომელი სამართლად შეეწევის მართლითა სუნდისთა აღმრჩეველთა კეთილისათა წინაასწარ მცნობელობისაებრ მისისა, ხოლო ბოროტთაი დატევებასა ღმრთისასა.[2] ხოლო დატევების/ა/ სახენი არიან ორნი, რამეთუ არს დატევებაი განგებულებითი და განმწურთელობითი და არს დატევებაი სრულიად განწირულებითი, განგებულებითი უკუე და განწურთელობითი, განსამართებელად და საცხოერებელად და სადიდებელად ენებულისა ქმნილი, ანუ სხუათა საშურეებელად და მისამსგაესებელად ანუ სადიდებელად ღმრთისა. ხოლო სრულიადი დატევებაი არს, რაჟამს ღმრთისაგან საცხორებლად ქმნასა შინა ყოელთასა უგრძნობელად და განუკურნებელად, უფროსღა უკურნებელად, ეგოს კაცი წინა-აღრჩევისა მიერ თუსისა, რამეთუ მაშინ სრულიადსა წარსაწყმედელსა მიეცემის იგი, ეითარცა იუდა. გარნა მრიდოს ჩუენ ღმერთმან და მიჴსნნეს ეგეეითარისა[IV] მის დატევებისაგან.

ხოლო საჴმარ არს ცნობად, ეითარმედ მრაეალნი არიან სახენი საღმრთოისა წინაგანმგებელობისანი, არცა სიტყუთ თარგმანებად, არცა გონებით მიწერომად შესაძლებელნი. და ამისიცა შესწავებაი საჴმარ არს, ეითარმედ ყოველნი შემაწუხებელნი შემთხუეანი მადლობით შემწყნარებელთა მათთა ცხორებად აღიყვანებენ და ყოელისა სარგებლისა მომატყუებელ იქმნებიან.

უწყებაი სათანადო არს, ეითარმედ ღმერთსა
// პირველად უკუე ჰნებავს ყოველთა ცხორებაი
და სასუფეელისა მისისა ღირს-ყოფაჲ, რამეთუ
არა სატანჯეელისათუს დამბადნა ჩუენ, არამედ
რათა ზიარ-ეიქმნენთ /ცხო/რებისა მისისა, ეი- 76r I
თარცა სახიერმან. ხოლო, ეცოდოთ რაჲ, ჰნებავს ტანჯეაი, ეითარცა მართალსა. ეინაიცა

[1] ნემეს. ემეს., ბუნ. კაცისა, 44, PG, 809-812.
[2] დედანში ამას მოსდეეს წინადადება: „ხოლო ბოროტ საქმეთა გამოსელა დამოკიდებულია ღმერთის ნებართვაზე, იმაზე, რომ ღმერთი, თაისი წინა-განგებით, ტოეებს ადამიანს საეთარი ძალების იმედით (შდრ. ნემეს. ემეს., ბუნ. კაცისა, 37, PG, 749-753.)

[1] ნემეს. ემეს., ბუნ. კაცისა, 44, PG, 809-812.
[2] დედანში ამას ერთეის: „ხოლო ბოროტ საქმეთა გამოსელა დამოკიდებულია ღმერთის ნებართვაზე, იმაზე, რომ ღმერთი, თაისი წინა-განგებით, ტოეებს ადამიანს საეთარი ძალების იმედით (შდრ. ნემეს. ემეს., ბუნ. კაცისა, 37, PG, 749-753).

[I] კეთილთაჲთა M. [II] დატეობილ M. [III] მოუჴდეს M. [IV] ესეეითარისა M.

ვინაიცა ითქუმის, ეითარმედ პირეელი უკუე ძღუანვაჲ ნებისა და სათნო-ყოფისაჲ მისგან არს. ხოლო მეორე შედგომაჲ ნებისაჲ და დატეებისაჲ ჩუენისა მიზეზისაგან არს. და ესეცა ორ-სახე არს, პირეელი იგი საცხორებელი არს განგებულებით და სწაელით, ხოლო მეორე წარწირვით არს სრულიად სატანჯველად ჩუენდა, ვითარცა პირეელ ვთქუ. და კუალად ჩუენსა ჴელმწიფებასა შინა მყოფთა საქმეთაგანნი, რომელნი უკუე კეთილ იყვნენ მათთუს, იგი თავადი წინა-გუძღუს და ჰნებაეს და სათნო უჩნს, ხოლო რომელნი ჭეშმარიტებით ბოროტ იყვნენ, იგინი არცა სთნეანან, არცა წინა-გუძღუს, არცა უკუანა შეგუთქს, გარნა ხოლო მოგუშუებს, ვითარცა
78r II თუთმფლობელთა, რამეთუ იძულებით ქმნილი, რაჲცა არა სიტყჳერ არს, არცა სათნოება. ხოლო ესე ცხად არს, ვითარმედ წინა-განაგებს ღმერთი ყოველთა დაბადებულთათუს, ქველის-მოქმედებს და სწაელის (sic) მრავალგზის თუთ მათ ეშმაკოა მიერ, ეითარ-იგი იყო იობს ზედა და ღმრთა მათ.

44 /II, 30/ წინაჲსწარ ცნობისა და წინაგანსაზღვრებისათუს

თაჳი ჲდ

საქმარ არს ცნობად, ეითარმედ ყოველივე წინაჲსწარ უწყის // ღმერთმან, ხოლო არა ყოველსაე წინა-განასაზღერებს, რამეთუ ჩუენ შორის მყოფთა საქმეთათუსცა წინაჲსწარ უწყის, ხოლო არაეე წინა-განასაზღერებს მათთუს, ვინაჲთგან არა ჰნებაეს ქმნაჲ სიბოროტისაჲ, არცაღა კუალად აიძულებს ეის სათნოებისათუს. გარნა ვინაჲთგან საღმრთოჲსა წინაჲსწარ-მცნობელობითისა ბრძანებისა საქმე არს წინა-განსაზღერებაჲ, ამისთუსცა წინაჲსწარ-მცნობელობითა მისითა წინა-განასაზღერებს მას, რომელი არა ჩუენსა ჴელმწიფებასა შინა იყოს და წინაგანპბჭობს ყოველსაე ღმერთი სახიერებისათუს და სიმართლისა თუსისა.

ხოლო საქმარ არს ცნობად, ეითარმედ სათნოებაჲ ღმრთისა მიერ მოცემულ არს ბუნებასა შინა ჩუენსა, რამეთუ იგი თავადი არს ყოველისაე კეთილისა მიზეზ და დასაბამ და თუნიერ თანა-შეწევნისა და თანა-მოქმედებისა მისისა შეუძლებელ არს ჩუენ მიერ ნებებაჲ
78v I ანუ ქმნაჲ რაჲსაცა კეთილისაჲ. // ხოლო ესე ჩუენსა ჴელმწიფებასა შინა არს, რაჲთა დავად-გრეთ სათნოებასა შინა და შეუდგეთ ღმერთსა სათნოებად მიმწოდებელსა ჩუენსა, ანუ რაჲთა მიეცრკჳთ სათნოებისაგან, რომელ ესე არს შედგომაჲ ბოროტისაჲ და შეუდგეთ ეშმაკსა, რომელი-იგი სიბოროტისა მიმართ მიგუწოდ[ს] ნუ იძულებულად. რამეთუ სიბოროტე არა რაჲ არს სხუაჲ, თუნიერ განშორება კეთილი-საგან, ეითარ-იგი // ბნელი არს განშორებაჲ ნათელისაგან.

ითქუმის პირეელი ეიდრემე პირეელად ნებად და სათნო-ყოფად, ეითარცა თუთ მისგან მჭონებელი დასაბამისაჲ, ხოლო მეორე შედგომილად ნებისად და მიშუებად მიზეზთაგან ჩუენთა და ესე ორ-სახედ განგებულებითი უკუე და განმსწაელელობითი საცხორებელად, ხოლო განწირულებითი სრულიადად სატანჯველად, ეითარცა ვთქუთ. და ესენი არა ჩუენ ქუეშეთა შორის. ხოლო ჩუენ ქუეშეთაგანთა კეთილთა ეიდრემე წინა-შერაცხეით ინებებს და სათნო-იყოფს, ხოლო ძურთა და ნამდჳლე ბოროტთა არცა წინა-შერაცხეით, არცა შედგომილებით ინებებს, არამედ მიუშუებს, ეითარცა თუთმფლობელსა, რამეთუ იძულებით ქმნილი რაჲმე არცა სიტყჳერისაჲ, არცა სათნოებაჲ არს. წინა-განაგებს ღმერთი ყოველისა დაბადებულისა და ყოველისა აგებულისა ბუნებისათუს, ქველის მოქმედი და განმსწაელელი მრავალგზის თუთ მათ ეშმაკთაჲცა, ეითარ-იგი იობის-ზე და ღმრთა.

44 /II, 30/ წინაჲსწარ ცნობისათუს და წინაჲსწარ განსაზღერებისა

თაჳი ჲგ

სათანადო არს მეცნიერებაჲ, ვითარმედ
972 ყოველნი უკუე წინაჲსწარ უწყნის // ღმერთმან, ხოლო არა ყოველთა წინაჲსწარ განასაზღერებს, რამეთუ წინაჲსწარ უწყნის ეიდრემე ჩუენ ქუეშენიცა, არამედ არა წინაჲსწარ განასაზღერებს მათ, რამეთუ არა ჰნებაეს ქმნაჲ სიბოროტისაჲ, არცა აიძულებს ქმნასა სათნოებისასა. ვინაიცა საღმრთოჲსა წინა-მცნობელობითისა ბრძანებისა საქმე არს წინაჲსწარ განმსაზღერელობაჲ, ხოლო წინა-ჲსწარ განასაზღერებს არა ჩუენ ქუეშეთა წინა-მცნობელობისაებრ თუსისა, რამეთუ ეგერა წინა-მცნობელობისაებრ მისისა წინაჲსწარ განბჭო ყოველი ღმერთმან სახიერებისაებრ და სიმართლისა თუსისა.

ხოლო შესწაევებაჲ საქმარ არს, ეითარმედ სათნოებაჲ უკუე ღმრთისა მიერ მოეცა ბუნებასა შინა და თუთ იგი არს ყოველისა კეთილისა დასაბამი და მიზეზი და თუნიერ შეწევნისა და თანა-მოქმედებისა მისისა შეუძლებელ არს ჩუენგან ნებებაჲ ანუ ქმნაჲ
973 კეთილისაჲ. // ხოლო ჩუენ ქუეშე არს დად-გრომაჲ სათნოებასა ზედა და შედგომაჲ ღმრთისაჲ, მიმიწოდდეს რაჲ ამისსა მიმართ, ანუ მიდრეკაჲ სათნოებისაგან, რომელ არს ქმნაჲ სიბოროტჳსა შინა და შედგომაჲ ეშმაკისაჲ, მიმიწოდდეს რაჲ ამისსა მიმართ უიძულებულად, რამეთუ სიბოროტე არა-რაჲ სხუაჲ არს თუნიერ განშორებაჲ კეთილისაჲ, ეითარ-იგი 76r II
976 // ბნელიცა განშორებაჲ არს ნათლისაჲ.

აწ უკუე დაეადგრეთ თუ ბუნებითსა ზედა, უეჭუელად სათნოებასა შინა ეართ. ხოლო მიედრკეთ რაჲ ბუნებითისაგან, რომელ არს სათნოებაჲ, გარეშე ბუნებისა ვიქმნებით და სიბოროტისა მიმართ მიეიწევით. ხოლო სინანული არს არა ბუნებითისაგან ბუნებისა და ეშმაკისაგან ღმრთისა მიმართ უკ-მოქცეეაჲ და აღმოსლეაჲ მოღუაწებითა და შრომითა.

აწ უკუე პირველი იგი კაცი წულად დაბადა დამბადებელმან და მისცა მას საღმრთოისა მისგან მადლისა თუსისა და ზიარ თაეისა თუსისა ამით ჯერითა შექმნა იგი, რაჟამს ცხოველთა სახელის-დებაჲ მას აღმოათქუმია და, ეითარცა სამონოდ მისსა მიცემულთა ზედა, შეუფებრ განმგებელყო. რამეთუ ეინაჲთგან ხატად ღმრთისა, სიტყჳერად და საცნაურად
78v II შეიქმნა იგი, ამისთჳსცა ჯეროვნითა განგებითა ქუეყნისათა მთაერობაჲ ჴელთ-უდეა მას ზოგადმან მან ყოველთა დამბადებელმან და მეუფემან.

ხოლო ეინაჲთგან უწყოდა ყოვლისაეე წინაასწარ მეცნიერმან ღმერთმან, ეითარმედ გარდამაეალ მცნებისა იქმნების კაცი და ხრწნილებასა შთაეარდების, ამისთჳსცა მისგანეე შექმნა დედაღიცა შესაწეენელად მისთჳს. შესაწეენელად უკუე ეიტჳ შემდგომად მცნებისა გარდასლვისა ყოფადისა მისთჳს შობისა და განმრაელებისა ნათესაჲთაჲსა, რამეთუ პირველთა მათ მამათა ქმნასა ღმრთისა მიერსა ქმნა ეწოდების და არა თუ შობა, რამეთუ ქმნა არს ღმრთისა მიერი დაბადებაჲ. ხოლო შობაჲ უკუანაჲსკნელ შემოეიდა ბუნებასა ჩუენსა საშჯელად და პატიჟად გარდასლვისა მის, რაჲთა მონაცუალეთა დაუტეობდეს მომკუდართა მათ და წარმაეალთასა.

ესე კაცი ღმრთით ქმნული მის მიერეე დადგინებულ იქმნა სამოთხესა შინა საცნაურსა და // გრძნობადსა, რაჲთა გრძნობადობით ქუეყანასა ზედა იქცეოდის ჯორცითა, ხოლო საცნაურობითა სულისაჲთა თანა შეერთებულ იყოს და მუშაკობდეს საღმრთოსა გულიჴმის-ყოფასა და მის მიერ იზარდებოდის
79r I შიშუელი სიწრფოებითა და ცხორებითა უკელოვნოჲთა, რაჲთა მხოლოდ დაბადებულთაგან დამბადებელისა მიმართ ამაღლდებოდის და მისითა ხედჳითა იშუებდეს და მხიარულ იყოს. ეინაჲთგან უკუე თუთ-მფლობელითა ნებითა ბუნებითად შეამკო იგი დამბადებელმან, ამისთჳს მისცა მას შჯული, რაჲთა არა იხილოს გემოჲ ხისა მისგან ცნობადისა. ხესა ეიტჳ მას, რომლისათჳს ჩუენცა სამოთხისათჳს თქუმულსა შინა ფრიადი წარმოეთქუთ ძალისაებრ ჩუენისა. ამისაგან უკუე გემოჲ არა ხილეად მისცა მცნებაჲ და აღუთქუა, რაჲთა უკუეთუ დაიცეას სიტყჳერებითი პატიჟი სულისაჲ და სიტყუასა მას მეუფისასა მისცეს ძლეეაჲ და იცნას დამბადებელი და დაიმარხოს ბრძანებაჲ მისი, დაუსრულებელსა მიემთხუოს ნეტარებასა და ცხოენდეს უკუე და ზეშთა სიკუდილისა იქმნეს.

აწ უკუე ეეგნეთ რაჲ ბუნებითსა ზედა, სათნოებასა შინა ეართ, ხოლო მიესდრკეთ რაჲ ბუნებითისაგან, რომელ არს სათნოებაჲ, გარეშესა ბუნებისასა მოუკდებით და სიბოროტესა შინა ვიქმნებით. სინანული არს ბუნებისა გარეშისაგან ბუნებითისა მიმართ და ეშმაკისაგან ღმრთისა მიმართ კუალად ქცეეაჲ მოღუაწებისა მიერ და შრომისა.

ეს უკუე კაცი წულად შეჰმზადა დამბადებელმან და საღმრთოჲსა მადლისა თუსისაგან გადასცა მას და თანა-ზიარ თაეისა თუსისა ყო იგი ამის მიერ, რომლისათჳსცა სახელის-დებაჲ ცხოველთა წინაასწარმეტყუელებით, ეითარცა სამონოდ მიცემულთაჲ, მისდა მეუფებრ წარმოაჩინა, რამეთუ ხატისაებრ ღმრთისა სიტყჳერად და გონიერად და თუთჳსმწოფად დაბადებულსა სამართლად ჴელთ-ედეა მთაერობაჲ ქუეყნიერთაჲ ზოგადისა მის ყოველთა შემოქმედისა და მეუფისაგან.

არამედ უწყოდა წინაასწარ-მცნობელმან ღმერთმან, ეითარმედ გარდაჰკდების იგი მცნებასა და ხრწნილებასა დაემონების, ამისთჳს შექმნა მისგან დედაკაცი შემწე მისი, მისებრიეე, ხოლო შემწე, რათა შობისა მიერ ყოველად გარდასლვისა მონაცვალეობასა ნათესავისასა ჰმარხეიდეს, რამეთუ პირველი დაბადებაჲ ქმნად ითქუმის, არა შობად. რამეთუ ქმნაჲ ვიდრემე არს პირველი ღმრთისაგან დაბადებაჲ, ხოლო შობაჲ დაშჯილებისაგან სიკუდილისა გარდასლვისათჳს ურთიერთას[1] მონაცვალებაჲ.

ესე დააადგინა სამოთხესა შინა გონიერსაცა // და გრძნობადსა. გრძნობადსა შინა უკუე
977 ჴორციელად მქცევი ქუეყანასა ზედა, ხოლო სულიერად თანამოქალაქე ანგელოსთაჲ, მუშაკი საღმრთოთა მოგონებათაჲ და მათ მიერ გამოზრდილი, შიშუელი სიწრფოებითა და ცხორებითა უკელოვნოჲთა, მხოლოჲსა დამბადებელისა მიმართ ოდენ აღმაეალი დაბადებულთა მისთა მიერ და ხედჳითა მისითა შუბული და მხიარულ-ქმნილი. ხოლო ეინაჲთგან თუთმფლობელითა ნებითა ბუნებითად შეამკო იგი, მისცა მას შჯული არა გემოჲს-ხილვად ხესა ცნობადისასა, რომლისა ხისათჳს ძალისაებრ ჩუენისა კმა-საყოფელად წარმოესთქუთ სამოთხისა ძლითსა თავსა შინა. ესე მცნებაჲ მისცა მას მბრძანებელმან, ეითარმედ უკუეთუ დაიცეას ვიდრემე პატიჟი სულისაჲ სიტყჳსადა მიმცემელმან ძლეეისამან, შემცნებულმან დამბადებელისამან და დამცველმან[1] ბრძანებისა მისისამან, სამარადისოჲსა ზიარ იქმნეს ნეტარებისა და ცხოველ იყოს უკუე უაღრეს ქმნილი სიკუდილისაჲ.

[1] ურთიერთასისა М. [1] მცველმან М.

ხოლო უკუეთუ სული დაუმორჩილოს ჴორცთა და ჴორცთა შუებასა პატივ-სცეს და თუსისა პატივისაგან უმეცარ იქმნას, ებაძოს პირუტყუთა უგუნურთა და განაგდოს უღელი დამბადებელისაი და საღმრთოი იგი ბრძანებაი მისი შეურაცხ-ყოს, მყის სიკუდილისა თანა-მდებ იქმნეს და ხრწნილებასა და ტკივილთა შთაერდომითა უბადრუკსა მიემთხუოს ცხორებასა. რამეთუ არცა უმჯობეს იყო ჯერეთ
79r II გამოუცდელისაჲვე მოულოდებელად მიმთხუევაი უხრწნელებასა, რაჲთა არა აღზუაენეს და საშჯელსა ეშმაკისასა შთავარდეს, ესე იგი არს, უნანელობაი, რამეთუ მას უხრწნელებისაგან აქუს შემდგომად თუთმფლობელობით ქმნილისა მის ბოროტსა შინა შთაერდომისა-გან შეუნანებელად დაშთომაი, უქცეველისა მისთუს შეყინულებისა და შემტკიცებულებისა, ვითარ-იგი კუალად ანგელოზთაცა შემდგომად თუთმფლობელობით ქმნილისა მის სათნოე-ბათა აღრჩევისა აქუს მადლით მინიჭებული იგი შეურყეველობაი კეთილთაგან.

აწ უკუე, ვითარ-იგი პირველ ეთქუთ, ჯერ-იყო პირველად გამოცდაჲ კაცისაჲ და გა-მოცდილებით სრულ-ქმნაჲ მისი დაცეითა მეცნიერებისაჲთა და ესრეთღა მინიჭებაჲ უხრწნელებისაჲ შემდგომად ღუაწლისა და მისაგებელად სათნოებისა, ამისთუსცა შორის ღმრთისა და ნიეთისა დადგინებულ იქმნა და უკუეთუმცა დაეცეა მცნებაჲ და შეერთებული იყო ღმრთისადა განყოფითა და განშორებითა ბუნებითისა მისგან ნიეთთა თუსებისა, მცირედ-მცირედ ეგულებოდა მიღებაჲ შეუძრეელისა სიმტკიცისა და შეერთებისა კეთილთაჲსაჲ.

79v I ხოლო იგი გა[რ]დ[ა]სლეისა მიერ ნიეთთა მიმართ უმეტესად აღიძრა და ამით მიზეზითა განაშორა თავი თუსი მიზეზისაგან მისისა, რომელ არს ღმერთი, მიზეზი ყოველთა დაბადებისაჲ. და ესრეთ განიკუთნა ხრწნილე-ბაჲ ნაცელად უხრწნელებისა და ენებულებაჲ ნაცელად უნებელობისა და მოკუდაე-ყოფაჲ ნაცელად უკუდაე-ყოფისა. ვინაჲცა იქმნა მოქნე თანა-მეუღლისა და ტრფიალ ბუნები-თისა მშობელობისა და ყოელად ზრქელისა ცხორებისა. რომლისა საშუებელნი ამისთჳს შექმნულნი ეგრეთ განიკუთნნა, და მოკლებისა მათისათჳს წინა-მზრუნველობით ადგილად შეიშთვებოდა. ვინაჲცა გარე-მოაქცინა სურეი-ლი ღმრთისაჲ სურეილად ნიეთთა და გულის-წყრომაჲ ნამდჳლე კაცთა ცხორებისა მტრისა მიმართი // თუსთა ნათესავთა მიმართ.

ხოლო ესე ცხად არს, ვითარმედ შურითა ეშმაკისაჲთა იძლია კაცი, რამეთუ ვერ თავს იდებდა მოშურნე იგი და კეთილის მოძულე ეშმაკი, რაჲთამცა ზენასა მას, რომლისაგან იგი ქუე დაკუეთებულ იქმნა, ჩუენმცა ქუემოთ ზე-აღსრულ ეიყუენით. ვინაჲცა განღმრთობისა სასოებაჲ აღუგო ჴორცად სამჴედურსა მას სიკუდილისასა და მით მოინადირა უბადრუკი

ხოლო უკუეთუ სული დააშორჩილოს 76v I
ჴორცთა და უფროჲს პატივ-სცეს საშუე-ბელსა ჴორცთასა ვერ-მცნობელმან თუსისა პატივისამან[1] და მიმსგავსებულმან პირუტყუ-თა უგუნურთამან, განმგდებელმან უღელსა შემოქმედისასა და საღმრთოჲსა ბრძანებისა მისისა უგულებელს-მყოფელმან სიკუდილისა და ხრწნილებისა თანა-მდები ყოს, და მოკნე ქმნილი შრომისაჲ უბადრუკისა მზიდველ იყოს ცხორებისა, რამეთუ არა-ჯეროან ჯერეთ გამოუცდელისა და გამოუძიებელისაჲ მიმთხუ-ევაი უხრწნელებასა, რაჲთა არა ზუაობასა შთა-ვარდეს საშჯელსა ეშმაკისასა, რამეთუ მან შემდგომად წინა-აღრჩევითისა მის დაცემისა უხრწნელებისათჳს მოიგო ბოროტსა შინა შეუნანებელობაჲ და უქცეველი სიმტკიცე, ეი-თარ-იგი კუალად ანგელოსთაცა შემდგომად /წინა/აღრჩევისა მიერსა მას გამორჩევასა სათნოებისასა მადლისა მიერ შეუძრეელი დამყარებაჲ კეთილსა შინა.[II]

აწ უკუე ჯერ-იყო პირველად გამოცდაჲ კაცისაჲ და დაცეისა მიერ მცნებისა გამოც-დილებით სრულ-ყოფაჲ და ეგრეთ [მისაგებე-ლად] სასყიდლად სათნოებისა ღირს-ყოფაჲ უხრწნელებისაჲ, რამეთუ შორის ღმრთისა და ნიეთისა დაბადებულსა დამარხეითა უკუე მც-ნებისაჲთა შემდგომად შეცვალებისა მყოფთა მიმართისა მის ბუნებითისა განუჯრელისა თუსებისაჲთა საკუთრებით შეერთებაჲ ღმრთი-საჲ და კეთილისა მიმართ შეუძრეელისა სიმტკიცისა მიღებაჲ ეგულებოდა.

ხოლო გარდასლეისა მიერ უფროჲსღა ნიე-თისა მიმართ[III] მოძრაე-ქმნილი და მიზეზისა თუსისა, ცხად არს, ეითარმედ ღმრთისაგან მომწყუედელი გონებისაჲ ხრწნილებასა შეე-საკუთრა და ენებულ უენებელობისა წილ და მოკუდაე ქმნილი უკუდაებისა წილ, თანა-ყო-ფისა და დინებითისა შობისა მომპოვნებელ იქმნა და სიყუარულითა სიცოცხლისაჲთა სახარულევანთა ვიდრემე რეცა, ეითარცა შე-მამტკიცებელთა მისთა შეიტკბობდა, ხოლო მოკლებისა მათისა მიმართ მაწუეველთა ად-ვილად შეურაცხ-ჰყოფდა და სურეილი უკუე ღმრთისაგან ნიეთისა მიმართ, ხოლო გულის-წყრომაჲ მისგან, რომელი-იგი ნამდჳლეე მტერი არს ცხორებისაჲ ჩუენისა // თანამონათესაეთა
980 მომართ მოცალა.

ესრეთ უკუე შურითა ეშმაკისაჲთა ძლეული კაცი, რამეთუ ვერ თავს იდებდა მოშურნე და 76v II
კეთილის მოძულე ეშმაკი, თუთ ქუენა-ქმნილი ამპარტავანებისათჳს, ზენათა მიმთხუეულ ყოფასა ჩუენსა, რომლისათჳსცა სასოებითა განღმრთობისაჲთა შეიტყუა უბადრუკი[1] და

[1] ე. ი. ადამი

[I] პატივისამან A. [II] დამყარებაჲ კეთილსა შინა – კეთილ-სა შინა დამყარებაჲ M. [III] მომართ M.

იგი კაცი.[1] რაჟამს თუსისა ამპარტავანებისა სიმაღლედ აღიყვანა და მსგავსსავე თუსსა
79v II შეამოაგდო მთხრებლსა დაცემისასა.

45 /III, 1/ საღმრთოისა განგებულებისათჳს და ჩუენდა მომართისა წყალობისა და ჩუენისა ცხოვნებისათჳს

თავი მე

ამით უკუე კუეთებითა ბოროტთა დასაბამისა ეშმაკისაჲთა მონაღირებული კაცი, არა დამცველი მცნებასა დამბადებელისასა, განშიშულებული მადლისაგან და განძრცვლი ღმრთისა მიმართისა კადნიერებისაგან, დაბურვილი სიმქისითა ამის საწუთროსაჲთა, რამეთუ ესე იყო ფურცელი იგი ლელუსაჲ[2] და შემოსილი მოუდაჲობითა, რომელ არს მოკუდაებაჲ და სიზრქე ჯორცთაჲ ამათ, რამეთუ ეს იყო შემოსაჲ იგი მუუდრისა ტყავისა სამოსელითაჲ,[3] და სამოთხით ექსორია-ქმნული სიძართლითა ღმრთისა მართლ-მსჯულობისაჲთა და სიკუდილითა დასჯილი და ხრწნილებისა დამონებული, არა უგულებელს-ყო თანა-ღმობელმან და მრავალ-მოწყალემან ღმერთმან, რომელმან ყოფაჲცა მისცა და კეთილად ყოფაჲცა მიანიჭა. არამედ პირველად მრავალ სახედ გასწაელა და მოქცევად მოუწოდა შიშითა და ძრწოლითა,[4] წყლით რღუნითა და მყის ყოელისაჲე ნათესაჳისა ერთაბამად მოწყუედითა,[5] შერეენითა და განყოფითა ენათაჲთა,[6] მოელინებითა ანგელოზთაჲთა,[7] დაწუეითა ქალაქთაჲთა,[8] ღმრთის გამოცხადებითა სახის შეცვალებითითა, ბრძოლითა, მძლეობითა,
80r I ძლეულებითა, სასწაულითა და ნიშებითა და თითო-სახეობითა ძალთაჲთა, შჯულითა და წინაასწარმეტყუელებითა, რომელთა მიერ სასწრაფო იყო განქარეებაჲ ცოდვისაჲ მრავალ-სახედ გაფენილისა და დამამონებელისა კაცთაჲსა, რომლმან-იგი ყოელიეე სახე სიბოროტისაჲ შემოიყვანა ცხორებასა ამას და რაჲთა პირველისაჲე კეთილად ყოფისა მიმართ აღყვანებულ იქმნეს კაცი.

ხოლო ვინაჲთგან ცოდვისა მიერ სიკუდილი სოფლად შემოჴდა, ეითარცა მჴეცმან რამანმე მძუნვარემან და დაუმდოერებელმან, იწყო განხრწნად ცხორებისა კაცთაჲსა, ჯერ-იყო უცოდველ-ყოფაჲ მისი, რომელსა ეგულებოდა დაჴსნაჲ მისი და რაჲთა არა იგიცა ცოდვისა მიერ თანა-მდებ იყოს სიკუდილისა და ესრეთღა განძლიერებაჲ და განახლებაჲ ბუნებისაჲ და საქმით განსწაელაჲ და სწაელაჲ სათნოებისა გზასა განმყოფელად ხრწნი-

[1] იგულისხმება ადამი.
[2] შეს., 3, 7.
[3] შეს., 3, 21.
[4] შეს., 4, 12.
[5] შეს., 6, 13.
[6] შეს., 11, 4.
[7] შეს., 18, 2.
[8] შეს., 19, 24.

თუსისა ამპარტავანებისა სიმაღლედ აღყვანებული მსგაჳსისაე დაცემისად თხრებლად შოაჴადა.

981

45 /III, 1/ საღმრთოისა განგებულებისა და ჩუენდა მომართისა სიტკბოებისა და ჩუენისა მაცხოარებისათჳს

თავი მდ

ამათ უკუე კუეოებითა ბოროტთა დასაბამისა ეშმაკისაჲთა შეტყუებული კაცი და არა დამცველი მცნებასა დამბადებელისასა და განშიშულებული მადლისაგან და განძრცვლი ღმრთისა მიმართისა კადნიერებისაგან და დაბურვილი სიმქისითა უშუერისა ცხორებისაჲთა, რამეთუ ესე არიან ფურცელნი ლეღუსანი[1] და გარე-შემოსილი მუუდრობითა, ესე იგი არს, მოკუდაებითა და სიზრქითა ჯორცთაჲთა, რამეთუ ესე იყო შემოსაჲ ტყავსა[2] მუუდართასა, და მართლმსჯულობითა ღმრთისაჲთა სამოთხით ექსორია-ქმნილი და სიკუდილითა დაშჯილი და ხრწნილებისა დამონებული არა უგულებელს-ყო თანა-ღმობელმან, ყოფისა მიმცემელმან და კეთილად ყოფისა მიმნიჭებელმან. არამედ პირველად მრავალთა მიერ განსწაელა და მოქცევისა მიმართ მოუწოდა სულთქუმითა და ძრწოლითა[3] წყლითა რღუნისაჲთა და ყოელისაჲე ნათესაჳისა კნინღა და სრულიად მოსრულებითა,[4] განყოფითა ენათაჲთა,[5] ზედა მდგომელობითა ანგელოსთაჲთა,[6] დაწუეითა ქალაქთაჲთა,[7] სახოენებითითა ღმრთის გამოცხადებითა, ბრძოლითა, ძლეეითა, ძლეულებითა, სასწაულებითა და ნიშებითა და ფერად-ფერადითა ძალითა, შჯულითა წინაასწარმეტყუელთა მიერ, რომელთა სასწრაფო იყო უჩინო-ყოფაჲ ცოდვისა, მრავალ სახედ განფენილისაჲ, და კაცისა მონად თუსსა მიმყვანებელისაჲ და ყოველსა სახესა სიბოროტისასა ცხორებასა შინა შემომკრებელისაჲ და კეთილად ყოფისა მიმართ კუალად ქცეყაჲ კაცისაჲ.

ვინაჲთგან ცოდვისათჳს სოფლად შემოვიდა სიკუდილი, ეითარცა მჴეცი რაჲმე ეელური და მოუმდოერებელი, განმრყუნელი ცხორებისა კაცთაჲსაჲ, ხოლო უკჳდა გამოკსნისა მნებებელსა უცოდველ-ყოფაჲ და რათა არა თანამდებ იყოს სიკუდილისა ცოდვისათჳს.
77r I მერმეცა განმჴნობაჲ და განახლებაჲ ბუნებისაჲ და საქმით სწაელაჲ და ჩუენებაჲ გზასა სათნოებისასა, რომლითა ხრწნილებაჲ ეიდრემე წარვალს, ხოლო ცხორებისა საუკუნოჲსა სასოებაჲ შემოვალს.

[1] შეს., 3, 7.
[2] შეს., 3, 21.
[3] შეს., 4, 12.
[4] შეს., 6, 13.
[5] შეს., 11, 4.
[6] შეს., 18, 2.
[7] შეს., 19, 24.

ლებისაგან და შემაერთებელად საუკუნოისა უხრწნელებისა.

და დასასრულსა ამის ყოვლისასა, რაჲთა დიდიცა იგი იხილოს უფსკრული ღმრთისა მოწყალებათაჲ, ამისთჳსცა თუთ დამბადებელმან და უფალმან თჳსისა ქმნულისა წილ თუთ მიითუალა ბრძოლაჲ, რაჲთა საქმით მოძლუარ ექმნეს მას. და ვინაჲთგან განღმრთობისა სასოებითა აცთუნა მტერმან // კაცი, ამისთჳსცა სამჭედურითა ჯორცთაჲთა მონადირებულ იქმნა. ესრეთ უკუე ამით ჯერითა განაცხადნეს ერთბამად სახიერებაჲ და სიბრძნე, სიმართლე
80r II და ძლიერებაჲ ღმრთისაჲ. სახიერებაჲ უკუე [ა]მით, რამეთუ არა უგულებელს-ყო უძლურებაჲ თჳსისა შექმნულისაჲ, არამედ სახიერ ექმნა დაცემულსა მას და ჴელი აღუპყრა. ხოლო სიმართლე ამით, რამეთუ სხუაჲ ძლეულ იყო და არა სხჳსა მიერ სძლო მძლავსა, არცა მძლავრებით გამოიტაცა სიკუდილისაგან კაცი, არამედ რომელი-იგი ძუელ ოდესმე ცოდჳისა მიერ დაემონა სიკუდილსა, ესეცე მართალმან მან და სახიერმან კუალად მძლედ მძლისა მის გამოაჩინა და მსგაჳსითა მსგაჳსი აცხოვნა, რომელი-ესე უღონო იყო.

ხოლო სიბრძნე – ამით, რამეთუ უღონოსა მას უპოვა ღონე დაჴსნისაჲ კეთილად შუენიერი. ხოლო ძლიერებაჲ – ამით, რამეთუ უძლურსა მას ბუნებასა შეჰმოსა ძალი, რაჟამს სათნო-ყოფითა ღმრთისა მამისაჲთა მხოლოდშობილი ძე და სიტყუაჲ ღმრთისაჲ და ღმერთი, რომელი იყო წიაღთა ღმრთისა მამისათა,[1] თანა-არსი მამისა და სულისა წმიდისაჲ, პირველ საუკუნეთაჲ დაუსაბამოჲ, რომელი დასაბამად იყო, პირველიეე იყო და ღმრთისა თანა იყო და ღმერთი იყო და რომელი-იგი ხატი ღმრთისაჲ იყო,[2] მოდრიკნა ცანი და გარდამოჴდა, ესე იგი არს, დაუმდაბლებელისა მის სიმაღლისაგან დაუმდაბლებელად თავ[ი] თჳსი დაიმდაბლა და თჳსთა მონათა თანა შთამოვიდა შთამოსლვითა გამოუთარგმანებელითა და მიუწდომელითა, რამეთუ ამას მასწაւებს გარდამოსლვაჲ. და რომელი-იგი
80v I ღმერთი იყო სრული, სრულ კაც იქმნა და აღასრულა საქმე ყოველთა ახალთა უახლესი და მხოლოჲ ახალი მზესა ქუეშე,[3] რომლისა მიერ განუზომელი იგი ძლიერებაჲ ღმრთისაჲ გამოჩნდების, რამეთუ რაჲთამცა უმეტეს იყო ღმრთისა განკაცებისასა!

და სიტყუაჲ ღმრთისაჲ უქცეველად ჯორცშესხმულ იქმნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან წმიდისა და მარადის ქალწულისა ღმრთისმშობელისა. და შუამდგომელ ღმრთისა და კაცთა იქმნა მხოლოჲ კაცთმოყუარე არა ნებითა ანუ გულისთქუმითა, ანუ შეერთებითა მამაკაცისაჲთა, არცა შობითა გემოვნებითითა მუცლად-ღებულ იქმნა საშოსა

და დასასრულსა დიდი იგი უფსკრული სახიერებისაჲ საცნაურ იქმნების მისთჳს, რამეთუ თუთ იგი დამბადებელი და უფალი თჳსისა დაბადებულისა წილ თუთ მიითუალავს ბრძოლასა და საქმით მოძღუარ იქმნების და ვინაჲთგან სასოებითა ღმერთ-ყოფისაჲთა
984 მოინადირა მტერმან // კაცი, სამჭედურითა ჯორცთაჲთა შეიტყუების და საცნაურ-იქმნების ერთბამად სახიერებაჲ და სიბრძნე და სიმართლე და ძლიერებაჲ ღმრთისაჲ. სახიერებაჲ უკუე, რამეთუ არა უგულებელს-ყო უძლურებაჲ დაბადებულისა თჳსისაჲ, არამედ მოწყალე იქმნა დაცემულებასა მისსა ზედა და ჴელი აღუპყრა. და სიმართლე, რამეთუ ვინაჲთგან კაცი ძლეულ იყო, არა სხუასა ჰყოფს მძლედ მძლავრისად, არცა იძულებით გამოიტაცებს სიკუდილისაგან კაცსა, არამედ რომელი – იგი პირველ ცოდჳისა მიერ დაიმონა სიკუდილმან, ესე სახიერმან და მართალმან კუალად მძლედ გამოაჩინა და მსგაჳსითა მსგაჳსსა აღმოუწოდა, რომელი-ესე უღონო იყო.

და სიბრძნე, რამეთუ მოუპოჲა უღონოსა, აღჴსნა ყოველად შუენიერი, რამეთუ სათნოყოფითა ღმრთისა და მამისაჲთა მხოლოდშობილი ძე, სიტყუაჲ ღმრთისაჲ და ღმერთი, მყოფი წიაღთა მამისათა,[1] თანა-არსი მამისა და სულისა წმიდისაჲ, პირველ საუკუნეთაჲ, დაუსაბამოჲ, რომელი დასაბამსა[I] იყო და ღმრთისა და მამისა თანა იყო და ღმერთი იყო, რომელი[II] ხატი ღმრთისაჲ იყო,[2] მოდრიკნა ცანი და გარდამოჴდა, ესე იგი არს, დაუმდაბლებელისა სიმაღლისა თჳსისა დაუმდაბლებელად დამდაბლებელი[III] თანა-შთამოსლვაჲსა ჰყოფს მონათა თჳსთაჲსა თანა-შთამოსლვითა გამოუთქუმელითა და მიუწთომელითა, რამეთუ ამას ცხად-ჰყოფს შთამოსლვაჲ. და ღმერთად სრულად მყოფი სრულ კაც იქმნების და აღესრულების ყოველთა ახალთა უახლესი და მხოლოჲ ახალი მზესა ქუეშე,[3] რომლისა მიერ განუზომელი იგი ძალი ღმრთისაჲ, საცნაურ იქმნების, რამეთუ რაჲ უფროჲს არს კაც-ქმნისა ღმრთისასა!

და სიტყუაჲ უქცეველად ჯორც-იქმნების სულისაგან წმიდისა და მარიამისგან წმიდისა, მარადის ქალწულისა და ღმრთისმშობელისა და შუამდგომელად ღმრთისა და კაცთა გამოჩნდების მხოლოჲ, კაცთმოყუარე, არა ნებითა, ანუ გულის-თქუმითა, ანუ შეყოფითა მამაკაცისაჲთა, ანუ გემოვნებითითა შობითა მუცლადღებული

[1] იოანე, I, 18.
[2] ფილიპ., 2, 6.
[3] ეკლესიასტე, I, 10.

[1] იოანე, I, 18.
[2] ფილიპ., 2, 6.
[3] ეკლესიასტე, I, 10.

[I] რომელი დასაბამსა M. [II] და M. [III] დამამდაბლებელისა M.

შინა უხრწნელისა მის დედისა ქალწულისასა, არამედ სულისაგან წმიდისა და პირველისაებრ დაბადებისა ა[და]მისისა. და იქმნა მორჩილ [მამ]ისა და ჩუენგან და ჩუენ მიერ მიღებულითა მით ურჩებაი ჩუენი განკურნა და სახე და საბაძელ გუექმნა ჩუენ მორჩილებისა, რომლისა თუნიერ არა არს სხუაი ღონე ცხორებისა მიმთხუევისაი.[1]

46 /III, 2/ სახისათჳს მუცლად-ღებისა სიტყჳსა ღმრთისა და საღმრთოჲსა მისთჳს განჴორციელებისა მისისა

თაჲი მე

ანგელოზი უფლისაი მოიელინა წმიდისა ქალწულისა ტომით დაჲით[ისნი]თ შთამომავალისა,[2] „ვინაჲცა წინაჲსწარ ჩანს, რამეთუ იუდაჲს ნათესავისაგან აღმოგაჳბრწყინდა უფალი ჩუენი,[3] რომლისა ნათესაჲთაგანი
80v II არაჲინ სადა საკურთხეველსა წარდგომილ იყო“.[4] ეითარცა იტყჳს საღმრთოჲ მოციქული და ამისეე პირისათჳს ჩუენცა უკუანაჲსკნელ ჟამთა უგანცხადებულესად-რე. ამას ყოელად წმიდასა ქალწულსა წარმოუდგა ანგელოზი // მახარებელად და პრქუა: „გიხარ-ოდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა“.[5] ხოლო იგი შეძრწუნდა სიტყუასა ამას ზედა, ვინაჲცა კუალად პრქუა ანგელოზმან: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოე მადლი წინაშე უფლისა და ჰშეე ძე და უწოდი სახელი მისი იესუ“.[6] რამეთუ მან აცხოენოს ერი თუსი ცოდეათა მათთაგან“[7] ვინაჲცა იესუ მაცხოერად გამოითარგმანების.

ხოლო იგი ულონო იყო ცნობად, და იტყოდა: „ეითარ-მე იყოს, ესე ჩემდა, ვინაჲთგან მე მამაკაცი არა ვიცი?“. კუალად თქუა ანგელოზმან მისსა მიმართ: „სული წმიდაჲ მოეიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისაჲ გფარეიდეს შენ, ვინაჲცა შობილსა მას წმიდა ეწოდოს და ძე ღმრთის“ (sic). მაშინ ქალწულმან პრქუა: „აჰა, მჭეელი უფლისაჲ, მეყაენ მე სიტყჳსაებრ შენისა“.[8] მიერითგან უკუე პრწმენა რაჲ ქალწულსა წმიდასა სიტყუაჲ იგი ანგელოზისაჲ, მყის სული წმიდაჲ მოეიდა მის ზედა, სიტყუსაებრ უფლისა, რომელ პრქუა ანგელოზმან. წმიდა-ყო იგი და მისცა ძალი შემწყნარებელი ღმრთეებასა მას სიტყჳსასა, ამას თანა და მშობლობისაცა. და მაშინეა ჰფარეიდა მას გუამოჲანი იგი ძალი და სიბრძნე ღმრთისა მაღლისაჲ, ძე ღმრთისაჲ, თანა-არსი მამისაჲ, რომელმან-იგი, ეითარცა საღმრთომან თჳსლმან, შეუმზადნა თაჲსა თუსსა უბიწოთა მათგან და

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 6 და 38.
[2] ლუკა, I, 26.
[3] ებრ., 7, 14.
[4] ებრ., 7, 13.
[5] ლუკა, I, 28.
[6] ლუკა, I, 29-31.
[7] მათე, I, 21.
[8] ლუკა, I, 34-35 და 38.

ეინაჲთგან უკუე ერთი ეიდრემე არს ქრისტე და ერთი გუამი მისი, ერთი და იგივე არს, რომელსა ჰნებაჲს ღმრთეებრ და კაცობრიე-
82v ხოლო ეინაჲთგან ორნი ბუნებანი ჰქონან

[1] მაქს. აღმსარ., დიალოგი პუროსთან, PG, t. 91, col. 289, 292.

[1] ეიცნობთ DEM.

სიტყუერინი, რამეთუ ყოელი სიტყუერი მნებებელ და თუთმფლობელ არს, ამისთუსცა ორთა ნებათა ნებებითთა სიტყუთ მის შორის, რომელთა მნებებელი ერთი არს ქრისტე შემსგაესებულად თითოეულისა ბუნებისა, რამეთუ მიულიეს მას ბუნებითი იგი ჩუენ შორის მყოფი ძალი ნებებისაჲ. და ვინაჲთგან ერთ არს ქრისტე და მასვე ჰნებაეს თითოეულისაებრ ბუნებისა, ამისთუსცა თუთ მნებებელად უწოდთ მას. არა ვითარმცა იგი ოდენ მარტოდ ენება, რაჲ იგი ბუნებით ვითარცა ღმერთსა ჰნებაეს, რამეთუ არა ღმრთეებისაჲ არს ნებებაჲ ჭამისა და სუმისა და სხუათა ესევითართა საქმეთაჲ, არამედ მის თანა შეერთებულისა
92r II მისცა // კაცობრიესა ბუნებისა ნებათა ინე- 1037
ბებს არა წინა-აღმდგომად სალმრთოჲსა მის ნებისა მისისა, არამედ [თ]ჯთებითა ბუნებითთა. რამეთუ მაშინ ინებებდა მათ ბუნებით, რაჟამს იგი ენების საღმრთოსა მას ნებასა მისსა და მიუშუს ჴორცთა ენებად და შემთხუეულად საკუთართა ბუნებისათა. ხოლო რამეთუ ბუნებითად აქუს კაცსა ნებებაჲ, ამიერ ცხად არს, რამეთუ მომადლებითა საღმრთოჲსა დამბადებულობისაჲთა სამნი სახენი არიან ცხოველობისანი ბუნებითი და გრძნობითი და საცნაური.* ბუნებითსა უკუე თუს ეყეის აღმზრდელობითი და აღმაორძინებელობითი და მშობლობითი ძრვაჲ. ხოლო გრძნობაჲსა – მეყსა შინა მიდეენებით აღძრვაჲ, ხოლო სიტყუერსა და საცნაურსა – თუთმფლობელობით ქმნაჲ.

აწ უკუე ბუნებით თუ თანა-აც ბუნებითსა აღმზრდელობაჲ და გრძნობითი – მიდეენებითი აღძრვაჲ, ბუნებითეე სამე თანა-აც სიტყუერსაცა და საცნაურსა თუთმფლობელობაჲ. ხოლო თუთმფლობელობაჲ არა-რაჲ სხუაჲ არს, თუნიერ ნებებაჲ ოდენ. ვინაჲცა სიტყუაჲ იგი, ჭორცეელ იქმნა რაჲ, მაშინეე მიუღებიეს სულიერობაჲ და საცნაურობაჲ, თუთმფლობელობაჲ და მნებებელობაჲ.[1]

ამას თანა კუალად ესეცა ცხად არს, ეითარმედ უსწაელეელ არიან ბუნებითნი საქმენი,
92v I რამეთუ არავინ ისწავის მოგონებასა ანუ ცხორებასა, შიმშილსა ანუ წყურილსა, ანუ ძილსა, ეარეეთე არცა ნებებასა ეისწაეებთ, რამეთუ ბუნებითი არს ნებებაჲ. და კუალად ესე ცხად არს, ეითარმედ პირუტყუთა ბუნებაჲ იყუანებს და ძრავს, ხოლო კაცი ბუნებასა იყუანებს და ჰმართებს სიტყუერობით და თუთმფლობელობით. და ვინაჲთგან ნებებით იძრვის, არა ბუნებით მნებებელ არს კაცი.[2] და კუალად უკუეთუ ხატაჲ ზეშთა არსისა მის ნეტარისა ღმრთეებისა შექმნულ არს კაცი, ხოლო საღმრთოჲ იგი ბუნებაჲ ბუნებით თუთმფლობელ და მნებებელ არს, ეითარ არა კაციცა, ეიმნებებელობითნი, ეითარცა სიტყუერნი, რამეთუ ყოელი სიტყუერი მნებებელობითი და თუთმფლობელი არს ორთა ნებებათა, ესე იგი არს, ბუნებითთა ნებათა ვიტყუთ მისთჳს, რამეთუ მნებებელობითი არს იგიეე ორთაეე ბუნებათა მისთაებრ, რამეთუ ბუნებით მყოფი ჩუენ შორის მნებებელობითი ძალი მიიღო. და ვინაჲთგან ერთი და იგიეე არს ქრისტე, რომელი ინებებს თითოეულისა ბუნებისაებრ, ერთი და იგიეე უწყით ნებებული მისი, არა ვითარმცა მათ ოდენ ინებებდა, რომელნი ბუნებით ჰნებაენ, ვითარცა ღმერთსა, რამეთუ არა ღმრთეებისაჲ არს ნებებაჲ ჭამისაჲ და სუმისაჲ და ეგეეითართაჲ, არამედ შემამტკიცებელთაცა // კაცობრიეისა ბუნებისათა
არა წინა-აღმდგომობითა ჯერ-ჩინებისაჲთა, არამედ თუთებითა ბუნებათაჲთა, რამეთუ მაშინ ინებებდა მათ ბუნებითად, რაჟამს ენების საღმრთოსა ნებასა მისსა და მიუშუს ჴორცთა შემთხუეულად და ქმნად თუსთა, ხოლო ეითარმედ ბუნებითი არს კაცისა შორის ნებებაჲ, ამიერ ცხად არს.[1]

სამნი სახენი არიან სიცოცხლისანი: ბუნებითი, მგრძნობელობითი და გონიერი. და ბუნებითისა ეიდრემე თუთება არს მზრდელობითი, აღორძინებითი და მშობლობითი ძრვაჲ. ხოლო მგრძნობელობითისა – მიმართებითი აღძრვაჲ. ხოლო გონიერისა და სიტყუერისა – თუთმფლობელობაჲ.

აწ უკუე უკუეთუ ბუნებისაებრ თუს ეყეის ბუნებითსა მზრდელობითი და მგრძნობელობითსა მიმართებითი აღძრვაჲ, ბუნებისაებრეე სადმე თუს ეყეის სიტყუერსა და გონიერსა[1] თუთმფლობელობაჲ, ხოლო თუთმფლობელობაჲ სხუაჲ არა რაჲ არს, თუნიერ ნებებაჲ, ვინაჲცა იქმნა რაჲ სიტყუაჲ ჭორც სულიერ და გონიერ და სიტყუერ და თუთმფლობელ იქმნა იგი მნებებელობითადცა.[2]

მერმეცა უსწაელელ არიან ბუნებითნი, რამეთუ არავინ იგონებს სიცოცხლისა ანუ შიმშილისა ანუ წყურილისა ანუ ძილისა სწაელასა, არცა ნებებასა ეისწაელით, რომლისათჳსცა ბუნებითი არს ნებებაჲ და კუალად პირუტყუთა შორის იყუანებს ვიდრემე ბუნებაჲ, ხოლო იყუანების კაცისა შორის ჴელმწიფებრივად ნებებისაებრ მოძრავი, ბუნებით სამე მნებებელობითი არს კაცი. და კუალად უკუეთუ ხატისაებრ ნეტარისა და ზესთა არსისა ღმრთეებისა შეიქმნა კაცი, ხოლო ბუნებით თუთმფლობელი და მნებებელობითი არს საღმრთოჲ ბუნებაჲ, კაციცა სადმე, ეითარცა ხატი მისი, თუთმფლობელი და ბუნებით მნე-

---

* შეისწაეე, თუ რაოდენნი სახენი არიან ცხოველობისანი.

[1] მაქს. აღმსარ., დიალოგი პჳროსთან, PG, 91, col. 301.

[2] იქეე, გე. 304.

[1] დედანში ერთეის: „ღეთაებრიეი სიცოცხლის გარდა".

[2] მაქს. აღმსარ., დიალოგი პჳროსთან, PG, 91, col. 301.

[1] სიტყუერსა და გონიერსა M.

თარცა ხატი მისი, ბუნებით თუთმფლობელ და მნებებელ იყოს, რამეთუ თუთმფლობელობასა ნებად განასაზღერებენ მამანი. // ამას თანა 1040 კუალად ვინაითგან ყოველთა ქაცთა თანა არს ნებებაი და არა რომელთამე თანა არს და რომელთამე თანა არა არს, ხოლო რომელი-იგი ზოგად ყოველთა ბუნებასა შინა თუსსა აქუს და იხილეების გამომხატველად თუთებისა განუკუეთელთა მათთაისა, არა მნებებელ არსა ქაცი? და კუალად, ვინაითგან უფროსობასა და უმცროსობასა ბუნებაი არა მიითუალავს, ამისთუსცა სწორებით აქუს ნებებაი ბუნებასა ქაცთასა და არა რომელთამე უმცროსი და
92v II რომელთამე უფროსი, არა ბუნებით მნებებელ არსა ქაცი? ვინაცა უკუეთუ ბუნებით მნებებელ არს ქაცი და უფალიცა ჩუენი იესუ ქრისტე, არა ხოლო ეითარცა ღმერთი იყო, არამედ ეითარ-იგი ქაც იქმნაცა, ბუნებით მნებებელ არს, რამეთუ ეითარ-იგი ბუნებაი ჩუენი მიიღო, ეგრეთვე ბუნებითი ნებებაიცა ჩუენი მიიღო. და ამის ჯერისათჳს მამათა ჩუენისა ამის ნებებისა თაესა შორის თუსსა დაწესებაი თქუეს უფლისაგან.

აწ უკუე ბუნებითი თუ არა იყოს ნებებაი, ანუ გუამოენებითი იყოს, ანუ გ[ა]რეშე ბუნებისაი. არამედ უკუეთუ გუამოენებითი იყოს, ამით წესითა სხუა ნება იპოყოს მამაი ძისაგან. რამეთუ მარტოდ ერთისა გუამისა გამომსახველი არს გუამოენებითი ყოველი. ხოლო უკუეთუ გარეშე ბუნებისაი იყოს, განერდომილ არს ნებაი ბუნებისაგან, რამეთუ განხრწნიან ბუნებასა გარეშენი ბუნებისანი[1] ეინაიცა ეიკითხაე და ეიტყუ.

ყოველთა ღმერთსა და მამასა, ეითარცა მამასა ჰნებავს, ანუ ეითარცა ღმერთსა. და უკუეთუ ეითარცა მამასა ჰნებავს, სხუაი არ ნებაი მისი და განყოფილ ნებისაგან ძისა. რამეთუ არა მამა არს ძე. ხოლო უკუეთუ ეითარცა ღმერთსა ჰნებავს, ღმერთ არს ძეცა და ღმერთ არს სული წმიდაიცა. ეინაიცა ცხად არს, ეითარმედ ბუნებითი სადმე არს ნებებაი და არა გუამოენებითი.

მერმეცა ეიტყჳ, უკუეთუ სიტყჳსაებრ მა-
93r I მათაისა, რომელთა ნებაი ერთ არს, მათი არსებაიცა ერო არს. ხოლო ქრისტეს ღმრთეებისა და კაცებისა უკუეთუ ნებაი ერთ არს, არა სადმე არსებაიცა მათი ერთ იყოს?[2] და კუალად უკუთ[უ] სიტყჳსაებრ მამათაისა, განყოფილებაი ბუნებისაი ერთობასა შინა ნებისასა არა გამოჩნდების, საჭირო არს ერთისა ნებისა მეტყუელთათჳს არღარა თქუმად ქრისტეს ბუნებათა განყოფილებაი. ანუ ბუნებითისა განყოფილებისა თქუმაი, ანუ ერთისა ნებისა არღარა თქუმაი. და კუალად, უკუეთუ ეითარცა იტყჳს სახარებაი: „მოეიდა იესუ ადგილთა ტყროსისა და სიდონისათა და შეეიდა სახლსა და არავისაგან უნდა ცნობაი, არამედ ეერ დაბებელობითი არს, რამეთუ თუთმფლობელობად ნებებაი განასაზღერეს მამათა. 82v

// მერმეცა უკუეთუ ყოველთა კაცთა შორის ნებებაი და არა რომელთამე შორის არს, ხოლო რომელთამე შორის არა არს, ხოლო საზოგადოდ ხილული ყოველთათჳს ბუნებასა დაჰსახავს მის ქუეშეთა განუკუეთელთასა, ბუნებით სამ[ე] მნებებელობითი არს კაცი.[3] და კუალად, უკუეთუ უმეტეს უდარესობასა ბუნებაი არა მიითუალავს, ხოლო სწორებით ყოველთა შორის არს ნებებაი და არა რომელთამე შორის უფროის და რომელთამე უმცროს ბუნებით სადმე მნებებელობითი არს კაცი. ვინაცა უკუეთუ ბუნებით მნებებელობითი არს კაცი და უფალიცა, არა ხოლო ეითარ-იგი ღმერთ არს, არამედ ეითარ-იგი კაც იქმნაცა, ბუნებით მნებებელობითი არს. რამეთუ ეითარცა ბუნებაი ჩუენი მიიღო, ეგრეთვე ნებაიცა ჩუენი ბუნებითად მიიღო და მის სიტყუსაებრ მამათა თაესა შორის თუსსა დამაწუსებელად თქუეს იგი ნებისა ჩუენისად.

უკუეთუ არა ბუნებითი არს ნებაი, ანუ გუამოენებითი იყოს, ანუ გარეშე ბუნებისაი, გარნა უკუეთუ გუამოენებითი სხუა განზრახუა იყოს, ამით ჯერითა ძე მამისა მიმართ, ვინაითგან მხოლოსა გუამსა ოდენ დაჰსახავს გუამოენებითი. ხოლო უკუეთუ გარეშე ბუნებისაი, განერდომილება ბუნებისა იყოს ნებაი, რამეთუ განმხრწნელობითნი ბუნებითნი არიან გარეშენი[4] ბუნებისანი.[5]

ყოველთა ღმერთსა და მამასა, ეითარცა მამასა ჰნებავს, ანუ ეითარცა ღმერთსა, არამედ უკუეთუ ეითარცა მამასა, სხუა იყოს ნებაი მისი, გარეშე ძისა ნებისა, ვინაითგან არა მამა არს ძე. ხოლო უკუეთუ ეითარცა ღმერთსა, ხოლო ღმერთ არს ძეცა და ღმერთ სული წმიდაიცა, — ბუნებისაი სადმე არს ნებებაი, ესე იგი არს, ბუნებითი.

მერმეცა უკუეთუ მამათაებრ, რომელთა ნებაი ერთ არს, მათი არსებაიცა ერთ არს, ხოლო ერთ არს ნებაი ღმრთეებისა და კაცებისა ქრისტესისაი, ერთი და იგიეე სადმე იყოს არსებაიცა მათი.[3] და კუალად, უკუეთუ მამათაებრ განყოფილებაი ბუნებათაი ერთობასა შინა ნებისასა არა გამოჩნდების, საჭირო არს ერთისა ნებისა მეტყუელთათჳს ანუ არა თქუმაი ქრისტეს შორის ანუ ბუნებითისა განყოფილებისა, ანუ ბუნებითისა განყოფილებისაი მეტყუელთაგან არა თქუმაი ერთისა ნებისაი. და კუალად, უკუეთუ ეითარცა იტყჳს საღმრთოი სახარებაი, „მოეიდა უფალი

---

[1] იქვე.
[2] გრიგ. ნოს., ანტიერეტ. აპოლინარის წინააღმდეგ.
[3] მაქს. აღმსარ., PG, 304.
[4] იქვე.
[5] გრიგ. ნოს., ანტიერეტ; აპოლინ. წინააღმდ.
[1] სადმე M. ° გარეშე CM.

ფარა",[1] – ცხად არს, ეითარმედ უკუეთუ არა ყოელისავე შემძლებელსა ღმრთეებისა ნებასა მისსა მიაჩემებ, არამედ ენება რაიმე და ვერ ეძლო, უეჭუელად ჴორცთა ნებისად აღიარო ნებებაჲ იგი და ვერ შეძლებაჲ.[2] და კუალად: „მო-რაჲ-ვიდა ადგილსა მას თქუა: „მწყურის" და მისცე[ს] ძმარი ნაელღითა აღზაებული და მი-რაჲ-იღო, არა უნდა სუმის".[3]

უკუეთუ // ვითარცა ღმერთსა მოეწყურა, და გემოჲ რაჲ იხილა, არა უნდა სუმის, ღმრთეებით სადმე ენებული არს, რამეთუ ენებანი არიან 93r II წყურილისაგა და გემოის ხილვაჲსა. ხოლო უკუეთუ არა ვითარცა ღმერთსა, ცხად არს, ეითარმედ უეჭუელად სადმე ეითარცა კაცსა, რამეთუ მნებებელი იყო ეითარცა კაცი.

და დღესა მას ენებისასა ეტყოდა, „მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა წარმჴედინ ჩემგან სასუმელი ესე, გარნა არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ". აჰა, ორნი ნებანი თუთ თავადისა მის მიერ თქუმულნი, ერთბამად საღმრთოჲცა და კაცობრივიცა.[4]

და სანატრელი მოციქული პაელე იტყჳს, ვითარმედ „იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდიდმდე და სიკუდილითაღა ჯუარისაჲთა".[5] ვინაჲცა ცხად არს, ეითარმედ მორჩილებითა ნამდჳლე ნებებისა ქონებაჲ გამოჩნდების და ნებისაჲ არს მორჩილებაჲ იგი არა ნებისაჲ, რამეთუ პირუტყუსაოჳს არცა მორჩილებასა ეიტყოდით, არცა ურჩებასა. მორჩილ უკუე ექმნა უფალი მამასა არა ეითარ-იგი ღმერთი იყო, არამედ ეითარ-იგი კაცი იყო, რამეთუ ეითარ-იგი ღმერთ არს, არცა მორჩილ არს, არცა ურჩ,* არამედ მორჩილებაჲ იგი მონებრივისა ბუნებისაჲ არს კაცთაჲსაჲ. ვინაჲცა ეითარცა ღმრთისმეტყუელი გრიგოლ იტყჳს, მნებებელი სადმე არს ქრისტე ბუნებითაცა კაცობრივითა.

ხოლო ბუნებითსა რაჲ ნებასა ეიტყოდით, არა იძულებითსა ეიტყუთ, არამედ თუთმფლობელობითსა. რამეთუ არა ხოლო საღმრთოსა 93v I და აუგებელსა ბუნებასა არა რაჲ აქ[უ]ს იძულებითი, არამედ არცღა საცნაურსა და

კერძოთა ტჳროსისა და სიდონისათა და შესრულსა სახით არაჲისგან ენება ცნობაჲ და ვერ უძლო დაფარვაჲ".[1] უკუეთუ ყოელისავე შემძლებელ არს საღმრთოჲ ნებაჲ მისი, ხოლო ინება დაფარვაჲ და ვერ უძლო, ეითარცა კაცმან სადმე ინება და ვერ შემძლებელ იქმნა, რომლისათჳს[1] კაცობრიეცა მნებებელ იყო 83r I იგი.[2] და კუალად – „მო-რაჲ-ვიდა ადგილსა მას, თქუა: „მწყურის" და მისცეს მას ძმარი ნაელღითა განზაებული და გემოჲ რაჲ იხილა, არა უნდა სუმის".[3]

1041 აწ უკუე უკუეთუ // ვითარცა ღმერთსა სწყუროდა და გემოის მხილველმან არა ინება სუმაჲ, ენებული სადმე არს ღმრთეებრ, რამეთუ ენებაჲ არს წყურილისა და გემოის ხილვაჲ. ხოლო უკუეთუ არა ვითარცა ღმერთსა, უეჭუელად ვითარცა კაცსა, და მნებებელობითი იყო, ვითარცა კაცი.

და სანატრელიცა მოციქული პაელე: „იქმნა იგი მორჩილ, – ჴმობს, – ვიდრე სიკუდიდმდე, ხოლო სიკუდილითა ჯუარისაჲთა".[4] მორჩილებაჲ უკუე მყოფისა ნებებისა არს მორჩილება, არა არა-მყოფისა, რამეთუ არა მორჩილად ანუ ურჩად ეიტყოდით" პირუტყუსა, ხოლო მორჩილ მამისა ქმნილი უფალი არა ვითარცა ღმერთი იქმნა მორჩილ, არამედ ვითარცა კაცი, რამეთუ, ვითარცა ღმერთი, არცა მორჩილ არს, არცა ურჩ, რამეთუ ჴელის ქუეშეთანი არიან ესე, ვითარცა იტყჳს ღმრთიჲ-მზრახველი გრიგოლი: „კაცობრიეცა სადმე მნებებელობითი იყო ქრისტე".

ხოლო ბუნებითად მეტყუელნი ნებისანი არა იძულებითსა ეიტყუთ მას, არამედ თუთ-მფლობელსა, რამეთუ უკუეთუ სიტყუერი, უეჭუელად თუთ-მფლობელცა არს და რამეთუ არა ხოლო საღმრთოსა და აუგებელსა ბუნებასა არარაჲ აქუს იძულებული, არამედ არცა საცნაურსა და აგებულსა.

---

* თარგმანი, „ეითარ" არცა მორჩილ არს და არც ურჩ". გარნა რამეთუ ერთ არს ნებაჲ მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲ, ხოლო ერთ ნებათათჳს მორჩილებაჲ და ურჩებაჲ არა ითქუმის. შეისწავე.

[1] მარკ., 7, 24.

[2] მაქს. აღმსარ., PG, col. 321.

[3] მათე, 27, 34.

[4] „და დღესა მას ენებისასა"... და ა. შ. ბერძნულ დედანში არ ჩანს (ეს ადგილი არც არსენის თარგმანში გეხვედება), მაგრამ არსებობს ბერძნული ხელნაწერი, სადაც დადასტურებულია ასეთი ვარიანტი: Καὶ ἐι ἐν τῇ ἡμέρᾳ τοῦ πάθους λέγει· Πάτερ, εἰ θαυατὸν, παρελθέτω τὸ ποτήριον τοῦτο ἀπ' ἐμοῦ, Πλὴν οὐχ ὡς ἐγὼ θέλω, ἀλλ' ὡς σὺ. 'Ιδοὺ δύο θελήσεις, θεικὴ ἅμα καὶ ἀνθρωπίνη (PG, 1041). ეფრემის თარგმანი ი'შეიათი სიზუსტით ემთხვევა ამ ვარიანტს.

[5] ფილიპ., 2, 8.

[1] მარკ., 7, 24.

[2] მაქს. აღმსარ., იქვე, PG, 321.

[3] მათე, 27, 34.

[4] ფილიპ., 2, 8.

[1] რომლისათჳსცა M. [2] ეიტყუთ M.

აგებულსა. და ესე ამიერ ცხად არს, რამეთუ ბუნებით სახიერ არს ღმერთი, ბუნებით დამბადებელ და ბუნებით ღმერთ და არა იძულებითად აქუს ესე ყოველი, რამეთუ ვინ არს იძულებისა შემამთხუეველ მისსა?

ხოლო ესე ჯერ არს ცნობად, ვითარმედ დაღაცათუ თანა-მოსახელედ ითქუმიან თუთმფლობელობანი, არამედ სხუებრ არს თუთმფლობელობაჲ ღმრთისაჲ და სხუებრ ანგელოზისაჲ და სხუებრ კაცისაჲ. რამეთუ ღმრთისაჲ უზჲშთაეს არს არსებათაჲსა. ხოლო ანგელოზსა თანა-მორბედად ჴელ-ყოფისა აქუს წესიცა და ჩუეულებაჲ მრავალ ჟამეულად ქონებულისა სიკეთისაჲ, რომელსა ქცეულებაჲ ჟამთა ქცეულებისაგან არა შეემთხუევის, რამეთუ ვითარ-იგი ბუნებით აქუს თუთმფლობელობაჲ, მარადის დაუცემებელად იჴუმევს მას, ვინაჲთგან არა ზედა-აც ჯორცთა მიერი ვნებისა წინა-განწყობაჲ, არცა ვინ სხუაჲ წინა-აღმდგომი. ხოლო კაცთა ჟამიერი რაჲმე ჩუეულებისა წესი უჴმს ჴელ-ყოფისათჳს რაჲსამე წინაჲსწარითა მოგონებითა, რამეთუ თუთმფლობელ არს კაცი და ბუნებით აქუს თუთმფლობელობაჲ იგი, არამედ წინააღმდეგობაჲცა აქუს კუეთებისაგან ეშმაკთაჲსა და აღძრჳსაგან ჯორცთაჲსა. ვინაჲცა წინა-აღმდგომთა მიერისა ბრძოლისაგან და
93v II სიმძიმისა ჯორცთაჲსა დაიყენების მალიად ჴელ-ყოფად რაჲსამე.

აწ უაუე ენება თუ ადამს სმენად განზრახუაჲ წინა-აღმდგომი და ნებებით ჭამა ხისა მისგან, უეჭუელად უპირატესი სადმე ენებათა ჩემთაჲ არს ნებებაჲ. ხოლო უკუეთუ უპირატესი ენებათა ჩემთაჲ არს ნებებაჲ და იგი არა მიიღო ბუნებასაცე ჩუენსა თანა სიტჴუამან მან განჴორციელებულმან, არა სადმე გარეგან შეცოდებისა ქმნილ ვართ.[1]

კუალად ამას თანა უკუეთუ მის თაჳადისა მიერ ქმნილ იყო თუთმფლობელობაჲ ბუნებისა // ჩუენისაჲ ძალად ბუნებისა და აწ იგი არა 1044
მიიღო სიტჴუამან. უეჭუელ არს ერთი ორთაგანი, ანუ შეინანა დამბადებელობაჲ თჳსი პირეველი, ვითარმედ არა კეთილად შეჳქმნენით, ანუ დაიშურეა ჩუენთჳს კურნებაჲ მისი, ვინაჲცა ჩუენ დაგუაკლოს [განჴ]ურნებაჲ, და თაჳი თჳსი ენებასა ქუეშად (sic) გამოაჩინა, ვითარმედ ანუ არა ჰნებაჳს, ანუ არა ძალ-უც სრულიად ცხოენებაჲ ჩუენი.

ხოლო შეუძლებელ არს შეზაეებულისა რაჲსმე ორთა ნებათაგანად თქუმაჲ, ვითარიგი არს ბუნებათაგან შეზაეული გუამი. პირეელად უკუე ამისთჳს, რამეთუ შეზაეებანი გუამთა შინა არიან და არა სხჳთა სიტჴჳთა, არცა თუსაგან განსახილველ არიან, ხოლო მეორედ ამისთჳს, რამეთუ უკუეთუ ნებათაგან
94r I და საქმეთა შეზაეებულებაჲ ვთქუათ, მიერითგან ვიიძულნეთ და სხუათაცა ბუნებითთა თუთებათაგან შეზაეებულებისა თქუმად აუგე-

ხოლო ესე ცხად არს, ვითარმედ ბუნებით სახიერი არს ღმერთი და ბუნებით დამბადებელი და ბუნებით ღმერთი და არა საჭიროობით არიან ესენი მისსა, რამეთუ ვინ არს, რომელმან შეამთხუა მას ჭირი?

გარნა ამისი შესწაეებაჲ საჴმარ არს, ვითარმედ სახელ-მოდგამობით ითქუმის თუთმფლობელობაჲ, რამეთუ სხუებრ ითქუმის ღმრთისათჳს და სხუებრ ანგელოსისათჳს და სხუებრ კაცისათჳს, ღმრთისათჳს – უკუე ზესთა არსებითად. ხოლო ანგელოზისათჳს, ვითარცა თანა-მორბედებითა ანაგებისაჲთა, ჴელ-ყოფასა თანა და რაჲთურთით არა მიმთუალელობითა მიმყოერებასა ჟამიერსა, რამეთუ ბუნებითად მჭონებელი თუთ-ფლობისაჲ დაუყენებელად იჴუმევს მას არა რაჲსა განმარცხებისა მჭონებელი ჯორცთაგან, არცა წინააღმდგომობისაჲ. ხოლო კაცთათჳს, ვითარცა ჴელ-ყოფისასა ჟამიერად წინა-განმჩინებელობითა ანაგებისაჲთა, რამეთუ თუთმფლობელ უკუე არს კაცი და ბუნებითად აქუს თუთმფლობელობაჲ, ხოლო აქუს ეშმაკისა მიერიცა წინა-განწყობაჲ და აღ/d/რეაჲ ჯორცთაჲ, რომლისათჳსცა წინა-განწყობისა მისთჳს და სიმძიმისა ჯორცთაჲსა ნაკლულევან-ჰყოფს იგი ჴელ-ყოფასა ანაგებისასა.

აწ უკუე უკუეთუ შესმენაჲ განზრახუაჲ
ინება ადამ, და ინება რაჲ, ჭამა. პირეელ 83r II
ენებული სადმე არს ჩუენ შორის ნებაჲ, ხოლო უკუეთუ პირეელ ენებული არს ნებაჲ და ესე არა მიიღო ბუნებისა თანა განჴორციელებულმან სიტჴუამან, არა სადმე[1] უცხო ვიძნენით ცოდეისაგან.[1]

მერმეცა, უკუეთუ საქმე მისსა არს თუთმფლობელი ნებაჲ ბუნებისაჲ // და იგი არა მიიღო ანუ აუგი დასდვა თჳსსა დამბადებელობასა, ვითარცა არა კეთილსა, ანუ შეიშურეა ჩუენთჳს განკურნებაჲ მისი და ჩუენ დაგუაკლნა ყოველითურთისა კურნებისაგან, ხოლო თავი თჳსი ენებისა თანა-მდებად გამოაჩინა არა ნებებითა ანუ ვერ შემძლებელობითა სრულისა ცხორებისაჲთა.

ხოლო არა შესაძლებელ არს ერთისა რაჲსმე ორთა ნებათაგან შეზაეებულისა თქუმაჲ, ვითარცა ბუნებათაგან შეზაეებულისა გუამისაჲ, პირეელად უკუე, რამეთუ შეზაეებანი გუამსა შინა მყოფთა და არა სხჳსა სიტჴჳსა შინათა.[1] არცა თუსაგან სახილველთანი არიან. ხოლო მეორედ, უკუეთუ ნებათა და მოქმედებათა შეზაეებაჲ ეთქუათ, სხუათაცა ბუნებითთა თუთებათა შეზაეებისა თქუმად ვიიძულნეთ

[1] მაქს. აღმსარ., PG, 325.

[1] მაქს. აღმსარ., PG, 325.

[1] არასადა CM. [2] შინათანი M.

ბელისა და აგებულისა, უხილავისა და ხილულისა და სხუათა ესეითართაგან. და ეითარ სახელ-ჴდეას ორთა ნებათაგან ერთი ნებაი შეზაეებული? შეუძლებელ არს შეზაეებულისაი მათეე ნივთთაგან სახელ-დებაი, რომელთაგან შეზაეებულ იყოს, ეინაიცა ბუნებათაგანცა შეზაეებულსა რასმე ბუნებად უწოდთ და არა გუამად. და კუალად ამას თანა, უკუეთუ ერთი შეზაეებული ნებაი ეთქუათ ქრისტეს თანა, უცხო-ეჰყოფთ მას მამისა ნებისაგან, რამეთუ მამისა ნებაი არა შეზაეებული არს. დაშთომილ არს უკუე სათქუმელად ჩუენდა მხოლოდ გუამისათჳს ოდენ უფლისა თქუმად შეზაეებულობაი და ზოგადობაი, ეითარ-იგი ორთა ბუნებათაგან, ეგრეთეე ორთა ბუნებითთა წესთაგან.* [1]

ხოლო ცნობასა და აღრჩეასა უფლისათჳს თქუმაი ყოელად შეუძლებელ არს, ოდესცა საკუთრებით მეეტყუელებდეთ და არა მოპოებულად, რამეთუ ცნობაი და აღრჩეაი, ესე იგი არს, ძიებაი უცნაურთა რათათჳსმე და განზრახეაი და ბჭობაი, რაითა განბჭობილი იგი და გამორჩეული აღირჩიოს ესე სიტყუსაგან, სხუსა მიმართ იქმნების, ანუ თუ თავისაცა
94r II მიმართ თუსისა ყოს ვინმე გამოსაძიებელად მისგან უცნაურისა რაჲსმე საქმისათჳს. ხოლო უფალი ჩუენი ვინაითგან არა ხოლო ლიტონი კაცი იყო, არამედ ღმერთიცა, ყოელისაეე მეცნიერი და ყოელითურთ უნაკლულოი, ამისათჳსცა არა მოქმნე იყო განზრახვისა და განრჩევისა და ძიებისა და განბჭობისა და ბუნებით აქუნდა კეთილთა მიმართი თუსებაი და საკუთრებაი და ბოროტთაგან უცხო-ყოფაი. რამეთუ ამას ასრეთ იტყჳს ესაია, ეითარმედ „პირეელ ცნობადმდე ყრმისა მის და აღრჩეად ბოროტისა გამოირჩიოს კეთილი",[2] ესე იგი არს, ეითარმედ პირეელ ცნობადმდე ყრმისა მის კეთილსა ანუ ბოროტსა ურწმუნო ექმნეს ბოროტსა და გამოირჩიოს კეთილი.

რამეთუ პირეელობაი ამას საცნაურ-ჰყოფს, ეითარმედ არა ჩუენებრ იძიოს და განიზრახოს, არამედ ეითარ-იგი ღმერთ არს და ღმრთეებრ შეერთებულ ჴორცთადა. // ესე იგი არს, 1045
ეითარმედ გუამოენებით შეაერთა ჴორცთა თუსთა ესრეთ ეითამე ყოფაი და ყოელისაეე ცნობაი და ბუნებითად ქონებაი კეთილისაი, რამეთუ ბუნებითნი არიან სათნოებანი და ბუნებით სწორად ყოელთანი არიან, დაღაცათუ არა ყოველნი სწორად ემოქმედებთ ბუნებითთა მათ, რამეთუ ბუნებითისაგან გარეშე ბუნებისა მიჳდრკით გარდასლესიას მიერ. ხოლო უფალმან გარეშით ბუნებისაით კეთი-

აუგებელისა და აგებულისა, უხილავისა და ხილულისა და ეგეეითართა. ანუ ეითარ ნებათაგან შეზაეებული ნებაი აღსაარებულ იქმნეს, რამეთუ შეუძლებელ არს შეზაეებულისაი სახელსა შეზაეებულთასა წოდებაი, ეინაითგან ბუნებათაგან შეზაეებულსა ბუნებად[1] უწესთ და არა გუამად. მერმეცა, უკუეთუ ერთი შეზაეებული ნებაი ეთქუათ ქრისტესთჳს, განეაშორებთ მას მამულისა ნებისაგან, რამეთუ არა შეზაეებულ არს ნებაი მამისაი. ეინაიცა დაგუშთების თქუმად, ეითარმედ მხოლოი გუამი ოდენ ქრისტესი არს შეზაეებული და საზოგადოი, ეითარცა ბუნებათა, ეგრეთეე ბუნებითთაცა მისთაი.[1]

ხოლო ჯერ-ჩინებისა და წინა-აღრჩეისა თქუმაი უფლისა ზედა შეუძლებელ არს, უკუეთუ გუნებაეს საკუთრებით მეტყუელებაი, რამეთუ ჯერ-ჩინებაი შემდგომად უცნაურისა საქმისათჳს ქმნილისა ძიებისა და განზრახეისა, რომელ არს განზრახეაი და გამორჩეაი გამორჩეულისა მის მიმართ თანა-სათნო-ყოფაი არს, რომლისა შემდგომად არს წინა-აღრჩეაი გამომრჩეელი და შემყუარებელი სხუსაი უმეტეს სხუსა, ხოლო უფალი, ეითარცა არა ლიტონი კაცი, არამედ ღმერთიცა და ყოელთა მეცნიერი არცა[II] მოქნე იყო განხილეისა და ძიებისა და განზრახეისა და გამორჩეისა და ბუნებითად აქუნდა კათილისა მიმართ საკუთრებაი და ბოროტისა მიმართ უცხო-ყოფაი, რამეთუ ესრეთ იტყჳს მისთჳს ისაია, ეითარმედ: „პირეელ ცნობადმდე ყრმისა გამორჩეასა ბოროტისასა გამოირჩიოს კეთილი ამისთჳს, რამეთუ პირეელ, ვიდრე ცნობადმდე ყრმისა, კეთილისა ანუ ბოროტისა ურწმუნო ქმნითა სიბოროტისაითა გამოირჩიოს კეთილი".[2] 83v I

რამეთუ პირეელობაი ამას ცხად-ჰყოფს, ეითარმედ არა ჩუენებრ ეძიებს და განიზრახავს, არამედ ეითარცა ღმერთსა და ღმრთეებრსა და ჴორციელებრ გუამ-ქმნილსა, // ესე იგი არს, გუამოენებით შეერთებულსა ჴორცთასა, თუთ იგი ყოფაცა და ყოელისაეე მეცნიერებაი ბუნებისაგან აქუნდა კეთილისა, რამეთუ ბუნებითნი არიან სათნოებანი და ბუნებით და სწორებით არიან ყოელთა შორის, დაღათუ არა სწორებით ემოქმედებთ ყოველნი ბუნებისათა მათ, რამეთუ ბუნებითისაგან ბუნების გარეშისა მიმართ განეჳარდით გარდასლჳისა მიერ. ხოლო უფალმან ბუნების გარეშისაგან ბუნებითისა მიმართ აღმიყვანნა ჩუენ, რამეთუ ესე არს, ეითარმედ ხატებისაებრ და მსგავსებისაებრ. და მოღუაწებაი და ტკიეილნი მისნი არა გარეთ მოგებისათჳს სათნოებისა,

* შეისწაეე, ეითარმედ უფლისათჳს ცნობისა და აღრჩეისა თქუმაი არა საკუთარ არს, არამედ მოპოებულ, დადაცათუ მცირედ ქუემორე ესაია იტყუს, ეითარმედ „გამოირჩიოს კეთილი", ცხად არს, ეითარმედ მოპოებით უთქუამს გამორჩეად და არა საკუთრებით.

[1] მაქს. აღმსარ., PG, 296.

[2] ესაია, 7, 15-16.

[1] მაქს. აღმსარ., PG, 296.

[2] ესაია, 7, 15-16.

[I] ბუნებადმცა M. [II] არა M.

94v I ლად ბუნებითადვე აღმომიყვანნა, რამეთუ ესე იყო ხატებაჲ და მსგაესებაჲ. და მოღუაწებანი და შრომანი არა გარეთ შემოსაღებელად საზნოებისა მოპოვნებულ იქმნნეს, ეითარმცა უცხო იყო ჩუენგან, არამედ განსადეენელად გარეთ შემოსრულისა მის ჩუენ ზედა სიბოროტისა. ეითარ-იგი გესლი რჱინასა ზედა არა ბუნებით არს, არამედ უგულებელს-ყოფისაგან შემთხუეულ, ამისთჳსცა შრომით აღეკჳდით მას და ძლით გამოვაჩენთ ჩუეულებისაებრსა ბრწყინვალებასა რჱინისასა.

ხოლო ესე საცნაურ იყავნ, ეითარმედ ცნობისა, გინა მეცნიერებისა ანუ განზრახებისა სახელი მრაჲალ-სახე არს და მრაჲალთა პირთა მომასჳაებელ, რამეთუ ოდესმე სწაელასა მოასჳაებს, ეითარ-იგი საღმრთოჲ მოციქული იტყუს, ეითარმედ „ქალწულთათჳს ბრძანებაჲ უფლისა მიერ არა მაქუს, ხოლო განზრახებასა მიესცემ“.[1] და ოდესმე ზახებისა, ეითარ-იგი წინაასწარმეტყუელი დაჲით იტყოდის, ეითარმედ „ერსა შენსა ზედა ძმაცუედეს, ზაკუეით ზრახეს“.[2] ხოლო ოდესმე განჩინებისა, ეითარ იგი დანიელ იტყუს ეისთჳსმე, ეითარმედ „გამოჴდა განჩინებაჲ ურცხჳნოებით“.[3] ხოლო ოდესმე სარწმუნოებისათჳს, ანუ ნებისა ანუ განზრახებისა და, რათა ერთბამად მარტივად ეთქუა, ოცდარეა სახედ მოიღებეის სახელი ესე, რომელსა ღნომი უწოდიან.[4]

ეითარცა ნართაულისა, მოპოვნებულ იქმნნეს, არამედ ნართაულისა და ბუნების გარეშისა უკეთურებისა განგდებისათჳს, ეითარ-იგი გესლი რჱინისაჲ არა ბუნებითი არს, არამედ უგულებელს ქმნილებისა მიერ მოსრული, რომლისა შრომით განმყრელნი გამოვაჩენთ ბუნებითსა ბრწყინვალებასა რჱინისასა.

ხოლო შესწაებაჲ საჴმარ არს, ეითარმედ ჯერ-ჩინებისა სახელი მრაჲალ-სახე და მრაჲალისა დამნიშნებელი არს, რამეთუ ოდესმე თანა-სათნო-ყოფსა ცხად-ჰყოფს, ეითარცა იტყუს საღმრთოჲ მოციქული, ეითარმედ: „ქალწულთათჳს ბრძანებაჲ უფლისაჲ არა მაქუს, ხოლო ჯერ-ჩინებასა მიესცემ“.[1] ხოლო ოდესმე განზრახებასა, ეითარ-იგი, რაჟამს იტყოდის წინაასწარმეტყუელი დაჲით, ეითარმედ: „ერსა შენსა ზედა მოიძმაცუეს ჯერ-ჩინებაჲ“.[2] ხოლო ოდესმე ჯერ-ჩინებასა, ეითარცა იტყუს დანიელ, ეითარმედ: „ეისთჳს გამოჴდა და ჯერ-ჩინებაჲ უსახური“.[3] და ოდესმე სარწმუნოებისათჳს ანუ თნებისა[4] ანუ ცნობისა და, შემოკლებულად ითქუმოდედ, დანიშნულთაებრ[5] მოიღებეის სახელი ჯერ-ჩინებისაჲ.

---

* 1. და შემოკლებულად ითქუმოდედ, დანიშნულთაებრ მოიღებეის სახელი ჯერ-ჩინებისაჲ.
2. ჯერ-ჩინებისა ღნომა.
3. შეისწაეე. ეითარმედ ერთსა ამას სიტყუასა, რომელსა ბერძულად ღნომი უწოდიან, ქართულად ერთი არა რაჲ მოეპოების. ამისთჳსცა [—] იგი ბერძნულადცა [ოცდა]რეაჲ თარგმანი აჴსუს, ეგრეთვე ქართულად სხუებრ და სხუებრ დასდებენ და იქმარებენ წმიდანი მამანი ჩუენნი ეფთჳმე და გიორგი მთაწმიდელი, ეითარცა ადგილს შეეტყუებოდის, რამეთუ ესე მრაჲალთა სიტყუათა სჯორს ბერძულად. და ესეეითართა მათ სიტყუათა ბერძულად ლექს აჴქან და სომხურად ქერაკანი, ხოლო ქართულად არ ვიცი, შემინდეეით.

1 I კორინთ., 7, 25.

2 ფსალმ., 82 4.

3 დან., 2, 15.

4 გარდა ზემოაღნიშნული სამი სქოლიოსი, აქეე არის მინაწერი: „ქრისტე, შეიწყალე [—] საკნაჲ (?) მხიერეაჲ ამისა, ამინ“. ჩუენს გამოკელეაში, სამწუხაროდ, გაგეეპარა ერთი ლაპსუსი: II და III მონაწერი გამოეაქეეჩერეთ ერთი სქოლიოს სახით (გე. 81,97). მაგრამ აქ უნდა დაეძინოთ, რომ „ჯერ-ჩინებასა ღნომა“, რომელიც აშკარად არსენის ტერმინი ჩანს, სქოლიოს „სათაური“ კი არ არის, არამედ ცალკე მინაწერი უნდა იყოს, რადგან დგას ეფრემის სიტყუების „ცნობისა, გინა მეცნიერებისა, ანუ განზრახებისა“ – განწერივე და წარმოადგენს მათ შესატყუისს. შემთხეეით მას ქეემოთ მოსდეეს ეფრემის სქოლიო, III სქოლიო რომ ეფრემს ეკუთენის, ჩანს იქიდანაც, რომ არსენის თარგმანი არ იცნობს ѵѡѧ-ს ოცდარეა მნიშნეელობას („დანიშნულთაებრ მოიღებეის სახელი ჯერ-ჩინებაჲ სააჲ“ S-1463, 83v I), ხოლო ეფრემის თარგმანშიც წერია „ოცდარეა სახედო“ და ამასეე იმეორებს სქოლიოც („ოცდარეაჲ თარგმანი აქუს“). მაშასადამე, ამ სქოლიოთაგან ეფრემს უნდა ეკუთენოდეს III, ხოლო I და II მინაწერი უნდა იყოს იმ „რედაქტორისა“, რომელიც არსენის თარგმანიდან ამოწერილ ადგილებს

---

1 I კორინთ., 7, 25.

2 ფსალმ., 82, 4.

3 დანიელი, 2, 15.

4 “ანუ თნებისა“ ხელნაწერში ორჯერ გეხედება.

5 დედანში: „ოცდარეაჯერ“ /κατὰ εἴκοσι ὀκτώ/ მაგრამ ზოგ ბერძნულ ხელნაწერში დადასტურებული ყოფილა κατὰ κοινοῦ ან κατὰ ποιόν /R 2924/.

94v II

59 /III, 15/ მოქმედებათათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა

თავი ნთ

ორთა უკუე ვიტყჳთ მოქმედებათაცა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა, რამეთუ აქუნდა ეითარცა // ღმერთსა და თანა-არსსა მამისასა მოქმედებაჲ ღმრთეებრი. და ეგრეთვე ეითარცა კაცობითა თანა-არს ქმნულსა ჩუენდა მოქმედებაჲ კაცობრივისა ბუნებისაჲ. ხოლო საცნაურ იყავნ, ეითარმედ სხუაჲ არს მოქმედებაჲ და სხუაჲ არს მოქმედებითი და სხუაჲ არს რომელი მოქმედებდეს. მოქმედებაჲ უკუე არს ყოფითი და არსებითი ძრვაჲ ბუნებისაჲ, ხოლო მოქმედებითი არს ბუნებაჲ, რომლისაგან გამოვალს მოქმედებაჲ. კუალად მოქმედებობაჲ (sic) არს სრულ-ყოფაჲ მოქმედებისაჲ. ხოლო მოქმედი არს გუამი, რომელი იჴუმევდეს მოქმედებასა მას. ხოლო ითქუმის მოქმედებაჲ მოქმედებობადცა და მოქმედებობაჲ მოქმედებად. ეითარ-იგი აგებული – აგებულად, რამეთუ ვიტყოდით რაჲ, ეითარმედ „ყოველი აგებული", ყოველთა აგებულებათა საცნაურ-ჴყოფდით. უწყებაჲ უკუე ჯერ-არს, ეითარმედ მოქმედებაჲ ძრვაჲ არს და იქმნების უფროს, ვიდრე არა მოქმედებს, ეითარცა იტყჳს ღმრთისმეტყუელი გრიგოლი სულისა წმიდისაჲს თქუმულსა თავსა შინა: „ხოლო უკუეთუ მოქმედება არს, ცხად არს, ეითარმედ თჳთ-ქმნულ იქმნას და არა სხჳსა მოქმედებისა შემწე იქმნას და ქმნულ იქმნას რაჲ, მყის დასცხრეს".[1] და კუალად ესეცა ჯერ არს ცნობად, ეითარმედ
95r I თჳთ ცხორებაჲცა მოქმედებაჲვე არს და პირველი ცხოველისა მოქმედებაჲ და ყოველი ცხოველისა განგებულებაჲ მზრდელობითი ანუ აღორძინებითი, ესე იგი არს, ბუნებითი ანუ ანაზდით აღძრეთი, რომელ არს გრძნობითი ანუ საცნაურებითი და თუმცა მფლობელობითი აღძრაჲ, რამეთუ ძალისა აღმასრულებელ მოქმედებაჲ არს.

აწ უკუე ამათ ყოველთა თუ ეხედაეთ ქრისტეს თანა, ეითარ არა ეთქუა მის შორის ყოფად მოქმედებაჲცა კაცობრივი? ხოლო მოქმედებად ითქუმის პირველი იგი ჩუენ შორის წარმოდგომაჲ მოგონებისაჲ. და არსვე მარტიე და დაუპყრობელ მოქმედებაჲ გონებისაჲ, რაჟამს თაჲსა შორის თჳსსა უჩინონი იგი მოგონებანი ეკუეთებოდინ, რომელთა თუნიერ არცაღა გონებად წოდებაჲ სამართალ არს მისი, რომელსა ესე არა აქუნდენ.

ხოლო კუალად მოქმედებად ითქუმის ჴმოვანისა სიტყჳსა გამოტეებაჲ და მის მიერითა განხცადებითა განმარტებაჲ მოგონებათაჲ, რომელი-ესე არღარა დაუპყრობელ არს და

ურთაედა ეურემის რედაქციის აშიაზე სხვათა შორის, ამ მინაწერების ხელიც განსხვავებული ჩანს.

* შენიშვნა: შესრულებულ მას ეწოდების, რომელი ზოგად სულისაგან და ჴორცთა და მოქმედებისა სრულ იქმნებოდის.

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 31.

59 /III, 15/ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს შორისთა მოქმედებათათჳს

თავი ნთ

ხოლო ორთა ვიტყჳთ მოქმედებათაცა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს ზედა, რა-
1048 მეთუ აქუნდა, ეითარცა // ღმერთსა უკუე და მამისა თანა-არსსა და მსგაჲსსა, საღმრთოჲ მოქმედებაჲ და, ეითარცა კაც-ქმნილსა და თანა-არსსა ჩუენსა, კაცობრიეისა ბუნებისა მოქმედებაჲ. ხოლო სათანადო არს ცნობად, ეითარმედ სხუაჲ არს მოქმედებაჲ და სხუაჲ მოქმედებითი და სხუაჲ მოქმედებული და სხუაჲ მმოქმედებელი. და მოქმედებაჲ ვიდრემე არს საქმითი და არსებითი ძრვაჲ ბუნებისაჲ. ხოლო მოქმედებითი არს ბუნებაჲ, რომლისაგან გამოვალს მოქმედებაჲ. და მოქმედებული
– შემსრულებელი მოქმედებისაჲ. ხოლო მმოქ- 83v II
მედებელი – მჴუმეველი მოქმედებისაჲ, რომელ არს გუამი. ითქუმის უკუე მოქმედებაჲცა მოქმედებულად, ეითარცა აგებული აგებულად, რამეთუ ესრეთ ვიტყჳთ ეითარმედ ყოველი აგებული, აგებულთა რაჲ წარმოვაჩენდეთ. ხოლო უწყებაჲ სათანადო არს, ეითარმედ მოქმედებაჲ მოძრაჲობაჲ არს და იმოქმედების უფროს, ვიდრე მოქმედებს, ვითარცა იტყჳს ღმრთის-მეტყუელი გრიგოლი სულისა წმიდისა ძლითსა სიტყუასა შინა, „ხოლო უკუეთუ მოქმედებაჲ არს, იმოქმედებოს /sic/, ცხად არს, ეითარმედ და არა მოქმედ იქმნას და მყის დასცხრეს მოქმედებულობასა თანა".[1] უწყებაჲ ჯერ-არს, ეითარმედ თჳთ იგი სიცოცხლე მოქმედებაჲ არს და პირველი მოქმედებაჲ ცხოველისაჲ და ყოველი ცხოველისა განგებულებაჲ – მოზარდობითი და აღორძინებითი, რომელ არს ნერგობითი და მიმართებითი ძრვაჲ, რომელ არს მგრძნობელობითი და გონიერი და თუმფლობელი მოძრავობაჲ, ხოლო ძალისაჲ შესრულებაჲ არს მოქმედებაჲ.

აწ უკუე უკუეთუ ამათ ყოველთა ეჰხედაეთ ქრისტეს შორის, კაცობრიეიცა სადმე მოქმედებაჲ ეთქუათ მისთჳს. მოქმედებად ითქუმის პირველ ჩუენ შორის შეჴიეთებული მოგონებაჲ და არს მარტივი და უთჳსოჲ მოქმედებაჲ გონებისა, თავით თჳსით უჩინოდ მოგონებათა თჳსთა წარმომაჩინებელისაჲ, რომელთა თუნიერ არცა გონებად იწოდოს სამართლისა სიტყჳსაებრ.[2]

კუალად ითქუმის მოქმედებად წარმოჩინებითისა სიტყჳსა მიერ გამოცხადებაჲ სიტყჳსაჲ და განმარტებაჲ მოგონებულთაჲ, არამედ ესე არღარა უთჳსოჲ არს და მარტივი, არამედ თჳსებასა შინა ხილული მოგონებისა სიტყჳსაგან შეზავებული და იგიეე თჳსებაჲ აქუს,

---

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 31.

[2] „სამართლისა სიტყჳსაებრ" დედანში არ არის.

მარტიე, არამედ პყრობასა შინა იხილების და მოგონებისა და სიტყუსაგან შეიზავების. და თუთ ესეითარიცა იგი პყრობაჲ და უფროჲსღა თუსებაჲ, რომელი აქუს მოქმედსა საქმისა მიმართ, მოქმედებაეე არს და აღსრულებასა მისსა მოქმედება ეწოდების.

95r II ხოლო მათგან უკუე რომელიმე არს სულისაჲ // ოდენ, ხოლო სულ ჴორცთა იჴუმეეს მოქმედად თუსისა მის საქმისა. ხოლო რომელიმე ჴორცთაჲ ოდენ საცნაურად სულიერ-ქმნულთაჲ. ხოლო სხუაჲ იგი შესრულებულ,' რამეთუ გონებაჲ წინა-განიხილავს ყოფადსა და ეგრეთღა იქმს მას ჴორცთა მიერ, ეინაჲთგან სული მთაეარ არს, ხოლო სამთაერო სულისა არს გონებაჲ და ამის მიერ იჴუმეეს ჴორცთა ორღანოდ და იპყრობს მათ და პმართებს. ხოლო სხუა არს მოქმედებაჲ ჴორცთაჲ, რომელი-იგი იძრეის და მართებულ იქმნების სულისა მიერ. ხოლო შესრულებადისაგან ნაწილი გუამისა არს შეხებაჲ და პყრობაჲ და რეცა წარმართებაჲ საქმისაჲ, ხოლო სულისაჲ არს ყოფადი, ეითარ-იგი არს შესახებაჲ და გამოსახებაჲ.

ეგრეთეე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს თანა ძალი იგი საკურველებათაჲ ღმრთეებისა მისისაჲ იყო მოქმედებაჲ, ხოლო ჴელის პყრობაჲ და ნებებაჲ და თქუმაჲ, ეითარმედ „მნებავს განწმიდენი" [1] კაცებისა მისისა იყო მოქმედება. ხოლო შესრულება კაცებისაგან // უკუე იყო განტეხაჲ პურთაჲ და სმენაჲ კეთროვნისაჲ მის, ეითარმედ „მნებავს". ხოლო ღმრთეებისაგან – განმრაველებაჲ იგი პურთაჲ და განწმედაჲ კეთრისაჲ. და ორთაეე ამათ მიერ სულისა და ჴორცთა მოქმედებისა ერთსა და თუსსა და სწორსა აჩუენებდა საღმრთოსა მოქმედებასა. რამეთუ ეითარ-იგი შეერთებულად უწყინოო
95v I ორნიე იგი ბუნებანი, რომელთა თითოეული ურთიერთას დატეუნულ არს და კუალად განყოფილებასაცა მათსა არაეე უარ-ჰყოფ, არამედ აღეპრიცხუაეთცა და განუწეალებელადცა უწყინოო იგინი. ეგრეთეე ნებათა და მოქმედებათა მათთაჲ შეერთებულობაცა და განყოფილობაეცა უწყით და აღეპრიცხუაეთ და აღრიცხუეითა მით არაეე განესწეალებთ მათ. რამეთუ რომლითაცა სახითა ჴორცნი განღმრთდეს და არა შეემთხუა მათ შეცვალებაჲ თუსისაგან ბუნებისა, მითეე სახითა ნებაჲცა და მოქმედებაჲ ჴორცთაჲ განღმრთდეს და თუსთა საზღუართაგან არაეე განდგეს, რამეთუ ერთი იყო, რომელი ამათ შორის და მათ შორის იყო და მასეე და ერთსა გუამსა საქმრად აქუნდეს საღმრთონიცა და კაცობრიენი მოქმედებანი.[2]

ეინაცაა საჭირო არს ქრისტესთჳს თქუმად ორთა მოქმედებათა ორობისათჳს ნებათა და ბუნებათაჲსა, რამეთუ რომელთა ბუნებაჲ განყოფილ არს, მათი საქმეცა განყოფილ არს

[1] მათე. 8, 3.
[2] მაქს. აღმსარ., II ეპისტ. მარინ.

რომელი აქუს[1] მოქმედსა ქმნილისა მიმართ. მოქმედება არს თუთ იგი შესრულებულიცა.

ხოლო მოქმედებათაგანი რომელიმე უკუე
1049 არს მხოლოჲსა სულისაჲ // ოდენ, ხოლო რომელიმე სულისა მჴუმეველისა ჴორცთაჲსაჲ და რომელიმე ჴორცთა გონიერად სულიერ-ქმნულთაჲ. ხოლო რომელიმე შესრულება, რამეთუ გონებაჲ წინაჲსწარ განიხილავს ქმნადსა და ეგრეთ იქმს ჴორცთა მიერ.[1] სულისაჲ ეიდრემე არს მთაერებრივობაჲ, რამეთუ იჴუმეეს ჴორცთა ეითარცა ორღანოთა მჟღანებელი და მმართებელი მათი, ხოლო სხუა არს მოქმედებაჲ ჴორცთა ჟღანებულთა და ძრულთაჲ სულისა მიერ და შესრულება, ჴორცთა უკუე შეხებაჲ და პყრობაჲ და ქმნადისა რეცა გამოქანდაკებაჲ, ხოლო სულისა ყოფადისა მი/ს/ რეცა სახოან ქმნაჲ და შესახეაჲ.

ესრეთეე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს ზედა საკურველებ/ა/თა ვიდრემე ძალი ღმრთეებისა მისისა მოქმედება იყო, ხოლო ხელით ქმნაჲ და ნებებაჲ და თქუმაჲ, ეითარმედ „მნებავს განწმიდენ",[1] კაცებ/ი/სა მისისა იყო 84r
მოქმედება. ხოლო შესრულება კაცობრივისა
1052 // უკუე – განტეხაჲ პურთაჲ და თქუმაჲ განრღუეულისაჲ, ეითარმედ: „მნებავს". ხოლო საღმრთოსა – გამრაელებაჲ პურთაჲ და განწმედაჲ კეთროვნისაჲ. რამეთუ ორთაგანეე სულიერისა და ჴორციელისა მოქმედებისა ერთი და თანამონათესაე და სწორი იხილეებოდა საღმრთოჲ მოქმედებაჲ მისი, რამეთუ ეითარცა შეერთებულთა ეიცნობთ ბუნებათა და ურთიერთას მქონებელთა დატევნისათა და განყოფილებასა მათსა არა უგარეჰყოფთ, არამედ აღეპრაცხთ და განუწეალებელად ეიცნობთ მათ, ეგრეთეე ნებათა მოქმედებათა შეერთებაჲცა უწყით და განყოფილებასა მეცნიერ-ეართ და აღეპრაცხუაეთ[III] და განწეალებასა არა შემოეიღებთ, რამეთუ, ეითარ სახედ, ჴორცნი განღმრთდესცა და თუსისა ბუნებისაგან შეცვალებაჲ არა შეემთხუა, ეგრეთეე, სახედ, ნებაჲ და მოქმედებაჲ განღმრთდესცა და თუსთა საზღვართაგან არაეე განდგეს, რამეთუ ერთი არს, რომლისანი არიან ესეცა და იგი და ესრეთ და ეგრეთ, ესე იგი არს, ღმრთებრ და კაცობრიე მნებებელი და მოქმედი,[2] რომლისთჳსცა ორთა მოქმედებათა თქუმაჲ საჭირო არს ქრისტესა ზედა მრჩობლობისათჳს ბუნებათაჲსა, რამეთუ რომელთა ბუნებაჲ სხუა და სხუა არს, მათი განყოფილ არს მოქმედებაჲცა და რომელთა მოქმედებაჲ

[1] მათე. 8, 3.
[2] მაქს. აღმსარ., II ეპისტ. მარინ.

[1] რომელი აქუს BCM. [II] მიერ. M. [III] აღეპრიცხუაეთ M.

და კუალად წინა-უკმო, რომელთა ბუნებაჲ იგიეე არს, მათი მოქმედებაჲცა იგიეე არს, და რომელთა მოქმედებაჲ იგიეე არს, მათი არსებაჲცა ერთ არს სიტყუსაებრ წმიდათა მამათაჲსა.

95v II აწ უკუე ერთი ორთაგანი საჭირო არს, რაჲთა მოქმედებასა თუ ერთსა ეიტყოდით ქრისტესსა, ერთი ეთქუათ არსებაჲცა. ანუ თუ მივითუალოთ ჭეშმარიტებაჲ და ორთა არსებათა მისთა აღვიარებდეთ სახარებისაებრ და მამათა მიერ პურებისაებრ და მათ თანაჲე ორთა მოქმედებათა ურთიერთას შედგომილთა აღვიარებდეთ. რამეთუ უკუეთუ ღმრთეებით თანა-არს არს ღმრთისა და მამისა არსებითა, სწორ მისსა არს მოქმედებითა. და უკ[უე] თუ იგიეე თანა-არს ჩუენდა არს კაცებითა, სწორ ეიდრემე არს მოქმედებითაცა. რამეთუ ესრეთ იტყჳს ნეტარი გრიგოლი ეპისკოპოსი ნოსელთაჲ, ეითარმედ რომელთა მოქმედებაჲ ერთ არს, მათი უეჭუელად ძალიცა ერთ არს, რამეთუ ყოველი მოქმედებაჲ ძალისა სრულ-მყოფელი არს. ხოლო შეუძლებელ არს აუგებელისა და აგებულისა ბუნებისა ერთ ძალ ანუ ერთ ბუნება ანუ ერთ მოქმედება ყოფაჲ. ვინაჲცა უკუეთუ ერთად ეთქუათ მოქმედებაჲ ქრისტესი, ღმრთეებისათჳს სიტყჳსა მის უეჭუელად შევახნეთ და მოკიდებულ მისსა ჳყვნეთ ენებანი საცნაურისა სულისანი, შიშსა ეიტყჳ და მწუხარებასა და ურვასა.[1]

ხოლო იტყოდიან თუ წინა-აღმდგომნი, ეითარმედ წმიდისა სამებისათჳს რაჲ სიტყუა უგებდეს წმიდანი მამანი, მაშინ თქუეს, ეითარმედ „რომელთა არსებაჲ იგიე არს, მათი
96r I მოქმედებაჲცა იგიეე არს და რომელთა არსებაჲ განყოფილი არს, მათი მოქმედებაჲცა განყოფილ არს და, ეითარმედ არა ჯერ-არს ღმრთისმეტყუელებისათჳს თქუმულსა სიტყუასა განგებულებისათჳს შემოღებად“. ამის პირისათჳს მიუგებთ და ვეტყჳთ, ეითარმედ უკუეთუ ღმრთისმეტყუელებისათჳს ოდენ თქუმულ არს მამათაგან სიტყუაჲ ეგე და არღარა არს შემდგომად განჴორციელებისა // მის[ე]ე მამულისა მოქმედებისა თანა-ზიარ ძე მამისა, არცაღა სადმე მისეე არსებისაგან იყოს. და უკუეთუ ესე ესრეთ არს, ვისთჳს გულისჴმაჲყოთ სიტყუაჲ ესე, ეითარმედ „მამაჲ ჩემი მოაქამომდე? იქმს და მეცა ვიქმ?“ [3] და „რასა იგი ხედაჲს მამასა მოქმედად, მას ძე ეგრეთეე მსგაჳსად იქმს“ [4] და „უკუეთუ ჩემი არა გრწამს, საქმეთა მათგან გრწმენინ“.[5] და „საქმეთა, რომელთა მე ვიქმ, იგინი ჴამებენ ჩემთჳს“.[6] და „ეითარცა მამა აღადგინებს მკუდართა და

[1] ბასილი დიდი, ეპისტ. 38.
[2] ხელნაწერში: „მოაქამამდე“.
[3] იოანე, 5, 17.
[4] იოანე, 5, 19.
[5] იოანე, 10, 38.
[6] იოანე, 10, 25.

სხუა და სხუა, მათი განყოფილ არს ბუნებაჲცა. და წინა-უკმო, რომელთა ბუნებაჲ იგიეე არს, მათი იგიეე არს მოქმედებაჲცა და რომელთა მოქმედებაჲ ერთ არს, მათი არსებაჲ ერთ არს ღმრთივ-მზრახჳალთა მამაჲაებრ.

საჭირო უკუე არს ერთი ორთაგანი, ანუ ერთისა მოქმედებისა ქრისტეს ზედა მეტყუელთაგან ერთად თქუმაჲ არსებისაცა მისისაჲ, ანუ უკუეთუ თანა-მბრძოლ ვართ ჭეშმარიტებისა და ორთა არსებათა სახარებისაებრ და მამობრივ აღვიარებთ, მოქმედებათაცა ორთა წესისაებრ შემდგომობისა მათისა თანა აღსაარებად, რამეთუ თანა-არსი ღმრთისა და მამისაჲ ღმრთეებითა სწორ მისსა იყოს მოქმედებითაცა. და იგი თანაეე არსი ჩუენი კაცებითა სწორივე იყოს მოქმედებითაცა. იტყჳს უკუე სანატრელი გრიგოლი, ნოსელთა ეპისკოპოსი, ვითარმედ: „რომელთა მოქმედებაჲ ერთ არს, მათი უეჭუელად ძალიცა იგივე არს, რამეთუ ყოველი მოქმედებაჲ ძალისა შესრულება არს, ხოლო შეუძლებელ არს აუგებელისა და აგებულისა ბუნებისაჲ ერთ ბუნება ანუ ძალ
84r II ანუ მოქმედება-ყოფაჲ. ხოლო უკუეთუ ერთი ეთქუათ მოქმედებაჲ ქრისტესი, ღმრთეებასა სიტყჳსასა შეეახებით ჳნებათა გონიერისა სულისათა, შიშსა ეიტყჳ და მწუხარებასა და ულონოებასა.[1]

ხოლო უკუეთუ თქუან, ეითარმედ წმიდისა სამებისათჳს სიტყჳს მგებელთა თქუეს ეგე წმიდათა მამათა, ეითარმედ „რომელთა არსებაჲ ერთ არს, მათი მოქმედებაჲცა ერთ არს და რომელთა განყოფილ არს არსებაჲ, მათი განყოფილ არს მოქმედებაჲცა“, და ეითარმედ, არა ჯერ არს ღმრთის-მეტყუელებისათა მოხუმაჲ, განგებულებისა ზედა ვეტყჳთ: უკუეთუ[1] ღმრთის-მეტყუელებისა ზედა ხოლო თქუმულ არს მამათაგან და არა // მისეე მამულისა
1053 მოქმედებისაჲ არს ძე, შემდგომად განჴორციელებისაცა[2] არცა მისეე არსებისაჲ იყოს, ანუ ვის განუკუთნაეთ ამას, ეითარმედ „მამაჲ ჩემი ეიდრე მოაქამდე იქმს და მეცა ვიქმ“?[2] და „რათაცა ჰხედაეთ მამასა მოქმედად მათ, ძეცა მსგაჳსად იქმს“ [3] და „უკუეთუ ჩემი არა გრწამს, საქმეთა ჩემთაჲ გრწმენინ“ [4] და „საქმეთა, რომელთა მე ვიქმ, ჴამებენ ჩემთჳს“[5] და „ეითარცა მამაჲ აღადგინებს მკუდართა და ცხოველ-ჰყოფს, ეგრეთეე ძეცა, რომელთაჲ ჳნებაჳს, ცხოველ-ჰყოფს“.[6]

[1] ბასილი დიდი, ეპისტ. 38.
[2] იოანე, 5, 17.
[3] იოანე, 5, 19.
[4] იოანე, 10, 38.
[5] იოანე, 10, 25.
[6] იოანე, 5, 21.

[1] ხოლო უკუეთუ M. [2] +და შემდგომად განჴორციელებისაცა <M.

ცხოველ-ჰყოფს, ეგრეთვე ძე, რომელთაი უნდეს, ცხოველ-ჰყოფს".[1]

ესე ყოველნი არა ხოლო თანა არსებასა და უფროსდა ერთ-არსებასა მისსა აწუენებენ მამისა თანა, არამედ ამასცა, ეითარმედ მისე და ერთისა მოქმედებისა უფალ არიან მამაი და ძე.[2] და კუალად უკუეთუ განგებაი არსთაი არა ხოლო მამისა და სულისაი, არამედ ძისაიცა არს შემდგომად ჭორცთ-შესხმისათა, რომელი-ესე მოქმედებაი არს, არა
96r II შემდგომად განჴორციელებისა მისე ერთისა თანა-ზიარ არსა ძე მამულისა მოქმედებისა? და უკუეთუ სასწაულთა მიერ შეევისწაეეთ ქრისტე, ეითარმედ მისე მამულისა არსებისაი არს, უეჭუელად მოქმედება ღმრთისა არიან სასწაულნი და ესრეთ ეითარ არა მამულისა მოქმედებისა თანა-ზიარ არს ძე შემდგომად ჭორცთ-შესხმისაცა?

ხოლო უკუეთუ მოქმედებაი ღმრთეებისა მისისა და ჭორცთა მისთაი შეზაებულ არს და იყოს ძე სხუა მოქმედება, თუნიერ მამისა, ნუ უკუე და მამაიცა შეზავებულ[ი]თა მოქმედებითა არს, ხოლო უკუეთუ მოქმედებაი შეზაებული აქუს, ცხად არს, ეითარმედ ბუნებაი შეზაებული აქუს. ხოლო იტყოდინ თუ ეითარმედ მოქმედებაი პირსა შემოიყვანებს, მიუგებთ და ეტუყუთ, ეითარმედ უკუეთუ მოქმედებითა პირი შემოიყვანების, ცხად არს სამართლითა გარე-მოქცეითა, ეითარმედ პირისაგან მოქმედებაი შემოყვანებულ იქმნას. და იქმნენ ეითარ-იგი სამნი პირნი, რომელ არიან გუამნი წმიდისა სამებისანი, ეგრეთვე სამნი მოქმედებანი. ანუ ეითარ-იგი მოქმედებაი ერთ არს, ეგრეთვე პირიცა და გუამი ერთი აქუნდეს. ხოლო წმიდათა მამათა ურთიერთას შეტყუებულად თქუეს, ეითარმედ მისე არსებისაგანთა იგიეე აქუს მოქმედებაიცა.[3]

მერმეცა ეიტყუ, ეითარმედ უკუეთუ მოქმედე-
96v I ბითა პირი შემოიყვანების, აწ უკუე რომელთა იგი ქრისტესთუს არცა ერთისა, არცა ორთა მოქმედებათა თქუმაი დააწესეს, ცხად არს, ეითარმედ არცა ერთისა, არცა ორთა პირთა თქუმაი მისთუს უბრძანებიეს.

და კუალად სახედ შემოეიღებ განჴურეებულსა რკინასა, ეითარმედ ეითარ-იგი მის შორის ბუნებანი ცხოველ არიან ცეცხლისაცა და რკინისაცა, ეგრეთვე ორთა მოქმედებათა ცხოველობაი აქუს გუამსა ორთაგან შეზაებულსა, რამეთუ აქუს რკინასა მკუეთელობაი, ხოლო ცეცხლსა შემწუელობაი. განკუეთაი უკუე რკინისა მოქმედებად შეისრულების, ხოლო წუაი ცეცხლისად. და განმკუეთელისა მის წუჱისა უკუეთუ არცა წუჱისა, თუნიერ კუეთისა, არცა კუეთისაი, თუნიერ წუჱისა, ქმნაი იხილეების შემდგომად შეერთებისა,

რამეთუ ესე ყოველნი არა თანა-არსად ხოლო მამისად აწუენებენ შემდგომად განჴორციელებისაცა, არამედ მისე მისისა მოქმედებისადცა არს.[1] და კუალად, უკუეთუ არსთა ძლითი წინა-განგებაი არა ხოლო მამისა და სულისა წმიდისაი, არამედ ძისაიცა არს[1] და შემდგომად განჴორციელებისაცა და მოქმედება მისსა [არს] ესე, მისე სადმე მამულისა მოქმედებისაი არს იგი შემდგომად განჴორციელებისაცა. და უკუეთუ საკურველებათა მიერ მისე მამულისა არსებისაგანობაი გუეცნობა ქრისტესი და მოქმედება ღმრთისა არიან საკურველებანი, მისე სადმე მამულისა მოქმედებისაი არს იგი შემდგომად განჴორციელებისაცა.

ხოლო უკუეთუ ერთი მოქმედებაი არს ღმრთეებისა და კაცებისა მისისაი, იყოს იგი შეზაებული და ანუ სხუსა მოქმედებისაი იყოს თუნიერ მამისა და ანუ მამაიცა შეზაებულისა მოქმედებისაი იყოს. ხოლო უკუეთუ მოქმედებისა შეზაებულისაი, ცხად არს, ეითარმედ ბუნებისაიცა. ხოლო უკუეთუ თქუან, ეითარმედ მოქმედებითა პირი შემოიყვანების, ეიტყუთ, ეითარმედ უკუეთუ მოქმედებითა პირი შემოიყვანების, ჴეშმარიტისა გარე-მოქცეისაებრ პირითა მოქმედებაი შემოყვანებულ იქმნეს და იყვნენ ეითარცა სამნი პირნი, რომელ არიან გუამნი წმიდისა სამებისანი, ეგრეთვე სამნიცა მოქმედებანი, ანუ ეითარცა ერთი მოქმედებაი,
84v I აგრეთვე ერთი იყოს პირიცა და ერთი გუამი. ხოლო ერთ-ჴმობით თქუეს წმიდათა მამათა მისსე არსებისა და მისე მოქმედებისაგანობაი მათი.[2]

მერმეცა უკუეთუ მოქმედებითა პირი შემოიყვანების, არცა ერთისა და არცა ორთა მოქმედებათა ქრისტესთა თქუმისა განმჩინებელნი არცა ერთისა პირისა მისისა, არცა ორთა თქუმასა განაწესებენ.

ხოლო განჴურვებულისა მახჳლისა შორის ეითარცა ბუნებანი დაიცევებიან ცეცხლისა და რკინისაი, ეგრეთვე ორნი მოქმედებანი და შენასრულებნი მათნი, რამეთუ აქუს რკინასა უკუე მკუეთელობითი, ხოლო ცეცხლსა მწუელობითი ძალი. და კუეთაი ეიდრემე რკინისა მოქმედებისა შესრულებაი არს, ხოლო წუაი ცეცხლისაი და დაიწუებიან განყოფილებანი მათნი წუჱისა შინა კუეთასა და კუეთითსა შინა წუჱასა, დაღათუ არცა წუჱაი თუნიერ

[1] იოანე, 5, 21.

[2] მაქს. აღმსარ., დიალოგი პუროსთან, PG, 91, col. 348-349.

[3] იქვე. 336-337.

[1] მაქს. აღმსარ., დიალოგი პუროსთან, PG, 91, col. 348-349.

[2] მაქს. აღმსარ., იქვე. გვ. 336-337.

[1] და კუალად. უკუეთუ არსთა ძლითი წინა-განგებაი არა ხოლო მამისა და სულისა წმიდისაი, არამედ ძისაიცა არს <M.

ამისთჳსცა არა ორთა // ბუნებითთა მოქმედებათაგან ორნი რკინანი ეთქუნით, არცა ერთობითა განჰურეებულისა რკინისაჲთა შერეენასა ეიტყოდით არსებითთა მათ განყოფილებათა მათთასა. ეგრეთეე ქრისტესთჳს განთჳსებულად უწყნით რომელნიმე საქმენი საღმრთოჲსა მის და ყოველისა შემძლებელისა მოქმედებისა მისისად და რომელიმე კაცობრიჲისა ჩუენებრობისად. რამეთუ კაცობრიჲისა
96v II ბუნებისა საქმე იყო ჰურობაჲ ჴელსა ყრმისასა და აღზიდეაჲ. ხოლო განცხოველებაჲ და აღდგინებაჲ მკუდრისაჲ ღმრთეებისა ბუნებისაჲ არს, რამეთუ სხუა არს ესე და სხუა არს იგი, დაღაცათუ ურთიერთას განუშორებელ არიან ღმერთ-მამაკაცებრად მოქმედებაჲ, რაჲთა არა საგონებელ იყოს ერთობისათჳს გუამისა ერთობაჲ არსებისაჲცა.

კუალად უკუე ეროსა თუ მოქმედებასა ეიტყოდით უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, საღმრთო-მე ეთქუათ ანუ კაცობრიეი, ანუ არცა იგი და არცა იგი! არამედ უკუეთუ ღმრთეებისაჲ ოდენ ეთქუათ, განშიშულებულად ეიტყუთ მას ჩუენისაგან კაცებისა. ხოლო უკუეთუ კაცებისაჲ ეთქუათ, ლიტონად სადმე კაცად უწოდთ მას და ეჰგმობთ. ხოლო უკუეთუ არცა საღმრთო ეთქუათ, არცა კაცობრიეი, არცა სადმე ღმერთად ეიტყუთ მას, არცა კაცად, არცა თანა-არსად მამისა გინა ჩუენდა. რამეთუ შეერთებისაგან გუამოვნებითი[1] ერთობაჲ იქმნა და არა ბუნებათა განყოფილებაჲ შერეენულ იქმნა, ხოლო განყოფილად დაცეითა ბუნებათაჲთა ცხად არს, ეითარმედ ცხოველად დაცეულ არიან მოქმედებანიცა მათნი, რამეთუ არა არს ბუნებაჲ უსაქმოჲ.[2] უკუეთუ ერთ არს მოქმედებაჲ მეუფისაჲ ქრისტესი, აგებული-მე არსა, ანუ აუგებელი, რამეთუ შორის ამათსა
97r I ეერ ეგების მოქმედებაჲ, ეითარ-იგი არცა თუ ბუნებაჲ? აწ უკუე აგებული თუ არს, აგებულსა ხოლო საცნაურ-ჰყოფს არსებასა, ხოლო უკუეთუ აუგებელი არს, აუგებელსა ოდენ გამოჩსახავს არსებასა, რამეთუ უეჭუელად ჯერ-არს, რაჲთა ბუნებათა ურთიერთას თანა-შეეტყუებოდინ საქმენიცა ბუხებითნი, ვინაჲთგან შეუძლებელ არს ყოფად ბუნებაჲ ნაკლულეანი. ხოლო უკუეთუ ბუნებითი არს და არა გარეშე ბუნებისაჲ მოქმედებაჲ და საცნაურ არს, ეითარმედ არცა არს, არცა იცნობების ბუნებაჲ თუნიერ ბუნებითისა მოქმედებისა, რამეთუ რომლითაცა მოქმედებს თითოეული, მითჳე ბუნებასა თუსსა სარწმუნოჰყოფს, ეითარმედ არა ქცეულ არს.

აწ უკუე ერთ არს თუ მოქმედებაჲ ქრისტესი და იგიეე არს მოქმედი საღმრთოთა და კაცობრიეთა საქმეთაჲ, ხოლო არა რაჲ არსთაგანი, ბუნებითსა წესსა ზედა თუსსა დადგრომილი, კუეთისა იქმნების შემდგომად შეერთებისა, არცა კუეთაჲ თუნიერ წუეისა და არცა
1056 მრჩობლობისათჳს // ბუნებითისა მოქმედებისა ორთა ეიტყუთ განჰურეებულისა მახულთა, არცა ერთობისათჳს განჰურეებულისა მახულისა შერეენასა ეჰყოფთ არსებითისა განყოფილებისა მათისასა. ეგრეთეე ქრისტესაცა შორის ღმრთეებისა უკუე მისისაჲ საღმრთოჲ და ყოელად ძლიერი მოქმედებაჲ იყო, ხოლო კაცებისა მისისაჲ ჩუენებრი იგი. ხოლო შესრულება კაცობრიჲისა ეიდრემე ჰყრობაჲ ჴელსა [ყრ]მისასა და ჰიზიდეაჲ,[1] ხოლო საღმრთოჲსა ცხოველ-ყოფაჲ, რამეთუ სხუაჲ ესე და სხუაჲ არს იგი, დაღათუ განუშორებელად ურთიერთას მყოფ არიან ღმერთ-მამაკაცებრსა შინა მოქმედებასა. უკუეთუ ერთობისათჳს საუფლოჲსა გუამისა ერთი არს მოქმედებაჲცა, ერთობისათჳს გუამისა ერთი იყოს არსებაჲცა.

და კუალად, უკუეთუ ერთი მოქმედებაჲ ეიქუათ უფლისა ზედა, ანუ საღმრთოჲ ეთქუათ იგი, ანუ კაცობრიეი, ანუ არა რომელი ამათი. არამედ უკუეთუ – საღმრთოჲ, ღმერთად ხოლო ეიტყუთ მას შიშულად ჩუენისა კაცებისაგან [და უკუეთუ კაცობრიეი, ლიტონად კაცად ეჰგმობთ მას], და უკუეთუ არცა საღმრთოჲ, არცა კაცობრიეი, [არცა] ღმერთად, არცა კაცად, არცა ჩუენდა თანა-არსად.[1] რამეთუ შეერთებისა მიერ გუამოვნებითი იგიეეობაჲ იქმნა, არა თუ განყოფილებაჲ ბუნებათაჲ მოისპო. ხოლო განყოფილებაჲ რაჲ ბუნებათაჲ დაიცეებოდის, დაიცებებიან, ცხად არს, ეითარმედ მოქმედებანიცა მათნი, რამეთუ არა არს ბუნებაჲ უმოქმედებოჲ.[2] უკუეთუ ერთი არს მეუფისა ქრისტჱს მოქმედებაჲ, ანუ აგებული იყოს, ანუ აუგებელი, რამეთუ საშუალ ამათსა არა არს მოქმედებაჲ, ეითარ-იგი არცა ბუნებაჲ. და უკუეთუ აგებული აგებულსა ხოლო ცხად-ჰყოფს ბუნებასა, ხოლო უკუეთუ აუგებელი აუგ/ებ/ელსა ხოლო დაჰსახავს არსებასა, რამეთუ[II] ჯერ-არს უეჭუელად, რათა შემსგაყსებულად ბუნებათა იყენენ ბუნებითნი, რამეთუ შეუძლებელ არს მყოფობისა ქონებაჲ ნაკლულისა ბუნებისაჲ, ხოლო ბუნებითი მოქმედებაჲ არა გარეშეთაგანი არს და, ცხად არს, ეითარმედ არცა არს, არცა ცნობად შესაძლებელ არს ბუნებაჲ, თუნიერ ბუნებითისა მოქმედებისა, რამეთუ რომელთა იგი მოქმედებს, თითოეული ბუნებასა თუსსა სარწმუნოჰყოფს მათ მიერ, რომელი-იგი უქცეელ არს.
84v II

უკუეთუ ერთ არს მოქმედებაჲ ქრისტესი, იგიეე არს საღმრთოთა და კაცობრიეთა მო-

[1] ეს სიტყჳა ხელნაწერში ორჯერ წერია.
[2] მაქს. აღმსარ., დიალოგი პაროსთან, PG, 91, col. 337-341.

[1] არსენის ეს წინადადება განსხეაებება დედნისაგან. დედანს მიჰყეება ეურემის თარგმანი: „არამედ უკუე ღმრთებაჲ ოდენ ეთქუათ...“ და ა. შ. გე. 262 (96v II).
[2] მაქს. აღმსარ., 337-341.
[1] მიზიდეია A. [II] ხოლო M.

ვერ შემძლებელ არს წინა-აღმდგომთა რათმე ქმნად. რამეთუ ცეცხლი არა განატყობებსცა და განაგრილებსცა და ეგრეთვე წყალი არ განაჭმობსცა და დაასველებსცა (sic). ეითარ უკუე რომელი-იგი ბუნებით ღმერთი იყო და ბუნებით კაც იქმნა, ერთად შეასრულნა
97r II საკურველებანიცა და ენებანიცა თუსნი.

უკუეთუ გონებაი[1] მიიღო ღმერთმან, უჭუველად მგონებელ არს და მარადის მოგონებულ არს, რამეთუ მოქმედება გონებისა არს მგონებაი, ანუ არა ეითარ-იგი კაც არს ქრისტე მოქმედებდესცა-ა და მარადის მოქმედებდეს?[2]

ხოლო წმიდაი იოანე // ოქროპირი თარგმა- 1057
ნებასა შინა მოციქულთა საქმისა მეორესა თაესა შინა ესრეთ იტყუს, ეითარმედ „არავინ ცოდოს, უკუეთუ ენებასა მასცა ქრისტესსა საქმედ უწოდოს, რამეთუ ყოვლისაეე ენებათა თაეს-დებისაგან სრულ-ყო დიდი იგი და დიდებული საქმე, დაჴსნა სიკუდილისაი და სხუათა ყოველთაეე კეთილთა სრულებაი".

აწ უკუე უკუეთუ ყოველსაეე მოქმედებასა ბუნებისა ეისისამე[3] არსებითად აღძრედ სახელ-ედების, ეითარ-იგი განსაზღერებით უთქუამს ამათ პირთა შინა მრაელ ჭელოვანთა მათ, ეითარმედ სადა ანუ ვინ იხილა ეისიცა ბუნებაი აღუძრეელი, გინა ყოელად უქმი, გინა მოქმედებაი ეისიმე არა ბუნებითისა აღძრეისა განკუთვნილი? ვინაიცა ვერვინ კეთილად გონიერთაგანმან უწოდოს ერთად ბუნებითად მოქმედებასა ღმრთისა დამბადებელისა და კაცისა დაბადებულისასა
97v I სიტყუსაებრ ნეტარისა კურილესსა. ვერცა ცხოველ-ჰყოფს ლაზარეს კაცობრივი ბუნებაი, არცა ცრემლოს საღმრთოი ჭელმწიფებაი და რამეთუ ცრემლი კაცობრივისა ბუნებისათჳს არს, ხოლო ცხორებაი გუამოენისა მის ცხორებისა. არამედ ეგრეთცა ორთაეე ზოგადი არს საქმე თითოეულისაი ერთობისათჳს გუამისა. რამეთუ ერთ არს ქრისტე და ერთ არს პირი, ესე იგი არს გუამი მისი, არამედ ეგრეთცა ჰქონანეე ორნი ბუნებანი ღმრთეებისა და კაცებისა მისასანი. ღმრთეებისაგან უკუე დიდებაი ბუნებით გამოვალს და თითოეულსა ზიარ ორთა და-ეე-ჰყოფს ერთობისათჳს გუამისა. ხოლო ჯორცთაგან გამოულენ მდაბალნი და იგიცა ზიარ იქმნების ორთათჳსეე, რამეთუ ერთ არს და იგივე ღმერთი და კაც და მისეე და ერთისა ქრისტჱსნი არიან კაცებისაცა და ღმრთეებისა მისისა საქმენი. რამეთუ სასწაულთა ღმრთეებაი იქმოდა, არამედ არაეე თუნიერ ჯორცთაჲსა. ხოლო მდაბალთა მათ ჯორცნი იქმოდეს, არამედ არაეე თუნიერ ღმრთეებისა. რამეთუ ენებოდის რაჲ ჯორცთა, მათ თანაეე იყეის ღმერთეებაი და უენებელად ეგის, და ენებითა მით ცხორებასა აღასრულებდის. და

ქმედებითი, ხოლო ვერა რას არსთაგანსა, ეიდრემდის ეგოს ბუნებითთა შინა, ძალ-უც ქმნაი წინააღმდგომთაი, რამეთუ არა განაგრილებსცა და განაჭურვებს ცეცხლი, არცა განაჭმობს და ნოტია-ჰყოფს წყალი. ეითარ უკუე რომელი ბუნებით ღმერთი იყო და ბუნებით კაც-იქმნა, საკურველებათა და ენებათა ერთითა მოქმედებითა სრულ-ჰყოფდა.

უკუეთუ გონებაი[1] მიიღო ქრისტემან, იგონებდეს უეჭუელად და სამარადისოდ იგონებდეს. რამეთუ მოქმედება გონებისა არს მგონებლებაი, რომლისათჳს კაცობრიეცა სადმე მოქმედ და სამარადისოდ მოქმედ არს ქრისტე.[2]

ხოლო წმიდაი იოანე // ოქროპირი თარგმანებასა შინა „საქმეთასა", მეორესა თაესა შინა ესრეთ იტყუს: „არავინ ცოდოს, უკუეთუ ენებასაცა მისსა საქმედ უწოდოს, რამეთუ[4] შემთხუეეითა ყოელთაეე ენებათაჲთა ქმნა დიდი იგი და საკურველი საქმე სიკუდილისა დამჴსნელმან და ყოელთაეე სხუათა სრულ-მყოფელმან".[3]

უკუეთუ ყოელი მოქმედებაი რომლისამე ბუნებისა არსებითად მოქმედებად განისაზღერების, ეითარ-იგი ამათთჳს მოსწრაფენი იტყუან – ეის სადა უხილაეს უძრაეი ანუ ყოელითურთ უქმი ბუნებაი, ანუ მოქმედებაი უპოენიეს, რომელი არა მოძრაეობაი იყოს ბუნებითისა ძალისაი? ხოლო ერთი ბუნებითი მოქმედებაი ღმრთისა და შექმნულისა მისისაი არაეინ კეთილად გონიერთაგანმან მოიგონოს ოდესცა ნეტარისა კურილესებრ, ეითარმედ „არცა ცხოეელ-ჰყოფს ლაზარეს კაცობრივი ბუნებაი, არცა ცრემლოს საღმრთოი ჭელმწიფებაი და რამეთუ ცრემლი ეიდრემე კაცობრივობისა არს თუთჳს, ხოლო ცხოველ-ყოფაი გუამოენისა ცხორებისა". გარნა ეგრეთცა საზოგადო თითოეულისა არიან ორნიეე იგიეებისათჳს გუამისა მისისა. რამეთუ ერთი უკუე არს ქრისტე და ერთი პირი მისი, რომელ არს გუამი, არამედ ეგრეთცა ჰქონან ბუნებანი ორნი, ღმრთ/ებისა და კაცებისა მისისაი. ეინაიცა
რომელნი-ესე ყოველთა კაცთა ბუნებითად პჴონან, და ყოველნივე იგი ბუნებითნი და თანა-წარუვალნი უნაკლულოდ მიიხუნა ქრისტემან, რაჲთა ყოველიეე წმიდა-ყოს. განიცადა და სძლო, რაჲთა ჩუენ ძლეუაჲ მოგუსაძოს და მისცეს ბუნებასა ძალი ძლევად წინა-აღმდგომისა. რაჲთა ბუნებამან მან ძუელ ოდესმე ძლეულმან, რომლითაცა კუეთებითა იძლია, მითვე სძლოს ძუელ სადმე მძლესა თუსსა. რამეთუ ბოროტი იგი არა გულის სიტყუათა მიერ, არამედ გარეთ ეკუეთებოდა უფალსა მსგაუსად ადამ პირველისა. რამეთუ მასცა
103v II არა გულის სიტყჳთა ეკუეთა, არამედ გულისა მიერ. ხოლო უფალმან კუეთებაჲ იგი მისი გარეწარ აქცია და ეითარცა კუამლი დაჰჴსნა, 1084 რაჲთა კუეთებითა და ძლევითა მის მიერ ენებათაჲთა // ჩუენდა ადგილ საბრძოლელ იქმნენ ენებანი. და ესრეთ ახალმან ადამ ძუელი იგი აცხოენოს.

ვინაჲცა ბუნებითნი იგი ენებანი ჩუენნი ბუნებითად და ზეშთა ბუნებისად იყენეს ქრისტეს თანა. ბუნებითად უკუე, რამეთუ მაშინ აღიძრეოდა თაესა შორის თუსსა, რაჟამს მიუშუს ჴორცთა ენებულებად წესისაებრ თუსისა. ხოლო ზეშთა ბუნებისად, რამეთუ არა წინამძღუარ იყენეს უფლისა შორის ბუნებითნი იგი ნებებითთა მათი, ვინაჲთგან არა-რაჲ იძულებითი მის შორის იხილეებოდა,

64 /III, 20/ ბუნებითთა და უგიობელთა ჴნებათათუს

თავი ეგ

აღვიარებთ უკუე, ეითარმედ ყოველნი ბუნებითნი და უგიობელნი ენებანი კაცისანი მიიხუნა, თუნიერ ცოდვისა, რამეთუ ესე არა ბუნებითი არს, არცა დამბადებელისა მიერ დათესული ჩუენ შორის, არამედ ზედა მთესველობისაგან ეშმაკისა თუთმფლობელობითსა აღრჩევასა ჩუენსა შინა[II] ნებისთ შემტკიცებული, არა იძულებით მჴყრობელი ჩუენი. ხოლო ბუნებითნი და უგიობელნი ენებანი არიან არა ჩუენ ქუეშენი იგი, რაოდენნი გარდასლვისა მიერისა დაშჯილებისაგან შემოვიდეს კაცობრიესა ცხორებასა – შიმშილი, წყურილი, შრომაჲ,[III] ტკივილი, ცრემლოჲ, ხრწნილებაჲ, სიკუდილისაგან ჴმნაჲ, მოშიშებაჲ, ურეაჲ, რომლისაგან იყენეს ოფლნი, ცუარნი სისხლისანი, უძლურებისათუს ბუნებისა, ანგელოსისა მიერი განძლიერებაჲ და ეგევითარნი, რომელნი ყოველთა კაცთა შორის ბუნებითნი არიან.

ყოველნიე უკუე მიიხუნა, რათა ყოველნიე წმიდა-ყენეს, განიცადა და სძლო, რათა ჩუენ ძლეუაჲ[IV] დაგუმკუდროს. და მისცა ბუნებასა ძალი[V] ძლევად წინა-აღმდგომისა, რათა ძუელ სადმე ძლეულმან ბუნებამან კუეთებათა, რომელთა მიერ იძლია, მათ მიერვე სძლოს ძუელ სადმე მძლესა მას თუსსა. ვინაჲცა გარეთ მოუკდა და ეკუეთა ბოროტი არა გულის სიტყუათა მიერ, ეითარ-იგი ადამსცა, რამეთუ მასცა არა გულის სიტყუათა მიერ, არამედ გულისა მიერ ეკუეთა, ხოლო უფალმან კუეთებაჲ იგი გარე მიაქცია და ვითარცა კუამლი განაქარეა, რათა კუეთებულნი მისდა და ძლეულნი ენებანი // ჩუენგანცა ადვილად საძლეველ იყენენ და ესრეთ ახალმან ადამ პირველი იგი აცხოენოს.

ესრეთ უკუე ბუნებითნი ენებანი ჩუენნი ბუნებითადცა და ზესთა ბუნებისად იყენეს ქრისტეს შორის, რამეთუ ბუნებითად ეუდრემე აღიძრეოდეს მის შორის, რაჟამს მიუშუს ჴორცთა შემთხუევად თუსთა, რამეთუ არა წინა 87v II უძღოდეს უფლისა შორის ნებასა ბუნებითნი, ვინაჲთგან არა რაჲ იძულებითი იხილეებოდა

[I] ,აცობრიე M. [II] ზედა M. [III] შურომაჲ A. [IV] მძლეობაჲ M. მძლეობაჲ A /მიწერილი ამიაზე/. [V] <M.

არამედ ყოველიეე ნეფსითი, რამეთუ ნეფსით მოემშია, ნეფსით მოეწყურა, ნეფსით შეეშინა, ნეფსით მოკუდა.

65 /III, 21/ უმეცრებისათჳს და მონებისა თავი ᲛᲔ

ჯერ-არს უკუე ცნობად, ეითარმედ უმეცარი და მონაჲ ბუნებაჲ მიიღო უფალმან, რამეთუ მონაჲ არს კაცობრივი ბუნებაჲ დამბადებელისა მისისა ღმრთისაჲ და არა აქუს მას ცნობაჲ რაჲსამე ყოფადთაგანისაჲ, ვინაჲთგან სიტყჳსაებრ ღმრთისმეტყუელისა გრიგოლისსა განჰყო რაჲ საცნაური ხილულისაგან, მონად და უმეცრად ითქუმიან ჯორცნი. ხოლო გუამოვნებისა ერთობითა და განუყოფელითა შეერთებითა განმდიდრებულ იქმნა სული 104r I საუფლოთა მათ ჯორცთაჲ, ეითარ-იგი სიტყუთა მითცა საღმრთოჲთა სასწაულებითა. რამეთუ ეითარცა-იგი ჯორცნი კაცთანი არა ცხოველს-მყოფელ არიან თავით თჳსით, ხოლო უფლისა იგი ჯორცნი // გუამოვნებითისა მისგან სიტყჳსა ღმრთისა შეერთებისა დაღაცათუ თუთ არა განშორებულ იყვნეს ბუნებითისა მოკუდაობისაგან, არამედ სხუათა ცხოველს-მყოფელ ექმნნეს, ეითარცა გუამოვნებით სიტყჳსა ღმრთისა შეერთებულნი. და ეერ შემძლებელ ვართ თქუმად, ეითარმედ არა იყვნეს, არამედ იყვნეს და არიან ცხოველს-მყოფელ. ეგრეთვე აღვიარებთ, ეითარმედ კაცობრივსა ბუნებასა არსებითად არა მოუგიეს ყოფადთა მეცნიერებაჲ. ხოლო საუფლოსა მას სულსა მითვე სიტყჳსა ღმრთისა შეერთებითა და გუამოვნებითითა არსებითა და ყოფადთა ცნობითა განმდიდრებაჲ მიენიჭა სხუათაეე მათ თანა საუფლოთა სასწაულთა სიმრაელისა.[1]

ხოლო საცნაურ იყაენ, ეითარმედ ეერცა მონად თქუმად მისდა შემძლებელ ეართ, რამეთუ მონებისა და მეუფებისა სახელნი არა ბუნებისა საცნაურება არიან, ეითარ-იგი მამობისა და ძეობისაჲ, არამედ ეისსა მიმართობასა გამოაჩინებენ, რამეთუ ესენიცა არა არსებისა, არამედ თჳსებისა საცნაურ-მყოფელ არიან.

აწ უკუე ეითარ-იგი უმეცრებისათჳს ეთქუთ, 104r II ეითარმედ უკუეთუ წულილადითა გულისჴმისყოფითა ანუ უწულილადესითა გონებისა ოცნებითა განჰყო აგებული აუგებელისაგან, მონა იყვნეს ჯორცნი, უკუეთუმცა არა შეერთებულ იყვნეს სიტყჳსა ღმრთისადა, ხოლო ეინაჲთგან ერთგზის შეეერონეს მას გუამოვნებით, ეითარღა მონა იყვნენ, რამეთუ ერთ არს ქრისტე, რომელსაჲ ძალ-უც მონა და უფალ-ყოფად თაეისა თჳსისა!

ხოლო ამიერითგანნი სიტყუანი არა მართივად, არამედ სხუათა მიმართ თქუმულ არიან. ესე იგი არს, ეითარმედ ეისსა იყოს მონა, ნუკუე მამისა-ა? არა სადმე. ანუ არა რაოდენი აქუს მამასა, ძისაჲცა არსა? ეიმის შორის, არამედ ყოველნი ნებსითნი, რამეთუ ნებსით მოემშია, ნებსით მოეწყურა, ნებსით[VI] შეეშინა, ნებსით მოკუდა.

65 /III, 21/ უმეცრებისათჳს და მონებისა თავი ᲚᲔ

შესწაევებაჲ საჭმარ არს, ეითარმედ უმეცარი და მონაჲ ბუნებაჲ მიიღო, და რამეთუ მონაჲ არს კაცობრივი ბუნებაჲ შემოქმედისა მისისა ღმრთისაჲ და არა აქუს მეცნიერებაჲ ყოფადთაჲ. ვინაჲცა უკუეთუ ღმრთისმეტყუელისა გრიგოლისებრ განჰყო ხილული საცნაურისაგან, მონად და უმეცრად ითქუმიან ჯორცნი, ხოლო იგიეობისათჳს გუამოვნებისა და განუჭრელისა შეერთებისა განმდიდრდა სული უფლისაჲ მეცნიერებითაცა ყოფადთაჲთა, ეითარ-იგი სხუათა ღმრთეებრთა სასწაულთა მიერ, რამეთუ ვითარცა ჯორცნი კაცთანი თჳსისა ბუნებისაებრ არა ცხოველს-მყოფელ არიან, ხოლო ჯორცნი // უფლისანი, თჳთ მის 1085 სიტყჳსა ღმრთისადა შეერთებულნი, ერთ-გუამოვნებით ბუნებითისა უკუე მოკუდაეობისაგან არა განდგეს, ხოლო ცხოველს-მყოფელ იქმნნეს გუამოვნებითისა ერთობისათჳს სიტყჳსა მიმართ და ეერ ძალ-გუც თქუმად, ეითარმედ არა იყვნეს და არიან მარადის ცხოველს-მყოფელ. ეგრეთვე კაცობრიესა ეიდრემე ბუნებასა არსებითად არა მოუგიეს მეცნიერებაჲ ყოფადთაჲ, ხოლო სული უფლისაჲ იგიეობისათჳს განმდიდრდა, ეითარცა ეთქუთ, სხუათა საღმრთოთა სასწაულთა თანა მეცნიერებითაცა ყოფადთაჲთა.[I]

და უწყებაჲ სათანადო არს, ეითარმედ ეერცა მონად ძალ-გუც თქუმაჲ მისი, რამეთუ მონებისა და მეუფებისა სახელნი არა ბუნებისა არიან საცნაურება, ეითარ-იგი მამობისა და ძეობისანი, არამედ რაჲსამე მიმართობათა, ხოლო ესენი არა ბუნებისა, არამედ განუჭრელისა თჳსებისა არიან წარმომაჩინებელ.

აწ უკუე ეითარ-იგი უმეცრებისათჳს ეიტყოდეთ, ეითარმედ უკუეთუ წულილადთა მოგონებათა მიერ, რომელ არიან წულილნი ოცნებანი გონ/ყ/ბისანი, განჰყო აგებული აუგებელისაგან, მონანი არიან ჯორცნი, არათუმცა შეერთებულ იყვნეს სიტყჳსა ღმრთისადა, ხოლო ერთგზის გუამოვნებით შეერთებულნი ეითარ იყვნენ მონა, რამეთუ მასუე და ერთსა ქრისტესა ეერ ძალ-უც, რაჲთა მონაცა იყოს და უფალ თაეისა თჳსისა.

რამეთუ[II] ესენი არა მარტიეად სათქუმელთაგანნი არიან, არამედ სხჳსა მიმართად. ეისი უკუე იყოს მონაჲ, მამისაჲა? აწ სადმე არა რაოდენნი ჰქონან მამასა, ძისანიცა არიან, უკუ-

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 30.

[I] გრიგ. ნაზ., სიტ., 30.
[II] ნეფსით M. [II] ეითარ M.

ნაიცა ნუუკუე და მამისა მონა იყოს, ხოლო თაჳისა თჳსისა არა-სადა. ანუ ვითარ იტყჳს ჩუენთჳს მოციქული მის მიერ შვილებისა მადლთა ღირს-ქმნულთა ამათთჳს, ვითარმედ: „არღარა ხართ მონა, არამედ შვილ".[1] და უკუეთუ იგი თავადი მონა არს, ჩუენ ვითარ შვილებისა მადლსა ღირს-მყოფს? ცხად არს უკუე, ვითარმედ ნართაულად ითქუმის მისთჳს მონებაჲ, ხოლო საკუთრებით იგი არა მონა არს, არამედ ჩუენთჳს ხატი მონებისაჲ მიიღო და ჩუენ თანა მონად ეწოდა, რამეთუ უვნებელ იყო და ჩუენთჳს ენებათა და მსახურ იქმნა მაცხოვარებისა ჩუენისა. ხოლო რომელნი იტყჳმან მას მონად, განჰყოფენ ერთსა
104v I ქრისტესა ორად მსგაჳსად ნისტორისსა, არამედ ჩუენ მეუფედ ეიტყჳთ მას და უფლად ყოველისა დაბადებულისა, ერთსა ქრისტესა, მასვე ერთბამად ღმერთად და კაცად და ყოველთა მეცნიერად და „მის შორის არიან ყოველნი საუნჯენი სიბრძნისანი და დაფარულნი მეცნიერებისანი".[2]

66 /III, 22/ წარმატებისათჳს

თავი ᲛᲒ

ხოლო წარმატებაჲ ითქუმის „სიბრძნითა და ჰასაკითა და // მადლითა",[3] რამეთუ ჰა-
1088 საკითა აღორძნდებოდა, ხოლო აღორძინებითა ჰასაკისაითა მის შორის მყოფსა მას სიბრძნესა განცხადებად მოიყვანებდა. და კუალად ამას თანა წარ[რმა]ტებად მისსა ითქუმის სიბ-[რ]ძნითა და მადლითა აღსავსე ყოფაჲ კაცთაჲ და ამით სახითა სრულ-ყოფაჲ სათნო-ყოფასა მას მამისასა, რომელსა-იგი სთნდა ღმრთის მეცნიერ-ყოფაჲ და ცხორებაჲ კაცთაჲ. ვინაჲ ამის განგებულებისათჳს განკაცებული იგი მხოლოდ-შობილი ძე მისი თჳსად წარმატებად მიიჩემებს წარმატებასა კაცთასა და ყოველსავე ადგილსა ჩუენსა ყოველსაჲ განირემებს და ითჳსებს. ხოლო რომელნი-იგი წარმატებასა სიბრძნითა და მადლითა რეცა შესამატებელად რადმე მისსა გულისჴმა-ჰყოფენ არა სრულებით შეერთებულად. ჭორცთა აღიარებენ
104v II ერთობასა მას გუამისა საუფლოჲსასა, არცა გუამოვნებითად შეერთებად ქადაგებენ მას, არამედ ამაო ცნობისა მის ნისტორისი ჰრწამს და თჳსებითსა ერთობასა და წულილადსა რასმე თანა-მკუდრობასა იჩქურებენ და „არა უწყიან, არცა რასა იგი იტყჳან, არცა ვიეთჳს დაამტკიცებენ".[4]

რამეთუ უკუეთუ ჭეშმარიტად შეერთა სიტჳუაჲ ღმრთისაჲ ჭორცთა სრულიადითა ერთობითა გუამისაჲთა და უფროჲსღა მის შორის შეკრებითა ჭორციელისა ასოებისაჲთა და ყოველად ერთ-გუამ-ქმნითა, ვითარ არა მიერით-

[1] გალატ., 4, 7.
[2] კოლას., 2, 3; გრიგ. ნაზ., სიტ., 34.
[3] ლუკა, 2, 52.
[4] I ტიმ., I, 7.

ეთუ მამისა მონაჲ არს, ხოლო თაჳისა თჳსისაჲ არასადა? და ვითარ იტყჳს ჩუენთჳს მოციქული – „ვინაცა არღარა ხართ მონა, არამედ შვილ, შვილებულნი მის მიერ",[1] – უკუეთუ მონა არს იგი? წოდებულებით უკუე ი/თქუ/მის მონად 88r I
და არა თუ თჳთ არს მონა, რამეთუ ჩუენთჳს მიმღებელი ხატსა მონისასა მონადცა იწოდა ჩუენ თანა, რამეთუ უვნებელმან ჩუენთჳს ჰმსახურა ენებათა და იქმნა მსახურ მაცხოვარებისა ჩუენისა. ხოლო მეტყუელნი მისნი მონად განჰკუეთენ ერთსა ქრისტესა ორად, ნესტორისებრ, ხოლო ჩუენ მეუფედ ეიტყჳთ და უფლად ყოვლისა აგებულისად ერთსა მას ქრისტესა, მასვე ერთბამად ღმერთად და კაცად და ყოველთა მეცნიერად და „მის შორის არიან ყოველნი საუნჯენი სიბრძნისანი და მეცნიერებისა დაფარულნი".[2]

66 /III, 22/ წარმატებისათჳს

თავი ᲛᲒ

ხოლო წარმატებულად ითქუმის „სიბრძნითა და ჰასაკითა და // მადლითა".[3] ჰასაკითა ეი-
1088 დრემე აღორძნდებოდა, ხოლო აღორძინებითა ჰასაკისაითა მის შორის მყოფი სიბრძნე გამოცხადებად მოვიდოდა. მერმეცა კაცთასა სიბრძნითა და მადლითა წარმატებასა და სრულ-ყოფასა მამულისა განგებულებისასა, რომელ არს ღმრთის მეცნიერებაჲ და მაცხოვარებაჲ კაცთაჲ, თჳსად წარმატებად ჰყოფდა და ყოველით კერძო განისაკუთრებდა ჩუენდა, ხოლო სიბრძნითა და მადლითა წარმატებულად მეტყუელნი მისნი ვითარმცა მიმთუალელ ყოფილ იყო შემატებასა ამათსა არა უმწუერვალესისა მყოფობისაგან ჭორცთაჲსა იტყჳან ქმნასა შეერთებისასა, არცა პატიჳსცემენ გუამოვნებითსა შეერთებასა, არამედ ამაო ცნობისა ნისტორისსა მრწმუნებელნი თჳსებითსა შეერთებასა და ლიტონსა თანა-მკუდრობასა მენიშებენ, „არა მეცნიერნი, არცა რათა იტყჳან, არცა ვიეთჳს დაამტკიცებენ".[4]

რამეთუ უკუეთუ ჭეშმარიტად შეერთნეს ღმერთსა სიტყუასა ჭორცნი უმწუერვალესისა მყოფობისაგან, ხოლო უფროჲსღა მის შორის იყუნეს და გუამოვნებითი იგივეობაჲ მოეგო

[1] გალატ., 4, 7
[2] კოლას., 2, 3; გრიგ. ნაზ., სიტ., 34.
[3] ლუკა, 2, 52.
[4] I ტიმ., I, 7.

განვე განემდიდრა იგი ყოველითაევე სიბრძნითა და მადლითა. ვინაიცა ცხად არს, ეითარმედ არა საუფლონი იგი ჴორცნი მიმღებელ იყვნეს მადლისა, არცა მადლით შეერთებულ-იყვნეს სიტყუსად, არამედ უფროისღა გუამოვნებითითა ერთობითა საღმრთონიცა და კაცობრიენიცა საქმენი ერთისა ქრისტესდად ქმნილ-იყვნეს, ვინაითგან იგივე იყო ერთბამად ღმერთი და კაცი, რომელმან ყოველსა სოფელსა აღმოუცენნა წყარონი მადლისა და სიბრძნისა და ყოველთა კეთილთა სავსებისანი.[1]

67 /III, 23/ მოშიშებისათჳს

თავი ქვ

მოშიშებისა სახელსა მრჩობლი გულისჴმის-
ყოფაჲ აქუს, რამეთუ ბუნებითი მოშიშებაჲ არს
105r I შიში სიკუდილისაჲ, რაჟამს არა ენებოს სულსა განშორებაჲ ჴორცთაგან დასაბამითგანისა მის თუსებისა და თანა-ლმობისა, რომელი დაჰნერგა მის შორის დამბადებელმან, ვინაიცა ბუნებით ეშინის და ძრწის და იჯმნის სიკუდილისაგან,* რომელ საზღვარ ბუნებით მოშიშებაჲ არს, რეცა შეძრწუნებითისა ძალისა შემკრებელი.[2] რამეთუ უკუეთუ არა-არსისაგან არსად დამბადებელისა მიერ მოყვანებულ იქმნა ყოველი, ცხად არს, ეითარმედ ყოფისა და არა ყოფისა წადიერებაჲ აქუს ყოველთა.

ხოლო ამათგანი ბუნებითი და უთუსესი არს შემოკრებითითა მიმართი აღძრეაჲ, რომლისა წადიერებაჲ აქუნდა სიტყუასა ღმრთისასა განკაცებულსა, ვინაიცა შემოკრებითთა მიმართ ბუნებისათა აღძრეასა აწუენებდა. შემოკრებითად უკუე უწოდთ მათ, რომელნი არსებისა ჩუენ[ი]სა მზრდელ და შემატკიცებელ იყუნენ, ეითარ-იგი არიან საჭმელნი და სასუმელნი და ძილი, // რამეთუ ამათდა მიმართ ნებებაჲ აქუნდა უფალსა და ბუნებით გამოცდილებასა მიიღებდა ქმნისა ამათისასა.

ხოლო განმხრწნელთა მათ მიმართ მიზეზთა, რომელ არიან ენებაჲ და სიკუდილი, მას ენებისასა ნეყსით მოშიშ იქმნებოდა, რამეთუ დაღაცათუ შჯულითა ბუნებისაითა იქმნებოდა ყოფად იგი, არამედ არაეე იძულებით შეემთხუეოდა მსგაესად ჩუენსა, რამეთუ ნეფსითითა
105r II ნებებით მიითუალეიდა ბუნებითთა მათ შემთხუეაჲთა. ვინაიცა თუთ შიში იგი და ურეაჲ და მწუხარებაჲ ბუნებითთა და თანა-წარუ-

მის შორის, ეითარ არა სრულებით განამდიდრნა ყოელითა სიბრძნითა და მადლითა, არა მადლისა მიმღებელობითა, არცა მადლით ზიარებულად აღმატებულებათა სიტყუსათა გამოჩინებითა, არამედ უფროსღა გუამოვნებითისა ერთობისათჳს კაცობრიეთაცა და სალმრთოთა ერთისა ქრისტესდად ქმნილობითა, ვინაითგან იგიეე იყო ერთბამად ღმერთი და კაცი, რომელმან მადლისა და სიბრძნისა და ყოველთა კეთილთა სავსებაჲ სოფელსა აღმოუცენა.[1]

67 /III, 23/ შიშისათჳს

თავი ქვ

მრჩობლი გაგონებაჲ აქუს სახელსა შიშისასა, რამეთუ არს ბუნებითი შიში სულისა, არა მნებებელისაჲ განყოფასა ჴორცთაგან დასაბამითგან დამბადებელისა მიერ დადებულისათჳს მის შორის ბუნებითისა თანა-ლმობისა და თუსებისა, რომლისათჳს ბუნებითად ეშინის და უღონოებს და იჯმნის სიკუდილისაგან. ხოლო საზღვარ ბუნებითისა შიშისა არს ეითარმედ ძალი შეერძალეითი, შემწეობითი
88r II მყოფისაჲ, რამეთუ უკუეთუ არა მყოფობისაგან მყოფად[1] მოვიდეს შემოქმედისა მიერ ყოველნი, ყოფისა და არა ყოფისა წადიერებაჲ აქუს ბუნებითად.

ხოლო ესე თუს ეჯვის ბუნებითსა,[2] რათა პსუროდის და მიიმართებდეს შემამტკიცებელთა მიმართ თუსთა. აწ უკუე განკაცნა რაჲ ღმერთი-სიტყუაჲ, აქუნდა ესე წადიერებაჲ შემამტკიცებელთა ვიდრე მიმართ ბუნებისათა ჩუენებითა წადიერებითისა მიმართებისაჲთა, // ეითარცა ჭამისა და სუმისა და ძილისა
1089 წადიერისა და ბუნებითად გამოცდილებისა მათისა მიმღებელსა.

ხოლო განმხრწნელთაგან გარე-მიქცევითა, ეითარ-იგი იყო ჭამსა ნებსითისა ენებისასა ქმნაჲ სიკუდილისა მიმართ წინწნეულობისაჲ, რამეთუ დაღათუ შჯულითა ბუნებისაჲთა იქმნებს მის შორის ქმნილნი იგი, არამედ არა ჩუენებრ იძულებით, რამეთუ ნებსით მრჩებელმან მიითუალნა ბუნებითნი, ვინაიცა თუთ იგი შიში და მოშიშებაჲ და ურეაჲ ბუნებითთა და უგიობელთა ენებათაგანნი არიან და არა ცოდვად შესარაცხელთანი.

---

* შეისწავე განსაზღერებაჲ, ეითარმედ მრჩობლნი მოშიშებანი ითქუმიან-ბუნებითი და გარეშე ბუნებისაჲ და უფალმან ბუნებითი იგი მიითუალა, ხოლო გარეშე ბუნებისაჲ არა მიითუალა.

[2] დედანში ერთჳის: δι' ἣν φυσικῶς καὶ ἀγωνιᾷ καὶ παραιτεῖται τὸν θάνατον (ბუნებითი შიში არის ლტოლვა სიკუდილისაგან არსებობის დასაცავად).

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 43, 30.

[1] ყოფად M. [2] ბუნებისასა M.

ვალთა ენებათაგანნი არიან* და არა ცოდეისა შჯულთა დამოკიდებულ არიან.[1]

ხოლო არს კუალად მოშიშებაჲ განცემითა გულის სიტყუასაითა შემთხუეული ურწმუნოებისაგან და შეცოდებისა და უმეცრებისაგანცა ჯამსა მას სიკუდილისასა, ვინაცა ღამით შეშინებულ ეიქმნით, უკუეთუ ბგერაჲ რაჲსამე გუესმინ, რომელი-ესე გარეშე არს ბუნებისაჲ, რომლისათჳს განსაზღერებით ეიტყუთ, ეითარმედ გარეშე ბუნებისაჲ შიში არს პირუტყული ძრწოლაჲ, რომელი-ესე უფალმან არა მიიღო, ვინაცა არცა ოდეს შეეშინა, თუნიერ ჯამსა ოდენ ენებისასა, დაღაცათუ განგებულებით ეკრძალებინ მრავალგზის და რეცა თუ იელტინ მომკლეელთაგან, რამეთუ არა უმეცარ იყო ჯამსა მას ენებისასა.

ხოლო რამეთუ ჭეშმარიტად შეეშინა, ამის პირისათჳს იტყჳს ნეტარი ათანასი საკითხავსა მას შინა აპოლინარის მიმართ თქუმულსა, ეითარმედ „ამისთჳს თქუა უფალმან: „აწ სული ჩემი შეძრწუნებულ არს“,[2] ხოლო „აწი“ იგი ესე არს, ეითარმედ ოდეს ნეფსით ენება. გარნა ეგრეცა არსსა აჩუენებდა, არა არაარსსა, რამეთუ ჩუენ არა-არსსა არსად უწოდთ, ეითარმცა ქმნულ საგონებელ ოდენ იყო თქუმული იგი, არამედ ბუნებით ჭეშმარიტად იქმნებოდა ყოველივე“. და კუალად შემდგომად მცირედისა იტყჳს, ეითარმედ „არა-სადა მოსრულ[3] არს ღმრთეებაჲ ენებად თუნიერ ჴორცთა ენებულთაჲსა“. არცა სადა აღშფოთებაჲ და მწუხარებაჲ უჩუენებიეს, თუნიერ სულისა შეწუხებულისა და აღშფოთებულისა, არცა ოდეს შეურეებული მლოცველ ქმნილ არს, თუნიერ გონებისა ურეეულისა და მლოცველისა. 105v I

რამეთუ დაღაცათუ არა ძლეულებისაგან ბუნებისა შეემთხუეოდეს თქუმულნი ესე, არამედ წარმოსაჩინებელად უეჭუელისა განკაცებისა განცხადებულად იქმნებოდეს ქმნულნი იგი. ხოლო არა ძლეულებითა ბუნებისაჲთა შემთხუევაჲ ბუნებითთა საქმეთაჲ, ამას საცნაურ-ჰყოფს, ეითარმედ არა-რაჲ უნებლიეთი შეემთხუეოდა, არამედ ყოველსაეე ნებსით თავს-იდებდაჲ.[4]

68 /III, 24/ ლოცვისათჳს უფლისა

თავი ΚΘ

ლოცვაჲ არს აღსლვაჲ გონებისაჲ ღმრთისა მიმართ, თხოვაჲ მისგან საქმეთაჲ, რომელნი მას თავადსა შეეტყუებოდინ მოსაცემელად ჩუენდა.

არს კუალად შიში განცემისაგან გულის სიტყუათაჲსა შემტკიცებული და ურწმუნოებისაგან და უცნაურობისაგან ჯამსა სიკუდილისასა, ეითარ-იგი რაჟამს ღამე გუეშინოდის ანუ ქმნითა ბგერისა რაჲსათჳმე, რომელი გარეშე არს ბუნებისაჲ და რომლისა განმასაზღერებელნი ეიტყუთ: გარეშე ბუნებისაჲ შიში არს უსამართლოჲ წიწყაჲ. ესე უკუე არა მიიღო უფალმან, რომლისათჳსცა არცა შეეშინა არა ოდეს, თუნიერ ჯამსა ხოლო ენებისასა, დაღათუ მრავალგზის აკრძალებდის თავსა თჳსსა განგებულებით, რამეთუ არა უმეცარ იყო ჯამისა.

ხოლო ეითარმედ ჭეშმარიტებით შეეშინა, იტყჳს სამღდელოჲ ათანასი აპოლინარის დასამჭობელსა შინა სიტყუასა: „ამისთჳს იტყოდაო უფალი: „აწ სული ჩემი შეშფოთებულ არს“,[1] ხოლო „აწ ესე არს, ოდეს ინება, ვინაცა მყოფი სახიერეელ იქმნების და რამეთუ არა თუ არა მყოფსა, ეითარცა მყოფსა, სახელ-ესდებთ, ეითარმცა საგონებელობით ქმნილ იყენეს თქუმულნი იგი, რამეთუ ბუნებით და ჭეშმარიტებით იქმნეს ყოველნი. და კუალად: „არაოდეს შეხებულ არს ღმრთეებისადა ენებაჲ, თუნიერ ენებულთა ჴორცთასა, არცა შფოთი და მწუხარებაჲ ხილულ არს, თუნიერ სულისა შეწუხებულისა [და] აღშფოთებულისა, არცა ურეაჲ აქუს და ილოცავს, თუნიერ გონებისა ურეეულისა და მლოცეელისა.

გარნა დაღათუ არა ძლეულებითა ბუნებისაჲთა შეემთხუეოდეს ქმნილნი იგი, არამედ გამოსაჩინებელად მყოფობისა იქმნებოდეს თქუმულნი ესე“. ხოლო „არა ძლეულებითა ბუნებისაჲთა შემთხუევაჲ ქმნილთაჲ მათ“ არა უნებლიაჲთ თავს-დებასა ცხად ჰყოფს მათსა.[2]

68 /III, 24/ ლოცვისათჳს [უფლისა] [3] [I]

თავი ΚΘ

ლოცვაჲ არს აღსლვაჲ გონებისაჲ[II] ღმრთისა მიმართ ანუ თხოვაჲ ჯეროვანთაჲ[III] ღმრთისაგან. აწ უკუე ეითარ უფალი ჯამსა ენებისასა და ლაზარეს ზედა ილოცვიდა. 88v I

* შეისწავე განსაზღერებაჲ, ეითარმედ დაღაცათუ ბუნებითად ექმნებოდეს ქრისტესა ზედა შემთხუეული ბუნებითნი, ხოლო არა უცაბედ და იძულებით, არამედ ნებსით და ცნობერად, ოდეს იგი უკმდა და პნებაენ, მაშინ თავს იდებდა მათ.

[1] მაკ. აღმსარ., დიალოგი პჳროს.

[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 43, 30.

[2] იოანე, 12, 27.

[3] ხელნაწერში: „მომოსრულ“.

[4] ათან. ალექს., ქრისტეს მაცხოვარებისათჳს.

[1] იოანე, 12, 27.

[2] ათან. ალექს., ქრისტეს მაცხოვარებისათჳს.

[3] დედანში ურთავს: „უფლისა“.

[I] ლოცვისათჳს უფლისა M. [II] გონებითა E. [III] ჯეროვანთა M.

აწ უკუე ეითარ ილოცეიდა უფალი ლაზარეს ზედა და ჯამსა მას ენებისასა?

რამეთუ არცა აღყვანებასა ღმრთისა მიმართ მოქენე იყო წმიდაჲ იგი გონებაჲ, რომელი ერთგზის სრულებით და გუამოვნებით შეერთებულ იყო სიტყჳსა ღმრთისადა. არცა რაჲს თხოვაჲ საჭმარ იყო მისდა ღმრთისაგან, რამეთუ ერთ არს ქრისტე.

105v II არამედ ცხად არს, ეითარმედ ჩუენსა პირსა განი-საკუთრებდა და ჩუენსა წესსა თავსა თუსსა გამოსახეიდა და სახესა მომცემდა ჩუენ ყოფადთასა და მასწაებდა ღმრთისაგან თხოვასა და მისსა მიმართ აღხილვასა. და წმიდისა მის მიერ გონებისა მისისა გზა გუცემდა // ჩუენ აღსლვად ღმრთისა მიმართ.[2] რამეთუ ეითარ-იგი ენებანი რაჲ დაითმინნა, მისითა მით ძლეეითა ჩუენ გურჳნოსან-მყენა, ამითეე სახითა ილოცეიდაცა, რაჲთა, ეითარ პირეელ ეთქუ, ჩუენ გზა გუყოს აღსლვად ღმრთისა მიმართ და ჩუენთჳს აღასრულებდა ყოველსაჲე სიმართლესა, ეითარ-იგი თქუა იოანეს მიმართ[3] და დამაგებდა ჩუენ მამასა თუსსა და ეითარცა დასაბამსა და მიზეზსა თუსა, პატიჟ-სცემდა მას და აჩუენებდა, ეითარმედ არა წინა-აღმდგომ არს ღმრთისა.

რამეთუ რაჟამს თქუა ლაზარეს ზედა – „მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი და მე უწყი, რამეთუ მარადის ისმენ ჩემსა! არამედ ერისა ამისთჳს, რომელი გარე-მომადგა მე, ეთქუ, რაჲთა პრწმენეს, ეითარმედ შენ მომაჳლინე მე“.[4] ანუ არა განცხადებულად გუჩუენაა, ეითარმედ ეითარცა დასაბამსა და მიზეზსა თუსსა პატიჟ-სცემს მამასა თუსსა და გუჩუენებს, ეითარმედ არა წინა-აღმდგომ არს ღმრთისა?[5]

ხოლო რაჟამს თქუა: „მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმჴედინ მე სასუმელი ესე. გარნა არა ეითარ-იგი მე მნებაეს, არამედ ეითარცა შენ“.[6] არა ყოელით-კერძო საცნაურ ყოა, ეითარმედ მასწაებს ჩუენ, რაჲთა ჟამსა განსაცდელთასა მხოლოდ ღმრთისსა ოდენ შეწჴეწეასა მეძიებელ ეიყენეთ? და კუალად რაჲთა ნებათა ღმრთისასა უფროჲს ნებისა
106r I ჩუენისა აღეირჩეედით. ამას თანა აჩუენებსა, ეითარმედ ჭეშმარიტად განკუთნავს ბუნებაჲ ჩუენი. და ეითარმედ ჭეშმარიტად ორნი ბუნებითნი ნებანი არიან მის შორის, ურთიერთას შეერთებულნი და არა ერთ-ერთისა წინა-აღმდგომნი.*

რამეთუ არცა ღმრთისა მიმართისა აღსლვისა მოქენე იყო წმიდაჲ გონებაჲ მისი, ერთგზის გუამოვნებით ღმრთისა სიტყჳსადა შეერთებული, რამეთუ ერთი არს ქრისტე.

არამედ ჩუენსა განითუსებდა პირსა და თაესა შინა თუსსა დაჰსახეიდა ჩუენთა და ხატ გუექმნებოდა ჩუენ და გუასწაებდა ჩუენ ღმრთისაგან თხოასა და მისსა მიმართ აღჰყრობილ-ყოფასა და წმიდისა გონებისა მისისა
1092 მიერ გზა მიყოფდა // ჩუენ ღმრთისა მიმართ აღსლეასა,[1] და ჩუენთჳს სრულჰყოფდა ყოველსა სიმართლესა, ვითარცა ეტყოდა იოეანეს და დამაგებდა ჩუენ მამასა თუსსა და ეითარცა დასაბამსა და მიზეზსა თუსსა პატიჟ-სცემდა მას და აჩუენებდა, ეითარმედ არა წინა-აღმდგომ არს ღმრთისა.

რამეთუ ოდეს იტყოდა ლაზარეს ზედა: „მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი და მე უწყი, ეითარმედ მარადის ისმენ ჩემსა, არამედ აქა მდგომარისა ამის ერისათჳს ეთქუ, რათა ცნან, ეითარმედ შენ მომაჳლინე მე“.[2] რაჲ ყოველითურთ ცხად იქმნაა, ეითარმედ, ეითარცა დასაბამსა და მიზეზსა, პატიჟ-სცემს მამასა თუსსა და აჩუენებს, ეითარმედ არა წინა-აღმდგომი არს ღმრთისაჲ?.[3]

ხოლო ოდეს იტყოდა: „მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს, წარმჴედინ სასუმელი ესე ჩემგან, გარნა ნუ ეითარ მე მნებაეს, არამედ ეითარ შენ“[4] არა ცხად არსა, ეითარმედ გუასწაებდა ჩუენ მხოლოდ ღმრთისაგან ოდენ თხოასა განსაცდელთა შინა შეწჴეწინისსა და საღმრთოჲსსა უფროს, ეიდრე ნებისა ჩუენისა პატიჟისცემასა და აჩუენებდა, ეითარმედ ჭეშმარიტებით განითუსა ბუნებაჲ ჩუენი და ეითარმედ ორნი ნებანი ბუნებითნი, შემსგაესებულნი ბუნებათა მისთანი, არამედ არაეე წინა-აღმდგომნი მოუგიან?.

---

* შეისწაეე ეითარმედ ორნი ნებანი არიან ქრისტესნი.

1 მათე, 27, 46.

2 ხელნაწერში ეს სიტყეა ორჯერ წერია.

3 მათე, 3, 15.

4 იოანე, 11, 41-42.

5 იოანე, 11, 41-42.

6 გრიგ. ნაზ., სიტ., 30, 45; იოანე ოქროპ., თარგმანება იოანეს სახარებისა, LXIII.

7 მათე, 26, 39.

1 მათე, 3, 15, აქ დედნის მიხედვით უნდა იყოს კიდევე ერთი წინადადება, რომელიც ურუმის თარგმანშიც გვხვდება: „რამეთუ ეითარ-იგი ენებანი რაჲ დაითმინნა, მისითა მით ძლეეითა ჩუენ გურჳნოსან მყენა, ამითეე სახითა ილოცეიდაცა“. იხ. ურუმის თარგმანი გვ. 281 (105v II).

2 იოანე, 11, 41-42,

3 გრიგ. ნაზ., სიტ., 30, 45; იოანე ოქროპ., თარგმანება იოანეს სახარებისა, LXIII,

4 მათე, 26, 39.

მამ[ა]ო, – იტყჳს, რამეთუ ეითარცა თანა-არსი მამად უწოდს, – უკუეთუ შესაძლებელ არსო. არა თუ უმეცარ არს, ეითარმედ რაჲთამცა შეუძლებელ იყო ღმრთისაგან, არამედ განმსწაელის ჩუენ, რაჲთა სალმრთოჲ ნებაჲ აღვირჩიოთ უფროს ნებისა ჩუენისა. რამეთუ ესე ხოლო შეუძლებელ არს არა ყოფად, რასა იგი ღმერთი მიუშუებდეს ყოფად და იგი ხოლო შეუძლებელ არს ყოფად, რაჲ იგი ღმერთსა არა ენებოს, არცა მიუშუებდეს ყოფად. „გარნა არა ეითარ-იგი მე მნებავს, არამედ ეითარცა შენ", რამეთუ ეითარცა ღმერთი ერთ-ნება არს მამისა თანა, ხოლო ეითარცა კაცი აჩუენებს ბუნებითობასა კაცობრივისა ნებისასა, რამეთუ ამით ბუნებითობითა იჳმნის სიკუდილისაგან.

ხოლო რაჟამს თქუა – „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისა დამიტეე მე",[1] – ესე ჩუენისა პირისა განჩემებითა თქუა. რამეთუ არცა ღმერთ მისსა არს მამაჲ, უკუეთუ არა წულილადითა რაჲთმე ოცნებითა გონებისაჲთა განჰყო უხილაჲი ხილულისაგან და საცნაური გრძნობადისაგან და გრძნობაჲი იგი ჩუენ თანა დააწესო. და კუალად // არცა დატეებულ არს 1093 88v II
იგი თჳსისა ღმრთეებისაგან, არამედ ჩუენ ეიყვენით დატეებულნი და შეურაცხ-ქმნილნი. ეინაიცა ჩუენსა პირსა განიჩემებდა უფალი და ესრეთ ილოცევიდა.[2]

„მამაო,– ჴმობს, ეითარცა თანა-არსი,– უკუეთუ შესაძლებელ არს", არა ეითარცა უმეცარი, რამეთუ რაჲ შეუძლებელ არს ღმრთისა, არამედ რათა განგუსწაელნეს ჩუენ სალმრთოსა[1] უფროს, ეიდრე ნებისა ჩუენისა პატივისცემად? რამეთუ ესე ხოლო შეუძლებელ არს არა ყოფად, რასა იგი ღმერთი მიუშუებდეს ყოფად. და იგი ხოლო შეუძლებელ არს ყოფად, რაჲ იგი ღმერთსა არა ენებოს, არცა მიუშუებდეს ყოფად.[1] გარნა „ნუ ეითარ მე მნებავს, არამედ ეითარცა შენ". ეითარცა ღმერთი ეიდრემე იგიეე ნება არს მამისა თანა, ხოლო ეითარცა კაცი, კაცებისასა აჩუენებს აქა ნებასა, რამეთუ იგი იჳმნის ბუნებითად სიკუდილისაგან.[2]

ხოლო ესე, ეითარმედ „ღმერთო, ღმერთო ჩემო, რაისათჳს დამიტეე[3] ჩუენისა პირის განმთუსებელმან თქუა, რამეთუ არცა ღმერთ მისსა არს მამაჲ, არა თუ განყონ წულილადთა ოცნებათა გონებისათა ხილული საცნაურისაგან ჩუენ-თანა დაწუსებითა მისითა, რამეთუ // არცა ოდეს დატეებულ არს თჳსისა ღმრთეებისაგან, არამედ ჩუენ ეიყვენით[11] დატეებულნი და უგულებელს-ყოფილნი, ეინაიცა ჩუენისა პირისა განმთუსებელმან ილოცნა ესენი.[4]

69 /III, 25/ განკუთნვისათჳს

თავი ჲთ

106r II საჴმარ უკუე არს ცნობად, ეითარმედ ორნი განკუთნებანი არიან: ერთი ბუნებითი და არსებითი და მეორე თუსებითი და პირებითი. ბუნებითი უკუე და არსებითი არს, რომლითა კაცთ-მოყუარემან უფალმან ბუნებაჲ ჩუენი და ბუნებითნი ყოველნი განიკუთნნა და მიიხუნა, რაჟამს ბუნებით და ჴეშმარიტებით განკაცნა და ბუნებითთა წესთა ყოველთა გამოცდილებაჲ მიიღო. ხოლო პირებითი[3] არს რაჟამს ვინმე სხუსა პირსა იჩემებდეს სიყუარულისათჳს და თანა-ლმობისა მისისა, და მის წილ ნაცვალად მისსა ჰყოფდეს სიტყუასა. ეინაიცა უფალსა ჩუენსა არა შეეტყუებოდა წყეეაჲ და დატეებულებაჲ ჩუენი და სხუანი ესეეითარნი, რომელნი-იგი არა ესრეთ განიკუთნნა, ეითარმცა ბუნებით მისსა იყუნეს ანუ იქმნეს, არამედ ჩუენი იჩემა პირი და ჩუენ თანა დაწუსებითა განიკუთნნა ესეეითარნი იგი. რამეთუ ამითვე

69 /III, 25/ განთუსჳსა და განკუთნვისათჳს[5]

თავი ჲთ

სათანადო არს უწყებად, ეითარმედ ორნი არიან განთუსეანი, ერთი ბუნებითი და არსებითი და ერთი პირებითი.[6] და ბუნებითი ეიდრემე და არსებითი არს ეითარ-იგი კაცთ-მოყუარებით უფალმან ბუნებაჲ ჩუენი და ბუნებითნი ყოველნი მიიხუნა, ბუნებით და ჴეშმარიტებით განკაცებულმან და ბუნებითთა საქმეთა გამოცხადებად მოსრულმან. ხოლო პირებითი არს, რაჟამს სხუსაჲ ვინმე შეიმოსოს პირი თუსებისათჳს, ესე იგი არს, სიყუარულისა, ანუ მოწილეობისა და მის წილ მის ძლითა არა რაჲთ შესატყუსთა თუსთა,[12] ეითარ-იგი წყეეაჲ და დატეებაჲ ჩუენი და ეგეეითარნი, რომელნი არცა ჩუენნი ბუნებითნი იყუნეს, არცა იგი იყო რაჲმე ამათგანი ანუ იქმნა, არამედ განითუსნა და განიკუთნნა მან, რამეთუ ჩუენი იჩემა პირი და ჩუენ თანა დაიწესა. ვინაიცა

[1] გრიგ. ნაზ., სიტ., 30.
[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 30.
[3] დედანში – „პირებითი და თუსებითი", მაგრამ რედაქციის შენიშვნით σχετική ძველ ბერძნულ ხელნაწერებში არ მოიძებნება.

[1] დედანში ეს წინადადება უფრო მოკლეა: „რადგან მხოლოდ ის არის შეუძლებელი, რაც ღმერთს არ უნდა და არ მიუშვებს".
[2] გრიგ. ნაზ., 10, 12.
[3] მათე, 27, 46.
[4] გრიგ. ნაზ., სიტ., 30.
[5] დედანშია მხოლოდ Περὶ οἰκειώσεως.
[6] დედანში უფთაეს σχετική /თვისებითი/, მაგრამ ეს სიტყვა ბერძნულ ხელნაწერებში ბევრგან არ დასტურდება.

[11] ღმრთისაჲ ღმერთთასა M. [12] ეიყუენეთ M. [13] <M.

წესითა გულისჴმა-იყოფების სიტ[ყუაჲ] იგი, ეითარმედ „იქმნა ჩუენთჳს წყევა“.[1]

70 /III, 26/ ვნებისათჳს ჯორცთა უფლისათ[აჲ]სა და უვნებელობისათჳს ღმრთეებისა მისისა

თავი ო

ამან სიტყუამან ღმრთისამან ყოველივე დაითმინა ჯორცითა და მხოლოდ უვნებელად ეგო საღმრთოჲთა მით ბუნებითა. რამეთუ ერთი ქრისტე იყო, ღმრთეებისაგან და კაცებისა შეზაებული, რომელსა ღმრთეებით და კაცებით შეემთხუეოდეს ენებანი იგი, რომელთა მიერ ენებულსა მას და ჩუეულსა ენებათასა ბუნებასა ეევნებოდა, ხოლო არა მის თანა ეენებოდა უვნებელსაცა. რომელი-ესე სულსაცა შორის და ჯორცთა იხილეების და არა
106v I ღმრთეებასა თანა ოდენ და კაცებასა. რამეთუ სული რომელი ენებული არს, განკუეთითა მით ჯორცთაჲთა არაჲე იგიცა განიკუეთებინ, დაღაცათუ თანა ელმის და ტკიენეულ არს ენებულთა მათ ჯორცთა.

ხოლო საცნაურ იყაენ, ეითარმედ ღმერთსა ჯორცითა ენებულად ვიტყჳთ, ხოლო ღმრთეებასა ჯორცითა ენებად, ანუ ღმერთსა ჯორცთა მიერ // ვნებად არა ვიტყჳთ.* რამეთუ ეითარცა შარავანდედი მზისაჲ მიეფინის რაჲ მწუერვალსა ხეთასა და გაჰკუეთნ რაჲ ცული ხესა მას, განუკუეთელად ეგის მზე იგი. და უკუეთუ ესე ესრეთ არს, ფრიად სადმე უფროს უვნებელად ეგო ღმრთებაჲ სიტყჳსაჲ შეერთებულთა მათ მისდა ჯორცთა თაეს-დებითა ენებათაჲთა და ეითარცა-იგი განჰკურეებულსა ეინ ჩკინასა დაასხის წყალი, ერთსა მას უკუე შეემთხუეის ენებაჲ იგი წყლისა მიერ, ესე იგი არს, ცეცხლი, რომელი დაშრტის მის ზედა დათხეითა წყლისაჲთა, ხოლო უვნებელად ეგის რკინაჲ, რომელი-იგი არა განიხრწნებინ წყლისა მიერ. და უკუეთუ ესე ესრეთ არს, რაოდენ უფროს ჯორცთა ენებისაგან მხოლოდ უვნებელად ეგოს ღმრთებაჲ, განუშორებელად მყოფი მათგან, ერთგზის შეერთებულ რაჲ იქმნა მათდა?

გარნა ესე ცხად არს, ეითარმედ არა საჭირო არს, რაჲთა სრულებითსა უნაკლულოებასა
106v II ეექიებდეთ სახედ შემოღებულთა სიტყუათასა, რამეთუ საჭირო არს, რაჲთა სახეთა შინა შეეისწაეოთ, თუ რომლითა ნაწილითა მსგაეს არს, ანუ რომლითა უმსგაესო, ეინაჲთგან ყოელითურთ და უნაკლულოდ მსგაესსა თჳთ იგიე და უფროსსცა ჰეშმარიტება უწოდიან და არღარა სახე. ხოლო უფროსსეა საღმრთოთა ესეეითარიეე არს იგიცა, ეითარმედ რომელი „იქმნა ჩუენთჳს წყევა“.[1]

70 /III, 26/ ვნებისათჳს ჯორცთა უფლისა ჩუენისათა და უვნებელობისათჳს ღმრთეებისა მისისა

თავი ჲთ

და ნუუკუე თაეადმან სიტყუამან ღმრთისამან ყოველნივე დაითმინნა ჯორცითა მხოლოჲსა უვნებელისა და საღმრთოჲსა ბუნებისა მისისა უვნებელად დადგრომითა, რამეთუ ერთი რაჲ ქრისტე ღმრთეებისაგან და კაცებისა შემოკრებული და ღმრთეებასა და კაცებასა შინა მყოფი იენებდა, ვნებულსა უკუე, ეითარცა ჩუეულსა ენებისასა, ეენებოდა, არამედ არა თანა-ეენებოდა უვნებელსაცა, რამეთუ სული უკუე, თანა-მდები ენებისაჲ, განკუეთასა თანა ჯორცთასა არა განიკუეთების, დაღათუ თანა-ჳ/ლმ/ის და თანა-ტკიენეულ არს ჯორცთა, ხოლო ღმრთეებასა, ყოელითურთ უვნებელსა, არა ჰლმობიეს[1] ჯორცთა თანა.

ხოლო სათანადო არს უწყებად, ეითარმედ ღმერთსა ეიდრემე ჯორცითა ენებულსა ეიტყუთ, ხოლო ღმრთეებასა ენებად, ანუ ღმერთსა ჯორცთა // ენებულ-ა/დ/
1096 არასადა, ეითარ-იგი მზე ბრწყინეიდეს რაჲ ხეთა ზედა, უკუეთუ ცული ჰკუეთდეს ხეთა, განუკუეთელად და უვნებელად დაადგრების მზე. ფრიად უფროსად უვნებელი ღმრთეებაჲ ს/ი/ტყუსაჲ, გუამოვნებით შეერთებული ჯორცთაჲ, უვნებელად დადგრომილ იქმნა ენებასა შინა ჯორცთასა. და ეითარ-იგი უკუეთუ ეინმე განჯურეებულსა რკინასა დაასხას წყალი, რომელსა მოუგიეს ბუნებით ენებულებაჲ, წყლისა მიერ ცეცხლსა ვიტყჳ, დაშრტების, ხოლო უვნებელად დაშეების რკინაჲ, რამეთუ არა განსახრწნელ არს წყლისა მიერ. ფრიად უფროს ენებისაგან ჯორცთაჲსა არა შეეხო ენებაჲ მხოლოსა უვნებელსა ღმრთეებასა, დაღათუ განუშორებელ /ი/ყო მათგან. 89r I

ხოლო არა საჭირო არს ყოელითურთ და /უ/ნაკლულოდ მსგაესებაჲ ესეეითართა სახეთაჲ. რამეთუ საჭირო ესე არს ამათ სახეთათჳს, რათა მსგაესებაჲცა იხილეებოდის და შეცუალებულობაჲცა, თუ არა, არღარა სახე არს, რამეთუ ყოველსა შინა მსგაესი თუთ იგი იყოს და არა სახე. და უფროსსეა საღმრთოთა შინა, რამეთუ შეუძლებელ არს ყოელითურთ მსგაე-

---

* შეისწაეე, ეითარ ღმერთი გუამისა სახელი არს, ხოლო ღმერთებაჲ ბუნებისაჲ ითქუმის. ხოლო თუ ღმრთეებაჲ ჯორცითა იენო, ესე არა ითქუმის.

[1] გალატ., 3, 13; მაქს. აღმსარ., ეპისტ. მარონისადმი; გრიგ. ნაზ., სიტ., 30; ათან. ალექს., ქრისტეს მაცხოვარებისათჳს.

[1] გალატ., 3, 13; მაქს. აღმსარ., ეპისტ. მარონ.; გრიგ. ნაზ., სიტ., 30; ათან. ალექს; ქრისტეს მაცხოვარებისათჳს.

[1] ლმობიერ M.

საქმეთა შინა შეუძლებელ არს ყოველითურთ მსგავსისა სახისა პოვნაი, ანუ ღმრთის მეტყუელებისათჳს, ანუ განგებულებისათჳს.[1]

71 /III, 27/ ვითარმედ განუშორებელად ეგო ღმრთეებაი სიტყჳსაი სიკუდილსა შინა უფლისასა სულისაგან და ჴორცთა და ერთივე თჳო საუფლოი გუამი

თავი ოა

უცოდველ იყო უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, რამეთუ „ცოდვაი არა სადა ქმნა მან“,[2] რომელმან აიხუნა ცოდვანი სოფლისანი,[3] არცა იპოვა ზაკუაი პირისა მისისა,[4] ამისთჳსცა არცა სიკუდილი თანა ედვა მას, ვინაითგან სიკუდილი ცოდვისაგან შემოსრულ იყო,[5] არამედ ეგრეცა ჩუენთჳს მიითუალა სიკუდილი და თავი თჳსი შეწირა მსხუერპლად მამისა ჩუენთჳს, რამეთუ მისდა შეგუეცოდა და მას უკმდა მითუალეაი საკრისაი ჩუენისაი და ესრეთ დაჴსნაი პატიჟთა ჩუენთაი, რამეთუ ესე ნუ იყოფინ, თუმცა მძლავრსა მას მიეცა სისხლი ძისაი!

მოუკდა უკუე სიკუდილი და შთანთქა ჯორცსაცე თანა სამჴედურიცა იგი ღმრთეებისაი, რომლისა მიერ განწონილ იქმნა. და
107r I // უცოდველთა მათ რაი ჯორცთა უფლისათა 1097
გემოი იხილა, მყის განიხრწნა და ყოველნიეე პირველ შთანთქმულნი აღმოსთხინა. რამეთუ ვითარცა-იგი ბნელი შემოსლეითა ნათლისათა უჩინო იქმნის, ეგრეთეე ხრწნილებაი ცხორებისა კუეთებითა განჴდილ იქმნა მის მიერ, რომელი-იგი ყოველთა ცხორება ექმნა, ხოლო განმხრწნელსა მას – განმხრწნელ.

ხოლო დაღაცათუ მოკუდა უფალი, ვითარცა კაცი, და წმიდაი იგი სული მისი უხრწნელთა მათ ჯორცთაგან განეშორა, არამედ ღმრთეება განუშორებელად ეგო ორთაგანვე – ჯორცთა ვიტყუ და სულისა, და არცა ერთეր განიყო ერთ-გუამოენებაი ორ-გუამოენებად, რამეთუ სულსა და ჯორცთა ერთბამად დასაბამითგან გუამსა მას შინა სიტყჳსასა აქუნდა შეერთებაი, და სიკუდილისა ჟამსა ურთიერთას რაი განიყვნეს, თითოეული მათი ეგო ერთსაეე მას შინა ქონებასა სიტყჳსა მის ერთ-გუამოენებისასა. ვინაიცა ერთი იგი გუამი სიტყჳსაი სიტყჳსა და ჯორცთა და სულისა გუამ იყო და მარადის ერთ იყო სიტყჳსა მის გუამი და არა ოდეს ორ იქმნა, ვინაიცა მარადის ერთ არს გუამი ქრისტესი. რამეთუ არცა სულსა, არცა ჯორცთა არა აქუნდა თჳსი გუამი, თუნიერ სიტყჳსა მის გუამისა, ვინაიცა ერთ არს გუამი ქრისტესი, რამეთუ დაღაცათუ სახის ჩუენებით

[1] ათან. ალექს., ქრისტეს მაცხოვარებისათჳს.
[2] I პეტრ., 2, 22.
[3] იოანე, I, 29.
[4] ესაია, 53, 9.
[5] რომ., 5, 12.

სისა სახისა პოვნაი ღმრთის-მეტყუელებისაცა ზედა განგებულებისა.[1]

71 /III, 27/ განუშორებელად გებისათჳს ღმრთეებასა სიტყჳსასა სულისაგან და ჯორცთა სიკუდილსაცა შინა უფლისასა[I] და ვითარმედ ერთივე იყო გუამი

თავი ო

უცოდველ იყო უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, რამეთუ „ცოდვაი არა ქმნა“[2] ამხუმელმან ცოდვათა სოფლისათამან,[3] არცა იპოვა ზაკუაი პირსა მისსა.[4] ამისთჳს არა თანა-მდებ იყო სიკუდილისა, ვინაითგან ცოდვისათჳს შემოვიდა სიკუდილი სოფლად.[5] მოკუდების უკუე ჩუენთჳს მიმთუალველი სიკუდილისაი და თავსა თჳსსა მსხუერპლად შესწირავს ჩუენთჳს მამასა, რამეთუ მას შეესცოდეთ და მას უკმდა მითუალეაი საჯ/ს/რისა ჩუენისაი და ესრეთ დაჴსნაი ჩუენისა დაშჯილებისაი, რამეთუ ნუ იყოფენ მძლავრისაგან მითუალეაი სამეუფოჲსა სისხლისაი.

მოუკდა უკუე სიკუდილი და შთამნთქმელი მატლსა ჯორცთასა განიმშჯუალა სამჴედურითა ღმრთეებისაითა და // უცოდველთა
და ცხოველს-მყოფელთა ჯორცთა რაი გემოი
იხილა, გაინიხრწნა და წარმოსთხინა[II] ყოველნი, რომელნი პირველ შთაენთქუნეს, რამეთუ ვითარცა ბნელი ზედა შემოსლეითა ნათლისაათა უჩინო იქმნების, ეგრეთეე ხრწნილებაი ცხორებისა კუეთებითა უჩინო იქმნების და ყოველად ცხორებად შეიცვალების.[6]

აწ უკუე დაღათუ მოკუდა ვითარცა კაცი და წმიდაი სული მისი უხრწნელთა ჯორცთაგან განიყო, არამედ ღმრთეებაი ორთაგანვე განუყოფელ/ად/ ეგო სულისაგან ვიტყუ და ჯორცთა. და არცა ეგრეთ ერთი იგი გუამი ორ-გუამოენებად განიწვალა, რამეთუ ერთბამად სულსაცა და ჯორცთა პირველითგანვე გუამსა შინა სიტყჳსასა მოეგო ყოფაი და სიკუდილისა მიერ ურთიერთას განყოფასა მათსა მასვე ერთსა გუამსა სიტყჳსასა მჭონებელად[III] დაადგრა თითოეული მათი. ვინაიცა ერთი იგი სიტყჳსა გუამი სიტყჳსაცა და სულისა და ჯორცთა გუამ იყო, რამეთუ არაოდეს არცა სულსა, არცა ჯორცთა აქუნდა განუსებული გუამი, თუნიერ გუამი სიტყჳსაი. ხოლო ერთ
მარადის და არა ოდეს ორ არს სიტყჳსა 89r II
გუამი, რომლისათჳსცა ერთ არს მარადის გუამი ქრისტესი. ვინაიცა დაღათუ ადგილობით

[1] ათან. ალექს. ქრისტეს მაცხოვარებისათჳს.
[2] I პეტრ., 2, 22.
[3] იოანე, I, 29.
[4] ესაია, 53, 9.
[5] რომ., 5, 12.
[6] დედანში ერთეის ფჩორჲ ნჲ τῷ φθειρόντι.

[I] უფლისა E. [II] წარმოსთხინა M. [III] მჭონებელი M.

107r 11 განეყო სული ჴორცთა, არამედ გუამოვნებით შეიერთებოდისეე მარადის სიტყუსა მიერ.[1]

72 /III, 28/ ხრწნილებისა განყოფილებისათჳს*

თავი ოზ

ხრწნილებისა სახელი ორსა მოასწავებს, რამეთუ მოასწავებს // კაცობრიეთაცა ენებათა, შიმშილსა და წყურილსა და შრომასა და ს[ა]მშჯუალთა განწონასა და სიკუდილსა, რომელ არს განშორებაი სულისა და ჴორცთაი და სხუათა ესეეითართა. ეინაიცა ამათ მოსწავებათაებრ ხრწნილად ეიტყუთ გუამსა უფლისასა, რამეთუ ესე ყოველნი მან ნებსით თავს ისხნა. და კუალად მოასწავებს ხრწნილებაი სრულიადსა გუამისა დაჴსნასა და ნიეთთა მათ, რომელთაგან გუამი იგი შეერთებულ იყოს, სრულიადსა უჭინო-ყოფასა, რომელი-იგი მრავალთა მიერ უფროისღა განხრწნილებად სახელ-ედების. ხოლო ამისი გამოცდილებაი უფლისა გუამსა არა მიუღებიეს, ეითარცა იტყჳს მისთჳს წინაასწარმეტყუელი დაეით, რამეთუ „არა დაუტეე სული ჩემი ჯოჯოხეთს, არცა სცე წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელი".[2]

აწ უკუე უხრწნელად თქუმაი უფლისა გუამსა პირველ აღდგომისა მსგაესად ამაო მზრახვალისა მის იელიანეს და გაიანოზისსა სრულიად უღმრთოება არს, მსგაესად პირველისა მოსწავებისა. რამეთუ უკუეთუ უხრწნელ არს, არა თანა-არს არს ჩუენდა, არამედ რეცა
107v 1 საგონებელობით და არა ჭეშმარიტებით იქმნა, რაი იგი იქმნა, რაოდენსა იტყჳს მახარებელი, შიმშილსა, წყურილსა, და სამშჯუალთა და განღებასა გუერდისასა და სიკუდილსა. ხოლო უკუეთუ საგონებელად ოდენ იქმნა, ოცნება სამე იყო და აჰრდილ საიდუმლოი იგი განგებულებისაი და ოცნებით სადმე და არა ჭეშმარიტებით განკაცნა ღმერთი და ოცნებით სადმე და არა ჭეშმარიტებით ცხოენებულ ვართ, არამედ წარეედ ამიერ და, რომელნი ამას იტ[ყ]ჳან, ცხორებისაგან უნაწილო იყენეც! ხოლო ჩუენ ჭეშმარიტსა ცხორებასა მიმთხუეულ ვართ და მიეემთხუენთ. ეინაიცა პირეელისა მისებრ მოსწავებისა არა ეიტყჳთ უხრწნელად ჴორცთა უფლისათა. ხოლო მეორისაებრ მოსწავებისა, რომელსა ხრწნილებასა თანა განხრწნილებაიცა სახელ-ედების, ამით სახითა უხრწნელად და უფროისღა განუხრწნელად აღეიარებთ გუამსა უფლისსა, ეითარცა პირეელითგან ღმერთ-შემოსილთა მამათა მოგუცეს ჩუენ.

* შეისწავენ, თუ ეითარ განიყოფებიან ხრწნილებაი და განხრწნილებაი.

[1] ათან. ალექს., განჴორციელებისათჳს; გრიგ. ნოს., ეენ. წინ., I.

[2] ფსალმ., 15, 10.

განეყო სული ჴორცთა, არამედ გუამოვნებით შეერთებულ იყო სიტყჳსა მიერ.[1]

72 /III, 28/ ხრწნილებისა და განხრწნილებისათჳს

თავი ოა

ხრწნილებისა სახელი ორსა დაჰნიშნაჳს,[1]
1100 რამეთუ დაჰნიშნავს[2] // შიმშილსა, წყურილსა, დაშრომასა, სამშჯუალთა განწონასა, სიკუდილსა, რომელ არს განყოფაი სულისა ჴორცთაგან და ეგეეითართა. ამის უკუე დანიშნჳისაებრ ხრწნილად ეიტყუთ ჴორცთა უფლისათა, რამეთუ ნებსით მიიხუნა ესე ყოველნი. კუალად დაჰნიშნაჳს ხრწნილებაი სრულიად დაჴსნასაცა და უჩინო-ქმნასა ჴორცთასა ნიეთთა მიმართ, რომელთაგან შემოკრებულ იყო, რომელი უფროისღა განხრწნილებად იწოდების მრავალთა მიერ, ეითარცა იტყუს წინაასწარმეტყუელი დაეით, ეითარმედ: „არა დაუტეო სული ჩემი ჯოჯოხეთს, არცა სცე წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელსა".[3]

აწ უკუე უხრწნელად თქუმაი, მსგაესად უგუნურისა იელიანე და გაიანესსა, ჴორცთა უფლისათაი, პირეელისა მის დანიშნჳისაებრ, უღმერთოება არს, რამეთუ უკუეთუ უხრწნელ არა თანა-არს ეიდრემე იყენეს ჩუენდა და საგონებლობით და არა ჭეშმარიტებით იქმნეს, რაოდენთა ქმნასა იტყუს სახარებაი: შიმშილი, წყურილი, სამშჯუალნი, განღებაი გუერდისაი, სიკუდილი. ხოლო უკუეთუ საგონებლობით[1] იქმნეს, ნაწილი და სიჩქუარე არს განგებულებისა საიდუმლოი და საგონებლობით და არა ჭეშმარიტებით კაც იქმნა და საგონებლობით და არა ჭეშმარიტებით ეცხონდით, არამედ წარეედ და ამისნი მეტყუელნი უნაწილო იქმნენინ ცხორებისაგან! ხოლო ჩუენ ჭეშმარიტსა მიმთხუეულ ვართ და ღირს ქმნულ-ვართ. ხოლო მეორისა მის ხრწნილებისა დანიშნჳისაებრ უხრწნელად, ესე იგი არს, განუხრწნელად აღეიარებთ ჴორცთა უფლისათა, ეითარ-იგი ღმერთშემოსილთა მამათა მომცეს ჩუენ.

[1] ათან. ალექს., განჴორციელებისათჳს; გრიგ. ნოს., ეენ. წინ., I.

[2] დედანში ერთეის „კაცობრიეთა ენებათა" /ცსθρώπινα... πάθη.../.

[3] ფსალმ., 15, 10.

[1] დაჰნიშნჳასა ცხად-ჰყოფს M. [2] საგონებელ M.

ხოლო შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა პირველისა მისებრცა მოსწაებისა და მეორისა, ორ-კერძოვე უხრწნელად და განუხრწნელად ეიტყუთ გუამსა უფლისასა, რამეთუ ჩუენთაცა გუამთა, ეითარ-იგი აღდგომაი, ეგრეთვე შემდგომად აღდგომისა უხრწნელებაცა მოამადლა უფალმან თუსისა მიერ გუამისა, რაჟამს იგი
107v II მექმნა ჩუენ დასაბამ აღდგომისა და უხრწნელებისა და უკუდავებისა, რამეთუ „ჯერ არსო ხრწნილისა ამის შემოსად უხრწნელებაი“,[1] – იტყუს საღმრთოი მოციქული.

ხოლო შემდგომად მკუდართაგან აღდგომისა პირველისაცა დანიშნეისაებრ უხრწნელად ეიტყუთ ჴორცთა უფლისათა და რამეთუ ჩუენთაცა ჴორცთა აღდგომაი და შემდგომად მისსა ყოფადი იგი უხრწნელებაი თუსთა ჴორცთა მიერ მოანიჭა უფალმან, თუთ რაი იქმნა დასაბამ აღდგომისა და უხრწნელებისა და უნებელობისა ჩუენისა, რამეთუ „ჯერ-არსო ხრწნილისა[1] ამის შემოსად უხრწნელებაი“ – იტყუს საღმრთოი მოციქული.[1]

73 /III, 29/ ჯოჯოხეთად შთასლვისათჳს

თაჳი ოგ

შთაეიდა უკუე უფალი ჯოჯოხეთდცა სულითა განღმრთობილითა,[2] რაჲთა ეითარცა იგი ქუეყნისა ზედათა აღმოუბრწყინდა სიმართლისა იგი მზე,[3] ეგრეთვე ქუეყნისა ქუეშეთაცა“ და ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისათა მსხდომარეთა გამოუბრწყინდეს ნათელი“[4] და რაჲთა ეითარცა ქუეყნისათა ახარა მშუდობაი, „ტყუეთა განტეევებაი და ბრმათა აღხილეაი“[5] და მორწმუნეთა ექმნა მიზეზ ცხორებისა საუკუნოჲსა, ხოლო ურწმუნოთა მიზეზ დაშჯისა და მხილებისა. ეგრეთვე ჯოჯოხეთსაცა შინა ყოს, „რაჲთა მას მოუდრკეს ყოველი მუჴლი ზეცისათა და ქუეყნისათა და ქუესკნელისათაი“.[6] ესრეთ განჰსნნა საუკუნოთგან შებორკილებულნი და ესრეთ მკუდრეთით აღდგა და გზა გჳყო ჩუენ აღდგომისა.

73 /III, 29/ ჯოჯოხეთად შთასლვისათჳს

1101

თაჳი ოგ

შთაეიდა უკუე ჯოჯოხეთად განღმრთობილი სული,[2] რათა ეითარ-იგი ქუეყანის ზედათა აღმოუბრწყინდა მზე სიმართლისაი,[3] ეგრეთვე ქუეყანის ქუეშჱცა „ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისათა მსხდომარეთა გამოუჩრდეს ნათელი“,[4] რათა ეითარ-იგი ქუეყანასა ზედა ახარა მშუდობაი, „ტყუეთა განტეევებაი და ბრმათა აღხილეაი“[5] და მორწმუნეთა ექმნა მიზეზ ცხოერებისა საუკუნოჲსა, ხოლო ურწმუნოთა მამხილებელ ურწმუნოებისა, ეგრეთვე 89v I ჯოჯოხეთს შინა მყოფთაცა, „რათა მისსა მოდრკეს ყოველი მუჴლი ზეცისათაი და ქუეყნისათაი და ქუესკნელისათაი“,[6] და ესრეთ საუკუნოთგანნი რაი იგი კრულნი განჴსნნა, აღდგა იგი მკუდართაგან და გზა მიყო ჩუენ აღდგომაი.

74 /IV, 1/ შემდგომად აღდგომისა ქრისტჱსი განგებულებისათჳს

თაჳი ოდ

შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა უკუე აღეიარებთ და ეიტყჳთ, ეითარმედ ყოველნივე ენებანი განიშორნა მაცხოვარმან ჩუენმან, ხრწნილებასა ეიტყუ და შიმშილსა და წყურილსა, ძილსა და დაშრომასა და სხუათა ესეეითართა.

რამეთუ დაღაცათუ გემოი იხილა საჭმლისაი
108r I შემდგომად აღდგომისა, გარნა არაჲე // შჯულითა ბუნებისაებრ, რამეთუ არა შეეშჱნა, არამედ სახითა განგებულებისაებრ, რაჲთა სარწმუნოჲს ჭეშმარიტებაი აღდგომისაჲ, ეითარმედ იგიჲე ჴორცნი ასხენ აღდგომილსა მკუდრეთით, რომლითაცა თაეს იდვა ენებაი და სიკუდილი. და არა რაი დაუტეეა ნაწილთაგან ბუნებისათა, არცა ჴორცნი, არცა სული, არამედ მის თანაეე ჰქონან განუშორებელად და დაუკლებელად ჴორცნი და სული სიტყჳერი და საცნაური, ნებებითი და მოქმედებითი, და ესრეთ ამაღლდა

[1] I კორინთ., 15, 53.
[2] I პეტრ., 3, 19.
[3] მალაქ., 4, 2.
[4] ესაია, 9, 2.
[5] ლუკა, 4, 18-19; ესაია, 61 და შმდ.
[6] ფილიპ., 2, 10.

ხოლო შემდგომად მკუდართაგან აღდგომისა პირველისაცა დანიშნეისაებრ უხრწნელად ეიტყუთ ჴორცთა უფლისათა და რამეთუ ჩუენთაცა ჴორცთა აღდგომაი და შემდგომად მისსა ყოფადი იგი უხრწნელებაი თუსთა ჴორცთა მიერ მოანიჭა უფალმან, თუთ რაი იქმნა დასაბამ აღდგომისა და უხრწნელებისა და უნებელობისა ჩუენისა, რამეთუ „ჯერ-არსო ხრწნილისა[1] ამის შემოსად უხრწნელებაი“ – იტყუს საღმრთოი მოციქული.[1]

74 /IV, 1/ აღდგომისა შემდგომათაჳს

თაჳი ოგ

ხოლო შემდგომად მკუდართაგან აღდგომისა ყოველნი უკუე ენებანი განიშორნა, ხრწნილებასა ეიტყუ, შიმშილსა და წყურილსა, ძილსა და დაშრომასა და ეგეეითართა.

რამეთუ დაღათუ შემდგომად აღდგომისაცა
იხილა გემოი საზრდელისაი, არაშედ არა
1104 // შჯულითა ბუნებისაებთა, რამეთუ არა მოემშია, გარნა სახითა განგებულებისაებთა, რათა სარწმუნოჲს ჭეშმარიტებაი აღდგომისაი, ეითარმედ იგი არიან ენებულნი და აღდგომილნი ჴორცნი. ხოლო არა რაი განიშორა ბუნებისა ნაწილთაგანი, არცა ჴორცნი, არცა სული, არამედ ჴორცნიცა და სული სიტყჳერი და გონიერი, მნებებელი და მოქმედი მოუგიან და ესრეთ აღვიდა ზეცად და ესრეთ მჯდომარე

[1] I კორინთ., 15, 53.
[2] I პეტრ., 3, 19.
[3] მალაქ., 4, 2.
[4] ესაია, 9, 2.
[5] ლუკა, 4, 18-19; ესაია, 61 და შმდ.
[6] ფილიპ., 2, 10.
[1] ხრწნილებისა M.

ზეცად, და ესრეთ დაჯდა მარჯუენით მამისა, სადა-იგი მჯდომარე არს და მნებებელ და მოქმედ არს ცხორებასა ჩუენსა ღმრთეებითცა და კაცებითცა. ღმრთეებით უკუე ყოველთა იპყრობს და სცავს და განაგებს.

ხოლო კაცობრიე მოეწსენებიან ქუეყანასა ზედა კცევანი მისნი და ხედავს და უწყის, ეითარ ყოელისა სიტყუერისა და დაბადებულისაგან თაყუანის-იცემების. და მეცნიერ არს წმიდაჲ იგი სული საუფლოთა მათ ჴორცთა მისთაჲ, ეითარმედ გუამოენებით შეე[რ]თა სიტყუასა ღმრთისასა და მის თანაე თაყუანის-იცემების, ეითარცა სული ღმრთისაჲ და არა ეითარცა სული ლიტონისა ეისიმე. და კუალად გარდამოსაელ არს ეითარცა არს ჩუენებაჲ მოქმედებისა გარე-შეწერილისა გუამისაჲ, ეითარ-იგი თქუეს ანგელოზთა,
108r II ეითარმედ ესრეთეე მოვიდეს, ეითარ სახედ იხილეთ იგი აღმაჲალი ზეცად.[1]

75 /I, 2/ მარჯუენით მამისა დაჯდომისათჳს

თავი ოე

მარჯუენით უკუე ღმრთისა და მამისა დაჯდომასა ქრისტესსა ვიტყუთ ჴორციელად. არა თუ მარჯუენითსა ადგილსა ვიტყუთ მამისსა, რამეთუ ეითარმცა აქუნდა გარეშეუწერელსა ადგილი მარჯუენე, ეინაითგან მარჯუენე და მარცხენე გარე-შეწერილთა გუამთაჲ არს. ხოლო ჩუენ მარჯუენითად მამისა ვიტყუთ დიდებასა და პატიჳსა ღმრთეებისასა. რომელსა შინა ჴორციელად დაჯდა ძე ღმრთისაჲ, რომელსა-იგი პირეელ საუკუნეთა აქუნდა თანა-არსებაჲ მამისაჲ. ხოლო უკუანაჲსკნელთა ჟამთა განკაცნა და ჴორციელად დაჯდა, ესე იგი არს, ეითარმედ მის თანაე იდიდნეს ჴორცნი მისნი, რამეთუ ერთითა თაყუანის-ცემითა თაყუანის-იცემების ჴორცთა მისთა თანა ყოეელთაეე მიერ დაბადებულთა.[2]

76 /IV, 3/ მათდაჲ მიმართ, რომელნი იტყჳან კითხვით, ვითარმედ უკუეთუ ორ-ბუნებაჲ არს ქრისტე, ნუუკუე აგებულიცა იგი ბუნებაჲ მისი აუგებელსაჲ თანა იშსახურების, ანუ თაყუანის-იცემებისა? ანუ ერთი ოდენ ბუნებაჲ თაყუანის-იცემების და ერთი თაყუანის-უცემელ არს?

თავი ოე

ძესა ღმრთისასა მამისა თანა და სულისა წმიდისა თაყუანის-ესცემთ, უჴორცოდ უკუე პირეელ განკაცებისა და აწ განჴორციელებულსა და განკაცებულსა, ერთბამად ღმერთსა და კაცსა. აწ უკუე ჴორცნი მისნი, უკუეთუ
108v I ოდენ განჰყენე თჳსისაებრ ბუნებისა წულილადითა რაჲთმე გამოკულეჲთა გონებისაჲთა და გან[ა]რჩიო ხილული საცნაურისაგან, თარს მარჯუენით მამისა, მნებებელი ღმრთეებრცა [და] კაცობრიე ჩუენისა მაცხოვარებისაჲ და მოქმედი ღმრთებრ უკუე ყოელთა წინაგანგებისა დაცევისა და მართებისაჲ.

ხოლო კაცობრიე მომჴსენებელი ქუეყანასა ზედა სლვათა და ქცევათაჲ, მხედველი და მეცნიერი, ეითარ თაყუანის იცემების ყოელისა სიტყუერისა აგებულებისაგან, რამეთუ უწყის წმიდამან სულმან მისმან, ეითარმედ გუამოენებით შეერთებულ არს ღმრთისა და სიტყჳსა/და/ და თანა-თაყუანის იცემების, ეითარცა ღმრთისა სული.[1] და რამეთუ აღსლვაჲ ზეცად და გარდამოსლვაჲ კუალად მოქმედებანი არიან გარეშეწერილთა ჴორცთანი, რამეთუ „უსრეთ მოვიდესო“, – თქუმულ არს, – კუალად თქუენდა მომართ, ეითარ სახედ იხილეთ იგი აღმაჲალი ზეცად“.[2]

75 /IV, 2/ მარჯუენით მამისა დაჯდომისათჳს

თავი ოდ

მარჯუენით ღმრთისა და მამისა დაჯდომასა ვიტყუთ ქრისტესსა ჴორციელად, ხოლო არა ადგილობითსა მარჯუენესა ვიტყუთ მამისასა, რამეთუ ეითარ აქუნდეს გარეშეუწერელსა ადგილობითი მარჯუენე, რამეთუ მარჯუენე და მარცხენე გარეშეწერილთანი არიან! ხოლო მარჯუენედ მამისა ვიტყუთ დიდებასა და პატიჳსა ღმრთეებისასა, რომელსა შინა უწინარეს საუკუნეთა ყოფი ძე ღმრთისაჲ, ეითარცა ღმერთი და თანა-არსი მამისაჲ. უკუანაჲსკნელ განჴორციელებულიცა დაჯდა ჴორციელად თანა-მადიდებელი ჴორცთა თჳსთაჲ, რამეთუ თაყუანის იცემების ერთითა თაყუანის-ცემითა ჴორცთა მისთა თანა ყოელისა აგებულისა მიერ.[3]

76 /IV, 3/ მეტყუელთა მიმართ: უკუეთუ ორი ბუნებაჲ არსო ქრისტე, ანუ აგებულსაცა ბუნებასა ჰმსახურეთ, ვითარცა აგებულისა თაყუანის-მცემელთა, ანუ [ერ]თი ბუნებაჲ თაყუანის-ცემული თქუთ და ერთი თაყუანის-[უ]ცემელ
1105

თავი ოე

89v II ძესა ღმრთისასა მამის[ა] დ[ა] სულისა წმიდისათა თაყუანის-ესცემთ უსხეულოსა უკუე უწინარეს ჴორციელებისა და მასყე აწ განჴორციელებულსა და კაც-ქმნილსა ღმერთ-ყოფისა თანა. აწ უკუე ჴორცნი მისნი თჳსისა ეიდრემე ბუნებისაებრ უკუეთუ განჰყო წულილადითა მოგონებითა ხილული საცნაურისაგან,

[1] საქმე მოც., I, 11; გრიგ. ნაზ., ეპისტ. კლედონ.
[2] ბასილი დიდი, სულისა წმიდისათჳს, 6.

[1] დედანში ერთვის „და არა ლიტონი სული“ /καὶ οὐχ ὡς ἀπλῶς ψυχήν/.
[2] საქმე მოც., I, 11; გრიგ. ნაზ., ეპისტ. კლედონ.
[3] ბასილი დიდი, სულისა წმიდისათჳს, 6.

ყუანის-უცემელ იყენენ ჯორცნი იგი, ვითარცა აგებულნი. ხოლო შეერთებულ რაჲ იყვნენ სიტყუასა თანა ღმრთისასა, უეჭუელად მის შორის თაყუანის-იცემებიან. რამეთუ, ვითარ სახედ, მეფე და შიშუელიცა თაყუანის-იცემების და შემოსილიცა. და პორფირი იგი მისი, უკუეთუ სიწლოსა ვინმე ზედა და სითხესა შეიწუნოს, განიგდების და დაითრგუნეის. ხოლო ვინაჲთგან სამეუფო შესამოსელ იქმნას, მიერითგან პატივ-იცემების და იდიდების, და ვინცაღა იკადრის შეურაცხებაჲ მისი, მრავალგზის სიკუდილითაცა დაისაჯეს.

და კუალად ვითარ-იგი შეშაჲ მცირე თუსითა ბუნებითა არა შეუხებელ არს, ხოლო ცეცხლსა რაჲ ზედა დაიდვას და შეერთებითა მისითა ნაკუერცხალ იქმნას, მიერითგან არღარა თავით თუსით, არამედ მისდა შეერთებულისა მისგან ცეცხლისა შეუხებელ იქმნების. და არა შეშაჲ არს შეუხებელ, არამედ ნაკუერცხალი, ესე იგი არს, შეშაჲ ატყინებული. ეგრეთვე ჯორცნი უფლისანი თუსითა ბუნებითა არა თაყუანის-საცემელ არიან, არამედ გუამსა შინა სიტყუსა ღმრთისასა თაყუანის-იცემებიან. არღარა თავით თუსით, არამედ გუამოენებით შეერთებით
108v II მათდა სიტყუსა ღმრთისაჲთა. ეინაიცა არა ვიტყუთ, ვითარმედ ჯორცთა თაყუანის-ვსცემთ ლიტონთა, არამედ ჯორცთა სიტყუსა ღმრთისათა, ესე იგი არს, განჯორციელებულისა ღმრთისათა.[1]

77 /IV, 4/ თუ რაჲსათჳს ძე ღმრთისაჲ განკაცნა და არა მამაჲ, ანუ სული წმიდაჲ და თუ რაჲ წარმმართა ძემან განჯორციელებითა თჳსითა?

თავი ოზ

მამაჲ მამაჲ არს და არა ძე. ძე ძე არს და // არა მამაჲ. სული წმიდაჲ სული წმიდაჲ არს და არა მამა, არცა ძე. რამეთუ თუთება შეუცვალებელ არს. და ვითარ იყოს თუთება შეირყეოდის თუ და მიმოიცვალებოდის? ამისთჳსცა ძე ღმრთისაჲ ძე კაცისა იქმნა, რაჲთა თუთებაჲ უცვალებელად ეგოს, რამეთუ ძე ღმრთისაჲ იყო და ძე კაცისა იქმნა. და ჯორცნი რაჲ შეისხნა წმიდისაგან ქალწულისა, არაჲე განეშჳა თუსისაგან თუთებისა.[2]

ხოლო ამისთჳს განკაცნა ძე ღმრთისაჲ, რაჲთა კუალად აგოს პირველიეე იგი ქმნულებაჲ კაცისაჲ და მიჰმადლოს მას იგიეე ხატებაჲ, რომლისათჳს შეექმნა, რამეთუ შეექმნა იგი ხატად თუსსა და საცნაურად და თუთმფლობელად და მსგავსებად თუსსა, ესე იგი არს, სრულებითა სათნოებათაჲთა, რაოდენ დასატევნელ არს ბუნებასა შინა კაცისასა. რამეთუ ესენი არიან რეცა ხატებანი საღმრთოჲსა ბუნებისანი: უზრუნველობაჲ, მიმოდაუბნეველობაჲ, თაყუანის-უცემელ არიან, ვითარცა აგებულნი, ხოლო შეერთებითა სიტყუსა ღმრთისაჲთა მისთჳს და მის თანა თაყუანის იცემებიან, რამეთუ, ვითარ სახედ, მეფე შიშუელიცა თაყუანის-იცემების და შემოსილიცა და პორფირი, ვითარცა ლიტონი პორფირი უკუე დაითრგუნების და შეურაცხ-იქმნების, ხოლო სამეუფო შესამოსელ-ქმნილი პატივ-იცემების და იდიდების და ვინცა ვინ შეურაცხყოს იგი, სიკუდილითა დაისაჯების.

და ვითარცა ლიტონი შეშაჲ არა მიუახლებელ არს შეხებისა, ხოლო ცეცხლსა რაჲ ეზრახოს და ნაკუერცხალად შეიქმნას, არა თავით თუსით, არამედ მისდა შეყოფილისა ცეცხლისათჳს შეუხებელ იქმნების. და არა ბუნებაჲ შეშისაჲ არს მიუახლებელ, არამედ ნაკუერცხალი, რომელ არს განცეცხლებული შეშაჲ, ეგრეთვე ჯორცნი თუსისა უკუე ბუნებისაებრ არა თაყუანის-საცემელ არიან, ხოლო თაყუანის-იცემებიან განჯორციელებულსა ღმრთსა სიტყუასა შინა, არა თავით თუსით, არამედ გუამოენებით შეერთებულისა მათდა სიტყუსა ღმრთისათჳს და არა ვიტყუთ, ვითარმედ ჯორცთა თაყუანის-ვსცემთ ლიტონთა, არამედ ჯორცთა ღმრთისათა, ესე იგი არს, განჯორციელებულსა ღმერთსა.[1]

77 /IV, 4/ რაჲსათჳს ძე ღმრთისაჲ განკაცნა და არა მამაჲ, არცა სული; და თუ რაჲ წარმმართა განჯორციელებითა თჳსითა

თავი ოვ

მამა არს მამაჲ და არა ძე, ძე არს ძე და
1108 არა მამა, სულ არს სული წმიდაჲ და არა მამა, არცა ძე, რამეთუ თუთებაჲ შეურყეველ არს, ანუ ვითარ თუთება იყოს მოძრავი და მიმომრდომი? ამისთჳს ძე ღმრთისაჲ ძე კაცისა იქმნების, რათა უძრაჲად ეგოს თ/ჳ/თებაჲ, რამეთუ რომელი ძე ღმრთისაჲ იყო, ძე კაცისა იქმნა, განჯორციელებული წმიდისა ღმრთისმშობელისაგან[2] და არა იცვალა ძეობითისა თუთებისაგან.

ხოლო განკაცნა ძე ღმრთისაჲ, რათა, ვითარად იგი შეექმნა კაცი, ეგევითარობაჲეე მიჰმადლოს მას. რამეთუ შეექმნა იგი ხატებისაებრ თუსისა, გონიერად და თუთმფლობელად და მსგავსებისაებრ, ესე იგი არს, სრულად სათნოებითა, რაოდენსა მისწუდებოდა[1] ბუნებაჲ კაცისაჲ, რამეთუ ესენი ვითარცა ხატებანი რაიმე არიან საღმრთოჲსა ბუნებისანი უზრუნველი და უშფოთველი, და უმანკოჲ, სახიერი და ბრძენი და მართალი და ყოვ-

[1] გრიგ. ნაზ., ეპისტ. კლედონ, II.
[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 39.

[1] გრიგ. ნაზ., ეპისტ. კლედ. II.
[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 39.
[1] მისწუთებოდა BM.

109r I ბაი,* უნაკლულოებაი, სახიერებაი, სიბრძნე, სიმართლე, ყოველთა ბოროტთაგან თავისუფლებაი. ესრეთ უკუე ზიარებად თჳსსა დაედგინა კაცი, რამეთუ უხრწნელებისათჳს შეექმნა იგი. ვინაჲცა მეორითა ამით ზიარებითა, რაჟამს იგი თავადი ეზიარა კაცსა, კუალად პირველისაებე მის მიმართ უხრწნელებისა აღიყვანა იგი. რამეთუ ვინაჲთგან გარდასლვითა მცნებისაჲთა პირველი იგი ხატებაჲ საღმრთოი დაეაბნელეთ და შეეამრღუეთ და ბოროტისა მიმართ მიდრეკითა საღმრთოჲსა ზიარებისაგან განეშორებულდით, რამეთუ რაჲ ზიარებაჲ არს ნათლისაჲ ბნელისა მიმართ,[1] და ცხორებისაგან გარეგან ქმნულნი სიკუდილისა ხრწნილებასა შთაეყარდით. ხოლო ვინაჲთგან მოგუცა რაჲ უზეშთაესისაგან და არა დაეიმარხეთ, მიიღებს უდარესისაგან, რომელ არს ჩუენი ბუნებაჲ, რაჲთა თავისა მიერ თჳსისა და თაჳსა შორის თჳსსა განაახლოს ხატებისა მსგავსებაჲ. და ამას თანა რაჲთა ჩუენცა მასწაოს სათნოდ მოქალაქობაი, რაჟამს თავისა მიერ თჳსისა ადვილ საეალ ჩუენდა ყენეს სათნოებანი და ზიარებითა ცხორებისაჲთა განმათავისუფლნეს ხრწნილებისაგან, რაჟამს იგი დასაბამ იქმნეს ჩუენისა აღდგომისა და უკმარ ქმნილი და
109r II შემუსრეული ჭურჭელი განაახლოს. ამას თანა რაჲთა მძლავრებისაგან ეშმაკისა გამოგუჴსნეს და ღმრთის მეცნიერებად აღმომიწოდოს. განმამტკიცნეს და განმსწავლნეს მოთმინებისა მიერ და სიმდაბლისა წყობად მტერისა.[2]

ვინაჲცა მისითა მით განკაცებითა დაცხრომილ არს მსახურებაჲ ეშმაკთაჲ, სოფელი განწმედილ არს საღმრთოჲთა სისხლითა, ბომონნი და ტაძარნი საკერპონი დარღუეულ არიან. ღმრთის მეცნიერებაჲ დანერგულ არს და იმსახურების სამება ერთ-არსებაჲ და აუგებელი ღმრთეებაჲ. ერთ არს ღმერთი ჯეშმარიტი, უფალი დამბადებელი ყოველთაჲ. სათნოებანი მოქალაქობენ. აღდგომისა სასოებაჲ ჩუენდა აღდგომითა ქრისტესითა მონიჭებულ არს. ეშმაკი ძრწიან ძუელ სადმე სამთავროთა მათთა კაცთაგან. და საკურველი ესე არს, რამეთუ ესე ყოველი ჯუარ-ცუმთა და ენებითა და // სიკუდილითა წარმართებულ არს. ყოველსა ქუეყანასა სახარებაჲ და ღმრთის მეცნიერებაჲ ქადაგებულ არს. არა ბრძოლითა და საჭურველითა, ანუ გუნდითა მჴედართაჲთა ძლეულ არიან წინა-აღმდგომნი, არამედ მცირედთა მიერ შიშუელთა, გლახაკთა,
109v I უწიგნოთა, დევნულთა, ტანჯულთა, მოკლულთა და ჯუარ-ცუმულთაცა ჴორცთა და ქადაგებათა მიერ მომკუდრისათა ბრძენნი და ძლიერნი ძლეულ იქმნეს, რამეთუ თანა-უვიდოდა მათ ყოველად ძლიერი იგი ძალი ჯუარ-ცუმულისაჲ. და ძლეულ არს ძალი ძუელ ოდესმე ყოველად

ლისა სიბოროტისაგან თავისუფალი. ესრეთ უკუე ზიარებასა თჳსსა შინა[I] დაადგინა 90r I
კაცი, რამეთუ უხრწნელებისათჳს შექმნა იგი, რაჲთამცა ზიარებისა თჳსისა მიერ აღიყუანა იგი უხრწნელებად. ხოლო ვინაჲთგან მცნებისა გარდასლვისა მიერ მსგავსებანი საღმრთოჲსა ხატისანი დაეაბნელენით და შეეჯრიენით[II] და სიბოროტედ მიდრეკილნი საღმრთოჲსა ზიარებისაგან განეშიშულდით, რამეთუ რაჲ თანა-შეტყუებაჲ იყო ბნელისაჲ ნათლისა მიმართ[1] და გარეგან ცხორებისა ქმნილნი ხრწნილებასა სიკუდილისასა დავემორჩილენით. ვინაჲთგან უკუე მომცა უაღრესისაგან და არა დაეიმარხეთ, მიიღებს უდარესისა ჩუენისა, ვიტყჳ უკუე, ბუნებისაგან, რათა თავისა მიერ თჳსისა და თაჳსა შინა თჳსსა განაახლოს ხატებისაებრობაჲ და მსგავსებისაებრობაჲ მასწაელელმან ჩუენგან სათნოებითისა მოქალაქეობისამან[III] და ადვილ საეალ-ყოს იგი ჩუენდა თავისა მიერ თჳსისა და ზიარებითა ცხორებისაჲთა განათავისუფლოს ხრწნილებისაგან და დასაბამ იქმნას[IV] ჩუენისა აღდგომისა. და უკმარ-ქმნილ და შემუსრეული ჭურჭელი განაახლოს და რათა მძლავრებისაგან ეშმაკისა გამოჴსნილნი ღმრთის მეცნიერებად აღმიწოდნეს და განმამტკიცნეს და განმსწავლნეს მოთმინებისა მიერ და სიმდაბლისა და კუეთებად მძლავრისა.[2]

ვინაჲცა დაცხრომილ არიან შჯულნი ეშმაკთანი და საღმრთოჲთა სისხლითა განკურნებელ არს დაბადებული, ბომონნი და ტაძარნი კერპთაჲნი დარღეულ არიან და ღმრთის მეცნიერებაჲ დანერგულ არს, სამებაჲ თანა-არსი, აუგებელი ღმრთეებაჲ იმსახურების, ერთი ღმერთი ჯეშმარიტი, დამბადებელი ყოველთა და უფალი. სათნოებანი მოქალაქობენ, სასოებაჲ აღდგომისაჲ აღდგომითა ქრისტესითა მონიჭებულ არს, უძრწიან ეშმაკნი ძუელ სადმე მორჩილთა თჳსთა კაცთა, და ესე – უსაკჳრეველესი, რამეთუ ესე ყოველნი ჯუარისა მიერ და სიკუდილისა და ენებაჲთა // წარემართნეს. ყოველსა კუეყანასა სახარებაჲ ღმრთის მეც- 1109
ნიერებისაჲ ქადაგებულ არს. არა ბრძოლათა და საჭურველთა და მჴედართ-ყრებისა მიერ მძლეობითა წინა-აღმდგომთაჲთა, არამედ მცირეთა მიერ, შიშუელთა გლახაკთა, უწიგნითა და დევნულთა ჴორცითა ჯუარცმულისა და მომკუდრისა ქადაგთა, ბრძენნი და ძლიერნი იძლინეს. რამეთუ ზარ-სცემდა მათ ყოველად ძლიერი იგი ძალი ჯუარცმულისაჲ, ძუელ სადმე საშინელი იგი სიკუდილი ძლეულ არს 90r II

* შეისწავე, თუ რაჲ არს მსგავსებაჲ ღმრთისაჲ და ჭეშმარიტად მისი დაბადებულებაჲ.

[1] II კორინთ., 6, 14.

[2] ათან. ალექს.,განჭორციელებისათჳს; კირილე ალექს., იოანეს სახარების თარგმ., I.

[I] თჳსსა შინა M. [II] შეჯრიენით M. [III] მოქალაქობისამან M. [IV] იქმნა M.

საზარელისა სიკუდილისაჲ და ცხორებისა აღმრჩეელ არს აწ ძულ ოდესმე მომძაგებელი და მომძულებელი იგი მისი.

ესე არიან ქრისტეს მოსლვისა წარმართებანი, ესე არიან ყოველად ძლიერისა[მის] ძალისა მისისა საცნაურებანი. არა ვითარ-იგი მოსეს მიერ ერთსა ოდენ ერსა ეგუპტით გამოყუანებს განპებითა ზღუსაჲთა და ფარაოს მონებისაგან განარინებს, არამედ ზოგად ყოველსა კაცებასა ხრწნილებისაგან და სიკუდილისა და მწარისა მისგან ცოდვისა მონებისა გამოიჴსნის. არა იძულებით მოიყუანებს სათნოებად, არცა ქუეყანასა შთანთქმად ანუ ცეცხლითა დაწუვად, ანუ ქვითა განტჯნვად უბრძანებს შეცოდებულთა, არამედ სიმშუდით და სულგრძლებით და რწმუნებით აღარჩევიებს (sic) კაცთა სათნოებასა და ტკივილთა წილ ახარებს აღთქუმითა მისაგებელთაჲთა, რამეთუ ძულ
109v II ოდესმე შეცოდებულნი იტანჯებოდიან და ჯერეთ ცოდვასაე მიედევნებოდიან და ღმერთად მათდა შერაცხილ იყო ცოდვაჲ. ხოლო აწ სიმართლისა ჯრ სათნოებისათჳს ტანჯვათა და გუემათა და სიკუდილსა აღირჩევენ.

ეაშა, ეაშა, მ ქრისტე სიტყუაო და სიბრძნეო და ძალო ღმრთისა მამისაო და ღმერთო ყოვლისა მპყრობელო!

რაჲ მიგაგოთ შენ ნაცვლად ამის ყოვლისა ჩუენ უღონოთა ამათ, რამეთუ შენი არს ყოველივე და ჩუენი არა რაჲ არს, თუნიერ ცხორებაჲ ოდენ, და იგიცა შენეე მომეც ჩუენ და მიმღებელთა მისთა მადლსაცა მიანიჭე გამოუთქუმელითა კაცთ-მოყუარებითა. მადლობაჲ შენდა, რომელმან ყოფაჲცა მოგუმადლე და კეთილად ყოფაჲცა მოგუანიჭე და მისგან განერდომილნი კუალად მისსა მიმართ აღმოიყვანენ გამოუთქუმელითა შენითა ჩუენდა მომართ გარდამოსლეითა!

78 /IV, 5/ მათდა მიმართ, რომელნი იკითხჳდენ, ვითარმედ გუამი უფლისაჲ აგებული არს ანუ აუგებელი?

თავი ოზ

გუაჲი სიტყუსა ღმრთისაჲ პირველ ჴორცთ-შესხმისა მარტიე იყო და უშუაჲებელ და უჴორცო და აუგებელ. ხოლო განჴორციელდა რაჲ, იგიეე ექმნა ჴორცთა მათ გუამ და იქმნა შეზაებულ ღმრთეებისაგან, რომელი მარადის აქუნდა და უკუანაჲსკნელ მიხუმულთა მათ ჴორცთაგან.

110r I და მოაქუს თავსა შორის თუსსა თუთებაჲ ორთა ბუნებათაჲ, ორთა ნებათა და საქმეთა მიერ ცნობილი. ვინაჲცა იგიეე და ერთი გუამი აუგებელ არს ღმრთეებითა და აგებულ კაცებითა, ხილულ და უხილაჲ. ამისთჳსცა ვიიძულებით წინა-აღმდგომთა მიერ ანუ რაჲთა და საძულელად შერაცხილი იგი და სიძნაური ცხორებისასა უაღსარჩეელეს ქმნილ არს.

ესე არიან ქრისტეს მოსლეისა წარმართებანი, ესე ძალისა მისისა საცნაურებანი, რამეთუ არა ვითარ-იგი ერთი ერი მოსეს მიერ ეგუპტით ფარაოს მონებისაგან /გან/აჲებითა ზღუსაჲთა იჴსნა, არამედ უფროსღა ყოველი კაცებაჲ ხრწნილებისაგან სიკუდილისა და მწარისა, მძლაერისა ცოდვისაგან გამოიჴსნა არა იძულებით მიყუანებითა სათნოებისა მიმართ, არცა ქუეყანასა შინა დანთქმად და ცეცხლითა დაწუად და ქვისა დაკრებად მბრძანებელობითა შეცოდებულთაჲთა, არამედ სიმშუდით და სულგრძლებით არწმუნა კაცთა აღრჩეეაჲ სათნოებისაჲ და მის ძლითთა ღუაწლთა შეკადრებაჲ და ჭელ-ყოფაჲ, რამეთუ ძულსა შინა მცოდველნი იტანჯებოდეს და ჯერეთ ცოდვასაე მიედევნებოდეს,[1] ხოლო აწ კეთილად მსახურებისა და სათნოებისათჳს ტანჯვათა აღირჩეენ და გუემათა და სიკუდილსა.

ეაშა, მ ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო და სიბრძნეო და ძალო და ღმერთო ყოველისა მპყრობელო!

რაჲ მიგაგოთ შენ ამათ ყოველთათჳს ჩუენ, უღონოთა ამათ,[1] რამეთუ შენნი არიან ყოველნი და არა რას ეძიებ ჩუენგან, გარნა მხოლოდ ცხოენებასა ოდენ და შენეე ხარ ამისიცა მომცემელი, ხოლო მადლობასა აღუვარებ მიმღებელთა მიუწთომელითა სახიერებითა! შენდა მადლობაჲ, ყოფისა მომცემელო და კეთილად ყოფისა მომნიჭებელო და ამისგან დაცემულთა ამათ კუალად მისდაეე მიმართ აღმყვანებელო გამოუთქუმელისა თანა-შთამოსაჲლობისა[11] მიერ.

78 /IV, 5/ მკითხველთა მიმართ, ვითარმედ გუამი ქრისტესი აგებული არს ანუ აუგებელი?

თავი ოზ

გუამი სიტყუსა ღმრთისაჲ მარტიე იყო და შეუზაებელ და უსხეულო და აუგებელ, ხოლო განჴორციელდა რაჲ, იგიეე იქმნა ჴორცთა. და იქმნა შეზაებულ ღმრთეებისაგან, რომელი მარადის აქუნდა და ჴორცთაგან, რომელნი მიიხუნა.

და მოჰქონან თუთებანი ორთა ბუნებათანა, ეითარცა ორთა ბუნებათა შინა ცნობილსა. ვინაჲცა იგიეე და ერთი გუამი აუგებელი არს ღმრთეებითა და აგებული კაცებითა, ხილული და უხილაჲ, ვინაჲთგან ვიიძულებით ანუ გან-

[1] დედანში ერთეის „და [თითჶოს] მათი ღმერთი ცოდვად იწოდებოდა“ /καὶ θεὸς αὐτοῖς ἡ ἁμαρτία λελόγιστο../.

[1] <M. [11] თანა-შთამოსელისა M.

განვყოთ ერთი იგი // ქრისტე ორ-გუამოვნებად, ანუ რაჲთა უარ-ვყოთ განყოფილებაჲ ბუნებათაჲ და ქცეულებაჲ და შერევნაჲ შემოვიყვანოთ. და ორივე ესე ზოგად უღონო არს და განსაგდებელ მართლმადიდებელ[თა] მიერ.*

1112 ყოფად ერთისა // ქრისტესსა ორთა გუამთა თქუმითა, ანუ უარის-ყოფად განყოფილებისა ბუნებათაჲსა და ქცეულებისა და შერევნისა შემოღებად.

79 /IV, 6/ თუ ოდეს ეწოდა ქრისტე

თავი ოთ

ხოლო არა თუ ვითარ ვიეთნიმე ტყუეელით მეტუეულებენ: პირველ ქალწულისაგან ჴორცთ-შესხმისა გონებაჲ კაცობრიჲი შეერთო სიტყუასა ღმრთისასა და მიერითგან ეწოდა ქრისტე, რამეთუ ესე უჯეროებაჲ ოროგინეს სიჩქარეთაჲ არს, რომელი-იგი პირველ თუსაგან შექმნასა სულისასა სჯულის-მდებლობდა.

და ჩუენ ქრისტე ყოფად და წოდებად ძისა და სიტყუსა ღმრთისა მიერითგან ვიტყუთ, ვინაჲთგან მუცელსა წმიდისა და მარადის ქალწულისასა დაიმკჳდრა და უქცეველად ჴორციელ იქმნა, და იცხნეს ჴორცნი იგი ღმრთეებითა, რამეთუ იგი იყო საცხებელი კაცებისაჲ, ეითარცა იტყუს ღმრთისმეტყუელი გრიგოლი.

110r II და კუალად დიდი იგი ალექსანდრელთა შორის წმიდაჲ კურილე ესრეთ მისწერს მეფისა თეოდოსის მიმართ, ეითარმედ „ესრეთ ვიტყოდე, რაჲთა არცა სიტყუასა ღმრთისასა ოდენ მარტოდ, თუნიერ კაცებისა, არცა დედაკაცისაგან შობილსა კაცსა ოდენ, თუნიერ სიტყუსა შეერთებისა, სახელ-ედებოდის იესუ ქრისტე, რამეთუ კაცობრივისა ბუნებისა და მისდა განგებულებით შეერთებულისა სიტყუსა ღმრთისა სახელად გულისჴმა-იყოფების ქრისტე". ხოლო დედოფალთა მიმართ ესრეთ ეითნიმე იტყოდეს, ეითარმედ ქრისტეს სახელი მხოლოდ განთუსებულად შუენის, რაჲთა ღმრთისაგან მამისა შობილსა სიტყუასა ეინმე განუკუთნოს, არამედ ჩუენ არა ესრეთ სწაელათა ეართ აღსაარებად გინაჲ თქუმად, არამედ მაშინღა ვიტყუთ [ს]ახ[ელ]ის-დებად მისსა იესუ ქრისტესა, რაჟამს სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა და ეცხო საცხებელი სიხარულისაჲ მამისაგან და ღმრთისა სული წმიდაჲ. და მიერითგან ვიტყუთ სახელის-დებასა მისსა ქრისტედ, დაღაცათუ ეინმე ორგულებდეს მართლმადიდებელთაცა [ჩუენთაგა]ნი.[2]

და კუალად ათანასე, ყოველად საუკუნედ მოჴსენებულმან, საცხორებელისა მის განცხადებისათჳს თქუმულსა თაესა შინა ესრეთ დაწერა, ეითარმედ „რომელი იგი პირველითგან იყო ღმერთი, პირველ ჴორციელად მოსლეისა არა იყო კაც, არამედ ღმერთი იყო ღმრთისა
110v I თანა უხილავი და უნებელი, // ხოლო რაჟამს 1113 კაც იქმნა, მაშინ ღმრთეებასა თანა ქრისტეცა

* შეისწავე, ეითარმედ აგებულნი არიან ჴორცნი უფლისანი.

[2] შდრ. არსენის თარგმანი: „არავინ ორგულებდეს მართლიად გულისჴმის-ყოფისა ჩუენთაგანი" (S-1463, 90 v I).

79 /IV, 6/ თუ ოდეს ეწოდა ქრისტე

თავი ოთ

არა ეითარ-იგი ვიეთნიმე ტყუილით წარ-ჰრეენ, პირველ ქალწულისაგან განჴორციელებისა გონებაჲ შეეერთა ქრისტესა ღმერთსა და მიერითგან ეწოდა ქრისტე. რამეთუ ესე ორიგენის სიჩქარეთა არს უჯეროება, რომელი პირველ ყოფასა სულთასა შჯულისა-მდებელობდა, ხოლო ჩუენ ქრისტედ ქმნასა და წოდებასა ვიტყუთ ძისა და სი- 90v I ტყუსა ღმრთისასა, რაჲთგან მუცელსა შინა წმიდისა მარადის ქალწულისასა დაიკარეა და ჴორც-იქმნა უქცეველად და იცხნეს ჴორცნი ღმრთეებითა, რამეთუ საცხებელ კაცებისა არს ღმრთეებაჲ, ეითარცა იტყუს ღმრთისმეტყუელი გრიგოლი.

ხოლო უსამღდელოესი ალექსანდრიელთა კურილე, თეოდოსის მიმართ მიმწერელი, ესრეთ იტყუს: „საჴმარ-ყოფასა ვიტყოდე, რათა არცა ღმრთისაგანსა[1] სიტეუასა, თუნიერ კაცებისა, არცა დედაკაცისაგან შობილსა ტაძარსა, არა შეერთებულსა სიტყუასა[II] სახელ-ედებოდის იესუ ქრისტე, რამეთუ განგებულებითითა შეერთებითა ღმრთისაგანისა სიტყუსადა გამოუთქუმელად შეერთებული კაცებაჲ გულისჴმა-იყოფების ქრისტედ". და დედოფალთა მიმართ: „ესრეთ ეითნიმე იტყუან, ეითარმედ სახელი ქრისტესი პ[შუენის თუსაგანცა და მარტოდ თაეით თუსით გულისჴმა-ქმნილსა და ცნობილსა, ღმრთისა – მამისაგან შობილსა სიტყუასა. ხოლო ჩუენ არა ესრეთ განვისწაელენით რწმუნებად გინაჲ თქუმად, რამეთუ ოდეს ჴორც იქმნა სიტყუაჲ, მაშინ ვიტყუთ იესუ ქრისტედ წოდებასა მისსა, რამეთუ ვინაჲთგან უცხო საცხებელი სიხარულისაჲ, რომელ არს წმიდაჲ ღმრთისაგან და მამისა, მა[შინ სახელ-ედეა ქრისტე, ხოლო ეითარმედ კაცობრივისათჳს იყო ცხებაჲ, არავინ ორგულებდეს მართლიად გულისჴმის-ყოფისა ჩუენთაგანი".

ხოლო შემდგომად სამარადისოდ მოჴსენებული ათანასი საცხორებელისა ღმრთის გამოცხადებისათჳს თქუმულსა შინა ესრეთ იტყუს: „პირველთაგან მყოფი ღმერთი უწინარეს ჴორციელად მოსლეისა არა იყო კაც, არამედ ღმერთი იყო ღმრთისა თანა, უხილავი და უნებელი. // არცა უკუე სახელი ქრისტესი თუნიერ ჴორცთაჲსა მოიჴსენების, ვინაჲთგან შეუდგს[III] სახელსა ამას ენებაჲ და სიკუდილი".

[1] ღმრთეებისაგან M. [II] სიტყუასა M. [III] შეუთქს GM.

სახელ-ედვა ჯორცთა მათთუს, რომელ შეიხსნა, ეინაითგან შეუთქს სახელსა ამას ენებაი და სიკუდილი". ესე იგი არს, ეითარმედ არა ღმრთეებისა სახელსა, არამედ ქრისტესსა შეეტყუების ენებაი და სიკუდილი.

ხოლო უკუეთუ საღმრთოი წერილი იტყუს: „ამისთუს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან", საცნაურ არს, ეითარმედ მრავალგზის საღმრთონი წერილნი რეცა ეითარცა გარდასრულად იტყუან მომავალსა რასმე. ეითარ-იგი თქუას რაი, ეითარმედ „ამისსა შემდგომად ქუეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა შორის იქცეოდა". და მაშინ ჯერეთ არღა სადა ხილულ იყო, არცა ქცეულ ღმერთი კაცთა შორის, რაჟამს ამას იტყოდეს. და კუალად „მდინარეთა ზედა ბაბილონისათა მუნ დაესხედით და ეტიროდეთ", – რომელი-ესე მაშინ თქუა წინაასწარმეტყუელმან, ოდეს-იგი ჯერეთ არღა ქმნილ იყო, არცა ერი იგი ტყუეობად მიცემულ იყო.

ხოლო უკუეთუ საღმრთოი წერილი იტყუს: „ამისთუს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან", შესწავებაი საჭმარ არს, ეითარმედ მრავალგზის საღმრთოი წერილი, ეითარცა გარდასრულისათუს, იტყუს ყოფადისათუს, ეითარ-იგი ეითარმედ „ამისსა შემდგომად ქუეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა თანა ექცეოდა". რამეთუ არცა გამოჩინებულ, არცა თანა-ქცეულ იყო ღმერთი კაცთადა, ოდეს ესენი ითქუმოდეს. და ეითარმედ „მდინარეთა ზედა ბაბილოენისათა მუნ დაესხედით და ეტიროდეთ", ხოლო არღა ქმნილ-იყენეს ჯერეთ ესენი.

80 /IV, 7/ მათდა მიმართ, რომელნი იკითხვოდენ, ეითარმედ ორი ბუნებაი შვაჰ-ა წმიდამან ღმრთისმშობელმან, ანუ ორი ბუნებაი დამოეკიდა-ა ძელსა?

თავი ა

ბუნებისა უკუე არს თჳს და საკუთარ, რაჟამს სთქუა აგენიტორ და გენიტორ ერთითა ნარითა დაწერილი, რომელი-ესე საცნაურ-
110v II ჰყოფს აგებულსა და აუგებელსა; ხოლო აგენიტორ და გენნიტორ არა ბუნებისა, არამედ გუამისა სახელი არს, რომელი-ესე ცხად-ჰყოფს შობილსა და უშობელსა, რაჟამს ორითა ნარითა დაწერილ იყოს.*

არს უკუე საღმრთოი იგი ბუნებაი აუგებელ, ხოლო შემდგომად საღმრთოისა მის ბუნებისა ყოველნი ბუნებანი აგებულ, ესე იგი არს, დაბადებულ არიან. ვინაიცა საღმრთოისა მის და აუგებელისა ბუნებისა გუამთა თჳსეყის უშობელობაი მამასა, რამეთუ არაეისგან იშეა, ხოლო შობილობაი – ძესა, რომელი-იგი პირველ საუკუნეთა მამისაგან იშეა, ხოლო გამომავალობაი – სულსა წმიდასა.

ხოლო თითოეული სახე ცხოველთაი პირველნი უკუე აგებულ არიან, რამეთუ დამბადებელისაგან აგებულ იქმნნეს და არა თუ მსგაჳსისაგან იშენეს. ხოლო აგებულობაი დაბადებულებასა მოასწაჳებს. და კუალად

ხოლო უკუეთუ საღმრთოი წერილი იტყუს: „ამისთუს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან", შესწავებაი საჭმარ არს, ეითარმედ მრავალგზის საღმრთოი წერილი, ეითარცა გარდასრულისათუს, იტყუს ყოფადისათუს, ეითარ-იგი ეითარმედ „ამისსა შემდგომად ქუეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა თანა ექცეოდა". რამეთუ არცა გამოჩინებულ, არცა თანა-ქცეულ იყო ღმერთი კაცთადა, ოდეს ესენი ითქუმოდეს. და ეითარმედ „მდინარეთა ზედა ბაბილოენისათა მუნ დაესხედით და ეტიროდეთ", ხოლო არღა ქმნილ-იყენეს ჯერეთ ესენი.

80 /IV, 7/ მკითხველთა მიმართ – უკუეთუ ორი ბუნებაი შვა წმიდამან ღმრთისმშობელმან, ანუ ორი ბუნებაი დამოეკიდა ჯუარსა

თავი ოთ

ბუნებისა უკუე არს აგენიტორ და გენიტორ, ერთითა ნარითა დაწერილი, რომელი ცხად-ჰყოფს აუგებელსა და აგებულსა. ხოლო აგენიტორ და გენნიტორ, არა ბუნებისა, არამედ გუამოენებისაი არს, რომელ არს უშობელი და შობილი, რომელი ორითა ნარითა წარმოიჩინების. არს უკუე საღმრთოი ეიდრემე ბუნებაი აგენიტორს, ესე იგი არს, აუგებელ, ხოლო ყოველნი შემდგომნი საღმრთოისა ბუნებისანი გენიტა, ესე იგი არს, აგებულ. 90v II

აწ უკუე იხილვების საღმრთოსა ეიდრემე და აგებულსა ბუნებასა შინა უშობელობაი უკუე მამისა თანა, რამეთუ არა იშეა, ხოლო შობილობაი ძისა თანა, რამეთუ მამისაგან იშვების სამარადისოდ, ხოლო გამომავალობაი სულისა წმიდისა თანა.

ხოლო თითოეულისა სახისა ცხოველთაისა პირველნი უკუე უშობელ არიან, რამეთუ შეიქმნნეს დამბადებელისა მიერ და არა თუ იშენეს მსგაჳსთაგან, რამეთუ შექმნაი აგებაი არს, ხოლო შობაი ღმრთისა ზედა ეიდრემე მხოლოისა მამისაგან თანა-არსისა ძისა გამობრწყინვებაი არს, ხოლო აგებულთა ზედა შეყოფითა მამლისა და დედლისაჲთა თანა-არსისა გუამისა შობაი, რომლისათუსცა ესცნობთ,

---

* **თარგმანი**: ამათ სიტყუათა ბერძულად დაწერისა მიზეზი ესე არს: რამეთუ ბერძენთა ოდენ ენითა მსგაჳს არიან სიტყუანი ესე-აგებული და შობილი და აგებულსა გენიტორ ჰქუან, რაჟამს ერთითა ნარითა დაიწეროს, ხოლო რაჟამს ორითა ნარითა დაიწეროს, ეითარმედ – გენნიტონ, მაშინ შობილად გამოითარგმანების [. . . . .] ბერძულად ამათი და [. . . . .] არცა კუალად სიტყუსა დაგდებაი [. . . . .] უდონო იყო. შემინდეეთ.

შობილობაჲ ითქუმის პირეელად უკუე სიტყუსათჳს ღმრთისაგან, რომელი-იგი მხოლოდ თანა-არსებით მამისაგან იშეა. ხოლო ჴორციელთა შობილობაჲ არს, რომელი-იგი შეყოფითა მამლისა და დედლისაჲთა იქმნების, რაჟამს შეან თანა-არსი გუამოვნებისა მაოისაჲ. ვინაიცა უწყით, ეითარმედ შობაჲ არა ბუნებისაჲ არს, არამედ გუამოვნებისაჲ. რამეთუ უკუეთუმცა ბუნებისა იყოჲ (sic), არამცა მასეე ერთსა ბუნებასა შინა იხილეებოდეს აგებულიცა და
111r I შობილიცა.

ვინაიცა წმიდამან ღმრთისმშობელმან გუამი შეა ორთა ბუნებათაგან შესწყეებული, რომელი-იგი უჟამოდ მამისაგან შობილი იყო ღმრთეებით. ხოლო უკუანაჲსკნელთა ჟამთა ჴორციით იშუა მისგან.

// ვინაიცა დაღაცათუ შეწუხნებოდინ მკითხ- 1116
ველნი იგი ამის პირისათჳს, რამეთუ ეთქუთ, ეითარმედ ორნი ბუნებანი შენა წმიდამან ღმრთისმშობელმან, გარნა ჩუენ ეგრეთცა კადნიერებით ვიტყუთ, ეითარმედ, ჰე, ორი ბუნებაჲ არს შობილი იგი ქალწულისაგან, რამეთუ ღმერთ არს და კაც იგიეე და ერთი. და ეგრეთეე ჯუარცუმისათჳს ვიტყუთ, აღდგომისა და ამაღლებისა, ეითარმედ არა ბუნებათანი არიან საქმენი ესე, არამედ გუამთანი. აწ უკუე ივნებდა რაჲ ქრისტე, ორნი ბუნებანი აქუნდეს, რომელთაგანი ენებული იყო ბუნებაი, ჯუარს ეცუა, რამეთუ ჴორციით ჯუარსა ზედა დამოკიდებულ იყო და არა ღმრთეებითა. ვინაიცა მკითხველთა მათ ჩუენთა ჴკითხაჳთ, ეითარმედ ორითა ბუნებითა მოკუდაჲა ქრისტე? და მოგუგონ რაჲ, ეითარმედ — არა, მიუგებთ, ეითარმედ არცა ორითაეე ბუნებითა ჯუარცუმულ არს, არამედ იშეა ქრისტე და განქაცნა სიტყუაჲ ღმრთისაჲ. ჴორციითა იშეა, ჴორციითა ჯუარს ეცუა და ჴორციითა მოკუდა, ხოლო უნებელად ეგო ღმრთეებითა.

81 /IV, 8/ თუ ვითარ პირმშოდ იწოდების მხოლოდშობილი ძე ღმრთისაჲ

თავი ჲა

პირმშო არს, რომელი პირეელ იშუას, გინა
111r II თუ მხოლოდშობილი იყოს, გინა თუ უხუცესი სხუათა ძმათაჲ.

ვინაიცა უკუეთუმცა ითქუმოდა უფალი ჩუენი პირმშოდ ძედ ღმრთისა და არამცა დაერთეოდა პირმშოობასა მხოლოდშობილობაჲ, ესრეთმცა გულისჴმა-ეყაეთ, ეითარმედ დაბადებულთა პირმშო არს იგი, ეითარცა ერთი დაბადებულთაგანი. ხოლო ვინაჲთგან ზოგად პირმშოდცა ეწოდების და მხოლოდშობილცა; ორსაეე ამას ჯერ არს შესწყეებაჲ მისთჳს, ვითარმედ პირმშოდ უკუე ეიტყუთ მას ყოველთა დაბადებულთა, რამეთუ იგიცა ღმრთისაგან არს და დაბადებულნიცა ღმრთისაგანეე არიან. გარნა ვინაჲდგან იგი მხოლოჲ არსებისაგან მამისა უჟამოდ შობილ

ეითარმედ არა ბუნებისაჲ არს შობაჲ, არამედ გუამოვნებისაჲ, რამეთუ უკუეთუმცა ბუნებისაჲ იყო, არამცა და მასეე და ერთსა ბუნებასა შინა იხილეებოდეს შობილი და უშობელი.

ვინაიცა გუამი შეა წმიდამან ღმრთისმშობელმან, ორთა ბუნებათა შინა ცნობილი: ღმრთეებითა ვიდრემე მამისაგან შობილი უჟამოდ, ხოლო უკუანაჲსკნელ ჟამსა შინა მისგან განჴორციელებული და ჴორციელად შობილი.

// ხოლო უკუეთუ მკითხველნი წინა-გჳყოფ- 1116
დენ, ეითარმედ „შობილი იგი წმიდისა ღმრთისმშობელისაგან ორი ბუნებაჲ არსა?“ ვეტყუთ, ეითარმედ — ჰშ, ორი ბუნებაჲ არს, რამეთუ ღმერთი არს იგიეე და კაცი. ეგრეთეე ჯუარცუმისათჳსცა აღდგომისა და ამაღლებისა ვიტყუთ, ეითარმედ არა ბუნებისა, არამედ გუამისანი არიან ესე. იენო ვიდრემე ქრისტემან, ორთა ბუნებათა[1] შინა მყოფმან, ენებულითა ბუნებითა და ჯუარს ეცუა, რამეთუ ჴორციით დამოკიდებულ იყო ჯუარსა და არა ღმრთეებითა. რაჟამს მრქუან ჩუენ მკითხველთა — „ორნი ბუნებანი მოკუდეს?“ და მიუგოთ — არა! აწ სადმე არცა ორნი ბუნებანი ჯუარცუმულ არიანო, მეტყუან, არამედ იშეა ჴორციით, იენო ჴორციით, მოკუდა ჴორციით, უენებელად დადგრომითა ღმრთეებისა მისისაჲთა.

81 /IV, 8/ ვითარ პირმშოდ იწოდების მხოლოდშობილი ძე ღმრთისაჲ

თავი ჲ

პირმშო არს პირეელ შობილი, გინა თუ მხოლოდ-შობილი, გინა უპირეელესი სხუათა ძმათაჲ.

აწ უკუე, უკუეთუმცა პირმშოდ ითქუმოდა ძე ღმრთისაჲ და მხოლოდ-შობილად არა ითქუმოდა, მოეგონეთმცა, ეითარმედ აგებულთა პირმშო არს იგი,[II] ეითარცა აგებული, ხოლო ვინაჲთგან პირმშოდ ითქუმის და მხოლოდშობილად და საქმარ არს ორისაეე დაცვაჲ მისი.[III] პირმშოდ უკუე ეიტყუთ მას ყოველისა აგებულისად, ვინაჲთგან იგიცა ღმრთისაგან არს, არამედ იგი ვიდრემე არსებისაგან ღმრთისა და მამისა, მხოლოი, უჟამოდ შობილი სამართლად ძედ, მხოლოდშობილად

[1] ბუნება DM. [II] <M. [III] მისთჳს M.

არს, ამისთუსცა ჯეროვნად სახელ-ედების მას ძედ ღმრთისა მხოლოდშობილად, პირმშოდ და არა პირეელ-ქმნულად. რამეთუ ქმნულნი და დაბადებულნი არა არსებისაგან მამისა არიან, არამედ ნებითა მისითა არა-არსისაგან არსად მოყვანებულ არიან.

ხოლო „პირმშოდ მრავალთა ძმათა შორის“[1] ამისთუს ეწოდების უფალსა, რამეთუ მხოლოდ-შობილ არს დედისაგანცა, ვინათგან გუეზიარა ჩუენ ჯორცითა და სისხლითა და მსგავს ჩუენდა კაც იქმნა. და ეიქმნენით ჩუენცა მის მიერ // ძე ღმრთისა შეილებისა 1117
მადლსა ღირს-ქმნულნი ნათლისღებისა მიერ. რაჟამს იგი თავადი ბუნებით ძე ღმრთისაჲ
111v I პირმშო ჩუენდა იქმნა მადლით და მონიჭებით ძე ღმრთისა ქმნულთა ამათ და მადლით ძმა მისსა ქმნულთა. ვინაჲცა იტყოდა: „აღვალ მამისა ჩემსა და მამისა თქუენისა“. არა თქუა, ეითარმედ – „მამისა ჩუენისა“, არამედ ცხადყო, ეითარმედ „მამისა ჩემისა“ ბუნებით, ხოლო „მამისა თქუენისა“ – მადლით. და – „ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა“. არა თქუა თუ „ღმრთისა ჩუენისა“, არამედ „ღმრთისა ჩემისა“, – განგებულებით და „ღმრთისა თქუენისა“ – ბუნებით. ხოლო უკუეთუ განჰყო წულილადითა მოგონებითა ხილული იგი საცნაურისაგან, მაშინ საცნაურსა მას ღმრთეებაჲ განესაკუთროს, ეითარცა უფალ[სა] [და] დამბადებელსა და ჩუენთჳს [ოდ]ენ ითქუას მამაჲ ღმერთად, ეითარმედ „ღირთისა თქუენისა“.[2]

პირმშოდ და არა პირეელ დაბადებულად ითქუმოდის, რამეთუ აგებულნი არა არსებისაგან მამისა, არამედ ნებითა მისითა არა არსისაგან არსებად მოეიდეს. 91r I

ხოლო „პირმშოდ მრავალთა ძმათა შორის“,[1] რამეთუ რომელი მხოლოდშობილ იყო მამისაგან,[2] ვინაჲთგან ეზიარა ჯორცთა და სისხლთა მსგავსად ჩუენსა და კაც-იქმნა და ეიქმნენით ჩუენცა მის მიერ // ძე ღმრთისაჲ, ეითარცა შეილებულნი ნათლისღებისა მიერ, თჳთ იგი ბუნებით ძე ღმრთისაჲ პირმშო იქმნა ჩუენ შორის დაბადებით და მადლით ძედ ღმრთისა ქმნულთა და ძმად მისსა გამოჩინებულთა, რომლისთჳსცა იტყოდა: „აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა“. არა თქუა – „მამისა ჩუენისა“, არამედ „მამისა ჩემისა“, ცხად არს, ეითარმედ – ბუნებით, და „მამისა თქუენისა“ – მადლით. „და ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა“, – არა თქუა – „ღმრთისა ჩუენისა“, არამედ „ღმრთისა ჩემისა“, უკუეთუ განჰყო წულილადითა მოგონებითა ხილული საცნაურისაგან, და „ღმრთისა თქუენისა“ – ეითარცა დამბადებელისა და უფლისა.[3]

მათდა მიმართ, რომელნი იკითხვიდენ, ვითარმედ შეკრბილისაგან, ანუ განსაზღვრებულისა რაოდენობად აღიყვანებიან ბუნებანი უფლისანი[3]

ბუნებანი უფლისანი არცა ერთ გუამ არიან, არცა განცხადება, არცა ასო, არცა ადგილი, არცა ჟამ, რაჲთა რაოდენობად აღიყვანებულ იქმნენ, რამეთუ ესენი არიან შეურებით აღსარიცხუველნი. ხოლო შეიერთებიან ბუნებანი უფლისანი შეურეენელითა გუამოენებითა და განიყოფებიან განუყოფელად სიტყუთა და სახითა განყოფისაჲთა. და რომლითა სახითა
111v II შეიერთებიან, მითა არა აღირიცხუეიან, რამეთუ არა ვიტყუთ ორ გუამად ბუნებათა ქრისტესთა, ანუ ორთა გუამთა შინა მყოფად. ხოლო რომლითა სახითა განუყოფელად განიყოფჳენ, მითეე აღირიცხუეიან, რამეთუ არიან ბუნებანი იგი სიტყუთა და სახითა განყოფისაჲთა, რამეთუ შეიერთებიან გუამოენებით და ურთიერთას დაეტეეიან, რაჟამს შეურეენელად შეიერთნენ შეცეალებისაგან თაეისუფლებით, რამეთუ არა მიითუალეენ შეცეალებასა, არამედ თითოეული

მკითხველთა მიმართ, ვითარმედ შერწყუმულისა ანუ განსაზღვრებულისაგან აღიყვანებიან რაოდენობად ბუნებანი ქრისტენი[4]

ჯა

ბუნებანი უფლისანი არცა ერთ სახელ არიან, არცა ეპიფანია, არცა წარხიდულ, არცა ადგილ, არცა ჟამ, რათა შერწყუმულისაგნ რაოდენობად აღიყუანენ, რამეთუ ესენი არიან შერწყუმით აღსარიცხუველნი, ხოლო შეიერთებიან ბუნებანი უფლისანი გუამოენებით შეურეენელ და გახიყოფეიან სიტყუთა და სახითა განყოფისაჲთა განუწეალებელად და, რომლითა უკუე სახითა შეიერთებიან, არა აღირიცხუეიან, რამეთუ არა ვიტყუთ, ეითარმედ ორნი გუამნი არიან ბუნებანი ქრისტესნი, ანუ ორნი გუამოენებისაებრ. ხოლო რომლითა გუარითა განუწეალებელად განიყოფებიან,[1] აღირიცხუეიან, რამეთუ ორნი არიან ბუნებანი სიტყუთა და გუარითა განყოფისაჲთა, რამეთუ გუამოენებით შეერთებულნი და ურთიერთას დატეენულნი შეურეენელად შეიერთებიან

[1] რომ., 8, 29.
[2] გრიგ. ნოს., ენე. წინ., წ. III.
[3] ეს ქებათაჲ ძირითადად იმეორებს ეფრემის თარგმანის 52-ე თაეს. დედან'ში არ გეხედება. იხ. ჩუენი გამოკელეეის გე. 82-83.

[1] რომ., 8, 29.
[2] დედან'ში ერთეის „და დედისაგან“ (καὶ ἐκ μητρός).
[3] გრიგ. ნოს., ენე. წინ., წ. III.
[4] იხ. ჩუენი გამოკელეეის გე. 82-83. შდრ. ეფრემის თარგმანი, გე. 294-295.
[1] განიყოფჳიან M.

მათი პმარხაეს ბუნებითსა თუთებასა თუსსა და შემდგომადცა შეერთებისა, რამეთუ აგებული ეგო აგებულად და აუგებელი – აუგებელად.

იმისთუსცა სახითა ოდენ განყოფილებისაჲთა აღირიცხუეიან და განსაზღერებულისაგან რაოდენობად აღიყუანებიან, რამეთუ შეუძლებელ არს აღრიცხუეაჲ მათი, რომელნი არა-რაით განიყოფებოდინ, ხოლო რომლითა განიყოფებოდინ, მითუე აღირიცხუეიან, ეითარ იგი პეტრე და პაელე, სიტყუთა რაჲ არსებისაჲთა შემოკრიბნე, არცა არიან, არცა ითქუმიან ორ ბუნებად, ხოლო გუამითა განიყოფებიან და ორ გუამად აღირიცხუეიან, ვინაიცა განყოფილებაჲ არს მიზეზ აღრიცხუეისა.

ურთიერთასისა მიმართსა გარდაცუალებასა არა მიმთუალეელნი, არამედ თუსისა თითოეულისასა ბუნებითსა განყოფილებასა დამცეელნი შემდგომად შეერთებისაცა, რამეთუ აგებული ეგო აგებულად, და აუგებელი – აუგებელად.

აწ უკუე მხოლოდ გუარითა ოდენ განყოფილებისაჲთა აღრიცხულნი განსაზღერებულისაგან აღიყუანებიან რაოდენობად, რამეთუ შეუძლებელ არს აღრიცხუეაჲ არა რაჲთ განყოფილთაჲ, ხოლო ვითარ-იგი განიყოფვიან, ეგრეთ აღირიცხუეიანცა, ვითარცა, სახედ, პეტრე და პაელე, ვითარ-იგი შეიერთებიან, არა აღირიცხუეიან, რამეთუ სიტყუთა არსებისაჲთა შეერთებულნი ორ ბუნება არა არიან, არცა ითქუმიან, ხოლო გუამითა განყოფილნი ორ გუამოვნებად ითქუმიან, ვინაიცა განყოფილებაჲ არს მიზეზ რიცხუსა. 91r II

82 /IV, 9/ სარწმუნოებისათჳს და ნათლისღებისა

თავი კბ

აღვიარებთ უკუე „ერთსა ნათლისღებასა
112r I მოსატევებელად ცოდვათა“[1] და ცხორებად საუკუნოდ. რამეთუ ნათლისღებაჲ სიკუდილსა უფლისასა მოასწაებს, ვინაჲთგან „დაევფლევით ქრისტეს თანა ნათლისღებისა მიერ“, – ვითარცა იტყჳს საღმრთოჲ მოციქული.[2] ამისთჳსცა ვითარ-იგი ერთგზის აღესრულა სიკუდილი უფლისაჲ, ეგრეთვე ერთგზის ჯერ-არს ნათლისღებაჲ. ხოლო ნათელს ვიღებდით რაჲ სიტყჳსაებრ უფლისა, სახელსა ზედა მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა ნათელს-ვიღებთ,[3] რამეთუ გუესწაებების აღსაარებაჲ მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲ. აწ უკუე რაოდენთა მამისა მიმართ და // ძისა
1120 და სულისა წმიდისა ნათელს-უღებიეს და ერთი ბუნებაჲ სამთა მათ გუამთა ღმრთეებისაჲ უსწაეიეს და კუალად ნათელს-იღებენ ესეეითარნი იგი, კუალად ჯუარს აცუმენ უფალსა, ვითარცა იტყჳს საღმრთოჲ მოციქული, ვითარმედ „შეუძლებელ არს ერთგზის ნათელ-ღებულთაჲ მათ“... და შემდგომი ამისი. და კუალად იტყჳს განახლებულთათჳს სიანულად თანა ჯუარ-ცუმად თაეთა მათთა ძესა თანა ღმრთისასა და განქიქებად.[4] ხოლო რაოდენთა არა ყოელად წმიდისა სამებისა მიმართ ნათელს-უღებიეს, მათდა ჯერ-არს, რაჲთა კუალად ნათელ-იღონ.

რამეთუ დიაცა თუ იტყჳს საღმრთოჲ მოციქული, ვითარმედ: „ქრისტეს მიმართ და სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ“.[5] გარნა არაეე ესრეთ ჯერ-არს, რაჲთა ქრისტეს ოდენ სახელი მოიჴსენებოდის ჟამსა მას

[1] რომ., 6, 4.
[2] კოლას., 2, 12.
[3] მათე, 28, 19.
[4] ებრ., 6, 4-6.
[5] რომ., 6, 3.

82 /IV, 9/ სარწმუნოებისა და ნათლისღებისათჳს

თავი კბ

ხოლო აღვიარებთ „ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა“[1] და ცხორებად საუკუნოდ. რამეთუ ნათლისღებაჲ სიკუდილსა უფლისასა ცხად-ჰყოფს. „თანა დაევფლევით უკუე უფალსა ნათლისღებისა მიერ“, ვითარცა იტყჳს საღმრთოჲ მოციქული.[2] და ვითარ-იგი ერთგზის სრულ-იქმნა სიკუდილი უფლისაჲ, ეგრეთვე ერთგზის ჯერ-არს ნათლისღებაჲ, ხოლო ნათლისღებაჲ სიტყჳსაებრ უფლისა: სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა[3] განსწაელულთაგან აღსაარებასა მამისა და ძისა და სულისა წმიდისსა. აწ უკუე რაოდენნი მამისა მიმართ და // ძისა და
1120 სულისა წმიდისა ნათელღებულნი და სამთა გუამთა შინა ერთსა ბუნებასა ღმრთეებისასა განსწაელულნი, კუალად ნათელს იღებენ იგინი, კუალად ჯუარს აცუმენ ქრისტესა, ვითარცა იტყჳს საღმრთოჲ მოციქული.

ვითარმედ შეუძლებელ არს ერთგზის განათლებულთაჲ მათ და შემდგომსა კუალად განახლებაჲ სინანულად[I] ქრისტეს თანა კუალად ჯუარცუმითა თაეთაჲთა და განქიქებითა.[4] ხოლო რაოდენთა არა წმიდისა სამებისა მიმართ ნათელს იღეს, მათ ჯერ-არს კუალად ნათლისცემაჲ.

რამეთუ დაღათუ იტყჳს მოციქული, ვითარმედ: „ქრისტეს მიმართ და სიკუდილისა მისისა ნათელ-ვიღეთ“.[5] არა ამას იტყჳს, ვითარმედ ამის[II] წოდებისა ქმნაჲ ჯერ-არსო

[1] რომ., 6, 4.
[2] კოლას., 2, 12.
[3] მათე, 28, 19.
[4] ებრ., 6, 4-6.
[5] რომ., 6, 3.

[I] სინაულად M. [II] ამისი DM.

r II ნათლისღებისასა. რამეთუ ამას ოდენ იტყჳს მოციქული არა სახელისა მოჴსენებისათჳს, არამედ ეითარმედ სამგზის შთაყოფითა ემბაზსა შინა სამთა მათ დღეთა გამოუსახავს ნათლისღებაჲ, რომელნი დაყენა ქრისტემან საფლავსა შინა. აწ უკუე ქრისტჱს მიმართ ნათლისღებაჲ მოასწავებს მისსა მიმართ მორწმუნეთა ნათლისღებასა, რამეთუ შეუძლებელ არს ქრისტჱს მიმართ რწმუნებაჲ, უკუეთუ არა პირველად განვისწაულნეთ აღსაარებად მამისა მიმართ და ძისა და სულისა წმიდისა. რამეთუ ქრისტე არს ძე ღმრთისა ცხოველისაჲ, რომელსა სცხო მამამან სულითა წმიდითა, ეითარცა იტყჳს საკურველი დაჳით: „ამისთჳს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისაჲ უმეტეს მოყუასთა შენთა“[1] და ესაია, ეითარცა პირითა უფლისაჲთა იტყჳს: „სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლისათჳსცა მცხო მე“.[2]

ხოლო თუ ეითარითა სახელის წოდებითა ჯერ-არს ნათლისღებაჲ ესე უფალმან ასწავა მოწაფეთა თჳსთა და პრქუა, ეითარმედ: „ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“.[3] რამეთუ ვინაჲთგან უხრწნელებისათჳს შემჴმნა ჩუენ ღმერთმან, ხოლო გარდავჰკჳდით რაჲ საცხორებელსა მას მცნებასა მისსა, ხრწნილებითა და სიკუდილითა დამსაჯნა, რაჲთა არა უკუდავ იყოს ბოროტი იგი. და გარდამოჴდა რაჲ სახიერებით, ჩუენ თანა [და]მდაბლებითა და
112v I მსგაჳს ჩუენდა იქმნა, კუალად გამომიჴსნნა ხრწნილებისაგან თჳსთა ენებათა მიერ და აღმომიცჳნა უხრწნელისა და წმიდისა გუერდისა მისისაგან წყაროჲნი მოტეჳებისანი, // წყალი უკუე აღმოსაშობელად და განსაბანელად ხრწნილებისაგან და სიკუდილისა, ხოლო სისხლი მომატყუებელად ცხორებისა საუკუნოჲსა. და მომცნა ჩუენ მცნებად, რაჲთა წყლისა მიერ და სულისა აღმოეიშეებოდით სახელის-დებითა და წოდებითა წმიდისა სამებისაჲთა და საბანელსა მას ზედა გარდამოსლვითა სულისა წმიდისაჲთა. რამეთუ ვინაჲთგან მრჩობლ შეზაჲებულ არს ,ეაცი სულისაგან და ჴორცთა, ამისთჳსცა მრჩობლი განწმედაჲ მომცა ჩუენ წყლისა მიერ და სულისა. სულისა მიერ უკუე ჴეშმარიტებასა და მსგაჳებასა ჩუენსა განაახლებს, ხოლო წყლისა მიერ მადლითა სულისაჲთა ჴორცთა ხედჳასა განჰბანს და ხრწნილებისაგან განგუათაჳისუფლებს. და სიკუდილისა ხატებასა აღაჳებს წყლითა, ხოლო ცხორებისა წინდსა მოგუანიჭებს სულითა,[4] რამეთუ დასაბამითგან „სული ღმრთისაჲ იქცეოდა ზედა წყალთა“.[5] და ზემოჲთგანეე წამებს წერილი წყლისათჳს,

ნათლისღებასა შინა, არამედ ეითარმედ სახე ქრისტჱს სიკუდილისაჲ არს ნათლისღებაჲ. რამეთუ სამთა შთაყოფათა მიერ სამთა დღეთა საუფლოჲსა დაფლჳისათა ცხად-მყოფს ჩუენდა ნათლისღებაჲ. ვინაჲცა ქრისტჱს მიმართ ნათლისღებაჲ მისსა მიმართ მორწმუნეთა ნათლისღებასა წარმოაჩინებს. ხოლო შეუძლებელ არს ქრისტჱს მიმართ მორწმუნეყოფაჲ არა განსწაულთაგან აღსაარებასა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲ. რამეთუ ქრისტე არს ძე ღმრთისა ცხოველისაჲ, რომელსა სცხო მამამან სულითა წმიდითა, ეითარცა იტყჳს საღმრთოჲ დაჳით: „ამისთჳს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულ/ისაჲ უმეტეს მოყუასთა შენთა“.[1] და ესაია – პირისაგან უფლისა: „სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლითაცა მცხო მე“.[2]

რამეთუ წოდებისაჲ უკუე მასწაველი თჳსთა მოწაფეთაჲ უფალი იტყოდა: „ნათელსცემდითო მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.[3] რამეთუ ვინაჲთგან უხრწნელებისათჳს შემჴმნა ჩუენ ღმერთმან, ხოლო გარდარაჲ-ეჰკჳდით საცხორებელსა მცნებასა მისსა, ხრწნილებითა სი- 91v I
კუდილისაჲთა დამსაჯნა, რათა არა უკუდავ იყოს ჭორცი.[4] მერმე თანა შთამოსრულმან მონათა თჳსთამან, ეითარცა კაცთ-მოყუარემან და ჩუენებრ ქმნილმან ენებისა თჳსისა მიერ მიჳსნნა ჩუენ სიკუდილისაგან, რაჟამს წყარო-ყო ჩუენდა უხრწნელისა და წმიდისა გუერდისა თჳსისაგან წყაროჲ მოტეჳებისაჲ, // წყალი უკუე კუალად შობისათჳს და განწმედისა ცოდჳისა და ხრწნილებისა, ხოლო 1121
სისხლი სასუმლად მომატყუებელად ცხორებისა სამარადისოჲსა და მცნებად მომცა ჩუენ, რათა მეორედ ეიშეებოდით წყლისა მიერ და სულისა და ეედრებისა მიერ და წოდებისა წყალსა ზედა დანერგულისა სულისა წმიდისაჲთა. ხოლო[1] ვინაჲთგან მრჩობლ არს ,ეაცი სულისაგან და ჭორცთა, მრჩობელი მომცა ჩუენ განწმედაჲცა წყლისა მიერ და სულისა, რათა სულმან უკუე ჩუენ შორისი იგი ხატებაჲ და მსგაჳებაჲ განაახლოს, ხოლო წყალმან მადლითა სულისაჲთა ჴორცნი ცოდჳისაგან განწმიდნეს და ხრწნილებისაგან განათაჳისუფლნეს[II] და რათა სიკუდილისა ეიდრემე ხატსა[III] /ს/რუ/ლ/-ჳყოფდეს, ხოლო წინდსა ცხორებისასა მიანიჭებდეს სული.[5]

რამეთუ დასაბამსა „სული ღმრთისაჲ იქცეოდა წყალთა ზედა“ [6] და ზემოჲთგან წამებს

[1] ფსალმ., 44. 8.
[2] ესაია, 61, 1.
[3] მათე, 28, 19.
[4] გრიგ. ნაზ., I ეპისტ. კლედონ; ბასილი დიდი, ნათლისღებისათჳს, I, 12.
[5] შეს., I, 2.

[1] ფსალმ., 44. 8.
[2] ესაია, 61, 1.
[3] მათე, 28, 19.
[4] დედანში: „ ἵνα μὴ ἀθάνατον ᾖ τὸ κακόν.
[5] გრიგ. ნაზ., I ეპისტ. კლედონ; ბასილი დიდი, ნათლისღებისათჳს, I, 12.
[6] შეს., I, 2.

[1] რამეთუ M. [II] განათაჳისუფლოს M. [III] +წყალი M.

ეითარმედ განსაწმედელი არს, რამეთუ ნოეს ზე წყლითა წარღუნნა ღმერთმან ცოდვანი
112v II აცთანი. და ჳჯულსა შინა ყოველი არა წმიდაჲ წყლითა განწმდებოდის. და თუთ მათ სამოსელთაცა წყლითა განრცხაჲ ებრძანებოდის.

და კეთილად ელიაცა აჩუენა მადლი სულისაჲ წყალსა თანა შეზავებული, რამეთუ წყლითა დაწუნა ყოელად დასაწუველნი იგი. და განცხადებულად შჯულსა შინა ყოველიე წყლითა განწმდებოდის, რამეთუ ხილულნი ესე სახე არიან უხილავთა მათ და საცნაურთა. აწ უკუე აღმოშობაჲ იგი სულისაჲსუს იქმნების, რამეთუ სარწმუნოებამან ჩუეულებად მიიღო მრავალთა ცხოენებაჲ და პატიჳსა შვილებისასა აღყვანებაჲ. დაღაცათუ იყუნენეე მონა და დაბადებულ და პირეელისაჲე ნეტარებისა ღირს-მყოფელ არს მქონებელთა მისთა.

ხოლო ესე ცხად იყაენ, ეითარმედ მოტეეებაჲ ცოდეათაჲ ყოველთაჲე სწორად მიეცემის ნათლისღებისა მიერ, ხოლო მადლი სულისაჲ საზომისაებრ თითოეულისა სარწმუნოებისა და წინა-განწმედისა განეყოფის. რამეთუ მიერითგან ნათლისღებისა მიერ დასაბამსა სულისა წმიდისასა მოვიღებთ და დასაბამ სხჳსა ცხორებისა მექმნების ჩუენ მეორედ შობაჲ იგი და ბეჭედ და მცეელ და განმანათლებელ. ხოლო საჴმარ არს ყოელითა ძალითა განკრძალულად დაცაჲ თაეთა ჩუენთაჲ ყოველთაგან საქმეთა ბილწებისათა,
113r I რაჲთა არა კუალად პირეელსაე ნათხევარსა მიეეკცეთ თითოეული მსგაესად ძაღლთაჲსა და ესრეთ კუალად მონა ცოდეისა ეყენეთ თავნი ჩუენნი,[1] რამეთუ სარწმუნოებაჲ თჳნიერ საქმეთაჲსა მკუდარ არს და ეგრეთეე საქმენი თჳნიერ სარწმუნოებისა.

ხოლო ნათელს-ეიღებთ სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა, რამეთუ ესე საცხებელი წმიდისა სამებისაჲ ეცხების ნათელ-ღებულთა შესამტკიცებელად და საცხორებელად მინიჭებითა მით სულისა წმიდისაჲთა, რამეთუ შეუძლებელ არს // არა მუნეე ყოფაჲ სამაეე გუამთაჲ, ეინაჲთგან ურთიერთას განეყოფელ არს წმიდაჲ სამებაჲ.[2] ხოლო სახენი და პირეელითგან მოსწავებანი ნათლისღებისანი ესე არიან:

ა) პირეელი უკუე არს ნოეს ზე ქმნილი იგი წყლით რღუნაჲ, რომელი იქმნა გარდასაკუთელად ცოდეისა;

ბ) მეორედ ზღუსა მიერ და ღრუბლისა გამოსახებაჲ, რამეთუ ღრუბელი სახე იყო სულისა წმიდისაჲ, ხოლო ზღუაჲ — წყლისა;

გ) მესამედ შჯულსა შინა ქმნილი იგი, რამეთუ ყოველი არა წმიდაჲ წყლითა განწმდებოდის, და ოდესმე სამოსელთაცა განწერილი, თუ ვითარ განწმედელობითი არს წყალი. რამეთუ ნოეს ზე წყლითა წარღუნა ღმერთმან მსოფლიოჲ ცოდვაჲ. წყლისა მიერ განწმდების შჯულისაებრ ყოველი არა წმიდაჲ და თუთ იგი სამოსელნიცა განრცხილნი წყლითა.

აჩუენა ელია მადლი სულისაჲ შეყოფილი წყალსა თანა, აღმაგზებელმან წყლითა, ყოველად დასაწუველთამან. და ქნინ და ყოველნიეე წყლითა განწმდებიან შჯულისაებრ, რამეთუ ხილულნი ხატნი არიან საცნაურთანი. ვინაჲცა მეორედ შობაჲ სულისა მიმართ მიიწეეის, რამეთუ სარწმუნოებამან[1] უწყის მადლით შვილ-ყოფაჲ სულისა მიერ, ჩუენ დაბადებულთა ამათ და პირეელისა მის ნეტარებისა მიმართ კუალად გებაჲ.

აწ უკუე მიტეეებაჲ ვიდრემე ცოდეათაჲ ყოველთა სწორებით მიეცემის ნათლის-ღებისა მიერ, ხოლო მადლი სულისაჲ შემხგავსებულად სარწმუნოებისა და წინაგანწმედისა. რომლისათჳსცა აწ დასაბამსა სულისა წმიდისასა მოვიღებთ ნათლისღებისა მიერ და დასაბამ სხჳსა ცხორებისა იქმნების ჩუენდა მეორედ შობაჲ და ბეჭედ და მცეელ და განმანათლებელ. ხოლო საჴმარ არს ყოელითა ძალითა შეკრძალეილ დაცეაჲ თაეთა თჳსთაჲ წმიდად მწინაულეეანთა[1] საქმეთაგან, რაჲთა არა კუალად, ეითარცა თჳსისა ნათხევარისა მიმართ მიქცეულთა ძაღლთა, მონად ცოდეისა გამოვაჩინნეთ კუალადცა თაჳნი,[1] რამეთუ სარწმუნოებაჲ, თჳნიერ საქმეთაჲსა, მკუდარ არს, ეგრეთეე საქმენი, თჳნიერ სარწმუნოებისა, 91v II
ეინაჲთგან ჯეშმარიტი სარწმუნოებაჲ საქმეთა მიერ გამოიცდების.

ხოლო ნათელს-ეიღებთ წმიდისა სამებისა მიმართ, რამეთუ ნათელღებულთა უკმს მადლი წმიდისა სამებისაჲ, რაჲთა მტკიცე-ჰყოფდეს და იპყრობდეს მათ, ხოლო შეუძლებელ არს ეითარმცა // არა ურთიერთას ზოგად იყენეს
1124 სამნიეე გუამნი, რამეთუ განეყოფელ არს წმიდაჲ სამებაჲ.[2]

და პირეელი ვიდრემე ნათლისღებაჲ წყლით რღუნისაჲ იყო გარდასაკუთელად ცოდეისა.

მეორე — ზღუსა მიერ და ღრუბლისა, რამეთუ სახე იყო ღრუბელი უკუე სულისაჲ, ხოლო ზღუაჲ — წყლისაჲ.

მესამე — შჯულიერი, რამეთუ ყოველი არაწმიდაჲ წყლითა განიბანებოდა, განირცხებოდეს

[1] II პეტრ., 2, 22.
[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 40.

[1] II პეტრ., 2, 22.
[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 40.
[1] სარწმუნებამან M. ‖ მწიკულეეანთა M.

რცხაი ებრძანებოდის და ამით ყოელითა სახე ნათლისღებისაი წინა-მოესწაებოდა;

113r II დ) მეოთხედ ნათლისცემაი იგი იოანესი წინა-მომწოდებელი და სინანულად მომყუანებელი ნათელ-ღებულთაი მათ, რაითა პრწმენეს ქრისტეს მიმართ, რამეთუ იტყუს: „მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო შემდგომად ჩემსა მომავალმან მან ნათელ-გცეს სულითა წმიდითა და ცეცხლითა“.[1] ესრეთ უკუე წინა განსწმედდა იოანე სულისათუს წყლისა მიერ;

ე) მეხუთე უკუე იყო თუთ სრულებაი ნათლისღებისაი უფლისა მიერ ქმნილი ნათლისღებითა მით, რომლითა მან ნათელ-იღო. ხოლო ნათელს-იღო არა თუ თუთ მოქნე იყო განწმედისაი, არამედ ჩემსა განწმედასა განისაკუთრებდა და თჳსად მიიჩემებდა, რაითა „შემუსრნეს თავნი[ი] ეჳშაპთანი წყალთა შინა“[2] და რაითა წარღუნას ცოდეაი, რაჟამს ყოელითურთ ძუელი ადამ დაჰფლას წყალთა შინა, რაითა წმიდა-ყოს ნათლისმცემელი და რაითა აღასრულოს შჯული და რაითა განაცხადოს სამებისა წმიდისა საიდუმლოი და რაითა სახე და საბაძეელ მექმნეს ჩუენ ნათლისღებისა, რამეთუ ჩუენცა სრულსა მას ნათლისღებასა უფლისა მიერსა ნათელს-ვიღებთ წყლითა და სულითა.

ხოლო რამეთუ თქუმულ არს ცეცხლითა ნათლისცემაი ქრისტეს მიერ, ცხად არს, ეი-
113v I თარმედ ცეცხლისა ენებითა გარდამოსრულსა მას მოციქულთა ზედა ქადაგებს მადლსა მამისასა, ვითარ-იგი პრქუა მათ უფალმან, ვითარმედ „იოანე ნათელ-სცემდა წყლითა, ხოლო თქუენ ნათელ-იღოთ სულითა წმიდითა და ცეცხლითა არა მრავალთა ამათ დღეთა შემდგომად“.[3] გინა თუ ესრეთცა ვთქუა, ვითარმედ ცეცხლითა ნათელ-სცემს ქრისტე ურწმუნოთა მერმისა მის საუკუნოჲსა ჟამსა მტანჯველობისასა.

ე) მეექუსე ნათლისღებაი არს ცრემლითა სინანულისაჲთა, რომელი-იგი ფრიად საჭირო და სატკიეარ არს;

ზ) მეშჳდე ნათლისღებაი არს სისხლითა წამებისაჲთა, რომლითა მან თავადმან უფალმან ჩუენთჳს ნათელს-იღო. რომელი იგი ფრიად პატიოსან და სანატრელ არს, რამეთუ მეორითა ცოდვისა ბიწითა არღარა შეიმწიკულების;

თ) მერეე და დასასრულისა ნათლისღებაი არს უკუანაჲსკნელი იგი არღარა საცხორებელი, არამედ ბოროტისა // მომსპოლველი, რა- 1125 92r I
მეთუ მაშინ ეერღარა მოქალაქობდენ ცოდეაი და სიბოროტე, მიერითგან ვინაჲთგან მიეცნენ ცოდვილნი ცეცხლსა გჰენნიისასა საუკუნოდ დაშჯად ეშმაკსა თანა.

ხოლო რაჲსათჳს ხილვითა ტრედისაჲთა გარდამოჴდა სული წმიდაი უფლისა ზედა, სამოსელნი და ეგრეთ იქმნებოდა შესლვაი ბანაკად.

მეოთხე – იოვანესი, რომელი შემყუანებელობითი იყო და სინანულად მომყუანებელი ნათელ-ღებულთაი, რათა ქრისტეს მიმართ მორწმუნე იქმნენ. რამეთუ „მე ნათელ გცემო თქუენ წყლითა,– იტყოდა,– ხოლო შემდგომად ჩემსა მომაჯალმან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა“.[1] ვინაიცა წინაჲსწარ განსწმედს იოანე სულისათჳს წყლითა.

მეხუთე – ნათლისცემაი უფლისაი, რომელი მან ნათელ-იღო. ხოლო ნათელ-იღო, არა თუ ვითარცა მას უჭმდა განწმედაი, არამედ ჩემსა განითჳსებდა განწმედასა, რათა „შემუსრნეს თავნი ეეშაპთანი წყალთა შინა“,[2] რათა წარღუნას ცოდეაი და ყოელითურთ ძუელი ადამ დაჰფლას წყალსა შინა, რათა წმიდა-ყოს ნათლისმცემელი, რათა აღასრულოს შჯული, რათა გამოაცხადოს საიდუმლოი სამებისაი, რათა სახე და მაგალით გუექმნას ჩუენ ნათლისღებისა მიმართ. ხოლო ნათელს ვიღებთ ჩუენცა სრულსა მას ნათლისღებასა უფლისასა წყლისა მიერ და სულისა.

ხოლო ცეცხლითა ნათლისმცემელად ითქუმის ქრისტე, რამეთუ ხილვითა ცეცხლისა ენათაჲთა მოჩნინა მოციქულთა ზედა მადლი სულისა წმიდისაი, ვითარცა თქუა თუთ მან უფალმან, ვითარმედ: „იოჳანე უკუე ნათელ-სცემდა წყლითა, ხოლო თქუენ ნათელ-იღოთ სულითა წმიდითა და ცეცხლითა არა მრავალთა შემდგომად ამათ დღეთა“,[3] ანუ თუ ყოფადსა საუკუნესა მტანჯველობითითა მით ნათლისცემითა ცეცხლისაჲთა.

მეექვსე – სინანულისა და ცრემლთა მიერი იგი, ნამდჳლეე სატკიეარი.

მეშვიდე – სისხლთა და წამებისა მიერი, რომელი თავადმან ქრისტემანცა ნათელ-იღო ჩუენთჳს, ვითარცა ფრიად საქებელი და სანატრელი, რომელი არღარა შეიბღალების მეორეთა ბიწთა მიერ.

მერეე – დასასრულისა იგი, არა საცხორებელი, არამედ უკეთურებისა // ვიდრემე მომსპობელი, რამეთუ არღარა მოქალაქობენ ცოდეაი და უკეთურებაი ხოლო, მტანჯველი დაუსრულებელად.

ჴორციელითა უკუე სახითა, ვითარცა ტრედი, გარდამოჴდა სული წმიდაი უფალსა ზედა,

[1] მათე. 3, 11.
[2] ფსალმ., 73, 13.
[3] საქმე მოც., 1, 5.

[1] მათე. 3, 11.
[2] ფსალმ., 73, 13.
[3] საქმე მოც., 1, 5.

113v II ცხად არს, ეითარმედ დასაბამსა ჩუენისა ნათლისღებისასა აჩუენებდა და პატივ-სცემდა და ჴორცთა მათ ჩუენგან მიღებულთა, ვინაჲ პირეელითგანვე წესად ჩუეულებისა აქუს ტრედსა ხარებაჲ დაცხრომასა წყლით რღუნისასა. ხოლო კუალად წმიდათა მოციქულთა ზედა ამისთჳს ხილეითა ცეცხლისაითა გარდამოჴდა იგიეე სული წმიდაჲ, რამეთუ ღმერთ არს. და ღმერთი ცეცხლ შემწუელ არს და განმლეველ[1] ყოელისა სიბოროტისა.

ხოლო ზეთი იგი ცხებისაჲ ჟამსა ნათლისღებისასა საცხებელსა მოასწაევებს და ცხებულ-მყოფს ჩუენ და საღმრთოსა მას საცხებელსა მახარებს ჩუენ, რომელი მოგუეცემის სულისა წმიდისა მიერ. რამეთუ რტოიცა (sic) ზეთისხილისაჲ მოიღო ტრედმან მახარებელად დაცხრომისა წყლით რღუნისასა.

და რამეთუ დიდ არს საქმარებაჲ ნათლისღებისაჲ და თჳნიერ მისსა შეუძლებელ არს ცხორებაჲ, ესე გუესწაევების, რამეთუ თუთ წინამორბედმანცა იოანე ნათელ-იღო პირეელად ჴელის დადებითა თხემსა საუფლოსა და ამისსა შემდგომად თჳსითა სისხლითა.

ვინაცაცა არა ჯერ-არს დროებაჲ ანუ გარემიქცეაჲ ნათლისღებისაჲ. არცაღა კუალად ორგულებაჲ ნათელღებულთა ცხოენებისათჳს,
114r I უკუეთუ ოდენ სარწმუნოებაჲ იგი ნათლისმღებელთაჲ საქმეთა მიერ სარწმუნო იქმნას. ხოლო რომელი ზაკუეით მოუჴდეს ნათლისღებასა, ესევითარი-იგი უმეტესად დაშჯილ იქმნეს უწროის, ვიდრეცა სარგებელ იყოს.[2]

83 /IV, 10/ სარწმუნოებისათჳს

თაჲი აბ

მრჩობლ უკუე არს სარწმუნოებაჲ, ვინაჲთგან არს სარწმუნოებაჲ სმენითაცა,[3] რამეთუ გუესმოდიან რაჲ წმიდანი წერილნი, // გურწამს მოძღურებაჲ იგი სულისაჲ, რომელი-ესე სრულ-ქმნილ არს ყოელთა ზედა შჯულ-დებულთა ქრისტეს მიერ, რაჲთა ამით სახითა მოიგებდენ სრულებასა მას, რაჟამს საქმით სარწმუნო-ყონ ღმრთის მსახურებაჲ აღსრულებითა მცნებათაჲთა და მოქმედებითა ბრძანებათა მათ განმაახლებელთა ჩუენთაჲთა, რამეთუ რომელსა არა მოძღურებისაებრ მოცემულისა ჩუენდა კათოლიკე ეკლესიასა შინა პრწმენეს, ანუ რაჲთამცა თავს-იდვას ზიარებაჲ ბოროტთა საქმეთა საეშმაკოთაჲ, ესეეითარი იგი ურწმუნო არს.

ხოლო კუალად არს სარწმუნოებაჲ „მოსაეთა მათ ძალ, საქმეთა მამხილებელ არა ხილულთა“,[4] ესე იგი არს, შეურორგულებელი და უეჯული სასოებაჲ კეთილთა მათ ღმრთისა მიერ ჩუენდა აღთქუმულთაჲ და მიმთხუეისა

[1] ებრ., 12, 21.
[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 40.
[3] რომ., 10, 17.
[4] ებრ., 11, 1.

მაჩუენებელი დასაბამსა მას ნათლისცემისა[1] ჩუენისასა და პატივისმცემელი ჴორცთაჲ, ვინაჲთგან ესენიცა, რომელ არიან ჴორცნი, განღმრთობითა – ღმერთ. და ამას თანა ზემოთგან ჩუეულ არს ტრედი ხარებასა წყლით რღუნისა დაცხრომისასა. ხოლო წმიდათა მოციქულთა ზედა ცეცხლის სახედ მოვიდა, რამეთუ ღმერთ არს, ხოლო ღმერთი „ცეცხლ განმლეველ არს“.[1]

ზეთი მოიღებეის ნათლისღებასა შინა ცხებულებისა წარმოსაჩინებელად[1] და ცხებულ-მყოფელად ჩუენდა და აღმთქუმელად ჩუენდა სულისა წმიდისა მიერისა მოწყალებასა ღმრთისასა, ვინაჲთგან ქუერი ზეთისხილისაჲ მოართუა ტრედმან წყლით რღუნისაგან განრორმილთა მათ.

ნათელ-იღო იოვანე ჴელის-დადებითა სალმრთოსა თაესა ზედა მეუფისასა და თჳსითაცა სისხლითა.

არა საქმარ არს დროებაჲ ნათლისღებისაჲ, რაჟამს საქმეთა მიერ იწამოს სარწმუნოებაჲ მომაეალისაჲ. ხოლო ზაკუეით მომავალი ნათლისღებად უფროისღა დაიშჯების, ვიდრე სარგებელ იყოს.[2]

83 /IV, 10/ სარწმუნოებისათჳს

თაჲი აბ

სარწმუნოებაჲ ვიდრემე მრჩობლი არს, რამეთუ არს სარწმუნოებაჲ სმენისაგან,[3] რამეთუ გუესმოდინ რაჲ საღმრთონი წერილნი, // ეარწმუნებთ მოძღურებასა სულისასა. ხოლო 1128
ესე სრულ-იქმნების ყოელისა ქრისტეს მიერ შჯულდებულისა საქმით რწმუნებითა, კეთილად მსახურებითა და მცნებათა განმაახლებელისა ჩუენისათა ქმნითა. რამეთუ რომელსა არა მოცემისაებრ კათოლიკე ეკლესიისა ჰრწმენეს, ანუ უჯეროთა საქმეთა მიერ ეზიარებოდის ეშმაკსა, ურწმუნო არს.

არს კუალად სარწმუნოებაჲ „სასოებადთა გუამ, საქმეთა მამხილებელ არა ხილულთა“[4] შეურყეველი და შეუორგულებელი სასოებაჲ ღმრთისა მიერ აღთქუმულთაჲ ჩუენდა და ლოცვათა ჩუენთა მიმთხუეისაჲ. და პირეე-

[1] ებრ., 12, 21.
[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 40.
[3] რომ., 10, 17.
[4] ებრ., 11, 1.

[1] ნათლისღებისა M. [2] წარმოსაჩინებელად M.

თხოვათა ჩუენთაისაი. აწ უკუე პირველი იგი
114r II სარწმუნოებაი ჩუენისა გონებისაი არს, ხოლო მეორე მადლთა მიერ სულისათა. არამედ ესე საცნაურ იყაენ, ეითარმედ ნათელ-ყიღოთ რაი, მყის წინა-დავიცუეთთ შობითგანსა მას საბურველსა, რომელ არს ცოდვაი და ეიქმნებით სულიერ ისრაიტელ და ერ ღმრთისა.

84 /IV, 11/ საუფლოჲსა ჯუარისათჳს, რომელსა შინა არს და სარწმუნოებისათჳსცა

თაეი კდ

„სიტყუაი იგი ჯუარისაი წარწყმედულთა მათთუს სიცოფე არს, ხოლო ჩუენ ცხოვნებულთა ამათთუს ძალ ღმრთისა არს“.[1] „რამეთუ სულიერი ყოველსაე განიკითხაეს, ხოლო მშუნეიერი კაცი არა რას შეიწყნარებს სულისასა“.[2] რამეთუ სიცოფე არს არა სარწმუნოებით შემწყნარებლობაი და ორგულებაი სახარებათა მიმართ და ყოველისა შემძლებელობათა ღმრთისათა, არამედ კაცობრიეთა და ბუნებითითა გულის სიტყუთა გამოძიებაი საღმრთოთა საქმეთაი, რამეთუ ღმრთისა საქმენი ყოველნი უზეშთაეს არიან ბუნებისა და სიტყუსა და ცნობისა. და უკუეთუ ვინმე გულს ეტყოდის, ეითარმედ ეითარ არა არსისაგან არსად მოყუანებულ ეიქმნენით; და თუ რაჲსათუს დაჰბადა ღმერთმან ყოველი, ამათ ესეეითართა უკუეთუ ბუნებითითა გულის
114v I სიტყუთა მიწდომაი ენებოს, ვერ მისწუთების, რამეთუ მშუნეიერ არს ესეეითარი იგი ცნობაი და საეშმაკო. ხოლო უკუეთუ ვინმე სარწმუნოებისა მის ჴელ-პყრობილ იქმნეს განცდად სახიერებასა და ყოველისა შემძლებელობასა და ჭეშმარიტებასა და სიბრძნესა და სიმართლესა ღმრთისასა, ეპოოს მას ყოველიეე ეელ და ვაკე და გზა წრფელ. რამეთუ თუნიერ სარწმუნოებისა შეუძლებელ არს ცხოვნებაი, ვინაჲთგან სარწმუნოებაი არს შემომკრებელ ყოველთაეე საღმრთოთა და კაცობრეთა საქმეთა, რამეთუ ვერცა მუშაკი თუნიერ სარწმუნოებისა განაპებს ორნატთა ქუეყნისათა, ვერცა ეაჯარი მცირითა ძელითა შეჰკადრებს მიცემად სულსა თჳსსა სიღრმეთა ზღუსა მძუნვარისათა. ვერ იქმნებიან ქორწინებანი, ვერცა სხუანი რაჲ ცხორებისა ამის განგებულებანი.

სარწმუნოებით ვსცნობთ ყოველისაეე ამის არა-არსისაგან არსად ღმრთისა მიერ მოყუანებასა ძლიერებითა მით ყოველისა შემძლებელობისა მისისაჲთა და ყოველსაეე საღმრთოსა და კაცობრიესა სარწმუნოებით წარვჰმართებთ. ხოლო სარწმუნოებაი არს
114v II გამოუძიებელი დაჯერებაი საქმეთაი.

ვინაცა დაღაცათუ ყოველნი საქმენი და საკჳრველებანი ქრისტესნი დიდ არიან და

[1] I კორინთ., 1, 18.
[2] I კორინთ., 2, 15.

ლი უკუე ჩუენისა ჯერ-ჩინებისაი არს, ხოლო მეორე მადლთა სულისათაი. სათანადო არს უწყებად, ეითარმედ ნათლისღებისა მიერ წინა-დავიცუეთთ ყოველსა შობითგანსა საბურველსა, რომელ არს ცოდვაი და სულიერად ისარაწლად და ერად ღმრთისა საცნაურ-ეიქნებით.

84 /IV, 11/ ჯუარისათჳს, რომელსა შინა არს სარწმუნოებისათჳსცა

თაეი კდ

„სიტყუაი ჯუარისა წარწყმედულთათჳს უკუე 92r II
სიცოფე არს, ხოლო ჩუენ ცხოენებულთათჳს ძალი არს ღმრთისაი,“[1] რამეთუ სულიერი ეიდრემე ყოველსა განიკითხაეს, ხოლო მშუნეიერი კაცი არა შეიწყნარებს სულისათა“.[2] რამეთუ სიცოფე[1] არიან არა სარწმუნოებით მიმთუალველთა და სახიერებისა და ყოველისა შემძლებელობისა ღმრთისა მომჴსენებელთა, არამედ კაცობრივითა და ბუნებითითა გულის სიტყუთა გამომძიებელთათჳს – საღმრთონი, ვინაჲთგან ყოველნი ღმრთისანი ზესთა ბუნებისა და სიტყუსა და მოგონებისა არიან. რამეთუ უკუეთუ ვინმე იგონებდეს, თუ ეითარ არა ყოფისაგან ყოფად და რაჲსათუს მოიყუანნა ღმერთმან ყოველნი და ბუნებითთა გულის სიტყუთა მიერ[1] მიწთომაი ენებოს ამისი, ვერ მისწუთების. რამეთუ მშუნეიერი არს მეცნიერებაი იგი. ხოლო უკუეთუ ვინმე სარწმუნოებისა მიერ ჴელ-ყორობილმან სახიერად და ყოველად ძლიერად და ჭეშმარიტად და ბრძნად და მართლად ჰგონოს ღმერთი, ეპოოს ყოველი წრფელად და ვაკედ და განტკეცილად გზად. რამეთუ თუნიერ სარწმუნოებისა შეუძლებელ არს ცხორებაი, რამეთუ სარწმუნოებითა შემტკიცებიან ყოველნი სულიერნი და კაცობრივნი. რამეთუ არცა მუშაკი თუნიერ სარწმუნოებისა განაპებს ურნატთა ქუეყნისათა, არცა ვაჯარი მცირითა შეშითა მისცემს სულსა თჳსსა უფსკრულსა მღელვარისა ზღუსასა, არცა ქორწინებანი სრულ იქმნებიან, არცა რაჲ სხუაჲ ცხორებისა საქმეთაგანი.

სარწმუნოებით გულისჴმა-ეჰყოფთ არა-არსისაგან არსებად საღმრთოჲთა ძლიერებითა მოყუანებასა ყოველთასა [დ]ა [ს]არწმუნოებით წარვჰმართებთ საღმრთო/თ/ა და კაცობრიეთა ყოველთა. ხოლო სარწმუნობაჲ ა[რს] [გ]ამოუწულილველი თანა-სათნო-ყოფაი.

ყოველნი უკუე საქმენი და საკჳრველთ-მოქმედებანი ქრისტესნი დიდ არიან და საღმრთო და

[1] I კორინთ., 1, 18.
[2] I კორინთ., 2, 15.
[1] სიცრუე BM. " მიერი M.

საღმრთო და საკურველ, არამედ ყოველთა უსაკურველეს არს პატიოსანი ჯუარი, რამეთუ რაჲთა სხჳთა განქარდა სიკუდილი, ანუ რაჲთა დაჰჴნდა // პირველისა მის მამისა ცოდვაჲ და ჯოჯოხეთი წარმოიტყუენა და მოგუეცა შეურაცხ-ყოფაჲ არა ხოლო საწუთროსა, არამედ სიკუდილისაჲცა? ანუ რაჲთა წარემართა პირველადვე ნეტარებად აღსლვაჲ და ბჭეთა სამოთხისათა განხუმაჲ ანუ ბუნებისა ჩუენისა მარჯუენით ღმრთისა დაჯდომაჲ, შეილ ღმრთისა და თანა-მკუდრ მისსა ქმნაჲ? ანუ არა ჯუართა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რამეთუ მის მიერ[1] ესე ყოველი წარემართა? რომლისათჳს იტყჳს მოციქული, ეითარმედ „რაოდენთა ნათელ-ვიღეთ ქრისტეს მიმართ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ“.[2] და „რაჲთდენთა (sic) ქრისტჱს მიმართ ნათელ-ვიღეთ, ქრისტე შევიმოსეთ“,[3] რამეთუ „ქრისტე არს ძალი და სიბრძნე ღმრთისაჲ“.[4] აჰა, ესერა სიკუდილმან ქრისტესმან, რომელი იქმნა ჯუარითა, გუამოვანი იგი სიბრძნე და ძალი ღმრთისაჲ შეგუმოსა ჩუენ, რამეთუ ძალ ღმრთისა არს სიტყუაჲ იგი ჯუარისაჲ, ესე იგი არს, რამეთუ მის მიერ განმეცხადა ჩუენ
115r I ძლევაჲ სიკუდილისაჲ და ეითარმედ ძლიერ არს ღმერთი. და გინა თუ ამითცა, რამეთუ ეითარცა ოთხნი იგი კიდენი ჯუარისანი საშუალისა მისგან სამშჯულისა იპყრობებიან და შეიკრვიან, ეგრეთვე ძლიერებითა ღმრთისაჲთა იცვებიან და იპყრობებიან სიმაღლე და სიღრმე, სიგრძე და სიერცე. ესე იგი არიან ყოველნივე ხილულნი და უხილავნი ბუნებითნი.

ესე სასწაული მოეცა შობილთა ჩუენთა, ვითარ, სახედ, წინა-დაცუეთაჲ ისრაჱლთა, რაჲთა არა მის მიერ მორწმუნენი ურწმუნოთაგან განვიყოფებოდით და შეეისწავებოდით. ესე არს ფარ და საჭურველ და საძლეველ მტერისა. ესევე არს ბეჭედ, რაჲთა არა შემეხოს ჩუენ მომსრეელი სიტყუსაებრ წერილისა:[5] ესე არს მდებარეთა აღდგომაჲ, მდგომარეთა სიმტკიცე, უძლურთა კუერთხი, მწყემსთა არგანი, ჭელის ამპყრობელი მოქცეადთაჲ, სრულებაჲ წარმართებულთაჲ, საცხორებელი სულთა და ჶორცთაჲ. ყოველთა ბოროტთა გარე-მიმაქცეელი, ყოველთა კეთილთა მომატყუებელი, ცოდვათა მომსპოლეელი, ნერგი აღდგომისაჲ, ხე ცხორებისა საუკუნოსაჲ.

ესე პატიოსანი ძელი ჭე̃შმარიტად სამსახურებელ და პატიოსან არს, რომელსა ზედა
115r II მსხუერპლად ჩუენთჳს შეწირა ქრისტემან თაჲი თუსი, ამისთჳსცა შუენის მას ჯეროვანი

[1] დედანში: διὰ σταυροῦ, თუმცა ზოგ მარუსკრიპტში დადასტურებული ყოფილა ეარიანტიც - δι' αὐτοῦ.
[2] რომ., 6, 3.
[3] გალატ., 3, 27.
[4] I კორინთ., 1, 24.
[5] გამოსლვ., 12, 23.

საკურველ, არამედ ყოველთაჲსა უსაკურველეს არს პატიოსანი ჯუარი მისი. რამეთუ არა რომლისა სხჳსა მიერ განქარდა სიკუდილი, ანუ პირველისა მამისა ადამის[1] შეცოდებაჲ
და წამისა და მოძრაეობისა და პირუტყულისა
სულისა ნაწილისა წინა-განეწყეების შჯულსა
გონებისა ჩემისასა, რომელ არს სუნიდისი და
წარმტყუენაეს მე და მნებებელსა შჯულისა 99v I
ღმრთისასა და მოყუარებასა" და არა მნებებელსა ცოდვისასა სიწყლტუითა[1] გემოვნებისაითა და გულისთქუმითა ჴორცთაჲთა და
პირუტყუჲთა კერძოჲთა სულისაჲთა, ეითარცა
ეთქუ, მაცთუნებს და მარწმუნებს დამონებასა
ცოდვისასა.

არამედ „ღმერთმან შეუძლებელი შჯულისაჲ,
რომელსა შინა უძლურ იყო ჴორცთა მიერ,
მოაელინა ძე თჳსი მსგავსებითა ჴორცთა
ცოდეისაითა"[1] და ჴორცნი უკუე მიიხუნა,
ხოლო ცოდეაჲ არასადა, და „დასაჯა ჴორცთა
ცოდვაჲ, რათა სიმართლე შჯულისაჲ აღესრულოს მათ შორის, რომელნი „არა ჴორცთაებრ
ელენან, არამედ სულისაებრ",[2] რამეთუ „სული
თანა შეეწევის უძლურებასა ჩუენსა"[3] და მიანიჭებს ძალსა შჯულსა გონებისა ჩუენისასა
დასამჴობელად შჯულსა ასოთა ჩუენთასა,
რამეთუ „რაჲ ვიელოცოთ, ეითარ-იგი ჯერ-არს,
არა უწყით, არამედ თჳთ იგი სული მეოხ არს

[1] ხელნაწერში ეს სიტყვა ორჯერ წერია.
[2] რომ., 8, 3.
[3] რომ., 8, 4.
[4] რომ., 8, 26.

[1] რომ., 8. 3.
[2] რომ., 8. 4.
[3] რომ., 8, 26.
[1] <M. ▫ მოყუარესა M. ▫▫ სიწყულტოთა M.

უსიტყუელითა. ესე იგი არს, რამეთუ მასწავებს ჩუენ თუ რაჲ ვილოცოთ. // ვინაჲცა შეუძლებელ არს თუნიერ მოთმინებისა და ლოცვისა მოქმედებაჲ მცნებათა ღმრთისათაჲ.

1201

ჩუენთჳს სულთქუმითა უსიტყუელითა“, ესე იგი არს, მასწავებს ჩუენ, თუ რაჲ ვილოცოთ. ვინაჲცა შეუძლებელ არს თუნიერ მოთმინებისა და ლოცვისა ქმნაჲ მცნებათა უფლისათაჲ.

96 /IV, 23/ პურიათათჳს და შაბათობისათჳს

თავი ეე

შაბათი ეწოდების მეშუდესა დღესა, ხოლო შაბათობაჲ განსუენებად გამოითარგმანების, რამეთუ მას შინა განისუენა ღმერთმან ყოველთაგან საქმეთა თჳსთა,[1] ვითარცა იტყჳს საღმრთოჲ წერილი, ვინაჲცა დაწესებულ იქმნა, რაჲთა შუდადმდე აღეიდოდის რიცხჳ დღეთაჲ და კუალად გარე-მოიქცეოდის და პირველითგან დაიწყებოდის. ესე უკუე რიცხჳ შუდისაჲ პატივ-ცემული იყო ებრაელთა მიერ, რამეთუ ღმერთმან უბრძანა მათ პატიჲი ამისი არა
131v I ლიტონად და ვითარ დახუდა, არამედ ფრიადთა და მძიმითა განკანონებითა. და არაჲე თუნიერ საიდუმლოჲსა, არამედ საიდუმლოებითა რაჲთმე სულიერითა და მხედველით მიერ გულისჴმის-საყოფელითა მიზეზითა.[2]

ხოლო ვითარ-ესე მე ესცნობ ყოველად უსწავლელი ესე, მას ეიტყოდი და ქუეშოთა და უზრქელესთა მიზეზთაგან დამწყებელ ვიქმნებოდი. უწყოდა ღმერთმა სიზრქე და ჴორცთ-მოყუარებაჲ და ყოველითურთ ნიეთთ მიდევნებულებაჲ იგი ისრაჱლთა ერისაჲ, ამას თანა უმშჯაჳრობაჲცა და ამისთჳს განაწესა შაბათობაჲ, პირველად უკუე მონათა და ქარაულთა განსუენებისათჳს,[3] ვითარცა წერი[ლ] [ა]რს, რამეთუ „კაცსა მართალსა ეწყალიან სულნი საცხოჳართა თჳსთანი“.[4] ამას თანა, რაჲთა მოცალებაჲცა მისცეს მათ ნიეთთა მიმართისა განბნეულებისაგან ღმრთისა მიმართ შემოკრებად და „ფსალმუნითა და გალობითა და ქებითა სულიერითა“[5] და წურთით წმიდათა წერილთაჲთა ყოელისა მის მეშუდისა დღისა საღმრთოდ წარგებად და საღმრთოდ განსუენებად.

რამეთუ ოდეს იგი არა იყო შჯული, არცა წერილნი ღმრთიე-სულიერნი, მაშინ არცა შაბათი საღმრთოდ განუთნიელ იყო. ხოლო ვინაჲთგან ღმრთიე-სულიერნი წერილნი მოსეს მიერ მოეცნეს, მაშინღა განეკუთვნა ღმრთისა შაბათიცა, რაჲთა მოცალებაჲ მოეცეს
131v II წურთისათჳს საღმრთოთა წერილთაჲსა და რაჲთა რომელთა არა ყოველნი დღენი მათნი ღმრთისადა განეკუთნენ, იგიღა სადმე დღე შაბათისაჲ წურთასა მათსა შინა წარაგონ. რამეთუ ვითარ-ესე ეთქუ, მათთჳს დაწესებულ იყო შაბათი, რომელნი არა სურვილით ჰმსახურებდენ ღმერთსა, ვითარცა მამასა, რაჲთა

96 /IV, 23/ დასამკობელად პურიათა და შაბათისათჳს

თავი ეე

შაბათად მეშუდე დღე სახელ-იდების, ხოლო ცხად-ჰყოფს განსუენებასა. რამეთუ მას შინა განისუენა ღმერთმან საქმეთა მისთაგან,[1] ვითარცა იტყჳს საღმრთოჲ წერილი. რომლისათჳსცა ვიდრე შუდადმდე აღმავალი რიცხჳ დღეთაჲ კუალად მოიქცეების და პირველისაგან დაიწყებს. ესე რიცხჳ პატივცემულ არს ებრაელთა მიერ, ღმრთისაგან მბრძანებელობითა პატივისა მისისაჲთა, არა ვითარ დამთხუეით, არამედ მძიმეთა პატიჟთა დასხმითა გარდამავალთათჳს. ხოლო არა ლიტონად ებრძანა[1] ესე, არამედ საიდუმლოდ გულისჴმის-საყოფელთა რამე სულიერთა და მხედველობითთა მიზეზთათჳს.[2]

ვინაჲცა ვითარ-ესე უსწავლელობისა ჩემისადა საყონებელ არს, რათა უმდაბლესთაგან ვყო დასაბამი სიტყჳსაჲ, უწყოდა ღმერთმან სიზრქე და ჴორცთ-მოყუარებაჲ და ყოველითურთ ნიეთთა დამონებულებაჲ ისრაჱლთა ერისაჲ, ამას თანა განუნახველობაჲცა და პირველად უკუე: „რათა მონამან და კარაულმან განისუენონ,[3] – ეითარცა წერილ არს, – ვინაითგან კაცი მართალი სწავლობს სულსაცა საცხოვართა თჳსთასა“.[4] ამას თანა, რათა მოცალეცა იქმნებოდინ ნიეთთა მიმართისა მოსწრაფებისაგან და ღმრთისა მიმართ შემოკრებოდინ, და ფრინველთა მიერ და „ჭალობათა და ქებათა სულიერთა“.[5] და წურთასა შინა საღმრთოთა წერილთასა წარაგებდენ ყოველსა მას მეშუდესა დღესა და ღმრთისა თანა განისუენებდენ.

რამეთუ ოდეს იგი არა იყო შჯული, არცა ღმრთიე-სულიერი წერილი, არცა შაბათი განეკუთნოდა ღმერთსა, ხოლო რაჟამს ღმრთიე-სულიერი წერილი მოსეს მიერ მიეცა,[6] განეკუთნა ღმერთსა[7] შაბათი, რათა მას შინა წურთისა 99v II მისისათჳს მოცალე იყუნენ, რომელთა არა განეკუთნოს ღმრთისადა ყოველი ცხორებაჲ მათი, რომელნი არა სურვილით ჰმონებდენ მეუფესა, ვითარცა მამასა, არამედ ვითარცა უგულისჴმონი მონანი მცირედსაღა თუ და ქინსა კერძოსა ცხორებისა მათისასა ღმერთ-

[1] შეს., 2, 2.
[2] გრიგ. ნაზ., სიტ., 41.
[3] მეორე სჯ., 5, 14.
[4] სიბრ. სოლ., 12, 10.
[5] ეფეს., 5, 19.

[1] შეს., 2, 2.
[2] გრიგ. ნაზ., 41.
[3] მეორე სჯ., 5, 14.
[4] იგავ., 12, 10.
[5] ეფეს., 5, 19.
[6] უბრძანა M. [7] მოცა M. ■ <M.

ვითარცა მონათა უმეცართა მცირედღა სადმე და უნდოდ ნაწილი ცხორებისა მათისაგან განუკუთნონ ღმერთსა. და ესე ყონ შიშითა შერისხვისაჲთა და პატიჟის მიქდით[ა] გარდამავალთა თანა-მდებობისაჲთა.

რამეთუ „მართალთა შჯულ[სა] არა-უც“,[1] არამედ უსამართლოთა, ამისთვსცა პირველად უკუე მოსე მრჩობლნი ორმეოცნი იმარხნა და ამით მსახურ // ღმრთისა იქმნა, რომლითა 1204
ცხად არს, ეითარმედ უეჭველად დღეთა მათ შინა მოღუაწებისა მისისათა შაბათიცა დახუდა, რომლისათჳს შჯული უბრძანებდა, რაჲთა შაბათსა შინა არა აჭირეოს თავსა თუსსა, ხოლო იგი მარხვითა განჰლეედა ჯორცთა თუსთა. ხოლო უკუეთუ ეინმე იტყოდის, ეითარმედ პირველ შჯულისა იყო ესე, რაჲღა სთქუა ელიაჲსთჳს თეზბიტელისა, რომელმანიგი ორმეოცისა დღისა გზაჲ წარელო ერთითა ჭამითა, რამეთუ ესე არა ხოლო მარხვითა, არამედ მოგზაურობითაცა დააშრობდა თავსა თუსსა და დაჰჭსნიდა შაბათთა მათ, რომელნი დახუდეს ორმეოცთა მათ დღეთა შინა და არაეე განურისხნა მას მომცემელი შჯულისაჲ,
132r I არამედ ეითარცა მისაგებელად სათნოებისა, ქორებს გამოუწრდა მას. ანუ რაჲღა ეინ თქუას დანიელისათჳს? არა სამნი შჯდეულნი უზმად გარდაიჭადნა-ა? ანუ რაჲღა თქუნ ყოელისა ისრაჱლისათჳს – არა შაბათსა შინა ყრმასა წინა-დასცუთიანა, იყვის თუ რეაჲ დღისაა? ანუ არა დიდისა მის მარხვისათჳსცა შჯულდებულ იყო-ა, რაჲთა არა დააცადონ მარხეაჲ მისი, დაღაცათუ შაბათსა დახუდეს, ანუ არა მღდელთა და ლევ[ი]ტელთა საქმესა მას შინა კარვისასა შაბათი შეურაცხ-ყვიანა და უბრალო იყვნიან? არამედ პირუტყუცა თუ შთავარდის მთხრებლსა შაბათსა შინა, რომელმან აღმოიყვანის უბრალო იყვის, ხოლო რომელმან უგულებელს-ყვის, ბრალეულ იქმნის. გინა რაჲ ეთქუათ ყოელისა ისრაჱლისათჳს, ანუ არა შჯდ დღე გარე-შემოელითა კიდობნისა უფლისაჲთა და სცენსა ზღუდენი იერიქოჲსანი და შჯდთა მათ დღეთა შინა უეჭველად შაბათიცა დახუდა?[2]

ამის ყოელისა მიერ ცხად არს, ეითარმედ, ეითარ-იგი პირველ ეთქუ, ღმრთისა მიმართ მოცალეობისათჳს, რაჲთა მცირედი რაჲმე ნაწილი მისცენ ღმრთსა და რაჲთა განუსუენონ კარაულთა და მონათა, მოპოენებულ იქმნა შაბაოთჲსჲ იგი ჯერეთ ჩრულთა მათთჳს და რომელნი-იგი „ნიეთთა ამის სოფლისათა დამონებულ იყვნეს“.[3] ხოლო მოიწია რაჲ
132r II აღსასრული ჟამთაჲ, მოაელინა ღმერთმან ძე თუსი მხოლოდ-შობილი განკაცებად დედაკაცისაგან და ყოად იგი შჯულისა ქუეშე, რაჲთა შჯულსა ქუეშე მყოფნი მოისყიდნეს და რაჲთა ჩუენ „შეილობაჲ იგი მოვიღოთ“,[4]

[1] I ტიმ., I, 9.
[2] ათან. ალექს., წინადაცუეთისათჳს და შაბათისა.
[3] გალატ., 4, 3.
[4] იქვე, 4–5.

რამეთუ „მართალსა შჯულსა არა უც“,[1] არამედ უსამართლოსა. ვინაჲთგან პირველად მოსე ორმეოცთა დღეთა და კუალად სხუათა ორმეოცთა მარხვით მოქნე // ექმნა ღმერთსა, უეჭველად შაბათთაცა შინა დააშრობდა თავსა თუსსა მარხვისა მიერ და ამას მბრძანებელობასა შინა შჯულისასა, რაჲთა არა დააშროს თაეი თუსი შაბათსა დღესა. ხოლო უკუეთუ იტყოდინ, ეითარმედ პირველ შჯულისა იყოო ეგე, რაჲ თქუან თეზბიტელისა ელიაჲსათჳს, რომელმან-იგი ორმეოცისა დღისა გზაჲ წარელო ერთითა[1] ჭამითა? რამეთუ ამან არა მარხვითა ხოლო, არამედ მოგზაურობითაცა და ორმეოცთა დღეთა შინა დამთხუეულთა შაბათთა ძურ-ხილულობითა დაჰჭსნა შაბათი, რომლისათჳს არა განურისხნა მას მომცემელი შჯულისაჲ, არამედ ეითარცა მოღუაწესაცა სათნოებისასა, ქორებს შინა გამოუცხადა მას თაეი თუსი. ანუ რაჲ თქუან დანიელისათჳს? არა სამნი შჯდეულნი გარდაელნაა უსაზრდელოდ? და რაჲ ყოელისა ისრაჱლისათჳს, არა წინა-დასცუეთდესა ყრმასა შაბათსა შინა, უკუეთუ დაემთხჳს რეა-დღისაობაჲ? ხოლო არა დიდი მარხეაჲცა, რომელი შჯულდებულ იყო,[2] უკუეთუ მიიწიის შაბათად, იმარხიანა? ანუ არა მღდელთაცა და ლევიტელთა საქმეთა შინა კარვისათა ჭსნილ ყვიანა შაბათი და უბრალო იყვნიან? არამედ პირუტყუცა, უკუეთუ მთხრებელსა შთავარდის, შაბათსა აღმომყვანებელი უკუე უბრალო, ხოლო უგულებელსმყოფელი დასაშჯელ იყვის? ხოლო კუალად რაჲ ყოველმან ისრაჱლმან არა შჯდ დღე კიდობნისა ღმრთისა მიმოღებითა დასცენესა ზღუდენი იერიქოჲსანი, რომელთა შინა უეჭველად იყო შაბათიცა?[3]

ესრეთ უკუე, ვითარცა ეთქუთ ღმრთისა მიმართისა მოცალებისათჳს, რათა მცირედღა თუ რაჲმე ნაწილი განუჩინონ მას, და რათა განისუენონ მონამან და კარაულმან, დაცეაჲ შაბათისაჲ მოპოენებულ იქმნა ჩრულთათჳს ჯერეთ და „ნივთთა ქუეშე სოფლისათა დამონებულთა მათ“,[4] რომელნი იგი ყოელად ჯორციელ იყვნეს და ეერა რას ზესთა ჯორცთა და წიგნისა გულისჴმის-ყოფად შემძლებელ იყვნეს. „ხოლო ოდეს მოიწია საესებაჲ ჟამისაჲ, გამოაელინა ღმერთმან ძე თუსი მხოლოდშობილი, კაც-ქმნილი დედაკაცისაგან, ქმნილი შჯულისა ქუეშე, რათა შჯულსა ქუეშე მყოფნი 100r I

[1] I ტიმ., I, 9.
[2] ლევ., 23, 27.
[3] ათან. ალექს., წინადაცუეთისათჳს და შაბათისა.
[4] გალატ., 4, 3.
[1] ერთისა M.

რამეთუ რომელთა შეიწყნარეთ იგი, „მოგუცა ჩუენ ჴელმწიფებაი შეილ ღმრთისა ყოფად, რომელთა გურწმენეს მისსა მიმართ“.[1] ვინაიცა არღარა ეართ მონა, არამედ შეილ, არღარა შჯულსა ქუეშე, არამედ მადლსა, არღარა კერძოდ და შიშისათჳს ეპმონებთ უფალსა, არამედ ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩუენისათა წადიერებით შეწირვად მისსა თანამდებ ვართ. და მარადის განსუენებად მონისა გულისწყრომასა[2] ეიტყუთ და გულისთქუმასა მონად, რაჲთა ყოველი გულისთქუმაი ჩუენი სამარადისოდ ღმრთისა მიმართ აღსყრობილ იყოს, ხოლო გულისწყრომაი ღმრთის მბრძოლთა მიმართ აღჭურეელ იყოს. და ეგრეთვე განუსუენებდეთ კაჰრაულსაცა, რომელ არიან ჭორცნი ესე ჩუენნი, რომელთა უჴმს, რაჲთა განუსუენოთ მონებისაგან ცოდჳისა და უბრძანოთ მოქმედებაი საღმრთოთა მცნებათაი.

ამას ესეეითარსა მიბრძანებს ჩუენ სულიერი იგი შჯული ქრისტესი, // რომლისა დამცველნი უეაღრეს მოსეს მიერ შჯულდებულთაჲსა ეიქმნებით,[3] რამეთუ მოვიდა რაჲ სრული იგი, „განქარდა კერძოჲ იგი“.[4] და საბურეელი რაჲ იგი შჯულისაი, ეიტყუ უკუე კრეტსაბმელისა 132v I ტაძრისასა, განიპო ჯუარცუმასა უფლისაჲ, მიერითგან გამობრწყინდა მადლი სულისაი განყოფითა ცეცხლისა ენათჲთა. განქარდა წერილი და დასცხრეს ჭორციელნი წესნი და მონებრივი რაჲ იგი შჯული აღესრულა, შჯული აზნაურობისაი მომენიჭა ჩუენ. ამისთჳსცა ედღესასწაულობთ სრულებითსა მას განსუენებასა კაცობრივისა ბუნებისასა, ეიტყუ უკუე წმიდასა მას დღესა აღდგომისასა, რომელსა შინა უფალმან იესუ, დასაბამმან ცხორებისამან და მაცხოვარმან, აღთქუმულსა მას მკუდრობასა შეიყვანნა სულითა და ჯეშმარიტებითა ღმრთის მსახურნი, სადაიგი თაეადი შეეიდა წინა-მორბედად ჩუენდა აღ-რაჲ-დგა მკუდრეთით და განეხუნეს მას ბჭენი ცათანი და მარჯუენით მამისა დაჯდა ჭორციელად, სადა-იგი აღიყუანებს ყოველთა, რომელთა დაიცჳან შჯული სულიერი.[5]

აწ უკუე ჩუენდა, რომელნი-ესე სულისა დამორჩილებულ ეართ და არა ჴოგნისადა, ჯერ-არს განშორებაი ყოველთაჳე ჭორციელთაი და სულიერითა მსახურებითა ღმრთისა შეერთებაი.

რამეთუ წინა-დაცუეთა ჩუენდა არს მოკუეთაი ნამეტნაჲისა და არა საჭიროჲსა ჭორცთა გემოჲსაი. ხოლო წინა-დაუცუეთელება არა რაჲ არს სხუა, თუნიერ ნამეტნაჲი იგი ტყაჲი გემოჳნებითისა მის ასოჲსაი. რამეთუ ყოველი გულისთქუმაი, რომელი არა 132v II ღმრთისა მიერ, ანუ ღმრთისა თანა იქმნებოდის,

[1] იოანე, 1, 12.
[2] ეს სიტყჳა ორჯერ წერია.
[3] II კორინთ., 3, 10.
[4] I კორინთ., 13, 10.
[5] ათან. ალექს., წინადაცუეთისათჳს და შაბათისა.

მოიყიდნეს, რათა შეილებაი იგი მიეიღოთ.[1] რამეთუ რაჲდენთა შეეიწყნარეთ იგი, „მოგუცა ჩუენ ჴელმწიფებაი შეილ ღმრთისა ყოფად მორწმუნეთა მისსა მიმართ“.[2] ვინაიცა არღარა ეართ მონა, არამედ შეილ, არღარა შჯულსა ქუეშე, არამედ მადლსა, არღარა კერძოდ მსახურნი უფლისანი შიშისათჳს, არამედ ყოველსა ჟამსა ცხორებისასა შეწირვად მისსა თანამდებნი და მონისა, გულისთქუმასა[3] ეიტყუ და გულისწყრომასა, მარადის განმსუენებელნი ცოდჳისაგან და ღმრთისა მიმართ მოცალებისა მბრძანებელნი გულისთქუმისა უკუე, ყოელისა მარადის ღმრთისა მიმართ აღმამაღლებელნი, ხოლო გულისწყრომისა წინა-აღმდგომსა ზედა ღმრთისა აღ/მჭურეელნი, და კარაულისა ეგრეთვე, რომელ არიან ჴორცნი, მონებისაგან ეიდრემე ცოდჳისა განმსუენებელნი, ხოლო მცნებათა ღმრთისათა მსახურ-ყოფისა მბრძანებელნი.

ამათ მიბრძანებს ჩუენ სულიერი შჯული 1205 ქრისტესი, // რომლისა დამცველნი უაღრეს იქმნნეს მოსეანისა შჯულისა.[3] რამეთუ მოსლვითა სრულისაჲთა „დაიჴსნა კერძოობითი“[4] და საშურეელსა მოსლეითა შჯულისასა, რომელ არს კრეტსაბმელი, ჯუარცუმასა მჴსნელისასა დაბრძარეითა და სულისა მიერ ენათა ცეცხლისათა გამობრწყინებითა წიგნი განქარდა და ჭორციელნი ყოველნი დასცხრეს, და შჯული იგი მონებისაი დასრულდა და შჯული აზნაურებისაი მოგუენიჭა ჩუენ. და ედღესასწაულობთ სრულსა განსუენებასა კაცობრივისა ბუნებისასა, დღესა ეიტყუ საცხორებელსა აღდგომისასა, რომელსა შინა უფალმან იესუ, დასაბამმან ცხორებისამან და მაცხოვარმან, შემოყუანნა ჩუენ აღთქუმულსა მას სამკუდრებელსა, რომლისა მიმართ თუთ შეეიდა წინამორბედად ჩუენდა, აღ-რაჲ-დგა მკუდრეთით და განეხუნეს მისდა ბჭესა ცათასა მარჯუენით მამისა დაჯდა კაცობრიე, სადა-იგი შეელენ უეჭუელად დამცველნიცა სულიერისა შჯულისაჲ.[5]

ეინაიცა ჩუენთჳს, სულისა და არა ჴოგნისადა შედგომილთათჳს, ყოველთაჳე ჭორციელთა განგებაი და სულიერი მსახურებაი და ღმრთისა მიმართ შეერთებაი არს სანატრელი შაბათობაი.[6]

ხოლო წინადაცუეთაი არს ჭორციელისა გემოჲსა და ნამეტნაჲთა და არასაჭიროთა განყრაი, ეინათგან წინადაცუეთაი არა რაჲ სხუაი არს, თუნიერ ტყაჲი, გემოჳნისა ასოჲსა ნამეტნაჲი. ხოლო ყოველი გემოჳნებაი, რომელი

[1] გალატ., 4, 4-5.
[2] იოანე, 1, 12.
[3] II კორინთ., 3, 10.
[4] I კორინთ., 13, 10.
[5] ათან. ალექს., წინადაცუეთისათჳს და შაბათისა.
[6] "სანატრელი შაბათობაი" დედანში არ გეხედება.

[1] თქმასა M.

ნამეტნავ გემოვნება არს, რომლისა სახე იყო წინა-დაუცუეთელობაი. ხოლო განსუენებაი შაბათისაი მოასწავებდა ცოდეისაგან დაცხრომასა და ორივე ესე ერთ არს. და რომელნი ამათდა სულიერად აღსრულებად მოსწრაფე იყვნენ, ესეიოთარნი იგი არცა მცირესა რას უშჯულოებასა შეიავარდენ.[1]

ამას ყოველსა თანა ესეცა საცნაურ იყაენ, ვითარმედ რიცხუ შუდისაი ყოველსაე მოქცეუასა ჯამთასა საცნაურ-ჰყოფს, ვითარცა იტყუს ბრძენი სოლომონ ვითარმედ: „ეც ნაწილ შჯდთა და მერმე რჟათაცა“.[2] და კუალად ღმრთიე-სწაელული დავით მერეისათუს რაი გალობდეს,[3] ცხად არს, ვითარმედ ყოფადსა მას ჟამსა მოასწავებს შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა. ამისთუსცა ბრძანებდა შჯული შაბათისა უქმობასა ყოველთაგან ჴორციელთა და მიდევნებად ყოველსაე სულიერსა ზრ[უ]ნეასა. ხოლო სულიერი და საიდუმლოი ბრძანებაი ესე იყო, რაჲთა ყოველნივე შჯდ მოქცეენი ჟამნი ჭეშმარიტისა მის ისრაჱლისანი, რომელ არს გონებაი მხილეელი ღმრთისაი, სათნოდ წარეგებოდინ თავსა თუსსა ღმრთისა შეწირეითა და ზეშთა ყოველთაე ჴორციელთა ქმნითა.[4]

არს ღმრთისა მიერ და ღმრთისა მიმართ იქმნებოდის, ნამეტაი არს გემოენებისაი, რომლისა 100r II
სახე არს წინადაცუეთაი. ხოლო შაბათ არს დაცხრომაი ცოდეისაგან, ვინაიცა იყუენ რაი ერთბამად ორნივე და ესრეთ ორნივე სულიერისა შჯულისა მიმდგომ იყუენ, არცაღა თუ მცირესა მოქმედებენ ცოდეასა.[1]

მერმეცა შესწაებულ იყაენ,[1] ვითარმედ რიცხუ შუდისაი ყოველსაე აწინდელსა ჟამსა ცხად-ჰყოფს, ვითარცა იტყუს უფროისად ბრძენი სოლომონ,[II] „მიცემად ნაწილისა შუდთა და რჟათაცა“.[2] და ღმრთიე-მზრახეალი დავით მერვისათუს რაი გალობდეს,[3] შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა ყოფადისა მის დაწყნარებისათუს გალობს. ესრეთ უკუე მეშუდე დღე უქმებასა ვიდრემე მოქმედებს[III] შაბათობისა მიერ, ხოლო სულიერთა და შეჴცეულისა[IV] და ჭეშმარიტსა ისრაჱლსა, რომელ არს გონებაი, მხილეელი ღმრთისაი უბრძანებს შჯული სულიერი, რათა ყოელითურთ შეწიროს თაჲი თუსი ღმრთსა და ზესთა ჴორციელთასა იქმნეს.[4]

97 /IV, 24/ ქალწულებისათუს

თაჲი ჸ8

ბოროტ რაიმე ჰყოფენ ჴორციელნი ქალწულებასა და საწამებელად შემოიღებენ გემოთ-მოყუარენი სიტყუასა მას, ვითარმედ
133r I „წყეულ იყაენ ყოველი, რომელმან არა აღადგინოს თესლი ისრაჱლსა შორის“.[5] ხოლო ჩუენ, ვინაჲთგან ქალწულისაგან განკაცნა სიტყუაი ღმრთისაი, მინდობილ ეართ თქუმად, ვითარმედ ქალწულებაი ზემოით დასაბამითგანვე დაენერგა ბუნებასა შინა კაცთასა,// რამეთუ ქალ- 1208
წულისაგან ქუეყნისა დაიბადა კაცი და მარტოჲსა ადამისაგან შეიქმნა ეგა და სამოთხესა შინა ქალწულებით მოქალაქობდეს, რამეთუ ესრეთ იტყუს საღმრთოი წერილი, ვითარმედ: „შიშუელ იყვნეს ადამ და ეგა და არა ჰრცხუენოდა“.[6] ხოლო რაჟამს გარდაჰჴდეს, ცნეს, ვითარმედ შიშუელ არიან და სირცხჳლეულ ქმნილთა შეეერნეს თაჲთა თუსთათუს გარე-მოსარტყმელნი.[7] და შემდგომად გარდასლეისა, ოდეს ესმა, ვითარმედ: „მიწა ხარ და მიწად მიიქც“,[8] ოდეს იგი გარდასლეისათუს სიკუდილი შემოჴდა სოფლად, მაშინ „იცნა ადამ ეგა, ცოლი თუსი და მიუდგა და შჳა“.[9] რომლისათუსცა, რათა არა აღიჴოცოს და განიხრწნას ნათესაი

[1] იქვე.
[2] ეკლესიასტე, 11, 2.
[3] ფსალმ., 6, 1.
[4] გრიგ. ნაზ., 45.
[5] მეორე სჯ., 25, 9.
[6] შეს., 2, 25.
[7] შეს., 3, 7.
[8] შეს., 3, 19.
[9] შეს., 4, 1.

97 /IV, 24/ ქალწულებისათუს

თაჲი ჸ8

შეასმენენ[V] ჴორციელნი ქალწულებასა და საწამებელად ჴუმეენ გემოთ-მოყუარენი ამას, ვითარმედ: „წყეულ იყაენ, რომელმან არა აღადგინოს თესლი ისრაჱლსა შორის“.[5] ხოლო ჩუენ ვიტყუთ მინდობითა ქალწულებისაგან განჴორციელებულისა სიტყჳსა ღმრთისაჲთა, ვითარმედ ქალწულებაი ზემოითგანეე და დასაბამითგან დაუნერგა ბუნებასა შინა კაცთასა, რამეთუ ქალწულისაგან მიწისა შეიქმნა კაცი. მხოლოჲსა ადამისაგან აეგო ეგა. სამოთხეს შინა ქალწულებაი მოქალაქობდა, რამეთუ იტყუს საღმრთოი წერილი, ვითარმედ „შიშუელ იყუენეს ადამი და ეგა და არა ჰრცხუენოდა“.[6] ხოლო რაჟამს გარდაჰჴდეს, ცნეს, ვითარმედ შიშუელ არიან და სირცხჳლეულ ქმნილთა შეეერნეს თაჲთა თუსთათუს გარე-მოსარტყმელნი.[7] და შემდგომად გარდასლეისა, ოდეს ესმა, ვითარმედ: „მიწა ხარ და მიწად მიიქც“,[8] ოდეს იგი გარდასლეისათუს სიკუდილი შემოჴდა სოფლად, მაშინ „იცნა ადამ ეგა, ცოლი თუსი და მიუდგა და შჳა“.[9] რომლისათუსცა, რათა არა აღიჴოცოს და განიხრწნას ნათესაი

[1] ათან., ალექს., იქვე.
[2] ეკლესიასტე, 11, 2.
[3] ფსალმ., 6, 1.
[4] გრიგ. ნაზ., 45.
[5] მეორე სჯ., 25, 9.
[6] შეს., 2, 25.
[7] შეს., 3, 7.
[8] შეს., 3, 19.
[9] შეს., 4, 1.

I იყუენ M. II სალომონ A. III < M. IV შეჴცეულთა EM.
V შეასმინ E.

მოპოვნებულ იქმნა ქორწინებაი, რაჲთა არა მიმყოერებულმან ფლობამან სიკუდილისამან სრულიად მოსპოს და უჩინო-ყოს ნათესავი კაცთაჲ, არამედ დღითი-დღე განმრაელდებოდინ შვილთ-სხმისა მიერ.

გარნა იტყოდინ თუ ვინმე, ვითარმედ რაჲ-სათჳს შეიმჭნეს მამალი და დედალი, რომელთა-იგი ესმა: „აღორძნდით და განმრაველდით",[1] მიუგებთ და ვეტყუთ, ვითარმედ აღორძნდით და
133r II განმრაველდით არა ყოელითურთ ქორწინებისა მიერისა შვილთ-სხმისათჳს ოდენ თქუა რა-მეთუ შემძლებელ იყო ღმერთი სხუათაცა სახითა [გან]მრაველებასა ნათესავთა ჩუენისასა, უკუეთუმცა ოდენ დაეცა პირველთა კაცთა მცნებაჲ იგი მისი შეუცავალებელად, არამედ უწყოდა ღმრთისა წინაჲსწარ-მცნობელობამან, რომელმან ყოველიე უწყის პირველ ცნობად-მდე მათდა, ვითარმედ ეგულების გარდამა-ვალ-ყოფაჲ საუფლოჲსა მის მცნებისაჲ და სიკუდილითა დაშჯაი, ამისთჳსცა წინაჲთჳე შექმნა მამალი და დედალი და უბრძანა აღორძინებაი და განმრაველებაი. არამედ ჩუენ კუალად ვიქცეთ გზასა პირველ დაწყებულთა სიტყუათასა და ეიხილნეთ სიქადულნი ქალ-წულებისანი და გურგუნნი სიწმიდისანი, რა-მეთუ ერთ და იგივე არს პატიჲი ქალწულებისა და სიწმიდისაჲ.

ნოეს კიდობანსა მას რაჲ შესლეაჲ ებრძანე-ბოდა და თესლსა სოფლისასა დაცეაჲ ერწ-მუნებოდა, ესრეთ ებრძანა, ეითარმედ: „შეეედ შენ და ძენი შენნი და ცოლი შენი და ცოლნი ძეთა შენთანი".[2] იხილე ეითარ გან-ყენა იგინი დედათაგან, რაჲთა სიწმიდით და კრძალულებით განერნენ ყოელისა სოფლისა თანა წარრღუნისაგან. ხოლო შემდგომად წყლით რღუნისა ჰრქუა: „გამოეედ შენ და ცოლი შენი და ცოლნი ძეთა შენთანი".[3] აჰა ესერა კუალად განმრაველებისათჳსეე შეენდო ქორწინებაჲ.

133v I მერმეცა ეიტყოდით ელიაჲსთჳს თეზბიტელი-სა ცეცხლ მგზნებარეთა ეტლთ-მფლობელისა და მათ მიერ ზეცად აღყეანებულისა. ანუ არა უქორწინებელობაჲ შეიყუარაა და მის მიერ ზეშთა კაცთა ამაღლებ[უ]ლად წამებულ იქნა? ვინ-მე დაჰჴსნა ცანი, ვინ აღადგინა მკუდარნი, ვინ განაპო იორდანე ანუ არა ელიაჲ, შემტკ-ბობელმან მან ქალწულებისამან? ხოლო ელისე, მოწაფემან ამისმან, ანუ არა // შესწორებულისა მისისა სათნოებისა ჩუენებისათჳს დაიმკუდრაა მისგან მრჩობლ თხოვილი იგი მადლი სული-სა? ანუ [რ]აჲ სთქუა სამთა ყრმათათჳს, არა ქალწულებისაეე მოღუაწებითა ზეშთა ექმნ-ნესა საკუმილსა ცეცხლისა აგზებულისასა, რაჟამს იგი ეერ შეეხო ალი ჴორცთა მათთა ქალწულებით დაცეულთა? ანუ დანიელისთჳს შემდგომად სიკუდილისა, მოპოვნებულ იქმნა ქორწინებაი, რათა შეილიერებისა მიერ გებუ-ლად დაიცეებოდის ნათესაჲი კაცთაჲ.[1]

არამედ ნუუკუე და თქუან, ეითარმედ რაჲ ჰნებაეს „წულად და ქალად"[2] დაბადებასა და ამას, ეითარმედ „აღორძნდით და განმრაე-ლდით?"[3] რომლისა მიმართ ეიტყჳთ, ეითარმედ ესე ეიდრემე „აღორძნდით და განმრაელდით"[4] არა უეჭუელად ქორწინებითისა შეყოფისა მიერსა განმრაველებასა ცხად-ჰყოფს. რა-მეთუ შემძლებელ იყო ღმერთი სხუთა სახ-ითა განმრაელებად ნათესაისა, უკუეთუმცა შეურყუეელად დაიცვა მცნებაჲ ეიდრე აღ- 100v I
სასრულამდე. არამედ უწყოდა ღმერთმან წინაჲსწარმცნობელობითა თჳსითა, რომელმან უწყის ყოველნი „პირველ ქმნისაცა მათისა",[4] ეითარმედ ეგულების გარდამავალ-ყოფაჲ და-სასჯელსა სიკუდილისასა თანამდებ-ყოფაი, ამისთჳს წინაჲსწარ სწრობით შექმნა წული და ქალი და აღორძინებაი და გამრაელებაი უბრძანა. არამედ ჩუენ კუალთა თხრობისათა შეუდგეთ და ეიხილნეთ სიქადულნი ქალწულ-ებისანი, ხოლო იგივე არს თქუმად, ეითარმედ უბიწოებისანი.

ნოეს[1] კიდობნად შესლეისა მბრძანებელმან და თესლთა სოფლისათა დაცეისა მარწმუნე-ბელმან ესრეთ ჰრქუა მას: „შეეედ კიდობნად შენ და ძენი შენნი და ცოლი შენი და ცოლნი ძეთა შენთანი".[2] რამეთუ განყენა იგინი დე-დათაგან, რათა უბიწოებით თანა-წარელნო მსოფლიოჲ იგი ნაჲ-დანთქმულებაი. რომ-ლისათჳსცა, შემდგომად დაცხრომისა მისისა, „გამოეედ, — ჰრქუა,[3] — შენ და ცოლი შენი და ძენი შენნი და ცოლნი ძეთა შენთანი".[4] აჰა, კუალად განმრაელებისათჳს შენდობილ იქმნა ქორწილი!

ამისსა შემდგომად ელია ცეცხლებრ მოტყ-ინარეთა ეტლთა მფლობელმან მან და ზეცად აღმაეალმან არა უქორწინებელობაი შეიტკ-ბოა, რომლითა უალრესად ,აცთად წამებულ იქმნა საზომთა შინა? ვინ დაჰჴნა ცანი? ვინ აღადგინნა მკუდარნი? ვინ განკუეთა იორ-დანე? არა ქალწულმან ელიაა? ხოლო ელისე მოწაფემან მისმან, არა // სწორისა მისისა
1209 სათნოებისა მოგებითა მრჩობლი მადლი სუ-ლისაჲ დაიმკეიდრაა, ითხოა რაჲ ესე? ხოლო რაჲ სამნი ყრმანი? არა ქალწულებისა მოღ-ეაწე-ქმნილნი უალრეს ცეცხლისა გამოჩნდესა, ეითარცა ქალწულებისა მიერ დამშრეტელნი ჴორცთა შორის მგზებარისა ცეცხლისანი?

[1] შეს., I, 28.
[2] შეს., 7, 7.
[3] შეს., 8, 16.

[1] გრიგ. ნოს., კაცისა შესაჴ., 16.
[2] შეს., I, 27.
[3] შეს., I, 28.
[4] დან., 13, 42.
[5] შეს., 7, 7.
[6] შეს., 8, 16.

[1] ნოეს M. [1] <M.

რა სთქუა არა ქალწულებით ცდომილ იყენესა ჴორცნი მისნი, რომელსა კბილნი მჴეცთანი ვერ შეეხნეს?

და კუალად ეგულებოდის რაჲ ისრაჱლთა ჩუენებად ღმერთსა, არა წინა-განწმედაჲ ჴორცთაჲ უბრძანისა? ანუ არა მღდელნიცა თაეთა თუსთა განიწმედდიანა და ესრეთღა შეუუალთა ტაძრისათა შეჰკადრებდიან და
133v II მსხუერპლთა შემწირველ იქმნებოდიან? ანუ არა შჯულმანცა დიდად აღთქუმად სიწმიდესა სახელი-სდვა-ა? რამეთუ ჩუენ თუთ სჯულისაცა მას ბრძანებასა საღმრთოთა მიმართ საჴმარებათა მოეიყუანებთ, ეითარმედ თესლ სულიერისა ისრაჱლისა არს სიყუარულითა და შიშითა ღმრთისაჲთა მიდგომილი იგი კაცი, რომელსა მათ მიერ ელმოდის სულიერი იგი მუცელი და ესრეთ შეის სული მაცხოვარებისა. და ამითე გულისჴმის-ყოფითა გულისჴმა-იყოფებოდენ სიტყუაჲ იგი, ეითარმედ „ნეტარ არს, რომელსა ესუას ნათესაჲ სიონს და მეგობარი იერუსალჱმს“,[1] და უკუეთუ არა ესრეთ არს გულისჴმის-ყოფაჲ ამისი, რასა იტყუთ, გინა თუ მეძაე იყოს ანუ მომთრეალე ანუ კერპთ-მსახური, ნეტარ არსა, ოდენ ესუას ჴორციელი შეილი სიონს და ნათესაჲ იერუსალჱმს? არა, ნუ იყოფინ, არაეინ სადა თქუას ესე კეთილთა გონიერთაგანმან!

ქალწულებაჲ არს ანგელოზთა მოქალაქობაჲ, ყოველთა მათ უჯროცოთა ბუნებითი თუსებაჲ. ხოლო ამას რაჲ ეიტყუთ, არა თუ ბოროტ-ეპყოფთ ქორწინებასა, – ნუ იყოფინ! – რამეთუ უწყით, ეითარმედ უფალმან მისლეითა თუსითა აკურთხა ქორწილი. და არაეე დაგუვიწყებიეს მეტყუელისაჲ მის, რომელი იტყუს, ეითარმედ „პატიოსან არს ქორწილი და საწოლი შეუგინებელ“.[2] არამედ ქალწულებაჲ კეთილთა უკეთესად უწყით, რამეთუ კეთილთაცა შინა არს განრჩეულაჲ და აღრჩეულაჲ და ეგრეთეე მსგაესად ბოროტთაცა შინა. უწყით უკუე, ეითარმედ ყოველნი ჴორციელნი
134r I მოკუდაჲნი ქორწინებისაგან შობილნი არიან, თუნიერ დასაბამთა მათგან ხოლო და მთავართა ნათესაჲსა კაცთაჲსათა, რამეთუ იგინი ქალწულებისა მიერ და არა ქორწინებისა დაბადებულ იყენეს. არამედ უქორწინებელობაჲ ანგელოზთა მსგაესებაჲ არს და რაოდენ ანგელოზი კაცსა უზეშთაეს არს, ესოდენ ქალწულებაჲ ქორწინებასა უპატიოსნეს არს.

და რაჲსაღა ეიტყუ ანგელოზთა, თუთ თაეადი ქრისტე სიქადულ არს ქალწულებისა, არა ხოლო უდედოდ და დაუსაბამოდ შობითა მამისაგან, არამედ რაჟამს იგი კაცობითა მსგაეს ჩუენდა იქმნა, ქალწულისაგან შობითა უზე[ე]შთაეს ჩუენსა იქმნა, თუნიერ თესლისა იშვა რაჲ უმამაკაცოდ და უხრწნელად და თაესა შორისცა თუსსა აჩუენა ჴეშმარიტი და სრულიადი ქალწულებაჲ. ეინაჲცა ჩუენ არაეე არა დანიელის ქალწულებითა გამოპირულნი // ჴორცნი შეუხებელად ეგნესა კბილებისაგან მჴეცთაისა?

არა ეგულებოდა რაჲ ღმერთსა გამოცხადებაჲ ისრაიტელთაჲ, უბიწო-ყოფაჲ ჴორცთაჲ უბრძანაა? არა მღდელნი განსწმედდესა თაეთა თუსთა და ესრეთ შეეიდოდეს შეუეალთა და შესწირეიდეს მსხუერპლთა? არა განწმედითა განაწესაა შჯულმან აღსრულებაჲ დიდისა მის ლოცეისაჲ?

ვინაჲცა ჯერ-არს უსულიერესად მოღებაჲ შჯულიერისა ბრძანებისაჲ. რამეთუ არს თესლი სულიერი სიყუარულითა და შიშითა ღმრთისაჲთა, მუცელად-ღებული სულიერსა შინა მუცელსა, რომელსა ელმოდის და შეას სული მაცხოვარებისაჲ. დაე ესრეთე მოიღებეოდედ 100v II იგიცა, ეითარმედ: „ნეტარ არს, რომელსა ესუას თესლი სიონს და სახლეულნი იერუსალჱმს“,[1] რამეთუ რაჲ არს, დაღათუ მეძაე იყოს, ანუ თუ მომთრეალე, ანუ კერპთ-მსახურ, ნეტარ არსა მხოლოდ, უკუეთუ ესუას თესლი სიონს და სახლეულნი იერუსალჱმს? არაეინ, კეთილად გონიერმან, თქუას ესე.

ქალწულებაჲ – ანგელოსთა მოქალაქობაჲ, ყოელისა უსხეულოთა ბუნებისა თუსებაჲ. ხოლო ამას რაჲ ეიტყუთ, არა თუ შევასმენთ ქორწინებასა, – ნუ იყოფინ! რამეთუ უწყით უფალი საცხორებელსა მოსლეასა მისსა მაკურთხეელად ჴორციელისა და მეტყუელი იგი წმიდაჲ, ეითარმედ: „პატიოსან არს ქორწილი და საწოლი შეუგინებელ“,[2] არამედ კეთილისა უმჯობესად ვიცნობთ ქალწულებასა, ვინაჲთგან სათნოებათაცა შორის არიან უაღრესობანი და უდარესობანი, ეგრეთეე და უკეთურებათა შორის. და უწყით, ეითარმედ ქორწილისა შეილის წულ არიან ყოველნი კაცნი, შემდგომნი ნათესაეთ-მთაეართანი. რამეთუ იგინი ქალწულებისა და არა ქორწინებისა მიერ შექმნულ არიან. არამედ უქორწინებელობაჲ ანგელოსთა მსგაესებაჲ არს, ეითარცა ვთქუთ. ვინაჲცა, რაოდენ ანგელოზი კაცთასა უაღრეს არს, ეგოდენ ქალწულებაჲ ქორწინებისასა უპატიოსნეს არს.

და რად ეიტყუ ანგელოზსა? თუთ იგი თაეადი ქრისტე უწყი საქადულად ქალწულებისად, არა მამისაგან ხოლო დაუსაბამოდ და უენებელად[1] შობილი, არამედ რამეთუ კაც იქმნა რაჲ ჩუენებრ, უზესთაეს ჩუენსა, თუნიერ თესლისა განჴორციელდა ქალწულისაგან და თუთცა აჩუენა თაეისა მიერ თუსისა ჴეშმარიტი და ყოელად სრული ქალწულე-

[1] ესაია, 31, 9.
[2] ებრ., 13, 4.

[1] ესაია, 31, 9.
[2] ებრ., 13, 4.
[1] უენებელი M.

შჯულად დაგჯდეა ქალწულებაი ეითარცა მეცნიერმან, ეითარმედ „არა ყოველთა დაიტიონ სიტყუაი იგი“[1] სიტყუსაბრეე მისისა, ხოლო საქმით განმსწაელნა და განმაძლიერონა ჩუენ შეტკბობად ქალწულებისა და რაიდეა სხუაი საჴმარ არს განსაცხადებელად საძიებელისა ამის, თუნიერ ესე, რამეთუ აწღეა შემდგომად განჴორციელებისა მისისა მოქალაქობს ქალწულებაი კაცთა შორის?

// კეთილ არს უკუე შეილთ-სხმაიცა, რომელი ქორწინებისა მიერ იყოს და კეთილ არს ქორწინებაი, განმუეთელი სიძეისაი, რომელი არა უტეებდეს განცოფებად გულისთქუმასა, რაითამცა უშჯულოდ ბორგდა შჯულიერსა მას ზედა შეერთებასა. კეთილ არს ქორწინებაი
134r II მათთუს, რომელთა არა ძალ-უც დამარხეაი სიწმიდისაი. ხოლო უზეშთაეს არს ქალწულებაი, რომელი სულიერსა შეილიერებასა აღაორძინებს და მოართუამს ღმერთსა შუენიერთა მათ ნაყოფთა ლოცვისათა. და ამას თანა „პატიოსან არს ქორწილი და საწოლი შეუგინებელ, ხოლო მეძაენი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან“.[2]

1212 // კეთილ ვიდრემე არს შვილიერებაი, რომლისა მიზეზ არს ქორწილი და კეთილ ქორწილი, ეითარცა განმეუეთელი სიძეისაი და წესიერებითა შჯულიერისა შეყოფისაითა არა მიმშუებელი განერდომად უშჯულოთა საქმეთა მიმართ. კეთილ არს ქორწილი მათთუს, რომელთა ეერ ძალ-უც ქალწულებად. ხოლო უმჯობეს არს ქალწულებაი, ეითარცა შეილიერობასა სულისასა აღმაორძინებელი და ნაყოფსა ჟამიერსა ლოცვისასა შემწირველი ღმრთისა. „პატიოსან არს ქორწილი და საწოლი შეუგინებელ, ხოლო მეძაეთა და მემ- 107r I რუშეთა შჯის ღმერთი“.[2]

98 /IV, 25/ წინა-დაცუეთისათჳს

თაჳი ჟე

წინა-დაცუეთაი პირეელ შჯულისა მოეცა აბრაჰამსა // შემდგომად კურთხეისა მის და 1213
შემდგომად აღთქუმისა აღმნიშნეელად და განმყოფელად მისდა და სხეულთა მისთა წარმართთა მათგან, რომელთა თანა იქცეოდა. ხოლო რაჟამს უდაბნოსა მას ზედა ერი იგი ისრაჱლთაი მარტოდ იქცეოდა თჳსაგან და არა [თ]ანა აღრეულად სხუასა რომელსამე ნათესაჳსა, რაოდენნიცა უდაბნოსა ზედა იშჳებოდეს, არა წინა-დაიცუთებოდა. არამედ რაჟამს ისუ ნაევსმან განაელო მათ იორდანე, მაშინღა წინა-დაცუეთილ იქმნნეს მის მიერ და მუნ განაწესეს საქმით მეორედ შჯულისდებაი წინა-დაცუეთისაი. რამეთუ ეითარცა ეთქუ, პირეელად აბრაჰამის ზე მოეცა წინა-დაცუეთაი და მერმე უდაბნოსა ზედა დასცხრა ორმეოც წელ. ამისსა შემდგომად კუალად მეორედ ისოს მისცა ღმერთმან შჯული იგი წინა-დაცუეთისაი. განრაი-ელეს მათ იორდანე, ეითარ-იგი წერილ არს წიგნსა ისუ ნაევსსა, ეითარმედ: „მას ჟამსა ჰრქუა უფალმან ისუს:
„იქმნენ თაეისა შენისა და ნაკნი კლდისანი
134v I კლდისაგან განუკუეთლისა და დაჴედ და წინა-დასცუთე ისრაჱლსა მეორედ“.[3] და მაშინ მცირედისა იტყუს, ეითარმედ: „ორმეოცდა ორ წელს იქცეოდა ისრაჱლი უდაბნოსა მას ეატტარიტიდისასა, ამისთუს წინა-დაუცუეთელ იქმნეს უმრაელესნი მათგანნი, მებრძოლნი, გამოსრულნი ქუეყანით ეგჳპტით, ურწმუნო-ქმნილნი მცნებათა ღმრთისათა,

[1] მათე, 19, 11.
[2] ებრ., 13, 4.
[3] ისუ-ნავესი, 5, 2.

// კეთილ არს ქორწილი და კეთილ ქორწილი, ეითარცა თუთ იგი იტყუს, ხოლო საქმით განმსწაელნა ჩუენ და განმაძლიერონა ამისსა მიმართ. რამეთუ ვიეთდა არა ცხად არს ესე, ეითარმედ მოქალაქობს აწ კაცთა შორის ქალწულებაი?

98 /IV, 25/ წინადაცუეთისათჳს

თაჳი ეე

წინადაცუეთაი პირეელ შჯულისა მიეცა აბრაჰამს შემდგომად კურთხეისა, შემდგომად აღთქუმისა, სასწაულად განმყოფელად მისდა და სახლის ნაშობთა მისთა წარმართთაგან, რომელთა თანა იქცეოდა. და ცხად არს ამიერ, რამეთუ, რაჟამს უდაბნოს მარტოი ისრაჱლი თუსაგან იქცეოდა ორმეოც წელ/არა/თანააღრეული[1] სხუასა ნათესაჳსა, რაოდენნი უდაბნოს იყუენეს, – არა წინა-დაიცუთეს. ხოლო რაჟამს წიაღიყუანნა იგინი ისუ იორდანესა, წინა-დაიცუთეს[I] და იქმნა მეორე შჯული წინა-დაცუეთისაი. რამეთუ აბრაჰამს ზე მოეცა შჯული წინა-დაცუეთისაი და მერმე დასცხრა უდაბნოს ზედა ორმეოც წელი. და კუალად მეორედ მოსცა ღმერთმან ისოს შჯული წინა-დაცუეთისაი, შემდგომად წიაღელისა იორდანისა, ეითარცა წერილ არს წიგნსა ისო ნაევსსა, რამეთუ „მას ჟამსა უფალმან ისოს[II] – იქმნენ თაეისა შენისა ბანაკნი კლდისანი[III] კლდისაგან განუკუეთელისა და დაჴედ და წინა-დასცუთე ძეთა ისრაჱლისათა მეორე“.[4] და შემდგომად მცირედისა იტყუს, ეითარმედ: „ორმეოცდა ორ წელ იქცეოდა ისრაჱლი უდაბნოსა მას ეატტარიტიდისასა,[IV] ამისთუს წინა-დაუცუეთელ იყუენეს უმრაელესნი მათგანნი, მებრძოლნი, გამოსრულნი ქუეყანით ეგჳპტით, ურწმუნო-ქმნილნი მცნებათა ღმრთისათა,

[1] მათე, 19, 11.
[2] ებრ., 13, 4.
[3] დედანში: οὐ συναναμιγμένος.
[4] ისუ-ნავესი, 5, 2.

[I] ხოლო რაჟამს წიაღიყუანნა და ა. შ. <M. [II] პრქუა ისოს M. [III] <M. [IV] ეატტარიდისასა M.

ეგუპტით, რომელნი-იგი ურწმუნო იქმნნეს მცნებათა ღმრთისათა, რომელთათჳს განაჩინა არა ხილვად ქუეყანაჲ იგი კეთილი, რომლისა მიცემად ეფუცა ღმერთი მამათა ჩუენთა მიცემად მათდა ქუეყანაჲ, გამომადინებელი სძისა და თაფლისაჲ. ხოლო ნაცელად მათსა აღუსრულა იგი შვილთა მათთა, რომელთა-იგი წინა-დასცუთა ისუ, რამეთუ წინა-დაუცუეთელ იყვნეს გზასა ზედა".[1]

ეინაჲცა ამით ყოელითა ცხად არს, ეითარმედ წინა-დაცუეთაჲ სასწაული იყო განმყოფელი ისრაჱლთაჲ წარმართთაგან,[2] რომელთა თანა იქცეოდის იგინი. ხოლო მოაწაევებდა სახეს ნათლისღებისასა, რამეთუ ეითარ-იგი წინა-დაცუეთაჲ არა საქმარსა რასმე ასოსა მოჴკუეთს გუამისაგან, არამედ ნამეტნავსა რასმე უქმარსა, ეგრეთეე წმიდითა ნათლისღებითა ცოდეისაგან წინა-დაცუეთილ ვიქმნებით ჩუენ, ხოლო ცხად არს, ეითარმედ ნამეტნავ გულისთქუმისა არს ცოდეაჲ და არა საქმარი რაჲმე გულისთქუმაჲ, რაჲთუ შეუძლებელ არს ეისგანმე ყოელად არაოდეს გულისთქუმაჲ ანუ სრულიად არა ხილვაჲ გეmოსა გულისთქუმისასა, არამედ უქმარ ნა[ნ]ელ
134v II გულის-თქუმისა არს გემოვნებაჲ, ესე იგი არს, ცოდეაჲ, რომელი-იგი მოგუეცუეთების წმიდისა ნათლისღებისაგან და მოეცემის შობილთა ჩუენთა სასწაული პატიოსნისა ჯუარისაჲ. არა წარმართთაგან განმყოფელად ჩუენდა, რამეთუ ყოველნი წარმართნი ნათლისღებასა მიმთხუეულ არიან და ბეჭდითა ჯუარისაჲთა აღბეჭდულ, არამედ თითოეულსა ნათესაესა მორწმუნესა განყოფს ურწმუნოჲსაგან.

აწ უკუე, ეინაჲთგან გამოჩნდა ჭეშმარიტებაჲ, უქმარ არიან სახენი და აჩრდილნი, ეინაჲ[ცა] ამიერითგან ნამეტნავ არს წინა-[დ]აცუეთაჲ და წინა-აღმდგომ წ[მიდისა] ნათლისღებისა, რამეთუ რომელმან წინა-დაიცუთოს, „თანა-მდებ არს იგი აღსრულებად ყოველსა წესსა შჯულისასა".[3] ხოლო უფალმან, რაჲთა აღასრულოს შჯული, ამისთჳს წინა-დაიცუთა და ყოველნიე შაბათობანი და წესნი შჯულისანი დაიცვნა, რაჲთა აღასრულოს და დააცხრჳოს შჯული.

// არამედ ეინაჲთგან ნათელ-იღო და სული წმიდაჲ სახითა ტრედისაჲთა იხილვა კაცთა მიერ გარდამომაჲალად მის ზედა, მიერითგან სულიერი მსახურებაჲ და ახალი მოქალაქობაჲ და სასუფეველი ცათაჲ იქადაგების.[4]

რომელთათჳსცა განასაზ/ღ/ერა არა ხილვად მათდა ქუეყანაჲ, მადინებელი თაფლისაჲ და სძისაჲ. ხოლო ნაცვლად მათდა შეიყვანნა ძენი მათნი, რომელთა წინა-დასცუთა ისო, ეინაჲთგან წინადაუცუეთელ იყვნეს იგინი გზასა ზედა[1] „რომლისათჳსცა სასწაული იყო წინადაცუეთაჲ,[1] განმყოფელი ისრაჱლისაჲ წარმართთაგან, რომელთა თანა იქცეოდის, ხოლო სახე იყო ნათლისღებისაჲ.[2]

და ეითარ-იგი წინა-დაცუეთაჲ არა საქმარსა ასოსა მოჴკუეთს ჴორცთასა, არამედ ნამეტავსა და უქმარსა, ეგრეთეე წმიდისა ნათლისღებისა მიერ მოგუეკუეთების ცოდეაჲ, ხოლო ცოდეაჲ, ცხად არს, ეითარმედ ნამეტავი არს გულისთქუმისაჲ და არა საქმარი გულისთქუმაჲ. რამეთუ შეუძლებელ არს, ეითარმცა რაჲთურთით არაეის გული უთქუმიდა რასმე, ანუ სრულიად გემოს უხილველ გემოვნებისა ყოფაჲ, არამედ უქმარისა გემოვნებისა, რომელ არიან უქმარი გულისთქუმაჲ და გემოვნებაჲ, ეიტყჳ უკუე ცოდეასა, რომლისა წინადაცუეთასა ჰყოფს წმიდაჲ ნათლისღებაჲ მომცემელი ჩუენდა სასწაულისა პატიოსნისა ჯუარისასა
10 Ir II შუ[ბ]ლთა ზედა ჩუენთა, არა წარმართთა- გან განმყოფელსა ჩუენსა, რამეთუ ყოველნი წარმართნი მიმთხუეულ არიან ნათლისღებასა და სასწაულითა ჯუარიანაჲთა აღბეჭდულ არიან, არამედ წარმართთა შორის განმყოფელი მორწმუნისა ურწმუნოჲსაგან.

აწ უკუე ჭეშმარიტებისა გამობრწყინეებასა უსასყიდლონი არიან აჩრდილი და სახე. რომლისათჳსცა ნამეტაე არს აწ წინადაცუეთაჲ და წინაალმდგომ საღმრთოჲსა ნათლისღებისა. რამეთუ წინადაცუეთილსა „თანა-აც ყოელისაეე შჯულისა დამარხვაჲ".[3] ხოლო უფალმან, რათა დაასრულოს შჯული, წინა-დაცუთა და ყოველი შჯული და შაბათობაჲ დაიცვა, რათა დაასრულოს და დააცხროს შჯული.

// ხოლო ეინაჲთგან ნათელ-იღო და სული 1216
წმიდაჲ იხილეს კაცთა, სახითა ტრედისაჲთა მომავალი მის ზედა, მიერითგან სულიერი მსახურებაჲ და მოქალაქობაჲ და სასუფეველი ცათაჲ იქადაგების.[4]

[1] იქვე, 6-7.
[2] იოანე ოქროპ., თარგმ. შესაქმ., XXXIX.
[3] გალატ., 5, 3.
[4] გრიგ. ნაზ., სიტ., 40.

[1] ისუ-ნაველი, 5, 6-7.
[2] იოანე ოქროპ., თარგმ. შესაქმ., XXXIX.
[3] გალატ., 5, 3.
[4] გრიგ. ნაზ., 40.

[1] წინადაცუეთისა M.

თავი ჟთ

საჴმარ უკუე არს ცნობად, ვითარმედ ჯერ არს ანტიქრისტესი მოსლვაჲ, რამეთუ დაღაცათუ ყოველი, რომელი არა აღიარებდეს ძესა ღმრთისასა და ღმერთსა მოსრულსა ჴორციელად ღმერთად და კაცად სრულად, ესეეითარიცა იგი ანტიქრისტეე არს, ესე იგი არს, წინა-აღმდგომ ქრისტესსა, რამეთუ ესრეთ
135r I გამოითარგმანების სახელი ანტიქრისტესი, არამედ ეგრეთცა ჯერ-არს, რაჲთა თჳსთაგანითა საკუთრებითა აღსასრულისაჲ ჟამთასა მოსლვადსა მას ეწოდებოდის ანტიქრისტედ. ხოლო პირველად ჯერ-არს ქადაგებაჲ სახარებისაჲ ყოველთა მიმართ წარმართთა, ვითარცა თქუა უფალმან და მაშინღა მოსლვაჲ ანტიქრისტესი, სამხილებელად უგუნურთა ჴურიათა, რომელთა ჰრქუა უფალმან: „მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისაჲთა და არა შემიწყნარებთ მე, სხუაჲ მოვიდეს სახელითა თჳსითა და იგი შეიწყნაროთ“.[1] და მოციქული იტყუს: „ვინაჲთგან სიყუარული ჭეშმარიტებისაჲ არა შეიწყნარეს მაცხორებელად მათდა, ამისთჳსცა მოუვლინოს მათ ღმერთმან მოქმედებაჲ საცთურისაჲ რწმუნებად მათდა ტყუეილისა, რაჲთა დაისაჯნენ ყოველნი, რომელთა არა ჰრწმენა წეშმარიტებაჲ, არამედ სათნო უჩნდა სიცრუეე“.[2]

აწ უკუე ჴურიათა, ვინაჲთგან არა შეიწყნარეს ძე ღმრთისაჲ, უფალი იესუ ქრისტე, ღმერთი ჩუენი, ამითჳსცა შეიწყნარონ მაცთური იგი, რომელი იტყოდის თავსა თჳსსა ღმერთად. ხოლო რამეთუ ღმერთად უწოდს თავსა თჳსსა, ესე ანგელოზისა მიერ ეუწყა დანიელს, რაჟამს თქუა, ვითარმედ: „ღმერთთა მიმართ მამათა მისთაჲსა არა გულისჴმა-ყოს“. და მოციქული იტყუს: „ნუმცა ვინ შეგაცთუნებს თქუენ, რამეთუ უკუეთუ არა პირველად მოვიდეს განდგომილებაჲ და გამოჩნდეს ძე იგი უშჯულოებისაჲ, წინა-აღმდგომი და აღზუაებული ყოველთა ზედა, რომელთა ეწოდების ღმერთ ანუ სამსახურებელ, ვიდრემდის დაჯდეს იგი ტაძარსა ღმრთისასა, ვითარცა ღმერთი“.[3]
135r II ხოლო ტაძრად ღმრთისა იტყუს არა ჩუენსა ამას ტაძარსა, არამედ ძუელსა მას და ჴურიათასა. რამეთუ არა ჩუენდა მომართ, არამედ ჴურიათა მომართ მოვალს. არა ქრისტესთჳს, არამედ ქრისტესა და // ქრისტესთა მათ ზედა, 1217
ამისთჳსცა ანტიქრისტე უწოდიან.

ჯერ არს უკუე პირველად ქადაგებად სახარებაჲ სასუფეველისაჲ ყოველთა მიმართ წარმართთა[4] და „მაშინღა გამოჩნდეს უშჯულოჲ იგი, რომლისა მოსლვაჲ არს თანა-

[1] იოანე, 5, 43.
[2] II თესალ., 2, 10-11.
[3] II თესალ., 2, 3.
[4] მათე, 24, 14.

თავი ჟთ

სათანადო არს ცნობაჲ,[1] ვითარმედ ჯერ არს მოსლვაჲ ანტიქრისტესი. ვინაიცა ყოველი ვიდრემე, რომელი არა აღიარებს ძესა ღმრთისასა და ღმერთსა მოსრულსა ჴორცითა, მასვე მჯოფსა ღმერთად სრულად და ქრისტესა კაცად სრულად ღმრთად დადგრომასა თანა, ანტიქრისტე არს. გარნა ეგრეთცა განთჳსებით და უფროსად ანტიქრისტედ ითქუმის აღსასრულსა აწინდელისა ამის საუკუნოისასა მომაჲალი იგი. რამეთუ ჯერ-არს უკუე პირველად ქადაგებაჲ სახარებისაჲ ყოველთა შორის წარმართთა, ვითარცა თქუა უფალმან, და მაშინღა მოსლვაჲ მისი სამხილებელად წინააღმდგომთა ღმრთისათა ჴურიათა, რომელთა ჰრქუა უფალმან: „მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისაჲთა და არა შემიწყნარეთ. მოვალს სხუაჲ სახელითა თჳსითა და მას შეიწყნარებთ“.[2] და მოციქული: „ვინაჲთგან სიყუარული ჭეშმარიტებისაჲ არა შეიწყნარეს საცხორებელად მათდა, ამისთჳს მოუვლინოს მათ ღმერთმან მოქმედებაჲ საცთურისაჲ რწმუნებად მათდა ტყუილისა, რათა ისაჯნენ ყოველნი არა მრწმუნებელნი ჭეშმარიტებისანი, არამედ სათნომჩინელნი უსამართლოებისანი“.[3]

ესრეთ უკუე ჴურიათა ძე ღმრთისაჲ, უფალი ჩუენი[4] და ღმერთი იესუ ქრისტე არა შეიწყნარეს, ხოლო მაცთური იგი, ღმრთად მეტყუელი თავისაჲ, შეიწყნარონ. და რამეთუ ღმრთად უწყს იგი თავსა, ესრეთ იტყუს დანიელისდა მასწაელი ამისი ანგელოზი, ვითარმედ: „ნუ – ვინ გაცთუნებსო თქუენ ნუ რომლითა სახითა, რამეთუ უკუეთუ არა მოვიდეს პირველად განდგომილებაჲ და გამოჩნდეს კაცი უსჯულოებისაჲ, წინააღმდგომი და განლაღებული ყოველთა ზედა სახელდებულთა ღმრთად ანუ სამსახურებელად. ვიდრემდის
10Iv I დაჯდეს იგი ტაძარსა შინა ღმრთისასა, ვითარცა ღმერთი, გამომჩინებელი თავისა თჳსისაჲ, ვითარმედ არს ღმერთ“.[5] ხოლო ტაძარსა შინა ღმრთისასა, არა ჩუენსა, არამედ ძუალსა მას პურიაებრსა, რამეთუ არა ჩუენდა, არამედ პურიათა მომართ მოვიდეს, არა შემწედ ქრისტესა, არამედ წინააღმდგომად ქრისტესსა და // ქრისტესთა, რომლისათჳსცა ანტიქრისტე ეწოდების.[6]

ვინაიცა ჯერ არს პირველად ქადაგებაჲ სახარებისაჲ ყოველთა მიმართ წარმართთა,[7] „და მაშინღა გამოჩნდეს უშჯულოჲ, რომლისა

[1] იოანე, 5, 43.
[2] II თესალ., 2, 11.
[3] ეს სიტყუა არ არის დედანში.
[4] II თესალ., 2, 3.
[5] გრიგ. ნაზ., 35; იოანე ოქროპ., II თარგმ. თესალონ., II ეპისტოლისა.
[6] მათე, 24, 14.
[7] ცნობად E.

მოქმედებითა ეშმაკისაჲთა, ყოვლითა ძალითა და სასწაულებითა და ნიშებითა ტყუილისაჲთა და ყოვლითაჲ საცთურითა უმშჯავროებისა და წარწყმედისაჲთა, რომელი-იგი უფალმან მოაკუდინოს სიტყუთა პირისა თუსისაჲთა და განაქარჭოს იგი მოსლვითა გამოჩინებისა მისისაჲთა.[1]

ხოლო ესეცა ცხად იყავენ, ვითარმედ არა თუ თუთ ეშმაკი ჰორცთა შეისხამს განკაცებისაებრ უფლისა, – რომელი-ესე ნუ იყოფინ, – არამედ იშეის კაცი იგი უშჯულოჲ სიძეით შობილად და შეიწყნაროს ყოველი მოქმედებაჲ სატანაჲსი თავსა შორის თუსსა, რამეთუ ვინაჲთგან წინაჲსწარ უწყის ღმრთმან უკეთურებაჲ გონებისა მისისაჲ, ამისთჳსცა მიუშუებს მის თანა დატევნად ეშმაკსა.

სიძეით უკუე იშეას, ეითარცა ეთქუ, დაფარულად აღიზარდოს და მეყსა შინა გამოჩნდეს, განდგეს და მეფე იქმნას. და დაბამს მეფობისა უფროსღა მძლავრებისა თუსისასა სახიერებასა იჩემებდეს. და რაჟამს
135v I დაიპყრას ქუეყანაჲ მაშინ სდევნიდეს ეკლესიასა ღმრთისასა და განაცხადოს ყოველი სიბოროტე თუსი. ხოლო მოვიდეს სასწაულებითა და ნიშებითა, ტყუილით ოცნებულითა და არა ჭეშმარიტებით აღსრულებულითა და შეაცთუნნეს და განადგინნეს ღმრთისაგან ცხოველისა იგინი, რომელთანი უძლურ იყვნენ სადგომელნი გონებათანი. და ღონეპყოფდეს და ბრძოლებად, უკუთუმცა ეითარ შეუძლო რჩეულთა მათცა.[2]

ამისსა შემდგომად მოიელიინენ ენუქ და ელია თეზბიტელი[3] და მოაქცინენ გულნი მამათანი შეილთა მიმართ, ესე იგი არს ჰურიათა შესაკრებელისანი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მიმართ და ქადაგებისა მიმართ მოციქულთაჲსა და თუთ მოიკლნენ ანტი[ქრისტე]ს მიერ[4] და მაშინღა მოვიდეს უფალი ზეცით, ეითარ სახედ იხილეს იგი წმიდათა მოციქულთა აღმაუალი ზეცად,[5] ღმერთი სრული და კაცი სრული დიდებითა და ძალითა და „მოსპოს კაცი იგი უშჯულოებისაჲ, შეილი წარწყმედისაჲ სულითა პირისა თუსისაჲთა".[6] ხოლო ნუმცა ვინ მოელის ქუეყნით მოსლვად უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, არამედ ზეცით, ეითარ-იგი მან თაჲადმან დამიმტკიცა ჩუენ.

მისლვაჲ არს მოქმედებითა სატანისაჲთა, ყოვლითა ძალითა და სასწაულებითა და ნიშებითა ტყუილისაჲთა და ყოვლითა საცთურითა უსამართლოებისაჲთა წარწყმედულთა შორის, რომელი მოსპოს უფალმან სიტყუთა პირისა მისისაჲთა და აღჰკოცოს მოსლვითა გამოჩინებისა მისისაჲთა".[1]

აწ უკუე არა თუთ იგი ეშმაკი კაც იქმნების, განკაცებისაებრ უფლისა, – ნუ იყოფინ! – არამედ იშეების კაცი სიძეისაგან და შეიწყნარებს ყოველსა მოქმედებასა სატანაჲსსა. რამეთუ წინაჲსწარ მხედველი ღმერთი უწყობასა წინა-აღრჩევისა მისისასა მიუშუებს ეშმაკსა დამკჳდრებად მის შორის.

იშეების უკუე სიძეისაგან, ეითარცა ეთქუთ, და აღიზრდების, ფარულად და მეყსეულად გამოჩნდების და განდგების და მეფე იქმნების. და დასაბამსა ეიდრემე მეფობისა მისისა, უფროჲსღა მძლავრებისასა, იჩემებდეს სახიერებასა, ხოლო რაჟამს მპყრობელ იქმნეს, სდევნიდეს ეკლესიასა ღმრთისასა და გამოაჩინოს ყოველი უკეთურებაჲ თუსი. ხოლო მოვიდეს სასწაულებითა და ნიშებითა ტყუილით შეწმასნილითა და არა ჭეშმარიტითა და რომელთა უძლურნი და დაუმტკიცებელნი აქუნდნეს ხარისხნი გონებათანი, შეაცთუნნეს და განდგომილ ყენეს ღმრთისაგან ცხოველისა ეიდრე დაბრკოლებადმდე შესაძლებელ თუმცა იყო და რჩეულთაცა.[2]

ხოლო მოიელიინენ ენუქ და ელია თეზბიტელი[3] და მოაქცინენ გული მამათანი შეილთა მიმართ, ესე იგი არს, შესაკრებელისაჲ უფლისა ჩუენისა მიმართ იესუ ქრისტესსა და ქადაგებისა მოციქულთაჲსა და მოიკლნენ მის მიერ.[4] და ესრეთ მოვიდეს უფალი ზეცით, ეითარცა სახედ იხილეს იგი წმიდათა მოციქულთა აღმაუალი ზეცად,[5] ღმერთი სრული და კაცი სრული, დიდებითა და ძალითა „და მოსპოს კაცი უშჯულოებისაჲ, ძე წარწყმედისაჲ სულითა პირისა მისისაჲთა".[6] გარნა ნუმცა ვინ ქუეყანით მოელის უფალსა, არამედ ზეცით, ეითარცა თუთ დამიმტკიცა ჩუენ.[7]

---

[1] II თესალ., 2, 9-10.
[2] მათე, 24, 24.
[3] მალაქ., 4, 16.
[4] აპოკალ., 11, 3.
[5] საქმე მოც., 1, 11.
[6] II თესალ., 2, 8.

[*] უნოქ. უნოქ.დედასა ეწერა უნოქ!
[1] II თესალ., 2, 9-10.
[2] მათე, 24, 24.
[3] მალაქ., 4, 6.
[4] გამოცხ., 11, 3.
[5] საქმე მოც., 1, 11.
[6] II თესალ., 2, 8.
[7] ეს სიტყუა დედანში არ გეხედება.

თავი რ

გურწამს უკუე აღდგომაჲცა მკუდართაჲ რამეთუ არს. ჰმ, ნამდჳლეე არს აღდგომაჲ მკუდართაჲ! აღდგომასა რაჲ ჳტყოდით,
135v II ჯორცთა აღდგომასა ჳტყჳთ. რამეთუ აღდგომა არს მეორედ დადგომაჲ დაცემულისაჲ მის, ხოლო სულნი ჳნაჲთგან უკუდავ არიან, ჳითარ აღდგენ? რამეთუ უკუეთუ სიკუდილად განასაზღვრებენ განყოფასა ჯორცთასა სულისაგან, უჭჳულად აღდგომაჲ არს. კუალად შეერთებაჲ სულისა და ჯორცთაჲ და მეორედ დადგომაჲ ერთგზის დაჴსნილისა მის და დაცემულისაჲ. ჳინაჲცა უჭჳულ იყაე[6], ჳითარმედ ესეე ჯორცნი დაჴსნილნი და განხრწნილნი ესეე კუალად აღდგენ უხრწნელად, რამეთუ არა შეუძლებელ არს მიწით დამბადებელისა მისისა და კუალად დამჴსნელისა და მიწად მიმაქცეელისაგან განჩინებისა საუფლოჲსა კუალად აღდგინებაჲ მისი.

რამეთუ უკუეთუ არა არს აღდგომაჲ, „ეჭაჳმოთ სადმე და ვსუაო"[1] და ეიჴუმინეთ გემოვანნი საშუებელნი საწუთროჲსანი, და უკუეთუ არა არს აღდგომაჲ, რაჲთაღა ეჰმატთ პირუტყუთა? უკუეთუ არა არს აღდგომაჲ, ეჰნატრიდეთ უკუე მჴეცთა ეელისათა, რომელთა შეუწუხებელ აქუს ცხორებაჲ. უკუეთუ არა არს აღდგომაჲ, არცა სადმე ღმერთი არს, არცა განგებაჲ, არამედ თუთ თაჳთ თჳსით იყუანებიან ყოველნი! რამეთუ ჲახ ესერა ეხედავთ, ჳითარ მრავალნი მართალთაგანნი გლახაკ და მიმძლაერებულ არიან და არცა ერთი რაჲ შეწევნაჲ აქუს აწინდელსა ამას შინა საწუთროსა, ხოლო
136r I ცოდვილთა და უსამართლოთა ყოველითაჳე სიმდიდრითა და შუებითა გარდაცემულად. და ვინ მიითუალოს ესე მართლმსაჯულებად და სიბრძნით განგებად, რომელიცა ვინ იყოს კეთილად გონიერთაგანი! ჳინაჲცა ცხად არს, ჳითარმედ არს აღდგომაჲ, ჭეშმარიტად არს რამეთუ მართალ არს ღმერთი და რომელთა დაუთმონ მას, სასყიდელის მიმცემელ ეჳმნების.

აწ უკუე უკუეთუ სულშახ ოდეხ მარტოდ იღუაწა სათნოებისათჳს და უკუეთუ მარტოჲ მოედევნა გემოვნებათა, მარტოდცა იტანჯოს სატანჯველითა. არამედ ჳინაჲთგან არცა პირველ ჯორცთაჲსა მყოფობაჲ ჰქონებია სულსა, არცა სათნოებაჲ, გინა უკეთურებაჲ უქმნიეს თუნიერ მათსა, სამართალ არს, რაჲთა ერთბამადეე მიემთხუნენ მოსაგებელთაცა.

// მოწამე არს უკუე საღმრთოჲ წერილი, 1221
ჳითარმედ არს აღდგომაჲ გუამთაჲ, რამეთუ ეტყოდა ღმერთი ნოეს შემდგომად წყალით რღუნისა, ჳითარმედ: „ჳითარცა მხალი თიჳისაჲ მიმიცემიეს თქუენდა ყოველი, გარნა ხოლო ჯორცსა სისხლითურთ სულისაჲთ ნუ

[1] I კორინთ., 15, 32.

თავი ი

ხოლო გურწამს აღდგომისა მიმართ, რამეთუ იყოს, ნამდჳლეე იყოს აღდგომაჲცა" მკუდართაჲ. ხოლო აღდგომასა რაჲ ჳტყოდით, ჯორცთასა ჳტყჳთ აღდგომასა. რამეთუ აღდგომაჲ არს მეორე დადგომაჲ დაცემულისაჲ. რამეთუ სულნი უკუდაენი ჳითარ აღდგენ? რამეთუ
101v II უკუეთუ სიკუდილად განყოფასა სულისასა ჯორცთაგან განასაზღვრებენ, და აღდგომაჲ უჭჳულად კუალად სულისა და ჯორცთა შეერთებაჲ არს და მეორედ დადგომაჲ დაჴსნილისა და დაცემულისა ცხოველისაჲ. ოგიე უკუე ჯორცნი ხრწნილნი და დაჴსნილნი იგინი აღდგებიან უხრწნელად. რამეთუ არა შეუძლებელ არს მისსა, რომელმან" დასაბამსა ქუეყანისაგან მიწისა შეამტკიცა იგინი, დაჴსნილისა და ქუეყანად მიქცეულისა კუალად, რომლისაგან მოღებულ იყო, განჩინებისაებრ დამბადებელისა, კუალად აღდგინებად მისსა!

რამეთუ უკუეთუ არა არს აღდგომაჲ, „ეჭაჳმოთ და ვსუაო",[1] გემოანსა და განსუენებითსა ცხორებასა მოუჴდეთ! უკუეთუ არა არს აღდგომაჲ, რაჲთა განყოფილ ვართ პირუტყუთაგან? უკუეთუ არა არს აღდგომაჲ, ეჰნატრიდეთ მჴეცთა ეელისათა, შეუწუხებელისა ცხორებისა მჭინებელთა! უკუეთუ არა არს აღდგომაჲ, არცა ღმერთი არს, არცა განგებაჲ, არამედ თაჳთ თჳსით იქცეენან და იყუანებიან ყოველნი! რამეთუ, ჲახ, ეჰხედავთ მრავალთა მართალთა უკუე დავრდომილად და არცა ერთისა შეწევნისა მიმთხუეულად საწუთოსა ამას შინა, ხოლო უსამართლოთა და ცოდვილთა ყოველითა სიმდიდრითა და საშუებელითა გარდაცემულად. და ეინმცა მარლთმსაჯულობისა და ბრძნისა წინა-განმგებელობისა საქმედ თქუა ესე კეთილად გონიერთაგანმან? ყოფად არს უკუე, ყოფად არს აღდგომაჲ! რამეთუ მართალ არს ღმერთი და მოთმინეთა მისთა სასყიდლის მიგებაჲ იქმნების.

ვინაჲცა, უკუეთუ სულსა ოდენ მარტოსა უღუწიეს სათნოებისა ოელთათჳს, მარტოცა გურგუნოსან იქმნეს და უკუეთუ მარტოჲ შემწინკულებულ არს გემოთა შინა, მარტოჲცე ისჯებოდის სამართლად. არამედ ჳინაჲთგან არცა მყოფობაჲ განყოფილი აქუნდა, არცა სათნოებასა, არცა უკეთურებასა მოუჴდა სული, თუნიერ ჯორცთასა, სამართლად ერთბამად ორთაჲე მოისთულნენ მისაგებელნი.

// ხოლო წამებს საღმრთოჲცა წერილი, ეითარმედ ყოფად არს აღდგომაჲ ჯორცთაჲ. რამეთუ იტყუს ღმერთი ნოეს მიმართ შემდგომად წყალით რღუნისა, ჳითარმედ: „ჳითარცა მხალი თიჳისაჲ, მიგცენ თქუენ ყოველნი. გარნა

[1] I კორინთ., 15, 32.

[1] რომელი E. [2] აღდგომაჲ M. [3] რამეთუ M.

შჯამთ, რამეთუ თქუენცა სისხლნი სულთა თქუენთანი გამოვიძინე ჴელისაგან ყოველთა მჴეცთაჲსა და გამოვიძიო იგი ჴელისაგან ყოელისა კაცისა, ძმისა მისისა, გამოვიძიო სული მისი, რომელმან დასთხიოს სისხლი კაცისაჲ, სისხლისა წილ მისისა დაითხიოს სისხლი მისი, რამეთუ ხატად ღმრთისა შეექმენ კაცი".[1] გულისჴმა-ყუოთ უკუე, თუ ვითარ
136r II გამოიძიების სისხლი კაცისაჲ ჴელისაგან ყოველთა მჴეცთაჲსა; ცხად არს, ვითარმედ ამით, რაჟამს აღადგინნეს გუამნი კაცთა მომკუდართანი. რამეთუ არა ნაცვალად კაცისა იქმნების მოკლჳაჲ მჴეცისაჲ.

და კუალად მოსეს ჰრქუა ღმერთმან: „მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი, ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი. რამეთუ არა არს ღმერთი მკუდართაჲ".[2] ესე იგი არს, წარჴდომადთა, განქარეებადთა და არღარა ყოფადთაჲ, არამედ ცხოველთაჲ, რამეთუ სულნი მათნი მარადის „ჴელთა შინა"[3] მისთა მარადის ცხოველ არიან, ხოლო ჯორცნი მათნი მერმესა მას აღდგომასა ცხოველ იყუნენ და მამაჲ ღმრთისაჲ დაჳით იტყჳს ღმრთისა მიმართ: „მოუღი სული მათგან, მოაკლდენ და მიწადეე თჳსსა მიიქცენ".[4] ცხად არს, ვითარმედ ჯორცთათჳს არს სიტყუაჲ ესე, რომელსა შეუდგენს ვითარმედ: „გამოავლინოს სული შენი და დაიბადნენ და განა[ა]ხლო პირი ქუეყნისაჲ".[5] ხოლო ესაია იტყჳს: „აღდგენ მკუდარნი, აღემართნენ საფლაჲთაგან".[6] ცხად არს, ვითარმედ არა სულნი დადებულ არიან საფლაჲსა, არამედ ჯორცნი.

და სანატრელი ეზეკიელ იტყჳს: „და იყო წინაისწარმეტყუელებასა მას ჩემსა, აჰა, ძრაჲაჲ იყო და მოჰყუანდა ძუალი ძუალისაჲ ძუალისა მიმართ, თითოეული შენაწევრებისა მომართ თჳსისა და ვიხილე და, აჰა ესერა, ძარღუნი მათ ზედა გარდაერთხმოდეს და ჯორცნი აღმოსცენდებოდეს და მათ ზედა
136v I განეფინებოდეს და განერთხა ტყავი ზედა-კერძო მათსა".[7] ამისსა შემდგომად გუასწავებს, თუ ვითარ ბრძანებულისა მისებრ აღმოვიდა მათ ზედა სული.[8]

და კუალად საღმრთოჲ დანიელ იტყჳს, ვითარმედ: „მას ჟამსა აღდგეს მიქაელ, დიდი იგი მთავარი, რომელი დგას ძეთა ზედა ერისა შენისათა და იყოს ჟამი ჭირისაჲ, რომლისა მსგაჳსი არა ყოფილ არს მიერითგან, ვინაჲთგან შეიქმნნეს ნათესაჲნი ქუეყნისანი ვიდრე მუნ ჟამამდე და მას ჟამსა ცხოენდეს ერი შენი ყოველი, რომელი იპოოს აღწერილ წიგნსა

ჯორცი სისხლითურთ სულისაჲთა არა შჯამოთ. და რამეთუ თქუენცა სისხლი სულთა თქუნთაჲ გამოვიძიო, ჴელ/ი/საგან ყოველთა მჴეცთაჲსა გამოვიძიო იგი, ჴელისაგან ყოელისა კაცისა ძმისა მისისა გამოვიძიო სული 102r I
მისი. რომელმან დასთხიოს სისხლი კაცისაჲ, სისხლისა წილ მისისა დაითხიოს სისხლი მისი,[1] რამეთუ ხატად ღმრთისა შეექმენ კაცი".[2] ვითარ გამოიძიოს სისხლი კაცისაჲ ჴელისაგან ყოველთა მჴეცთაჲსა, გარნა რამეთუ აღადგინეს ჯორცნი მომკუდართა კაცთანი! რამეთუ არა ნაცვალად კაცისა მოკუდენ მჴეცნი.

და კუალად მოსეს: „მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი. არა არს ღმერთი ღმერთ მკუდართა",[2] – ესე იგი არს, მომკუდართა და არა არს ღმერთ ყოფილთა, არამედ ცხოველთა, რომელთანი სულნი ვიდრემე „ჴელთა შინა"[3] მისთა ცხოველ არიან, ხოლო ჯორცნი აღდგომისა მიერ ცხოველ იქმნებიან კუალად. და ღმრთისა მამაჲ დაჳით იტყჳს ღმრთისა მიმართ: „მოუღი სული მათი და მოაკლდიან და მიწადეე თჳსსა მიიქციან".[4] აჰა, ჯორცთათჳს არს სიტყუაჲ ესე. და კუალად ზედა დაჰრთავს:" გამოავლენ სულსა შენსა და დაიბადნენ და განაახლებ პირსა ქუეყანისასა".[5]

ხოლო ესაია: „აღდგენ მკუდარნი და აღემართნენ საფლავთანი"[6] ცხად არს, ვითარმედ არა სულნი დაისხმიან საფლავთა შინა, არამედ ჯორცნი.

და სანატრელი ეზეკიელ: „და იყოო, – იტყჳს – წინაისწარმეტყუელებასა ჩემსა და, აჰა, ძრაჲაჲ და მოჰყუანდეს ძუალნი ძუალისა მიმართ, თითოეული ნაწევრისა თჳსისა მიმართ. და ჴხედეგედ და, აჰა, შეესხნეს მათ ძარღუნი და ჯორცნი, აღმოცენებით აღმოვიდოდეს მათ ზედა და გარდაერთხა მათ ტყავი ზედა-კერძო"[7] მერმე ასწავებს თუ ვითარ ბრძანებით აღვიდა მათ ზედა სული.[8]

და საღმრთოჲ დანიელცა, ვითარმედ: „მას ჟამსა შინა აღდგეს მიქაელ, მთავარი დიდი, რომელი დგას ძეთა ზედა ერისა ყოელისა[1] და იყოს ჟამი ჭირისაჲ, რომლისა მსგაჳსი არა ქმნილ არს, ვინაჲთგან შეიქმნა ნათესაჲი ქუეყანასა ზედა ვიდრე მის ჟამისამდე და მას შინა ცხონდეს ერი შენი ყოველი, რომელი იპოეოს დაწერილად წიგნსა შინა. და მრავალნი მძინარეთაგანნი ქუეყნისაგან მიწისა

---

* შეისწავე, ეთარმედ ესე საწინაისწარმეტყუელონი სიტყუანი არა უმეცრებით დამიწერიან სხუებრ, არამედ ესრეთ ეჰოენ დედასა შინა!

1 შეს., 9, 3.
2 გამოსლვ., 3, 6.
3 სიბრძნ., 3, 1.
4 ფსალმ., 103, 29.
5 იქვე, 30.
6 ესაია, 26, 19.
7 ეზეკ., 36, 7.
8 იქვე, 9-10; გრიგ. ნოს., სულისათჳს და აღდგომისა.

1 შეს., 9, 3.
2 გამოსლვ., 3, 6.
3 სიბრძნ., 3, 1.
4 ფსალმ., 103, 29.
5 იქვე, 30.
6 ესაია, 26, 19.
7 ეზეკ., 36, 7.
8 იქვე, 9-10; გრიგ. ნოს., სულისათჳს და აღდგომისა.
1 სისხლი მისი <M.[1] ყოელისათა M.

შინა. და მრავალნი შესუენებულთა წმიდათა-განნი აღდგენ ქუეყნისაგან მიწისა, ესენი ცხორებად საუკუნოდ და ესენი საყუდრელად და სირცხულად საუკუნოდ, და გულისჴმის-მყოფელნი იგინი გამობრწყინდენ, ვითარცა ბრწყინვალებაი სამყაროისაი. და მრავალთა მართალთაგანნი, ვითარცა ვარკულავნი, ბრწყ-ინვიდენ საუკუნოდ და მერმეცა".[1]

აწ უკუე შეისწავეე, ვითარმედ „მრავალნი" ნაცვალად ყოველთა თქუნა. ხოლო ქუეყნისა-გან მიწისა ჴორცთა აღდგომასა იტყჳს რომ-ლისათჳს ვერვინ თქუას, ვითარმედ სულნი მიწასა შინა დაიდებიან.

// და კუალად უფალმან წმიდასა სახარე-ბასა შინა განცხადებულად მომცა ჩუენ აღ-დგომაი ჴორცთაი სიტყუთა ამით, ვითარმედ: „ისმინენ სიტყუანი ძისა კაცისანი და მდე-ბარეთა საფლაჳსა შინა და გამოვიდოდინ 136v II კეთილის მოქმედნი აღდგომასა ცხორებისა-სა, ხოლო ბოროტის მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა".[2] ვინაიცა ეერვინ თქუას კე-თილად გონიერთაგანმან, ვითარმედ სულნი საფლაჳსა შინა შეყენებულ არიან, რომლისა მიერ ცხად არს ჴორცთა აღდგომაი.

რამეთუ არა ხოლო იტყოდა უფალი სი-ტყუათა ამათ, არამედ საქმით გუჩუენებდა აღდგომასა გუამთასა. პირველად უკუე ლაზა-რეს შეყროლებულისა და სრულიად განხრ-წნად მიახლებულისა შემდგომად ოთხისა დღისა აღდგინებითა,[3] რამეთუ არა სული წარმოადგინა დაკლებული ჴორცთაგან, არ-ამედ ჴორცნი სულითურთ. და არა სხუაი, არამედ თუთ იგი განხრწნილი გუამი აღად-გინა, რამეთუ ვითარმცა საცნაურ იყო ანუ სარწმუნო აღდგომაი მკუდრისაი, უკუეთუმცა არა საფლაჳთ ჴორცნი მითეე პირეელითა ხატებითა და მსგაჳსებითა შესწავებულნი წარმოედგინნეს? გარნა ლაზარეს აღდგინებაი გამოსაჩინებელად ღმრთეებისა თჳსისა და სარწმუნო-ყოფად გუამთა ჩუენთა აღდგომისა განაგო დამბადებელმან უფალმან და ესრეთ აღადგინა კაცი, რომელსა-იგი კუალადცა ეგულებოდა სიკუდილი. ხოლო თუთ თაჳდი უფალი დასაბამად სრულიადისა მის და არ-ღარა სიკუდიდ მგულებელისა აღდგომისა მკუდრეთით აღდგა.

ვინაიცა საღმრთოი მოციქული იტყჳს: „უკუ-137r I ეთუ მკუდარნი არა აღდგებიან, არცა ქრისტე აღდგომილ არსა? და უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ამაო სადმე არს სარწმუ-ნოებაი ჩუენი და ჯერეთ ცოდჳათა სადმე ჩუენთა შინა ჳართ",[4] არამედ ქრისტე აღდგა მკუდრეთით და დასაბამ შესუენებულთა[5] და აღდგენ ესენი ცხორებად საუკუნოდ და ესენი — ყუედრებად და სირცხულად საუკუნოდ. და გულისჴმის-მყოფელნი განბრწყინდენ, ვითარცა ბრწყინვალებაი სამყაროისაი და მრავალთა მრავალთაგანნი, ვითარცა ეარსკულავნი საუ-კუნოდ და მერმეცა განბრწყინდენ".[1] 102r II

ხოლო თქუმითა ამისითა, ვითარმედ მრა-ვალნი მძინარეთაგანნი ქუეყნისაგან მიწისა აღდგენო, ცხად არს, ვითარმედ აღდგომასა ჴოცთასა წარმოაჩინებს, რამეთუ არასადა ვინ თქუას სულთათჳს მიწასა შინა ქუეყანისასა მძინარეობაი.

1224 // არამედ თუთ უფალიცა საღმრთოთა სა-ხარებათა შინა განცხადებულად მოსცემს აღდგომასა ჴორცთასა, რამეთუ „ისმინონი", — იტყჳს, — საფლავსა შინათა ჴმაი ძისა ღმრთისაი, და გამოვიდოდიან კეთილთა მო-ქმედნი აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბჳრთა მოქმედნი აღდგომასა საშჯელისასა".[2] ხოლო საფლაჳსა შინად სულნი ოდეს სადა ვინ თქუნეს კეთილად გონიერთაგანმან!

და არა სიტყუთა ხოლო, არამედ საქმითცა წარმოაჩინა უფალმან აღდგომაი ჴორცთაი. პირეელად უკუე, რაჟამს ოთხისა დღისაი და ეგერა განხრწნილი და შეყროლებული აღად-გინა ლ/ა/ზარე,[3] რამეთუ „არა სული ჴუებული ჴორცთაგან, არამედ ჴორცნი სულისა თანა და არა სხუაი, არამედ თუთ იგი განხრწნილი აღად[illegible]მეთუ ეითარცა იცნობებოდა ანუ ირწმუნებოდა, ვითარმედ მაშინ მომკუდარი იგი აღდგომილ არს, არათუმცა დამსახველობითნი თუთებანი გუამოენებისა მისისანი უქცეველად[4] წარმოჩინებულ იყენეს? არამედ ლაზარე ეი-დრემე გამოსაჩინებელად ღმრთეებისა თჳსისა და სარწმუნო-ყოფისათჳს ჩუენისა და მისისა აღდგომისა აღადგინა, რომელსა სიკუდიდეე მიქცეეაი ეგულებოდა კუალად. ხოლო თუთ უფალი სრულისა და არღარა სიკუდიდ მგულებელისა აღდგომისა დასაბამ იქმნა.

რომლისათჳს საღმრთოიცა მოციქული პაე-ლე იტყოდა, ვითარმედ: „უკუეთუ მკუდარნი არა აღდგებიან, არცა ქრისტე აღდგომილ არს. ამაო სადმე არსა სარწმუნოებაი ჩუენი? ცოდ-ეათაჳე სადმე შინა ჩუენთა ჳართ ჯერეთ".[5] და ვითარმედ: „ქრისტე აღდგომილ არს, დასაბამი

[1] დან., 12, 1-3.
[2] იოანე, 5, 28-29.
[3] იოანე, 11, 39-44.
[4] I კორინთ., 15, 16-17.
[5] I კორინთ., 15, 16.

[1] დან., 12, 1-3.
[2] იოანე, 5, 28-29.
[3] იოანე, 11, 39-44.
[4] ეს სიტყუა არ არის დედანში.
[5] კორინთ., 15, 16-17.

პირმშო მკუდართა იქმნა.[1] და კუალად იტყჳს: „უკუეთუ გურწამს, ეითარმედ იესუ მოკუდა და აღდგა, ეგრეთვე ღმერთმან შესუენებულნი იგი იესუს მიერ მოიყვანნეს მის თანა“,[2] ესე იგი არს მოყვანებაჲ მის თანა და აღდგომაჲ.

ხოლო რამეთუ აღდგომაჲ უფლისაჲ ჴორცთა, უხრწნელთა ქმნულთა, და სულისა შეერთებაჲ იყო, ეინაითგან იგინი განყოფილ იყვნეს, ესე ცხად-ყო უფალმან, რაჟამს თქუა, ეითარმედ „დაჰჴსენით ტაძარი ესე და მესამესა დღესა აღვაშენო ეგე“.[3] ხოლო რამეთუ ესე თუსისა გუამისათჳს თქუა,[4] ამას მოწამედ ღირსებით სარწმუნოდ აქუს წმიდაჲ სახარებაჲ. და კუალად თუსთა მოწაფეთ[ა] ჰრქუა უფალმან, რაჟამს იგი ჰპონებდეს მისთჳს, ეითარმედ „სული რაჲმე არს, განმიხილეთ და მიხილეთ, რამეთუ სულსა ჴორც და ძუალ არა ასხენ, ეითარ-ესე მე მხედაეთ, რამეთუ მასხენ, ესე იგი არს, ეითარმედ მე ვარ და არაჲ შეცვალებულ ვარ“[5] და ესე რაჲ თქუა, უჩუენნა მათ ჴელნი თუსნი და გუერდი და ეგრეთვე კუალად თომასა წინა-უუენა იგი განსახილეველად. ანუ არა ქმა არიანა ესე ყოველნი სარწმუნო-ყოფად
137r II გუამთა აღდგომისათჳს?

// ხოლო კუალად იტყჳს საღმრთოჲ მოციქული, ეითარმედ: „ჯერ არს სრწნილისა ამის შემოსად უხრწნელებაჲ და მოკუდაჲისა ამის შემოსად უკუდაებაჲ“.[6] და კუალად იტყჳს: „დაეთესვის ხრწნილებით და აღდგების უხრწნელებით. დაეთესვის უძლურებით და აღდგების ძლიერებით. დაეთესვის უპატიოსნებით და აღდგების დიდებით. დაეთესვის ჴორცი მშუნვიერი, ესე იგი არს, ზრქელი და მოკუდაჲი და აღდგების ჴორცი სულიერი“,[7] ესე იგი არს, უქცეველი და უნებელი, წულილი და თხელი,[8] რამეთუ ამას ზოასწავებს სულიერობაჲ. ეითარ-იგი იყო გუამი უფლისაჲ შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა, რომელი-იგი დაუყენებელად შეეიდა კართა ჴშულთა, არა მოქენე საზრდელისა, ძილისა და სასუმელისაჲ. და უფალი იტყჳს, ეითარმედ: „იყენენ, ეითარცა ანგელოზნი ღმრთისანი, რამეთუ არა ყოფად არს ქორწინებაჲ, არცა შეილთ-სხმაჲ“.[9]

იტყჳს უკუე საღმრთოჲ მოციქული, ეითარმედ: „ჩუენი მოქალაქობაჲ ცათა შინა არს, ეინაჲ-იგი მაცხოვარსა მოველით იესუ ქრისტესა, რომელმან გარდაცვალნეს ჴორცნი ესე სიმდაბლისა ჩუენისანი თანა-ხატ-ყოფად ჴორცთა

[1] კოლას., I, 18.
[2] I თესალ., 4, 14.
[3] იოანე, 2, 19.
[4] იქვე, 21.
[5] ლუკა, 24, 39.
[6] I კორინთ., 15, 53.
[7] „ესე იგი არს უქცეველი და უნებელი, წულილი და თხელი“, არ არის დედანში.
[8] მათე, 22, 30.
[9] ფილ., 3, 20-21.

დაძინებულთაჲ“[1] და „პირმშოჲ მკუდართაჲ“.[2] და კუალად, რამეთუ „უკუეთუ გურწამს, ეითარმედ იესუ მოკუდა და აღდგა, ეგრეთვე ღმერთმან დაძინებულნი და იესუს მიერ მოიყუანნეს მის თანა“[3] ესრეთ უკუე იტყჳს, ეითარმედ „ეითარცა უფალი აღდგა, ეგრეთცა იგინი აღდგენ“.[4]

ხოლო ეითარმედ აღდგომაჲ უფლისაჲ უხრწნელ-ქმნილთა ჴორცთა და სულისა შეერთებაჲ იყო და ამით[5] ცხად არს, ეითარმედ ურთიერთას განყოფილთაჲ, რამეთუ თქუა: 102v I
„დაჰჴსენით ტაძარი და სამთა დღეთა შინა აღვაშენო იგი“.[6] ხოლო მოწამე ღირს რწმუნებისა არს სამრთოჲ სახარებაჲ, ეითარმედ ტაძრისათჳს ჴორცთა თუსთაჲსა იტყოდა.[7] „განმიხილეთ მე და იხილეთ, – ეტყოდა უფალი მოწამეთა, რომელნი სულისა რაჲსამე ჰგონებდეს ხილეასა, – რამეთუ მე ეარ და არა შეცვალებულ ეარ, რამეთუ სულსა ჴორც და ძუალ არა ჰქონან, ეითარ მე მხედაეთ მქონებელად“.[8] და ამისმან მეტყუელმან უჩუენნა მათ ჴელნი და გუერდი და თომას მიუპყრნა განსახილეველად. არა სადმე ქმა არიანა ესენი სარწმუნო-საყოფელად[II] აღდგომისა ჴორცთაჲსა?

// კუალად იტყჳს საღმრთოჲ მოციქული: 1225
„ჯერ – არსო ხრწნილისა ამის შემოსად უხრწნელებაჲ და მოკუდაჲისა ამის შემოსად უკუდაებაჲ“.[9] და კუალად: „დაეთესვის ხრწნილებით და აღდგების უხრწნელებით, დაეთესვის უძლურებით და აღდგების ძალითა, დაეთესვის უპატიოობით და აღდგების დიდებით, დაეთესვის ჴორცი მშუნვიერი“ – ესე იგი არს, ზრქელი და მოკუდაჲი,– და აღდგების ჴორცი სულიერი“,[10] უქცეველი, უნებელი, წულილი,[11] რამეთუ ამას ცხად-ჰყოფს სულიერობაჲ, ეითარნი იყვნეს ჴორცნი უფლისანი შემდგომად აღდგომისა, დაჴშულთა ბჭეთა შემავალნი უჭირველად, საზრდელისა, ძილისა და სასუმელისა არა მოქენენი. რამეთუ „იყენენო,– უფალი იტყჳს,– ეითარცა ანგელოზნი ღირსნი“,[12] რამეთუ არცა ქორწილი ყოფად არს, არცა შეილიერებაჲ.

იტყჳს უკუე კუალად საღმრთოჲ მოციქული, ეითარმედ: „ჩუენი მოქალაქობაჲ ცათა შინა არს, სადაჲთ იგი მაცხოვარსა მოველით იესუ ქრისტესა, რომელმან გარდასახნეს ჴორცნი სიმდაბლისა ჩუენისანი, რათა იქმნენ იგინი

[1] I კორინთ., 15, 16.
[2] კოლას., I, 18.
[3] I თესალ., 4, 14.
[4] „ეგრეთცა იგინი აღდგენ“ დედანში არ გეხედება.
[5] იოანე, 2, 19.
[6] იოანე, 2, 21.
[7] ლუკა, 24, 39.
[8] I კორინთ., 15, 53.
[9] ფილ., 3, 20-21.
[10] გრიგ. ნოს., სულისათჳს და აღდგომისა.
[11] I კორინთ., 15, 35.

[I] ამათ A. [II] სარწმუნო-მყოფელად M.

მათ დიდებისა მისისათა“.[1] არა ყოელითურთ სხუად ქცეულებასა იტყჳს, – ნუ იყოფინ, – არამედ ხრწნილებისაგან ოდენ უხრწნელყოფასა.[2]

137v I ხოლო იტყოდის თუ ვინმე ეითარმედ: „ეითარ აღდგენ მკუდარნი,[3] – ჲ, ურწმუნოებასა! ჲ, უგუნურებასა მისსა! ანუ თუთ ჯორცნიცა ესე ნებებით ოდენ დაუბადებიანა მას, რომელმანიგი უბრძანა საშოსა მცირისა მის ნიეთისა, რომელ არს წუეთი თესლისაჲ, მის შორის აღორძინებაჲ და მრაჳალ სახედ და მრავალ გუარად აგებულისა მის კაცთა გუამებისა შესრულებაჲ? ანუ არა ადვილი იყოსა მისსა ერთგზის შექმნულისა ამის და ჴსნილისაჲ კუალად აღდგინებაჲ? არამედ კუალად შესძინებენ, თუ რომლითა გუამითა მოვიდენ?“ უგუნურო! დაღაცათუ სიტყუათა ღმრთისათა ურწმუნოებაჲ შეგენდობვის, საქმეთაჲ განაღა სადმე ირწმუნე, რამეთუ ყოველნი, „რომელი-იგი დასთესი, არა ცხონდის, უკუეთუ არა პირეველად მოკუდის. და ოდეს იგი სთესვიდე, არა სრულსა გუამსა სთესავ ყოფადისა მისსა, არამედ შიშუელსა მარცუალსა, ნუ-უკუე იფქლისა ანუ სხჳსა რაჲსამე, ხოლო ღმერთი მისცემს მას გუამსა, ეითარ-იგი უნდეს და თითოეულსა თესლსა თჳსი გუამი აქუს“. ისიელე უკუე, ეითარ ორნატსა, ეითარცა საფლაესა შინა დაიფლეიან თესლნი, ეინ არს, რომელი მისცემს მათ ძირთა განბმასა ჯეჯილისა მის და წ'უელისა აღმოცენებასა თაესა ჴუეილისასა და წ'ული-
137v II ლადთა მათ ფხათა, ანუ არა ყოველთა დამბადებელი-ა? ანუ არა ყოველთა შემოქმედისა განგებულებაჲ-ა და ბრძანებაჲ მისი?

ამიერვე უკუე ირწმუნე აღდგომისათჳსცა მკუდართაჲსა, ეითარმედ საღმრთო[ა]თა ნებითა და წაჰის-ყოფითა იქმნების, რომელსა-იგი ნებებასაეე თანა აქუს ძალიცა.

[1] გრიგ. ნოს., სულისათჳს და აღდგომისა.
[2] I კორინთ., 15, 35.
[3] I კორინთ., 15, 35, 36.
[4] I კორინთ., 15, 36-38.

თანა-ჰატ ჯორცთა დიდებისა მისისათა“, გარნა არა სიტყჳსა ხატისა მიმართ გარდასახუასა მათსა იტყჳს – წარეედ, – არამედ უფროჲსღა ხრწნილებისაგან უხრწნელებად შეცვალებასა.

ხოლო „იტყჳან ვინმე: ეითარ აღდგენო მკუდარნი?“ „ჲ ურწმუნოებასა! ჲ უგულისჴმოებასა! რომელმან მტუერი მხოლოდ ნებებითა ოდენ ჯორცად შეცვალა, რომელმან მცირესა ნივთსა და წუეთსა თესლისასა საშოსა შინა ჯორცად აღორძინებაჲ უბრძანა და მრავალსახისა ამის და მრაჳალ ფერისა ორღანოსა ჯორცთაჲსა შესრულებაჲ, არა უფროჲსღა ქმნილი და დაჴსნილი აღდგინოს კუალად მხოლოდ ნებებითა ოდენ? „ანუ რომლითა ჯორცითა მოვიდენო? უგუნურო“![1] დაღათუ 102v II სიტყუათა ღმრთისათა არა რწმუნებად შეგონდობს სიბრძე, საქმეთაჲღა თუ ირწმუნეთ![2] რამეთუ „შენ რომელი დასთესი, არცა ცხოველ იქმნის, უკუეთუ არა მოკუდის და რომელი დასთესი, არა ყოფადი იგი სხეული დასთესი, არამედ შიშეელი მარცუალი იფქლისაჲ, ნუ უკუე ანუ სხუათა რომელთაჲმე. ხოლო ღმერთმან მისცის მას სხეულებაჲ, ეითარმცა ინების და თითოეულსა თესლთაგანსა თჳსი სხეული“,[3] იხილენ უკუე, ეითარცა საფლაეთა ურნატთა შინა დაფლულსა თესლნი. ვინ არს მნერგეელი ძირთა მათთაჲ წუელისა და ფურცელთა და თაეწარსხმულისაჲ და მწულილთა მათ ფხათაჲ? არა ყოველთა დამბადებელია? არა ყოველთა ბრძანებით მოქმედია?

ესრეთეე უკუე გრწმენინ ყოფაჲ აღდგომისაცა მკუდართაჲსაჲ საღმრთოჲთა ნებითა და წაჰის-ყოფითა, რამეთუ თანა-მორბედად ნებებისა აქუს ძალი.

[1] I კორინთ., 15, 35-36.
[2] I კორინთ., 15, 36-38.
[3] უგუნურად M. 2. [4] დაღათუ სიტყუათა ღმრთისათა არა რწმუნებად შეგისნდობს სიბრძნე საქმეთაჲღა თუ ირწმუნეთ – უკუეთუ საღეთოთა სიტყუათა ურწმუნოებად სიბრძესა მიუშვებს, ნუთუ საქმეთაგან რწმენეს M.

// რამეთუ მის მიერ აღედგებით კუალად სულითა და ჴორც[ით]ა შეერთებულნი, უხრწნელ ქმნილნი და აღმძურცელნი ხრწნილებისანი და წარმოვდგებით წინაშე საშინელსა მას საყდარსა ქრისტესსა. მაშინ მიეცეს ეშმაკი და მის თანა ძალნი მისნი და კაცი იგი მათი, რომელ არს ანტიქრისტე, უღმრთოთა თანა და ცოდვილთა ცეცხლსა საუკუნესა. არა ნივთიერსა, ვითარ-ესე არიან ჩუენ შორის მყოფი ესე ცეცხლი, არამედ ეგეუითარსა, ვითარი უწყის ღმერთმან. ხოლო კეთილის მოქმედნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე ანგელოზთა თანა ცხორებასა საუკუნესა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს თანა, ხედვიდენ მას და იხილებოდენ და დაუსრულებელსა შეუბასა მოისთულებდენ მის მიერ.*

1228 // ეინაიცა აღვდგეთ სადმე შეერთებითა კუალად სულთაითა ჴორცთა თანა უხრწნელქმნილთა და განმძურცელთა ხრწნილებისათა და წარვდგეთ საშინელსა საყდარსა ქრისტესა. და მიეცეს სატანა და ეშმაკნი მისნი და კაცი მისი, რომელ არს ანტიქრისტე, და უმსახურებელნი და ცოდვილნი ცეცხლისა საუკუნესა, არა ნივთიერსა, ვითარი არს ჩუენ შორისი ესე, არამედ ვითარი უწყის ღმერთმან. ხოლო კეთილისა მოქმედნი განბრწყინდენ, ვითარცა მზე, ანგელოსთა თანა ცხორებად საუკუნოდ, უფლისა ჩუენისა თანა იესუ ქრისტესსა, ჰხედვიდენ მას და იხილებოდენ და დაუსრულებელსა შეუბასა მოისთულებდენ მის მიერ.* [1]

* დასასრული შრომათა ი˙ე მანსურისთაჲ. ეყრემ მცირეშ˙ნ. ქართლებრთ ენადც აცისკრენა: ელლინთ ფილოსოფ: მუსიკ˙დ ნარიტორებნი: იშშორისნნა რაჲ სლ˙მნი ნამდულე არსშ˙ნ: სარკე გ˙ნწმედილ: ექმნა მშობიარესა: რაოდენ დაიტევს; სუნიდი კაცთ ანაგისაჲ.

ლოცეა ყაეთ ქრისტეს მოყუარენო გაბრიელისთჳს, რომლისა ბრძანებითა ითარგმნა წმიდაჲ ესე წიგნი და კეთილთა მოღუაწეთა ჩემთა და განმაძალიერებელთა, ამასთანა მზრდელთაცა და მსახურთა – არსენი იყალთოელისა, იოანე და იოანე ხუცესთა, სტეფანესთჳს და კნინისა და უფროს ყოველთა ჩემ-საწყალობელისა რეცა თარგმნისა ურემ მცირისთჳს, რომელსა დიდთა კათოლიკეთა მარხეთა ცოდეათა თუსთა გლოვაჲ და ქრისტეანეთაცა საერონი ცამნი უგულებელს მექმნეს ში˙შითა ამისისა ვერ გასრულების[ა]თა, რომელი სრულ-ყო ღმერთმან ლოცვითა ზემო-ჴსენებულთა ამათ მამათაჲთა.

[1] [მე – 100 თაეის დასასრული M რედაქციით]: „რამეთუ შენ რომელსა დასთეს,არა ცხოველ იყოფის,უკუეთუ არა მოკუდეს და რომელსა დასთეს არა ჴორცსა ყოფადსა დასთეს, არამედ შიშველსა მარცჳალსა, უკუეთუ შეემთხეას ქრთილი, ანუ რომელნიმე სხეა. ხოლო ღმერთმან მოსცის მას ჴორცი, ეითარცა ნებაჳს და თჳთეულსა თესლსა თუსნი ჴორცნი. ხედაე უკუე, რამეთუ საფლავთა შინა ორნატთათა თესლი განიბნეულის? ეინა ამათ ფესჳი შესძინა,ღერო და ფურცელი და კჳწერი და უუმსუბუქესი მწუელი, არა ყოველი ხუროთ დამბადებელმან და ყოელისა შემოქმედისა მრძანებელმან? ესრეთ უკუე გრწმენეს მკედართაცა აღდგომისა ყოფა საღეთოთა ნებებითა და წამისყოფითა,რამეთუ მოჴმედი აქუს ნებებელობითისა ძალი, აღვდგეთ უკუე სულითა კუალად შეერთებულებითა ჴორცთათა უხრწნელებისათა და განმდეენელნი ხრწნილებისა და წარუსდგეთ საშინელსა საყდარსა და მიეცეს ეშმაკი და სატანა მისი და კაცი მისი,ესე იგი არს,ანტიქრისტე და არა-წმიდანი და ცოდეილნი ცეცხლსა შინა საუკუნოსა,არა ნივთიერებულთა,ეითარცა არს ჩუენ შორის,არამედ ეითარცა უწყის ღმერთმან. ხოლო კეთილის მოქმედნი გამობრწყინდნენ, ეითარცა მზე ანგელოსთა თანა ცხორებასა შინა საუკუნოსა,თანა უფლითა ჩუენითა იესუ ქრისტესითა, მხედველნი მისნი მარადის და ხილულნი და დაუცხრომელად მისგან სიხარულისა მნაყოფიერებელნი.

* [ანდერძნამაგი არსენ იყალთოელისა:] დასასრული შრომათა იოვანე მანსურისთაჲ. ხოლო ითარგმნა არსენისგან ეაჩესძისა.

პირობითი ნიშნები

1. არსენ იყალთოელის თარგმანის ნუსხები წარმოდგენილია შემდეგი ლიტერებით: A (S – 1463), B (S – 358), C (S – 2744), D (S – 2574), E (A – 1346), F (S – 4579), G (S – 63), M (მოსკოური გამოცემა 1744 წლისა).
2. გამომცემლის მიერ აღდგენილი ადგილები ჩასმულია კავებში: [ ], კონიექტურის შემთხვევაში ნუსხის წაკითხვა ჩატანილია ვარიანტებში ან სქოლიოში (ეფრემის თარგმანში).
3. ა'შიაზე მითითებულია ხელნაწერის გვერდები, სვეტები, მაგალითად: 38v II.
4. სვეტებს შორის ჩასმულია ბერძნული დედნის გამოცემის გვერდი Migne-is Patrologia Graeca-ს 94-ე ტომის მიხედვით, ხოლო ტექსტში შესაბამისი ადგილი გამოყოფილია ორმაგი ხაზით: მაგალითად – „მიერ // გამოგუცხადა", რაც ნიშნავს იმას, რომ დაახლოებით სიტყვასთან „მიერ" წყდება დედნის სათანადო გვერდი და იწყება ახალი.
5. ტექსტის თავების სათვალავს წინ უძღვის ირიბ ფრჩხილებში ჩასმული ბერძნული დედნის გამოცემის წიგნებისა და თავების სათვალავი, მაგალითად: 16 /II, 2/ თავი ივ. ეს ნიშნავს, რომ ქართული თარგმანის ივ, ანუ მე-16 თავი შეესაბამება ბერძნული დედნის გამოცემის მეორე წიგნის მეორე თავს.
6. სქოლიოში ვარიანტები აღნუსხულია რომაული ციფრებით.

ბოლოსიტყვაობა

იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართულ თარგმანთა ტექსტები მეტად საინტერესოა არა მხოლოდ ქართული მწერლობისა და აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით, არამედ ძველი ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისითაც. კერძოდ, ეფრემისა და არსენის თარგმანებში კარგად არის ასახული ქართული ლიტერატურის კლასიკური პერიოდის ფილოსოფიური და თეოლოგიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პროცესი. მრავალისმეტყველია თავისთავად ის ფაქტი, რომ არსენის თარგმანის წარმოშობა რამდენადმე განპირობებული იყო შედარებით მოკლე ხანში ქართული ფილოსოფიური აზროვნების მკვეთრი აღმავლობით, რაც მოითხოვდა ბერძნული თხზულების ისე თარგმნას, რომ ქართული თარგმანი, როგორც ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის, ასევე წინადადებათა კონსტრუქციის თვალსაზრისით შესაფერისი ყოფილიყო ქართულ მწერლობაში იმ დროისათვის უკვე ნაწილობრივ შემუშავებული ნორმებისა და ამავე დროს ხელი შეეწყო ამ ნორმების ჩამოყალიბებისათვის. ქართული რენესანსის ეპოქა, რომლის გვირგვინს შოთა რუსთაველი წარმოადგენს, იწყებოდა, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვა დარგების მკვეთრ აღმავლობასთან ერთად, ფილოსოფიური მწერლობის განვითარებით, რომელსაც ქართულ სინამდვილეში, აღმოსავლური რენესანსის წინამორბედ ეპოქაში საფუძველი ჩაუყარა ეფრემ მცირემ იოანე დამასკელის „დიალექტიკისა“ და „გარდამოცემის“ თარგმნით, ხოლო შემდგომ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა არსენ იყალთოელმა ამავე თხზულების ხელმეორედ თარგმნით და ფილოსოფიის დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობით და ქართული და ბიზანტიური ფილოსოფიის ბრწყინვალე წარმომადგენელმა იოანე პეტრიწმა. ქართული ფილოსოფიური მწერლობა იყო ერთერთი მნიშვნელოვანი წყარო შოთა რუსთაველის „ეფხისტყაოსნისა“.

ამიტომ გასაგებია, რომ მეტად საინტერესოა „გარდამოცემის“ ქართული თარგმანების ურთიერთმიმართების საკითხი. ჩვენს გამოკვლევაში, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო თვალნათლივ გამოგვეჩინა ყველა მხარე ამ ურთიერთობისა. საკითხით დაინტერესებულ მკვლევარს რომ საშუალება ჰქონდეს თვალი ადევნოს, თუ როგორ ხდებოდა ამა თუ იმ ფილოსოფიური თუ თეოლოგიური დებულების ჩამოყალიბება, მისი გადმოცემა ქართულად, თუ როგორ ეძებდნენ ქართველი მთარგმნელები ბერძნულ ტერმინთა ექვივალენტს, რა გზით მიემართებოდა მათი მეცადინეობა, საჭიროა და აუცილებელიც ეფრემისა და არსენის თარგმანთა ტექსტების გამოცემა პარალელურად. ვერავითარი გამოკვლევა და ლექსიკონი ვერ შესცვლის მათ თვალსაჩინოებას.

სამწუხაროდ, რადგანაც ქართულ თარგმანთა ტექსტები ჩვენ ჯერჯერობით ხელნაწერის სახით გვაქვს წარმოდგენილი, გასაგებია, რომ ტექნიკურად შეუძლებელი იყო მათი პარალელურად გადმოცემა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ პარალელური ტექსტების გამოცემის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ქართულ-ბერძნული დოკუმენტირებული ლექსიკონი, სადაც პარალელურად ასახული იქნება ორივე მთარგმნელის ნამოღვაწარი. ასეთი ლექსიკონის დართვა ხელნაწერად წარმოდგენილ ტექსტებს ეფრაფერს შეჰმატებდა, პირიქით, მკითხველს ყალბ და ცალმხრივ წარმოდგენას შეუქმნიდა საქმის ნამდვილ ვითარებაზე, გაძნელდებოდა ლექსიკონის გამოყენება თვით ტექსტის ასათვისებლად, ერთი სიტყვით, ლექსიკონი დარჩებოდა შრომისაგან მოკვეთილ ნაწილად. თავისთავად ქართულ თარგმანებში იშვიათად გვხვდება რაიმე გაუგებარი და უჩვეულო სიტყვა, რომ ამისთვის საჭირო ყოფილიყო ლექსიკონის დართვა. ლექსიკონის მთავარი მიზანი, ცხადია უნდა ყოფილიყო, ეჩვენებინა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პროცესი, ქართველ მთარგმნელთა მიდგომა ამა თუ იმ ტერმინისადმი, მათი ხერხები სიტყვათწარმოებისა და ტერმინთა შედგენისა. ასეთი ლექსიკონის შედგენა, ცხადია, პარალელურად ტექსტების დაბეჭდვისა და სათანადო ადგილებზე მითითების გარეშე შეუძლებელი იყო. ჩვენ მიერ შედგენილი ლექსიკონი

დაერთვება ქართულ თარგმანებს მათი დასტამბვის შემდეგ. იქვე ტექსტებზე დაკვირვებისა და ბერძნულ დედანთან შედარების გასაადვილებლად მოცემული იქნება ბერძნულ ტერმინთა საძიებელი.

როგორც ადრე გვქონდა აღნიშნული, ეფრემ მცირის თარგმანის ტექსტის გამოცემისას ძირითად, და ახლა დაეძენთ, ერთადერთ წყაროდ მივიჩნიეთ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის №24 ნუსხა.

გარდა იმისა, რომ ეს ნუსხა მე-12 საუკუნეს განეკუთვნება და კარგადაც არის შენახული, იგი ერთადერთია იმიტომაც, რომ მე-18 საუკუნის ორი ნუსხა (A 406, S 1358), რომელნიც შეიცავენ ეფრემისეულ თარგმანს დამასკელის თხზულებისა, ეერაფითარ დახმარებას ეერ გაგვიწევენ ტექსტის დადგენაში უბრალოდ იმის გამო, რომ ისინი მხოლოდ ექსცერპტებს გადმოგვცემენ ამ თხზულებიდან. ასე მაგალითად, A 406 ნუსხა თითქოს უნდა შეიცავდეს „დიალექტიკას" და „გარდამოცემას" მთლიანად, თუ ვიმსჯელებთ ზანდუკის მიხედვით, მაგრამ სინამდვილეში აქ მხოლოდ 43 თავია გადმოწერილი, ალბათ, A 24 ნუსხიდან,[1] „დიალექტიკიდან". დაახლოებით იგივე ითქმის S 1358 (გვ. 13r – 38v) ხელნაწერზეც.[1] რაც შეეხება არსენ იყალთოელის თარგმანს, ჩვენი ტექსტის დასადგენად ეხელმძღვანელობდით S 1463 ნუსხით, რომელიც არსენის „დოგმატიკონის" ნუსხათა შორის ყველაზე სანდო და უძველესია (განეკუთვნება მე-12 ს.). „გარდამოცემა" აქ მოთავსებულია 54r – 102v გვერდებზე. ხელნაწერი აღწერილია ა. ბაქრაძის მიერ.[2] გარდა ამისა გამოვიყენეთ შემდეგი ნუსხები:

1 A24 ნუსხა აღწერილი აქვს თ. ჟორდანიას: Описание рукописей тифлисского Церковного музея,книга I, Тифлис, 1903, стр. 17-18.

2. S 358 (ლიტერი-B). ეს არის 1735 წელს გადაწერილი საღეთისმეტყველო კრებული, რომელშიც „გარდამოცემა" მოთავსებულია 83-302 გვერდებზე. ხელნაწერი აღწერილია თ. ენუქიძის მიერ.[3]

3. S 2744 (ლიტერი C). გადაწერილია 1803 წელს რაფიელ იოანეს ძე მაისუროვის მიერ. „გარდამოცემას" უჭირავს 5r – 46v გვერდები, მოცემულია თხზულების არასრული ტექსტი. ხელნაწერი აღწერილია მ. ქაუთარიას მიერ.[4]

4. S 2574 (ლიტერი D). ეს არის მე-18 საუკუნის ხელნაწერი. „გარდამოცემა" მოთავსებულია 72-302 გვერდებზე. ხელნაწერი აღწერა მ. შანიძემ.[5]

5. A 1346 (ლიტერი E). ეს ხელნაწერი 1737 წელს მოსკოვში გადაუწერია ონისიმე გარსევანიშვილს. 1r-96v გვერდები შეიცავს „გარდამოცემას". ხელნაწერი აღწერილია ქრისტინე შარაშიძის მიერ.[6]

6. S 4579 (ლიტერი F). შეიცავს 1814 წელს გადაწერილ „გარდამოცემას".

7. S 63 (ლიტერი G) ეს არის მე-18 საუკუნის კრებული, რომელშიც „გარდამოცემის" მცირეოდენი ნაწყვეტები მოთავსებულია 41r – 46r გვერდებზე. ხელნაწერი აღწერილია ნ. კასრაძის მიერ.[7]

8. 1744 წლის მოსკოვური გამოცემა (ლიტერი M). წიგნი გამოცემულია ბაქარის ბრძანებით, არქიეპისკოპოსი იოსების საფასითა და წარსაგებლით, ხოლო „მბეჭდავთა ზედა მდგომელი" არის ქრისტეფორე მღვდელმონაზონი, როგორც იუწყება მინაწერი. ამ გამოცემაზე უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა. ცხადია, იგი არ არის კრიტიკული გამოცემა, არამედ ემყარება და იმეორებს რომელიღაც ხელნაწერს. მაგრამ საინტერესო

---

[1] S 1258 ნუსხა აღწერილი აქვს თ. ბრეგაძეს: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ჯოჯილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S კოლექციისა), ტ. 2, ე. მეტრეველის რედ., თბილისი, 1961, 135

[2] იქვე, 213-222.

[3] იქვე, ტ. 1, თბილისი 1959, 413-414.

[4] იქვე, ტ. 4, 161-162.

[5] იქვე, 97-98

[6] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ჯოჯილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ. 4, თბ., 1954, 429.

[7] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. 1, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959, 72.

ის არის, რომ იგი რედაქციულად განსხვავდება ჩვენი ძირითადი ტექსტისაგან. ჯერ-ერთი, რაც მთავარია, ამ წიგნში ტექსტი დაყოფილია ოთხ წიგნად, როგორც ბერძნული „გარდამოცემის" გვიანდელ გამოცემებში იყო (კერძოდ, ასეთ დაყოფას ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ 1535 წლის ლათინური გამოცემის შემდეგ), ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ მოსკოვური გამოცემის რედაქტორს გამოუყენებია შესადარებლად რომელიღაც არაქართული გამოცემაც. გარდა ამისა, საინტერესოა ისიც, რომ მოსკოვური გამოცემა შეიცავს არა 100 თავს, როგორც თეით დედანი და ყველა სხვა სრული თარგმანი, არამედ 110 თავს, თუმცა, შინაარსობლივ თითქმის არაფერი არ არის დამატებული. საქმე ის არის, რომ ზოგი თავი აქ გაყოფილია და საკუთარი სათაური აქვს. მაგალითად, ერთი თავი – „წმიდისა სამებისათჳს" (თ. 8) გაყოფილია შემდეგ თავებად: „მამისა და ძისათჳს", „სულისა წმიდისათჳს" (32), „სამთა გუამთა განყოფილებისათჳს და ნივთთათჳს და სიტყჳსათჳს და გონებისათჳს" (36). გაყოფილია თავი „ჰაერისათჳს და ქართა" ორ თავად – „ჰაერისათჳს (93), „ქარისათჳს" (95). ასევე სამად გაყოფილია დედნის 37-ე) მეორე წიგნის 23-ე) თავი: „საზღვარი რაჲ არს ნება" (142), „ნებებისათჳს" (145), „მოქმედებისათჳს" (148). ასევე ზედმეტია მეორე წიგნში დასათაურებანი: „რაოდენნი უსახელონი" (120), „რამეთუ კაცი ეზიარებისცა უსულოთა და უსიტყუელთა და სიტყჳერთა" (122). ეტყობა, ეს სათაურები გაჩენილია არსენის თარგმანის აშიებზე მიწერილი შენიშვნებიდან. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგან გამომცემლებს ტექსტშივე შეუტანიათ არსენის თარგმანის სქოლიოები, ერთ შემთხვევაში აღუნიშნავთ, ეს სხვისი „თარგმანია", აშიაზე არ ეტეოდა და ტექსტში შევიტანეთო, მაგრამ ერთი დიდი სქოლიო, რომელშიც ჩვენს საყრდენ ხელნაწერებში (A 24, S 1463) დამოწმებულია მაქსიმე აღმსარებელი, უშენიშვნოდ შეუტანიათ ტექსტში. რამდენადმე განსხვავებულია ტექსტის დასასრულიც, მაგრამ საერთოდ M რედაქცია დიდად არ შორდება ჩვენს ძირითად ტექსტს, რაც კარგად ჩანს ჩვენ მიერ ამოწერილ ვარიანტებშიც. სხვათა შორის, იქვე ჩანს, რომ ის ხელნაწერები, რომელნიც გადაწერილია 1744 წლის შემდეგ (DCFG) ძირითადად იმეორებენ M რადაქციის წაკითხვებს. და აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ისინი რედაქციულადაც მხარში უდგანან მოსკოვურ გამოცემას. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ ეს ხელნაწერები მოსკოვური გამოცემიდან მომდინარეობენ.

ტექსტის გამოცემისას, ვითვალისწინებდით რა იმ გარემოებას, რომ ჩვენი ძირითადი ხელნაწერები (A 24 და S 1463) მე-12 – მე-13 სს. ნუსხებია, ესე იგი, დიდად არ არიან დაცილებულნი ეფრემისა და არსენის ხანას, უმთავრესად ვენდობოდით ხელნაწერთა ორთოგრაფიას და ამიტომ არ გვიცდია თავი აგვერიდებინა ზოგიერთი ფორმის სიჭრელისათვის (მაგალითად, „სჯული" და „შჯული", სამსჭუალი" და „სამშჭუალი", „ემეოლისმოს" და „ემეოლიზმს", „ანგელოსი" და „ანგელოზი", „ნესტორი" და „ნისტორი" და სხვ.). ცხადია, ფორმათა ასეთი სიჭრელე გამოხატავს ქართული ორთოგრაფიის იმდროინდელ მდგომარეობას, აგრეთვე ბერძნულ-ბიზანტიურთან ფონეტიკურ შესატყვისობას, როცა ქართულ ტრანსკრიპციაში ბგერას ხან სმენითი, ხან მხედველობითი აღქმა განსაზღვრავდა. სწორედ ამიტომ რომელიმე ფორმის სიმრავლეით (მაგალითად, თუ უფრო ხშირად „ანგელოზი" სწერია, ვიდრე „ანგელოსი") არ უნდა მოვახდინოთ ფორმათა უნიფიცირება.

ГРУЗИНСКИЕ ПЕРЕВОДЫ "ИЗЛОЖЕНИЯ" ИОАННА ДАМАСКИНА

ВВЕДЕНИЕ

Древнегрузинская духовная литература занимает одно из почетных мест в сокровищнице мировой христианской культуры. Наряду с многогранной и высокохудожественной оригинальной письменностью она богата и переводами. Можно с уверенностью сказать, что нет почти ни одного значительного памятника духовной письменности (главным образом греко-византийской), не переведенного на грузинский язык.

Но этим не ограничивается значение древнегрузинских переводов. Они, как правило, помогают решать спорные историко-филологические вопросы, связанные с самим оригиналом. Даже в книгах Ветхого завета можно обнаружить творческий вклад грузинских переводчиков. Грузинская письменность сохранила переводы и таких произведений, оригиналы которых безвозвратно утеряны. Поэтому многие пробелы истории византийской литературы в настоящее время могут быть восполнены лишь путем изучения грузинских переводов. В этой связи достаточно напомнить судьбу сочинений Симеона Метафраста и Иоанна Ксифилина.[1]

Деятели древнегрузинской культуры старались не отставать от кипучей литературной жизни Византии и за недостатком времени и средств, не желая соперничать с предшественниками, избегали повторного перевода произведений, уже получивших права гражданства как со стороны церкви, так и в духовной жизни грузинского народа. Ефрем Мцире (Младший), например, в течение 12 лет воздерживался от перевода "Аскетикона" Василия Кесарийского, т. к. узнал, что этот труд уже взял на себя Прокопий пресвитер. Только лишь окончательно убедившись в безнадежности получения этого нового перевода, он сам приступил к переложению на грузинский язык сочинения Василия Кесарийского.

Немаловажное значение имела при этом, конечно, коллегиальность грузинских писателей. И все же, несмотря на это, в грузинской письменности встречаются случаи нескольких вариантов перевода одних и тех же сочинений. Мы можем назвать некоторые основные причины многократного перевода:

1. Переводчика зачастую не удовлетворял труд предшественника, не отвечавший требованиям современности. В данном случае мы имеем в виду не претензии идеологического характера, а чисто переводческие принципы. В ряде случаев древний перевод был выполнен весьма свободно, с значительными отклонениями от оригинала, или же был сделан не с языка первоисточника. В этом отношении заслуживает внимания деятельность известного писателя XI века Ефрема Мцире. Он повторно перевел одну из речей Григория Назианзина, которая до него была переведена с армянского Григолом Ошкели. Ефрем оправдывал свой поступок следующим образом: "Я был вынужден вновь перевести (это сочинение) с греческого, а не с армянского, так как армянскому сыну и греческому внуку, притом сомнительному, предпочел самого несомненного и собственного сына".[2]

2. Повторный перевод обуславливался еще и тем, что в древности не было, да и не могло быть точной библиографической информации, тем более, что очаги грузинской культуры находились не только на территории Грузии, но и далеко за ее пределами. Именно этим следует объяснить одновременное появление параллельных переводов некоторых произведений. Например, Ефрем Мцире и Теофил Хуцесмоназони, входившие некоторое время в одну и ту же литературную школу, почти одновременно и независимо друг от друга перевели "Житие" Амвросия Медиоланского, принадлежащее перу Симеона Метафраста.[3]

3. Древние грузинские переводчики повторно переводили сочинения и в тех случаях, когда существовавший перевод был для них недоступным.

---

[1] К. Кекелидзе, Симеон Метафраст по грузинским источникам, "Труды Киевской академии", 1910, № 2; его же, Иоанн Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста, "Христианский Восток", 1, 325-347.

[2] Ф. Жордания, Хроники, I, 227.

[3] Р. Миминошвили, Новая редакция "Жития" Амвросия Медиоланского в грузинской письменности, Известия АН Грузинской ССР, т. XXIII, № 6, 1959.

4. Одни и те же произведения переводились если не по разным редакциям подлинника, то во всяком случае в соответствии со своим стилем и идеологией представителями различных философско-теологических направлений.

5. В грузинской письменности встречаются переводы в разных редакциях. В этом случае большое значение приобретали цель и назначение перевода. Поэтому мы встречаем краткие и полные переводы, compendium-ы разных сочинений (в этом отношении заслуживает внимания деятельность известного писателя XI века, главы афонской литературной школы Евфимия Мтацминдели (Святогорца).

Большой интерес представляют грузинские переводы известного догматического сочинения Иоанна Дамаскина "Источник знания" (Πηγή γνώσεως). На грузинский язык полностью переведены две части Πηγή – "Диалектика" и "Точное изложение православной веры". Вторая же часть, "Об ересях", полностью на грузинский язык не переводилась.

Грузинская литература сохранила три перевода "Изложения", выполненные Евфимием Мтацминдели, Ефремом Мцире и Арсеном Икалтоэли. Все три перевода выполнены с греческого подлинника. Спрашивается, чем это можно объяснить? Ведь каждый из переводчиков прекрасно знал о существовании предшествующего перевода. Ефрем Мцире, например, специально просил читателей не отождествлять его труд с переводом Евфимия, а Арсен Икалтоэли, третий переводчик "Изложения", по свидетельству самого Ефрема, даже принимал какое-то участие в ефремовском переводе.

Решению указанных вопросов, а также изучению историко-литературных проблем греческого оригинала сочинения Иоанна Дамаскина и его грузинских редакций (Ефрема и Арсена) посвящена настоящая книга.

1. "ИЗЛОЖЕНИЕ" ИОАННА ДАМАСКИНА

О жизни выдающегося представителя византийской литературы Иоанна Дамаскина, к сожалению, сохранились весьма скудные и к тому же отнюдь не бесспорные сведения. Основными источниками для изучения жизни Иоанна являются его "Жития", дошедшие до нас в греческой и арабской редакциях,[1] а также ранние переводы биографии Дамаскина, в частности латинский и грузинский.[2] Эти биографии дополняются различного рода сведениями древних авторов.[3]

Следует указать, что часть исследователей скептически относится к некоторым источникам биографии Иоанна Дамаскина,[4] другая часть берет под сомнение исключительно все источники,[5] а меньшинство исследователей принимают их на веру.[6]

Мы не знаем точно, в каком году скончался Иоанн, однако нам известно, что в 754 году его посмертно предали анафеме на иконоборческом соборе.[7] Правда, была сделана попытка более точной датировки, согласно которой Иоанн Дамаскин умер 4 декабря 749 года.[8]

Иоанн Дамаскин был многогранным и плодотворным писателем. Ему принадлежат многие догматические, полемические, экзегетические, аскетические, гомилетические и

---

[1] Древняя редакция "Жития", принадлежащая Иоанну, патриарху Иерусалимскому, опубликована в Patrologia Graeca Миня (t. 95, col. 430-489); В 1897 г. А. Пападопуло – Керамевс в Петербурге издал два текста "Жития" (Ἀνάλεκτα Ἱεροσολυμιτικῆς σταχυολογίας... ὑπὸ Α. Παπαδοπούλου-Κεραμέως, IV, ἐν Πετρουπόλει, 1897, 270-350, V, 1898, 406-407. Арабская Vita издана К. Баша (Biographie de Saint Jean Damascène, 1912).

[2] Латинская версия греческого "Жития" опубликована в Patrologia Graeca, t. 94, col. 489-500; грузинскую же см. у К. Кекелидзе, Грузинская версия арабского жития Иоанна Дамаскина (Христ. Восток, III, 119-126).

[3] PG, t. 94, col. 504-514.

[4] Б. Мелиорранский, Георгий Кипрянин и Иоанн Иерусалимлянин, два малоизвестных борца за православие в VIII веке, СПБ, 1901, стр. 96.

[5] Berthold Altaner, Patrologie, Leben, Schriften und Lehre der Kirchenväter, V Aufl., Freiburg, 1958, p. 488.

[6] П. Попов, Иоанн Дамаскин, краткий очерк, 1915; И. Синельников в журнале "Наука и религия" (М., 1964, № 10, стр. 88-89) с атеистической точки зрения рассмотрел основные моменты "биографии" Дамаскина, признав их достоверными.

[7] С. Каухчишвили, История византийской литературы, 1963, стр. 171 (на груз. яз.).

[8] Wailhé, Date de la mort de S. Jean Damascène: Échos d' Orient, 1906, стр. 28-31. Ту же дату, но с вопросительным знаком приводит Berthold Altaner (Op. cit., 488).

гимнографические сочинения. Лучшим изданием творений Дамаскина до настоящего времени считается текст, опубликованный в 94, 95 и 96-ом томах Patrologia Graeca.[1] Мы, конечно, не имеем в виду неоднократно переиздававшийся христианский роман "Варлаам и Иосафат", который, по мнению большинства исследователей, не принадлежал перу Иоанна Дамаскина. Давно уже утихшие споры по этому вопросу вновь разгорелись с 1953 года, когда Ф. Дельгер напечатал исследование – "Греческий роман о Варлааме – сочинение Иоанна Дамаскина".[2]

Однако, как и прежде, защитники авторства Иоанна Дамаскина вновь оказались в меньшинстве.[3]

Основным произведением Иоанна Дамаскина, принесшим ему славу одного из величайших представителей византийской литературы, является Πηγή γνώσεως. Следует отметить, что название сочинения вполне соответствует его назначению. Действительно, Πηγή является источником знания по разным отраслям средневековой науки, источником, непрестанно питавшим творения других представителей византийской литературы, а также тех писателей, которые были знакомы с ним только по переводу. "Источник знания" представляет интерес не только богатыми сведениями из различных отраслей науки – литературы, философии, естествознания, астрономии, физиологии и т. д., но и свежестью речи, живостью языка, исключительной стройностью и единством архитектоники.

Мы должны изучить его сочинение в историческом аспекте. В свое время оно сыграло немаловажную роль в развитии научного мышления. Если мы хотим в полной мере изучить древнюю письменность, в том числе и древнегрузинскую литературу, то нельзя не учитывать тех сил, которые благоприятствовали или препятствовали ее развитию. Одним из основных источников творчества древних писателей является Πηγή γνώσεως Иоанна Дамаскина.

"Источник знания" привлекает внимание как своеобразная симфония платонизма и аристотелизма. В этом отношении интересно замечание Пантелеймона: "Что касается душевных сил и способностей, то здесь мы встречаем у Дамаскина довольно сложную и не везде последовательную и ясную классификацию. Это объясняется тем, что Иоанн, с одной стороны, старался следовать принятой отцами платоновской классификации, с другой стороны, личные симпатии отвлекали его к Аристотелю, из которого никто, кажется, из отцов церкви не заимствовал так много, как Дамаскин" (курсив наш. – Р. М.).[4]

Влияние Аристотеля чувствуется не только в философской части Πηγή (в "Диалектике"), но и в основной его части – "Изложении".

Особой популярностью Πηγή стало пользоваться с X-XI вв., когда были сделаны первые переводы этого сочинения.

Интересно отметить, что латинскому переводу предшествовали славянский, арабский[5] и грузинские переводы, выполненные до конца XI века (в том числе следует отметить славянский перевод "Жития", выполненный болгарским экзархом Иоанном в X веке).

Первый грузинский вольный перевод был выполнен уже в конце X и начале XI века (не позже 1028 года) Евфимием Мтацминдели. В 1144-1153 гг. по поручению папы Евгения III был осуществлен первый краткий латинский перевод "Изложения", выполненный Петром

---

[1] В последнее время в Шейернском институте византинологии приступили к работе над новым изданием сочинений Иоанна Дамаскина: F. Dölger, Die Johannes-Damaskenos-Ausgabe des Byzantinischen Instituts Scheyern; журн. "Byzantion", Bruxelles, 1950, стр. 303-314.

[2] F. Dölger, Der griechische Barlaam-Roman – ein Werk des Johannes von Damaskos, 1953, Buch-Kunstverlag Ettal, 1 Heft.

[3] Против теории Ф. Делгера выступили: Ф. Алькен (Analecta Bollandiana, t. LXXI, 1955), Д. Лэнг (St. Euthymius the Georgian and the Barlaam and Joasaph romance: Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London, 1955, vol. XVII: part. 2) К. Кекелидзе (Роман о Балаваре в христианской письменности, "Литературные разыскания", т. XI, 1958, стр. 145-172, его же "История грузинской литературы", т. I, 1960, стр. 187-190), Ш. Нуцубидзе (Вопросы грузинской литературы и культуры в современной западной науке; журн. "Мнатоби", 1956 № 3), С. Каукчишвили (История византийской литературы, 1963, стр. 206-238) и другие. Наконец, следует указать на монографию Ш. Нуцубидзе "К происхождению греческого романа "Варлаам и Иоасаф" (Тбилиси, 1956), где наряду с позитивным исследованием дается критический обзор специальной литературы.

[4] Пантелеймон, Антропология по творениям Иоанна Дамаскина; журн. "Богословский вестник", 1914, март, стр. 468-495.

[5] G. Graf, Die christlich-arabische Literatur, 1905, стр. 68-69.

Ломбарди. В 1512 г. в Париже вышел в свет латинский перевод "Изложения", а 19 лет спустя, в 1513 году, был издан греческий текст.[1] В 1548, 1575, 1577, 1603, 1617 годах появились новые издания этого сочинения. В 1535 году вышло в свет второе издание латинского перевода, где "Изложение" уже было разделено на четыре книги, а в 1577 году Якобус Биллиус издал собственный латинский перевод "Изложения". Среди латинских переводов следует отметить издание 1940 года, осуществленное в Будапеште. В это издание вошла лишь часть "Изложения" (45-52 главы).[2]

Следует особо отметить парижское издание греческого текста сочинений Иоанна Дамаскина, осуществленное в 1712 году М. Лекиеном. Это двухтомное издание содержит полное собрание сочинений Дамаскина и снабжено научно-критическим аппаратом. Издателем были учтены все основные рукописи сочинений Иоанна.[3] Естественно, что это замечательное издание почти через полтора столетия было включено, с некоторыми изменениями, в три тома Patrologiae... series Graeca (tt. 94, 95, 96) Миня. Оно до сих пор считается лучшим изданием творений Дамаскина; во всяком случае, это можно сказать относительно "Изложения", напечатанного в 94 томе "Патрологии" Миня.[4]

"Изложение" представляет собой большой труд энциклопедического характера. Автором использованы достижения науки и культуры того времени. В основном Иоанн, конечно, пользуется трудами "отцов церкви", но вместе с тем в этом его сочинении, хотя и в меньшей мере, чем в "Диалектике", ощущается влияние античной философии, – в частности, Платона, Аристотеля, Порфирия, Аммония.

Влияние "Физики" Аристотеля заметно в XIII главе "Изложения"; XVIII и XX главах мы находим следы платоновской философии. Но несравненно большее влияние на сочинение Дамаскина оказали книги Ветхого и Нового завета и творения византийских писателей. Это влияние настолько велико, что некоторые исследователи даже склонны были считать "Изложение" компилятивным трудом. С этим, конечно, никак нельзя согласиться. Правда, "Изложение" содержит множество высказываний разных авторов, однако по своей оригинальной архитектонике, своеобразному осмыслению христологических и научных положений и общей целенаправленности оно является единственным в своем роде сочинением. Дамаскин приводит цитаты из разных источников, но использует их для подтверждения того или иного положения и поэтому иногда даже меняет расположение предложений в цитатах из "священного писания". Основными источниками "Изложения", помимо книг Ветхого и Нового завета, являются сочинения следующих авторов: Григория Назианзина, Псевдо-Дионисия Ареопагита, Григория Нисского, Василия Кесарийского, Кирилла Александрийского, Афанасия Александрийского, Максима Конфессора, Немессия Эмесского, Иоанна Златоуста, Клементия Александрийского, Леонтия Иерусалимского и др. (всего – 107 сочинений разных авторов).

Сочинения Иоанна Дамаскина неоднократно переводились на грузинский язык Евфимием Мтацминдели, Ефремом Мцире, Георгием Мтацминдели, Арсеном Икалтоэли и другими. Следует особо отметить большой труд Арсена Икалтоэли – "Догматикон". Такого сборника нет в византийской литературе и, по справедливому мнению К. Кекелидзе, инициатива его создания должна была принадлежать грузинскому автору.[5] В этот сборник в месте сочинениями разных авторов, помимо двух частей "Πηγή", вошли и другие произведения Иоанна Дамаскина, в частности его полемические труды, направленные против несториан и якобитов, "О двух волях, двух естествах и одной ипостаси".[6]

---

1 Ἰωάννου Δαμασκηνοῦ Ἔκδοσις τῆς ὀρθοδόξου πίστεως (Ioannis Damasceni Editio orthodoxae fidei), Veronae, MDXXXI.

2 Translatio Latina Ioannis Damasceni (De orthodoxa fidei, I. III, c. 1-8), Saeculo XII, in Hungaria confecta, scripsit et textum edidit Remegius L. Szigeti, Budapest, 1940.

3 Ioannis Damasceni Opera omnia, opera et studio P. Michaelis Lequien, 1712.

4 Berthold Altaner, Patrologie, 1958, p. 489.

5 К. Кекелидзе, История грузинской литературы, т. 1, 1960, стр. 81.

6 Рук. Института рукописей АН Грузинской ССР имени К. Кекелидзе – фонд А. № № 1463 (л. 128 – 138), 205 (л. 431-448) и Кутаисского краеведческого музея № 23 (л. 36-52).

О популярности грузинских переводов "Источника знания" свидетельствуют высказывания Сулхана-Саба Орбелиани, Антона Цагарели-Чкондидели, Антона Багратиони, Иоанна Багратиони и других грузинских писателей. В этой связи особо следует отметить замечательный толковый словарь грузинского языка „სიტყვის კონა", составленный известным грузинским писателем и ученым, автором "Мудрости лжи" Сулханом-Саба Орбелиани. Составитель пишет, что создавая толковый словарь, он наряду с другими источниками использовал и "Источник знания" Иоанна Дамаскина[1]. Некоторые статьи из этого словаря, а именно: სული (дух, душа), სხეული (тело), ქუეყანა (земля), ცა (небо), ცეცხლი (огонь), წყალი (вода), ხრწნილება (тление), ჰაერი (воздух)[2] и другие написаны под влиянием "Изложения" Иоанна Дамаскина. В словаре приведены даже точные цитаты из этого сочинения.[3]

"Изложение" цитируется и в догматическом сочинении известного грузинского писателя XVIII века Антона Багратиони „მზამეტყველება" ("Готовый ответ").[4]

Любопытно отметить, что названные авторы используют редакцию Арсена Икалтоэли.

Как уже отмечалось, первый грузинский перевод Πηγή был выполнен Евфимием Мтацминдели. Однако его труд носит название "წინამძღვარი" ("Предводитель") или "სარწმუნოებისათვის" ("О вере"). В предисловии к "Диалектике" Ефрем Мцире говорит:

"Кто... пожелает краткий "Предводитель", переведенный святым отцом Евфимием, пусть им насладится, так как по благодати святого духа он мог прибавлять и убавлять, а если же это новое пожелает переписать, его с этим пусть не смешивает и ни этого с ним... вместе с тем надобно знать, что "Предводителя" я встречал как заглавие речений святого Анастасия Синайского по-гречески, а для этой книги не встречал нигде, кроме грузинского. Поэтому пусть святость ваша считает нужным, чтобы, как в заглавии того сказано, называли вы книгу эту " Изложением ", ибо и по-гречески так же писано, а "Предводителем" пусть будет называться тот же перевод святого отца Евфимия, так как он им же был подобран. Но этого уже не знаю, сам отец Евфимий подобрал, или же таким нашел его по-гречески".[5]

Эта редакция представляет большой интерес для изучения творчества самого переводчика. Ее все же нельзя считать переводом сочинения Дамаскина в прямом смысле этого слова. В этом сочинении, состоящем, кстати, из 24 (в некоторых списках из 25) глав, помимо отрывков из "Изложения" встречаются эксцерпты из других сочинений Иоанна Дамаскина – "Об ересях", "О сложном естестве", "О трисвятом гимне", "О святой троице", Ἱερὰ παράλληλα и др.[6]

Первым грузинским переводчиком "Диалектики" и "Изложения" Иоанна Дамаскина следует признать Ефрема Мцире. С точки зрения истории грузинской литературы большой интерес представляет приписка к ефремовскому переводу:

"Молитесь, Любители Христа, о Габриеле, по приказу которого была переведена святая книга эта, и о добрых сотрудниках моих и поддержавших меня, вместе с тем кормивших и служивших мне – Арсене Икалтоэли, Иоанне и Иоанне пресвитере, Стефане и обо мне, малом и жалком переводчике Ефреме Мцире, который во время великого католического поста печалью о грехах своих и светским временем христианским пренебрег из страха не завершить этот (труд), завершенный богом по молитве вышеуказанных отцов сих".[7]

Как видим, Ефрему помогали другие деятели, в том числе, в первую очередь, Арсен Икалтоели. В чем выражалась эта помощь? Перечисленные лица, в том числе Арсен, были его добрыми "сотрудниками", "поддержавшими" его и вместе с тем "кормившими и служившими" ему. Ефрем опасался, что не сможет завершить дела, однако ему помогали молитвы этих

---

1 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, ს. იორდანიშვილის რედ., გვ. 10.
2 ibid. col. 625, 631, 721, 825, 828, 877, 909-910, 935.
3 ibid. col. 910, 935 atq.
